# მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის



წიგნი მეორე

მ-ჰ

ბაკმი

2006



2004 წელი

**ავტორები:**

ნანა ტონია — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ანტიკური მითოლოგია.

ზურაბ კიკნაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
შუამდინარული-შუმერული, ბაბილონური, უგარიტული,
ეგვიპტური, ირანული, ინდური, იაპონური, ჩინური მითოლოგიები.

**კონსულტანტი**

რისმაგ გორდეზიანი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

**რედაქტორი**

რუსუდან მოსიძე — გამომცემლობის მთავარი რედაქტორი.

ავტორები მადლობას უხდიან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
მეცნიერ – თანამშრომელს *ნუნუ გენდუქიძეს* სტატიებისათვის
ხეთურ მითოლოგიაში.

გამომცემლობა მადლობას უხდის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტს მოწოდებული ფოტომასალისათვის.

მეორე გამოცემა

იდეა და პროექტი ბონდო მაცაბერიძის, რუსუდან მოსიძის

© „ბაკმი", თბილისი, 2006

© ზურაბ კიკნაძე, ნანა ტონია

ISBN 99940-27-02-6 (სამივე ტომი)

ISBN 99940-27-04-2 (მეორე ტომი)

© წიგნის გამოცემის ყველა უფლება ეკუთვნის გამომცემლობას.
ყველა საავტორო უფლება დაცულია.
© Copyright. All rights reserved.

# მ

**მა** – მცირეაზიული ღვთაება, ღმერთების დედა; მშვიდობიანობის დროს ითვლებოდა ნაყოფთა აღმომცენებელ, ხოლო ომიანობის ჟამს – სიკვდილის მომტან ქალღმერთად.

მას თაყვანს სცემდნენ კუნძულ კრეტაზე ვითარცა ***ზევსის*** დედასა და მეუღლეს. მისი კულტი ენათესავებოდა ***კიბელეს*** კულტს და გამოირჩეოდა შეუზღუდავი ორგიასტულობით. რომში ამ ღვთაების თაყვანისცემა დაიწყეს ძვ.წ. I საუკუნიდან და ხშირად აიგივებდნენ ***ბელონასთან***.

**მადონა** – იტალიური სიტყვაა და ასე ითარგმნება: „ჩემო ქალბატონო“. ღვთისმშობლის ხატი ხელში ჩვილი იესოთი ჩვ.წ. მე–IV საუკუნის დასაწყისიდან მკვიდრდება იკონოგრაფიაში. იგი მსგავსია იმ ეგვიპტური გამოსახულებისა, სადაც წარმოდგენილია *ისისი* ჩვილი ჰოროსით. ისისისადმი მიძღვნილი მისტერიების მონაწილენი თავიანთ ქალღმერთს ასე მიმართავდნენ: „მა დონა“ (ჩემო ქალბატონო), რაც მოგვიანებით ღვთისმშობლის მოხსენიების ტრადიციად იქცა.

**მავსოლეუმი** (მავზოლეუმი) – სამარხი ნაგებობა... 



მადონა ჩვილით (მადონა ლიტა). ლეონარდო და ვინჩი (დაახ. 1485-1490 წ.წ.). სანქტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.

**მაზდა** – ირან. „ბრძენი“, მთავარი ***აჰურას***. ***ამეშასპენტების*** წინამძღოლის ეპითეტი – ეს არის ***აჰურა მაზდა***, „ბრძენი აჰურა“.

ირანული რელიგიის წიგნში „ავესტაში“ აჰურა მაზდა ხშირად მოიხსენიება, როგორც მაზდა.



აჰურა მაზდა. რელიეფი (III ს.). ნაყშ-ი-რუსტამი.

**მაია** – ბერძ. ***პლეიადათაგან*** უფროსი, ***ატლასისა*** და ***პლეიონეს*** ასული, ***ჰერმესის*** დედა.

რომაელები ბერძენთა ამ ღვთაებას აიგივებდნენ დედამიწის ძველიტალიურ ქალღმერთ მაიასთან, რომლის პატივსადები ზეიმები იმართებოდა მაისის თვეში. სწორედ მაიას სახელთან არის დაკავშირებული თვის სახელწოდებაც. ზოგჯერ მაიას ***ვულკანუსის*** მეუღლედაც მიიჩნევდნენ და აიგივებდნენ ***ბონა დეასთან*** ან ***ფაუნასთან***.

**მაკარია** – ბერძ. ***ჰერაკლეს*** ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც უშვა ***დეიანირამ***.

მაკარია ჰერაკლეს მითოსში გვიან გამოჩნდება: გადმოცემათა თანახმად, ***ორაკულის*** წინასწარმეტყველება ასეთი იყო: ბოროტი მეფე ***ევრისთევსი*** დამარცხდებოდა და ***ჰერაკლიდები*** დაბრუნდებოდნენ პელოპონესოსზე, თუკი ღმერთებს უძღვნიდნენ ადამიანურ მსხვერპლს. მაშინ მაკარიამ საკუთარი ნებით ისურვა სიკვდილი. ატიკაში, მარათონის მახლობლად, მიწის სიღრმიდან აღმომავალ წყაროს მაკარია უწოდეს (ეტიოლოგიური მითოსი).



მანდალა. გამოსახულება იატაკზე.

**მანდალა** – ინდ. „წრე“, „დისკო“, სამყაროს, კერძოდ კი, ტაძრის სახე. მანდალა წარმოადგენს წრეში ჩახატულ კვადრატს, წრისა და კვადრატის ერთობლიობას, რაც სიმბოლურად ცისა და მიწის ერთიანობას გამოხატავს (წრე – ცა ან მთელი სამყარო, უნივერსუმი, კვადრატი – მიწა). მანდალა ***პურუშას***, ღვთიური მყოფობის, სივრცული სიმბოლოა, სადაც ხვდება ერთმანეთს ცა და მიწა. მანდალაში რამდენიმე კვადრატია წარმოდგენილი, მათ შორის, ცენტრალური ***ბრაჰმას*** ადგილს აღნიშნავს, რაც ტაძრის უშინაგანეს და უწმიდეს მხარეს შეესაბამება. გონითი აზრით, მანდალა სულიერი და ნივთიერი სამყაროების (ასევე, ღვთიურისა და ადამიანურის) და მათი დინამიური ურთიერთობის სიმბოლოა.

**მამეთუ** – ბაბილონ. „ფიცი“, ქვესკნელის ქალღმერთი, მკვდართა სამეფოს მეფის, ***ნერგალის***, ერთ-ერთი მეუღლეთაგანი, ფიცის ღვთაება. ***ანუნაქებთან*** ერთად მამეთუ, როგორც „ბედის შემქმნელი“, ადამიანებს ბედისწერას უწესებს. როგორც ქვესკნელის მსაჯული ფიცის დამრღვევთა სამართალს განიკითხავს.

**მანები** – რომ. თავდაპირველად მანებს უწოდებდნენ მიწისქვეშა სამყაროს ღვთაებებს რომაულ მითოლოგიაში, მოგვიანებით კი – გარდაცვლილთა გაღმერთებულ სულებს, რომლებიც ამა თუ იმ მოდგმის მფარველებად მიაჩნდათ.

მანები კეთილმოწყალე ღვთაებები იყვნენ, განსხვავებით ლემურებისგან, რომლებსაც რომაელები მიცვალებულთა მავნე სულებად მიიჩნევდნენ. მანების პატივსადებად დაწესებული იყო მოსახსენიებელი დღეები, როდესაც სუფრასთან თავს იყრიდნენ გარდაცვლილთა ახლობლები, ხოლო საფლავებთან მიჰქონდათ შესაწირავი. საყოველთაო ზეიმი კი იმართებოდა 13-21 თებერვალს. ამ დროს იხურებოდა ყველა ტაძარი და იკრძალებოდა ქორწინებები. რომში, პალატიუმის ბორცვზე მდებარეობდა მანებისადმი მიძღვნილი განსაკუთრებული ფორმის ორმო, რომელიც ლოდით იყო დაფარული. რომაელები თვლიდნენ, რომ იქ მანები იყვნენ დავანებულნი. ყოველი წლის 24 აგვისტოს, 5 ოქტომბერსა და 8 ნოემბერს ლოდს გადასწევდნენ ხოლმე, რათა იქიდან ამოეშვათ მანები.

გადატანითი მნიშვნელობით პოეტები მანებად მიწისქვეშა სამყაროს მოიხსენიებდნენ.

**მანია** – რომ. მიწისქვეშა სამყაროს ძველიტალიური ღვთაება; ***მანების*** დედა (ან დეიდა).

რომში მანიას გამოსახულებას ჰკიდებდნენ კარების წინ, რათა სახლის მფარველი ყოფილიყო. დროთა განმავლობაში მანია იქცა საფრთხობელად, რომლითაც აშინებდნენ ბავშვებს. უძველეს ხანებში მანიას მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებს, მოგვიანებით – უძღვნიდნენ ხახვისა და ნივრის თავებს.

**მანო-პავასაპარნა** – ინდ. მაღალი მთა, უკანასკნელი სადგური წარღვნას გადარჩენილი ხომალდისა, რომელშიც მანუ და შვიდი ბრძენი, ***ანგირასის*** ძენი, ისხდნენ. სახელწოდება ნიშნავს „მთა, საიდანაც ჩამოვიდა მანუ“.

**მანტიკა** – ბერძნ. მკითხაობის ხელოვნება, ღვთაებათა ნების გამოცნობის უნარი.

უძველეს ხალხთა რწმენით, ბუნების ყველა მოვლენას, აგრეთვე ადამიანთა და სახელმწიფოთა ბედსაც განაგებდნენ ღმერთები. სწორედ ეს წარმოდგენები იდო საფუძვლად მანტიკას. ძველები მიიჩნევდნენ, რომ ღმერთები თავიანთი სურვილით ან ადამიანთა თხოვნით განაცხადებდნენ ხოლმე ღვთაებრივ ნებას განსაკუთრებული ნიშნებით, რომელთაც განმარტავდა მანტიკა. საბერძნეთსა და რომში არც ერთი კერძო თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე არ დაიწყებოდა ისე, რომ არ მიემართათ ***ორაკულისათვის***, რომელიც განაცხადებდა ღმერთების ნებას.

ძველ საბერძნეთში ორაკულთა და მისანთა მფარველი ღვთაება იყო ***აპოლონი***, ხოლო ყველაზე სახელოვან წინასწარმეტყველებად ითვლებოდნენ ***სიბილები*** და ბაკისი. მათ მიაწერდნენ მრავალ ნამისნევს, რომელთაც იწერდნენ სპეციალურ კრებულებში (ასე მაგალითად, ცნობილია „***სიბილას წიგნები***“). ამ წიგნებს სახელმწიფო სიწმინდეებად მიიჩნევდნენ. არსებობდა კერძო კრებულებიც, რომელთა მფლობელები მსურველებს სათანადო რჩევებს აძლევდნენ. წინასწარმეტყველებისათვის მიმართავდნენ სიზმრებსაც. ჯერ კიდევ ჰომეროსის დროს ეგონათ, რომ სიზმარს ***ზევსი*** უგზავნიდა ადამიანებს. ხალხურ რელიგიაში მიაჩნდათ, რომ სიზმრებს განაგებდნენ ***დემონები***. ჰესიოდე თავის „***თეოგონიაში***“ ამ დემონებს ***ნიქსის*** (ღამის) შვილებს უწოდებს. გვიანი ხანის პოეტთა აზრით კი ისინი ***ჰიპნოსის*** შვილები არიან.

ჰომეროსის თანახმად, სიზმრები დავანებულნი არიან უკიდურეს დასავლეთში, იქ, სადაც მიწისქვეშა სამეფოს შესასვლელია. თუ ეს სიზმრები რქოვანი კარიბჭიდან გამოვლენ, ისინი წინასწარმეტყველურნი არიან; სპილოსძვლის კარიბჭიდან გამოსულებს კი დაკარგული აქვთ გრძნეულება. ბერძენთა რწმენით, ღმერთები ზმანებათა დემონებს კი არ აგზავნიდნენ მხოლოდ, არამედ თავადაც ევლინებოდნენ სიზმრად ადამიანებს, რათა საკუთარი ნება განეცხადებინათ. საბერძნეთსა და რომში სიზმართა ამხსნელი წიგნებიც კი არსებობდა. ერთ-ერთმა ასეთმა წიგნმა, რომლის შემადგენელი არტემიდოროსია (ძვ.წ. II ს.), ჩვენამდეც მოაღწია.

ღვთაებათა ნების მაცნეებად მიიჩნევდნენ ჩიტებსაც. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მტაცებელ ფრინველებს. მათ შორის გამორჩეული იყო არწივი–ზევსის ფრთოსანი. ფრინველთმისნობა (ორნიტომანტია, აუსპიციუმი) ეფუძნებოდა ჩიტების ფრენას ან გალობას. თუ დიდი ფრთოსანი ჰორიზონტის აღმოსავლეთით, მარჯვენა მხრიდან გამოჩნდებოდა, ეს კეთილ უწყებას მოასწავებდა. მარცხენა მხრიდან მოვლენილი კი – უბედობას უქადდა საქმეს.

მკითხაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ზეციურ და ატმოსფერულ მოვლენებს (ჭექა-ქუხილს, ელვას, მზისა და მთვარის დაბნელებას, კომეტებისა თუ ვარსკვლავთა ცვენას). პირველყოფილ ადამიანებს ხომ სჯეროდათ, რომ ამ მოვლენებს განაგებდნენ ღმერთები. მეხის დაცემა ან გაელვება სასიკეთო ან უკეთურ ნიშნად მიიჩნეოდა მათი გამოვლინების მიხედვით; მზისა და მთვარის დაბნელება უბედობას მოასწავებდა.

ვარსკვლავთმისნობა (ასტროლოგია) ძველ საბერძნეთში მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შემდეგ გავრცელდა, როცა ბერძნები ეზიარნენ ბაბილონურ ასტროლოგიას.

ფრინველთმისნობა და ზეციურ მოვლენებზე მკითხაობა ფართოდ იყო გავრცელებული რომში,

სადაც ამ საქმეს განაგებდნენ *ავგურები*. გარდა ამისა ძველ საბერძნეთსა და რომში მეითხაობდნენ მსხვერპლად შეწირულ ცხოველებზეც. ქურუმები აკვირდებოდნენ მსხვერპლთა ქცევას შეწირვამდე, მათი წვის სისწრაფეს სამსხვერპლოზე, შიგნეულის მდგომარეობას და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღვიძლის ფორმებს, გულს, ფილტვებს. ხშირად მსხვერპლშეწირვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მკითხაობა, განსაკუთრებით ომიანობის ჟამს.

ძველ სამყაროში გავრცელებული იყო ცრურწმენაც. ზოგჯერ ღვთის უწყებად მიიჩნევდნენ ცხვირის დაცემინებას, კარების ჭრიალს, დაღვრილ ზეთსა და რძეს. რომელიმე ცხოველის გამოჩენას (ასე მაგალითად, ეზოში სხვისი შავი ძაღლის შემოსვლა უბედურებას მოასწავებდა). მანტიკისადმი სკეპტიკური განწყობილება შეიმჩნეოდა უკვე უძველესი საუკუნეებიდან. საკმარისია დავასახელოთ თალეს მილეტელი (ძვ. წ. VII–VI ს.ს.), რომელიც აღნიშნავდა, რომ მზის დაბნელება სულაც არ იყო ღვთაებათა ნების გამოვლინება.

**მანუ** – ინდ. წარღვნის გმირი, ბრძენი, ასკეტი, ძე ვივასვანტისა, მზის ღმერთისა. ერთხელ დილით მანუს წყალი მიუტანეს ხელის დასაბანად. ხელს რომ იბანდა, ხელში ერთი პაწაწინა თევზი მოხვდა და სთხოვა დიდი თევზებისგან გადაერჩინა, სამაგიეროდ თავად მას დაჰპირდა ხსნას. მანუს გაუკვირდა, რისგან და როგორ უნდა მიხსნას ამ პაწაწინა თევზმაო, მაგრამ მაინც ამოიყვანა წყლიდან თევზი და პატარა ჭურჭელში ჩასვა, რათა საიმედოდ დაცული ყოფილიყო მტაცებელი თევზებისგან. როცა თევზი წამოიზარდა, მანუმ იგი ტბორში გადასვა. თევზი იზრდებოდა და იზრდებოდა, ბოლოს, როცა მანუმ დაინახა, რომ თევზი აქაც ვერ ეტეოდა, განგში გადასვა. მცირე ხნის შემდეგ თევზს განგის წყლებიც ეცოტავა და ახლა მანუმ იგი ოკეანეში გაუშვა. გავიდა ხანი და თევზმა მადლიერების ნიშნად მანუს წარღვნის დადგომის დღე და საათი ამცნო, გაუმხილა ქვეყნის დასასრულის საიდუმლო, რომ ყველა სულდგმული უნდა დაღუპულიყო. თევზმა ურჩია მანუს, აეგო დიდი კიდობანი, შეეტანა მასში მცენარეთა თესლები, ცხოველები წყვილ-წყვილად, შეეყვანა იქ შვიდი ბრძენი, რიში, ანგირასის ძენი, და დალოდებოდა მის გამოჩენას. თან ისიც უთხრა, არ დავიწყებოდა მსხვილი ბაწრის მომარაგება. მანუმ ყველაფერი ზუსტად ისე შეასრულა, როგორც თევზმა დაავალა: ააგო ხის დიდი კიდობანი, შეარჩია მცენარეთა თესლები და ცხოველები, შვიდი რიში და დაელოდა, რა მოხდებოდა. ერთ დღეს, ის-ის იყო დიდი ქარიშხალი ტყდებოდა, რომ გამოჩნდა უზარმაზარი რქიანი არსება და მანუმ იცნო თავისი გაზრდილი თევზი, ბაწრით შეაბა მის რქას კიდობანი და თევზმაც აბობოქრებულ წყალში შეაცურა იგი. თანდათან ძლიერდებოდა ქარიშხალი, წყალმა მთლიანად დაფარა ცა და მიწა. არაფერი ჩანდა ქვეყნიერებაზე, გარდა მანუს კიდობანისა, რომელიც მთვრალი კაციეით ბარბაცებდა უკიდეგანო ოკეანეზე. დიდხანს იმოგზაურა კიდობანმა და ბოლოს ჰიმალაის ერთ უმაღლეს მწვერვალს მიადგა, რომელიც წარღვნის წყალს ვერ დაეფარა. ამ მთას „მანო-ჰავასაპარნა" ეწოდა, რაც ნიშნავს: „მთა, საიდანაც მანუ ჩამოვიდა". მანუმ გამოიყვანა ყველა და ყველაფერი კიდობნიდან და დაელოდა, კიდევ რას უბრძანებდა მისი მხსნელი. დიდმა თევზმა ახლაღა გამოუცხადა მანუს თავისი ნამდვილი ვინაობა: მე ვარ *ბრაჰმა*, უთხრა მან, უფალი ყოველი არსებულისა, რომელმაც გადაგარჩინე დაღუპვისაგან, რათა აღადგინო ყოველი ცოცხალი – არა მხოლოდ ადამიანები და ცხოველები, ყოველი სულდგმული, არამედ ღმერთებიც კი. ბრაჰმამ მიჰმადლა მას, მანუს, ეს უნარი და მანაც ყველაფერი მისი ბრძანებისამებრ აღასრულა. და დაიწყო წარღვნის შემდეგ განახლებული სიცოცხლე, კაცობრიობის ახალი ცხოვრება განახლებულ მიწაზე.

მანუმ ჰიმალაის მთაზე მსხვერპლი შესწირა ღმერთებს – მთიდან ოკეანეში კარაქი და ხაჭო ჩამოაგდო. მსხვერპლისგან ქალი წარმოიშვა და მანუს ასულად იწოდა. მერე მანუმ დაამცხიკა და მცხიკებისგან ვაჟი წარმოიშვა, მერე რვა ვაჟი დაებადა მანუს. მათგან გავრცელდა კაცობრიობა.

**მარათონის ხარი** – ანუ კრეტის ხარი, რომელიც *ჰერაკლემ* შეიპყრო.



*ჰერაკლე და კრეტის ხარი. მარმარილო (დაახ. ძვ.წ. 460 წ.). პარიზი. ლუვრი.*

კრეტის მეფე *მინოსმა* ზღვათა ღვთაება *პოსეიდონს* აღუთქვა, რომ ხარს შესწირავდა მსხვერპლად. სიტყვა ეამა ღმერთს და ამიტომ ზღვათა სიღრმიდან უჩვეულოდ ლამაზი ხარი ამოუშვა. მეფე მინოსს მოეწონა იგი, დაენანა მისი შეწირვა და მის ნაცვლად პოსეიდონს სხვა ხარი უძღვნა. ღმერთი განრისხდა და ხარი გააშმაგა. გამძვინვარებული ცხოველი ულმობლად ანადგურებდა კრეტას. ეს ხარი შეიპყრო ჰერაკლემ (მეშვიდე გმირობა) და მეფე *ევრისთევსს* მიჰგვარა მიკენში. შეშინებულმა მეფემ ცხოველი *ჰერას* უძღვნა და ველზე გაუშვა. ჰერამ არ მიიღო ეს საბოძვარი. ატიკურ გადმოცემათა თანახმად, მძვინვარე ხარი ჯერ სპარტისაკენ წარიმართა, ხოლო შემდეგ არკადიისა და ისთმოსის გაველით მიაშურა მარათონის ველს, სადაც იგი საბერძნეთის კიდევ ერთმა დიდმა გმირმა, *თესევსმა*, შეიპყრო და ქალღმერთ *ათენას* შესწირა მსხვერპლად.

**მარდუქი** – ბაბილ. ამარ-უთუ „მზის ხბო", ბაბილონის იმპერიის მთავარი ღმერთი, თავდაპირველად ქ. *ბაბილონის* მფარველი ღვთაება. ამ ქალაქის აღზევების კვალზე აღზევდება მარდუქიც და ბოლოს იქცევა საიმპერიო ღვთაებად და კოსმეტორად შესაქმის მითოსში, სადაც იგი, როგორც ჩანს, *ენლილის* ადგილს იჭერს.

ბაბილონური კოსმოგონიის მიხედვით, მარდუქი იბადება *აპსუს* წიაღში *ეას* მიერ. იგი შობითგანვე ატარებს კოსმოსის ნიშნებს – მისი ოთხი თვალი და ოთხი ყური წინასწარ მიგვანიშნებს მის მიერ შექმნილი სამყაროს ოთხ მხარეზე. იგი იბადება როგორც მზე. მის შობას ღმერთები ეგებებიან ჰიმნით: „ძეო მზისავ, მზეო ცისავ!" იგი შემოსილია ღვთაებრივი ბრწყინვალებით – *მელამით* და ათი ღმერთის ძლიერებით. წინა თაობის ღმერთებმა თეოგონის უკანასკნელ ნაშიერს მისცეს ბელადობა, აკურთხეს მეფედ და მიანიჭეს სიტყვის მაგიური ძალა, როგორც *თიამათის* ერთადერთ დამამარცხებელს და მამების მხსნელს ზღვის ურჩხულის მუქარისაგან.

მარდუქი არის სამყაროს შემქმნელი, *დემიურგი*, ერთ-ერთი უპირველესი გველეშაპთან მებრძოლ გმირთა და ღვთაებათა შორის. ამ ორთაბრძოლაში გამოკვეთილია კოსმოგონიური მომენტი. მარდუქი ამარცხებს თიამათს – როგორც ურჩხულს და ამ დამარცხებით ქმნის კოსმოსს, ათავისუფლებს რა კოსმიური ტენდენციის ძალებს.

მარდუქის, როგორც ღმერთების მეფისა და სამყაროს ბატონის, ატრიბუტებია კვერთხი, ტახტი და სამეფო ნიშანი – ფალა. მარდუქი ის ღმერთია, რომელიც ბაბილონის მე-

ფეებს აძლევს კვერთხსა და ტახტს. იგია ომში გამმარჯვებელი. იგი ამავე დროს არის მწყალობელი ღმერთი, ,,საფლავად შთასულთა‘‘ ამომყვანი, ,,მკვდართა განმაცოცხლებელი‘‘, რადგან თავად იყო ვნებული, ქვესკნელს ჩასული (თიამათის წიაღში) და იქიდან ამოსული.

ერთ ბაბ. ეპოსში სამყაროს თუ ქვეყნის სიმშვიდე მაშინ არის შენარჩუნებული, როცა თავის ტახტზე მშვიდად და პატივით მჯდარ მარდუქს ,,ცისა და მიწის სადავეები‘‘ უპყრია ხელთ. როგორც კი იგი წამოდგება ტახტიდან, მოვა წარღვნა, გაწყდება ცისა და მიწის კავშირი, ***დურანქი*** და სამყარო ქაოტურ მდგომარეობას დაუბრუნდება.

მარდუქის ორმოცდაათი განმადიდებელი სახელი, რომლებიც გაბნეულია საკრალურ ლიტერატურაში, თავს იყრის ჰიმნში, რომლითაც თავდება კოსმოგონიური ეპოსი. ახალ ბაბ. ხანაში პანთეონის ღმერთები მარდუქის სხვადასხვა ასპექტებად არიან დასახულნი:

***ნერგალი*** არის ომის მარდუქი,

***ენლილი*** არის უზენაესობისა და გადაწყვეტილებათა მარდუქი,

***ნაბუ*** არის ბედისწერის მარდუქი,

***სინი*** არის ღამის განმანათებელი მარდუქი,

***შამაში*** არის სამართლის მარდუქი,

***ადადი*** არის მაწვიმებელი მარდუქი და სხვ.

მარდუქის ახალბაბილონურ კულტში ჩანს მონოთეისტური მიდრეკილებები. მისი ღვთაებრივი ცალია ქალღმერთი ცარფანითუ (,,ვერცხლოვანი‘‘).

**მართია და მართიანაგი** – ირან. კაცობრიობის პირველი წყვილი – მამაკაცი და დედაკაცი. ისინი წარმოიშვნენ პირველკაცის, ***გაიომართის***, მიწაზე დაღვრილი თესლიდან, პირველკაცის სიკვდილიდან ორმოცი წლის შემდეგ. ისინი ამოიზარდნენ მიწის წიაღიდან როგორც ორი მცენარე, მერე მათ ადამიანის სახე მიიღეს და ***აჰურა მაზდამ*** ასე მიმართა მათ: ,,თქვენ ამიერიდან კაცებრივი არსებები ხართ, ქვეყნიერების მამა და დედა. სიმართლითა და გონიერებით აღასრულეთ თქვენი საქმენი, იფიქრეთ კეთილად, ილაპარაკეთ კეთილად, მოიქეცით და აკეთეთ საქმე კეთილად. დევებს ნუ სცემთ თაყვანს, ნუ დაჰყვებით მათ ნებას‘‘. პირველ ხანებში ისინი აჰურა მაზდას ნებაზე იქცეოდნენ, მას სცემდნენ თაყვანს და მის აღთქმებს ასრულებდნენ. ამიტომაც მათი ცხოვრება უზრუნველი იყო, არავითარი უბედურება არ ემუქრებოდათ. მაგრამ თანდათანობით მიეჩვივნენ უზრუნველ და უსაფრთხო ცხოვრებას, იფიქრეს ასე გაგრძელდებოდა სამარადისოდ და დაივიწყეს აჰურა მაზდას შეგონებანი, და აი, მაშინ დასადგურდა მათში ბოროტება; მათი თანდათანობითი დაცემა და გადაგვარება გამოხატულია საკვების შეცვლით: ისინი ჯერ წყლით იკვებებოდნენ, მერე – რძით, მერე – მცენარეულობით, მერე ხორცის ჭამა დაიწყეს. თქვეს ერთხელ: წყალი, სინათლე და მცენარეულობა ***ანგჰრო მაინიუმ*** შეგვიქმნაო. წარმოთქვეს თუ არა ეს სიცრუე, მათ სულებს ანგჰრო მაინიუ დაეუფლა. ამასთანავე გაძლიერდა დევების ძალა და ისინი უკვე მათგან თაყვანისცემას მოითხოვდნენ. და მათ სცეს დევებს თაყვანი. ანგჰრო მაინიუმ წაართვა მათ გამრავლების ძალა, რომ ადამიანები არ გაჩენილიყვნენ, ქვეყანას არ მოვლენოდნენ ადამიანთა მართალი სულები, რომლებიც აჰურა მაზდამ შექმნა. თუმცა მხოლოდ ორმოცდაათი წლით შეძლეს ეს.



*ოთხსახიანი მარდუქი. ბრინჯაო (დაახ. ძვ.წ. 1700 წ.), ჩიკაგოს აღმოსავლური ინსტიტუტი.*



*მართია და მართიანაგი. მინიატურა (1307 წ.). ედინბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.*

ორმოცდაათი წლის შემდეგ მართიამ და მართიანაგმა დაბადეს ბიჭი და გოგო, რომლებიც შეჭამეს. ეს რომ არ განმეორებულიყო აჰურა მაზდამ მათ მშობლიური სიყვარული ჩაუნერგა და შემდგომი შვიდი წყვილი, რომლებიც მათ დაბადეს, ოთხი რასისა და თხუთმეტი ხალხის წინაპარი გახდა. სიკვდილის შემდეგ მართია და მართიანაგი ბოროტმა სულმა ქვესკნელში წაიყვანა და დღემდე წყვდიადში მყოფნი განკითხვის დღეს ელოდებიან.

**მართუ** – დასავლეთ სემიტური ტომის (ამორეველთა) პატრონი ღვთაება, ანუ მისი ღვთაებრივი წინაპარი; მონაწილეობს ერთ შუმ. მითოსში, სადაც იგი შუმერული ქალაქის, ქაზალუს, პატრონ ღვთაებას სთხოვს ქალიშვილის ხელს. ნუმუშდა თანახმაა გააყოლოს მართუს თავისი ქალიშვილი, ოღონდ მან რაღაც დავალება უნდა შეუსრულოს (შდრ. ძნელი დავალების მოტივი ზღაპრებში). ამ ამბავში ჩაერევიან ქალიშვილის მეგობარი ქალები და ცდილობენ ამ ქორწინების ჩაშლას იმ საბაბით, რომ მართუ ველური და გაუთლელი კაცია. აი, როგორ ახასიათებენ ქალიშვილები მართუს: „კარვებში ცხოვრობს, რომლებსაც ეხლება ქარი და წვიმა, ჭამს უმ ხორცს, საცხოვრებელი სახლი არა აქვს, არ მარხავს მკვდრებს...“ მიუხედავად ამისა, როგორც ქალის მამა, ისე ასული თანახმა ხდებიან დაუნათესავდნენ მართუს და მიიღონ ველური კაცი თავიანთ წრეში, რათა აზიარონ კულტურას და კაცობრიულ ცხოვრებას (*ენქიდუს* თავგადასავლის ვარიანტი).

არსებობს შუმერული ანდაზა, რომელიც ამგვარად ახასიათებს მართუს: „თაფლივით ტკბილია ეს ხორბლის კვერძი, მაგრამ მართუმ არ იცის, რას ჭამს". სხვა ტექსტში ნათქვამია: „მართუმ არ იცის, რა არის ხორბალი".

**მარიკა** – რომ. *ნიმფა*, *ლატინუსის* დედა.

**მარპესა** – ბერძ. ევენოსის (*არესის* ძის) ასული.

მშვენიერებით მბრწყინავი მარპესა დიდი ღვთაების, *აპოლონის*, რჩეული იყო. იგი უყვარდა იდასსაც, აფარევსის ძეს, რომელსაც *პოსეიდონმა* დიდებული ეტლი აჩუქა. სწორედ ამ ეტლით მოიტაცა იდასმა მარპესა. მამამ ვერ შეძლო დასწეოდა გაქცეულებს და სასოწარკვეთილმა მდინარეში დაიხრჩო თავი. მას შემდეგ ამ მდინარეს ევენოსი ეწოდა. სამაგიეროდ აპოლონმა შეიპყრო იდასი, რომელმაც ღვთაებასთან შებმა გაბედა. მათი გაშველება *ზევსმა* ითავა. მან შესთავაზა მარპესას, თავად აერჩია ქმარი. მარპესამ შეშინებულმა იმით, რომ მას, ხანში შესულს, მიატოვებდა უკვდავი ღმერთი, აირჩია იდასი. მათი შვილი იყო კლეოპატრა, *მელეაგროსის* მეუღლე.



*მარპესა და ევენოსი. ლარნაკის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 490 წ.). მიუნხენი. ანტიკური ხელოვნების მუზეუმი.*

**მარსი** – რომ. ომის ღმერთი. მოგვიანებით მისი სახელი დაუკავშირეს ომის ძველბერძნულ ღვთაება *არესს*.

მარსს მოიხსენიებენ რომის უმთავრეს ღმერთთა შორის. მას ეძღვნებოდა რომაული წლის პირველი თვე–მარტი. თავდაპირველად მარსს სხვადასხვა ფუნქცია ენიჭებოდა: იგი ითვლებოდა ნაყოფიერების ღვთაებად, ველური ბუნების ღმერთად, რომის მფარველად და მამამთავრად, რადგანაც *რეა სილვიამ* სწორედ მარსისგან შვა *რომულუსი* და *რემუსი*.

რომში იყო ადგილი, სადაც მეომართა აღლუმი იმართებოდა. ამ ადგილს მარსის ველი (Campus Martius) ეწოდებოდა. აქვე მდებარეობდა მარსის სახელზე აგებული ტაძარი. მარსის კულტს განაგებდა კოლეგია ქურუმებისა, რომლებსაც მალიებად უხმობდნენ.

მარსის უმთავრეს სიწმინდედ მიიჩნევდნენ ფარსა და მახვილს, რომელნიც, რომაელთა რწმენით, ზეციდან ჩამოეარდნენ დედამიწაზე. ეს ფარი, *ანკილე*, რომის უძლეველობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. მარსის სახელი ეწოდა იმ პლანეტას, რომლის მოწითალო ფერიც სისხლის ფერს მოჰგავდა. მარსის წმინდა ცხოველებად ასახელებენ მგელს, ცხენსა და ხარს.

თანამედროვე მეტყველებაში ზოგჯერ ირონიული ელფერით ახსენებენ ხოლმე მარსს („მარსის ქურუმები", „მარსის მსახურნი"). გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი „მარსის საქმე" ომს გულისხმობს. ხელოვნებაში მარსის სახე ბერძნული მითოსიდან არის ნასესხები (აღსანიშნავია ტორვალდსენისა და კანოვას ქანდაკებები; ბოტიჩელის, ტინტორეტოს, რუბენსის, ველასკესის, ვერონეზეს, პუსენისა და სხვათა ტილოები).

**მარსიასი** – ბერძ. ფრიგიული *სილენოსი*, *დიონისეს* თანამგზავრი; მისივე სახელით წოდებული მდინარის ღვთაება.

ერთხელ *ათენამ* ჯადოსნური ფლეიტა გააკეთა ირმის ძვლისაგან. პირველად ამ ფლეიტაზე *ოლიმპოსზე* გამართული ნადიმისას დაუკრა. მის დანახვაზე *ჰერასა* და *აფროდიტეს* უნებურად გაეცინათ. მიხვდა ათენა, რომ დასცინოდნენ და ტყეს მიაშურა. ერთხანს წყაროსთან იჯდა მოწყენილი. მერე დაკვრა დაიწყო, თავის ანარეკლს მოჰკრა თვალი წყლის ზედაპირზე და უმალ მიხვდა ქალღმერთების სიცილის მიზეზს: მეტისმეტად ებერებოდა ლოყები. შეიძულა ათენამ თავისი ნახელავი, შორს მოისროლა და ბრძანა, დასჯილიყო, ვინც გაბედავდა ფლეიტის დაკვრას.

ფრიგიელმა სილენოსმა, მარსიასმა, იპოვა იგი და ფრთხილად შეახო ხელი ჯადოსნურ საკრავს. მალე გაიწაფა დაკვრაში და მალევე მოხიბლა მსმენელი.



*მარსი და ვენუსი. პომპეის ფრესკა (I ს.). ნეაპოლი, ნაციონალური მუზეუმი.*



*მარსიასისა და აპოლონის შეჯიბრი. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 410 წ.). რუვო.*

მთელ ფრიგიაში გაითქვა მარსიასმა სახელი. უქებდნენ სელოვნებას, არწმუნებდნენ, რომ თვით ***აპოლონს*** აჯობებდა დაკვრაში. შეიფერა სილენოსმა ქება და შეჯიბრში გამოიწვია მუსიკის მფარველი ღმერთი.

მსმენელს გრძელ, მდიდრულ სამოსში გამოწყობილი, დაფნის გვირგვინით დამშვენებული წარუდგა აპოლონი. დიდებულად გამოიყურებოდა ღმერთი. განიერ მხრებზე ლამაზად ეფინა ოქროსფერი თმები, ხოლო ხელში ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს კითარა ეკავა.

დათქვეს: გამარჯვებული დასჯიდა დამარცხებულს.

შეჯიბრი დაიწყო. ერთხანს მარსიასი უკრავდა, შემდეგ აპოლონმა ჩამოჰკრა კითარას ხელი. რა თქმა უნდა დამარცხდა სილენოსი. იგი სასტიკად დასაჯა ღმერთმა: ბრძანა, ხელებით დაეკიდათ თავხედი მოკვდავი და მისთვის ცოცხლად გაეძროთ ტყავი.

აპოლონს ნება აღუსრულეს. ამაოდ ყვიროდა მარსიასი: „გაეკადნიერდი, დავაშავე, მომიტევეთ, ნუ გამატყავებთ! არა აქვს ამ საკრავს ჩემი წამების ფასი!" მაგრამ აპოლონმა ყურად არ იღო მისი ვედრება.

ცხარე ცრემლებით დაიტირეს ტყის ***ნიმფებმა*** და ***სატირებმა*** მარსიასი. მისი ტყავი ფრიგიაში, კილენეს მღვიმეში დაკიდეს. ასე ამბობენ, როდესაც ფლეიტის ხმა შეაღწევს ამ მღვიმეში, ტყავი ისე ირხევა, თითქოს ცეკვავს, კითარის ხმის გაგონებაზე კი ადგილიდან არ იძვრისო. იმასაც ამბობენ, თითქოს მარსიასისგან ჩამონადენი სისხლი იქცა მდინარედ, რომელსაც მისი სახელი ეწოდა.

მითოსის სხვა ვერსიის თანახმად, აპოლონის და მარსიასის მუსიური შეჯიბრის მსაჯულად მოიწვიეს მეფე ***მიდასი***, რომელმაც გამარჯვება მარსიასს არგუნა. აპოლონმა მაინც დასაჯა კადნიერი მოკვდავი, ხოლო მიდასს ვირის ყურები გამოაბა.

აპოლონისა და მარსიასის აგონის მითოსი ძველი სამყაროს მხატვართა უსაყვარლეს სიუჟეტად იქცა. მრავალრიცხოვან ქმნილებათაგან აღსანიშნავია მირონის ქანდაკება „მარსიასი, რომელიც იღებს ფლეიტას". მოგვიანებით ამ თემაზე დიდებული ტილოები შექმნეს რაფაელმა, ვერონეზემ და სხვებმა.

**მარუთები** – ინდ. ქარიშხლის ღმერთები. ისინი ამგვარად წარმოიშვნენ: ერთ დროს ხარადქცეული ***რუდრა*** ჭრელი ძროხის სახით გამოცხადებულ დედამიწას შეეუღლა და ამ შეუღლებისგან იშვნენ მარუთები, ძლევამოსილი მეომრები. მარუთები ***ინდრას*** სამსახურში ჩადგნენ და მასთან ერთად ლაშქრობდნენ ***ასურებისა*** და ურჩხულების წინააღმდეგ. ოქროს აბჯარი და მუზარადი ეცვათ, ხელში ცეცხლოვანი ელვები ეპყრათ და დააგრიალებდნენ ცის კაბადონზე თვალისმომჭრელ ეტლებს, რომლებშიც ხატულა ირმები იყვნენ შებმული.

**მარქანდეია** – ინდ. ერთ-ერთი ბრძენთაგანი, უდიდესი ***რიში ანგირასების*** მოდგმისა, რომელიც უკვდავების ღირსი შეიქნა. მისი პირით ემცნო ადამიანთა თაობებს წარღვნის ამბავი, რომელსაც „თევზის თქმულებას" უწოდებენ. იგი მრავალი ათასი წელი მოგზაურობდა დედამიწაზე, მოიხილა მრავალი წმიდა ადგილი და გაიცნო მრავალი განდეგილი, ბევრი ქვეყანა და ქალაქი მოიარა. მრავალი ათასი წლის განმავლობაში თავადაც განდეგილობდა, მჭვრეტელობაში ატარებდა დროს, მსხვერპლს სწირავდა ღმერთებს, თრგუნავდა ხორცს სულის ასაღორძინებლად. ყველაფერ ამის სანაცვლოდ მან სამყაროს შექმნის საიდუმლოს შეცნობა მოინდომა. ისურვა თუ არა ეს, ანაზდეულად ამ სამყაროს მიღმა აღმოჩნდა. ირგვლივ წყვდიადი და უკიდეგანო წყლები იყო. მარქანდეიას გადარჩენის ყოველი იმედი წარეხოცა. არც მზე, არც მთვარე, არც ვარსკვლავები! მიწის ერთი ნაგლეჯისთვის მაინც მოეკრა თვალი! გავიდა ხანი და მარქანდეიამ კაცის მსგავსი არსება დაინახა, რომელიც წყალზე იწვა და მშვიდად ეძინა.

მისი უზარმაზარი ტანი საკუთარი ნათელით ბრწყინავდა და კუნაპეტ წყვდიადს ანათებდა. ახლა კი იცნო მარქანდეიამ დიდი ***ვიშნუ*** და სიხარულით გასწია მისკენ.

მიუახლოვდა თუ არა მას მარქანდეია, ვიშნუმ პირი გააღო და ჰაერთან ერთად მარქანდეიაც ჩაისუნთქა. მარქანდეია კვლავ ხილულ სამყაროში აღმოჩნდა: კვლავ იხილა მთები, ტყეები და მდინარეები, ქალაქები და სოფლები. იფიქრა, რაც ამის წინ ენახა, სიზმარი იყოო. და კვლავ განაგრძო ხეტიალი ბრძენთაბრძენმა, მოიარა ქალაქები და წმიდა ადგილები; კიდევ ათასობით წლები იარა, მოიარა მთელი სამყარო, მაგრამ მის კიდემდე ვერ მიაღწია. და ერთხელ კიდევ ესიზმრა მას უცნაური სიზმარი: დგას უკაცრიელ ადგილას, მაღლა ბნელი ცა იყო, ქვემოთ უკიდეგანო წყლები. გამოხდა ხანი და მარქანდეიამ პატარა ბავშვი დაინახა, ბანანის რტოზე იწვა და მშვიდად ეძინა. თვალის მომჭრელად ანათებდა მისი სხეული და მარქანდეიამ ვერ გაუძლო მის ჭვრეტას, ხელები აიფარა თვალებზე. მარქნდეიას ეცნო ეს ბავშვი, გაახსენდა, სადღაც მინახავსო და გაუ-

შურა მისკენ. ამ დროს მოესმა ხმა: „ნუ გეშინია, მარქანდეია, ჩემო ბიჭუნა! მომიახლოვდი". ბრაზმორეულმა ბრძენთაბრძენმა ვერ მოითმინა და შესძახა: „ვინა ხარ, ასე უპატიოდ რომ მიმართავ მრავალათასწლოვან მოხუცებულს, მძიმე აღთქმებში რომ გაატარა ცხოვრება? ბრაჰმაც კი მომაგებს პატივს და დღეგრძელად მიხსენიებს". ბავშვმა მხოლოდ გაიღიმა და უთხრა: „შვილო ჩემო, მე ვარ ძველთუძველესი *პურუშა*, შენი წინაპარი. მე ვარ ვიშნუ; მე ვარ, ვისაც ეკუთვნის ეს სამყარო, ვინც გააჩინა იგი, ვის წიაღშიც არის იგი მოქცეული. ბევრჯერ ჩამოვსულვარ მე მიწაზე სხვადასხვა სახით ბოროტებისგან მის გადასარჩენად. მე ვიყავი ის დიდი თევზი, რომელმაც *მანუს* კიდობანი უვნებლად გამოატარა წარღვნის წყლებში; მე ვიყავი ის კუ, რომელმაც ღმერთებს უკვდავების სასმელი *ამრიტა* მოუპოვა... ყველაფერი, რაც ამ სამყაროშია – მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ზღვა და ხმელეთი, მთა და ბარი ჩემი გამოვლინებებია. მე ვქმნი როგორც *ბრაჰმა*, ვინახავ როგორც ვიშნუ, ვანადგურებ როგორც *შივა*. შენ ამყობ, მარქანდეია, შენი მრავალ ათასი წლით, მაგრამ, იცოდე, რომ ბრაჰმას ერთი დღე თორმეტი ათას წელს ითვლის...ბრაჰმას ერთ დღეს გრძელდება სამყაროს ცხოვრება. გაივლის ეს წლები და დაიძინებს ბრაჰმა, ჩამოწვება ბრაჰმას ღამე, უჩინარდება მთელი სამყარო, რათა ბრაჰმას გამოღვიძებისთანავე დადგება ახალი დღე – ბრაჰმა ახალ სამყაროს ქმნის. ასეა, ჩემო მარქანდეია, ნამდვილად ბავშვო, არაერთგზის გაუჩინარებულა სამყარო და კვლავ წარმოქმნილა ბრაჰმას ძილიდან და ასე გაგრძელდება უკუნისამდე... და ეს ყველაფერი ჩემშია, მარქანდეია". ეს უთხრა და კვლავ ჩაყლაპა ვიშნუმ მარქანდეია. და კვლავ ნაცნობ სამყაროში აღმოჩნდა იგი. ახლა მან აღარ იცოდა, რომელი იყო სიზმარი და რომელი – ცხადი. მე ვარ ვიშნუს სიზმარში ამ სამყაროსთან ერთად თუ ჩემი სიზმარი იყო ის წყვდიადი. ასეთ საგონებელში იყო ბრძენთაბრძენი მარქანდეია.

**მატრონალიები** – რომ. ზეიმი, რომელიც ეწყობოდა რომში *იუნოს* პატივსადებად (1 მარტს). ზეიმს განაგებდნენ რომაელი მატრონები.

**მატუტა** – რომ. ძველიტალიური ღვთაება, ახალშობილთა მფარველი (Mater Matuta).

რომში მატუტას პატივსადებად ივნისის თვეში იმართებოდა ზეიმი სახელწოდებით „მატრალია" (მატრალიები). მის მონაწილე ქალებს ხელში ეკავათ დისშვილები. მონებს მატრალიებზე არ უშვებდნენ. როგორც ჩანს, მატუტას კულტი აღმოცენდა ჯგუფური ქორწინების ხანაში, როდესაც ოჯახში ერთად ზრდიდნენ ბავშვებს. მოგვიანებით მატუტას დაუკავშირეს *ინო*–ლევკოთეა, ალბათ იმიტომ, რომ მან აღზარდა თავისი დის, *სემელეს*, შვილი *დიონისე*.

**მაშუ** – შუამდ. „მარჩბივი", წყვილი მთა, რომლებიც დგანან ერთმანეთის პირისპირ. მათ შორის გაივლის მზის ღმერთი ამოსვლისას და ჩასვლისას. მაშუს მთებს დარაჯობენ მორიელ-ადამიანები, მდედრი და მამრი, რომელთა საშინელი ელვარება ზარსა სცემს არემარეს. ისინი აღებენ და კეტავენ მაშუს მთებს შუა გასასვლელ ჭიშკარს. ხორციელი თვალს ვერ უსწორებს მათ ბრწყინვალებას. მხოლოდ ერთადერთმა *გილგამეშმა* შეძლო მათთან ახლოს მისულიყო და შამაშის კვალს გაჰყოლოდა დასავლეთისკენ.

**მახა-იუგა** – „დიდი იუგა" იხ. *იუგა*.

**მე** – შუმ. „არსობა", ამ ტერმინით არის ცნობილი სამყაროში ყოველი ნივთის, ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი მოვლენის, ყოფითი თუ რელიგიური ცხოვრების წარმმართველი იმპულსების თუ ადამიანის ფსიქიკურ-მორალური თვისებების, გონებრივი უნარების, პროფესიების, ადამიანური მოღვაწეობის სფეროების, კულტურულ ფასეულობათა მოდელები, წინასახეობრივი (არქეტიპული) „იდეები", რომლებიც ოკეანის სიღრმეშია დაცული, მათ სიბრძნის ღმერთი *ენქი* განაგებს და ანაწილებს. მეები მთელი სამყაროს – ღმერთების საზოგადოებისა და ადამიანური კულტურისა და ცივილიზციის საფუძველში ძევს, მეებია, რომლებიც ქაოსს კოსმოსად აქცევენ, ველურ სიცოცხლეს ადამიანურ ცხოვრებად გარდაქმნიან. ყოველ ღმერთს, ყოველ საზოგადოებას, ყოველ ქალაქს თავისი მე აქვს. ცნობილია *ინანას* აუცილებელი შვიდი *მე*, რითაც დატვირთულია იგი – ისინი მისი ბუნების გამომხატველია. მეებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ღმერთები, ადამიანები, მეფეები, ქალაქები, ტაძრები, დინასტიები და სხვა. მაგრამ არის ყველასათვის საერთო *მეთა* ერთობლიობა, როგორც ყოველი საგნისა, მოვლენისა თუ ღვთიური თუ საზოგადოებრივი დაწესებულების წინასახე (არქეტიპი). თუმცა *მეები* მიღმურ სამყაროში არსებობენ (ადამიანურ სინამდვილეში თითოეული მათგანის კერძო გამოხატულებაა), მაგრამ ისინი ნივთობრივად არიან წარმოდგენილნი. მე შეიძლება იყოს „დიდი", „ვრცელი", „ბრწყინვალე", „სრულქმნილი", „მშვენიერი" და სხვა. ფიზიკურ, ადამიანურ სინამდვილეში მე შეიძლება შეიცვალოს, დაემხოს, განადგურდეს, დაკნინდეს და ა.შ. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ მის გამოხატულებებს და არა მის არსს, არსებას, რომელიც უცვალებელია. *მე* არის მარადიული ძალა, რომელიც საგანს, ნივთს, მოვლენას აქცევს იმად, რაც არის. ყველაფერი მეს ძალით მყოფობს, როგორც იგივეობრივი თავის თავთან. ამ *მეთა* შორის უმნიშვნელოვანესია: მეფობა (*ნამლუგალ*), მწყემსობა (ნამშიპა), კვერთხი, სამეფო ტახტი, ქურუმობა, საშხვერპლო ცეცხლი, საკრალური ქორწინების რიტუალი (*ჰიეროგამია*), უფროსუმცროსობა, სიყვარული, მეგობრობა და მტრობა მასთან ერთად, სიკეთე, ტანჯული გული, წრფელი ენა, ცოლ-ქმრული ურთიერთობა, სიხარული, გოდება, ქალაქთა შენება და ქალაქთა დაქცევა მასთან ერთად, სიბრძნე, გამარჯვების ყიჟინა, გმირობა, მხნეობა და შიში მასთან ერთად, ჭეშმარიტება და სიცრუე მასთან ერთად, კალატოზობა, მჭედლობა, მწერლობა, მუსიკა და მუსიკალური ინსტრუმენტები... ანუ ყველაფერი, რაც ხდება ადამიანთა შორის, რასაც მოიმოქმედებს და გააკეთებს იგი. როგორც დავინახეთ, მათ შორის უარყოფითი მოვლენებიც არის. ასეც უნდა იყოს, რადგან ასეთია ცხოვრება. *მეთა* ერთობლიობა ასახავს მთელს სინამდვილეს თავისი დადებით-უარყოფითი მხარეებით.

შუმერულ ენაზე შემონახულია ქალაქ *ურუქის* ცივილიზაციის დაფუძნების მითოსი, სადაც ასამდე *მეა* ჩამოთვლილი. *მეები*, რომლებიც ინანამ თავისი ქალაქისთვის *ერიდუდან*, ცივილიზაციის უძველესი ცენტრიდან მოიტანა. ისინი ენქის, ოკეანისა და სიბრძნის ღმერთის საბრძანებელში ინახებოდა. *მეთა* მოპოვების ამბავი ასეა მოთხრობილი: თავის საპატრონებელ ქალაქზე დღენიადაგ მზრუნველი ინანა ნავით მიემართება ერიდუსკენ, რათა ენქის როგორმე გამოსტყუოს ქალაქისთვის ესოდენ აუცილებელი *მეები*. ამისათვის იგი საგანგებოდ გამოეწყობა, მოიკაზმება, პირისახეს გაიმშვენიერებს ენქის მოსახიბლად. ენქი მართლაც მოიხიბლება უცხო ასულით, რომელშიც იგი ვერ გამოიცნობს ინანას, შორიდან მოკრავს მას თვალს და უბრძანებს თავის მაცნეს ისიმუდს, გაშალოს სუფრა სხვადასხვა ნუგბარის სასმელ-საჭმელით და მოიპატიჟოს მშვენიერი ქალწული. მიუსხდნენ სუფრას, სტუმარმა მიირთვა სხვადასხვა კერძები, ტკბილეულობა, მაგრამ სასმელებს – ღვინოს და ლუდს არ მიეკარებია. ენქი, მასპინძელი კი, თასს თასზე სცლიდა და, როცა შეთვრა, როგორც ხდება, აღუთქვა ინანას, რომ მას ყოველ თხოვნას შეუსრულებდა. ინანას ერთადერთი სათხოვარი ჰქონდა – *მეები*. სასმელმოძალებულმა ენქიმ გაუღო საგანძურები და, როგორც კი ენქის ჩაეძინა, ინანამაც დაუყოვნებ-

ლივ ხომალდზე გადაზიდა სანუკვარი ტვირთი. გაცურეს, აყვნენ ევფრატის აღმა დინებას, ურუქისკენ აიღეს გეზი. ამასობაში გაეღვიძა ენქის, გამოფხიზლდა და, როცა ცარიელი საგანძური ნახა, მოიხმო ისიმუდი, რომელმა მოახსენა მისი წუხანდელი გულუხვობის ამბავი. მეტი რა გზა იყო, უნდა დადევნებოდნენ ინანას და წაერთმიათ მისთვის ხომალდი, უკან დაებრუნებინათ *მეები*. ინანა კი ფეხით წასულიყო ურუქს. დაედევნა ისიმუდი, მაგრამ ამაოდ. შორს გაეცურა ინანას ხომალდს. დაბრუნდა უკან და ენქის რისხვა დაიმსახურა. ახლა შვიდი ზღვაური გველეშაპი გააყოლა. და დაეწივნენ გველეშაპები ინანას ხომალდს. გასძახა ისიმუდმა ინანას: ქალწულო ინანა, ბრწყინვალე ქალბატონო! ენქი გთხოვს უკაბ დაუბრუნო განძი, ღვინით გაბრუებულმა რომ გისაჩუქრა. ინანამ მიუგო: როგორ? დიდი ღმერთი თავის სიტყვას შეცვლის? ფიცის გატეხა ეკადრება ღმერთს? ღმერთები მოწმენი არ არიან? მაშინ გველეშაპები ჩაეჭიდნენ ხომალდს. მაგრამ ინანამ შემწედ თავისი მსახური უშიშარი ნინშუ გამოიხმო, რომელმაც გაფანტა გველეშაპები, შვიდგზის რომ შეეცადნენ, ხომალდი გამოეტაცნათ ინანასგან. დაბრუნდა ისიმუდი ხელმოცარული. ახლა ორმოცდაათი ბუმბერაზი გააყოლა ენქიმ ისიმუდს და კვლავ დაედევნა ისიმუდი ინანას. დაეწივნენ და, ვიდრე ისიმუდი და ინანა ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, ბუმბერაზები ცდილობდნენ ხომალდის უკან მობრუნებას. მაგრამ ამჯერად ინანამ თავის ერთგულ მაცნეს *ნინშუბურს* მოუხმო და მანაც არ დააყოვნა, ელვის სისწრაფით ქალღმერთის ხომალდთან გაჩნდა. გაფანტა გველეშაპები და ხომალდმა ურუქისკენ განაგრძო სვლა. დაბრუნდა უკან ისიმუდი. ახლა ენქიმ დიდი თევზები გააყოლა, მაგრამ ამჯერადაც მოიგერია ინანამ თავდამსხმელები. ასე ძლევამოსილად შეაცურა ინანამ *მეებით* დატვირთული ხომალდი ურუქის უბეში. გადმოიღეს ტვირთი და ქალაქის კარიბჭესთან დაახვავეს მთელი მოსახლეობის თვალწინ. დაკლეს ურიცხვი ხარი და ცხვარი, ღვარივით მოედინებოდა ლუდი და ღვინო, მრავლად დაუღვარეს ქალღმერთსაც, აახმიანეს დაფდაფები და წინწილები; აღუვლინეს ქება-დიდება მფარველ ინანას, რომელმაც ასეთი ძვირფასი დოვლათით აავსო ქალაქი.

**მეგარა** – ბერძნ. თებეს მეფის, კრეონის, ქალიშვილი.

მეფე კრეონს ერთ-ერთი ბრძოლა მოაგებინა გმირმა *ჰერაკლემ*, რომელსაც, მადლიერების ნიშნად, თავისი ქალიშვილი შერთო ცოლად. მეგარას ჰერაკლესაგან სამი ვაჟი (ზოგი ვერსიით, რვა ვაჟი) შეეძინა. როდესაც *ჰერამ* გონება აურია ჰერაკლეს, გმირმა უმოწყალოდ ამოხოცა თავისი ცოლშვილი. ამ მითოსზეა შექმნილი ევრიპიდეს ტრაგედია სახელწოდებით „ჰერაკლე".

**მეგერა** – ბერძნ. *ერინიათაგან* ერთ-ერთი, რომელიც მრისხანებასა და შურისძიებას განასახიერებდა. მას წარმოსახავდნენ შემზარავ ბერიქალად, რომელსაც თავზე თმის ნაცვლად გველები ესხა, პირში ენა ჰქონდა გამოჩრილი, ხოლო ხელთ ჩირაღდანი და შოლტი ეპყრა.

**მედეა** – ბერძნ. ჯადოქარი, კოლხეთის მეფის, *აიეტის* ასული; *ჰელიოსის* შვილიშვილი.

მზე-ღმერთის, ჰელიოსის ძე აიეტი კოლხეთში რომ დასახლდა, თავდაპირველად ცოლად შეირთო კავკასიელი *ნიმფა* ასტეროდეა, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი *აფსირტოსი*. მეორე ცოლმა, ოკეანიდა იდიიამ, მას უშვა ორი ასული, *ქალკიოპე* და გრძნეული მედეა.

ბერძნულ მითოსში მედეა მაშინ გამოჩნდება, როდესაც *არგონავტები იასონის* წინამძღოლობით მიადგებიან *კოლხიდას* და მოითხოვენ *ოქროს საწმისს*. განრისხდება მეფე აიეტი და მოჩვენებითი სიმშვიდით განაცხადებს თანხმობას, თუ იასონი აღასრულებს მის დავალებას. ბერძენ გმირს უკან დასახევი გზა არ ექნება (იხ. *არგონავტები*).

არგონავტებს ღმერთები მფარველობდნენ. სასოწარკვეთილი იასონის გამხნევება მისივე მეგობარმა, არგოსმა, სცადა. ასე მიმართა: „დედაჩემს ვთხოვოთ, დაიყოლიოს თავისი და, მედეა, რამე იღონოს. მას ხომ გრძნეულმა *ჰეკატემ* სასწაულმოქმედი წამლების შეზავება ასწავლა". არგოსის სიტყვას ღმერთის ნიშანიც მოჰყვა: აფრენილ ქორს კლანჭებიდან დაუსხლტა მტრედი და იასონს ჩაუვარდა კალთაში. თავად ქორი კი ხომალდის კიჩოს დაასკდა. მისანმა *მოფსოსმა* არგონავტებს მოუწოდა, ტრფობის ქალღმერთი *აფროდიტე* ეხმოთ მფარველად. ასეც მოიქცნენ, ხოლო არგოსი დედა-ქალკიოპეს ეახლა და საშველად შეიპირა.

აფროდიტეს ცელქმა ბიჭუნამ, *ეროსმა*, სიყვარული შთაუნერგა მედეას. ვნებამორეული მეფის ასული დარდმა შეიპყრო. დას გაუმხილა გულისნადები. შეთანხმდნენ, უნდა დახმარებოდნენ იასონს. ჰეკატეს ტაძრისაკენ გაემართა მედეა და დათქმულ დროს ყუთიდან ამოიღო ჯადო-წამალი, რომელსაც საოცარი თვისება ჰქონდა: ვინც კი ამ წამლით დაიზელდა სხეულს, ვერას ავნებდა იარაღის თუ ცეცხლის ძალა. ეს ჯადო-წამალი მზადდებოდა იმ ბალახით, რომელიც კავკასიონზე მიჯაჭვული *პრომეთეს* სისხლის წვეთებიდან იყო აღმოცენებული.

მედეა და იასონი ჰეკატეს ტაძართან შეხვდნენ ერთმანეთს. მეფის ასული ვერ იოკებდა თავის გრძნობებს. მისმა სილამაზემ და კეთილგანწყობამ იასონიც მოაჯადოვა. ბერძენმა გმირმა აღუთქვა ქალწულს, რომ ცოლად შეირთავდა და სიკვდილამდე ეყვარებოდა. მედეამ ჯადო-წამალი მისცა იასონს და სათანადოდ დაარიგა.

ბერძენმა გმირმა შეუძლებელი რამ შეძლო – აღასრულა დავალება. გაოგნდა მეფე. პირი გატეხა და არგონავტების დაღუპვა განიზრახა. გრძნობდა, მედეამ უღალატა. შიშმა შეიპყრო მეფის ასული.

ახლა არგონავტებს მფარველად *ჰერა* მოევლინა. მან აიძულა მედეა, ეუწყებინა იასონისთვის მეფის განზრახვა. არგონავტები სასწრაფოდ უნდა გაცლოდნენ კოლხეთს. *ზევსის* სახელით დაიფიცა იასონმა, რომ მედეას კანონიერ ცოლად წარადგენდა ელადის მიწად. კოლხმა გრძნეულმა იასონთან ერთად *არესის* ჭალისაკენ ისწრაფა და ჰეკატეს ჯადოძალას ზიარებულმა მიაძინა მარადფხიზელი დარაჯი, შემზარავი დრაკონი. შეთქმულებს ისღა დარჩენოდათ, ჩამოეხსნათ ოქროს საწმისი და ესწრაფათ ხომალდისაკენ. ასეც მოიქცნენ. არგონავტებმა ახსნეს ღუზა და სწრაფი სვლით ჩამოიტოვეს კოლხთა მდიდრული სანაპირო.

კოლხეთის მეფემ მათ უამრავი ხომალდი დაადევნა თავისი ძის, აფსირტოსის მეთა-



*მედეა. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 400-390 წ.წ.) რუვო.*

ურობით. კოლხებმა შეძლეს დაწეოდნენ არგონავტებს და გადაეჭრათ ყველა დასაბრუნებელი გზა. აქაც მედეამ იხსნა ბერძნები: დაარწმუნა იასონი, კიდევ ერთხელ ჩაედინა ულირსი საქმე. მედეამ აფსირტოსს შეუთვალა, თითქოს არგონავტებმა მოიტაცეს და კუნძულ ბრიგეისზე (სადაც თავს აფარებდნენ გაქცეულები) **არტემისის** ტაძარში მიაგდეს. მედეა ითხოვდა ძმასთან პირისპირ შეხვედრას. დის უწყებით მოტყუებული აფსირტოსი მარტოდმარტო გაემართა არტემისის ტაძრისაკენ, სადაც იგი ვერაგულად განგმირა იასონმა (არსებობს სხვა ვერსიაც, იხ. აფსირტოსი). უმეთაუროდ დარჩენილ კოლხებს არგონავტებმა მუსრი გაავლეს და გზა განაგრძეს. ღმერთის უწყება ასეთი იყო: გმირები უნდა ხლებოდნენ აიეტის დას, გრძნეულ **კირკეს**, რომელიც **აიაიას** კუნძულზე სახლობდა, რათა დაღვრილი სისხლისაგან განწმენდილიყვნენ. არგონავტებმა მიაღწიეს აიაიას განთქმულ ნავსადგომს, სადაც კირკემ მიიღო იასონი და მედეა. მან, მართალია, შეიცნო, რომ მის წინ საზარელი მკვლელობის ჩამდენნი იდგნენ, მაგრამ მავედრებელთა მფარველი ზევსის ნებით მაინც აღასრულა განწმენდის რიტუალი. ხოლო მედეას ასეთი სიტყვით მიმართა: „დიდი ცოდვა გაწევს და ვერასოდეს გაექცევი აიეტის მძვინვარე რისხვას... თავიდან მომწყდი, ვეღარ მომილბობ გულს ვედრებით!"

ხანგრძლივი და ფათერაკებით სავსე გზის გავლის შემდეგ ხომალდმა „არგომ" მიაღწია მშობლიურ ნაპირს. უფრო ადრე კი თესალიაში ხმა დარხეულა, დაიღუპნენო არგონავტები. ამ უწყებით გამხნევებულმა მეფე **პელიასმა** მოკლა იასონის მცირეწლოვანი ძმა, ხოლო მშობლები აიძულა, თვითმკვლელობით დაესრულებინათ სიცოცხლე. არგონავტებმა განიზრახეს შურისძიება. მაგრამ მედეამ აღუთქვა მათ, რომ პელიასს თავისი გრძნეულებით გამოასალმებდა სიცოცხლეს და აი, რა მოიმოქმედა: არტემისის ქანდაკებაში თავისი ჯადო-წამლები ჩამალა, რათა მისთვის საკვირველმოქმედი ძალა მიენიჭებინა. თავად ბერიქალად გარდაიქცა და პელიასის სასახლეში შეაბიჯა. მან დაარწმუნა მეფე და მისი ქალიშვილები, რომ არტემისს განზრახული აქვს პელიასის გაახალგაზრდავება. მეფის ასულთა ეჭვის გასაფანტად მედეა გვერდით ოთახში გავიდა და სუფთა წყლით ჩამოირეცხა ის საცხებელი, სახე რომ ასე დაუნაოჭა. ყმაწვილქალად გარდასახული მედეას ხილვით აღფრთოვანდნენ პელიადები და მის ნებას დაჰყვნენ. შელამებისას, როდესაც პელიასმა დაიძინა, მედეამ ქალიშვილებს მოხუცი მეფის სხეულის ქვაბში მოხარშვა შესთავაზა. მათ დასარწმუნებლად ერთი ბებერი ცხვარი მოხარშა, შემდეგ კი რაღაც თვალთმაქცობით ქვაბიდან ბატკანი ამოიყვანა. ეჭვი გაუქრათ პელიადებს და მოხუცი მამა სიცოცხლეს გამოასალმეს. რა თქმა უნდა, მედეას აღარ გაუცოცხლებია პელიასი, მაგრამ იასონი ტახტზე მაინც ვერ აღზევდა. სამეფო სკიპტრა დაისაკუთრა პელიასის ძემ, ადრასტოსმა.



*მედეა. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 330-320 წ.წ.). მიუნხენი, ანტიკური კოლექციის სახელმწიფო მუზეუმი.*

იასონმა და მედეამ კორინთოს შეაფარეს თავი. მათ შეეძინათ სამი შვილი. ათი წელი ბედნიერად ცხოვრობდნენ. მაგრამ შემდეგ იასონმა ფიცი გატეხა: განიზრახა ცოლად შეერთო კორინთოს მეფის ასული კრეუსა. კორინთოს მეფე კრეონს კი გრძნეული ქალის შურისგების შიში დაეუფლა და ამიტომ მისი ქალაქიდან გაძევების ბრძანება გასცა. მძვინვარებდა კოლხი მედეა, მაგრამ რისხვა გულს ჩაიმარხა და საბრძოლველად მოემზადა: იასონს უხმო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მზად იყო, დაჰყოლოდა მის ნება-სურვილს. რადგან ტოვებდა შვილებს, საჭირო იყო კრეუსას კეთილგანწყობა. სწორედ ბავშვების ხელით გაუგზავნა მედეამ მას „სამეფო ძღვენი" – სასწაულმოქმედი შხამით გაჟღენთილი მოსასხამი. როდესაც კრეუსამ მოსასხამი მხრებზე მოისხა, უმალ აალდა. ხმაურზე ოთახში კრეონი შემოვარდა და პეპლოსის აგლეჯა სცადა, მაგრამ დამღუპველი ალი მასაც მოედო და შვილთან ერთად დაიფერფლა.

მედეას შურისგება ამით არ დამთავრებულა. მან საკუთარი ხელით მოკლა შვილები და ჰელიოსის ეტლით, რომელზეც დაასვენა ცხედრები, გაეცალა კორინთოს. იასონმა თავი მოიკლა.

ლტოლვილი კოლხი თებეს მიადგა, რათა *ჰერაკლესათვის* ეთხოვა თავშესაფარი. მაგრამ ჰერაკლე სიგიჟით შეპყრობილი დახვდა. ჰერას ნებით, გონგარდასულს ამოეხოცა ცოლ-



*მედეა. ამფორას ფერწერა (ძვ.წ. 330-320 წ.წ.). პარიზი. ლუვრი.*

შვილი. მედეამ განკურნა იგი, მაგრამ მასთან ალარ გაჩერებულა, რადგან ჰერაკლეს ცოდვათაგან განსაწმენდად წინ თორმეტი საგმირო საქმე ელოდა.

შემდეგ მედეა ეწვია ათენს, რომელსაც განაგებდა მეფე ***ეგევსი***. მეფემ მედეა ცოლად შეირთო. მათ შეეძინათ ვაჟი, მედოსი. როდესაც ათენში ჩამოეიდა ეგეესის ძე ***თესევსი***, მედეამ მისი თავიდან მოცილებაც განიზრახა. მაგრამ ჩაფიქრებული მზაკვრობა ვერ განახორციელა და თავის შეილთან ერთად აზიაში გადაიხვეწა. აქ შეიტყო, რომ აიეტი ძმას ჩამოეგდო ტახტიდან. მედოსმა აიეტს დაუბრუნა სამეფო სკიპტრა, შემდეგ დაიპყრო აზიის მრავალი ქვეყანა, მათ შორის ის მხარეც, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელის მიხედვით მიდია ეწოდა.

გარდაცვალების შემდეგ მედეა დაავანეს ,,ნეტართა კუნძულებზე'', სადაც მისი აჩრდილი ***აქილევსის*** აჩრდილს შეეუღლა.

ის, რომ მედეა ჰელიოსის ბადიში იყო და რომ ღვთაებრივ ძალას ფლობდა, მისი კულტის არსებობაზე მიგვეითითებს. მედეას მითოსის დრამატული სიუჟეტი ყველაზე მძაფრად წარმოადგინეს ჯერ ევრიპიდემ და სენეკამ ამავე სახელწოდების ტრაგედიებში, ხოლო შემდეგ სხვა დრამატურგებმა (დოლჩე. კორნელი, ფოსი, გლოვერი, ლოგნეპიერი, კლინგერი, გრილპარცერი, ანუი, ბრაუნი და სხვა). ბუნებრივია, მისი სახე უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართულ მწერლობაშიც (აკაკი წერეთელი, ლევან სანიკიძე, ოთარ ჭილაძე და სხვა).

**მედუზა** - (მედუსა) ბერძნ. ***გორგოთაგან*** ერთ-ერთი და.

ადრეული ხანის მითების თანახმად, იყო სამი და-ურჩხული. მათ გორგოები ერქვათ. ***ევრიალე*** და ***სთენო*** უკვდავნი იყვნენ, ხოლო მედუზა-მოკვდავი. შემზარავი გარეგნობა ჰქონდათ ამ დებს. მათ თავზე გველები იკლაკნებოდნენ, ხოლო დაღრეჭილი კბილებიდან ენები ჰქონდათ გამოჩრილი. გორგოთა ხილვისას ყველა მოკვდავი ქვად იქცეოდა.

როდესაც ***პერსევსი*** მეფე პოლიდექტესს გორგო-მედუზას თავს შეჰპირდა ძღვნად, ქალღმერთი ***ათენა*** მოევლინა შემწედ. არც მას უყვარდა ეს მედუზა და ამიტომ გმირს თავისი ფარი აჩუქა. სარკესავით ბზინავდა ფარი. სხვა ღმერთებისგანაც მიიღო პერსევსმა საჭირო აღსაჭურველი და გორგოთა სამყოფელს მიადგა. დებს ეძინათ. იცოდა გმირმა, რომ სახეში არ უნდა შეეხედა მედუზასათვის, თორემ იქვე გაქვავდებოდა. ამიტომ ათენას ნაბოძები ფარი იმგვარად მოიმარჯვა, რომ ზედ გორგო არეკლილიყო. გამოფხიზლება არ აცალა, ისე მოჰკვეთა პერსევსმა თავი მედუზას. ურჩხულის უთავო სხეულიდან ამოცვივდნენ ფრთოსანი ცხენი ***პეგასოსი*** და ბუმბერაზი ***ქრისაორი***.

მოგვიანებით მედუზას სახელი დაუკავშირდება ქალღმერთ ათენას. სწორედ მის ***ეგიდს*** დაამშვენებს პერსევსის მიერ მოკვეთილი მედუზას თავი.



*მედუზა. ამფორას ფერწერა (ძვ.წ. 490 წ.). მიუნხენი. ანტიკური კოლექციის სახელმწიფო მუზეუმი.*

ხელოვნებაში ხშირად წარმოსახავდნენ მედუზას გველებით დახუნძლული თავით, დაკრეჭილი კბილებიდან რომ ენა ჰქონდა გამოჩრილი. ასეთი გამოსახულებები ნაპოვნია იმ ფარებზე, რომელთაც ჰკიდებდნენ ნაგებობათა კარიბჭეებთან, როგორც უბედობათა განმარიდებელ თილისმებს.

**მელამი** – შუმ. შემზარავი და მომაკვდინებელი შუქი (ნათება), რომლითაც შემოსილი არიან ღმერთები, ღვთაებრივი საგნები და მოვლენები, ღმერთებთან წილნაყარი ადამიანები (კერძოდ, გაღმერთებული მეფეები). მელამი თავის გარშემო ქმნის გადაულახავ ზღვარს ღვთიურ და ადამიანურ სფეროებს შორის, რომლის დაძლევა ადამიანებს მხოლოდ ღმერთების დახმარებით ძალუძთ. მელამის გამოხატულება უნდა იყოს რქიანი ტიარა, რომელსაც ატარებენ შუამდინარულ ბარელიეფებზე გამოსახული ღმერთები (ეს არის ე. წ. „მეუფების მელამი“); მასშია დაუნჯებული მთელი მათი ძალა. მელამის წართმევით ღვთაება კარგავს ღვთიურობას, რადგან მელამია ის ძალა, რაც ღმერთს ღმერთად აქცევს (მაგ., ***აბზუს*** დამარცხების შემდეგ ***ენქიმ*** მას „გვირგვინი მოჰხადა, წაართვა მელამი და თავად დაიხურა...“). მელამი გაუქრობელია; შუამდინარული რელიგიური თვალსაზრისით, ყველა და ყველაფერი გაქრობადია, ღვთაებაც შეიძლება მოკვდეს, მაგრამ არ ისპობა მისი მელამი, იგი გადაეცემა სხვა არსებას ან ბუნების მოვლენაში დაიბუდებს (მაგ., ***ხუმბაბას*** შვიდი მელამი მისი სიკვდილის შემდეგ შვიდ არსებას გაუნაწილდა).

**მელამპუსი** – ბერძნ. ლეგენდარული მისანი და მკურნალი, რომელსაც მიეწერება ***დიონისეს*** კულტის დამკვიდრება საბერძნეთში.

მითოსი გვამცნობს, რომ ახალშობილი მელამპუსი დედას მზეზე დაუტოვებია. ბავშვს მხოლოდ ფეხები გაშავებია და ამიტომაც შეურქმევიათ მისთვის „შავფეხა“ (მელამპუს). სოფელში, სადაც მელამპუსი იზრდებოდა, ძველთაძველი მუხა ხარობდა, რომლის ფუღუროშიც გველები ბუდობდნენ. მსახურებმა ამოხოცეს ეს გველები. მელამპუსმა ისინი წესისამებრ დაწვა, მათი წიწილები კი გამოზარდა. ერთხელ ეს გველები მძინარე მელამპუსის მხარზე ასრიალდნენ და ენით ყურები გამოულოკეს. ამის შემდეგ მელამპუსს ფრინველთა და ცხოველთა ენაც ესმოდა და მომავლის წინასწარმეტყველებაც შეეძლო. მალე იგი მცენარეთა სამყაროსაც ეზიარა და საოცარი წამლების დამზადება დაიწყო.

თავისი ნიჭის წყალობით მრავალი კეთილი საქმე აღასრულა მელამპუსმა. გადმოგვცემენ, რომ ტირინსის მეფეს, ***პროიტოსს***, სამი ასული ჰყავდა. ქალწულებმა ბაკქურ ზეიმში მონაწილეობის მიღება არ ისურვეს, რითაც განარისხეს დიდი ღვთაება დიონისე. ღმერთმა დასაჯა გოგონები იმით, რომ გონება აურია და მთებში უგზო-უკვლოდ გაფანტა. მელამპუსმა ისინიც განკურნა და ამ კუთხის სხვა ქალებიც, რომელთაც ეს სიგიჟე გადასდებოდათ. მეფე პროიტოსმა მას თავისი ასული, აფიანასა, მიათხოვა და სამეფოს მესამედიც უანდერძა.

მელამპუსსა და აფიანასას ორი შვილი ეყოლათ. მათი ჩამომავალი იყო სახელოვანი მისანი პოლიფიდესი.

მელამპუსია ქურუმთა ცნობილი მოდგმის, მელამპიდების, მამამთავარი. მას წინასწარმეტყველთა წიგნის შექმნასაც მიაწერენ მითოგრაფოსები.

**მელეაგროსი** – ბერძნ. ეტოლიურ თქმულებათა გმირი; კალიდონის მეფის, ***ოინევსისა*** და ალთეას ვაჟი; ***არგონავტების*** ლაშქრობისა და ***კალიდონის ნადირობის*** მონაწილე.

ძველი მითოსის თანახმად, მომლოგინე ალთეას ***მოირები*** გამოეცხადნენ და ახალშობილის მომავალი ამცნეს. ***კლოთომ*** კეთილშობილება უმისნა, ***ლაქესისმა*** – ძლიერება და სიმედგრე, ***ატროპოსმა*** კი უცნაური რამ განაცხადა: ახალშობილი იმ წამს მოკვდება, როგორც კი კერიაში მუგუზალი დაიწვებაო. უმალ წამოდგა ალთეა ლოგინიდან, გამოიტაცა მუგუზალი აბრიალებული ცეცხლიდან, ჩააქრო, ზარდახშაში ჩადო და გადამალა. ასე გადარჩა მელეაგროსი, წამოიზარდა და სახელოვანი მონადირეც დადგა.



*მელეაგროსი და ატალანტე. კილიქის ფერწერა (ძვ.წ. 550 წ.). პარიზი, ლუვრი.*

მელეაგროსის გარდაცვალების მითოსი კალიდონის ნადირობას უკავშირდება.როდესაც მეფე ოინევსმა საბერძნეთის სახელოვანი გმირები მძვინვარე ტახზე სანადიროდ მიიწვია, დააწესა ჯილდო: ნანადირევის თავი და ტყავი მას ერგებოდა, ვინც სასიკვდილოდ დაჭრიდა ნადირს. მონადირეთა შორის იყო არკადიელი მონადირე, მშვენიერი ***ატალანტე***, რომელიც მელეაგროსს შეჰყვარებოდა. სწორედ მისი ისარი მოხვდა პირველად ტახს ყურის ძირას. უფრო გავეშდა ნადირი და მონადირეებს დაერია. მელეაგროსმა იმარჯვა, მისმა ოროლმა საბოლოოდ განგმირა ტახი. ჯილდოც მას უძღვნეს, თუმცა კეთილშობილმა ჭაბუკმა მშვენიერ ატალანტეს დაუთმო იგი. საპატიო იყო ეს ჯილდო, დიდების სახელს იხვეჭდა მისი მფლობელიც და მთელი მოდგმა. მელეაგროსის ბიძები (დედის ძმები) ეცნენ ატალანტეს და ნადავლი ხელიდან გამოგლიჯეს. რისხვამ შეიპყრო ჭაბუკი და გამძვინვარებულს მოულოდნელად შემოაკვდა თავისი ბიძები. ეს ამბავი რომ ამცნეს ალთეას, საკუთარი შვილი დაწყევლა. გადამალული ზარდახშიდან მუგუზალი ამოიღო და კერიის ცეცხლს შეუკეთა. მუგუზალი დაიფერფლა და მელეაგროსმაც დალია სული. როდესაც მიხვდა ალთეა, თუ რა ჩაიდინა, თავი მოიკლა. თავი მოიკლა გმირის ცოლმაც, ხოლო დები, მელეაგრიდები, გაუთავებლად მოთქვამდნენ და დასტიროდნენ თავის ძვირფას ძმას. ბოლოს ისინი შეიწყალა ***არტემისმა*** და ციცრებად გარდასახა.

მელეაგროსის მითი ანტიკური ხანის ხელოვანთა საყვარელი სიუჟეტი იყო.

**მელიკერტესი** – ბერძნ. ზღვის ღვთაება; ***ინოსა*** და ათამასის ძე.

მელიკერტესის დედა, ინო, ***სემელეს*** და იყო. როცა სემელე დაიფერფლა მეხისტეხაში, მისი ძე, ***დიონისე***, ინომ აღზარდა. დიონისე ***ზევსისაგან*** ჰყავდა სემელეს და ამიტომ ეჭვიანი ***ჰერა*** მტრად მოეკიდა ინოს. დიდმა ქალღმერთმა სიგიჟე მოუვლინა მის მეუღლეს, ათამასს, რომელიც მოსაკლავად დაედევნა თავის ცოლ– შვილს. ინომ მკერდში ჩაიკრა ჩვილი ვაჟები და გაქცევა სცადა. გაავებული ათამასი დაეწია და ერთი მათგანი, ლეარქოსი, ხელიდან გამოგლიჯა, შურდულივით დაატრიალა და თავი სიპ ქვას მიახლევინა. ინო მაღალ კლდეზე აბობღდა და თავისი მეორე ვაჟით, რომელსაც მელიკერტესი ერქვა, ზღვაში გადაეშვა.

დედა-შვილი ***ნერეიდებმა*** მიიღეს, დაუმსახურებელი ტანჯვის გამო შეიბრალეს და ზღვის ღვთაებებად გარდასახეს. ინოს „ლევკოთეა" (თეთრი ქალღმერთი) უწოდეს, მელიკერტესს კი – „პალემონი" (მებრძოლი) და ნაზღვაურალთა მფარველობა მიანდეს.

მელიკერტესს პალემონის სახელით თაყვანს სცემდნენ კორინთოში, სადაც მდებარეობდა ***პოსეიდონის***, ინო-ლევკოთეას და მელიკერტეს-პალემონის დიდი ტაძარი. ბერძნულ ქალაქთა მონეტებზე ხშირად გვხვდება დელფინზე მჯდომი ან ზღვის ღვთაებებით გარემოცული პალემონის გამოსახულება. რომში მისი სახელი იყო ***პორტუნუსი*** და მას თაყვანს სცემდნენ ვითარცა პორტებისა და ნავსადგომთა მფარველ ღვთაებას.

**მელისა** – (მელიტა) ბერძნ. ***ნიმფა***, ფუტკართა დედამთავარი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ფუტკრებით მდიდარ ეპიდამნოსში.

ძველი ბერძნები ფუტკრებს ღვთაებრივ მწერებად მიიჩნევდნენ, რადგანაც სკაში აწყობილი ცხოვრების წესი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების წესის მსგავსი ეგონათ. შესაბამისად, ისინი თვლიდნენ, რომ ფუტკრები იყვნენ ნიმფები, ოღონდ მწერებად გარდასახულნი. ზოგჯერ ***დემეტრესა*** და ***არტემისის*** ქურუმებს მელისად უხმობდნენ.

**მელპომენე** – ბერძნ. „მომღერალი", ტრაგედიის მუზა.

უძველეს ხანად მელპომენე ყოველნაირი სიმღერის მუზად ითვლებოდა, შემდეგ კი მხოლოდ ნაღვლიანი სიმღერებისა. ალბათ ამიტომ იქცა იგი მოგვიანებით ტრაგედიის მუზად. მელპომენეს წარმოსახავდნენ ტანმაღალ ქალად. თავს უმშვენებდა ვაზის რტოთა გვირგვინი, მხრებს – თეატრალური მანტია, ფეხს – კოთორნოსი (მსახიობთა მაღალძირიანი ფეხსამოსი). მას ცალ ხელში ტრაგიკული ნიღაბი ეპყრა, მეორეში კი – მახვილი ან კომბალი.

ქარაგმულად „მელპომენე" თეატრს ნიშნავს.

**მემნონი** – ბერძნ. ***ტროას ომის*** გმირი ჰომეროსის შემდგომდროინდელ მითებში; ***ეოსისა*** და ***ტითონოსის*** ძე; ეთიოპების მეფე, გოლიათი.

მემნონი ძმამ ჩამოაგდო ტახტიდან. როდესაც ***ჰერაკლე ჰესპერიდების*** ბაღისკენ მიემართებოდა (მეთორმეტე გმირობის აღსასრულებლად), ეთიოპია უნდა გაევლო. მან მოკლა მოძალადე მეფე და ისევ მემნონს დაუბრუნა სამეფო სკიპტრა. როდესაც ტროას ომი მძვინვარებდა და ***ჰექტორი*** სიცოცხლეს გამოესალმა, მემნონმა თანამებრძოლებთან ერთად ისწრაფა ტროელთა დასახმარებლად. მან მოკლა ***აქილევსის*** მეგობარი ანტილოქოსი, ***ნესტორის*** ძე. ბერძენთა დიდმა გმირმა, აქილევსმა, შური იძია მეგობრისათვის და მემნონი ტროას კედლებთან განგმირა. ეოსის თხოვნით, ***ზევსმა*** უკვდავება მიანიჭა მემნონს. მისი თანამოსაგრეები, გადმოცემათა თანახმად, გარდაისახნენ ჩიტებად და მათ მემნონიდები ეწოდათ. ისინი მოფრინდებოდნენ ხოლმე მემნონის სამარხთან და იგლოვდნენ თავიანთ ბელადს (სხვა ვერსიით, ჩიტებად გარდაისახნენ თავად მემნონის სხეულის ასოები. ეს ჩიტები მემნონის საფლავთან მანამ ებრძოდნენ ერთმანეთს, სანამ ნახევარი არ ამოწყდა).

ძველებმა ვერ შეძლეს ზუსტად ეთქვათ, თუ სად მდებარეობდა ეთიოპია. ზოგჯერ მას ათავსებდნენ სადღაც სამხრეთში; ჰომეროსის მიხედვით, ეთიოპია იყო იქ, საიდანაც „მზე ამოდიოდა"; სხვა ვერსიით, ეს ქვეყანა სირიაშია, ან ეგვიპტეში და ა.შ. სწორედ ამიტომ მემნონს მიაწერდნენ დიდებულ ნაგებობათა შექმნას სხვადასხვა ადგილებში. თურმე მას აღუშენებია დიდი სასახლეები აზიაში; დაუარსებია ქალაქი სუსა ელამში; შეუქმნია ფარაონ ამენხოტეპ III-ის გიგანტური ქანდაკებები – ე.წ. „მემნონის კოლოსები" – ეგვიპტეში. ძველების რწმენით, ერთ-ერთი კოლოსი მზის ამოსვლისას გამოსცემდა ნაღვლიან ხმას. ამბობდნენ, რომ ამ ხმით მემნონი ესალმებოდაო თავის დედას, განთიადის ღვთაება ეოსს.

**მენადები** – ბერძნ. „გაშმაგებულნი", ღვინისა და თრობის ღვთაება ***დიონისეს*** თაყვანი-



*მენადა და სატიროსი. პელიკეს ფერწერა (ძვ.წ. 435-430 წ.წ.). მიუნხენი. ანტიკური კოლექციის სახელმწიფო მუზეუმი.*



მენადა. კილიკის ფერწერა (ძვ.წ. 490-485 წ.წ.). მიუნხენი. ანტიკური კოლექციის სახელმწიფო მუზეუმი.

სმცემელი ქალები; სხვაგვარად მათ ბაკქ ქალებსაც უწოდებდნენ.

როდესაც დიონისე ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა, რათა თავისი ღვთაებრიობა განეცხადებინა ხალხისთვის, თან ახლდა მოხუცი ***სილენოსი***, მენადების დასი და ველური ***სატირების*** ბრბო. შემთვრალ მენადებს ხელში ეკავათ გირჩებწამოცმული და სუროებით შემოგრაგნილი თირსოსები. ტანთ ირმის ხალებიანი ბეწვი ემოსათ, თუმცა ნახევრად შიშველნი იყვნენ. ისინი, თმაგაშლილნი და წელებზე გველებშემოხვეულნი, ველური ექსტაზით მიჰყვებოდნენ დიონისეს და გაშმაგებით გაიძახოდნენ: „ევოე, ბაკქოს!“ მენადები ტყეებში და მთათა ფერდობებზე ფლეთდნენ ნადირებს და სვამდნენ მათ სისხლს. ამით თითქოსდა ეზიარებოდნენ თავიანთ ტანჯულ ღვთაებას. მენადებს შეეძლოთ თირსოსები ჩაეკრათ კლდეში და იქიდან რძე ან თაფლი ამოეფრქვიათ. ისინი თავიანთ დასში ითრევდნენ ქალებს და მათ მოუწოდებდნენ, თაყვანი ეცათ დიონისესათვის.

**მენელაოსი** – ბერძნ. მიკენის მეფის, ***ატრევსის*** ძე; ***აგამემნონის*** უმცროსი ძმა; ***ელენეს*** მეუღლე, სპარტას მეფე.

როდესაც ატრევსი მოკლეს, მიკენში გამეფდა ***თიესტესი***, მკვლელის მამა. მან ქალაქიდან გააძევა მეფისწულები, რომლებმაც თავი შეაფარეს სპარტას, სადაც მეფობდა ტინდარეოსი. იქ მენელაოსმა იქორწინა მეფის ასულთაგან უმშვენიერეს ელენეზე. ***ტინდარეოსის*** სიკვდილისა და ელენეს ძმების, ***დიოსკურების***, გაღმერთების შემდეგ იგი სპარტას სამეფო ტახტზე ავიდა. ელენესაგან მას შეეძინა ერთი ქალიშვილი, ჰერმიონე და სამი ვაჟი – ეტიოლოსი, მარათიოსი და პლისთენესი. ათი წელი ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ.

როდესაც ილიონის მეფისწულმა, ***პარისმა***, დაქორწინება განიზრახა, ***აფროდიტეს*** რჩევით სპარტას ეწვია. მენელაოსმა სტუმრის პატივსაცემად ნადიმი გამართა, რომელიც ცხრა დღე გაგრძელდა. მეფემ ელენეს სტუმრების გართობა და სამეფოს მართვა დაავალა, რადგანაც თავად კრეტაზე უნდა გამგზავრებულიყო თავისი პაპის დაკრძალვის ცერემონიალზე დასასწრებად. მენელაოსის წასვლისთანავე პარისმა მოიტაცა ელენე. ეს ამბავი, ***ჰერას*** ბრძანებით, ***ირისმა*** ამცნო მეფეს. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა თავის სასახლეში და აგამემნონს სთხოვა დახმარება. ძმებმა შეკრიბეს დიდძალი ლაშქარი და ილიონის ნაპირებისაკენ დაიძრნენ. ასე დაიწყო ტროას ცნობილი და ხანგრძლივი ომი, რომელმაც მრავალი სახელოვანი მებრძოლი შეიწირა.

თავდაპირველად მენელაოსმა შესთავაზა ტროას მეფე ***პრიამოსს***, უომრად დაებრუნებინა ელენე, მაგრამ უარი მიიღო. როდესაც ომი გაჩაღდა, იგი თავგამოდებით იბრძოდა. ორთაბრძოლისას დაამარცხა კიდეც პარისი, მაგრამ აფროდიტემ იხსნა მეფისწული დაღუპვისაგან. მენელაოსი ტროელმა ***პანდაროსმა*** დაჭრა ***აპოლონისგან*** ნაბოძები ისრით, თუმცა იარა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. მედგრად იბრძოდა იგი ბრძოლის ველზე დაცემული ***პატროკლოსის*** გვამის გამოსატანად; სხვა მეომრებთან ერთად იჯდა საბედისწერო „ხის ცხენში“ და სწორედ მან განგმირა უკანასკნელი შებრძოლების ჟამს პრიამოსის ძე დეიფობოსი, რომელსაც პარისის გარდაცვალების შემდეგ ცოლად შეერთო ელენე.

ტროას დაცემისთანავე მენელაოსი ელენესთან ერთად გაემართა მშობლიური ნაპირებისაკენ. მიუახლოვდა თუ არა პელოპონესოსს, ქარიშხალმა კრეტასკენ გადაისროლა მისი ხომალდი. რვა წელი იხეტიალა მენელაოსმა, მოინახულა კვიპროსი, ფინიკია, ეგვიპტე და დიდძალი განძიც დააგროვა. ეგვიპტეს უკავშირდება მითოსის სხვა ვერსია,



მენელაოსი. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 440-430 წ.წ.). ტოლედოს ხელოვნების მუზეუმი.



*მენელაოსის და ჰექტორის ბრძოლა. კილიქსის ფერწერა (დახ. ძვ.წ. 600 წ.). ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.*

რომლის თანახმადაც, ტროაში ელენეს აჩრდილი იყო მხოლოდ, თავად კი, ზევსის ნებით (ელენე ხომ ზევსის ასული იყო), ეგვიპტეში ელოდებოდა მეუღლეს. სპარტაში დაბრუნების შემდეგ მენელაოსი ბედნიერად ცხოვრობდა საყვარელ ელენესთან ერთად. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი და, როგორც ზევსის სიძეს, ბედად ხვდა დავანება ***ელისიონში***, სადაც ნეტარად განისვენებდნენ ღმერთთა რჩეული გმირები.

ძველ საბერძნეთში დადასტურებულია მენელაოსის კულტის არსებობა. მისი სახე ხატოვნად აისახა ანტიკურ ლიტერატურასა (ჰომეროსი, ევრიპიდე და სხვა) და ხელოვნებაში. ქარაგმულად „მენელაოსი" მოტყუებულ ქმარზე მიანიშნებს.

**მენსი** – რომ. ადამიანური გონების განმასახიერებელი ღვთაება ძველ რომში. მისი სახელობის ტაძარი ძვ.წ. III საუკუნეში ააგეს რომაელებმა ტრასიმენუსის ტბასთან ბრძოლაში დამარცხებისთანავე. მენსის პატივსადები ზეიმი იმართებოდა კაპიტოლიუმის ბორცვზე ივნისის თვეში.

**მენტორი** – ბერძ. ალკიმოსის ძე; ***ოდისევსის*** მეგობარი.

როდესაც ოდისევსი ტროაში სალაშქროდ ემზადებოდა, მენტორს ჩააბარა თავისი ოჯახი. მენტორმა აღზარდა ***ტელემაქოსი***, იგი ზრუნავდა ***პენელოპეზე*** და ლამობდა, გამკლავებოდა აბეზარ სასიძოებს. ქალღმერთი ***ათენა*** სწორედ მენტორის სახეს იღებდა, როდესაც სურდა დახმარებოდა ტელემაქოსს.

მენტორის სახელმა საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა XVIII საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ფრანგულ ლიტერატურაში გამოჩნდა ფენელონის რომანი სახელწოდებით „ტელემაქოსის თავგადასავალი". გადატანითი მნიშვნელობით „მენტორი" აღნიშნავს მრჩეველს, აღმზრდელს, ხოლო გამოთქმას „მენტორული ტონი" ხშირად ირონიული ელფერიც დაჰკრავს..

**მერიონი** – ბერძ. ***ტროას ომის*** მონაწილე კრეტელი გმირი, რომელიც უბადლო მოისარი იყო. მერიონი ეხმარებოდა ***მენელაოსს***, როდესაც იგი ***პატროკლოსის*** ცხედარის გამოსატანად იბრძოდა; მან თავი გამოიჩინა აგრეთვე ხომალდებისათვის წარმოებული ომისას.

გვიანი ხანის ლეგენდები გვამცნობენ, რომ ტროადან დაბრუნების ჟამს მერიონის ხომალდი აღმოჩნდა კუნძულ სიცილიაზე, სადაც მან კრეტელთა დასახლება დააარსა. ვარაუდობენ, რომ მითში რეალური ამბავი აისახა, კერძოდ ის, თუ როგორ გავრცელდა კრეტის კულტურა დასავლეთში.

**მერკურიუსი** – რომ. ვაჭრობის, მოგებისა და გამდიდრების რომაული ღვთაება. მისი კულტი ადრევე შეერთო ბერძენთა ღმერთის, ***ჰერმესის***, კულტს და ამიტომაც ითვლებოდა ***მაიას*** ძედ. რომში მაისის იდებში (შუა რიცხვებში) მაიასა და მერკურიუსს მსხვერპლს სწირავდნენ. მერკურიუსი, ჰერმესის მსგავსად, ითვლებოდა მოგზაურთა, ხელოსანთა და ხელოვანთა მფარველად, გარდაცვლილთა სულების გამცილებლად, ღმერთების შიკრიკად, ასტროლოგიისა და მაგიის საიდუმლოებათა მცოდნედ.

მერკურიუსს, ჩვეულებრივ, გამოსახავდნენ ქისით ან ***კერიკეონით*** ხელში და ხშირად აიგივებდნენ ***ფორტუნასთან***. მისი ეპითეტი იყო „ბედნიერი".



*მერკურიუსი. ჯამბოლონის სკულპტურა. ბრინჯაო (1564 წ.), ბოლონია, ქალაქის მუზეუმი.*

**მერუ** – ინდ. წმიდა მთა, რომელიც აღმართულია სამყაროს შუაგულში; ღმერთები იკრიბებიან მასზე, როგორც ბერძენთა ***ოლიმპოზე***; იქ უდევთ ბინა დიდ ღმერთებს: ბრაჰმას, ვიშნუს, შივას, ინდრას... მის გარშემო მოძრაობენ მზე და მთვარე, და ვარსკვლავები. ერთხელ ერთმა მთამ, სახელად ვინდჰიამ, უსაყვედურა მზეს: „ყოველდღიურად დილიდან საღამომდე შენი ბრწყინვალებით გარს უვლი მერუს. ახლა მე მინდა, რომ პატივი მომაგო: იბრუნე ჩემს ირგვლივ მარცხნიდან მარჯვნივ!" მაგრამ მზემ უარი უთხრა: „მე ჩემი ნებით კი არ ვბრუნავ

მერუს გარშემო, არამედ სამყაროს შემოქმედის ნებას ვასრულებ. ჩემი გზა განგებისეულია, მე არ შემიძლია მისი შეცვლა''. მერუ გულმოწყალებას იჩენს მართალი, წმიდა და ბრძენი ადამიანების მიმართ. როცა დიდმა განდეგილმა ვასიშთჰამ თავისი ასი შვილის დაღუპვის ამბავი გაიგო, აეიდა მერუს მთაზე და მართალი მწვერვალიდან კლდეებზე თავი გადმოიგდო. მაგრამ მთის კლდოვანი ფერდობები მას ფაფუკ სარეცელად ექცა და განდეგილიც უვნებლად დაეშვა მასზე.

მერუზე გადის გზა ცისკენ. ბევრი მითიური გმირი ცდილა მერუზე ასვლას, მაგრამ ამაოდ. ზოგს ჩადენილი უსამართლობა აბრკოლებდა, ზოგს – ამპარტავნობა, ზოგს – ზედმეტი თავდაჯერებულობა, ზოგს – კეეხნა ფიზიკური ძალით, ზოგს – სილამაზით. მხოლოდ ერთს მათ შორის, იუდჰიშთჰირა გახდა მერუზე ასვლის ღირსი, მაგრამ მან არ ინება თავის საყვარელ ძაღლთან განშორება და უარი თქვა მარტო ასვლაზე.

**მესი** – შუმ. კოსმიური ხის ერთ-ერთი განსახება, რომელიც ნაყოფად ქარვას ისხამს და დახასიათებულია როგორც ,,ღმერთების ხორცი, ქვეყნიერების მეფის სამკაული, წმინდა ხე, დიდებული საწმისი, საუფლოდ განწესებული, რომლის ფესვები ფართო ზღვაში ასი ბერუს მანძილზეა გადგმული, ქვესკნელის სიღრმეებს სწვდება; რომლის წვეროკინი ანუს ცას ებჯინება''. მესის, როგორც სამყაროს ხის, ამოძირკვა ან გადანაცვლება მსოფლიო კატასტროფას იწვევს ან მისი სიმპტომია. ქალაქის განადგურება ერთ შუმერულ ტექსტში (,,აქადის წყევლა'') მეტაფორულად მესის ამოძირკვით არის გამოხატული. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ერთი ასურული ეპოსის მიხედვით წარღვნის დროს მესის ხეც წაულეკავს ნიადაგს (***მარდუქი*** ამბობს: ,,ქარვის ხეს, მესს, ადგილი შეეუცვალე, რომ ვერავის ეპოვნა'').

**მესქიაგგაშერი** – შუმ. ,,გმირი, ნანდაური (ღვთაება) შერისა'', ურუქის პირველი მეფე, ***უთუს***, მზის ღმერთის ძე, რომლის მითოლოგიური ღვაწლი ოთხი სიტყვით არის შემონახული ,,შუმერელ მეფეთა სიაში'': ,,ზღვაში შევიდა, მთაზე აეიდა''.

**,,მეტამორფოზები''** – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ,,გარდასახვებს''. ასე ეწოდება სახელოვანი რომაელი პოეტის, პუბლიუს ოვიდიუს ნაზოს (ძვ.წ. 48 – ჩვ.წ. 88 წ.) პოემას, რომელიც ანტიკური პოეზიის საუკეთესო ქმნილებათაგანია. მასში ხატოვნად არის წარმოდგენილი ძველი ბერძნული და რომაული მითები, სამყაროს მარადიული ცვალებადობის, უწყვეტი მოძრაობის, ღმერთთა თუ სულდგმულთა გარდასახვების ამბები.

მსგავსი სახელწოდებით ცნობილია სხვა ავტორთა ქმნილებებიც. მაგალითად, ჩვ.წ. II საუკუნის რომაელი მწერლის აპულეუსის საყოველთაოდ ცნობილი რომანი, რომელსაც სხვაგვარად ,,ოქროს ვირსაც'' უწოდებენ.

ოვიდიუსის ,,მეტამორფოზები'' თარგმნილია ქართულ ენაზე (მთარგმნელები: ნ. მელაშვილი, ნ. ტონია, ი. გარაყანიძე).

**მეტისი** – ბერძნ. ,,სიბრძნე'', ოკეანიდა, ***ზევსის*** პირველი მეუღლე, სიბრძნის განმასახიერებელი ღვთაება.

***ოკეანოსის*** ასული მეტისი ბრწყინავდა თავისი სილამაზით. როდესაც მას თვალი ჰკიდა ზევსმა, მოიხიბლა მისი მშვენებით. მეტისს არ სურდა უზენაეს ღვთაებასთან სარეცლის გაზიარება და სხვადასხვა სახედ გარდასახული ლამობდა მისგან თავის დაღწევას, მაგრამ ვერ შეძლო. ერთხელაც იგი დაიჭირა ზევსმა და თანაეყო. უკვდავთა და მოკვდავთა ღვთაებას უმისნეს: დაიბადება ქალწული, სიმამაცითა და გონიერებით მამის მსგავსი, მაგრამ მეტისი თუ კვლავ დაფეხმძიმდება, იშვება ვაჟი, რომელიც დაისაკუთრებს სამეფო სკიპტრას. შეშინდა ზევსი, მეტისი საწოლ ოთახში შეიტყუა და ჩაყლაპა. ძველებს სწამდათ, რომ იმყოფებოდა რა ზევსში, მეტისი მისი მრჩეველი იყო.

**მიდასი** – ბერძნ. ფრიგიის მეფე, ***გორდიასის*** ძე, სიმდიდრით სახელგანთქმული.

ბერძენთა რწმენით, ჩვილი მიდასი ჭიანჭველებმა გამოკვებეს პურის მარცვლებით, რაც მისი გამდიდრების მომასწავებელი იყო. როდესაც მიდასი გამეფდა, ფრიგიას ეწვია ღმერთი ***დიონისე***, რათა თავისი დიდედა ***რეა*** მოენახულებინა. მის ამალას ჩამორჩა მთერალი ***სილენოსი***, რომელიც ფრიგიელებმა ყვავილების წნულით შებოჭეს და მეფეს მიჰგვარეს. იცნო მიდასმა დიონისეს მოძღვარი და დიდებული ლხინი გაუმართა. ათი დღე ინადიმეს. მეთერთმეტე დღეს კი მეფემ ღმერთს დაუბრუნა მისი მოძღვარი. გახარებულმა დიონისემ მიდასს სანუკვარი სურვილის აღსრულების პირობა მისცა.

,,ოქროდ მიქციე, რასაც ხელს ვახლებ''– სთხოვა მიდასმა. ღმერთმა თავის დაკვრით თანხმობის ნიშანი მისცა. გახარებულმა მიდასმა შინისკენ ისწრაფა. გზად განიზრახა გამოეცადა, რამდენად სარწმუნო იყო ღმერთის პირობა: მწვანედ დაფოთლილ დაბალ მუხას რტო მოატეხა – რტო ოქროდ იქცა; ქვას წამოჰკრა ხელი – ქვა გაბრწყინდა; ბელტს შეეხო და ბელტი ზოდად გარდაიქმნა; ვაშლს წაეტანა – ***ჰესპერიდების*** ბაღში მოწყვეტილს დაემსგავსა ნაყოფი; ხელს რომ იბანდა, წყალიც ბრჭყვიალით ჩამოედინებოდა ხელებიდან. ხარობდა მეფე, მაგრამ ხანგრძლივი არ აღმოჩნდა ეს სიხარული: მას სახლში დიდებული სუფრა გაუწყვეს მსახურებმა. ლუკმის პირთან მიტანას ვერ ასწრებდა მიდასი, ყოველნაირი საჭმელი მის ხელში ოქროდ იქცეოდა. მიხვდა მეფე, რომ დაღუპავდა ნანატრი ოქრო, კვლავ შეევედრა დიონისეს: შევცდი, მიხსენი ამ მომხიბლავი უბედობისგანო. შეიბრალა ღმერთმა მიდასი და სასოწარკვეთილს ასეთი რჩევა მისცა: ,,სარდეს რომ მდინარე ჩამოუდის, იმას სათავემდე აუყევი, იქ წყაროს ნახავ, შიგ განიბანე და განიწმინდები''. ასეც მოიქცა. მიდასმა წყაროში განიბანა ტანი და ოქროს სენისგან განიკურნა. იმ დღიდან შეიძულა მან სიმდიდრე, მიატოვა სასახლე და ***პანთან*** დამკვიდრდა გამოქვაბულში.

ერთხელ პანი ***აპოლონს*** გაეჯიბრა სტვირზე დაკვრის ხელოვნებაში. მსაჯულად იხმეს მეფე მიდასი, რომელმაც პანის გამარჯვება აღიარა. მაშინ აპოლონმა მას ვირის ყურები გამოაბა. ცხვენოდა მიდასს და ყურები რომ დაემალა, მუდამ ფრიგიული ქუდი ეხურა თავზე. მხოლოდ დალაქმა იცოდა ეს საიდუმლო. სურდა გაეთქვა, მაგრამ მეფის ერიდებოდა. გაწამებულმა ბოლოს ასეთი რამ მოიგონა: მიწაში ორმო ამოთხარა და ხმადაბლა ჩასძახა: ვირის ყურები გამობმია მეფე მიდასსო. შემდეგ ეს ორმო უმალვე მიწით ამოავსო. მალე იქიდან ამოიზარდა ლერწამი, რომელმაც მთელ ქვეყანას მოსდო მიდასის ვირის ყურების ამბავი.

დიონისეს კულტს ზიარებული მიდასის გახუმრებული სახე ხშირად გვხვდება სატირულ დრამებში. ხოლო მის თავგადასავლებთან დაკავშირებული ფრთიანი გამოთქმები: ,,მიდასის დალაქი'' (ანუ ყბედი, რომელიც ვერ ინახავს საიდუმლოს) ,,მიდასის სამსჯავრო'' (ანუ უმეცრების ზეიმი), ,,მიდასის ყურები'' (ანუ შეუსმენლობა, უმეცრება) თანამედროვე მეტყველების კუთვნილებად იქცა.

**მითოლოგემა** – მოვლენა ან გმირის ქმედება მითოლოგიურ ეპოსში ან თხრობაში, რომელთა ერთობლიობისგან შედგება მითოლოგიური ტექსტი. მითოლოგემა ძალზე მოკლედ, ერთი სიტყვით ან ერთი ფრაზით, ანდაზურად გადმოსცემს მითოლოგიური თხრობის, მითოსის დედააზრს. გაშლილი მითოლოგემა უკვე მითოსია. ზოგიერთი მითოსი შეიძლება ერთი მითოლოგემის განშლა იყოს, ერთ მითოლოგემაზე იყოს აგებული (მაგ., გველეშაპთან ბრძოლა, ცისა და მიწის გაშორიშორება), ზოგი კი რამდენიმეს

შეიცავდეს, როგორც, მაგ., კოსმოგონიური ეპოსი. გავრცელებული მითოლოგემებია: გველეშაპის მიერ შთანთქმა და ამონთხევა (იხ. ***კრიტრა***). სამყაროს ღერძი (იხ. ***დურანქი***), შინდაბრუნება, რაზეც აგებულია, ძირითადად, მზის მითოსი (იხ. ***რაე, უთუ, შამაში***) და ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტი.

**მითრა** – ირან. „ხელშეკრულება", „თანხმობა", სიმართლის, სამართლიანობისა და თანხმობის ღმერთი. იგი დაბადა კლდემ და მწყემსებმა აღზარდეს. რომ გაიზარდა, მზეს შეებრძოლა პირველობისა და ძალაუფლებისთვის. ბრძოლა თანასწორი იყო და მშვიდობიანი შეთანხმებით დამთავრდა. მერე მითრამ დაკლა ***აჰურა მაზდას*** გაჩენილი წმიდა ხარი, რომლის სხეულისგან წარმოიშვა სასარგებლო მცენარეები, ტვინისგან – ხორბალი, სისხლისგან – ყურძენი და ა.შ. ამრიგად, მითრას მეოხებით მსხვერპლად შეწირული ხარი ქვეყნის ნაყოფიერებას დაედო საფუძვლად. მითრა სჯის უკეთურ და უსამართლო ადამიანებს. მის ათას ყურს ყველაფერი ესმის, მისი ათასი თვალი ყველაფერს ხედავს, მის ათიათას მსტოვარს არაფერი გამოეპარება. იგი გამოჩნდება მზის ამოსვლასთან ერთად, დღის განმავლობაში გადაივლის ცარგვალს ოთხ თეთრ ცხენში შებმული ეტლით, ხოლო როცა მზე აღარ ანათებს ცაზე, მისი ციმციმი ეფრქვევა დედამიწას. მითრა დევების მტერია, მაგრამ ის ემტერება უკუღმართ ადამიანებს და ხალხებს, ანადგურებს მათ. როგორც მებრძოლი ღვთაება, განსაკუთრებულ პატივში იყო ირანელ მეფეთა შორის – მითრა მათ თავიანთ პირად მფარველ ღვთაებად მიაჩნდათ, მისგან იღებდნენ ისინი სამეფო ***ხვარნას***, მას მიმართავდნენ ლოცვა-ვედრებით ბრძოლის ველზე გასვლამდე.

მითრას, როგორც ომის ღმერთის თაყვანისცემა გავრცელდა რომაელ ჯარისკაცთა შორისაც, რომელთაც იგი აზიაში გაიცნეს და რომში დაბრუნებისას თან ჩამოყვათ.

მითრა იკითხება საკუთარ სახელებში: მითრიდატე, მირიანი...

**მინერვა** – რომ. ხელოსნობათა მფარველი ღვთაება რომაულ სამყაროში. ეტრუსკული წარმოშობის, რომ მისი კულტი ეტრუსკული წარმოშობისა იყო. მოგვიანებით იგი ***ათენას*** დაუკავშირეს.

მინერვას რომაული პანთეონის მთავარ ღმერთთა შორის ასახელებენ. მას შემდეგ, რაც იგი ათენას თანაგვარი გახდა, მისი ფუნქციები გამრავლდა. იგი იქცა სიბრძნის განმასახიერებელ ღვთაებად. მინერვა მფარველობდა ომებს, ხელოვნებას, მუსიკოსებს, პოეტებსა და მკურნალებს. მის პატივსადებ ზეიმს კვინკვატრიუსი (კვინკვატრიები) ეწოდებოდა და იგი მარტის თვეში აღინიშნებოდა. ეს იყო ხელოსანთა დღესასწაული. ამ დროს მოძღვარნი იღებდნენ თავიანთი შრომის საზღაურს.



*მინერვა. პ. ვერონეზეს ნახატი (დაახ. 1560 წ.). მოსკოვი. ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.*

მინერვას ზუსტად ისევე წარმოსახავდნენ მხატვრები და მოქანდაკენი, როგორც ათენას. მისი მუდმივი თანამგზავრები იყვნენ ბუ და გველი. ქარაგმულად „მინერვა" იგივეა, რაც „სიბრძნე". მინერვას სახელი ფრთიან გამოთქმებშიც დამკვიდრდა. მათ შორის აღსანიშნავია ასეთი პოეტური ფრაზა: „მინერვას ბუ ღამ-ღამობით მოფრინავს ხოლმე", რაც ნიშნავს: „ბრძნული აზრები ღამით მოდიან".

**მინიასი** – ბერძ. ორქომენოსის მეფე, მინიელთა მამამთავარი, ***პოსეიდონის*** ძე, მრავალი გმირის წინაპარი. ***არგონავტებს*** სხვაგვარად მინიებსაც უწოდებდნენ, რადგანაც მათი უმეტესობა მინიასის ქალთა შთამომავალი იყო.

მინიასის ქალიშვილების სახელი ***დიონისეს*** მითოსს უკავშირდება: დიონისეს დღესასწაულზე ქურუმმა ორქომენოსის მოსახლეობას უხმო. ეინც არ წამოვა დაისჯებაო, უმისნა ყველას. ქურუმის სიტყვა შეისმინა ხალხმა და ზეიმში მონაწილეობის მისაღებად გაემართა. მხოლოდ მინიასის ქალიშვილებმა არ ისურვეს დიონისეს თაყვანისცემა, შინ დარჩნენ და საინტერესო ამბების თხრობით შეიქციეს თავი, თანაც ძაფს რთავდნენ. მოსაღამოვდა. მწვანე ფერი დაედო საქსოვ დაზგებს და ისინი ვაზის ნერგებს დაემსგავსნენ თანდათან. ძაფი ლერწამად იქცა. ქსელიდან ვაზის ყლორტები გადმოეშვა. ჭერი შეირხა. ირგვლივ მძვინვარე მხეცთა ღრიალი გაისმა და ყველაფერი ცეცხლში აალდა. აუტანელ სიმხურვალეს განერიდნენ მინიასის ასულები და სხვენს შეაფარეს თავი. სიბნელეში ვერც კი შენიშნეს, როგორ ეცვლალათ იერი. დაპატარავდნენ და მკლავების ნაცვლად გამოსხმული სიფრიფანა ფრთებით დაეკიდნენ ჭერს. ლაპარაკიც აღარ შეეძლოთ, მხოლოდ წრიპინით გამოხატავდნენ ბედის სამდურავს და ვეღარც მზის სხივს უსწორებდნენ თვალს. ისინი შერისხა დიონისემ და ღამურებად გარდასახა. სხვა ვერსიით, დიონისემ გააგიჟა მინიადები, რომლებმაც მძვინვარების წამს დაგლიჯეს ერთ-ერთი დის შვილი. ლეგენდა მინიასის ქალიშვილებზე საბერძნეთში დიონისეს კულტის დამკვიდრების ამბებს ასახავს.

**მინოსი** – ბერძ. კრეტის ლეგენდარული მეფე; ***ზევსისა*** და ***ევროპეს*** ძე, ***რადამანთისისა*** და ***სარპედონის*** ძმა; ***პასიფაეს*** მეუღლე; ***არიადნეს***, ***ფედრასა*** და ანდროგეოსის მამა.

ფინიკიის მეფის ასული, ევროპე, ზევსს მოეწონა. თეთრ ხარად გარდასახულმა მოიტაცა ქალიშვილი და კუნძულ კრეტაზე მიატოვა (იხ. ევროპე). იქ ევროპემ შვა სამი ვაჟი: მინოსი, სარპედონი და რადამანთისი, რომლებიც იშვილა კრეტის მეფე ***ასტერიონმა***, რადგანაც ევროპე შეირთო ცოლად. ასტერიონის გარდაცვალების შემდეგ კრეტის სამეფო ტახტზე აღზევდა მინოსი, რომელიც ბრძნულად განაგებდა ქვეყანას თავის მეუღლე პასიფაესთან ერთად.

ერთხელ მინოსმა განიზრახა განსაკუთრებული თაყვანი ეცა ***პოსეიდონისათვის***, მაგრამ მისი საკადრისი მსხვერპლი არ ეგულებოდა თავის ჯოგში. მაშინ პოსეიდონმა მას მოუვლინა გასაოცარი სილამაზის თეთრი ხარი. მინოსი ისე მოიხიბლა ხარის მშვენებით, რომ სამსხვერპლოდ ვერ გაიმეტა და დიად ღვთაებას სხვა ხარი შესწირა მსხვერპლად. განრისხდა პოსეიდონი და ***აფროდიტეს*** სთხოვა, დაესაჯა პირის გამტეხი მეფე. აფროდიტემ პასიფაე ხარისადმი სიყვარულით აღაგზნო. ამ უჩვეულო სიყვარულის შედეგად დაიბადა ***მინოტავროსი*** – ურჩხული ადამიანის სხეულითა და ხარის თავით, რომელიც მხოლოდ ადამიანთა ხორცით იკვებებოდა. გაოგნებულმა მინოსმა ***ლაბირინთის*** აგება უბრძანა ხელოვან ***დედალოსს***, რომელიც მის სამეფო კარს აფარებდა თავს.

მითები მინოსს ბრძენ და სამართლიან მეფედ აღიარებენ. თუმცა ათენურ თქმულებე-

ბში იგი ბერძენთა მტრად არის წარმოდგენილი და აი, რატომ:

ათენში გამართულ ზეიმში კრეტადან ჩამოსული მეფისწული, ანდროგეოსიც იღებდა მონაწილეობას. როდესაც ათენის მეფე ***ეგეოსმა*** დაინახა, რომ იგი პანათენურ ასპარეზობებზე იმარჯვებდა, მისი თავიდან მოცილება განიზრახა. სასწრაფოდ გაგზავნა ***კრეტის*** ხარზე სანადიროდ, სადაც დაიღუპა კიდეც (არსებობს სხვა ვერსიაც: მეფემ იგი დამარცხებულ მოასპარეზეებს მოაკვლევინა). განრისხებულმა მინოსმა ომი გამოუცხადა ათენს და გამარჯვებულმა უმძიმესი ხარკი დაადო: ათენელებს ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ კუნძულ კრეტაზე უნდა გაეგზავნათ შვიდი ქალწული და შვიდი ჭაბუკი, რათა ისინი საზარელ ხარ-კაცს, მინოტაეროსს, შთაენთქა. ათენელები მანამ იხდიდნენ ამ ხარკს, ვიდრე მინოტაეროსი არ მოკლა ***თესევსმა***. მინოტაეროსი ხომ დედალოსის მიერ აგებულ ლაბირინთში ბინადრობდა. საქვეყნოდ განთქმულმა ხუროთმოძღვარმა მეფე მინოსი დაარწმუნა, რომ ლაბირინთიდან თავის დაღწევის საიდუმლოს ვერავინ გაიგებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ დედალოსმა ეს საიდუმლო გაანდო მეფის ასულ ***არიადნეს***. არიადნემ კი – თესევსს, რადგანაც პირველხილვისთანავე შეიყვარა. განრისხდა მინოსი და მოსაკლავად გაიმეტა დიდი ხელოვანი. დედალოსი გაიქცა, კუნძულ სიცილიამდე მიაღწია და იქ მეფე კოკალოსის სასახლეს შეაფარა თავი. კრეტის ძლევამოსილი მეფე მინოსი მოკლეს კოკალოსის ქალიშვილებმა, რომელთაც შეჰყვარებოდათ დიდებული ოსტატი. მათ მოჩვენებითი სტუმართმოყვარეობით სასახლეში მიიწვიეს მინოსი და აბაზანის მიღება შესთავაზეს. იქ კი უმოწყალოდ დამდუღრეს.

მინოსის სახელთან დაკავშირებულია აგრეთვე მეფე ***ნისოსის*** მითოსიც.

გარდაცვალების შემდეგ ღმერთებმა მინოსი მიწისქვეშა სამყაროს მსაჯულად დანიშნეს. რადამანთისთან და ეაკოსთან ერთად იგი განაგებს ***ჰადესში*** მოხვედრილ აჩრდილთა ბედს.

როგორც ჩანს, მინოსის მითოსში აისახა კრეტის ოდინდელი ძლევამოსილების ამბავი. ამ თემას ეხებოდა, ალბათ, ევრიპიდეს ტრაგედია „კრეტელები“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად კრეტაზე აღმოჩნდა უდიდესი ცივილიზაციის ნაშთი, რომელმაც განაცვიფრა მთელი სამყარო. ამ ცივილიზაციას მეფე მინოსის სახელის მიხედვით მინოსური უწოდეს.

**მინოსური კულტურა** - ძველი ბერძნები მითებსა და ლეგენდებში, რომლებშიც მათი ისტორია იყო ასახული, წინაბერძნულ ცივილიზაციაზეც მოგვითხრობდნენ. მათ იცოდნენ, რომ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში კუნძული კრეტა გამოირჩეოდა თავისი ძლიერებითა და იდუმალებით მოცული კულტურით. ჯერ კიდევ ჰომეროსი იცნობდა „ასქალაქა კრეტას“, სადაც მრავალი ტომი ბინადრობდა. ბერძნებს დიდხანს ახსოვდათ ძლევამოსილი მეფე ***მინოსი***, რომელსაც ხარკს უხდიდნენ და რომლის კარზეც მოღვაწეობდა ლეგენდარული ხელოვანი ***დედალოსი***. სწორედ მის სახელს უკავშირებდნენ კუნძულზე დიდებული სასახლეებისა და ***ლაბირინთის*** აგებას, ადამიანის სანუკვარი ოცნების, ცაში აფრენის, განხორციელებას. ისტორიოგრაფოსთა ცოდნა კრეტაზე მაღალგანვითარებული კულტურის არსებობის თაობაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ გადმოცემებს ეფუძნებოდა. მხოლოდ XV საუკუნიდან დაინტერესდნენ მოგზაურები ამ



*მოკრივე ბიჭები. თერა. ფრესკა (ძვ.წ. 1500 წ.). ათენის ნაციონალური*

*„ცისფერი ქალები“. კნოსოსის სასახლის ფრესკა (ძვ.წ. 1500 წ.). ჰერაკლიონის მუზეუმი.*





*აკრობატები. კნოსოსის სასახლის ფრესკა (ძვ.წ. 1500 წ.). ჰერაკლიონის მუზეუმი*



კუნძულით, მისი გასაოცარი ბუნებით, რომლის წიაღშიც **ზევსის** მღვიმე ან საიდუმლო ლაბირინთი ეგულებოდათ. XIX საუკუნის ბოლოს ტროასა და მიკენში ჰაინრიხ შლიმანის წარმატებული არქეოლოგიური ექსპედიციის შემდეგ, საბერძნეთის წარსული მეცნიერთათვის მანამდე უცნობი, ჰომეროსამდელი ეპოქის აღმოჩენით შეივსო. ეს ეპოქა მთელ ათასწლეულს მოიცავდა. 1900 წლიდან კი კუნძულ კრეტაზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ინგლისელმა სწავლულმა არტურ ევანსმა. მისი თავდაუზოგავი ძალისხმევით სულ მალე მსოფლიომ დიდებული საჩუქარი მიიღო: აღმოჩნდა, რომ კრეტაზე არსებულა საოცრად მაღალი დონის კულტურა, რომელიც თავისი დახვეწილობითა და ჰარმონიული ხასიათით გამოირჩეოდა იმდროინდელი სამყაროს დანარჩენ კულტურათაგან. მას მინოსური კულტურა უწოდეს ლეგენდარული მეფის, მინოსის, სახელის მიხედვით. როგორც გამოკვლევებმა ცხადყვეს, თავისი განვითარების მწვერვალს ამ კულტურამ ძვ.წ. II ათასწლეულში მიაღწია, მაშინ როდესაც კრეტას თავისი საზღვაო ძლიერების აღმავლობის ხანა ედგა. სწორედ მაშინ აუშენებიათ იქ ბრწყინვალე სასახლეები, რომელთაგანაც თავისი დიდებულებით გამოირჩეოდა კნოსოსის სასახლე. იგი უნდა ყოფილიყო იმდროინდელი საზოგადოების რელიგიური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ცენტრი. სწორედ იმ ხანად განუცდია თავისი აღმავლობა ხელოვნებას, განსაკუთრებით ფრესკულ მხატვრობასა და კერამიკას. ლარნაკთა მხატვრული გაფორმების საქმეში კრეტელებს ბადალი არ ჰყავდათ. მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტის დი-

*„პრინცი შროშანის გვირგვინით“. კნოსოსის სასახლის ფრესკა (ძვ.წ. 1550 წ.). ჰერაკლიონის მუზეუმი.*



„პარიზელი ქალი“. კნოსოსის კედლის მოხატულობა (ძვ.წ. 1450 წ.), ჰერაკლიონის მუზეუმი.

დი ოსტატობით შეხამებამ ხელოვნებაში ახალი სტილის დაფუძნებას დაუდო სათავე. მას კამარესის სტილი უწოდეს ამ ტიპის ქმნილების პირველად აღმოჩენის ადგილის მიხედვით. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა კრეტაზე მინოსური დამწერლობის ფაქტებიც. მათ შორის ყველაზე ადრეული ე.წ. იეროგლიფურ-პიქტოგრაფიული დამწერლობაა, რომელიც, მეცნიერთა ვარაუდით, უკვე ძვ.წ. III ათასეულში გამოიყენებოდა. მისი განვითარების შედეგად წარმოიშვა მინოსური A-ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც, მართალია, არ არის გაშიფრული, მაგრამ უკანასკნელ ხანებში გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, შესაძლოა, იგი კავკასიური ტიპის ენად იქნეს მიჩნეული. კუნძულ კრეტაზევე შეიქმნა პირველი ბერძნული დამწერლობა, რომელსაც B-ხაზოვანი უწოდეს და რომლის გაშიფვრაც მეცნიერების ისტორიაში მოვლენად იქცა. ამავე კუნძულზეა ნაპოვნი აგრეთვე ე.წ. ფესტოსის დისკო.



*ქალღმერთი ან ქურუმი ქალი გველებით. კნოსოსი (ძვ.წ. 1600 წ.). ჰერაკლიონის მუზეუმი.*

ორ ქალაქში, ფესტოსსა და კნოსოსში, აღმოჩენილია ამფითეატრის ტიპის ნაგებობანი, რომლებიც ევროპის კონტინენტის პირველ თეატრებს წარმოადგენენ.

ამ და სხვა მონაპოვრებთან ერთად მეცნიერები მიუთითებენ მინოსური კულტურის უმნიშვნელოვანეს თავისებურებაზე, რითაც იგი მკვეთრად გამოირჩეოდა ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ცივილიზაციებისაგან (მიკენის, ეგვიპტის, წინა აზიის): აქ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მშვიდობის სუფევა იყო. ამასთანავე კრეტას დიდი სავაჭრო ურთიერთობები უნდა ჰქონოდა ახლო თუ შორეულ ქვეყნებთან, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი კულტურული აღმავლობისთვისაც. მინოსურ ხელოვნებაში უხვად დაიძებნება სხვა კულტურათა გავლენის კვალი, რაც სულ არ უშლიდა ხელს საკუთარი გარემომცველი სამყაროს სილამაზით შთაგონებულ კრეტელ ხელოვანთ ყოფილიყვნენ თვითმყოფადნი და განუმეორებელნი.

მინოსური ცივილიზაციის გაქრობას უკავშირებენ მის თავს დატეხილ მოულოდნელ უბედობებს. უპირველეს ყოვლისა კი კუნძულ სანტორინზე (თირაზე) ამოხოქრებულ ვულკანს, რომელმაც დამანგრეველი მიწისძვრები გამოიწვია. სანტორინის კატასტროფამ გაანადგურა მინოსური კულტურის მრავალი კერა ეგეოსის ზღვის აუზში. მართალია, მინოსური კრეტა მას მთლიანად არ წაულეკავს, მაგრამ, როგორც ჩანს, შეარყია მისი ძალმოსილება. მეზობელ ხალხთა თავდასხმებმა და შინაბრძოლებმა კი ბოლო მოუღეს იმ ხანად უკვე დაქვეითების გზაზე დამდგარ მინოსურ ცივილიზაციას. თუმცა მისი კულტურის მონაპოვარი, გამოიარა რა საუკუნეები, ჯერ ბერძნული, ხოლო შემდეგ ევროპული ცივილიზაციის საკუთრებად იქცა.

**მინოტავროსი** – ბერძნ. „მინოსის ხარი", ურჩხული, რომელიც კრეტაზე აგებულ ***ლაბირინთში*** ბინადრობდა.

ზღვათა ღვთაება პოსეიდონი განრისხდა მეფე ***მინოსზე***, რომელმაც აღთქმული მსხვერპლი გადამალა (იხ. ***კრეტის ხარი***). მან დასაჯა მეფე იმით, რომ ***პასიფაეს***, მის მშვენიერ მეუღლეს, მბრწყინავი ხარის მიმართ საშინელი ვნება აღუძრა. იმ ხანად კრეტის სამეფო კარს თავს აფარებდა ათენელი ხელოვანი ***დედალოსი***, რომელმაც გამოთალა ხის ძროხა და იმ მუხნარში შეაგორა, სადაც პოსეიდონის მბრწყინავი ხარი ბალახობდა. პასიფაე ხის ძროხაში ჩასვა, თავად კი თვალს მიეფარა. პოსეიდონის ხარი დედალოსის ქმნილებას მიეჭრა, თანაეყო და ამ სახით პასიფაემ თავისი ვნება დაიცხრო. ამ კავშირის შედეგად დაიბადა შემზარავი ურჩხული, რომელსაც ხარის თავი და კაცის ტანი ჰქონდა. მას მინოტავროსი დაარქვეს და დედალოსის მიერ აგებულ ლაბირინთში გადამალეს. ეს ურჩხული ყოველწლიურად შთანთქავდა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომელთაც ხარკად უძღვნიდნენ ძლევამოსილ მეფე



თესევსი და მინოტავროსი. კრატერის ფრაგმენტი (ძვ. წ. 470 წ.). მადრიდი. ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.

მინოსს. ასეთ ხარკს თავად ათენის დიდი მეფე ***ეგევსიც*** კი იხდიდა. მინოტავროსი მოკლა მისმა ვაჟმა, ***თესევსმა***, ***არიადნეს*** დახმარებით. ეს მითოსი ხელოვნების მრავალ ქმნილებაში აისახა.

**მირმიდონები** – ბერძნ. აქაველთა ერთ-ერთი ტომის სახელი თესალიაში. მითის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მირმიდონები ***პელევსის*** წინამძღოლობით გადასახლებულან კუნძულ ეგინადან თესალიაში. ზოგი მითოგრაფოსის გადმოცემით, მირმიდონების წინაპარი ყოფილა მირმიდონი. მისი დედა იყო ევრიმედუსა, რომელსაც ***ზევსი*** ჭიანჭველას სახით გამოეცხადა (ქართულად „მერმექს" ჭიანჭველას ნიშნავს). არსებობს მირმიდონების მითოსის სხვა ვარიანტიც: ეგინას მოსახლეობა ჭირმა გაწყვიტა. მაშინ ზევსმა ეგინას მეფის თხოვნით ჭიანჭველები გარდასახა ადამიანებად. „ილიადა" მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ როგორ იბრძოდნენ მირმიდონები ტროას მისადგომებთან, ასრულებდნენ რა თავიანთი ბელადის, ***აქილევსის***, ყველა ბრძანებას.

ქარაგმულად მირმიდონებად უხმობენ იმ ადამიანებს, დავალებას რომ უსიტყვოდ და მორჩილად ასრულებენ.

**მირტილოსი** – ბერძნ. ***ჰერმესის*** ძე; ელისის მეფის, ***ოინომაოსის***, მეეტლე.

ოინომაოსი ***პელოფსმა*** დაამარცხა ეტლით სრბოლისას სწორედ იმიტომ, რომ მოისყიდა მისი მეეტლე მირტილოსი. თუმცა არც მისი დამხმარე დაინდო პელოფსმა და ზღვად მოისროლა. მირტილოსი შეჩვენებულ ღმერთებმა და მეეტლის თანავარსკვლავედად გარდასახეს.

**მისტერიები** – ბერძნ. „საიდუმლოებანი". სახელმწიფოებრივ კულტთა თაყვანისცემის იდუმალი რელიგიური წეს-ჩვეულებანი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საბერძნეთსა და რომში. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ განდობილებს, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ შეენახათ საიდუმლოდ ყველაფერი, რაც კი ხდებოდა მისტერიებისას (ლოცვები, ღვთაებათა საიდუმლო სახელები, რომელთაც ღვთისმსახურებისას წარმოთქვამდნენ და ა.შ.). მისტერიის საიდუმლოს ზიარებას მისტაგოგია ეწოდებოდა, ხოლო განდობილს – მისტესი. განდობა იწყებოდა განწმენდით, შემდეგი საფეხური იყო მსხვერპლის შეწირვა, ბოლოს ხდებოდა ღვთაებასთან ზიარება. მისტერიათა დროს აღსრულებული რელიგიური რიტუალები ხშირად წმინდა საიდუმლოთა თეატრალიზებული წარმოდგენით ბოლოვდებოდა. ასე მაგალითად, ბაქანალიის მონაწილენი წარმოსახავდნენ ***დიონისეს*** ტანჯვას, სიკვდილსა და კვლავ აღდგომას; ელევსინიებს ზიარებულნი – ***პერსეფონეს*** მოტაცებას. მისტერიებში მნიშვნელოვანი იყო ახლადზიარებულთათვის მითოსის მისტიური აზრის განდობა. მისტერიები ძირითადად ღამით სრულდებოდა ხოლმე საზეიმო სვლის, მუსიკის, სიმღერისა და როკვის თანხლებით. ძველ საბერძნეთში აღმატებული პოპულარობით სარგებლობდა ***დემეტრესა*** და პერსეფონეს პატივსადები მისტერიები (***ელევსინიები***), კაბირთა კულტთან დაკავშირებული სამოთრაკიული და დიონისური (ბაქური) მისტერიები.

რომში ფართო აღიარება მისტერიებმა რესპუბლიკური ხანის დამლევს მოიპოვეს. სწორედ იმ დროს გავრცელდა იქ ბერძნული, უფრო მეტად კი აღმოსავლური რელიგიური შეხედულებები. რომაული იმპერიის ბოლო ხანებში რომში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა ბახუსის (***ბაკქანალიები***), ***კიბელეს***, ***ისისისა*** და ***მითრას*** პატივსადები მისტერიები.

თავდაპირველად ამ იდუმალებით მოცულ დღესასწაულებს განდობილთა ღვთაებასთან ზიარების დანიშნულება უნდა ჰქონოდა. რელიგიურ წარმოდგენათა სრულყოფის კვალდაკვალ „განდობა" მოითხოვდა ზნეობრივ სიწმინდეს, რაც თავისთავად იმქვეყნიური ნეტარების საწინდარი უნდა ყოფილიყო.

**მითრა** – ინდ. „მეგობარი", „მეგობრობა", მეგობრობის, ფიცისა და ხელშეკრულების ღმერთი, იხსენიება ***ვარუნასთან*** ერთად, როგორც დღე და ღამე. იგი აკავებს სივრცეს ცასა და მიწას შორის, და წარმოდგენილია როგორც ცის დამჭერი; მისი დახმარებით ამოდის მზე, რომელიც მისი თვალია.

**მნემოსინე** – ბერძნ. ***ტიტანიდა***, ***ურანოსისა*** და ***გეას*** ასული; მეხსიერების განმასახიერებელი ღვთაება; ცხრა ***მუზის*** დედა.

მნემოსინეს ცხრა ქალიშვილი, ცხრა მუზა ***ზევსისაგან*** ჰყავდა. დედა ღვთაებას ხშირად გამოსახავდნენ თავის ასულთა დასში. ქარაგმულად „მნემოსინე" მეხსიერების მნიშვნელობით იხმარება საუბრისას.

**მოირები** – ბერძნ. ბედისწერის ქალღმერთები: ***ზევსისა*** და ***თემიდის*** ასულები (სხვა ვერსიით, ***ანანკეს*** ან ***ნიქსის*** ქალიშვილები); რომში მოირებს ***პარკებს*** უწოდებდნენ.

ძველ საბერძნეთში თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ ყოველ ადამიანს თან სდევდა თავისი მოირა (ხვედრი). ***ოლიმპიური რელიგიის*** გავრცელებასთან ერთად შეიქმნა მითოსი მოირათა სამეულზე. მათ სახელებიც შეარქვეს: ***ატროპოსი***, ***კლოთო*** და ***ლაქესისი***. ადამიანის ცხოვრება ერთიანად მათზე იყო დამოკიდებული. თუ ადრეულ ხანებში მოირებს ბნელ, უხილავ ძალებად მიიჩნევდნენ, რომელთაც არ ჰქონდათ ანთროპომორფული სახე, მოგვიანებით დაიწყეს მათი ძაფისმრთველ ბერიქალებად წარმოდგენა. ეს ადამიანური სიცოცხლის ძაფი იყო. კლოთო მას რთავდა, ლაქესისი – ცხოვრების ყველა განსაცდელში გაატარებდა, ატროპოსი (ბერძნ. „გარდაუვალი") კი – წყვეტდა, რაც იმ-

ის მაუწყებელი იყო, რომ ადამიანმა განასრულა თავისი სიცოცხლე. მოირები არა მარტო ადამიანებს, არამედ ღმერთებსაც სჯიდნენ შეცოდებისათვის და არ ცხრებოდა მათი რისხვა, ვიდრე ყოველი არ მიიღებდა თავის საზღაურს. რთული იყო ურთიერთობა მოირებსა და ოლიმპიელ ღმერთებს შორის. არქაული წარმოდგენების ტრადიციის ძალით, ღმერთების ბედსაც მოირები განაგებდნენ. მაგრამ როდესაც უზენაეს ძალაუფლებას ხელთ იგდებს ზევსი, ბედისწერის განმგებლობასაც თავად ლამობს. ამიტომაც უწოდეს მას „მორიოსიც" და „მოირაგეტესიც" („მოირათა წინამძღოლი" – ასეთივე ეპითეტებით მოიხსენიებდნენ აპოლონსაც). ათენში, ოლიმპიელი ზევსის ტაძარში, ზევსის ქანდაკების თავზე წარმოსახულნი იყვნენ მოირები და ყოველი ბერძენისათვის ცხადი იყო, რომ ბედიცა და ბედისწერაც მხოლოდ და მხოლოდ ამ უზენაეს ღვთაებას ემორჩილებოდა. ელინისტურ ეპოქაში მოირებს მეტოქეობას უწევდა ქალღმერთი *ტიქე* („შემთხვევითობა"), რომელიც ცხოვრების უდგრობასა და ცვალებადობას განასახიერებდა.

ძველად არც ისე ხშირად წარმოსახავდნენ მოირებს, თუმცა მათ მაინც ვხვდებით მხატვართა ტილოებზე (რუბენსი, გოია და სხვა). თანამედროვე მეტყველებაში შემორჩა გამოთქმა „ცხოვრების ძაფი".

**მომოსი** – ბერძ. ავსიტყვაობისა და გაქირდვის განსახიერება; *ნიქსის* ძე.

მომოსი ითვლება *თანატოსის*, *ჰიპნოსის*, *ჰესპერიდების*, *მოირების*, *ნემესისისა* და *ერისის* ძმად, ანუ იგი დაკავშირებულია ბნელ და ავისმომასწავებელ კოსმიურ ძალებთან. მომოსის რჩევით დაიწყო *ზევსმა ტროას ომი*, რათა მოესრა ადამიანთა მოდგმა, რათა შეემსუბუქებინა დედამიწა. მომოსი კიცხავდა ზევსსა და *ათენას*, *ჰეფესტოსა* და *პოსეიდონს* იმის გამო, რომ ისინი მფარველობდნენ ადამიანებს. მომოსი თურმე სიბრაზისაგან გასკდა, როდესაც *ოლიმპოს ზე* აღზევებულ *აფროდიტეს* ვერ უპოვნა ნაკლი, რომლის გაქირდვასაც შეძლებდა. ბოლოსდაბოლოს მომოსმა თავისი ავსიტყვაობით თავი მოაბეზრა ზევსს და უზენაესმა ღვთაებამ იგი ოლიმპოსიდან გააძევა.

**მორმო** – ბერძ. საფრთხობელა. მისი სახელით აშინებდნენ ბავშვებს ძველ საბერძნეთში. მორმოს სხვა სახელია „მორმოლიკა".

**მორფევსი** – ბერძ. სიზმრის ღმერთი; ძილის ღვთაება *ჰიპნოსის* ძე.

ანტიკურ ხელოვნებაში მორფევსს წარმოსახავდნენ ფრთაშესხმულ მოხუცად, რომელსაც სხვადასხვა სახის მიღება ძალუძდა (ბერძნული სიტყვა „მორფე" ასევე ითარგმნება: „სახე", „ფორმა"). იგი ძილში ეცხადებოდა ხოლმე ადამიანებს. მითოსის გავრცელებული ვერსიის თანახმად, ჰიპნოსს სამი ძე ჰყავდა. მათგან მხოლოდ მორფევსს შეეძლო ადამიანური სახის მიღება. დანარჩენები ცხოველებისა და ბუნების მოვლენებს ბაძავდნენ.



*მორფევსი. ჟ. გუდონის ქანდაკება. მარმარილო (1769 წ.), პარიზი, ლუვრი.*

**მოფსოსი** – ბერძ. მისანი.

ამ სახელით ბერძნულ მითოლოგიაში ორი მისანია ცნობილი:

1. ერთი მოფსოსი *აპოლონისა* და *ნიმფა ქლორისის* ძეა. სხვა ვერსიით, მისი მამა ამპიკოსი იყო, თესალიელი ლაპითების ჩამომავალი. ამ მოფსოსმა სამ დიდ საგმირო საქმეში მიიღო მონაწილეობა. მითები გვისახელებენ *კალიდონის ნადირობას*, *ლაპითებისა* და *კენტავრების* ომს, *არგონავტების* ლაშქრობას. ისინი მოგვითხრობენ აგრეთვე მოფსოსისა და ამორძალების დედოფლის – მირინას ორთაბრძოლაზე. მოფსოსი ყოფილა პირველი მოკვდავი, ვისთვისაც *აპოლონს* ფრინველთა ფრენასა და გალობაზე დაკვირვებით მომავლის განჭვრეტა უსწავლებია.

მოფსოსი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც არგონავტებთან ერთად შინ ბრუნდებოდა. ლიბიის უდაბნოში მისანი გველმა დაგესლა. მადლიერმა თანამგზავრებმა იგი დიდი პატივით მიაბარეს ლიბიის მიწას, სადაც მოგვიანებით თაყვანს სცემდნენ, ვითარცა გმირს, რომელსაც ჰქონდა *ორაკული*.

2. მეორე მოფსოსი კოლფონიდან იყო, კრეტელი რაკიოსისა და მანტოს ძე. მას ცნობილი მისნის, *ტირესიასის*, ჩამომავლად თვლიდნენ, რადგანაც მანტო ტირესიასის ასული იყო. სწორედ ამ მოფსოსმა დაამარცხა ბრძენი *კალქასი* მისნობის ხელოვნებაში. გარდაიცვალა იგი ამფილოქოსთან ორთაბრძოლის ჟამს კილიკიაში. მოფსოს თაყვანს სცემდნენ, როგორც გმირს; მას ჰქონდა ორაკულები კოლფონსა (იონია) და კილიკიაში.

**მუზები** – ბერძ. თავდაპირველად მუზებს სიმღერის ქალღმერთებად მიიჩნევდნენ, მოგვიანებით კი პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველ ღვთაებებად შერაცხეს.

მუზები *ზევსისა* და *მნემოსინეს* ქალიშვილები არიან. არსებობს ვერსია, თითქოს ისინი *ურანოსისა* და *გეას* სიყვარულით იშვნენ. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ მუზები ბეოტიაში მდებარე *ჰელიკონის* და *პარნასოსის* მთად ბინადრობდნენ, იქ, საიდანაც სათავეს იღებდნენ *კასტალიისა* და *ჰიპოკრენეს* წმინდა ნაკადულები. თუმცა მათი საყვარელი სავანე იყო პიერიის მთის მწვერვალები. სწორედ ამ მთათა ფერდობებზე, სადაც უჭკნობად ბიბინებდა მწვანე ბალახი, ღვთაებრივ იალაღებზე, ხვდებოდნენ ხოლმე ხელოვნების მფარველი ქალღმერთები უკვდავ *აპოლონს*, რომელსაც თავის წინამძღოლად, მუსაგეტესად, თვლიდნენ. როდესაც დაფნის გვირგვინით დამშვენებული, მედიდურად თავაღებული აპოლონი წინ მიუძღოდა მუზათა ქოროს, ხმატკბილი ჰანგები ეფინებოდა მიდამოს. დროდადრო *ოლიმპოს ზეც* იწვევდა ხოლმე აპოლონი მუზათა დასს. მაშინ ღვთაებრივი სიმღერით მონუსხულ ღმერთთა სამეფოში სიმშვიდე ისადგურებდა. ზოგჯერ *დიონისეს* თანამავალთა



*მუზა ჰელიკონის მთაზე. ლეკითოსის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 440 წ.), ლუგანო, კერძო კოლექცია.*




*მუზა ქნარით ჰელიკონის მთაზე. ლეკითოსის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 440 წ.), ლუგანო, კერძო კოლექცია.*



*მუზა კალიოპე. ბერძნული ორი-გინალებიდან (ძვ.წ. III-II ს.ს.). სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი.*



*მუზა ტერფსიქორე. ბერძნული ორიგინალებიდან (ძვ.წ. III-II ს.ს.). სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი.*

შორისაც მოიხსენიებდნენ მუზებს, რომლებიც მის სადიდებელ ზეიმზე დრამატულ სიმღერებს მღეროდნენ.

გვიანი ხანის საბერძნეთში თითოეულ მუზას ხელოვნებისა და მეცნიერების ცალკეული დარგის მფარველობა მიენდო. მხატვრები და მოქანდაკეები მათ განსხვავებული და მუდმივი ატრიბუტებით წარმოსახავდნენ, რათა მხილველებს იოლად გაერჩიათ ერთმანეთისაგან: **კალიოპე** („ხმა მშვენიერი"), ჰეროიკული პოეზიის მუზას, ხელთ ეპყრა სტილოსი და გასანთლული დაფა; **კლიო** („განმადიდებელი"), ისტორიის მუზას, პერგამენტის გრაგნილი; **ევტერპე** („ხალისიანი"), ლირიკის მფარვ-



*სამი მუზა. მარმარილო (ძვ.წ. 320 წ.). ათენი. ნაციონალური მუზეუმი.*

ელს. ფლეიტა; ***თალიას*** („მომხიბლავი"), კომედიის მუზას, კომიკური ნიღაბი და არგანი; ***მელპომენეს*** („მომღერალი"), ტრაგედიის მუზას, ტრაგიკული ნიღაბი და კომბალი ან მახვილი; ***ტერფსიქორე*** („ცეკვისმოყვარე") ლირით ხელში წარმოგვიდგება, იგი ცეკვას ასწავლის ადამიანებს; ***ერატო*** („მოსიყვარულე") სატრფიალო სიმღერებს მღერის ლირის თანხლებით. ***პოლიჰიმნიას*** („ჰიმნებით უხვი") რელიგიური დღესასწაულებისათვის განკუთვნილი მოსასხამი მოსავს, რადგანაც იმ პოეტებს შთააგონებდა, ჰიმნებს რომ თხზავდნენ; ***ურანიას*** („ზეციური"), ვარსკვლავთმრიცხველთა მფარველ ღვთაებას კი ასტრალური გლობუსი ამშვენებს.

მუზები კეთილი ქალღმერთები იყვნენ და განსაკუთრებით სწყალობდნენ მგოსნებს. მაგრამ თუ ვინმე ისე გაკადნიერდებოდა, რომ მათ მუსიკობაში გამოიწვევდა, სასტიკად სჯიდნენ (იხ. ***თამირისი***). მუზებმა იცოდნენ წარსულიც, აწმყოც, მომავალიც და დიდებულ ამბებს უამბობდნენ ხოლმე პოეტებს, რომლებიც მადლიერების ნიშნად, ყოველი ქმნილების დასაწყისში სწორედ მათ მიმართავდნენ.

მუზათა კულტი გავრცელებული იყო მთელს საბერძნეთში. მათ სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებდნენ: ***პიერიდები***, ჰელიკონიდები, პარნასიდები, კასტალიდები და ა.შ. მუზათა ტაძრებს ***მუსეიონები*** (ანუ მუზეიონები) ეწოდებოდათ. სწორედ ამ სახელწოდებიდან მომდინარეობს თანამედროვე „მუზეუმი". სიტყვა „მუსიკაც" მუზათა სახელს უკავშირდება.

რომში მუზებს კამენებად უხმობდნენ. თავდაპირველად კამენები იმ წყაროს ***ნიმფები*** იყვნენ, ***ვესტას*** ტაძრის მახლობლად რომ მიედინებოდა. ძვ. წ. III საუკუნეში მათ მუზები შეარქვეს და ხელოვნების მფარველ ღვთაებებად აღიარეს.

მუზათა სახეები ღრმად აღიბეჭდა ყველა დროის შემოქმედთა აზროვნებაში. ანტიკურ სამყაროშივე დამკვიდრდა გამოთქმა „მეათე მუზა", რომელიც პირველად ფილოსოფოსმა პლატონმა დიდებულ პოეტესას, საპფოს უწოდა. დღეს ამ გამოთქმით აღნიშნავენ ახალ მიღწევებს ხელოვნებაში („მეათე მუზას" უწოდებდნენ ჯერ კინოს, შემდეგ კი – ტელევიზიას).

**მუთუ** (**მოთი**) – უგარ. „სიკვდილი", სიკვდილის ღმერთი, რომელიც გამუდმებით ებრძვის ბაალს; იმარჯვებს ხან ერთი, ხან მეორე. როცა მუთუ მარცხდება, ის გაცამტვერებულია, მიბარებულია მიწას, მაგრამ კვლავ აღორძინდება, რათა განახლებული ძალით ეკვეთოს მოწინააღმდეგეს. ბაალს, როგორც ქვეყნიერების მეფეს და პატრონს, აუშენებენ სასახლეს და, მისი ნების წინააღმდეგ, როგორც სიახლეს, კედელში ფანჯარას დაატანენ; ფანჯრიდან შეიჭრება მუთუ და აქედან იწყება მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

**მუსაგეტესი** – ბერძნ. ***აპოლონის ეპიკლესა***. იხ. ***მუზები***.

**მუსეიონი** – თანამედროვე მუზეუმი. თავდაპირველად ასე უწოდებდნენ მუზათა წმინდა ადგილებს, მუზათა ტაძრებს, ხელოვნების ქმნილებებისათვის განკუთვნილ ნაგებობებს. მუსეიონი ანტიკური საბერძნეთის მრავალ ქალაქში არსებობდა. საყოველთაოდ იყო ცნობილი პტოლემაიოს სოტეროსის მიერ ძვ.წ.280 წელს ალექსანდრიაში დაარსებული მუსეიონი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ბერძნული კულტურის გავრცელების საქმეში. ამ მუსეიონის ბიბლიოთეკაში პაპირუსის შვიდასამდე გრაგნილი ინახებოდა. განათლებისა და კულტურის ეს დიდებული ძეგლი რომაელებმა გაანადგურეს, როდესაც ჩვ.წ.273 წელს დაარბიეს ალექსანდრია.

**მუსეოსი** – ბერძნ. მითოსური მგოსანი, პოეტი და მისანი; ***ორფევსის*** საყვარელი მოწაფე.

ზოგი გადმოცემის თანახმად, მუსეოსი ორფევსის შვილია. მას მრავალი თხზულების შექმნას მიაწერენ. მათ შორის ასახელებენ პოემა „ევმოლპეას". მუსეოსის ქმნილებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

**მუტა** – რომ. ***ნიმფა*** იტალიურ მითოსში.

როდესაც ნიმფა ***იუტურნა*** შეიყვარა ***იუპიტერმა***, მისმა ენაჭარტალა დამ, ლარამ, ეს ამბავი ამცნო ***იუნოს***. განრისხებულმა იუპიტერმა ლარას მეტყველების უნარი წაართვა. სწორედ მას შემდეგ შეერქვა ლარას მუტა ანუ მუნჯი. მოგვიანებით მუტა ***მერკურიუსის*** საყვარელი გახდა და მისგან ტყუპი ძე გააჩინა. მუტას ხშირად აიგივებდნენ მდუმარების რომაულ ქალღმერთ ტაკიტასთან.



*მუსეოსი, ორფევსის მოწაფე. ამფორას ფერწერა (ძვ.წ. 440 წ.). ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი*

# ნ

**ნაბუ** – ბაბილონ. ,,ხმობა", პანთეონის ღვთაება, *მარდუქის* ძე და მრჩეველი, ქ. ბორსიფას პატრონი. ნაბუ ითვლება სიბრძნის და, განსაკუთრებით მწერლობის და დამწერლობის შთამაგონებელ და მფარველ ღვთაებად. მას მიეწერება დამწერლობის შექმნა, რაც ჩანს მის ეპითეტებში – ,,შემქმნელი დამწერლობის ნიშნებისა", ,,დაფის ლერწმის (ე. ი. საწერი ლერწმის) უფალი". ამის გამო მის განკარგულებაშია ,,ბედისწერათა დაფები".

როდესაც აშურეთის მეფემ აშურბანიფალმა თავისი განთქმული დაფათსაცავი (,,ბიბლიოთეკა") შექმნა, პირველ რიგში, ნაბუს მიმართა, რათა მას წრფელი თვალით მოეხედნა დაფათსაცავისთვის და მისი შემქმნელისთვის. ,,ნაბუ, მეუფეო ცათა და ხმელისა დაფათსაცავს ამას წრფელად მოხედე! აშურბანიფალს, შენი ღვთიურობის მოშიშს, დღენიადაგ წყალობდე".



*ნაბუ (ძვ.წ. IX ს.). ქ. ბაღდადი. ერაყის მუზეუმი.*

ნაბუ ძირითადად ძე-ღმერთი იყო, მაგრამ ისევე, როგორც მარდუქმა (აგრეთვე ძემ) დაჩრდილა თავის მშობელი *ეა* და რეალურ კულტში უპირატესობა მოიპოვა მასზე, ასევე ახალბაბილონურ ხანაში ნაბუ იჭერს მარდუქის ადგილს. ხშირდება თეოფორული სახელები ნაბიუმ-აფლა-უცურ, ნაბიუმ-ქუდურრი-უცურ (ნაბუქოდონოსორი) ნაბიუმნაიდ და სხვა.

ნაბუს თაყვანისცემა არ შემწყდარა ბაბილონის სამეფოს დაცემის შემდეგაც. იგი გრძელდება სპარსელთა ბატონობის დროს და მის მერეც – ელინისტურ ხანაში. შემორჩენილია ანტიოქოს I სოტერის ლოცვა ნაბუს მიმართ აქადურ ენაზე. ასე რომ, მან ყველაზე დიდხანს გაძლო ბაბ. პანთეონის ღვთაებათა შორის.

ნაბუ, როგორც დამწერლობის შთამაგონებელი და პატრონი, ენათესავება ეგვიპტელთა *თოთს* და ბერძენთა *ჰერმესს*. მისი ნიშანი არის თიხის დაფაზე საწერი ლერწმის ღერი (,,დაფის ლერწამი"). საგულისხმოა აშურბანიფალის, მწერლობის მეცენატი მეფის, ურთიერთობა ნაბუსთან. შემორჩენილია ტექსტი, სადაც ეს ღმერთი ამგვარად მიმართავს მეფეს: ,,ნუ გეშინია, აშურბანიფალ, მე გაძლევ შენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, შთაგბერავ კეთილ სუნთქვას... შენ პატარა ხარ, აშურბანიფალ, ზიხარ ნანევიის დედოფლის, ქალღმერთის, მუხლებზე: მისი ოთხი ძუძუ გიდევს პირში, შენ სწოვ ორს, ხოლო ორით სახეს იფარავ... შენ ფეხზე დადგები, აშურბანიფალ, დიდი ღმერთების წინაშე, შენ განადიდებ ნაბუს".

**ნავლონი** – ბერძ. ასე უწოდებდნენ იმ მისაგებელს, ბერძნები რომ ატანდნენ მიცვალებულებს *ქარონისათვის*, რათა მას მდინარე *სტიქსზე* გადაეყვანა მათი სულები. ნავლონი იყო ჩვეულებრივი მომცრო მონეტა, რომელსაც ცხედარს პირში უდებდნენ.

**ნავსიკაა** – ბერძ. ფეაკთა მეფის, ალკინოოსისა და არტეს მშვენიერი ასული.

მას ჰომეროსის ,,*ოდისეაში*" ვხვდებით პირველად: როდესაც *ოდისევსი* ნიმფა *კალიფსოს* კუნძულს დატოვებს და მშობლიური ნაპირებისაკენ გაემართება, *პოსეიდონი* ზღვას აალელვებს. ოდისევსის ტივი დაიშლება. ზვირთები გმირს ფეაკების კუნძულ სქერიაზე გარიყავენ. ძალგამოცლილს და სასომიხდილს ზღვის ნაპირთან ჩაეძინება. ამასობაში ქალღმერთი *ათენა* სიზმარში გამოეცხადება ნავსიკაას და ჩააგონებს, მეგობარ გოგონებთან ერთად ზღვის ნაპირისაკენ გაემართოს ტანსაცმლის გასარეცხად. ქალიშვილების მხიარულ ხმაზე გამოფხიზლდება ოდისევსი. ნავსიკაას მოეწონება ეს მშვენიერი მამაკაცი, ტანს შეუმოსავს და სახლისაკენ წარუძღვება. იმედი ჰქონდა მეფის ასულს, რომ ოდისევსი მისი მეუღლე შეიქნებოდა. როდესაც იგრძნო, თუ როგორ სურდა გმირს სამშობლოში დაბრუნება, სიყვარულით დაემშვიდობა და ისღა სთხოვა, არასოდეს დავიწყებოდა. ვინც დაღუპვას გადაარჩინა. გვიანი ხანის თქმულებები ნავსიკაას *ტელემაქოსთან* შეაუღლებენ.

ოდისევსისა და ნავსიკაას შეხვედრამ, ჰომეროსის პოემის ამ ერთ-ერთმა ულამაზესმა ეპიზოდმა, მწერალთა და მხატვართა ყურადღებაც მიიპყრო. ცნობილია, რომ სოფოკლეს ამ თემაზე დაუწერია ტრაგედია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

**ნაიადები** – ბერძ. წყალთა *ნიმფები*: ზოგჯერ მათ *ოკეანოსისა* და *თეტისის* ჩამომავლებად მიიჩნევდნენ.

თავისი ნაიადა ჰყავდა ყოველ მდინარეს, ნაკადულსა თუ წყაროს, რომელთა სახელები მათივე ნაიადების შესამსგავსი იყო. ნაიადები იყვნენ ღმერთების აღმზრდელებიც, მეუღლეებიც. მათ თაყვანს სცემდნენ, როგორც ადამიანებისადმი კეთილგანწყობილ ბუნების ძალთა და ქორწინებათა მფარველებს. ნაიადებს წინასწარმეტყველებაც შეეძლოთ და განკურნებაც (განსაკუთრებით წყაროთა ნაიადებს), მღერაცა და ლექსების თხზვაც.

**ნამთარი** – შუმ. „ბედისწერა“, სიკვდილისა და უბედურების დემონი. იგი არის ქვესკნელის დედოფლის, *ერეშქიგალის*, ვაზირი და მაცნე, რომელსაც თავის ქალბატონი (რაკი თავად ქვესკნელის დატოვება არ შეუძლია), აგზავნის ხოლმე ზედა სამყაროს ღმერთებთან ამბის მისატანად. ზოგან ნამთარი „ერეშქიგალის ნაშიერად“ იწოდება, ზოგან „*ენლილის* საყვარელ ძედ“. ნამთარის, როგორც სიკვდილის დემონის ხასიათი კარგად ჩანს ერთ ასურულ ტექსტში, სადაც აღწერილნი არიან მკვდართა სამეფოს ზინადარნი: „ნამთარი, ქვესკნელის ვაზირი, განაჩენთა აღმსრულებელი ეიხილე. ერთი კაცი იდგა მის წინაშე, ნამთარს მარცხენა ხელით მისი თმა ეჭირა, მარჯვენაში მახვილი ეპყრა...“ შუმ. ანდაზებში ნამთარი ამგვარად არის დახასიათებული: „ნამთარი ძაღლია, რომელიც იკბინება“, „ნამთარი ძაღლია, რომელიც უკან ედევნება კაცს“, „ნამთარი მძვინვარე ქარიშხალია, რომელიც დაქრის შუმერის ქვეყნად“.

**ნამუ** – შუმ. პირველარსებული წყლის სტიქიონის პერსონიფიკაცია, ზღვაური ქალღმერთი, „უსძლო“ და უქორწინებელი, რომლის საშოში მოქცეული იყო ჯერ კიდევ განუწვალებელი ცა და მიწა, ანუ მთელი სამყარო ქაოტურ მდგომარეობაში. აქედან მისი ეპითეტი – „მშობელი დედა ცისა და მიწისა“, მეორე ეპითეტი – „წინაპარი დედა, მშობელი ურიცხვი ღმერთისა“ ნამუს თეოგონიურ ასპექტს წარმოგვიდგენს. შუმ. ტექსტებში არ არის შემონახული ნამუს კოსმოგონიური ღვაწლის ამსახველი სიუჟეტი.

**ნანა** – ბერძნ. ნიმფა, ბუნების ფრიგიული ღვთაების, ატისის დედა (იხ. *კიბელე*).

**ნანარი, ნანა** – შუმ. მთვარის ღმერთის, სინის შუმერული სახელი. იგი ენლილის ძეა. *ნანარი*, რომელიც ქალაქ *ურშია* დაფუძნებული, გადაწყვეტს ესტუმროს მამას ნიფურში, მის მთავარ ტაძარში. დატვირთავს ხომალდს, რომლის სახელია ნისანგ „პირველნაყოფთა ნავი“, ყველა ჯიშის ხითა და ცხოველებით და აღმა აყვება ევფრატს ნიფურისაკენ. იგი გაივლის რამდენიმე მთავარ ქალაქს, რომლის მფარველი ღმერთები ესალმებიან მას და აკურთხებენ. ბოლოს, ნანარი მიაღწევს ნიფურს, სადაც ენლილის ტაძრის მცველს შეუთვლის, რომ გაუღოს ტაძრის კარი. იგი მოვიდა, რათა გამოკვებოს ცხვარ-ძროხა, აავსოს კალათები ფრინველთა კვერცხებით, მიხედოს ლერწმებს ჭაობებში, აავსოს იქაურობა გარეული ღორებითა და თევზებით. მეკარე სიხარულით ულებს კარიბჭეს და ენლილი, საყვარელი ძის ხილვით გახარებული, წვეულებას მართავს მის პატივსაცემად. აცხობინებს მის საყვარელ ნამცხვრებს და პურებს, უხვად ადუღებინებს ლუდს. ხოლო უკანა გზაზე, ურისკენ გაბრუნებულს, ატანს ნაყოფიერების სიუხვეს: თევზებისას – მდინარეებში, მარცვლეულისას – მინდვრებში, ლერწმისას – ჭაობებში, მცენარეულისას – უდაბნოებში, ხარირმებისას – ტყეებში და, ბოლოს, დღეგრძელობას – სასახლეში. ეს მოგზაურობა მწყემსისა, როგორიც მთვარის ღმერთია, რიტუალური ხასიათისაა: ნანარი ყოველწლიურად ეწვევა ნიფურს და უძღვნის მას მეცხოველეობის პროდუქტებს, ხოლო ნიფურიდან სანაცვლოდ სამიწათმოქმედო კულტურის ნაყოფები მიაქვს. ამ რიტუალს ყოველწლიურად, ცხადია, ტაძრის მსახურები და მოსახლეობა ასრულებენ.

**ნანშე** – შუმ. შუმერული ქალაქის ლაგაშის ერთ-ერთი მფარველი ქალღმერთი, *ნინგირსუს* ღვთაებრივი ცალი. ქალაქის მთაერის (გუდეას) სიზმრების ამხსნელი.

**ნარამსინი** – აქად. „სინის ნებიერი“. აქადის დინასტიის პირველი გაღმერთებული მეფე, რომლის სახელი მუდამ ღვთაების მანიშნებელი დეტერმინატივის თანხლებით იწერება ტექსტებში. ნარამსინი იყო *სარგონ* აქადელის შვილიშვილი, რომელმაც დაასრულა თავისი პაპის საქმე – გააერთიანა შუამდინარეთი და განავრცო იმპერიის საზღვრები ოთხივე კუთხის მიმართულებით, რაც აისახა კიდეც მის ტიტულატურაში („მეფე ოთხივე კუთხისა“).

ნარამსინის საქმენი მოთხრობილია რამდენიმე ეპიურ თხზულებაში, სადაც იგი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, როგორც ძლევამოსილი გმირი, მეორე მხრივ, მკრეხელი, *შუმერის* ძველი ტაძრების გამანადგურებელი და წამბილწველი. მოგვიანო ეპოქაში შექმნილი შუმერული ტექსტი ნარამსინს წარმოგვიდგენს დინასტიის უკანასკნელ მეფედ, რომელსაც უწია შუმერის ღმერთების შურისგებაში შუმერის ტაძართა ხელყოფისათვის.



*ნარამსინის ლაშქრობა მთაში. ქვიშაქვის სტელა (დაახ. ძ.წ. 2300 წ.). პარიზი, ლუვრი*

ყველაზე მკაფიოდ მისი პიროვნება წარმოგვიდგება ცნობილ სტელაზე, სადაც იგი გამოსახულია ღვთაებრივი ნიშნით – რქიანი მუზარადით, მთიანეთის უმაღლესი მწვერვალის პირისპირ მდგარი, მტერთა ფეხით მთრგუნავი; მას თავზე დაჰნათის სამი ვარსკვლავი იმის ნიშნად, რომ ნარამსინი გასცდა ადამიანობის ზღვარს და ღმერთების საუფლოს ეზიარება.

**ნარკისოსი** (ნარცისი) – ბერძ. მშვენიერი ჭაბუკი; ზღვის ღმერთის, კეფისოსის და ***ნაიადა*** ლირიოპეს ვაჟი.

ნარკისოსმა თავისი გამოსახულება იხილა წყალში, შეიყვარა და ამ სიყვარულით დალია სული. ღმერთებმა იგი ყვავილად გარდასახეს და ამ მშვენიერ ყვავილს მისი სახელი უწოდეს (იხ. ***ექო***). ნარკისოსის მითოსზეა შექმნილი კალდერონის დრამები, გლუკისა და სკარლატის ოპერები და სხვა.

გადატანითი მნიშვნელობით ნარკისოსს (ნარცისს) უწოდებენ საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანს.



*ნარკისოსი. მ. კარავაჯოს ნახატი (1609 წ.). რომი. ნაციონალური მუზეუმი.*

**ნედუ** – შუმ. „გამღებელი", ქვესკნელის ანუ მკვდართა სამეფოს, ***არალუს*** მეკარე, რომელსაც აბარია მისი შვიდივე კარიბჭე. ნედუ ულებს კარს ქვესკნელად ჩამავალ ***ინანას*** და თან ყოველი კარიბჭის წინ ატოვებინებს თითო შესამოსელს და სამკაულს. ნედუ უშუალოდ ემორჩილება ***ერეშქიგალს***, რომელსაც მოახსენებს ხოლმე კარსუკან მდგარი ახალმოსულის ვინაობას. ნედუს თავი ლომისა აქვს, ხელები – ადამიანისა, ქვემო კიდურები – ფრინველისა.

**ნელევსი** – ბერძ. პილოსის მეფე; ელიდელი დედოფლის, ტიროსა და ***პოსეიდონის*** ძე.

ტირომ მიაგდო თავისი ტყუპები – ნელევსი და პელიასი, რომლებიც მალულად შვა და ცოლად გაჰყვა იოლკოსის მეფე კრეთევსს. ჩვილები იპოვნეს მწყემსებმა და აღზარდეს. კრეთევსის გარდაცვალების შემდეგ ძმები ერთმანეთს აეშალნენ იოლკოსის სამეფო ტახტის გამო. ნელევსი დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო მესენიაში, სადაც ცოლად შეირთო ქლორისი, რომლისგანაც 12 ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინა. მესენიაში ნელევსმა დააარსა ქალაქი პილოსი და პილოსელ მეფეთა მამამთავარი გახდა. როდესაც ჰერაკლეს იფიტოსი შემოაკვდა, ნელევსს ეწვია და ცოდვათაგან განწმენდა სთხოვა. ნელევსმა იგი არ მიიღო. ჰერაკლემ მოგვიანებით ამოხოცა მისი ყველა ვაჟი ნესტორის გარდა. სწორედ ნესტორი დაეპატრონა ბოლოს პილოსის სამეფო ტახტს.

**ნემეას ლომი** – ბერძ. შემზარავი ცხოველი, რომელიც არგოლისის ქალაქ ნემეას მახლობლად ბინადრობდა; ქოფაკ ***ორთროსისა*** და ***ექიდნას*** ნაშიერი, რომლის რვალივით კანი ისხლიტავდა ისარს თუ მახვილს.

ეს მძვინვარე ლომი უმოწყალოდ აჩანაგებდა არგოლისს. მას შიშით ვერავინ ეკარებოდა. მხოლოდ გმირმა ***ჰერაკლემ*** შეძლო მასთან შერკინება. ჯერ არაადამიანური დარტყმით გააბრუა იგი, შემდეგ მკლავებში მოიმწყვდია და მოახრჩო. ეს ჰერაკლეს მიერ აღსრულებული პირველი გმირობა იყო. გამარჯვების აღსანიშნავად მან დააწესა ***ნემეური ასპარეზობები***, თავად კი მუდამ ამ ლომის ტყავი ჰქონდა მოსხმული. ასე წარმოსახავდნენ მას ანტიკური ხანის მხატვრებიცა და მოქანდაკენიც.

**ნემესისი** – ბერძ. ბედის განმსახივრებელი ღვთაება; ***ნიქსის*** ასული; ერთ-ერთი უძველესი და აღმატებულად პატივდებული ქალღმერთი ძველ საბერძნეთში.

თავდაპირველად „ნემესისი" ბედის იდეიდან გამომდინარე მორალურ-ეთიკური გა-



*ჰერაკლეს ბრძოლა ნემეას ლომთან. ამფორას ფერწერა (ძვ.წ. 520 წ.). ბრიტანეთის მუზეუმი.*



ნემესისა. რომაული მარმარილოს ქანდაკების ასლი (ძვ.წ. 430 წ.). რომი, ვატიკანის მუზეუმი

გების შემცველი მცნება იყო. მოგვიანებით იგი დადგენილი ჰარმონიულობის დამრღვევთა დამსჯელ ქალღმერთად წარმოსახა ბერძენთა ცნობიერებამ. ნემესისისგან ისჯებოდა გარდამეტებული ბედნიერება, ზღვარს გადასული სიამაყე, ამპარტავნობა და ა.შ. ბოლოს ნემესისი შურისგების ღვთაებად იქცა.

ერთ–ერთი მითის თანახმად, ნემესისი დაინახა ***ზევსმა*** და მისი დამორჩილება მოიწადინა. უზენაესი ღმერთის მზერას რომ განრიდებოდა, ნემესისმა სხვადასხვა ცხოველად თუ ფრინველად იწყო გარდასახვა. ზევსმა გედის სახე მიიღო და ბატად ქცეულ ნემესისს შეერთო. მოგვიანებით ქალღმერთმა კვერცხი დადო და ***ლედას*** შეუგორა კალთაში. ამ კვერცხიდან კი მშვენიერი ***ელენე*** გამოიჩეკა.

ნემესისის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული საბერძნეთში. მას თაყვანს სცემდნენ რომშიც, უპირატესად მებრძოლები და გლადიატორები. ნემესისს წარმოსახავდნენ ჩაფიქრებულ, ტანმაღალ ქალად ისეთი ატრიბუტებით, რომლებიც მეთვალყურეობაზე. სასჯელზე ან სისწრაფეზე მიანიშნებდნენ (სასწორი, ალვირი, მახვილი, ფრთები, ეტლი, რომელშიც ლომ–არწივები იყვნენ შებმულნი). გადატანითი მნიშვნელობით ნემესისი ბედს ან შურისგებას აღნიშნავს. ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო დიურერის გრავიურებმა სახელწოდებით „ნემესისი" ან „დიდი ბედნიერება".

**ნემეური თამაშები** – საერთობერძნული ასპარეზობები, რომელიც არგოლისში (სამხრეთ საბერძნეთი) ტარდებოდა, ნემეას ველზე ***ზევსის*** საკურთხეველთან. მითოსის თანახმად, ამ ზეიმის დაარსება მიეწერება არგოლისის მეფე ადრასტოსს. უფრო გავრცელებული ვერსიით, ზეიმი დააწესა გმირმა ***ჰერაკლემ*** მას შემდეგ, რაც ნემეას მძვინვარე ლომი მოახრჩო. ნემეები ტარდებოდა ოლიმპიადის ყოველ მეორე და მეოთხე წელს.



დორიფოროსი. პოლიკლეტოსის ქანდაკების რომაული ასლი (ძვ.წ. 440 წ.). ნეაპოლი. არქეოლოგიური მუზეუმი.

მოასპარეზეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სრბოლაში. გამარჯვებულის ჯილდო იყო ზეთისხილის ან ნიაზურის გვირგვინი. ეს თამაშები დაივიწყეს ქრისტიანობის დადგომისთანავე.

**ნენია** – რომ. დასატირებელი სიმღერა, რომელსაც მოზარე ქალები ასრულებდნენ ძველ რომში. სამგლოვიარო სიმღერათა განმასახიერებელ ქალღმერთსაც ნენია ერქვა. რომში არსებობდა მისი სახელობის ტაძარი. ლიტერატურაში ნენია ზოგჯერ ნაღვლიან ლექსთა სინონიმადაც გვევლინება.

**ნეოპტოლემოსი** – ბერძ. *აქილევსისა* და დეიდამიას ძე; მას სხვაგვარად პიროსი ერქვა.

აქილევსს ბედად ეწერა ან *ტროას ომში* გაეთქვა სახელი და ახალგაზრდა, მაგრამ დიდებით მოსილი დაღუპულიყო, ან შინ მჯდარიყო და უსახელოდ განელია ხანგრძლივი ცხოვრება. როდესაც ტროას ომი დაიწყო, იგი დედა–*თეტისმა* გადამალა კუნძულ სკიროსზე, სადაც ჭაბუკი დაუკავშირდა მეფე ლაკომედესის ასულ დეიდამიას, რომელმაც მას უშვა ვაჟი სახელად ნეოპტოლემოსი.

მოხდა ისე, რომ აქილევსი მაინც ჩაება ტროას ომში, რომელიც ათი წელი გაგრძელდა. აქაველთათვის ცნობილი გახდა, რომ ეს ომი ნეოპტოლემოსის გარეშე ვერ დასრულდებოდა. მაშინ *ოდისევსმა* და *ფოინიქსმა* ჭაბუკი ტროაში ჩამოიყვანეს. ნეოპტოლემოსი აქილევსის აღსაჭურველით იბრძოდა ტროას აღებისას. მან განგმირა მეფე *პრიამოსი*, ხოლო მისი ასული, *პოლიქსენე*, მსხვერპლად შესწირა აქილევსის სულს. ნეოპტოლემოსს ნადავლად ერგო *ჰექტორის* ცოლი *ანდრომაქე*, რომელთან ერთადაც ეპიროსში დაბრუნდა, დაიმორჩილა იქაური მოლოსელები და სამეფო ტახტზე აღზევდა. მას ანდრომაქემ უშვა ვაჟი, რომელსაც მოლოსი შეარქვეს. მალე ნეოპტოლემოსი ეწვია *დელფოს*, სადაც მოკლეს კიდეც. მისი გარდაცვალების რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ–ერთის თანახმად, იგი შეცდა მსხვერპლშეწირვის აღსრულებისას, რამაც დელფოელთა მრისხანება გამოიწვია. ამ მრისხანებას შეეწირა აქილევსის ძე.

ნეოპტოლემოსის მეორე სახელი პიროსი გვხვდება გვიანი ხანის ეპოსში.

**ნეპტუნუსი** – რომ. წყლის სტიქიასთან დაკავშირებული ძველი რომაული ღვთაება. მოგვიანებით იგი *პოსეიდონის* თანაგვარი გახდა.

უძველეს საუკუნეებში ნეპტუნუსი ცხენთა მოვლის ხელოვნების და ცხენთა შეჯიბრებების მფარველი იყო. მის სახელზე რომში აღმართული იყო ტაძარი, რომლის მახლობლადაც 23 ივნისს იმართებოდა ზეიმი სახელწოდებით „ნეპტუნალია". რომაელებს სჯეროდათ, რომ ნეპტუნალიების აღნიშვნა მათგან გვალვას განარიდებდა. ნეპტუნუსს განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს მეზღვაურები.

*ნეოპტოლემოსი. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 370 წ.), მილანი ხელოვნების მუზეუმი.*




*ნეპტუნუსისა და ამფიტრიტეს ტრიუმფი. მოზაიკა (IV ს.), პარიზი. ლუვრი.*





*ნეპტუნუსი. ლ. ბერნინი, მარმარილო (1620 წ.), ვიქტორიასა და ალბერტოს მუზეუმი.*



*ნეპტუნუსი და ამფიტრიტე. ბ. ჩელინი (1540–43 წ.წ.), ვენა. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.*



*ტრიტონი და ნერეიდები. კილიქის ფერწერა (ძვ. წ. 550 წ.). ტარკვინია. ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*

**ნერგალი** – შუმ. ქვესკნელის მეუფე, რომლის მთავარი საკულტო ქალაქი იყო ქუთა. ნერგალი ***ენლილის*** ძედ ითვლება. რაკი ნერგალი ქვესკნელის ბატონია, მის სახელს ამგვარად შიფრავენ: „უფალი დიდი ქალაქისა", ე. ი. ქვესკნელისა.

ზოგიერთი ტექსტის მიხედვით ნერგალი მზის ღმერთის ერთ-ერთი გამოვლენაა, კერძოდ, მისი გამანადგურებელი, ყოვლის გადამწველი ბუნებისა. მასში შეიძლება დავინახოთ შუადღის ან ზაფხულის მწველი მზე. ამ ასპექტით იგი ომის და ჭირის ღმერთია. ერთი ტექსტის თანახმად „ნერგალი და შამაში ერთია" (შდრ. ჰერაკლიტეს გამონათქვამი „დიონისე და ჰადესი ერთია").

ნერგალის გახდომა ქვესკნელის მეუფედ მოთხრობილია აქად. ენაზე შემონახულ მით. ტექსტში: ***ერეშქიგალი***, ქვესკნელის ქალბატონი, იბარებს ნერგალს ქვესკნელში თავის შეურაცხყოფისთვის პასუხის საგებლად. მაგრამ ნერგალი ძლევს ერეშქიგალს, რომელიც თავის დახსნის მიზნით ცოლობას შესთავაზებს: „შენ ქმარი, მე ცოლი". ამის შემდეგ ნერგალი ჯდება ქვესკნელის სამეფო ტახტზე ერეშქიგალ დედოფლის გვერდით. მაგრამ იგი წელიწადის ნახევარს ზესკნელში ატარებს. თუმცა ნერგალი ენლილის ძედ ითვლება, ზოგიერთი ტრადიცია მის სასწაულებრივ წარმოშობას ადასტურებს, მასზე ნათქვამია: „ის, ვინც დედაკაცის (ე. ი. ქალღმერთის) საშოდან არ გამოსულა".

თუმცა ნერგალი სიკვდილის ღმერთია, იგი „სიცოცხლის მომნიჭებელიც" არის და „სიცოცხლის მხსნელიც", რაკი ქვესკნელში მოედინება უკვდავების წყალი და იქიდან მოდის სიცოცხლის განახლება.

**ნერევსი** – ბერძნ. ზღვის ღვთაება, ***პონტოსისა*** და ***გეას*** ძე; დორისის მეუღლე, ***ნერეიდების*** მამა; მშვიდი ზღვის განსახიერება, კეთილი, ბრძენი და სამართლიანი მოხუცი.

ნერევსი ვერ იტანს სიცრუეს და მუდამ კეთილ რჩევებს იძლევა. ზღვის სხვა ღვთაებათა მსგავსად (მაგ. ***პროტევსი***), მისნობის უნარსაც ფლობს. მაგრამ თუ ვინმე მოისურვებს მისგან მნიშვნელოვანი ამბის გაგებას, თავდაპირველად იგი უნდა შეიპყროს. მისი შეპყრობა კი რთულია, რადგანაც ნერევსს, ეით ზღვის სტიქიას, სხვადასხვა სახედ ძალუძს გარდაქმნა. ძლივს შებოჭა იგი ***ჰერაკლემ***, როდესაც სურდა ***ჰესპერიდების*** ბაღისკენ მიმავალი გზის გაგნება.

ნერევსი თავის ქალიშვილებთან, ნერეიდებთან, ერთად ეგეოსის ზღვათა სიღრმეში ბინადრობდა. ხელოვანები მას კეთილი სახის მქონე მოხუცად წარმოსახავდნენ, რომელსაც თმებზე, წამწამებსა და წვერებზე წყალმცენარეები ეფინა.

**ნერეიდები** – ბერძნ. ზღვის ***ნიმფები***, ზღვათა ღვთაება ***ნერევსისა*** და ***ოკეანიდა დორისის*** ქალიშვილები.

ნიმფები უამრავნი არიან და ბინადრობენ ზღვათა სიღრმეში, მამის დიდებულ სასახლეში. ისინი იქოქროს ძაფებს რთავენ და ზვირთებთან ერთად ნებივრობენ. მთვარიანი ღამეებისას სანაპიროზე ამოდიან, სადაც ცეკვავენ, მღერიან და ***ტრიტონებს*** ეთამაშებიან. ნერეიდები ადამიანებისადმი კეთილად არიან განწყობილნი. ისინი საფრთხეში ჩავარდნილ მეხომალდეებს ეხმარებიან.

ცნობილი ნერეიდები არიან: ***ამფიტრიტე, პოსეიდონის*** მეუღლე; ***თეტისი, აქილევსის*** დედა; ***გალატეა–აკისის*** სატრფო.

ნერეიდებს განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს საბერძნეთის კუნძულთა და სანაპიროთა მკვიდრნი. წარმოსახავდნენ მშვენიერ ქალწულთა სახით, ჰაეროვანი მოსასხამებით, ზღვის ბინადართა გარემოცვაში. ცნობილია პომპეის ფრესკა გალატეას და პოლიფემოსის გამოსახულებით.

**ნესოსი** – ბერძნ. ***კენტავროსი***, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ***ჰერაკლეს*** მიწიერი ცხოვრების დასასრული.

ნესოსს ჰერაკლე და მისი მეუღლე ***დეიანირა*** მდინარეზე უნდა გადაეყვანა. ჰერაკლე დაწინაურდა და სწრაფად მიაღწია სასურველ ნაპირს. ნესოსმა კი დეიანირა ზურგზე შეისვა და მოუალერსა. ქალმა შეჰყვირა. ჰერაკლემ მისი ხმა გაიგო და თავისი მომაკვდინებელი ისარი სტყორცნა ცხენ-კაცს. მიხვდა ნესოსი, რომ კვდებოდა და სიკვდილის წინ შურისძიება განიზრახა: ჯადო–წამლის დამზადების წესი ასწავლა დეიანირას, თან დაარწმუნა, რომ ამ წამლით ქმრის სიყვარულს დაიბრუნებდა. ნესოსი მოკვდა. ხანი გავიდა. ერთხელ, როდესაც ჰერაკლე ხანგრძლივი ლაშქრობის შემდეგ შინ ბრუნდებოდა და თან მძევალი ქალი მოჰყავდა, დეიანირას გაახსენდა ჯადო-წამალი, რომელიც საგულდაგულოდ გადაემალა. მან ამ წამლით გაჟღენთილი მოსასხამი გაუგზავნა ძვირფას მეუღლეს, რომელმაც იგი ტანზე მოისხა წესისგების აღსრულების ჟამს. ნესოსის შხამით დაიღუპა დიადი გმირი. ჰერაკლეს ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული ლარნაკული ფერწერის უსაყვარლეს სიუჟეტად იქცა.

**ნესტორი** – ბერძნ. პილოსის მეფე, ***ნელევსისა*** და ***ქლორისის*** ძე; მეუღლე ***ევრიდიკესი***, რომელმაც 7 ვაჟი და 2 ასული გაუჩინა.

როდესაც ჰერაკლე თავს დაესხა ნელევსს და მისი ვაჟები ამოხოცა, ნესტორი სხვაგან იყო წასული. იგი გადარჩა და პილოსის ტახტზეც აღზევდა.

ნესტორი ლაპითებთან ერთად ებრძოდა ***კენტავრებს***, მონაწილეობდა ***კალიდონის ნადირობასა*** და ***არგონავტების*** ლაშქრობაში. მან ღრმა სიბერემდე იცოცხლა და ჰომეროსის თანახმად, ***ტროას ომის*** ჟამს ადამიანთა მესამე თაობაზე მეფობდა. იგი თავის ვაჟებთან ერთად იბრძოდა ტროას კედლებთან. ბერძნები ნესტორს სახელოვან და ბრძენ გმირად აღიარებდნენ. ის გამოცდილი და მედგარი მებრძოლიც იყო, მრჩეველიცა და დიდებული მჭევრმეტყველიც. მისგან ბრძნულ რჩევებს ელოდნენ და იღებდნენ კიდეც. ტროას ომის შემდეგ ნესტორი შინ დაბრუნდა. სწორედ მას მიაკითხა ***ოდისევსის*** ვაჟმა,



ნესტორი. ატიკური კრატერი (ძვ.წ. 480 წ.). პარიზი. ლუვრი.

**ტელემაქოსმა**, რათა მამის ამბავი შეეტყო.

ლიტერატურის ისტორიაში ნესტორმა დაიმკვიდრა ჟამთა სვლის სიბრძნეს ზიარებული მოხუცის სახე. თანამედროვე სამყაროში რჩევის მიცემის მოყვარულებს ქარაგმულად ნესტორს უწოდებენ.

**ნეტართა კუნძულები** – იხ. ელისიონი.

**ნეფელე** – ბერძნ. ღრუბელთა განმასახიერებელი ქალღმერთი; ***ათამასის*** მეუღლე, ***ფრიქსოსისა*** და ***ჰელეს*** დედა; მანვე, ***იქსიონთან*** შეუღლებულმა, სათავე დაუდო კენტავრთა მოდგმას.

**ნეფერთემი** – ეგვ. „ყოვლადმშვენიერი", ლოტოსის ღვთაება, ძე ***ფთახისა*** და ლომისსახიან ქალღმერთ სეხმეთისა, რომლებთანაც ერთად შეადგენს ქალაქ მემფისის პანთეონის ტრიადას; „ლოტოსის ყვავილი ***რაეს*** საყნოსელთან" – ასე იწოდება იგი. თავზე მას ლოტოსის ყვავილის თავსარქველი ახურავს. ასეა იგი გამოსახული ქანდაკებებზე და მხატვრობაში.

**ნეფთისი** – ეგვ. ქალღმერთი, ***გებისა*** და ნუთის ასული, ***ოსირისისა*** და ***ისისის*** და. დამოუკიდებელი როლი თითქმის არა აქვს, მხოლოდ ისისთან ერთად მონაწილეობს ოსირისის მითოსში, სახელდობრ, მკვდარი ოსირისის ძებნაში, პოვნასა და დატირებაში. თუ ისისი, როგორც ოსირისის მეუღლე, თავგანწირული მეუღლის და, საზოგადოდ, მეუღლეობის განსახიერებაა, ნეფთისი, როგორც მოყვარული და, და-ძმური სიყვარულის მატარებელია. თუმცა იგი ***სეთის*** ცოლად ითვლება, მაგრამ მასზე ნაკლებად არის დამოკიდებული. პირამიდების ტექსტებში ნეფთისი ღამეული ნავით მოგზაურობს (ისისი კი დღის ნავში ზის).



ისისი და ნეფთისი დასტირიან ოსირისს.

**ნექტარი** – ბერძნ. ღმერთების სასმელი, რომელიც მათ მარადიულ ახალგაზრდობასა და უკვდავებას ანიჭებდა. პოეზიაში ნექტარი სიტკბოებისა და კეთილსურნელების სინონიმად გვევლინება. გადატანითი მნიშვნელობით იგი დიდებულ სასმელს აღნიშნავს.

**ნიდაბა**, ნისაბა, – შუმ. „პურის მომნიჭებელი", მცენარეულობის, კერძოდ, მარცვლეულის ქალღმერთი. ნისაბა წარმოდგენილია გრძელთმიანი დიაცის სახით (ათავთავებული ყანის განსახიერება), მრავალსაშოიანი, მრავალძუძუებიანი და მრავალყურიანი; მისი მცენარეული ბუნების გამომხატველია ეპითეტია „ქვეყანათა სიუხვე (ან სიმწიფე)", „სიცოცხლის მომნიჭებელი". როგორც ღვთაება, სული მარცვლისა, რომელიც ხნულში ითესება (იმარხება), ნიდაბა ხთონური ბუნებისაა და ამიტომაც ზოგიერთ ტექსტში „ქვესკნელის დედოფლადაც" იწოდება.

ნიდაბა სიბრძნის ქალღმერთიც არის, სიბრძნესთან არის წილნაყარი: „სიბრძნის ნიდაბა", „სიბრძნის სახლის გამგები"; იგი დაკავშირებულია „რიცხვთა აზრთან" და ამ ასპექტით მისი ეპითეტია „ნიდაბა, რომელმან რიცხვთა აზრი უწყის". ერთმანეთის პარალელურად იხმარება „ნიდაბა-თელა" და „ნიდაბა-მარცვალი" (მისი ეს ბუნება უნდა აიხსნას „მარცვლისა" და „თვლის" საერთო სემანტიკით).

ლაგაშის მთავარს გუდეას ნიდაბა ეცხადება სიზმარში ქალწულის სახით, საწერი ლერწმით და „დაფით კეთილი ვარსკვლავისა". აქედან ჩანს, რომ ნიდაბა დამწერლობის მფარველი ღვთაებაა.

**ნიკე** – ბერძნ. „გამარჯვება". ბერძენთა პოეტურ ფანტაზიაში შეღარებით გვიან აღმოცენდა გამარჯვების ქალღმერთის დიდებული სახე. ჰომეროსის პოემებში იგი არ გვხვდება. ნიკეს პირველად ჰესიოდე მოიხსენიებს. მას შემდეგ იგი, ***ტიტან პალასისა*** და მდინარის ქალღმერთის, ***სტიქსის***, ასული თავის ადგილს ისაკუთრებს ბერ-



ნიკე სამოთრაკიელი. მარმარილო (დაახ. ძვ.წ. 190 წ.). პარიზი, ლუვრი.



*ნიკე. რელიეფი. მარმარილო (ძვ.წ. 411-407 წ.წ.). ათენი. აკროპოლისის მუზეუმი.*

ძნულ მითოსში. ნიკე უზარმაზარი ფრთებით დამშვენებული ღვთაებაა, რომელიც თან სდევს მებრძოლებს და თავს ევლება დედამიწას გამარჯვებათა ამბავი რომ აუწყოს ყველას. განსაკუთრებით უყვარდა ნიკე ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც ყოველი გამარჯვების შემდეგ ბრძანებდა, აეგოთ მისი სახელობის საკურთხეველი. სახელოვანი მეფეები თავიანთ ძეგლებს ამ ფრთაშესხმული ქალღმერთის გამოსახულებით ამშვენებდნენ.

როდესაც რომში ბერძენი ნიკეს ქანდაკება ჩაიტანეს და, წესისამებრ, რომაული სახელი „*ვიქტორია*" უწოდეს, იმპერატორმა ავგუსტუსმა იგი სენატში მოათავსა: ქალღმერთს ფეხი ედგა სფეროზე, რომელიც სიმბოლურად დედამიწას წარმოადგენდა, ცად აღმართულ მარჯვენა ხელში გეირგვინი ეპყრა, მარცხენაში კი–პალმის რტო. სხდომის დაწყების წინ სენატორები მის ირგვლივ იკრიბებოდნენ და ღვინისა და კეთილსურნელებათა სახით შეხვერპლს სწირავდნენ. „იმპერიის უბიწო მფარველი" რომის გარდაუვალი ძლევამოსილების სიმბოლოდ იქცა. მხოლოდ ქრისტიანი იმპერატორების ბრძანებით გამოიტანეს იგი სენატის კედლებიდან, რამაც ტრადიციათა ერთგული რომაელების გულისწყრომა გამოიწვეია, რადგან ისინი ამ ქმედებაში რომის დიდების დასასრულს ჭვრეტდნენ. და ასეც მოხდა.

საყოველთაოდ ცნობილი ნიკე სამოთრაკიელის ქანდაკება დღეს ლუვრის მუზეუმს ამშვენებს.

ნიკეს ქანდაკებებს ხშირად უძღვნიდნენ ქალღმერთ *ათენას*. სწორედ ამიტომ „ნიკე" ათენას ერთ–ერთი ეპითეტიცაა.

**ნიმფები** – ბერძნ. „გოგონები". ბუნების ძალთა და მოვლენათა განმასახიერებელი ღვთაებები. ისინი უამრავნი იყვნენ. ბერძენთა ფანტაზია ლამობდა, ერთმანეთისაგან განესხვავებინა ეს ნიმფები. ამიტომ ზღვების, მდინარეების, ნაკადულებისა და წყაროების ნიმფებს უწოდებდა *ოკეანიდებს*, *ნერეიდებს* და *ნაიადებს*; მთებზე თურმე *ორეადები* სახლობდნენ, ხეებში – დრიადები და *ჰამადრიადები*; ველებსა და ჭაობებში – ლიმნადები და ა.შ. არსებობდნენ ცალკეულ ადგილთა (*დოდონე*) და კუნძულთა (*კალიფსო*, *კირკე*) ნიმფებიც. ისინი სხვადასხვა წარმომავლობისანი იყვნენ. ოკეანიდების მშობლებად *ოკეანოსსა* და *თეტისს* ასახელებენ; ნერეიდების მშობლებად–*ნერევსსა* და დორისს; მრავალი ნიმფა *ზევსისგან* იღებს დასაბამს; დედამიწამ კი. *გეამ*, მთათა და ტყეთა ნიმფები შვა.

ნიმფა არც ღმერთი იყო და არც ადამიანი. რაღაც არსება იყო მათ შორის. ნიმფები ცხოვრობდნენ ძალიან დიდხანს და არასოდეს ბერდებოდნენ, თუმცა ბოლოს და ბოლოს მაინც კვდებოდნენ. არსებობდნენ რა ადამი-

*მდინარის ნიმფა. კ. კლოდიონეს სკულპტურა. ტერაკოტა (1770-80 წ.წ.). მოსკოვი. ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.*





სატიროსი და ნიმფა. ნ. პუსენის ნახატი (დაახ. 1630 წ.). მოსკოვი, ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

ანთა გვერდით, ისინი ***ოლიმპიელებზე*** უკეთ ხედებოდნენ ადამიანთა გულისნადებს. მიტოვებულ საფლავებზე რგავდნენ ყვავილებს, წინ მიუძღოდნენ მოღლილ ყარიბებს მაცოცხლებელი წყაროებისკენ, არვეთათვის პოულობდნენ მდიდრულ საძოვრებს, მწყემსებს სიმღერას ასწავლიდნენ. ხეთა შრიალი, ნაკადულების რაკრაკი, გაზაფხულისა და ზაფხულის ყოველი ბგერა მათ ხმიანობად აღიქმებოდა. პატარა, ვარდისფერი ტერფებით გადაურბენდნენ ხოლმე ნიმფები ტყეებს და ველებს. ისინი განასახიერებდნენ ყოველივეს, რაც კი რამ იყო ბუნებაში მომხიბლავი და საამური. ნიმფებს უძღვნიდნენ ულამაზეს წყაროებს. წყალი ხომ მათი სტიქია იყო. დედამიწიდან ამომავალ ზოგიერთ წყაროს სამკურნალო თვისებები გააჩნდა, ამიტომ ნიმფებს ჯანმრთელობის ღვთაებებადაც მიიჩნევდნენ. ისინი ნათელმხილველებიც იყვნენ, რადგან შეეძლოთ მომავლის ჭვრეტა. თუ ბოროტმოქმედი თავის სისხლიან ხელებს წყაროში ამოიბანდა, იქ დაუანებული ნიმფა სამუდამოდ გაეცლებოდა თავის სამყოფელს. ნიმფები უბიწო ასულები იყვნენ, თესდნენ სიკეთეს და ვერ იტანდნენ ბოროტებას.

ძველ საბერძნეთში ნიმფებს არ ჰქონდათ საკუთარი ტაძრები. მათ ქანდაკებებს დგამდნენ მღვიმეებში, ხოლო ხეებზე უკიდებდნენ სამადლიერო საბოძვრებს. ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მეომრები მუზარადებს ან ოროლებს უძღვნიდნენ ნიმფებს, მეთევზეები – ბადეებს, საქორწინოდ გამზადებული გოგონები – თავის თოჯინებს, რომლებითაც ერთობოდნენ გათხოვებამდე, ხოლო გლეხები – მოწეული მოსავლის პირველ ნაყოფს. მათ სამოსახლო მღვიმეებთან მიჰქონდათ ტკბილეული, ხილი, ყურძნის მტევნები; წყაროებში კი ვარდის ფურცლებს მიმოფანტავდნენ.

მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს ნიმფათა სახელობის ტაძრების აგება. ბუნების ამ მშვენიერი და კეთილი ძალებისადმი თაყვანისცემა არ ჩამქრალა შუა საუკუნეებშიც კი. ასე ამბობენ, დღემდე უყვართო ისინი ბერძნებს.

ნიმფები. ჟ. გუჟონის რელიეფი (1547-1548 წ.წ.). პარიზი, ლუვრი.



**ნინაზუ** - შუმ. „კურნების უფალი", ქვესკნელის ერთ-ერთი ღვთაება, რომელიც განაგებს მკურნალობის საქმეს, რაც მით. წარმოდგენით ქვესკნელთან არის დაკავშირებული.

**ნინგალი** – შუმ. „დიდი ქალბატონი", ქალღვთაება, მთვარის ღმერთის, *სინის* მეედრული ცალი. შუმ. მწერლობაში უპირატესად წარმოდგენილია როგორც ქალწულ *ინანას* დედა, რომლითაც ამაყობს იგი: „დედაჩემი რომ არა, – აყვედრის იგი *დუმუზის*, – უდაბურ გზებზე იწანწალებდი. დედაჩემი ნინგალი რომ არა, უდაბურ გზებზე იწანწალებდი..." დედისადმი პატივისცემა ჩანს ინანას სიტყვებში დუმუზისადმი, რომელიც სახლში არ უშვებს სატრფოს: „რა ვუთხრა დედაჩემს, როგორ ვეცრუო? რა ვუთხრა დედაჩემს ნინგალს, როგორ ვეცრუო?" ნინგალის გარეშე ინანა ნაბიჯს არ დგამს, მასთან მიჰყავს თავისი სატრფო დუმუზი, რომელმაც მისგან უნდა ითხოვოს ინანას ხელი. „მე ნინგალის კარიბჭისკენ მივდივარ, მხიარულად მივემართები. დედაჩემს დუმუზი სიტყვას ეტყვის..." და უკვე გათხოვილი, იგი კვლავ ეუბნება ნინგალს, როცა დუმუზის ფარეხ-სადგომებისკენ გადაწყვეტს წასვლას: „დედაჩემო, ფარეხში გამიშვი! დედაჩემო ნინგალ, ფარეხში გამიშვი!.." ჩანს აგრეთვე დუმუზის მოწიწება თავისი სიდედრისადმი: იგი ამბობს: „ეს მე ვარ, ეისაც ნინგალის სახლში რძე მიმაქვს..." თუმცა ეს პატივი ალბათ რიტუალურია (პატივი სიძისაგან ცოლეურის სახლის, განსაკუთრებით, სიდედრის მიმართ).

მზის მითოლოგემაში ნინგალი, ვითარცა უთუს დედა, მიჩნეულია დღის მნათობის ღამეულ განსასვენებელ ადგილად: „უთუ დედამისის, ნინგალის, უბისკენ თავაღმართული მიდის".

**ნინგირსუ** - შუმ. „გირსუს ბატონი", ქალაქ ლაგაშის ადგილობრივი ღვთაება, მისი მფარველი, *ენლილის* პირმშო ძე. ნინ-გირსუ ამ ღმერთის ზედწოდებაა და არა საკუთარი სახელი, რაც მოწმობს იმას, რომ თავდაპირველად იგი ლაგაშის ერთ-ერთი კვარტალის - გირსუს მთავარი ღვთაება უნდა ყოფილიყო და შემდეგ აღზევდა მთელი ლაგაშის ქალაქ-სახელმწიფოს მფარველ ღმერთად.

ნინგირსუ ითვლება ენლილის ძედ, მის გმირად (*ურ-საგ*) ანუ მისი ნების აღმსრულებლად. ლაგაშში, რომელიც მთელი შუმერის ხატია, იგი ცვლის ენლილს, სრულიად შუმერის ერთიანობის ღმერთს. ნინგირსუ ლაგაშის ენლილია, და ალბათ ამიტომაც ეწოდება მის მთავარ ტაძარს „სახლი ორმოცდაათისა" (რიცხვი 50 ენლილის რიცხვია). ლაგაშისათვის ნინგირსუ ასრულებს მზის ღმერთის ფუნქციასაც: „სიუხვით დატვირთულ ბრწყინვალე ფორანში მისი მეუფე ნინგირსუ მზის ღმერთივით დადგა"; „მეფე გამოდის თავისი სახლიდან, ლაგაშისთვის ამომავალი მზეა".

ნინგირსუ ახორციელებს ომის ღმერთის ფუნქციებს ლაგაშისთვის: „ჩემს გაშლილ მკლავს კაცი ვერ გაექცევა", „ჩემს მძვინვარე თვალს ქვეყანა (იგულისხმება უცხო ქვეყანა) ვერ უძლებს", „გმირი, ტორებზე აღმართული ლომი, რომელსაც მეტოქე არა ჰყავს"; იგი არის „ომის მცოდნე", „მეფე, ენლილის ნიაღვარი, წინაღუმდგომელი".

ნინგირსუ, როგორც ლაგაშის მთავარი მამრი ღვთაება, მონაწილეობას იღებს საკულტო ქორწინებაში: იგი ეუღლება ნაყოფიერების ქალღმერთს, რომელიც ცნობილია ბაბას სახელწოდებით. მათ ქორწინებაზეა დამოკიდებული ქალაქის კეთილდღეობა და ბარაქა.

ნინგირსუ მეფობის მიმნიჭებელია ლაგაშში, რაც ასახულია მეფის არჩევის ტრაფარეტულ ფორმულაში: „ოდეს ნინგირსუმ, ენლილის გმირმა, ურუქაგინას ლაგაშის მეფობა მიანიჭა, 36000 კაცში ხელი დაადო (ან: თავისი ხელით გამოარჩია)" ან: „გუდეა ბატონმა ნინგირსუმ მის ტახტზე დასვა". ლაგაშის მთავრების ტიტულატურის თანახმად, იგი იძლევა ძალას: „ნინგირსუს მიერ ძალამინიჭებული", ან სახელს: „ნინგირსუს მიერ სახელწოდებული".

თუ როგორ წარმოუდგებოდათ ნინგირსუს ხატი, ეს ჩანს ერთ ტექსტში, სადაც აღწერილია მისი გამოცხადება სიზმრად: „ძილისშორისში მეზმანა კაცი – კაცი ვინმე ცასავით ერცელი, კაცი ვინმე ხმელეთივით ერცელი; თავი მისი – თავი ღმერთისა (იგულისხმება რქიანი ტიარა, ღმერთების ჩვეული თავსაბურველი სახვით ხელოვნების ძეგლებზე), მკლავნი მისნი – მკლავნი ანზუდისა, ტერფნი მისნი – ტერფნი წარღვნისა".

აქადურენოვანი ერთი მითოსური ტექსტის მიხედვით ნინგირსუ (ვარიანტით *ნინურთა*) ამარცხებს *ანზუდს*, რომელმაც „ბედისწერის დაფები" მოსტაცა ენლილს, და ამ დაფების დაბრუნებით იხსნის ქვეყნიერებას წყვდიადისაგან. ამიტომაც არის ნინგირსუს ემბლემა ანზუდის გამოსახულება და მის ტაძარსაც ეპითეტად ამკობს: „მოკაშკაშე ანზუდი". შესაძლებელი იყო მისი აღქმა თეოფანიის დროს ანზუდის სახით: „ნინგირსუ ურუქაგინას ფრთაგაშლილი გამოეცხადა".

ყურადღებას იპყრობს მისი წარმოშობის მითოლოგემა, რომელიც მითოსური გმირების წარმოშობის ანალოგიურია: „ნინგირსუ, ენლილის თესლი, რომელიც მთამ შობა, რომელიც ფურირემმა მადლიანი რძით გამოკვება".

**ნინგიშზიდა** – შუმ. „ბატონი ჭეშმარიტი (ან მადლიანი) ხისა", ნაყოფიერების ღვთაება, მისი ემბლემაა ერთმანეთს გადაკლაკნილი, ვერტიკალურად აღმართული გველები, რომლებსაც ორივე მხარეს უდგანან ხელკვერთხიანი ფრთოსანი ურჩხულები.

ადაპას მითოსში ნინგიშზიდა *თამუზთან* არის დაწყვილებული; ცაში, *ანუს* კარზე ასულ *ადაპას* ისინი იქ დახვდებიან და მეოხებას გაუწევენ ანის წინაშე. ამავე ტექსტის მიხედვით ნინგიშზიდა თამუზთან ერთად იკარგება ქვეყნიდან, რის გამოც ადაპა ეას რჩევით ძაძით იმოსება.

მის ხთონურ (მიწისქვეშა) ბუნებაზე მიუთითებს გველის არსებობა მის ემბლემაში და აგრეთვე მისი გამოსახულება, როგორც წარმოდგენილია იგი ცილინდრულ საბეჭდავებზე: მისი მხრებიდან გველები ამოდის; ატარებს გრძელ წვერს და რქიან ტიარას; მას უპყრია ქალაქ ლაგაშის მთავრის ხელი და მიჰყავს იგი ტახტზე მჯდარი ღმერთისაკენ (ე.წ. წარდგინების სცენა).

**ნინთური** – შუმ. „ქალბატონი-ბოსელი", დიდი დედა, კაცობრიობის მშობელი ქალღმერთი, რომელიც გაიგივებულია „ბოსელთან" (რასაც მოწმობს მისი სახელი) და „საშოსთან" (როგორც მისი ეპითეტი „შაგთურ" გვაუწყებს). ნინთური უქორწინებელ ქალღმერთთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გვერდით ვერ ვხედავთ მამრულ ღვთაებას. მხოლოდ მოგვიანო ტექსტებში, სადაც ადამიანის გაჩენის ამბავია მოთხრობილი, ამ აქტში ნინთურთან ერთად მონაწილეობს *ენქი*. ნინთური არა მხოლოდ მშობელი ქალღმერთია, არამედ იგი მფარველობს საყოველთაო შობას და ღვთიური ბებიაქალის როლსაც კი ასრულებს.

**ნინლილი** – *ენლილის* მეუღლე.

**ნინმახი** – შუმ. „დიდი ქალბატონი", მდედრი ღვთაების, ღმერთების დედის, დიდი დედის, ერთ-ერთი ეპითეტი.

**ნინსუნა** – შუმ. „დედოფალი-ფური", *ურუქის* ადგილობრივი მდედრი ღვთაება, როგორც ჩანს, ქალაქის მფარველი და ქალაქის მეფეთა მითოსური დედა. *გილგამეშის* ეპოსში ნინსუნა გამოყვანილია ხორციელ ქალად; თუმცა იგი გილგამეშის დედად არის ნაგულისხმევი, მაგრამ მისი მფარველი ქალღმერთის ნიშნებს ავლენს. ნინსუნა განმარტავს მის სიზმრებს, გამოდის მეოხედ, შუამავლად გილგამეშსა და *შამაშს* შორის; იგი დალოცავს მას ლაშქრობის წინ. გილგამეშის შუმ. თქმულებაში ნინსუნას გვერდით იხსენიება *ლუგალბანდა*, ვითარცა მისი მეუღლე.

ნინსუნას მუდმივი ეპითეტებია „ფარეხის ფური“ ან „ფური ნინსუნა“, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს მისი სახელის ეტიმოლოგიიდან. თუმცა ნინსუნა, შესაძლოა, ეპითეტი იყოს მისი და არა საკუთარი სახელი.

ურის III დინასტიის ხანაში დინასტიურ მითოსში წინა პლანზე წამოიწია ნინსუნამ, როგორც ამ დინასტიის მითოსურმა დედამ; ნინსუნა მათი დედაა, ხოლო ლუგალბანდა მათი ღვთაება, გილგამეში–მათი „დიდი ძმა“. ეს ტრადიცია ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ურის III დინასტიის დამაარსებელი ურნამმუ ურუქელი იყო: „დიდი გილგამეშის ძმა ვარ მე, ნინსუნას ნაშობი შეილი ვარ მე, საზეპურო თესლი ვარ მე, დედაჩემის, ნინსუნას წიაღიდან ჩემთვის სასიკეთო ხვედრი გამოვიდა“ და სხვა.

**ნინურთა** – შუმ. „ურთას უფალი“, ომისა და ნადირობის ღმერთი, *ენლილის* წრის ღვთაება, მისი ძე და მეომარი; ასრულებს რაძეობის პრინციპს, მოქმედებს მამის სახელით, ვითარცა მისი იარაღი, და იწოდება *ნინგირსუს* მსგავსად მამის შურისმგებლად. ცნობილია მისი კოსმოგონიური ლვაწლი: ზღვარს უდებს გველეშაპის მიერ ამონთხეულ მლაშე წყლების ნიაღვარს, რომელიც წალეკვით ემუქრება ტიგროსისა და ევფრატის მტკნარი წყლის დინებას. აშურის სახელმწიფო პანთეონში ნინურთა უპირატესად მეომარი ღვთაებაა, რომელიც წინ უძღვის სამეფო ლაშქარს და ამარჯვებინებს მტერზე. მისივე შემწეობით ინადირებენ აშურელი მეფეები გარეულ მხეცებს (ველურ ხარებს, სპილოებს, ლომებს...).

თუმცა ნინურთა ენლილის ძედ იწოდება, ზოგიერთი ტრადიციით იგი დედა ქალღმერთმა მამრის გარეშე შვა, არ გაუზრდია არც მამას და არც დედის რძე უწოვია, განსხვავებით მისი თაობისა და რანგის ღმერთებისა (ამით თითქოს ახსნილია მისი სისასტიკე, როგორც ომისა და განადგურების ღმერთისა). ნინურთა ენაცვლება ხოლმე ნინგირსუს, როცა მას მიეწერება ბედისწერის დაფათა მომტაცებლის ანზუდის დამარცხება.

ნინურთას ერთ-ერთი საგმირო ღვაწლი ურჩხულ აზაგის დამარცხებაა. მისი საბრძოლო იარაღი შარურ ასე მიმართავს მას: „ნინურთა! ჩემო მეფევ და პატრონო! იცოდე, ცა, დასეტყვა მიწა და მიწიდან წარმოიშვა ურჩხული აზაგი. დედის ძუძუ არ უწოვია აზაგს, ველის მხეცებმა გამოკვებეს თავიანთი რძით. არც მამა, გამზრდელი, იცის მან. კლდეებმა და ლოდებმა აირჩიეს მეფედ და გაამაყდა აზაგი, თავს ესხმის ქალაქებს და ხეებს ანადგურებს. მთელს შუმერში თავისი მჯობი არავინ ეგულება, ლამის შენ გაგიტოლდეს ძლიერებით. ძრწიან ღმერთები თავთავიანთ ტაძრებში, შეშინებულები ხარკს უხდიან. ძნელია ბრძოლა მასთან – ვერაფერი გაანგრევს ქვასა და კლდეს, უძლურია მის წინააღმდეგ ცული და შუბი. ვინ გაბედავს მასთან შერკინებას, თუ არა ჩვენ? წავიდეთ, თავს დავესხათ აზაგს“. და გაემართა ნინურთა კლდეებისკენ თავის ერთგულ შარურთან ერთად. ღრიალებს როგორც ლომი, როგორც წყალვარდნილი, ღმუის როგორც სამხრეთის ქარი, ელავს და გრიალებს ცის კიდურზე. წინ ქარიშხალი მიუძღვება, უკან შარური მიყვება. გზაზე ყველაფერს ანადგურებს, მთა და ბარს ასწორებს, ლეწავს ტყეებს. ასე უახლოვდება გამძვინვარებული ნინურთა აზაგის ბუნაგს. მაგრამ არ იცის, როგორ შეებრძოლოს. აგზავნის შარურს დასაზვერად, მისი ძალის გასაგებად. გადახედავს შარური აზაგის ლაშქარს – სალ კლდეს, ქვებსა და ლოდებს, შეძრწუნებული უკან დაბრუნდება. არა, ორნი ვერაფერს გახდებიან აზაგთან. ვინ გაგვკიცხავს, თუ ნიფურში დავბრუნდებით! გაკიცხავს მძლეთამძლე ნინურთა თავის საჭურველს: „გრცხვენოდეს! არ შეგეფერის უკან დახევა. ბრძოლად განემზადე!“ და დაიწყო ომი. მიწა აზანზარდა მის ქვეშ, ბრუნავს ნინურთა ბრძოლის ველზე, მაგრამ ვერ ძლევს ქვასა და კლდეს, გული უწუხს, ძალა ეცლება, შიგანი მტვერით ევსება. მაშინ შარური ელვასავით გაქანდება ნიფურისკენ და ღრუბლად ჩამოწვება ტაძრის კარიბჭესთან, უხმობს ენლილს, შემწეობას სთხოვს. ენლილი თავისი ტაძრიდან, ექურიდან, გასძახებს თავის პირმშოს: „მტერისა არ უნდა გეშინოდეს! ხომ შენია წყლები, გზა გაუხსენი!“ და ნინურთაც მოიკრებს უკანასკნელ ძალებს და გაანგრევს კლდეს და იხუვლებს ნიაღვარი და წყალი განწმენდს იქაურობას მტვერისაგან. ახლა აზაგი დაძაბუნდა, ნიაღვარს წინ ვერ აღუდგა. მიეჭრა ნინურთა და ღვიძლი ამოგლიჯა შიგანიდან. გაისმა გამარჯვების ყიჟინა – ეს შარური აცხადებს ბრძოლის დასასრულს. შვებით ამოისუნთქეს ღმერთებმა, გამოეფინნენ სამალავებიდან და გამარჯვება მიულოცეს ნინურთას.

**ნინქასი** – შუმ. „ქალბატონი-პირის ამვსები“ ან „ჭურჭლის ამვსები“, ლუდის დუღების ხელოვნების მფარველი ღვთაება, *ნინხურსანგასა* და *ენქის* ასული; ნინქასის მუდმივი თანამგზავრია ცეცხლის ღმერთი, როგორც ლუდის დამზადების აუცილებელი სტიქიონი. ცნობილია ნინქასის ცხრა შვილი, რომელთა სახელები ლუდის სხვადასხვა სახეობების სახელწოდებებია. ნინქასის ალაოს ქვაბი ხასხასა ლაჟვარდის ქვისაა, თასები – ხალასი ოქროსი და ვერცხლისა. „როცა იგი ლუდში „დგას“, სიხალისეა; როცა იგი ლუდთან „ზის“, მხიარულებაა...“

**ნინშუბური** – შუმ. „ქალბატონი შუბური“, *ინანას* მაცნე მითოლოგიურ ტექსტში „ინანას ჩასვლა ქვესკნელში“. ვიდრე ქვესკნელში ჩავიდოდეს, ინანა ავალებს ნინშუბურს, შეატყობინოს დიდ ღმერთებს ეს ამბავი, რათა ისინი შეეწიონ მას და მეოხება გაუწიონ ქვესკნელის დედოფლის წინაშე. ქალღმერთი ამგვარი სიტყვებით მიმართავს თავის მაცნეს: „პოი, მარად ერთგულო ჩემო, მაცნევ, ჩემო, სასურველ ამბავთა.. დღეიდან ქვესკნელში ჩავდივარ. როცა მე ქვესკნელში ვიქნები, ჩემს გამო გლოვა გამართე, საკრებულო სადგომში საკრავი დამიკარი, ღმერთების საყდრები ჩემთვის მოიარე, თვალები დაითხარე, პირი-სახე დაიხოკე, უპოვარივით ერთადერთი სამოსი შეიმოსე...“

ნინშუბური ასრულებს ინანას დავალებას და მართლაც სამი დიდი ღმერთის ტაძარს შემოივლის. მის სიტყვას მხოლოდ *ენქი* ათხოვებს ყურს და დაუდგება ქომაგად ინანას ქვესკნელის დედოფლის, *ერეშქიგალის*, წინაშე.

**ნინხურსანგა** – შუმ. „მთის დედოფალი“, უძველესი ქალღმერთი, დიდი დედა, უქორწინებელი ქალღვთაება, რომლის გვერდით არ ჩანს მამრი ცალი. ნინხურსანგა შუმ. მითოლოგიურ ტექსტებში გვხვდება სხვა სახელებითაც, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული ნინთური („შობის დედოფალი“) და ნინმახი („დიდი ქალბატონი“). ერთი შუმერული მითოსის თანახმად ნინხურსანგა სამოთხის, *დილმუნის* პირველი მკვიდრია. *ენქისთან* ერთად იგი აქ ქმნის, აღმოაცენებს რვა მცენარეს, რომელთაც ენქის დავალებით ამოგლეჯს მისი მაცნე ისიმუდი და მოუტანს თავის ბატონს შესაჭმელად. ენქი შეჭამს მათ სათითაოდ და დაიმსახურებს ნინხურსანგას რისხვას, რის გამოც ქალღმერთი გაუჩინარდება დილმუნიდან, ხოლო ენქი სიკვდილის პირამდეა მისული: დილმუნიდან წასვლისას ნინხურსანგამ იგი დაწყევლა და მის რვა ასოს შეჰყარა სნეულება. მშობიარის ტკივილებმა შეიპყრეს ენქი. სწუხან ღმერთები ენქის გამო, ვერაფერს ახერხებენ ისინი, თვით ენლილიც კი უძლურია. ნინხურსანგას გარდა, არავის შეეძლო მისი შველა. ენქი გზავნის მის მოსაძებნად და მოსაყვანად სხვადასხვა მხეცებს, მაგრამ ამაოდ – ვერავინ მოძებნა ნინხურსანგა. ტკივილები მატულობდა და მატულობდა. იღუპებოდა სამყარო. ბოლოს, მელამ შესთავაზა თავისი სამსახური. რას მომცემ, ნინხურსანგა რომ მოგიყვანო. ენქი დაპირდა ხეს დაგირგავ და შენს სახელს განვა-



ნინხურსანგა (დაახ. ძვ.წ. 2400 წ.). ბერლინის წინაზიური მუზეუმი.



მომაკვდავი ნიობიდა (ძვ.წ. 430 წ.). რომი, ნაციონალური მუზეუმი.

დიდებო. მელამ გაიწმინდა თავისი ბეწვი, კუდი გაიფუმფულა, სახეზე ნელსაცხებელი წაისვა და გაეშურა ქალღმერთის მოსაძებნად. მან არა მხოლოდ მოძებნა ნინხურსანგა, არამედ ლამაზი სიტყვებით დილმუნში დააბრუნა. ნინხურსანგა კალთაში ჩაისვამს სნეულ ენქის და ჩამოათვლევინებს სათითაოდ სნეულებებს. ნინხურსანგა გააჩენს თმის ძირების მკურნალ ღვთაებას და მერე ქალღმერთს, რომელიც სათითაოდ განუკურნავს სნეულ ორგანოებს – ცხვირს, პირს, ყელს, ხელებს, ნეკნს.

ქალღმერთის სახელი დაკავშირებული უნდა იყოს პირველწარმოშობილ კოსმოგონიურ მთასთან, რომელიც ამოიზიდა პირველარსებული ოკეანიდან.

შუმერელი მეფეებისა და ქალაქთა განმგებლების საკრალურ ტიტულატურაში ნინხურსანგა ფიგურირებს, როგორც მათი გამომზრდელი „თავისი მადლიანი რძით".

**ნიობე** – ბერძნ. თებეს მეფის, ***ამფიონის***, მეუღლე; ***ტანტალოსის*** ასული; ***პელოფსის*** და.

თოთხმეტი შვილი ჰყავდა თებეს ბედნიერ დედოფალს. იგი ისე გაკადნიერდა, რომ აუგად მოიხსენია მხოლოდ ორი შვილის მშობელი ***ლეტო***. ეს რომ გაიგო ***ტირესიასის*** ასულმა, მისანმა მანტომ, შეძრწუნდა და თებელ ქალებს ურჩია, საკმეველი ეკმიათ ლეტოსათვის. ასეც მოიქცნენ თებელები. თმებში ჩაი-



ნიობეს შვილების დაღუპვა. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 460-450 წ.წ.). პარიზი, ლუვრი.



*ნიობიდა (ძვ წ. 320-310 წ.წ.). ასლი. ფლორენცია*

წნეს დაფნის ფოთლები და პატიება სთხოვეს ***აპოლონის*** და ***არტემისის*** დიდებულ დედას. თავისი ჩამომაელობითა და ქმრის სამეფო ძალმოსილებით გადიდგულებული ნიობე ხალხს გაერია და მაედრებელ ქალებს ასე მიმართა: „ნეტავი რად სცემთ თაყვანს ლეტოს? ორი შვილი ჰყავს, მე შვიდჯერ მეტი გავაჩინე. ბედნიერი ვარ. ვთქვათ და, უეცრად რომელიმე გამომეცალა, მაინც დამრჩება მასზე მეტი. იგი არაფრით განსხვავდება ბერწი დედისაგან. გონს მოეგეთ და თმიდან დაფნები მოიცილეთ!".

ეს ამბავი რომ შეიტყო ლეტომ, ქალ-ვაჟი იხმო და შურისძიებად მოუწოდა. აპოლონი და არტემისი ნისლში გახვეულები მიადგნენ თებეს და ულმობლად ამოხოცეს ნიობეს შვილები. სხვადასხვაგვარად აისახა თქმულებებში მათი დაღუპვის ამბავი. გავრცელებული ვერსიის თანახმად, აპოლონმა სპორტულ ზეიმზე განგმირა თავისი ისრებით ნიობეს ვაჟები, არტემისმა კი მაშინ მოუსწრაფა სიცოცხლე ქალიშვილებს, როდესაც ისინი ძმათა ცხედრებს დასტიროდნენ. ამ შემზარავი უბედურების შემსწრე ამფიონმა თავი მოიკლა. მკვდარი მეუღლისა და ქალ-ვაჟთა შორის ჩამომჯდარი სასოწარკვეთილი ნიობე ქარმა აიტაცა და სამშობლოში გადაისროლა. მწუხარებისგან იგი კლდედ იქცა. ასე ამბობენ, ამ კლდეს დღემდე მარმარილოს ცრემლები სდისო.

ნიობეს მითოსს ხშირად მიმართავდნენ ბერძენი მხატვრებიც და მოქანდაკენიც. საყოველთაო აღიარება მოიპოვა სკულპტურულმა ჯგუფმა „ნიობე მომაკვდავი შვილით", რომელიც ძვ.წ.IV საუკუნის ბერძნული ორიგინალის რომაული ასლია და ინახება ფლორენციაში.

**ნიობიდები** – ბერძნ. ***ნიობეს*** შვილები.

**ნისოსი** – ბერძნ. მეგარას მეფე, ***პანდიონის*** ძე; ***სკილას*** მამა.

ნისოსს თმებში ოქროსფერი (თუ მეწამული) ღერი ერია. ეს მისი სიცოცხლის თმა იყო. როდესაც მეფე ***მინოსი*** მეგარაზე გაილაშქრა და სამეფო სასახლეს ალყა შემოარტყა, სკილამ მამას უღალატა. მას მინოსი შეჰყვარებოდა. ამ სიყვარულით შეპყრობილმა ნისოსს ჯადოსნური თმის ღერი ამოგლიჯა. მეფე სიცოცხლეს გამოესალმა. მინოსმა ქალაქი აიღო და ბრძანა, ზეირთებში მოესროლათ მოღალატე სკილა. სხვა ვერსიით კი, მინოსის ხომალდს დადევნებული სკილა თავად გადაეშვა ზღვაში და დაიხრჩო.

ნისოსის მითი ხალხური ზღაპარია



*ნიობე მომაკვდავი შვილით (ძვ.წ. 320-310 წ.წ.). ასლი. ფლორენცია.*



*ნიფურის ნაქალაქარი.*

ჯადოსნურ თმაზე, რომელიც უვნებელს ხდის მის მფლობელს (შდრ. ბიბლიური თქმულება სამსონსა და დალილაზე).

**ნიფური** – ნიბრუ, ნიპური, შუმერის რელიგიური ცენტრი, ***ენლილის*** მთავარი საკულტო ქალაქი. ნიფური წარმოდგენილია არა მხოლოდ შუმერის, არამედ ქვეყნიერების შუაგულად, სადაც გადის სამყაროს „დიდი ღერძი" (დიმ-გალი). ნიფურის ეს მითოსური ბუნება გაცხადებულია მისი მთავარი ტაძრის სახელწოდებებში: ექურ – „სახლი-მთა" (კოსმიური ღერძის ერთ-ერთი განსახება) და ***დურანქი*** („ჭიპლარი ცისა და მიწისა"). ერთი შუმ. მითოლოგიური ტექსტის თანახმად ადამიანის გაჩენამდე ნიფურის პირველი მოსახლენი იყვნენ ჭაბუკი ენლილი, ქალწული ნინლილი და დედაბერი ნუნბარშეგუნუ – ნინლილის დედა, რომელიც ასწავლის თავის ქალიშვილს, როგორ მოაწონოს თავი ენლილს. მათი შეუღლების შედეგად ნიფურში იბადება მთვარის ღმერთი ***ნანარის*** სახელით.

**ნიქსი** – ბერძნ. „ღამე". ღვთაება, რომელიც ღამეს განასახიერებს; იგი გაჩნდა ***ქაოსისაგან***, ხოლო როდესაც თავისივე ძმას, ***ერებოსს***, დაუკავშირდა, შვა ***ეთერი*** (მიწისზედა ნათელი სივრცე), ***ჰემერა*** (დღე), ***თანატოსი*** (სიკვდილი), ***ჰიპნოსი*** (ძილი), ***ნემესისი*** (შურისძიება), ***მოირები*** (ბედისწერის ქალღმერთები) და სხვა ღვთაებრივი ძალები. ნიქსი ბინადრობს ***ჰადესში*** და ყოველდღე გამოდის მისი დასავლეთის კარიბჭიდან. თან მოჰყვებიან ჰიპნოსი და თანატოსი. ასე წარმოსახავდნენ მას ლარნაკებზე. ***ორფიკოსები*** ნიქსს სამყაროს პირველსაწყისად აღიარებდნენ.

**ნიცირი** – ბაბ. „ხსნა", „გადარჩენა", სახელი მთისა, რომელსაც მიადგა წარღვნას გადარჩენილი ხომალდი (გილგამეშის ეპოსის XI დაფა). ამ სახელის მთა ნახსენებია აშურბანიფალ II-ის (883-889 წ.წ.) ანალებში; იგი მდებარეობდა, როგორც ჩანს, ზაგროსის მთიანეთში, მდ. ქვემო ზაბის სამხრეთით.

წარღვნის მითოსში ნიცირი არის ის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც პირველად გამოჩნდა წარღვნის მიქცევისას. აქედან გაუშვა წარღვნის გმირმა ფრინველები მიდამოს დასაზვერავად; მის წვერზე დაიდგა პირველი საკურთხეველი წარღვნის შემდეგ და შეწირული ზვარაკის სუნმა აქეთ მოიზიდა ღმერთები, რომლებიც „ბუზებივით შემოეხვიენ მსხვერპლის შემწირველს". რაკი ეს იყო ის ადგილი ხმელეთისა, სადაც წარღვნის გმირმა დაინახა წარღვნის წყლების დაკლება და კატასტროფის დასასრული, ამ მთასაც შესაფერი სახელი ეწოდება ნიცირ – „თავშესაფარი", „ხსნა".

მითოსური ასპექტით, ნიცირის გამოჩენა წარღვნის შემდეგ იმეორებს პირველ კოსმოგონიურ აქტს, როდესაც წყლიდან ამოიზიდა პირველი ხმელეთი მთის სახით.

**ნოტოსი** – ბერძნ. სამხრეთის ქარის განმასახიერებელი ღვთაება. მას ბერძნებისათვის წვიმები და ნისლი მოჰქონდა. ნოტოსის ძმებად ითვლებოდნენ: ***ბორეასი*** (ჩრდილოეთის ქარი), ***ზეფიროსი*** (დასავლეთის ქარი) და ***ევროსი*** (აღმოსავლეთის ქარი). ნოტოსს ბერძნები წარმოსახავდნენ წვერებითა და ფრთებით.

**ნუდიმუდი** – შუმ. „შემქმნელი" ენქის, როგორც სამყაროს ერთ-ერთი შემოქმედის, ერთ-ერთი ეპითეტური სახელი.

**ნუთი** – ეგვ. ცის ქალღმერთი (სხვა მითოლოგიებისა და რელიგიებისგან განსხვავებით, ცა ეგვიპტელების წარმოდგენაში მდედრული



*ნუთი (ძვ.წ. I ს.), ჰეიდელბერგი, არქეოლოგიური მუზეუმი.*

ბუნებისაა, მიწა კი – მამრული), ღმერთთა ცხრეულის (ენეადის) ერთ-ერთი წევრი; შუსა დ თეფნუთის ნაშიერი მიწა-***გებთან*** ერთად. თავის მხრივ, ნუთის შვილები არიან ცის კაბადონზე განლაგებული ვარსკვლავები და თავად ***რაე***, მზის ღმერთი. ნუთი დიდი, მიწაზე გადმომხობილი ფურის სახით არის წარმოდგენილი, ვარსკვლავები ღამით მის მუცელზე მოძრაობენ, დღისით კი მის მუცელში არიან, რადგან დილით ყლაპავს მათ. ამან გააჯავრა მისი მეუღლე გები, ამიტომაც შუმ, როგორც ჰაერის სივრცემ, განაშორა მეუღლეები ერთმანეთისგან.

*ნუთი – ცა ფურის სახით.*



**ნუმა პომპილიუსი** – რომ. ლეგენდარული მეფე, რომელსაც რომაელები მრავალი დიდებული საქმის აღმსრულებლად მიიჩნევდნენ. მათი წარმოდგენით, ნუმა პომპილიუსმა შემოიღო მთვარის კალენდარი; დააწესა რელიგიური ზეიმები და ***ქურუმთა*** უმთაერესი კოლეგიები; დააფუძნა ***რომულუსის*** კულტი და სხვა. ნუმა პომპილიუსის მეუღლე და შთამაგონებელი იყო ნიმფა ***ეგერია***, რომლის წყალობითაც იგი ფლობდა მაგიურ ძალას. რომაელთა რწმენით, ნუმა პომპილიუსი დაკრძალულია ტიბერისის მარჯვენა სანაპიროსთან, იანიკულუმის ბორცვზე.

**ნუმიტორი** – რომ. ალბა-ლონგას ლეგენდარული მეფე; ***ენეასის*** ჩამომავალი, ***რომულუსის*** და ***რემუსის*** პაპა.

ნუმიტორი, ალბა-ლონგას კანონიერი მეფე, ტახტიდან ჩამოაგდო მისივე ძმამ, ***ამულიუსმა***. მანვე მოკლა მისი ვაჟები, ქალიშვილი კი, ***რეა სილვია***, ***ვესტას*** ტაძარში წარგზავნა ***ვესტალისად***. რეა სილვიამ ტყუპი ვაჟი შვა – რომულუსი და რემუსი. ეს რომ ამულიუსმა გაიგო, ვესტალისის მოკვლა და ბავშვების ტიბერისში გადაგდება ბრძანა. მითოსის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ნუმიტორმა (სხვა ვერსიით, ***არესმა***) იხსნა თავისი შვილიშვილები და აღსაზრდელად მიაბარა მწყემს ფაუსტულუსს. როცა რომულუსი და რემუსი წამოიზარდნენ, ნუმიტორმა მათი დახმარებით კვლავ დაიბრუნა სამეფო ტახტი, შვილიშვილებს კი უბოძა მიწა დიდი ქალაქის დასაარსებლად. და ეს ქალაქი იყო ***რომი***.

**ნუნი** – ეგვ. დაუსაბამო ოკეანე, რომლის წიაღში ჩაისახნენ ღმერთები, ჯერ პირველი წყვილი და მერე ყველა სხვა ღმერთი, რომლებმაც შეადგინეს ჰერმოპოლისის (***თოთის*** ქალაქის) ღმერთთა რვეული. ეგვიპტის სხვადასხვა მხარეში ნუნის გენეალოგია განსხვავებული იყო: ჰელიოპოლისში მისი უპირველესი ნაშიერი იყო ***ათუმი***, რომელმაც მითოსის მიხედვით თავისი თავი წარმოშვა. ჰელიოპოლისის ღმერთთა ცხრეულის თავი. მემფისში გაიგივებული იყო ***ფთახთან***, თებეში – ***ამონთან***. ნუნიდან ამოიზარდა პირველქმნილი ბორცვი – სამყაროს ემბრიონი, პირველსაწყისი, საიდანაც შემდეგ წარმოიშვა ხმელეთი და მთელი კოსმოსი. ქვეყნის დასასრულს ყოველი ქმნილება – მთელი კოსმოსი ისევ ნუნის წყლებს დაუბრუნდება. ერთ ტექსტში ათუმი ამბობს: „მე მოვსპობ ყველაფერს, რაც შევქმენი. ქვეყნიერება ოკეანედ (ნუნ) და დაუსაბამოებად გადაიქცევა, როგორც იყო".

**ნუსქუ** – ბაბილონ. ცეცხლის ღმერთის ერთ-ერთი გამოვლინება ***გირუსთან*** ერთად. ნუსქუ დაკავშირებულია ***ენლილთან***, როგორც მისი ნანდაური და ეს გამოხატულია მის ეპითეტში „დურანქის ნაშიერი", საიდანაც ჩანს, რომ მის ჭეშმარიტ ადგილად, ეითარცა სამსხვერპლო ცეცხლისა, წარმოდგენილია სამყაროს შუაგული (გავრცელებული მითოლოგემა ინდოევროპული ხალხების მითოსში). ამ მითოლოგემისა და მისი ფიზიკური მოქმედების ძალით გირუ მიჩნეულია ცისა და მიწის შემაკავშირებლად (ცეცხლის ალის ვერტიკალიზმი!), რისი კერძო გამოვლენაა მისი როლი შუამავლისა მსხვერპლშეწირვის დროს კაცობრივ და ღვთაებრივ სამყაროებს შორის („ნუსქუ, რომელსაც ყოველდღიურად მიაქვს..."). ნუსქუს ცეცხლი შთანთქავს შეწირულ მსხვერპლს და სურნელების სახით აწვდის ღმერთებს. ცეცხლი ისევე აუცილებელია ცაში ღმერთების კრებულისთვის, როგორც მიწაზე ადამიანთათვის: „უშენოდ ნადიმად არ სხდებიან ღმერთები, უშენოდ სურნელებას ვერ იყნოსვენ დიდი ღმერთები, მამა-ანუს მსჯავრი არ გამოაქვს და ენლილი არ იძლევა გადაწყვეტილებას..." – ნათქვამია ერთ ჰიმნში.

ნუსქუს ნიშანია, როგორც გამოსახულია ერთ ბარელიეფზე, შვეულად აღმართული წვერწამახული სვეტი – ცეცხლის ალი.



# ო

**ობოლოსი** – ბერძნ. მომცრო მონეტა, რომელსაც ბერძნები პირში უდებდნენ მიცვალებულებს დაკრძალვის წინ. იგი განკუთვნილი იყო გასამრჯელოდ ***ქარონისათვის***, რომელსაც მიცვალებულთა სულები მიწისქვეშა მდინარე ***სტიქსის*** ერთი ნაპირიდან მეორეზე უნდა გადაეყვანა (იხ. ***ნავლონი***).

**ოგიგია** – ბერძნ. მითოსური კუნძული, სადაც ცხოვრობდა ნიმფა ***კალიფსო***. სწორედ მასთან მოხვდა ***ოდისევსი ტროას ომის*** დასრულების შემდეგ. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ოგიგია ზღვის შუაგულში მდებარეობდა.

**„ოდისეა"** – ბერძნ. ასე ეწოდება ჰომეროსის უკვდავ პოემას, რომელიც ***ოდისევსის*** თავგადასავალს მოგვითხრობს. იგი ძვ.წ. VIII საუკუნეში შეიქმნა და დღემდე თაობათა ძვირფას ნობათად ითვლება.

ქართულ ენაზე „ოდისეას" ორი თარგმანი გამოიცა:

1. ჰომეროსი „ოდისეა". თარგმანი, შესავალი, შენიშვნები ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის, თბილისი, 1975 წელი (პროზაული თარგმანი).

2. ჰომეროსი „ოდისეა". ძველი ბერძნულიდან თარგმნა პანტელეიმონ ბერაძემ. წინასიტყვაობა, შენიშვნები, კომენტირებული საძიებელი რისმაგ გორდეზიანისა, თბილისი, 1979 წელი (პოეტური თარგმანი).



ოდისევსი. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 400-390 წ.წ.). პარიზი. ეროვნული ბიბლიოთეკა.

**ოდისევსი** – ბერძნ. კუნძულ ითაკას მითოსური მეფე; ***ლაერტესის*** (ზოგი ვერსიით, ***სისიფოსის***) და ანტიკლეას ვაჟი; ჰომეროსის პოემათა გმირი; რომაულ სამყაროში მას ***ულისესი*** (ულისე) უწოდეს.

ოდისევსი ბერძენ გმირთაგან ჭკუითა და გონების მოქნილობით გამოირჩეოდა. მისი პაპა დედის მხრიდან, ***ავტოლიკოსი***, ცნობილი იყო, როგორც „დიდი ფიცის გამტეხი და ქურდი". ასე მოიხსენიებს მას ჰომეროსი. თავად ავტოლიკოსი კი ***ჰერმესის*** ძე იყო, ხოლო ამ ღმერთს მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად მზაკვრობის ნიჭიც გააჩნდა. წინაპართა ყველა თვისება შეისისხლხორცა ოდისევსმა. მზაკვრული ბუნების გამო, ღმერთები თუ ახლობლები, მასზე ხშირად ბრაზობდნენ, ჰოდა პაპამაც შესაფერისი სახელი შეურჩია: „ჩემს შვილიშვილს „რისხვის მომგვრელი" უნდა ერქვას ანუ ოდისევსიო..." – უბრძანებია. ძველი მითოგრაფოსებიც აღიარებენ, რომ ოდისევსი „ღმერთების განმრისხებელს", ან „ღმერთების რისხვის დამთმენს" აღნიშნავს. ასე იყო თუ ისე, ოდისევსმა თავისი გონებამახვილობისა და შეუპოვარი ხასიათის გამო ღმერთების რისხვაც დაიმსახურა და მრავალ საცდურსაც გაუძლო. კიდეც ამიტომ უწოდეს მას „მრავალტანჯული და ჭკუაულევი" გმირი.

ოდისევსი დიდებული გარეგნობის ჭაბუკი დადგა. იმ ხანად მრავალი სახელოვანი გმირი ლამობდა მშვენიერ ***ელენეზე*** დაქორწინებას. ოდისევსიც მათ შორის იყო. ***ტინდარეოსი***, ელენეს მამა, შიშობდა, თავისი არჩევანით არ განერისხებინა დანარჩენი სასიძოები. მისი აზრით, ისინი ითაკილებდნენ უგულებელყოფას და გულში მტრობას ჩაიდებდნენ. იგი სიხარულით დაჰყვა ოდისევსის გონიერულ რჩევას: თავშეყრილ გმირებს წინდაწინ ფიცი დაადებინა, რომ მომავალში ყველა ერთად დაიცავდა ელენესა და მისი მეუღლის ღირსებას. მოგვიანებით ბერძენთა მეფეები ამ ფიცმა აიძულა დაძრულიყვნენ ***ილიონისკენ*** (***ტროას ომი***). ელენეს მეუღლედ დასახელ-




ოდისევსი [illegible] ძვ.წ. IV ს. [illegible]

და ***მენელაოსი***. მადლიერმა ტინდარევსმა არ დაივიწყა ოდისევსის ბრძნული რჩევა და იგი თავის ძმისშვილზე, ულამაზეს ***პენელოპეზე*** დააქორწინა. მალე მათ ვაჟიც შეეძინათ, რომელსაც ***ტელემაქოსი*** შეარქვეს.

როდესაც ***პარისმა*** ელენე მოიტაცა, მენელაოსმა ომი წამოიწყო და ბერძენ გმირებს უხმო დასახმარებლად. ოდისევსმა ***ორაკულისგან*** აუსრულებელი უწყება მიიღო. თანაც არ სურდა მშვენიერი მეუღლისა და ახალშობილის მიტოვება და ომში რომ არ წასულიყო, თავი მოისულელა: იწყო თავისი მინდვრების ხვნა და მარილის თესვა. ომს მიუხვდა ბრძენი ***პალამედესი*** და ხნულში ჩვილი ტელემაქოსი ჩაუგორა. მყის შეაჩერა გუთანი ოდისევსმა და თავიც გამოაამჟღავნა. რაღას იზამდა, თორმეტი ხომალდი აღკაზმა და ისე გამოცხადდა მენელაოსთან.

ოდისევსი ტროას ომის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა. თავისი სიბრძნით მან განაპირობა ბერძენთა გამარჯვება. მისი შემწეობით ჩაება გმირი ***აქილევსი*** ბრძოლაში და აი, როგორ: მისანმა ***კალქასმა*** ბერძნებს ამცნო, რომ მხოლოდ აქილევსის დახმარებით შეძლებდნენ ტროას აღებას, თავად გმირი კი ამ ბრძოლას ემსხვერპლებოდა. აქილევსის დედამ, ***თეტისმა***, თავისი შვილი გადამალა კუნძულ სკიროსზე, რადგანაც იმავე მისნობის ძალით, თუ აქილევსი ომს ასცდებოდა, ღრმა სიბერემდე იცოცხლებდა. სკიროსის მეფე ლიკომედესს ქალიშვილები ჰყავდა. აქილევსიც ქალის სამოსით შემოსეს და ამ ქალწულთა დასს შეურიეს. მალე გაცხადდა ეს ამბავი. აქილევსის ჩამოსაყვანად ოდისევსი, ***ფენიქსი*** და ***ნესტორი*** გაგზავნეს. მათ, ვაჭრებად გადაცმულებმა, სასახლეში შეაღწიეს და მეფის ასულთა თვალწინ დიდებული სამკაულები ამოალაგეს, გვერდით მიუდეს ფარი და მახვილი. მოულოდნელად საბრძოლო საყვირის ხმა გაისმა. შეშინებული ქალიშვილები დაიფანტნენ, აქილევსმა კი ხელი დასტაცა ფარსა და მახვილს და მტრის დასახვედრად შეიმართა, რითაც გათქვა თავისი თავი. როდესაც ოდისევსმა მას სიმართლე ამცნო, სიხარულით ჩაება გმირი დიდ ბრძოლაში.

ტროასკენ დაძრული ბერძენთა ლაშქარი ***აგამემნონზე*** განრისხებულმა ***არტემისმა*** შეაყოვნა ავლისში. სწორედ ოდისევსმა შესთავაზა მთავარსარდალს, მოტყუებით ჩამოეყვანა იფიგენია ავლისში, რათა მსხვერპლად შეეწირა არტემისისთვის.

როდესაც ბერძენთა ხომალდები ტროას ნაპირებს მიუახლოვდნენ, ვერც ერთმა გმირმა ვერ გაბედა ტროას მიწაზე გადასვლა. ყველას ახსოვდა ნამისნევი: პირველი, ვინც ტროას მიწას შეეხებოდა, უმალ უსულოდ დაეცემოდა. მაშინ ოდისევსმა ხომალდიდან გადააგდო თავისი ფარი და ამავე ფარზე დახტა ისე, რომ მიწისთვის ფეხი არ შეუხია. უშიშრად მიჰყვნენ მას გმირები იმ იმედით, რომ პირველნი არ იქნებოდნენ. არ გაუმართლა ***პროტესილაოსს***, რომელიც პირველი შეეხო ტროელთა მიწას. ის წამისუმალ განიგმირა ***ჰექტორის*** ოროლით.

ბერძნებმა ტროელებთან მოლაპარაკება სცადეს. ოდისევსი მენელაოსთან ერთად ეწვია ტროას მეფეს და ელენეს დაბრუნება სთხოვა უომრად. მაგრამ ცდომა ჩაიშალა. ომი დაიწყო. მედგრად იბრძოდა ოდისევსი, თუმცა უფრო გონიერებით, მოხერხებით, წინდახედულებით, გამოცდილებითა და ეშმაკობით გამოირჩეოდა. მისი მფარველი იყო ***ათენა***. მრავალი რამ გადახდა თავს ომის ჟამს ოდისევსს. მისმა სიბრძნემ მრავალგზის არგო აქაველებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ***„ტროას ცხენის"*** გამოგონება იყო. მის გარეშე, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანდა ომი.

ბოლოს და ბოლოს ბერძნებმა გაიმარჯვეს და გმირებმაც შინისკენ ისწრაფეს. ოდისევსს ბედად ეწერა მხოლოდ ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მიეღწია მშობლიურ ნაპირამდე, მაგრამ ეს მან ჯერ არ იცოდა. მშვიდად მიაპობდნენ ზღვის ზვირთებს მისი ხომალდები, რომლებიც ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მიადგნენ კიკონთა მიწას. მეხომალდეებმა დაიპყრეს ქალაქი ისმაროსი და გაააცამტვერეს, მამაკაცები ამოხოცეს, ხოლო ქალები დაიმონეს. ყურად არ იღეს ოდისევსის რჩევა, რაც შეიძლება სწრაფად გასც-



ოდისევსი (ძვ.წ. IV ს.). ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმი.

ლოდნენ იქაურობას. ქეიფსა და ნადიმს გადაჰყვნენ. ამასობაში ისმაროსის შემოგარენთა კიკონები შეიკრიბნენ და მძვინვარე ბრძოლა გაუმართეს მომხვდურებს. ტყეში რამდენი ფოთოლიც არის, იმდენნი იყვნენ. დიდხანს იბრძოდნენ ბერძნები, მაგრამ დამარცხდნენ და თავს უშველეს გაქცევით. წუხდნენ იმათზე, ვინც დაიღუპა , თანაც ხარობდნენ, რადგანაც საფრთხეს განერიდნენ.

როგორც კი ღია ზღვაში შეცურეს, მეხთამტყორცნელმა ***ზევსმა*** მათ ჩრდილოეთის ქარი, ***ბორეასი***, დაადევნა. ზღვა აბობოქრდა, ბნელმა ღრუბელმა ცა დააბნელა. გამძვინვარებულმა ბორეასმა ანძებს აფრები ჩამოგლიჯა. ძლივს მიაღწიეს მეზღვაურებმა ერთ უკაცრიელ კუნძულს. ორი დღე და ღამე იცადეს, ვიდრე ქარიშხალი ჩადგებოდა. მესამე დღეს კი ახსნეს აფრები და გზა განაგრძეს. მხოლოდ ათი დღის შემდეგ მიაღწიეს კუნძულს, რომელზეც ***ლოტოფაგები*** ცხოვრობდნენ. ოდისევსმა სამი თანამგზავრი გაგზავნა მიდამოს დასაზვერად. თავაზიანად მიიღეს ისინი ლოტოფაგებმა და ტკბილი ლოტოსით გაუმასპინძლდნენ. ვინც კი იგემა ეს უცხო ხილი, უმალ სამშობლო დაივიწყა. მათ აღარ სურდათ შინ დაბრუნება. ოდისევსი იძულებული გახდა ისინი ძალით აეყვანა ხომალდებზე და სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას.

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მეზღვაურები მიადგნენ ***კიკლოპთა*** კუნძულს. შორიდანვე შენიშნეს დაფნის ხეებით შებურული და უზარმაზარი ლოდებით გარემოცული მღვიმე. ოდისევსი თორმეტი ერთგული მეგობრით გადავიდა ნაპირზე, რათა ენახა, თუ ვინ ცხოვრობდა იმ მღვიმეში. იქ კი არავინ იყო, თუმცა მალე გამოჩნდა შემზარავი გარეგნობის მქონე კიკლოპი ***პოლიფემოსი***. ეს იყო უზარმაზარი გოლიათი, რომელსაც შუბლზე მხოლოდ ერთი თვალი უბრიალებდა. მან შემოდენა გამოქვაბულში თავისი ფარა, შემოსასვლელი უზარმაზარი ლოდით ჩახერგა და თხების წველა დაიწყო. შემდეგ კოცონი დაანთო და როდესაც თვალი ჰკიდა დაუპატიჟებელ სტუმრებს, გაოცდა. ვინ ხართ, საიდან მოსულხართო? – ასე იკითხა.

მოკლედ უამბო ოდისევსმა, ვინ იყო და აქ როგორ მოხვდა. სთხოვა, დაეცვა მესტუმრეობის ადათი, თან შეახსენა, თუ როგორ სჯიდა ზევსი მის დამრღვევთ. სასაცილოდაც არ ეყო კიკლოპს ზევსის ხსენება. უზარმაზარ ხელებში მოიმწყვდია ოდისევსის ორი მეგობარი, მიწაზე დაანარცხა, სული გააფრთხობინა, შემდეგ კოცონზე შედგმულ ქვაბში მოხარშა და გემრიელად მიირთვა. როცა ეახშმობა მოათავა, მიწაზე გაიშხლართა და დაიძინა. გაოგნებისაგან ხმას ვერ იღებდნენ საბრალო ადამიანები. დილით კიკლოპმა კვლავ ორი კაცი შთანთქა, შემდეგ ფარა წინ გაირეკა და გასასვლელი ამოქოლა. დიდხანს ფიქრობდა ოდისევსი, რა ეღონა. გამოქვაბულში უზარმაზარი მორი იპოვნა, ერთი ბოლო წაუმახვილა, ნაკვერჩხალზე გამოწვა და დამალა. როდესაც კიკლოპი დაბრუნდა და ისევ ორი კაცი შესანსლა, მიუახლოვდა ოდისევსი და თასით ღვინო მიაწოდა. ეამა კიკლოპს, თასის ავსება მოითხოვა, თან სახელი ჰკითხა ოდისევსს. „არავინ მქვია" – იცრუა გმირმა. „ჰოდა ჩემო არავინ, მეც პატივს გცემ და ბოლოს შეგჭამ!" – ამოიბუღბულა უკვე შემთვრალმა გოლიათმა, მესამე თასიც გამოცალა. მიწად მიეგდო და დაიძინა. მაშინ ოდისევსმა აიღო მორი, ცეცხლის ალზე გაახურა და მეგობრების დახმარებით კიკლოპს ერთადერთი თვალი ამოსთხარა. საშინელი ტკივილისაგან ისეთი ღრიალი მორთო გოლიათმა, რომ მის მღვიმეში შემოცვივდნენ სხვა კიკლოპებიც. „რა დაგემართა, პოლიფემოს, ვინ გაგბრაზა?" ეკითხებოდნენ ისინი. „ძალით კი არა, ეშმაკობით მღუპავს არავინ"! – ხაოდა თვალდათხრილი. „თუკი არავინ გაბრაზებს, რაღას ღრიალებ! ავად ყოფილხარ, ჩანს. ასეთია ზევსის სურვილი, ბედს შეურიგდი!" – დაამშვიდეს თანაგვარებმა და მიატოვეს.

როცა გათენდა, პოლიფემოსმა მოთქმით და გმინვით გასასვლელის ლოდი გასწია, რათა თავისი ფარა საბალახოდ გაეშვა. თანაც ყოველ ცხვარსა და თხას ზურგს უსინჯავდა. ოდისევსი და მისი მეგობრები ქვემოდან ამოეკვრნენ ამ ცხვრებს და სამშვიდობოზე გავიდნენ. ხომალდებისკენ ისწრაფეს, თან პოლიფემოსის ფარაც გაიყოლეს. როდესაც აფრები ახსნეს, ოდისევსმა ხმამაღლა გასძახა კიკლოპს: „იცოდე, პოლიფემოს, თვალი დაგივსო ოდისევსმა, ითაკას მეფემ"!

კიკლოპის ყურთასმენას მისწვდა ეს ხმა. მან თავის მამას, ***პოსეიდონს***, შეჰღაღადა, დაესაჯა ოდისევსი. შემდეგ უზარმაზარი კლდე ამოგლიჯა და ზღვისკენ გასტყორცნა. აზვირთებულმა ტალღამ ხომალდები შორს მოისროლა. მალე ისინი ***ეოლოსის*** კუნძულს მიადგნენ.

ბედნიერად ცხოვრობდა ქართა მეუფე

ეოლოსი. მასთან მთელი თვე დაჰყვეს მეხომალდეებმა. ისინი გამუდმებით ილხენდნენ და უამბობდნენ ღვთაებას ბერძენთა გმირობის ამბებს. ბოლოს მობეზრდათ და შინ დაბრუნება ისურვეს. ეოლოსმა გამოთხოვებისას მათ აჩუქა გუდა, რომელშიც ჩამწყვდეული იყო ყველა ქარი გარდა ***ზეფიროსისა***. მის კეთილ ქროლას მეზღვაურები ითაკამდე უნდა მიეყვანა. მაგრამ ზევსი არ სწყალობდა ოდისევსს. ზღვით ცურვის მეათე დღეს, როცა გამოჩნდა ითაკა, ღმერთებმა ღრმად ჩააძინეს გმირი. მისმა თანამგზავრებმა კი გუდას თავი მოხსნეს, რადგან იქ ოქრო და ვერცხლი ეგულებოდათ. რაღა თქმა უნდა, გუდიდან ამოქროლდნენ დამწყვდეული ქარები და ზღვა ისეე აახბობოქრეს. ხოლო ხომალდი ეოლოსის კუნძულთან დააბრუნეს. ოდისევსი სასახლეში ეახლა მეფეს დახმარების თხოვნით. მან კი, განრისხებულმა მიუგო, რომ არასოდეს თანაუგრძნობს იმ კაცს, რომელიც არ უყვართ ღმერთებს.

ისევ ზვირთებში შეაცურეს ხომალდები შინ მიმავალმა მებრძოლებმა. ექვსი დღის ხეტიალის შემდეგ ისინი გოლიათი კაციჭამია ***ლესტრიგონების*** ქვეყანას მიადგნენ. იქ მეფობდა ანტიფატოსი, რომლის ბრძანებითაც გოლიათებმა ულმობლად ამოჟლიტეს ოდისევსის თანამგზავრები. თორმეტი ხომალდიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. ეს იყო ოდისევსის ხომალდი, რომელსაც დიდხანს მიაცურებდნენ ზვირთები უკიდეგანო ზღვის სივრცეში.

მეზღვაურების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დედამიწა გამოჩნდა. ეს იყო კუნძული ***აიაია***, სადაც ***აიეტის*** და, გრძნეული ***კირკე*** ცხოვრობდა. ორი დღე მშვიდად გაატარეს სანაპიროზე. მესამე დღეს კი ოდისევსმა მეგობართა ერთი ჯგუფი ევრილოქოსის მეთაურობით კუნძულის გასაცნობად გაგზავნა. როდესაც ისინი კირკეს სასახლეს მიუახლოვდნენ, საოცარი რამ იხილეს: ირგვლივ მშვიდად მიმოდიოდნენ მოთვინიერებული ლომები და მგლები. სტუმრად მისულებს თვალი რომ ჰკიდეს, მიუახლოვდნენ და მიეფერნენ. მალე კირკეც გამოვიდა და უცხო ხალხი შინ მიიწვია, ღვინო შეასვა, შემდეგ თავისი კვერთხი შეახო და ღორებად გადააქცია. თუმცა გონება დაუტოვა მათ ძველებური. შემდეგ ბოსელში შერეკა და საჭმელში რკო ჩაუყარა. მხოლოდ ევრილოქოსი გადარჩა, რადგან სასახლეში არ შეჰყვა კირკეს. იგი ხომალდთან დაბრუნდა და ყველას უამბო, რაც იხილა. ოდისევსმა მეგობართა დასახმარებლად ისწრაფა. გზად მშვენიერი ჭაბუკის სახით გამოეცხადა ღმერთი ***ჰერმესი***, რომელმაც ასწავლა, თუ როგორ ეხსნა თანამგზავრები. მანვე უბოძა სასწაულმოქმედი ბალახი, მოლი, რომელსაც შეეძლო კირკეს ხიბლის მოგერიება.

კირკემ მიიღო ოდისევსი, სუფრასთან მიიწვია, ასვა, აჭამა და როცა ნახა, მასზე ჯადო არ მოქმედებდა, ოქროს კვერთხის შეხება სცადა. მაშინ განრისხდა ოდისევსი და მახვილი მოუღერა თავის მასპინძელს. გრძნეული ქალი მუხლებზე დაემხო და პატიება სთხოვა. შემდეგ ადამიანური სახე დაუბრუნა მის მეგობრებს. ხოლო თავად ისე დანაზდა, ისეთი მომხიბლავი გახდა, რომ ოდისევსმა მთელი წელი დაჰყო მის, ახლა უკვე სტუმართმოყვარე, სასახლეში. ბოლოს შინ დაბრუნების სურვილმა სძლია. განშორებაზეც დაითანხმა კირკე, რომელმაც ურჩია, ბედის საცნობად სწვეოდა ***ჰადესს***, რათა იქ ***ტირესიასის*** აჩრდილი ეხილა. კირკემვე ასწავლა მას მიწისქვეშა სამყაროში ჩამავალი გზაც.

ოდისევსმა და მისმა თანამგზავრებმა ერთ დღეში გადაკვეთეს ოკეანოსის ღრმა დინება და კიმერიელთა იდუმალ ქვეყანას მიადგნენ. იქ ოდისევსმა ***პერსეფონეს*** ჭალას მიაგნო, სადაც მიწის ქვეშ ჩამავალი გზა ეგულებოდა. მახვილით ორმო ამოთხარა და მსხვერპლშეწირვა დაიწყო: თავდაპირველად ორმოში ჩაღვარა თაფლი და რძე, შემდეგ ღვინო, ბოლოს კი ფქვილში არეული წყალი. შეარჩია რამდენიმე შავი ცხვარი, რომელთაც ყელი გამოღადრა და მათი სისხლიც შიგ ჩაასხა. სისხლის სუნმა მიიზიდა მობორიალე აჩრ-

*ოდისევსი. კედლის მოხატულობა (ახ.წ. 65 წ.). პომპეი.*





*ოდისევსი ჩაფხუტით (ძვ.წ. 425-400 წ.წ.). ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმი.*

დილები, რომელთაც სურდათ შეესვათ ეს თბილი სითხე, წამით მაინც რომ გონს მოსულიყვნენ, რათა სიტყვები ამოეთქვათ. ახლოს არ იკარებდა მათ ოდისევსი. ის ტირესიასს ელოდებოდა. ბოლოს გამოჩნდა ოქროს კვერთხს დაყრდნობილი ბრძენი მისანი, შესვა სისხლი და ამეტყველდა, გმირს მომავალი განუცხადა, შინ დაბრუნების ბედნიერი ამბავი ამცნო. შემდეგ ეს უთხრა: ,,ბოლოს მოგიწევს კვლავ ზღვაში გასვლა. შორეულ ქვეყნებს მოიხილავ, მანამდე ივლი, ვიდრე ისეთ ხალხს არ შეხვდები, ზღვა რომ არასოდეს უხილავთ. აი, მაშინ კი პოსეიდონს შესწირე მსხვერპლი და შინ დაბრუნდი. იქ, შენს დიდებულ სამეფოში, ბედნიერი სიბერის ზღვართან დაელოდები საამო სიკვდილს, რომელიც ზღვიდან გეახლება''. როდესაც ტირესიასი წავიდა, სხვა სულები გამოჩნდნენ. ისინი სისხლს სვამდნენ და საუბრობდნენ. ოდისევსმა იხილა დედამისი – ანტიკლეა, აგამემნონი, აქილევსი, პატროკლოსი, ანტილოქოსი, გაბრაზებული *აიასი*, რომელმაც ისე ჩაუარა, რომ ხმა არ გასცა. შემდეგ ქვესკნელში ღრმად ჩაიხედა. იქ თვალი მოჰკრა მიცვალებულთა მსაჯულ *მინოსს* სკიპტრით ხელში რომ იჯდა ტახტზე; დაინახა *ორიონის*, *ტიტიოსის* და სხვა ცოდვილთა აჩრდილები... მოდიოდნენ და მოდიოდნენ უცხო სულები. ოდისევსი შიშმა შეიპყრო. მეგობრებს ხომალდზე ასვლა უბრძანა და იქაურობას გაეცალა. კირკეს კუნძულისაკენ ისწრაფა. კეთილისმყოფელ დედოფალს ყოველივე წვრილად უამბო და სიყვარულით დაემშვიდობა.

მეხომალდეებმა კვლავ ითაკასაკენ აიღეს გეზი. თავდაპირველად ჩაუარეს სირინოზების (*სირენების*) კუნძულს. მაცდური ხმებით გალობდნენ ეს ქალჩიტა ურჩხულები. ისინი თავიანთ კუნძულზე შეიტყუებდნენ ხოლმე მეზღვაურთ და იქ ხოცავდნენ. ადამიანთა ძვლებით იყო მოფენილი მათი სადინადრო. კირკემ ნება დართო ოდისევსს, დამტკბარიყო სირინოზების მღერით. და რომ გაეძლო, ურჩია, ანძაზე მიება თავი. გმირმა ამ საქმის აღსრულება მეგობრებს სთხოვა, თან დაამატა, თუკი ახსნას მოინდომებდა, უფრო ძლიერად შეებოჭათ. მათ კი უბრძანა, ყურები ცვილით ამოევსოთ სირინოზების გალობა რომ არ მოესმინათ. ასეც მოიქცნენ. მალე გასცილდნენ მომღერალ ფრთოსნებს, მაგრამ მოულოდნელად შემზარავი გრიალი შემოესმათ.

მეზღვაურთა წინ მძვინვარე ურჩხულები, *სკილა* და *ქარიბდისი* აღიმართნენ. ისინი ერთმანეთის პირისპირ ბინადრობდნენ და მათ შორის გავლა მეტისმეტად სახიფათო იყო. აჩქარდნენ მეხოფურები. შიშით უმზერდნენ, როგორ შთანთქავდა ქარიბდისი ზღვის სილურჯეს, რომლის ნაცვლადაც დაბჩენილი ხახიდან მიწაში აზელილი მდუღარე ყლარტი მოენთხეოდა. ირგვლივ ზათქითა და გრიალით თუხთუხებდა წყალი, რომლის შხეფებიც კლდის წვერს სწვდებოდა. ამ სანახაობით ზარდაცემულებმა ვერც კი შენიშნეს, თუ როგორ წაიგრძელა სკილამ თავისი ექვსი კისერი და უზარმაზარ ხახებში, წვერწამახული კბილები რომ სამ მწკრივად ეწყო, მოიქცია მეხოფურები.

ასე დაკარგა ოდისევსმა ექვსი თანამგზავრი, ძლიესძლიობით ჩამოიტოვა აბობოქრებული სრუტე და მიაღწია საბედისწერო თრინაკიას, სადაც *ჰელიოსის* ხარები ბალახობდნენ. კარგად ახსოვდა ტირესიასის მისნობა: თუ ჰელიოსის ხარებს დაკლავდნენ, ვერ დააღწევდნენ თავს განსაცდელს. ამიტომ სთხოვდა თანამგზავრებს, არ შენაევბულიყვნენ კუნძულზე. არ დაუჯერეს. მაშინ ფიცი დაადებინა, არაფერი ევნოთ ხართათვის. მეზღვაურებმა მთელი დღე დაჰყვეს ამ კუნძულზე, რადგანაც ზღვაზე ზევსისგან მოვლენილი ქარები ბობოქრობდნენ. გამოელიათ სანოვაგე. ერთხელ ოდისევსი განმარტოვდა, რათა ღმერთებისათვის შემწეობა ეთხოვა. ღმერთებმა მას ძილი მოჰგვარეს. ვიდრე ეძინა, მისმა თანამგზავრებმა ჰელიოსის ჯოგიდან საუკეთესო ხარები შეარჩიეს და დაკლეს. ისე განრისხდა ჰელიოსი, რომ სამუდამო წყვდიადით დაემუქრა ღმერთებსა და ადამიანებს. მზის ღვთაების რისხვა რომ დაეცხრო, ზევსმა დამეხა ხომალდი და ამოხოცა ყველა, ვინც კი ჩაიდინა ეს მკრეხელობა.

გადარჩა მხოლოდ ოდისევსი. მან ხომალდის კიდისა და ანძის ნამსხვრევები ბაგირით გადააბა, ზედ მოთავსდა და ზღვას მიენდო. ცხრა დღე და ღამე მიაქანებდნენ ზვირთები სასოწარკვეთილს, ბოლოს გარიყეს კუნძულ *ოგიგიაზე*, რომელიც *ნიმფა კალიფსოს* სამეუფეო იყო. არნახული სილამაზე გადაიშალა ,,მრავალტანჯული'' გმირის თვალწინ: მინდორ-ველები დაეფარა მწვანე ბალახებს, რომელთა შორის საამო სურნელებას აფრქვევდნენ იები და შროშანები. მზის სხივები ელვარებდნენ ცად ასვეტილი ალვების, კიპარისების, კედრებისა თუ ჭადრების ფოთოლთა შორის, ხოლო მათ ჩრდილში წყაროები მორაკრაკებდნენ. იქვე იყო ვაზის რტოებით დაბურული გრილი მღვიმე, ნიმფას სასახლე. შვიდი ხანგრძლივი წელიწადი გაატარა იქ ოდისევსმა მშვენიერი კალიფსოს სიყვარულით განებივრებულმა, მაგრამ შინ დაბრუნების მძიმე სევდა არ ასვენებდა. ბოლოს ღმერთებმა შეიწყალეს ოდისევსი და *ოლიმპოსზე* შეიკრიბნენ. *ათენას* თხოვნით და ზევსის ნებით, პოსეიდონის მძვინვარების მიუხედავად გადაწყვიტეს, რომ მისთვის ითაკაზე დაბრუნების ნება დაერთოთ. მეხთამტყორცნელმა ამ ამბის საუწყებლად სასწრაფოდ აფრინა ჰერმესი კალიფსოსთან. ნიმფა დაღონდა, მას ხომ უყვარდა ოდისევსი, სურდა, უკვდავი გაეხადა და სამუდამოდ გვერდით ჰყოლოდა. მაგრამ ზევსის ნებას წინ ვერავინ აღუდგებოდა.

გახარებულმა ოდისევსმა შეკრა ტივი, ზედ აფრები ააფრიალა, მადლიერებით გამოეთხოვა კალიფსოს და ზღვაში გავიდა. თვრამეტი დღე და ღამე მშვიდად იცურა. *ფეაკთა* კუნძულს რომ მიუახლოვდა, მას თვალი ჰკიდა ეთიოპიიდან მომავალმა პოსეიდონმა. აუბობოქრა ისეე ზვირთი, რომელმაც კინაღამ შთანთქა გმირი. დიდხანს გასტანდა ოდისევსის ტანჯვა შემწედ ზღვის ღვთაება ლევკოთეა რომ არ მოვლენოდა. მან საოცარი მოსასხამით შემოსა გმირი და თავად გაქრა. ამასობაში პოსეიდონმა მოასწრო მისი ტივის დაშლა. ზღვაში ღვთაებრივი მოსასხამით მოტივტივე ოდისევსი რომ დაინახა, ასე გასძახა: ,,საკმარისია, რაც იტანჯე! ახლა მიენდე ამ ბობოქარ ზვირთებს და მანამ იცურე, ვიდრე ვინმე არ გადაგარჩენს!''

ორი დღე დააქანებდა ოდისევსს მღელვარე ტალღა, ბოლოს ძალაგამოლეული და სასოწარკვეთილი გარიყა ნაპირზე. ფეხი დაადგა თუ არა ხმელეთს, ოდისევსმა მოიხსნა ლევკოთეას მოსასხამი და უკან მოუხედავად მოისროლა ზღვაში. თავის ღვთაებას დაუბრუნდა ეს მოსასხამი. ოდისევსმა კი იქვე გამ-

ხმარ ფოთლებს მოჰკრა თვალი, ზედ მიეგდო და მიიძინა.

ქალღმერთი ათენა ძილში გამოეცხადა იქაური მეფის ასულ ნავსიკაას და ზღვის ნაპირზე გასვლა უბრძანა სარეცხის გასარეცხად. ინათა თუ არა, ***ნავსიკაამ*** უხმო მეგობრებს და სანაპიროსკენ გაემართა. თავისი საქმე რომ მოათავეს, ქალწულებმა ბურთის თამაში იწყეს. მხიარულმა შეძახილებმა გამოაფხიზლეს ოდისევსი. უცნაურად გამოიყურებოდა იგი. სხეულზე ფოთლები, ზღვის მცენარეები და ყლარტი აკრობოდა. გოგონები შეშინდნენ და დაიფანტნენ. მხოლოდ ნავსიკაამ იგრძნო, რომ მის წინ უბრალო კაცი არ იდგა. მან უბრძანა თავის მხევლებს, სუფთა სამოსით შეემოსათ უცხო სტუმარი. საქმეში ათენაც ჩაერია და დიდებულად გაასხივოსნა ისედაც ლამაზი გმირი. ხოლო როდესაც ოდისევსი ზღვის ნაპირთან ლოდზე ჩამოჯდა, ღვთაება ხომ არ არისო, გაიფიქრა მეფის ასულმა.

ოდისევსი კუნძულ სქერიაზე მოხვედრილიყო, სადაც სახლობდნენ ფეაკები. სხვა ხალხთაგან განრიდებულნი ისინი მშვიდად ცხოვრობდნენ და მართლგანგებით. იყვნენ ჩინებული მეზღვაურები, თუმცა ზღვაში მხოლოდ სულის დასაამებლად გადიოდნენ, რადგან არც სავაჭროდ ჰქონდათ საქმე და არც არავის ეომებოდნენ. მათი ხომალდები ფიქრზე უსწრაფეს დაფრინავდნენ, საჭის გარეშე, რადგანაც სული ჰქონდათ ჩადგმული. ისინი მეხომალდეთა ნებისმიერ სურვილს უმალ აღასრულებდნენ. არ არსებობდა იმ ხომალდებისათვის საფრთხე, არც ქარიშხალი. მათთვის ზღვა მუდამ მშვიდი იყო. ფეაკებისათვის ცხოვრება დღესასწაულივით მიედინებოდა. მათ სულს ხიბლავდა პოეზია, მუსიკა, ცეკვა, ყოველნაირი თამაშები. ფუფუნებაში ცხოვრობდნენ და მდიდრულად ეცვათ. უყვარდათ ზღვაში ნებივრობა და სიმშვიდე.

მეფის სასახლის კედლები ბრინჯაოსი იყო, კარები კი – ოქროსი. იქვე დიდებული ბაღი ხარობდა, სადაც ხეები გამუდმებით ისხამდნენ ნაყოფს, რადგან ფეაკთა ქვეყანაში არ ზამთრდებოდა. როდესაც ოდისევსმა მდიდრულ დარბაზში შეაბიჯა, მას გულღიად შემოეგებნენ ფეაკელი დიდებულები. ყველა ხარობდა, იცინოდა და ღვინოს სვამდა, ხოლო ამ ბედნიერ საკრებულოს მეთაურობდა მეფე ალკინოოსი თავის მშვენიერ მეუღლე ***არეტესთან*** ერთად. კეთილად მიიღეს მეფე-დედოფალმა უცხო სტუმარი, მოეწონათ, დახმარება აღუთქვეს და ნადიმზეც მიიპატიჟეს. მის გასართობად ბრმა მომღერალ ***დემოდოკოსს*** უხმეს, რომელმაც კითარაზე დიდი გმირების, ოდისევსის და აქილევსის ამბები ჩამოამღერა. ოდისევსს თვალზე ცრემლი მოადგა. ეს რომ შენიშნა ალკინოოსმა, ყველაფერს მიხვდა. სთხოვა უცხოელს, ეთქვა ვინ იყო, ვისი მოდგმის, სად მიდიოდა. მაშინ წამოდგა ოდისევსი და ყველაფერი მოახსენა მონადიმეებს.

ოდისევსის თავგადასავალმა მოხიბლა კეთილშობილი ფეაკები. მათ უხვად დაასაჩუქრეს იგი და მეორე დღეს, მიმწუხრისას, ხომალდზე ასულს გზა დაულოცეს. რბილ სარეცელზე ჩაეძინა ხეტიალით მოქანცულ ყარიბს. საოცარი სისწრაფით მიაპობდა ზეირთებს მისი ხომალდი. გამთენიისას ფეაკებმა ითაკას მიაღწიეს და მძინარე გმირი ნაპირზე გადაიყვანეს. ირგვლივ მიუწყვეს მდიდრული ნაბოძვარი და სამშობლოსაკენ ისწრაფეს.

გამოფხიზლებულ ოდისევსს ქალღმერთი ათენა გამოეცხადა. ნისლი მთებს მიღმა გადაყარა და საყვარელ გმირს თვალწინ ითაკა გადაუშალა. ოდისევსი დაიხარა და მშობლიური მიწა დაკოცნა. შემდეგ ათენას რჩევით, განძი დამალა, მათხოვარივით შეიმოსა და მეღორე ***ევმეოსს*** მიადგა, რომლისგანაც შეიტყო თავისი ოჯახის ამბები. აქვე შეახვედრა ათენამ ერთმანეთს ოდისევსი და ტელემაქოსი, რომლებმაც უმალ მოითათბირეს სასიძოთა დასჯის თაობაზე. დილით ოდისევსმა სასახლისაკენ ისწრაფა. ვერავინ იცნო ითაკას დიადი მეფე. მხოლოდ ბებერმა ძაღლმა, არგოსმა შეარხია კუდი მის დანახვაზე. წამოიწია და ძაღლური ერთგულებით სცადა მასთან მიცოცება, მაგრამ ადგომა ეღარ შეძლო, რადგან საბრალო სულს ღაფავდა.

სასახლეში შემოსული მათხოვარი დაცინვით მიიღეს სასიძოებმა. პენელოპემ ოდისევსის ძიძას, ევრიკლეას, მისთვის ფეხის დაბანა დაავალა. ძიძამ ოდისევსის ფეხზე ნაიარევი შენიშნა და უმალ იცნო თავისი აღზრდილი. სურდა ეყვირა, მაგრამ მეფემ ანიშნა, ხმა არ გაეღო. ათენას ჩაგონებით, პენელოპემ ოდისევსის მშვილდი შემოიტანა და ასე მიმართა სასიძოებს: „ვინც შეძლებს მარჯვედ მშვილდის მოზიდვას და გაატარებს თორმეტ ცულში ნასროლ ისარს, ცოლადაც მას გავყვებიო". მშვილდის დაძვრაც კი ვერ მოახერხეს აბეზარმა სასიძოებმა. მაშინ კი წამოიმართა ოდისევსი. მიუხედავად სასიძოთა აღშფოთებისა, მძლავრად მოზიდა მშვილდი და თორმეტ ცულში გაატარა ისარი უწინდებურად. შემდეგ ტელემაქოსისა და ერთგული მსახურების დახმარებით ამოჟლიტა სასიძოები.

პენელოპეს ქმრის დაბრუნება ევრიკლეამ ამცნო. ათენამ ოდისევსს უწინდელი დიდებულება დაუბრუნა და ღვთაებრივი შარავანდით წარუდგინა ერთგულ მეუღლეს. არ იჯერებდა პენელოპე. ოდისევსმა მას საერ-



*ოდისევსი და ნავსიკაა. ვ.ა. სეროვის ნახატი (1910 წ.). მოსკოვი. ტრეტიაკოვის გალერეა.*

თო საიდუმლო შეახსენა: წვრილად უამბო, თუ როგორ გამოთალა და შეამკო ის დიდებული სარეცელი, რომელსაც თაეისი ადგილიდან ვერავინ დასძრავდა. მაშინ კი ირწმუნა პენელოპემ, რომ მის წინ ითაკას მეფე იდგა და სიყვარულით მოეხვია.

მას შემდეგ ხშირად იკრიბებოდა ხოლმე მთელი ოჯახი სამეფო ბაღში და ოდისევსი დიდებული მჭევრმეტყველებით მოუთხრობდა მათ ნანახს და განცდილს. შორეული ქვეყნებიდანაც ჩამოდიოდნენ ახლობლები თუ უცხოელები, რათა ეხილათ კაცი, რომელმაც მოიხილა მიწისქვეშეთი, მოისმინა სირინოზთა ხმა და იყო იდუმალ კუნძულთა ბინადარი ნიმფების საყვარელი. ხოლო როდესაც ღეთაებათა ნებისა და წინასწართქმულის აღსრულების დრომ მოაღწია, ოდისევსმა აღკაზმა ხომალდი და შორეულ გზას დაადგა. დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა და როდესაც ისევ სამეფო ტახტზე დაბრძანდა, იგი უკვე თმაჭაღარა მოხუცი იყო. მეფე სიკვდილს ელოდებოდა, რომელიც უნდა ხლებოდა ზღვიდან. ასე უმისნა ტირესიასმა დიდი ხნის წინ ჰადესის სამფლობელოში. მისნობა ახდა (იხ. *ტელეგონოსი*).



ოიდიპოსი და სფინქსი. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 470-460 წ.წ.). რომი. ვატიკანის მუზეუმი.

**ოიდიპოსი** – ბერძნ. თებელი გმირი; ***ლაიოსის*** და იოკასტეს ძე.

დიდხანს მართავდა ქვეყანას თებეს მეფე ლაიოსი თავის მეუღლე იოკასტესთან ერთად. დამწუხრებულმა იმით, რომ მემკვიდრე არ ჰყავდა, დელფოს ორაკულს მიმართა. პასუხი კი შემაძრწუნებელი მიიღო: „მოჩვენებითი საწუხარი სინამდვილეში შენი ხსნაა, რადგან იოკასტესგან შობილი შეილი მკვლელად მოგევლინება". შეშფოთდა ლაიოსი. მისნობა საიდუმლოდ შეინახა, მხოლოდ მეუღლეს გაურბოდა. იოკასტე კი განიცდიდა ქმრის უწადილობას. ერთხელაც იგი დაათრო და მის მკლავებში დიდხანს ინებივრა. ცხრა თვის შემდეგ შეეძინა ვაჟი, რომელსაც ლაიოსმა კოჭები გაუხვრიტა და ბაწრით შეუკრა. შემდეგ კითერონის მთაზე აიყვანა და ბუჩქებში მიაგდო. აქ ბავშვი მწყემსებმა იპოვნეს. შეშუპებული ფეხების გამო ოიდიპოსი („ფეხებდასიებული") შეარქვეს და კორინთოს უშვილო მეფე-დედოფალს მიუყვანეს. მათ ბავშვი ღმერთების გამოგზავნილად მიიჩნიეს და შვილივით აღზარდეს. მაგრამ თავს ბედნიერად არ გრძნობდა ოიდიპოსი, რადგან ერთხელ კორინთელმა ჭაბუკმა დაცინვით მიანიშნა, რომ სულ ტყუილად იჩემებდა მეფისწულობას. სიმართლე რომ ვერსად გაიგო, ჭეშმარიტების დასადგენად ***დელფოს*** ეწვია. „უბედურო, – აღმოხდა ***პითიას*** მისი ხილვისთანავე – შენ მოკლავ მამას, ხოლო დედას ცოლად შეირთავ!" შეძრწუნდა ოიდიპოსი და რამდენადაც კორინთოს სამეფო ოჯახს თავის მშობლებად მიიჩნევდა, მათთან განშორება განიზრახა.

დელფოდან ფეხით მომავალს ვიწრო გზაჯვარედინთან ეტლზე ამხედრებული მეფე ლაიოსი შემოეყარა, რომელმაც ჭაბუკს უბრძანა გზა დაეთმო და თაყვანი ეცა. ოიდიპოსმა უპასუხა, რომ მხოლოდ ღმერთებს და საკუთარ მშობლებს ეთაყვანება. „მით უარესი შენთვის!" – შეჰყვირა ლაიოსმა და მეეტლეეს ეტლის დაძვრა უბრძანა. ბორბალმა ოიდიპოსს ფეხზე გადაუარა. გაცხარდა იგი და მეეტლე შუბით განგმირა. ცხენები დაფრთხნენ. ლაიოსმა თავი ვერ შეიმაგრა, სადავეებში გაიხლართა და ეტლიდან გადმოვარდა. ოიდიპოსმა მათრახი გადაჰკრა ცხენებს და ისინიც მთელი ძალით გაქანდნენ, თან დაითრიეს ლაიოსი. ასე დაიღუპა მეფე.

ლაიოსი დელფოსაკენ ისწრაფოდა, რათა გაეგო, როგორ ეხსნა თავისი ქალაქი ***სფინქსისაგან***. ეს იყო ურჩხული, რომელსაც ქალის თავი ჰქონდა, ლომის ტანი, გველის კუდი და არწივის ფრთები. ეს საზარელი არსება ჰერამ სასჯელად მოუვლინა თებეს იმიტომ, რომ ლაიოსმა ოდესღაც აცდუნა ყმაწვილი, სახელად ქრისიპოსი.

სფინქსი თებეს მახლობელ მთაზე ბინადრობდა და ყოველ გამვლელს სთავაზობდა გამოცანას, რომელიც ***მუზებისაგან*** ისწავლა: „ცოცხალ არსებათაგან ვინ დადის დილით ოთხი, დღისით – ორი, ხოლო საღამოს – სამი ფეხით?" ვინც ვერ გასცემდა პასუხს, უფსკრულში აგდებდა. თებესკენ მიმავალი ოიდიპოსიც გააჩერა. „ადამიანი – უპასუხა მან – ახალშობილი ფორთხავს ოთხით, ახალგაზრდა მყარად მიაბიჯებს ორი ფეხით, ხოლო მოხუცი ჯოხით დადის". სწორი პასუხის მოსმენისთანავე სასოწარკვეთილი სფინქსი უფსკრულში გადაიჩეხა.

მადლიერმა თებელებმა ოიდიპოსი მეფედ აღიარეს. ასე გახდა იგი იოკასტეს მეუღლე. არც უფიქრია, რომ მშობელი დედა შეირთო ცოლად. მისგან ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი შეეძინა: ***ეტეოკლესი***, ***პოლინიკესი***, ***ისმენე*** და ***ანტიგონე***.

ახალი უბედურება დაატყდა თავს თებეს – შავი ჭირი. თებელებს დელფოს ***ორაკულმა*** ლაიოსის მკვლელის გაძევება უბრძანა. ოიდიპოსმა, რომელმაც არ იცოდა, ვინ შემოაკვდა გზაჯვარედინზე, მკვლელი დასწყევლა და მისი ქალაქიდან გაძევების განკარგულება გასცა. მაშინ მთელს საბერძნეთში სახელგანთქმულმა მისანმა ***ტირესიასმა*** თებეს მეფესთან შეხვედრის ნება ითხოვა.

საშინელი იყო ის დღე, როდესაც ბრმა მისანი ოიდიპოსის სასახლეში გამოჩნდა. იგი დიდხანს დუმდა უბედურების მაუწყებელი წამები რომ გადაეწია. ბოლოს სიმართლე განაცხადა: „ოიდიპოსი მამის მკვლელია და საკუთარი დედის მეუღლე!". გაოგნებულმა ოიდიპოსმა, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა. უმალ თავად ტირესიასი და კრეონი (იოკასტეს ძმა) დაადანაშაულა შეთქმულებაში. მაგრამ გამოჩნდა ის ორი მწყემსი, რომლებმაც ლაიოსისგან გამეტებული ბავშვი სიკვდილს გადაარჩინეს. ამასობაში იოკასტემაც გაიხსენა ძველი ამბავი და ოიდიპოსისათვის ჭეშმარიტება გაცხადდა. თებეს დედოფალმა, რომელიც პირველი მიხვდა ყველაფერს, თავი ჩამოიხრჩო. ხოლო ოიდიპოსმა თვალები დაითხარა, რათა არასოდეს ეხილა ის უბედურება, რაც თავს დაატყდა. იგი ძონძებში გამოეწყო, ჯოხს დაეყრდნო და ქალიშვილების თანხლებით ქალაქი დატოვა. ეს უკვე

იყო მოტეხილი და დაძაბუნებული კაცი, რომელიც სიკვდილს ეძიებდა. იგი დიდხანს დაეხეტებოდა ქვეყნად. ბოლოს ღრმად მოხუცებულმა თავის ქალიშვილებთან ერთად მიაღწია ათენის განაპირა სოფელს, კოლონოსს. იმ ხანად ათენს სახელოვანი ***ეგევსის*** ძე ***თესევსი*** მართავდა. იგი ბრმა მოხუცს შეეგება და წინ წარუძღვა. ისმენე და ანტიგონე შინისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ და როდესაც, სულ მცირე ხანში, უკან მოიხედეს, ოიდიპოსი აღარსად ჩანდა, ხოლო თესევსი მუხლმოყრილი ლოცვას აღავლენდა ***ოლიმპიელი*** ღმერთებისადმი. ასეთი იდუმალებით არის მოცული ოიდიპოსის გარდაცვალება. მის სამბოლოო სამარეს ათენელები დიდხანს სცემდნენ თაყვანს.

ძველ საბერძნეთში ოიდიპოსის მითოსზე მრავალი ტრაგედია დაიწერილა. დიდი წარმატებით გამოიყენა იგი ძვ.წ. V საუკუნის დიდმა დრამატურგმა სოფოკლემ. მისი მდიდარი შემოქმედებიდან ჩვენამდე შვიდმა ტრაგედიამ მოაღწია. აქედან ორი სწორედ ოიდიპოსის მითოსზეა შექმნილი („ოიდიპოს მეფე", „ოიდიპოსი კოლონოსში"). თანამედროვე სამყაროში აღსანიშნავია კორნელის, ვოლტერის, შელისა და სხვათა ქმნილებები.

**ოინევსი** – ბერძ. კალიდონის მეფე, ***დევკალიონის*** ჩამომავალი; ***მელეაგროსის***, ***დეიანირასა*** და სხვათა მამა.

როდესაც ოინევსმა სთვლობის ზეიმი აღნიშნა და თორმეტ ***ოლიმპიელ*** ღმერთს, წესისამებრ, პირველად აკრეფილი მოსავალი შესწირა, დაივიწყა ***არტემისი***. ქალღმერთი განრისხდა და მის სამეფოს მძვინვარე ტახი მოუვლინა. ეს შემზარავი ნადირი უმოწყალოდ ანადგურებდა კალიდონსა და მის შემოგარენს. მაშინ მეფემ საბერძნეთის სახელოვანი გმირები იხმო და ბერძნულ მითოსში ცნობილი ***კალიდონის ნადირობა*** მოაწყო. ამ ნადირობას შეეწირა ოინევსის ძე მელეაგროსი. მისმა დედამ, ალთეამ, თავი მოიკლა. მოგვიანებით ოინევსი დაქორწინდა პერიბოიაზე, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი–ტიდევსი, დიომედესის მამა. როდესაც ოინევსს ნათესავებმა სამეფო სკიპტრა წაართვეს, დიომედესმა შური იძია და სულ მალე დაუბრუნა თავის პაპას ძალაუფლება.

**ოინომაოსი** – ბერძ. ელისის მეფე; ***არესის*** ძე, ***ჰიპოდამეას*** მამა.

***ორაკულის*** წინასწარმეტყველებით, ***ჰიპოდამეას*** ქორწინება შეიწირავდა ოინომაოსს. ამიტომ მეფემ განაცხადა, ქალიშვილს მხოლოდ იმ გმირს მიათხოვებდა, ვინც მას ეტლით სრბოლაში დაამარცხებდა. არესის მიერ ნაბოძები სწრაფი ცხენებით ოინომაოსი მუდამ წინ უსწრებდა სასიძოს და თავისი ოროლით სიცოცხლეს უსწრაფებდა. გმირმა ***პელოფსმა*** მოისყიდა მეფის მეეტლე ***მირტილოსი***, რომელმაც ეტლის ღერძიდან ჭილიბი ამოაძრო. შუა სრბოლისას ეტლი დაიშალა და მეფე სასიკვდილოდ დაშავდა. მითოსის სხვა ვერსია გვამცნობს, რომ დამარცხებულმა მეფემ თავი მოიკლა; არსებობს გადმოცემაც, თითქოს პელოფსმა თავად მოიგო ეს შეჯიბრი, რადგანაც მის ეტლში ***პოსეიდონის*** ცხენები იყო შებმული.

ოინომაოსის მითოსზე ტრაგედიები შეუქმნიათ სოფოკლესა და ევრიპიდეს. ამ ტრაგედიებმა ჩვენამდე ფრაგმენტულად მოაღწიეს.

**ოკეანიდები** - ბერძ. ***ნიმფები***, ***ოკეანოსისა*** და ***თეტისის*** ქალიშვილები.

**ოკეანოსი** - ბერძ. 1. ***ტიტანისი*** (ტიტანი), ***ურანოსისა*** და ***გეას*** ძე; ***კრონოსის***, ***ჰიპერიონისა*** და ***რეას*** ძმა.

ოკეანოსის მეუღლე იყო თეტისი, რომელმაც მისგან შვა სამი ათასი ვაჟი (მდინარეული ღვთაებები) და ქალიშვილი (***ოკეანიდები***), ერთ-ერთი მათგანი, ***მეტისი***, ***ზევსის*** პირველი ცოლი იყო. ოკეანოსი განმარტოებით ცხოვრობდა ზღვისქვეშა სასახლეში და არასოდეს ცხადდებოდა ღმერთების საკრებულოში. გვიანი ხანის მითებში ოკეანოსს ცვლის ***პოსეიდონი***.

ოინომაოსი. კრატერის ფერწერა (ძვ წ. 380-170 წ.წ.). ნეაპოლი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.



2. ოკეანოსი ეწოდება იმ მითოსურ მდინარესაც, რომელიც გარს ერტყმის დედამიწას. მისგან იღებენ სათავეს წყაროები, მდინარეები, ზღვის დინებანი; ოკეანოსიდან იწყებენ აღმოსვლას და მერე ისევ მასში ჩადიან მზეც, მთვარეცა და ვარსკვლავებიც.

**ოკნუსი** – რომ. 1. თებელი მისნის, ***ტირესიას***, გრძნეული ასულის, ***მანტოს*** ვაჟიშვილი, რომელიც მანტუას (ქალაქი გალიაში) დამაარსებლად ითვლებოდა.

2. მოხუცი, რომელიც დაისაჯა იმიტომ, რომ არ სურდა რა სიკვდილი, ყოვლად უაზრო და უმაქნის სიცოცხლეს ებღაუჭებოდა. ***ჰადესში*** მას მიუსაჯეს ასევე უაზრო ჯაფა: იგი გამუდმებით გრეხდა თოკს, რომელსაც ასევე გამუდმებით ღრღნიდა ფამატი ვირი (უნაყოფო შრომის სიმბოლო).

**ოლიმპიელი** – ბერძნ. ასე უწოდებდნენ ყოველ ღმერთს, რომელიც ***ოლიმპოსზე*** იყო დავანებული. ოლიმპიელები გამოირჩეოდნენ თავიანთი დიდებულებითა და მადლმოსილებით. აქედან გამომდინარე, ამ თვისებების მატარებელ ადამიანსაც ზოგჯერ „ოლიმპიელად" აღიარებდნენ. სწორედ ეს სახელი შეარქვეს ათენელებმა თავიანთ რჩეულ პერიკლეს, რომელსაც მრავალი დიდებული საქმის აღმსრულებლად და ათენური დემოკრატიის მამად მიიჩნევდნენ. იგი ძვ.წ. 490–429 წლებში მოღვაწეობდა. მის სახელთან არის დაკავშირებული ათენის ისტორიის უბრწყინვალესი ხანა.

თანამედროვე მეტყველებაში დამკვიდრდა გამოთქმა „ოლიმპიური სიმშვიდე", რაც ღვთაებრივ სიმშვიდეზე მიგვანიშნებს.

**ოლიმპიური თამაშები** - ბერძნ. ***ოლიმპიელი ზევსის*** პატივსადებად დაწესებული საერთო ბერძნული ასპარეზობები, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა ქალაქ ოლიმპიაში.

სახელოვანი პოეტის, პინდაროსის თანახმად, ოლიმპიური თამაშები თავდაპირველად დააწესა ***პელოფსმა***, ხოლო შემდეგ ***ჰერაკლემ*** თავისი ღვთაებრივი მამისა და მფარველის, ზევსის, თაყვანისცემის ნიშნად. რეგულარულად ეს თამაშები იმართებოდა ძვ.წ. VII საუკუნიდან, გამარჯვებულთა სიები კი უკვე ძვ.წ. 776 წლიდან არის ცნობილი. ოლიმპიური თამაშები ყოველ მეოთხე წელს, ზაფხულის ბუნიაობის (ივლისი–აგვისტო) შემდეგ ტარდებოდა. დღესასწაულის განმავლობაში მთელს საბერძნეთში საყოველთაო სიმშვიდე სუფევდა. ასპარეზობის ადგილი იყო ელისის ოლიმპია. ძველი ქალაქის–პისას მახლობლად მდებარე ადგილი ზევსის წმინდა სავანედ ითვლებოდა. შესაბამისად, იქ იყო



მეეტლე. ამფორის ფერწერა (ძვ.წ. VI ს.)

ზევსის ტაძარი, პელოფსის წმინდა სამარხვანი, ზევსის სამსხვერპლო, თორმეტი ღმერთის ექვსი ორმაგი საკურთხეველი და სხვა წმინდა ნაგებობები. შემოსაზღვრული ადგილის მიღმა, ალფეოსის გაყოლებაზე მდებარეობდა სტადიონი და ჰიპოდრომი. დღესასწაული გრძელდებოდა შვიდი დღე. მსაჯულები იყვნენ ელისის მკვიდრნი. ასპარეზობები ტარდებოდა შემდეგ სახეობებში: სრბოლა, ორმაგი სრბოლა, შორს სრბოლა, სრბოლა იარაღით, შებმა, მუშტი–კრივი, მრავალჭიდი („პანკრატიონი" – მუშტი–კრივი შებმითურთ), ხუთჭიდი („პენტათლონი" – სრბოლა, ხტომა, დისკოს ტყორცნა, შუბის ტყორცნა და შებმა), ჯირითი, ეტლით სრბოლა, აგრეთვე



პროფესიონალი მოკრივე (ძვ.წ. 100-50 წ.წ.). ტარკვინია. ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.



*მეეტლე. თეფშის ფერწერა (ძვ.წ. 545 წ.). ტარკვინია. ეროვნული მუზეუმი.*

– სრბოლა, შებმა და მუშტი–კრივი ჭაბუკებისათვის. უძველეს და უმთავრეს ასპარეზობად ითვლებოდა უბრალო სრბოლა, ხოლო ყველაზე საპატიოდ – ეტლით სრბოლა. ძვ.წ. V საუკუნიდან ოლიმპიურ ასპარეზობებზე გამოდიოდნენ პოეტებიც. გამარჯვებულებს „ოლიმპიონიკებს“ უწოდებდნენ. მათი ჯილდო იყო წმინდა ზეთისხილის გვირგვინი და პალმის რტო. მას, ვინც სამგზის გაიმარჯვებდა, უფლება ეძლეოდა დაედგა თავისი ქანდაკება ოლიმპიაში. გამარჯვებულთა სახელებს საქვეყნოდ აცხადებდნენ და განადიდებდნენ იმ ქალაქებს, საიდანაც ისინი იყვნენ. ოლიმპიონიკესი ცხოვრების ბოლომდე თავისუფლდებოდა სახელმწიფოებრივი ვალდებულებისაგან და საყოველთაო პატივით იყო მოსილი.

ოლიმპიური ასპარეზობები განახლდა 1896 წლიდან. ტრადიციულად, იგი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, თუმცა იცვლება მისი ჩატარების ადგილი. ქალაქში, სადაც ეს უდიდესი ზეიმი ეწყობა, ოლიმპიაში ანთებული ჩირაღდანი მიაქვთ მსრბოლელებს.

**ოლიმპიური პანთეონი** – ბერძნ. ხშირად ეს გამოთქმა ოლიმპიური რელიგიის ნაცვლად იხმარება და უპირატესად გულისხმობს აღმაელობის ხანის ბერძნულ პოლისთა ოფიციალურ რელიგიას. თუმცა, როგორც ჩანს, ოლიმპიური რელიგია ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქაში უნდა ჩასახულიყო. ჰომეროსის პოემებთან ერთად ჰესიოდეს „თეოგონიამ“ დიდად შეუწყო ხელი ამ რელიგიის ფორმირებასა და გავრცელებას. თავად ტერმინი დაკავშირებულია მთასთან, რომელსაც *ოლიმპოსი* ერქვა და რომელზეც დავანებულნი იყვნენ ბერძენთა დიდი ღმერთები.

**ოლიმპოსი** – ბერძნ. წმინდა მთა ჩრდილო თესალიაში.

მუდამ ღრუბლებით დაბურული, თვალშეუვალი და ამის გამო იდუმალებით მოცული ეს მთა ღმერთთა სავანედ მიიჩნიეს ძველმა ბერძნებმა. ის იყო *ზევსის* საბრძანებელი მას შემდეგ, რაც წარსულს ჩაბარდა *კრონოსის* ხანა. მთის მწვერვალზე ზევსის სასახლე ბრწყინავდა, ოქროთნაგები და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი. ოდნავ მოშორებით სხვა ღვთაებათა სასახლეები იყო აღმართული. მათ შემოქმედად დიდ ხელოვანს, მჭედლობისა და ცეცხლის ღმერთ *ჰეფესტოს* მიიჩნევდნენ. ოლიმპოსის კარიბჭეს *ჰორები* იცავდნენ, წლის დროთა მფარველი ქალღმერთები.

ბედნიერად ცხოვრობდნენ ოლიმპიელები. მათთვის უცხო იყო საზრუნავი, სნეულება თუ სიძაბუნე. თუკი ოდესმე ღმერთთა შორის უთანხმოება ან შუღლი ჩამოდგებოდა, ზევსის ჩარევით ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა. ღმერთები ხშირად იწვევდნენ დიდ თუ მცირე სამსჯავროებს. დიდ თავყრილობებზე უხმობდნენ მხოლოდ ოლიმპიელებს, მათ, რომელთაც უმაღლეს ღმერთებად მიიჩნევდნენ. მცირე სამსჯავროები იშვიათად იმართებოდა. ამ დროს ღმერთების მაცნე *ჰერმესს* მთელი დედამიწა უნდა შემოევლო, რათა მრავალრიცხოვან ღვთაებათათვის ზევსის ნება ეუწყებინა. უხილავ ნაკადად მიემართებოდნენ ზევსისაკენ წყაროთა და მდინარეთა ცისფერთვალა ქალღმერთები, ხეთა თეთრთოვლა *ნიმფები*, კლდეთა, ტყეთა თუ მინდორთა ულამაზესი ფერიები, ერთი სიტყვით, ის კეთილი *დემონები*, რომელთა საუბარსაც ადამიანები მუდამდღე ისმენდნენ ფოთოლთა შრიალში, წყაროთა რაკრაკში და რომლებიც უფრო ახლობელნი იყვნენ მათთვის, ვიდრე ოლიმპოსის ქედმაღალი მბრძანებლები.

სამსჯავროს შემდეგ ნადიმი იმართებოდა. ძველი წესის თანახმად, მონადიმენი რბილ ბალიშებზე წამოწოლილნი შეექცეოდნენ *ნექტარსა* და *ამბროსიას* – ღმერთების საკვებს. ხოლო როდესაც დანაყრდებოდნენ, სიამოვნებით უგდებდნენ ყურს ხელოვნების მფარველ ღვთაება *აპოლონს*. დახვეწილი გარეგნობითა და გასაოცარი სილამაზით გამორჩეულს თან ახლდა ცხრა *მუზა*. ისინი დიდებული სიმღერებითართობდნენ ღმერთებს. ყვავილებით მორთული მშვენიერი *ქარიტები* კი მათ გარშემო ფერხულს უვლიდნენ, ხოლო როდესაც მზის ოქროს ეტლი სავალ გზას გაასრულებდა, ღმერთები თავის სასახლეებში ბრუნდებოდნენ. ყოველ დილით კი მათ აღვიძებდა განთიადის ღვთაება, ვარდისთითება *ეოსი*.

ასე წარმოედგინათ ბერძნებს ღმერთების ცხოვრება. არსებითად, ეს მათი ცხოვრება იყო, ოღონდ მარადისობაში განცდილი. ერთადერთი, რაც ღმერთებს ადამიანთაგან განასხვავებდა, იყო უკვდავება. დიახ, ღმერთები უკვდავნი იყვნენ, მაგრამ არა მარადიულნი. ყოველი მათგანი ოდესღაც იშვა და ვერავინ იტყოდა საკუთარ თავზე, რომ მარად არსებობდა. ღმერთები არ იყვნენ ყველგან მსუფევნი, მაგრამ მათ ელვის სისწრაფით შეეძლოთ გადაადგილება. ისინი განუზომელ ცოდნასა და ძალას ფლობდნენ, მაგრამ არა განუსაზღვრელს: მათ ცხოვრებას განაგებდა უმაღლესი ბედისწერა – *მოირა*.

ადამიანებზე უფრო მშვენიერ, ახოვანსა

და ძალმოსილ ღმერთებს ჰქონდათ საკუთარი ვნებები, ტკივილები და განცდები, რადგან ბერძენთა აზრით, მხოლოდ ისეთი ცხოვრება იყო სრულყოფილი, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა მწუხარება და სიხარული.

ღმერთები და ღვთიური ძალები უამრავი იყო ბერძენთა მიერ წარმოდგენილ სამყაროში, მაგრამ მათგან მხოლოდ თორმეტს ენიჭებოდა უმაღლესი უფლებები (იხ. ***თორმეტი*** ღმერთი).

სიტყვა „ოლიმპოსს" ბერძნები გადატანით მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. იგი ოლიმპიელი ღმერთების კრებულს, დასს აღნიშნავდა. თანამედროვე მეტყველებაში მას ზოგჯერ ქარაგმული ელფერიც დაჰკრავს. როდესაც ამბობენ „ლიტერატურული ან მუსიკალური ოლიმპოსი", გულისხმობენ აღიარებულ პოეტთა, მწერალთა თუ მუსიკოსთა ელიტას.

**ომფალე** – ბერძნ. ლიდიის დედოფალი; ტმოლოსის ქერივი, რომელსაც ემსახურებოდა ***ჰერაკლე***. იგი დაისაჯა ექალიის მეფისწულის მკვლელობის გამო. ჰერაკლემ ერთი წელი (სხვა ვერსიით, სამი წელი) დაჰყო ომფალეს სასახლეში და ქალის სამოსში გამოწყობილი სხვა მონაქალებთან ერთად მის ყოველ სურვილს ასრულებდა. თავად ომფალეს ჰერაკლესეული ლომის ტყავის და კომბლის ტარება მოსწონდა. ზოგჯერ მას ჰერაკლეს მეუღლედაც ასახელებენ. მცირე აზიაში ომფალეს ქალთა მფარველ ქალღმერთად თვლიდნენ და ***აფროდიტეს*** ამსგავსებდნენ.

ანტიკური და გვიანი ხანის მოქანდაკეები და მხატვრები ხშირად გამოსახავდნენ ჰერაკლეს ომფალეს კარზე. ეს მათი საყვარელი სიუჟეტი იყო.

**ომფალოსი** – ბერძნ. წმინდა ქვა, რომელიც ***დელფოს აპოლონის*** ტაძარში იდო. ბერძენთა რწმენით, ეს იყო დედამიწის შუაგული ანუ ჭიპი, როგორც მას ძველები უწოდებდნენ. გადმოცემათა თანახმად, როდესაც



*ჰერაკლე და ომფალე. ლუკრეციუსის სახლის კედლის მოხატულობა (ძვ.წ. III ს.), ნეაპოლი, არქეოლოგიური ნაციონალური მუზეუმი*

***ზევსმა*** განიზრახა დაედგინა, თუ სად მდებარეობდა დედამიწის ცენტრი, მან ერთდროულად, აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ ორი არწივი აფრინა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ დელფოში. მათი შეხვედრის ადგილზე დაიდო ომფალოსი, რომლის აღმოსავლეთ და დასავლეთ კიდეებთან აღმართეს არწივის ორი ოქროს ქანდაკება. არწივზე მჯდომ აპოლონს ხშირად გამოსახავდნენ მხატვრები. გვიანი ხანის ავტორები ომფალოსს ***პითონის*** საფლავის ქვას უწოდებდნენ.

**ოპსი** – (ოპა) რომ. ნაყოფიერებისა და ნათესთა მფარველი ღვთაება იტალიკურ მითოსში; ***სატურნუსის*** მეუღლე. მოგვიანებით, როდესაც სატურნუსი ***კრონოსის*** თანაგვარი გახდა, ოპსი (ოპა) ***რეა კიბელეს*** შეუთავსდა და მას ***იუპიტერთან*** ერთად სცემდნენ თაყვანს. კაპიტოლიუმის ბორცვზე ოპსსა და სატურნუსს ჰქონდათ საერთო ტაძარი.

**ორაკული** – ბერძენთა რწმენით, ორაკული ღვთაებისა და ადამიანის ურთიერთობის ერთ-ერთი გამოვლინება იყო. ორაკული ეწოდებოდა როგორც თავად მისნობას, ასევე იმ ადგილს, სადაც წინასწარმეტყველებდა მისანი. ***დელფოში*** ღვთაებრივ ნებას განაცხადებდა ***პითია***, ***დოდონეში*** – წმინდა მუხის ხის ფოთოლთა შრიალი და ა.შ. ნამისნევს განმარტავდნენ ***ქურუმები***. მოგვიანებით ორაკული ეწოდა აგრეთვე მისან ღვთაებასაც და ქურუმსაც.

**ორგიები** – ბერძნ. საიდუმლო რელიგიური წეს-ჩვეულებანი, რომლებიც ღვთაებათა პატივსადებად იმართებოდა. ორგიების ანუ საიდუმლო წესთა აღსრულება ძირითადად ღამით ხდებოდა მთიებში ან ტყიან ველ-მინდვრებზე მუსიკისა და უგონო როკვის თანხლებით. ორგიათა მონაწილეებს ხშირად ხელთ ეპყრათ ანთებული ჩირაღდნები.

**ორესტესი** – ბერძნ. არგოსულ თქმულებათა გმირი, ***აგამემნონისა*** და ***კლიტემნესტრას*** ძე.

ტროადან შინ ზეიმით დაბრუნებული აგამემნონი ვერაგულად მოკლეს კლიტემნესტრამ და მისმა საყვარელმა, ეგისთოსმა. მკვლელებს სურდათ თავიდან მოეცილებინათ ტახტის მემკვიდრე ორესტესიც, მაგრამ იგი შეიფარა ფოკისის მეფემ (სხვა ვერსიით, ის გადაარჩინა მისმა დამ, ***ელექტრამ***, ან ძიძამ). შვიდი წელი დაჰყო ორესტესმა ბიძის სასახლეში, სადაც დაუახლოვდა მის ძეს, ***პილადეს***. როდესაც სრულწლოვანი შეიქნა, შურისძიება განიზრახა. ***დელფოს ორაკულმა*** მას დედისა და ეგისთოსის მოკვლა უბრძანა. ორესტესი დაბრუნდა მიკენში და პი-



*ორესტესი. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 370-360 წ.წ.). ნეაპოლი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*

ლადესის დახმარებით სიცოცხლეს გამოასალმა კლიტემნესტრაც და ეგისთოსიც. დედის მკვლელობისათვის ***ერინიები*** სდევნიდნენ ორესტესს, რომელმაც დელფოს შეაფარა თავი. დელფოს დიდმა ღვთაებამ, აპოლონმა მას ათენში წასვლა უბრძანა. ქალღმერთმა ***ათენამ არესის*** ბორცვზე ათენელი დიდებულები მიიწვია და ორესტესი სამსჯავროს წინაშე წარსდგა. იგი დედამისს ორმაგ დანაშაულში სდებდა ბრალს: მეუღლის მკვლელობასა და საკუთარი შვილების დაობლებაში. ერინიათა პასუხი კი ასეთი იყო: დედის მოკვლაზე უფრო მძიმე დანაშაული არ არსებობს. შურისძიება მხოლოდ იმ სისხლით ნათესავებზე უნდა აღსრულდეს, რომლებიც დედის მხრიდან არიან. კლიტემნესტრას, ერინიათა აზრით, არ ჩაუდენია დანაშაული, რადგანაც ქმარი, რომელიც მოკლა, მისი სისხლით ნათესავი არ ყოფილა. ***აპოლონმა*** სცადა ორესტესის გამართლება. მან აღნიშნა, რომ მამა, ვითარცა სისხლით ნათესავი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დედა. იგია ახალი სიცოცხლის შემოქმედი, დედა კი მხოლოდ აღვივებს მის ნაყოფს. შესაბამისად, კლიტემნესტრამ ჩაიდინა შემზარავი დანაშაული, რადგანაც შებღალა ქორწინების წმინდა წესი. ათენელ უხუცესთა ხმები ორად გაიყო და მხოლოდ ათენამ გადაწყვიტა ორესტესის ბედი: მან გაამართლა ორესტესი. განრისხებული ერინიები რომ დაემშვიდებინა, თავის ქალაქში მათი კულტი დააწესა. მას შემდეგ ერინიები ადამიანთა კეთილისმყოფელ ღვთაებებად იქცნენ და მათ ***ევმენიდები*** ეწოდათ.

ერთ-ერთი გავრცელებული მითოსი მოგვითხრობს ორესტესის ტავრისში მოგზაურობის ამბავს: ერინიების დევნით სასოწარკვეთილ ორესტესს აპოლონი ურჩევს, ეწვიოს სკვითიურ ტავრისს და იქიდან ***არტემისის*** წმინდა ხატი ჩამოიტანოს. ტავრისში იმყოფებოდა ორესტესის და ***იფიგენიაც***, რომელიც ***ტროას ომის*** დაწყების წინ არტემისმა მსხვერპლად შეწირვას გადაარჩინა. ტავრისში ჩასული ორესტესი და პილადესი შეიპყრეს, რათა არტემისისათვის შეეწირათ მსხვერპლად. იფიგენია არტემისის ***ქურუმი*** იყო. სწორედ მას ეხებოდა მსხვერპლშეწირვათა აღსრულება. მან იცნო თავისი ძმაც, პილადესიც, გაათავისუფლა ისინი და მათთან ერთად საბერძნეთში გაიქცა. თან გაიყოლა არტემისის წმინდა ხატიც. აპოლონის სურვილი აღსრულდა.

ორესტესმა თავისი ცხოვრების ბოლო წლები მიკენში გაატარა. იგი ტახტზე აღზევდა და განაგებდა არა მარტო არგოლისს, არამედ სპარტასაც, რადგანაც ცოლად შეირთო ***მენელაოსის*** ასული ***ჰერმიონე***. გარდაიცვალა ორესტესი არკადიაში, იგი დაკრძალეს სპარტაში.

ორესტესის მითოსი ძველი სამყაროს ხელოვანთა მრავალ ქმნილებაში აისახა. საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს დღემდე ესქილეს ტრილოგია სახელწოდებით „ორესტეა", სოფოკლეს „ელექტრა", ევრიპიდეს „ელექტრა", „ორესტესი", „იფიგენია ტავრისში". რასინის, კრებილონის, ვოლტერის, ალფიერის და სხვათა დრამებზე მრავალმა კომპოზიტორმა შექმნა ბრწყინვალე მუსიკალური ქმნილებები.

**ორთროსი** – ბერძნ. ორთავიანი ძაღლი, ***ტიფონისა*** და ***ექიდნას*** ნაშიერი; ***კერბეროსის*** და ***ლერნეს ჰიდრას*** ძმა; ***სფინქსის*** მამა.

ორთროსი გერიონის ძროხებს დარაჯობდა. იგი მოკლა ჰერაკლემ თავისი მეათე გმირობის აღსრულების ჟამს.

**ორიონი** – ბერძნ. ბეოტიელი გოლიათი; ***პოსეიდონისა*** და ***მინოსის*** ასულის, ევრიალეს ვაჟი; მონადირე, რომელსაც ჰყავდა საოცარი, ფეხმარდი ძაღლი.

ახოვანმა და საჩქერ ორიონმა ქიოსის მეფის, ოინოპიონის ასული მეროპე შეიყვარა. როდესაც მისი ხელი სთხოვა, მეფე დათანხმდა ერთი პირობით: სახელოვან მონადირეს მისი კუნძული მძვინვარე ნადირთაგან უნდა გაეწმინდა. როდესაც ორიონმა დავალება აღასრულა, მეფემ პირი გატეხა და სასიძოს უარი უთხრა ქალის მიცემაზე. დაღონდა ორიონი, საშინლად დათვრა, მეროპეს საძინებელი შეამტვრია და საყვარელი ქალწულის სარეცელი გაიზიარა. ოინოპიონი განრისხდა, ***დიონისეს*** სთხოვა, კიდევ უფრო დაეთრო ვაჟი. ღმერთმა სურვილი აღუსრულა. ღვინისგან გონებადაკარგულ ორიონს მეფემ თვალები დასთხარა და ზღვის ნაპირთან მიაგდო. შეიწყალა პოსეიდონმა თავისი ვაჟი და ზღვის ზვირთებზე სიარულის უნარი უბოძა. ორიონმა ზღვა გადაიარა და ***ჰეფესტოსის*** სამჭედლოში აღმოჩნდა. იქ მზის ღვთაების სხივთა ძალამ მას მხედველობა დაუბრუნა. მაგრამ ახალი უბედურება ელოდა ორიონს: იგი ნადირობის ქალღმერთმა, ***არტემისმა*** ისე შეიყვარა, რომ მასზე დაქორწინებაც კი განიზრახა. შეშინდა ***აპოლონი*** და დის სიწმინდე რომ დაეცვა, ორიონს მოსაკლავად ***გეას*** ვეებერთელა მორიელი მიუგზავნა. მონადირე ჭაბუკი მედგრად დაუხვდა შემზარავ ურჩხულს, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, ზღვად გადაეშვა. დელოსისაკენ გაცურა. წყლის ზემოთ მარტო თავი უჩანდა. აპოლონმა არტემისის მოტყუება სცადა. უთხრა, რომ ორტიგიას უახლოვდებოდა ის არამზადა, მისი ქურუმი რომ შეაცდინა. მშვილდი მოზიდა არტემისმა და ორიონი ერთი ისრით განგმირა. როდესაც ზღვის ტალღებმა მონადირის ვეება სხეული ნაპირზე გამორიყეს, დაღონდა არტემისი. მკურნალობის ღმერთს, ***ასკლეპიოსს*** სთხოვა მისი გაცოცხლება. ასკლეპიოსმა სურვილი კი აღუსრულა დიდებულ ქალღმერთს, მაგრამ სამყაროსეული წესრიგის მფარველმა ***ზევსმა*** მკურნალიცა და ორიონიც ერთად დაფერფლა. თავისი სატრფო არტემისმა თანავარსკვლავედად გარდასახა და ***პლეიადების*** მახლობლად მოათავსა.

ბერძნებს სჯეროდათ, რომ ღამეული ცის კაბადონზე ხედავდნენ ლომის ტყავით შემოსილ მონადირეს, რომელსაც გვერდით ერთგული ძაღლი, სირიოსი მისდევდა.

**ორკუსი** – რომ. სიკვდილის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში. მისი დანიშნულება იყო ადამიანთა სულების ჩაყვანა მიწისქვეშეთში. ორკუსი თანდათან დაემსგავსა ბერძნული მითოსის ***ჰადესს***. მოგვიანებით ორკუსი მიწისქვეშა სამყაროს სინონიმად იქცა.

**ორტიგია** – ბერძნ. კუნძული, სადაც დაიბადა ***არტემიდა***. მოგვიანებით ამ კუნძულს დელოსი ეწოდა.

**ორფევსი** – ბერძნ. თრაკიელი მგოსანი, მდინარის ღმერთის, ეაგროსის (სხვა ვერსიით, ***აპოლონის***) და ***კალიოპეს*** (სხვა ვერსიით, ***პოლიჰიმნიას***) ძე.

ანტიკურ სამყაროშივე მოიპოვა საყოველთაო აღიარება მითოსმა ორფევსისა და ***ევრიდიკეს*** საბედისწერო სიყვარულზე. ამ ამაღელვებელმა ლეგენდამ საუკუნეები გამოიარა და მწერალთა შთაგონების წყაროდ იქცა. მითი კი ასეთია: თრაკიის მეფე ორფევსი, ახალგაზრდობითა და მშვენიერებით გამორჩეული, დიდებულად უკრავდა ჩანგზე და მღეროდა; ყველა სულდგმული სულგანაბული ყურს უგდებდა მის მუსიკობას. ხეები მისკენ ხრიდნენ რტოებს, მდინარეები ჩერდებოდნენ, ნადირები ფეხთით უწვებოდნენ, მთები იძროდნენ, ხოლო ორფევსი, საყოველთაო ყურადღებით გარემოცული, საოცარი ჰანგებით ავსებდა სამყაროს.

მას ცოლად ჰყავდა ხის მშვენიერი ***ნიმფა*** ევრიდიკე. მისი სილამაზე ყველას ხიბლავდა. ერთხელ იგი აპოლონის ძემ, არისტეოსმა იხილა და შეიყვარა. რა თქმა უნდა, მან არ იცოდა, რომ ევრიდიკე ორფევსის საყვარელი მეუღლე იყო, თორემ არც იფიქრებდა დადევნებას. ნიმფა გაექცა. ამ დროს კი მოხდა საშინელი რამ: ევრიდიკე შემთხვევით გველმა დაგესლა და ამის გამო გარდაიცვალა.



*ჰერმესი, ევრიდიკე და ორფევსი. ბარელიეფი (ძვ.წ. V ს. დედნის ახ.წ. II ს. ასლი). ნეაპოლი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*



*ორფევსი. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 470 წ.). ათენი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*

უსაზღვრო იყო ორფევსის მწუხარება. აღარც მღეროდა, არც უკრავდა, ტყედ და ველად დაეხეტებოდა და საწყალობლად მოუხმობდა თავის მეუღლეს. მას მხოლოდ ***ექო*** პასუხობდა. მაშინ ორფევსმა საოცარი გადაწყვეტილება მიიღო: მიწის ქვეშ ჩასვლა განიზრახა. თან მხოლოდ თავისი ჯადოსნური ჩანგი წაიღო. ***ქარონი*** ისე მოიხიბლა მისი სიმღერით, რომ წარბშეუხრელად გადაიყვანა ***სტიქსის*** მეორე ნაპირზე. აქ ***კერბეროსმა***, თვით კერბეროსმაც არ დაიყეფა! გალობა არ შეუწყვეტია ორფევსს ***ჰადესის*** განმგებელთა გარემოცვაშიც. იგი, ოდნავ ეხებოდა რა სიმებს, მოთქვამდა თავის ბედზე და ეს მოთქმა მომაჯადოებელ სიმღერებად მოილევრებოდა. მდუმარების სამეფო უწინდელზე მეტად გაირინდა და სასწაულთაგან უდიდესი სასწაული მოხდა: დაუცხრომელი ***ერინიები***, მრისხანე, უმოწყალო ერინიები ატირდნენ!

ჰადესმა შეისმინა ორფევსის ვედრება და ევრიდიკე დაუბრუნა. ***ჰერმესს*** უბრძანა მათი გაცილება, თან გააფრთხილა: ორფევსის უკან უნდა ევლო ევრიდიკეს, მათ კვალდაკვალ კი – ჰერმესს. ორფევსს არასგზით უკან არ უნდა მიეხედა. გზა იყო ბნელი, იდუმალი, საოცრად გრძელი. და სადაც იყო, დღის ნათელიც გამოჩნდებოდა, რომ ორფევსი შეიპყრო დაუძლეველმა სურვილმა, თვალი შეევლო ევრიდიკესთვის. მიიხედა თუ არა უკან, სამუდამოდ დაკარგა საყვარელი მეუღლე. იგი მარტო ამოვიდა დედამიწაზე. ამაოდ დაეძებდა ევრიდიკეს, ამაოდ ლამობდა კვლავ ჰადესში ჩასვლას. აღარავინ შეისმინა მისი ვედრება. კვლავ მშობლიურ თრაკიაში დაბ-



*ორფევსი. მოზაიკა (ახ.წ. III ს.). პალერმო. ეროვნული მუზეუმი.*

რუნდა მგოსანი, მთებსა და ველებს მისი მოთქმა ეფინებოდა. ერთხელ, შეღამებისას ***ბაკქ ქალებს*** გადაეყარა. გონებიდან გადასულმა ***მენადებმა*** ასო-ასო აკუწეს იგი. ორფევსის თავი მდინარეში ჩავარდა და უსიცოცხლო ბაგეებით კვლავ ევრიდიკეს მოუხმობდა. მდინარემ მგოსნის თავი ზღვაში შეაცურა, ხოლო ზვირთებმა კუნძულ ლესბოსზე გარიყეს. აქვე დაკრძალეს. მალე მის საფლავზე ***ორაკულიც*** გაჩნდა. ***მუზებმა*** კი, რომელთა მსახურიც იყო მგოსანი, მისი სხეულის ნაწილები შეაგროვეს და ***ოლიმპოსის*** ძირას მიუჩინეს სამუდამო სასუფეველი.

ანტიკური სამყაროდან ჩვენამდე შემორჩა ლარნაკთა ფერწერის დიდებული ნიმუშები, სადაც ორფევსის მითის ეპიზოდებია ასახული; ამ შეყვარებულ მგოსანს ესქილეს, ევრიპიდეს, ოვიდიუსის, ვერგილიუსის, შელის, რილკეს, ბრიუსოვის, ცვეტაევას და სხვა სახელოვან მწერალთა მრავალი ქმნილება მიეძღვნა; მნახველთა აღტაცებას იწვევს რუბენსისა და კანოვას ქანდაკებები; ოფენბახის, გლუკის, ჰაიდნის, ლისტის, ბერლიოზისა თუ სტრავინსკის მუსიკალური ნაწარმოებები.

თანამედროვე სამყაროში ორფევსი დიდებული მგოსნის სინონიმად იქცა.

**ორფიკოსები** – ბერძ. რელიგიური მოძღვრების, ორფიზმის, მიმდევრები. მის დამაარსებლად ითვლებოდა პოეტი ***ორფევსი***, რომლის მითოსი, ისევე როგორც ორფიკოსთა მთელი მოძღვრება, მჭიდროდ უკავშირდებოდა ***დიონისეს*** კულტს, ამასთანავე ძველაღმოსავლურ, უპირატესად ეგვიპტურ და, შესაძლოა, ინდო-ირანულ რელიგიურ წარმოდგენებს. ორფიზმი თავს იჩენს ძვ.წ. VIII საუკუნეში და ძვ.წ. VI საუკუნიდან ვრცელდება ატიკაში (სადაც მას მფარველობდა ცნობილი მმართველი პისისტრატოსი), ხოლო შემდეგ მთელს საბერძნეთში. ორფიზმის მოძღვრებას ყველაზე მეტი მომხრე ჰყავდა სამხრეთ იტალიის ბერძნულ კოლონიებში (პითაგორელები). ორფიკული რელიგია ეწინააღმდეგებოდა ***ოლიმპიური რელიგიის*** ძირითად არსს. მისი მთავარი დებულება ადამიანის ორმაგ ბუნებასა (მაღალს-ღვთაებრივსა და დაბალს-ტიტანურს) და იმქვეყნიურ მისაგებელს ეხებოდა. ორფიკოსებმა შექმნეს მოძღვრება ადამიანთა და ღმერთთა წარმოშობის თაობაზე, სადაც უმთავრესი ადგილი განეკუთვნა დიონისეს. ამ მოძღვრების თანახმად, დიონისე ***ძაგრევსის*** სახელით თავდაპირველად შვა ***პერსეფონემ ზევსისგან***. როდესაც ძაგრევსი აკუწეს და შთანთქეს ***ტიტანებმა***, იგი ხელმეორედ შვა ***სემელემ***. ასე რომ, ტიტანთა მოდგმის ადამიანებში წინაპართა უხეშ ბუნებასთან ერთად ღვთაებრივი დიონისეს ნაწილიც ბუდობს. ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა ისწრაფოდეს ტიტანური სიბილწის განწმენდისაკენ, რათა მოემზადოს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. ორფიკოსთა საზოგადოებაში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ განწმენდილებს. ეს საიდუმლო იყო და მისი დაწესება მიეწერებოდა ორფევსს. საიდუმლოს ზიარებული, მიაჩნდა რა თავი წმინდანად, თვლიდა, რომ განიმზადა მარადიული ნეტარება. იმქვეყნიურ სამყაროს შეეძლო მიენიჭებინა მიცვალებულთათვის ახალი სიცოცხლე, ხშირად ცხოველის სახითაც. ორფიკოსთა წარმოდგენით, ცხოველთა სხეულებში დავანება შეეძლოთ განწმენდილ ადამიანთა სულებს. ამიტომ განდობილებს ეკრძალებოდათ ცხოველთა მოკვლა და მათი ხორცის ჭამა. მხოლოდ მრავალგზის გარდასახულ ადამიანს შეეძლო მოეპოვებინა წმინდანის მარადიული სამყოფელი, რომელიც ორფიკოსთა ნაწილის აზრით, ვარსკვლავებზე მდებარეობდა. ის ცოდვილები, რომელნიც ვერ ეზიარნენ ორფიზმის მოძღვრებას, განწირულნი იყვნენ საწამებლად ***ჰადესში***. მოგვიანებით ამ მოძღვრებაში უმთავრესი ადგილი დაიჭირეს განწმენდის მომაბეზრებელმა რიტუალებმა, მაგიურმა ლოცვებმა, რის გამოც მან დაკარგა ძირითადი არსი და პოპულარობა.

**ოსირისი** – ეგვიპტ. ცენტრალური პერსონაჟი მითოლოგიური დრამისა, რომელიც გადმოსცემს მის სიკვდილს, აღდგინებას და შემდეგ მკვდართა ქვეყანაში გამეფებას. ოსირისი პირველი ფარაონი იყო ეგვიპტეში, სიკვდილის შემდეგაც ფარაონია. ეგვიპტელთა წარმოდგენით ყოველი ფარაონი სიკვდილის შემდეგ ოსირისი ხდება.

ოსირისმა, ეგვიპტის პირველმა მეფემ, ასწავლა ხალხს ხვნა-თესვა, ვენახის გაშენება და მოვლა, ღვინის დაწურვა და ლუდის ადუღება, ოქროსა და სპილენძის მოპოვება.

ასწავლა მკურნალობა, ქალაქთა მშენებლობა, ღმერთების თაყვანისცემა და მსხვერპლშეწირვა, და კიდევ უამრავი რამ, რაც კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელი იყო. ამ ღვაწლისათვის ეგვიპტის მთელი ხალხი მადლობდა ოსირისს, მაგრამ ერთადერთი სეთი, მისი უმცროსი ძმა, შურით ივსებოდა მის მიმართ, ყოველ ღონეს ხმარობდა მის ჩამოსაცილებლად. ბოლოს მისი მოკვლა განიზრახა, რისთვისაც ხელსაყრელ ჟამს და შემთხვევას უცდიდა. ეს ჟამიც დადგა: ერთხელ, როდესაც აზიაში ომგადახდილი ოსირისი ეგვიპტეში დაბრუნდა და დიდი წვეულება გამართა, სეთიც მოვიდა თავის სამოცდათორმეტ თანამზრახველთან ერთად. სანადიმო დარბაზში სეთმა ძვირფასად შემკული კიდობანი შემოატანინა. ყველას თვალი დარჩა მასზე, განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ამ უცხო ქმნილებას. ყველას კიდობნის დაპატრონების სურვილი აღეძრა. მაშინ სეთმა შესთავაზა მონადიმეთ: ვის ტანსაც სიგრძე-სიგანეში მოერგებაო, კიდობანიც მისი იყოსო. მეინახენი რიგ-რიგობით წვებოდნენ კიდობანში, მაგრამ იგი ზოგისთვის მეტისმეტად ვიწრო იყო, ზოგისთვის – მეტისმეტად ფართე. ყველაზე ბოლოს ოსირისი ჩაწვა კიდობანში და ზუსტად მოერგო კიდობანს მისი ტანი. მის ზომაზე ყოფილა შეკრული! როგორც კი ოსირისი ჩაწვა კიდობანში და ფეხები გამართა, სეთის თანამზრახველებმა მყისვე დაახურეს კიდობანს სახურავი, მჭიდროდ დაგმანეს და ჩაკეტეს. მერე ზედ გამდნარი ტყვია გადაალვარეს და ნილოსის ტალღებს მისცეს. კიდობანი მდინარის ნაპირას მდგარ ხეს გამოედო და გაჩერდა. აქ იპოვა იგი ისისმა, მისმა საყვარელმა დამ და ერთგულმა ცოლმა, რომელმაც სასწაულებრივ გააღვიძა ოსირისის სხეულში სასიცოცხლო ძალა, რათა მისგან მისი შურისმგებელი შვილი ჩასახოდა და ჩაესახა კიდეც. ეს იყო ხორი. სხვა გადმოცემით, სეთმა ოსირისი თოთხმეტ ნაწილად აკუწა და ნაწილები მთელს ეგვიპტეში გაფანტა. ისისმა და ნეფთისმა, მეორე დამ, დიდხანს ეძებეს მისი ნაწილები, ბოლოს ყველა უკლებლივ მოძებნეს და გაამთლიანეს ოსირისის სხეული, და მთელი ეგვიპტის წინაშე ცხარედ დაიტირეს. მერე ქალაქ აბიდოსში მიწას მიაბარეს. აბიდოსი ამიერიდან მკვდართა ქალაქად იწოდებოდა. ისისმა მკვდარი ოსირისისგან მუცლად-იღო ხორი. წავიდა ფეხმძიმე ისისი ნილოსის ჭაობებში (დელტაში) და იქ, სეთის შიშით, ყველასაგან ფარულად მოიმშობიარა. ისისი დიდხანს მალავდა ხორს, რომ სეთს არ გაეგო მისი ადგილსამყოფელი და არ მოეკლა. სრულიად მარტო დარჩენილი ისისი ასე მოთქვამდა: ,,მამაჩემი ქვესკნელშია, დედა – მკვდართა ქალაქში, უფროსი ძმა (ოსირისი) – საფლავში''. უფროსი ძმა კი, ბოროტი სეთი (დაეძენთ ჩვენ) ეგვიპტეს განაგებს ძალმომრეობით. ამასობაში ხორი წამოიზარდა და, როცა სრულწლოვანი შეიქნა, შეებრძოლა სეთს. პირველი შერკინებისას სეთმა სძლია ხორს და წაართვა თვალი, ,,ხორის თვალი''. მეორე შერკინებისას ხორმა მთელი ძალები მოიკრიბა, დასცა სეთი და დაიბრუნა თვალი. ხორმა თვალი მკვდარ მას ჩააყლაპა და გაცოცხლდა ოსირისი. მაგრამ მან აღარ ისურვა სამზეოზე ყოფნა და მეფობა. ეგვიპტე ხორს დაუთმო, თავად კი საიქიოში დაბრუნდა და მკვდართა მსაჯული გახდა. ძველ ეგვიპტელთა რწმენით, ოსირისი ყოველწლიურად კვდება სეთის ხელით და ცოცხლდება ხორის მეოხებით, და ყოველ გაზაფხულზე მის აღდგომასთან ერთად მიწის პირი მწვანედ იმოსება. ეგვიპტელებს კიდევ სწამდათ, რომ ოსირისი ეგვიპტის ფარაონთა მფარველი იყო და ყოველი ფარაონი სიკვდილის შემდეგ ოსირისის ბუნებას ეზიარებოდა, ოსირისი ხდებოდა. ასევე სწამდათ, რომ ოსირისის მსგავსად ყოველი ფარაონი სიკვდილის შემდეგ უნდა გაცოცხლებულიყო. ეგვიპტელები ამგვარად უმღერდნენ ოსირისს: ,,მოდიან ღმერთები ოსირისთან, ისისის მოთქმა-გოდებაზე მოდიან, ნეფთისის ტირილზე მოდიან. გეუბნებიან შენ, ოსირის: შენ კი წახვედი, მაგრამ კვლავ მოხვალ! შენ კი გძინავს, მაგრამ გაიღვიძებ! შენ კი მოკვდი, მაგრამ გაცოცხლდები! აღდექ, ნახე, რა ქნა შენთვის შენმა შვილმა! გაიღვიძე! გესმას, რა ქნა შენთვის ხორმა! მან განგმირა შენი განმგმირავი! მან მოკლა შენი მკვლელი! ისისი შენს განბანვაშია, ნეფთისი შენს განწმენდაშია. შენი დები შენს ნაწილებს ერთად კრებენ, შენს სხეულს ამთლიანებენ... გაიღვიძოს ღმერთმა, აღდგეს ღმერთი! ჰოი, ოსირის, აღდეგ! აჰა, მოდის ხორი...''



*ოსირისი (ძვ.წ. VIII ს.). სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.*

**ოქროს საწმისი** – ბერძნ. ოქროს ტყავი იმ სასწაულმოქმედი ვერძისა, რომელსაც ***ფრიქსოსი*** და ***ჰელე*** კოლხეთში უნდა ჩაეყვანა. ჰელე ევროპისა და აზიის გამყოფ სრუტესთან წყალში ჩავარდა. მას შემდეგ სრუტეს ,,ჰელესპონტოსი'' ანუ ჰელეს ზღვა დაერქვა. ფრიქსოსი კი ვერძმა ***აიეტის*** სამფლობელოში ჩაიყვანა.

როგორც ამბობენ, ვერძი მეტყველების უნარითაც იყო დაჯილდოებული. მისი სურვილის თანახმად, ფრიქსოსმა იგი ***ზევსს*** შესწირა. ტყავი კი დაკიდეს ***არესის*** ჭალაში, მუხის ხეზე და დარაჯად მიუჩინეს მარადფხიზელი დრაკონი. ეს ოქროს საწმისი მეფე აიეტის ძლევამოსილების სიმბოლოდ იქცა. იგი ***არგონავტებმა*** მოიტაცეს და საბერძნეთში წაიღეს.

თანამედროვე სამყაროში ,,ოქროს საწმისი'' სიუხვის, ბედნიერების, ძლევამოსილების გაგებით დამკვიდრდა. ბურგუნდიაში, ავსტრიასა და ესპანეთში არსებობდა უმაღლესი ჯილდო – ოქროს საწმისის ორდენი.

**ოქროს წვიმა** – იხ. ***დანაე***.

# პ

**პაირიკა** – ირან. მდედრ არსებათა ჯგუფი, რომელიც ბუნების უარყოფით მოვლენებს – გვალვას, მოუსავლიანობას, კუდიან ვარსკვლავებს და სხვათ განასახიერებს. ზოგჯერ პაირიკა როსკიპთა და შემპარავად მოსაუბრე ქალების სახით ევლინებიან ადამიანებს და მართალი გზიდან აცდენენ.

**პალადიონი** – ბერძ. იარაღასხმული ღვთაების ხისგან ნათალი ქანდაკება, რომელიც ქალაქის მფარველად ითვლებოდა. ძველ საბერძნეთში პალადიონები უპირატესად გამოსახავდნენ ***აპოლონს, აფროდიტეს***, ყველაზე ხშირად კი ***ათენას***. სწორედ ამ ქალღმერთის მეტსახელი „***პალასი***" დაედო საფუძვლად იარაღასხმული ქანდაკების სახელწოდებას. მითოლოგიაში ფართოდ არის ცნობილი ტროას პალადიონი, რომელიც ციდან ჩამოუგდო ***ზევსმა*** ამ ქალაქის ფუძემდებელ ***ილოსს*** (სხვა ვერსიით, იგი ზევსმა უბოძა ***დარდანოსს***). ტროელებს სჯეროდათ, ვიდრე პალადიონი ქალაქში იყო, მტერი მათ ვერას დააკლებდა. ***ოდისევსისა*** და ***დიომედესის*** მოხერხებით, პალადიონი ქალაქიდან გაიტაცეს. გვიანი ხანის მითებში პალადიონის შემდგომი ბედი სხვადასხვაგვარად აისახა: ათენელი მითოგრაფოსები თვლიდნენ, რომ დიომედესს ეს პალადიონი წაართვა ათენის მეფე დემოფონმა (***თესევსისა*** და ***ფედრას*** ძემ, ***ტროას ომის*** მონაწილემ); არგოსელებს მიაჩნდათ, რომ იგი დიომედესმა არგოსში ჩაიტანა; რომაელებმა შეთხზეს ვერსია, თითქოს ტროაში ორი პალადიონი ყოფილა, მათგან ერთი საბერძნეთში მოხვედრილა, მეორე კი ***ენეასს*** იტალიაში ჩაუტანია. ანტიკურ ქალაქთა უმეტესობას თავისი პალადიონი ჰქონდა. ძველების რწმენით, მათ სასწაულმოქმედი ძალა გააჩნდათ და ამიტომ განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ. რომში ეს ტერმინი „პალადიუმის" ფორმით დამკვიდრდა. თანამედროვე სამყაროში მან მფარველის, საყრდენის, ბურჯის მნიშვნელობა მიიღო.

*პალადიონის მოტაცება. ატიკური ფერწერა (ძვ. წ. 490-480 წ.წ.). ხელოვნების ძეგლები*



**პალამედესი** – ბერძ. ევბეელი გმირი; ნავპლიოსის და კლიმენეს ძე (სხვა ვერსიით, ***ჰესიონეს*** ან ***ფილირას*** ვაჟი).

ბერძენთა რწმენით, პალამედესმა გამოიგონა (ან მოაწესრიგა) ანბანი, შემოიღო ციფრები, სიგრძისა და წონის საზომები, დროის ათვლა წლის, თვეებისა და დღეების მიხედვით; მან დაადგინა ციურ მნათობთა მოძრაობის გზა, ხოლო ამ გზაზე დაკვირვებით შეძლო ხომალდების გეზის განსაზღვრა; პალამედესმა დაარწმუნა ადამიანები სამჭერადი კვების აუცილებლობაში და შეასწავლა მათ

შაშისა და კოჭის თამაში. ამ თვისებებით პალამედესი ემსგავსება ბერძენთა სხვა კულტურულ გმირებს და ღმერთებს (*ათენას, დიონისეს, ჰერმესს, პრომეთეს, კადმოსს*), რომელთაც მიაწერდნენ ადამიანთათვის აუცილებელ გამოგონებებს.

ტროაზე ლაშქრობის ჟამს პალამედესმა დიდი დახმარება გაუწია ბერძნებს, რამდენჯერმე შიმშილისგანაც კი იხსნა ისინი. მიუხედავად ესოდენ მნიშვნელოვანი ღვაწლისა, ბერძნებმა იგი ქვებით ჩაქოლეს. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ პალამედესმა ამხილა *ოდისევსი*, რომელსაც არ სურდა რა *ტროას ომში* წასვლა, თავი მოისულელა. ოდისევსმა შეიძულა იგი, მოგვიანებით კი მოკლა კიდეც. პალამედესის დაღუპვის ვერსიები ბერძნულმა ტრაგედიამ შემოგვინახა. გავრცელებული მითის თანახმად, ოდისევსმა მოისყიდა პალამედესის მონა, რომელმაც მის კარავში მალულად შეიტანა ოქრო და ვითომ ტროელთა მეფისადმი მიწერილი ბარათი. როდესაც ოდისევსის მითითებით ბერძნებმა ბარათი აღმოაჩინეს, პალამედესს ღალატში დასდეს ბრალი და ქვებით ჩაქოლეს.

სხვა ვერსიით, პალამედესი ხაფანგში მოიმწყვდიეს ოდისევსმა და *დიომედესმა* და უმოწყალოდ გამოასალმეს სიცოცხლეს. ძველ საბერძნეთში პალამედესს თაყვანს სცემდნენ, როგორც უდანაშაულოდ დაღუპულ გმირს. მის სახელზე აგებული ყოფილა ტაძარი მცირე აზიის სანაპიროზე, კუნძულ ლესბოსის გასწვრივ.

**პალასი** – ბერძ. 1. *ტიტანი, ნიკესა* და *სელენეს* მამა; 2. *გიგანტი*, რომელიც *გიგანტომაქიაში* იღებდა მონაწილეობას. იგი განგმირა *ათენამ*. მითის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ათენამ ამ გიგანტს ტყავი გააძრო და მისგან ფარი გაიკეთა. მოგვიანებით სახელი „პალასი“ ათენას ეპიკლესად იქცა. 3. *პანდიონის* ძე, რომელიც მოკლა *თესევსმა*; 4. არკადიის მეფე; 5. იტალიკელი გმირი, ევანდროსის ძე, რომელიც *ენეასის* მხარდამხარ იბრძოდა და დაიღუპა *ტურნუსთან* ორთაბრძოლისას. გადმოცემათა თანახმად, რომის ერთ-ერთ ბორცვს მისი სახელის მიხედვით უწოდეს პალატიუმის ბორცვი. 6. *ათენას* ბავშვობის მეგობარი გოგონას სახელი. ერთი ვერსიით, იგი უნებლიედ შემოაკვდა ათენას თამაშისას. ღრმად დამწუხრებულმა ქალღმერთმა მეგობრის უკვდავსაყოფად დაიმკვიდრა მისი სახელი.

**პალემონი** – ბერძ. ზღვის ღვთაება. იხ. *მელიკერტესი*.

**პალესი** – რომ. ძველიტალიკური ღვთაება, მწყემსთა და პირუტყვთა მფარველი. მისი სადიდებელი ზეიმები, პალილიები, იმართებოდა აპრილის თვეში, რომის დაარსების ლეგენდარულ დღეს.

**პანათენეები** – ბერძ. „ქალაქის მფარველი“ *ათენას* ანუ ათენა პალასის პატივსადები ზეიმი, რომელიც დააწესა *ერიხთონიოსმა*. თავდაპირველად პანათენეები ითვლებოდა მხოლოდ ათენელთა დღესასწაულად. მისი გამოცხადება სრულიად ატიკურ ზეიმად მეფე *თესევსს* მიეწერება. ათენის ტირანის პასისტრატოსის (ძვ.წ. 560-527 წ.წ.) ხანიდან პანათენეებს ოთხ წელიწადში ერთხელ ზეიმობდნენ, ყოველი ოლიმპიადის მესამე წელს. გადმოცემათა თანახმად, პისისტრატოსის ნებით, ადრე არსებულ საცხენოსნო და გიმნასტიკურ ასპარეზობებს დაემატა რაფსოდთა, ხოლო პერიკლესის (ძვ.წ. 495-429 წ.წ.) დროიდან – მუსიკოსთა აგონიც. პანათენეები იმართებოდა ჰეკატომბეონის თვის (აგვისტოს) ბოლოს. გამარჯვებულებს აჯილდოვებდნენ ზეთისხილის დიადემებითა და ზეთისხილის ზეთით სავსე ამფორებით (პანათენეების ამფორებით). ამ ზეიმში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ატიკელები, არამედ სხვა ქალაქთა წარმომადგენლებიც. პანათენეების უმთავრესი მოვლენა იყო სადღესასწაულო მსვლელობა, *პომპა*, რომელიც სრულდებოდა ათენას დაბადების დღეს (28 ჰეკატომბეონს). ამ დროს ქალაქის მფარველ ღმერთქალს უძღვნიდნენ პეპლოსს (მოსასხამს), რომელსაც ათენელი გოგონები მთელი წლის მანძილზე ქსოვდნენ. საზეიმო სვლის მონაწილე იყო ათენის ყოველი მოქალაქე. ასეთი პროცესიაა გამოსახული პართენონის ერთ-ერთ ფრიზზე. პეპლოსს, რომელიც ერეხთეიონის ტაძარში შეჰქონდათ, აცმევდნენ ათენას ხის ქანდაკებას. დღესასწაულის ბოლოს იმართებოდა ჰეკატომბე – „ასი ხარის“ მსხვერპლშეწირვა. ეს იყო საერთო-სახალხო ნადიმი, სადაც მსხვერპლად შეწირულ ხართა ხორცს ჩამოარიგებდნენ ხოლმე. პანათენეებს ზეიმობდნენ ტროაშიც და იმ ქალაქებშიც, სადაც ათენას კულტი იყო გავრცელებული. ამ დღესასწაულმა ჩვ.წ. IV საუკუნემდე იარსება.

**პანაკეა** – ბერძნულად ეს სახელი ასე გამოითქმის – „პანაკეა“ და იგი „ყოვლისმკურნალს“ ნიშნავს. პანაკეა ითვლებოდა მკურნალ ღვთაებად. იგი იყო *ასკლეპიოსის* ასული; *მაქაონის, პოდალირიოსისა* და *ჰიგიეას* და. ეს სიტყვა ფართოდ დამკვიდრდა თანამედროვე მეტყველებაში, როგორც ყოველგვარი უბედურებიდან თავის დაღწევის საშუალება.

**პანგუ** – ჩინ. კვერცხიდან გამოჩეკილი უზარმაზარი ადამიანი, რომლის სიკვდილის შემდეგ მისი ასოებისგან სამყარო შეიქმნა. დიდი ხნის წინათ მსოფლიო კვერცხიდან დაიბადა პანგუ, პატარა ბავშვი; მის ფეხებქვეშ კვერცხის გული მიწად იქცა, მის ზემოთ ცილა – ცად. და იდგა პანგუ ცასა და მიწას შორის. იზრდებოდა პანგუ და მის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მანძილი მიწასა და ცას შორის. თანდათან შორდებოდნენ ერთმანეთს ცა და მიწა. ბოლოს, შეწყვიტა პანგუმ ზრდა და ცა მეტად აღარ დაშორებია დედამიწას. და მოკვდა პანგუ და წაიქცა პანგუ.

პანგუ რომ მოკვდა, პანგუს სუნთქვისაგან ქარი და ღრუბლები წარმოიშვა; მისი ხმისაგან – გრგვინვა და ქუხილი; მარცხენა თვალი მზედ გადაიქცა, მარჯვენა თვალი – მთვარედ; მისი ოთხი კიდური ქვეყნის ოთხ კიდედ გადაიქცა, მისი სისხლისაგან მდინარეები წარმოიშვა; მისი ძარღვებისაგან – გზები; ხორცისაგან – მიწის ნიადაგი; თავის თმისაგან – ვარსკვლავები; ტანის თმისაგან – მცენარეულობა; კანისაგან – ბალახი; ძვლებისაგან – ქვები და კლდეები; კბილებისაგან – მბრწყინავი ლითონები. ასევე ინდ. მით.-ში *პურუშას* სხეულის ასოთაგან შეიქმნა სამყაროს ნაწილები, ოღონდ პანგუსაგან განსხვავებით, პურუშა მსხვერპლად დაკლეს ღმერთებმა.

**პანდიონი** – ბერძ. იონიურ თქმულებათა გმირი, რომელიც მეთაურობს ათენელ მეფეთა ნუსხას. თავად ეს ნუსხა შეადგინეს კლასიკისა და ელინისტური ხანის ათენელმა სწავლულებმა, რათა ადგილობრივი ლეგენდები სრულიად ბერძნული მითოლოგიის ნაწილად წარმოედგინათ. ამ მცდელობამ ქრონოლოგიური უზუსტობები გამოიწვია: ერთი თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობამ ვერ დაიტია ზოგიერთი გმირის თავგადასავალი, რის გამოც მითოგრაფოსებს მოუხდათ მითოლოგიურ პერსონაჟთა გაორება. ერთი გმირის ადგილზე ორი გმირი გამოჩნდა ერთი და იმავე სახელით (პანდიონ პირველი და პანდიონ მეორე), ან მსგავსად სახელდებული (ერეხთევსი და ერიხთონიოსი). ატიკური მითოსი პანდიონს ადგილობრივ ხთონურ ღვთაებებთან აკავშირებს და *ერიხთონიოსის* ძედ წარმოადგენს. მის ვაჟებად კი ასახელებს ერეხთევსსა და ბუტოსს. იმ მითების თანახმად კი, რომელიც გავრცელებული იყო ოდესღაც იონიელებით დასახლებულ მიწებზე, პანდიონი რამდენიმე სამეფო დინასტიის ფუძემდებელია. ანტიკური ხანის ავტორები პანდიონს წარმოგვიდგენენ არა მარტო ატიკის მეფეების, *ეგევსისა* და *პალასის*, არამედ არგოსის მეფის, *ნისოსისა* და თრაკიის მეფის მეუღლის, *პროკნეს* მამად. მითოსური ქრო-

ნოლოგიით თუ ვიმსჯელებთ. ეგევსის, ნისოსისა და სხვათა მეფობის ხანას ათენის პირველმოსახლეთა ხანიდან დაახლოებით ხუთი თაობა აშორებს. ამიტომაც მოხდა პანდიონის სახის გაორება. აღმოჩნდა, რომ ***კეკროფსის*** ძე პანდიონ მეორე ერიხთონიოსის ძის, პანდიონ პირველის შვილთაშვილია. მითოსი გვამცნობს, რომ პანდიონ მეორემ, ცოლად შეირთო რა მეგარას მეფის ასული, მემკვიდრეობით მიიღო მეგარას სამეფო ტახტი და იქ მეფობის ჟამს აღესრულა.

პანდიონის სახის გაორება, რომელიც დაკავშირებული იყო ათენელთა სურვილთან, გაეფართოვებინათ თავიანთი გავლენის სფერო, ხელოვნურ ხასიათს ატარებდა. სწორედ ამიტომ ძველმა მითოგრაფოსებმაც კი ვერ განსაზღვრეს ზუსტად, ვისი ასული იყო პროკნე (და ფილომელა) – პანდიონ პირველის თუ პანდიონ მეორისა.

**პანდორა** – ბერძნ. „ყველასგან დასაჩუქრებული". პირველი ქალი, რომელიც ზევსის ნებით შექმნა ***ჰეფესტომ*** (სხვა ვერსიით, ***ათენამ***). ეს იყო პრომეთეს სასჯელი, რადგანაც მან ღმერთებს მოჰპარა ცეცხლი და ადამიანებს უბოძა.

ზევსმა იხმო ღმერთი ჰეფესტო და ღვთაებრივი სილამაზის ქალის შექმნა უბრძანა. ჰეფესტომ ჩვეული ოსტატობით აღასრულა ეს ბრძანება. მიწისა და წყლისგან გამოძერწა ქალღმერთის მსგავსი არსება და მას ადამიანის ხმა მიანიჭა. პირველ მოკვდავ ქალს ათენამ უზადო ხელსაქმე ასწავლა; ***აფროდიტემ*** წარმოუდგენელი მშვენება უბოძა, ხოლო თვალები მაცდური სხივით აუკიაფა; ***ჰერმესმა*** კი მზაკვრობის, ეშმაკობის, სიცრუისა და მჭერმეტყველების ნიჭი შთაბერა. ღმერთებმა იგი შემოსეს ოქროცურვილი სამოსით, დაამშვენეს ულამაზესი ყვავილებით და პანდორა უწოდეს. შემდეგ მისცეს მჭიდროდ დაგმანული ყუთი და ჰერმესის მეოხებით დედამიწაზე გაისტუმრეს. ჰერმესმა პრომეთეს სახლის წინ დასვა ქალი თავისი ყუთით. თუ რა იდო შიგ, ეს ჯერ არავინ იცოდა. პრომეთე ბრძენი იყო, იგრძნო საფრთხე და განერიდა მომხიბლავ ქალწულს. მაგრამ მას ჰყავდა სულელი ძმა, ***ეპიმეთევსი***, რომელმაც უმალ იქორწინა პანდორაზე. გავიდა ხანი. პანდორას გაახსენდა თავისი ყუთი, გამოიტანა და სახურავი ახადა. საშინელი უბედურება დატრიალდა: ყუთიდან ამოფრინდნენ მწუხარებანი, ავადმყოფობანი, სიღარიბე და საზრუნავი ადამიანთა თანამდევად რომ იქცნენ სამარადჟამოდ. პანდორამ სასწრაფოდ დახურა ყუთი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. შიგ მხოლოდ იმედი დარჩა. მას შემდეგ მრავალ საწუხარს იტანს ადამიანთა მოდგმა.

პანდორას მითოსი ფართოდ აისახა როგორც ანტიკური ხანის, ასევე მომდევნო ეპოქების ხელოვანთა ქმნილებებში (რუბენსის ტილო, მენდელსონის ქორალი, რონეს ოპერა და სხვა).

გამოთქმები: „პანდორას ყუთი", „პანდორას ძღვენი" დამკვიდრდა თანამედროვე მეტყველებაში და იგი უბედურების მომტან საჩუქარს გულისხმობს.

**პანეგირიკი** – ბერძნ. საზეიმო სიტყვა, რომელშიც ხოტბაშესხმული იყო სახელოვან წინაპართა ან გმირთა დიდებული საქმეები. მოგვიანებით პანეგირიკებს უძღვნიდნენ აგრეთვე მეფეებსა და იმპერატორებს. თანამედროვე გაგებით „პანეგირიკს" უზომოდ აღფრთოვანებულ ხოტბაზე იტყვიან.

**პანთეონი** – ბერძნ. 1. ყველა ღმერთის ტაძარი. ცნობილია რომის პანთეონი, რომელიც ჩვ.წ. II საუკუნეში ააგეს. ყველა ღმერთის საერთო ტაძარს უნდა გაეძლიერებინა ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც ერთიან რელიგიას საჭიროებდა. პანთეონი ერთ-ერთია ანტიკური ხანის იმ არქიტექტურულ ძეგლთაგან, რომელიც შედარებით სრულყოფილად შემოგვინახა ისტორიამ. მოგვიანებით პანთეონში იტალიის სახელოვან ადამიანებს კრძალავდნენ. ეს ტრადიციად იქცა და დღეს სახელოვან ადამიანთა სასაფლაოებს „პანთეონს" უწოდებენ.

*პანდორა და პრომეთე. კრატერა (ძვ.წ. III-II ს.ს.). პარიზი, ლუვრი.*



2. რომელიმე რელიგიის ან ხალხთა ღმერთების ერთობლიობა. ასე მაგალითად, ძველი საბერძნეთის ღმერთების კრებულს „ოლიმპიურ პანთეონად" მოიხსენიებენ.

**პანი** – ბერძნ. ტყეთა და ველთა არკადიული ღვთაება; ***ჰერმესისა*** და დრიოპეს ძე (სხვა წყაროები პანის მშობლებად ასახელებენ: ***ზევსსა*** და ***ნიმფა კალისტოს***; ***ჰერმესსა*** (ან ზევსს) და ***პენელოპეს***).



*პანი და სირინქსი. ი. იორდანსის ნახატი (დაახ. 1625 წ.). ბრიუსელი, სამეფო მუზეუმი*

პანი უცნაურ არსებად მოევლინა სამყაროს. იგი თმით იყო დაფარული, თავს რქები ება, ცხვირმოგრეხილ სახეზე წვერი ამოსვლოდა. სხეული გრძელი კუდით უბოლოვდებოდა, ხოლო ფეხების ნაცვლად ჩლიქები გამოსხმოდა. შეშინდა ნიმფა დრიოპე და მიატოვა თავისი ახალშობილი. მაგრამ მამა-ჰერმესმა შეიბრალა იგი და ოლიმპოსზე აიყვანა. გამხიარულდნენ ღმერთები მის დანახვაზე, დატოვეს თავის საბრძანებელში და პანი შეარქვეს.

ბერძენთა რწმენით, პანი მხიარული ღმერთია. დაეხეტება მთებზე, ტყეებში, ცეკვავს ნიმფებთან და თავისივე გამოგონებულ სალამურზე უკრავს. ხანდახან იგი განმარტოვდება ხოლმე და სულაც არ მოსწონს, თუკი ვინმე შეაწუხებს. მისი სიმშვიდის დამრღვევს იგი პანიკურ შიშს ჰგვრის (სწორედ აქედან წარმოსდგება სიტყვა „პანიკა"). ძველებს ეგონათ, რომ პანის ყვირილზე მეომრებიც კი თავქუდმოგლეჯილნი გარბიან ბრძოლის ველიდან. ამიტომ მრავალ ქალაქში პანს თაყვანს სცემდნენ, როგორც ბრძოლათა შემწე ღვთაებას. ათენელები მიიჩნევდნენ, რომ სწორედ პანის დამსახურება იყო მათი გამარჯვებები მარათონსა და სალამისთან.

პანი მეგობრობდა ***სელენესთან***, რომელსაც ერთობ მოსწონდა მისი სალამურის ხმა. ერთხელ პანს მშვენიერი ნიმფა ***სირინქსი*** შეუყვარდა და მისი მოფერება მოიწადინა. შეშინდა ნიმფა და გაიქცა. სასოწარკვეთილმა იმდენი ირბინა, ვიდრე მდინარემ არ შეიფარა და

ლერწმად არ გარდასახა. სწორედ ამ ლერწმიდან გამოთალა პანმა თავისი სტვირი, რომელიც ესოდენ საამო ჰანგს გამოსცემდა.

პანს რამდენიმე ნიმფა შეუცდენია. მათ შორის ***ექო*** (რომლისგანაც ჰყავდა ქალიშვილი ***იინგა***), მუზათა ძიძა ევფემე (რომელმაც უშვა კროტოსი, მოგვიანებით მშვილდოსნის თანავარსკვლავედად რომ გარდაისახა), თავად პანს თუ ვენდობით, ყველა ***მენადა*** მისი საყვარელი ყოფილა.

პანს მისნობის ნიჭიც ჰქონია და სწორედ მისგან უსწავლია ეს ხელოვნება ***აპოლონს***.

პანის მთავარი საკურთხევლები ყოფილა არკადიასა და ტროიძენში. მის მცენარეებად ითვლებოდა მუხა და ფიჭვი. მსხვერპლად სწირავდნენ ძროხას, ციკანს, ბატკანს, თაფლს, რძესა და ყურძნის ტკბილს.

ბერძნული რელიგიის განვითარებასთან ერთად პანი ადგილობრივი ღვთაებიდან ***დიონისეს*** თანამგზავრთა შორის აღმოჩნდა. მან თანდათან დაკარგა ინდივიდუალური თვისებები და დიონისეს ამალა მრავალი პანით შეავსო.

***ორფიკოსთა*** მოძღვრებაში ტყეთა და ველთა თხისფეხა ღვთაება სამყაროს მთლიანობის, ერთიანობის სიმბოლოდ შევიდა. ხოლო მისი სალამურის ხმა დაუკავშირდა ზეციურ სფეროთა მუსიკობას. პანის სახის ამდაგვარი ევოლუციის მიზეზად იქცა მისი სახელი, რომელიც ბერძნულად ნიშნავს „ყველას, საყოველთაოს".

ძველ რომში პანის კულტი შეერწყა ადგილობრივ, იტალიკურ ღვთაებათა – ***ფავნუსისა*** და ***სილვანუსის*** კულტებს.

საინტერესოა ერთი ფრაზა, რომელმაც ანტიკური სამყაროდან მოაღწია ჩვენამდე: „გარდაიცვალა დიადი პანი". მის წყაროდ პლუტარქოსს ასახელებენ: ტიბერიუსის მეფობის დროს (I საუკუნე) ხომალდის მესაჭეს, რომელიც პელოპონესოსიდან იტალიისაკენ მიცურავდა, შუა ზღვაში შემოესმა: „გარდაიცვალა დიადი პანი!" იმპერატორის ბრძანებით– ეს მოვლენა სახალხო მსჯელობის საგნად იქცა. მას სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. ქრისტიანი ღვთისმსახურების აზრით, ეს ხმა წარმართობის დასრულებასა და ახალი, ქრისტიანული ერის დადგომის მომასწავებელი იყო.

თანამედროვე სამყაროში გამოთქმით – „გარდაიცვალა დიადი პანი" – მიანიშნებენ სახელოვანი ადამიანის სიკვდილსაც და მთელი ეპოქის დასრულებასაც.

**პანიები** – ინდ. დემონური ტომი, რომელიც ცხრა მთას იქით, კაცთათვის უცნობ ქვეყანაში ცხოვრობენ, ღმერთებისა და ***ასურების*** საცხოვრებელთა მიღმა.

მათ მოპარეს ღმერთებს ძროხები და ქვეყნის კიდისკენ, მდინარე რასას გაღმა გარეკეს და გამოქვაბულში გადამალეს. ძროხები განთიადის სხივებს განასახიერებდნენ, ამიტომაც დაბნელდა ცა, აღარ თენდებოდა ქვეყანაზე. ***ინდრამ*** მათ მოსაძებნად ძაღლი, სახელად სარამა, გაგზავნა. სარამა ყნოსვითა და ყურით ეძებდა ძროხებს – გადალახა მდინარე რასა და გამოქვაბულიდან ძროხების ბღავილი შემოესმა. ინდრას სახელით მან მოსთხოვა პანიებს, დაებრუნებინათ ძროხები, მაგრამ პანიებმა ინდრას წარგზავნილი ძაღლი საცინად აიგდეს და გააგდეს. მაშინ თავად ინდრა გაემართა პანიების ქვეყანაში, თან შვიდი ბრძენი, ანგირასის ძენი, ახლდა. მათი გალობებისა და შელოცვების ძალით კლდე გაიხსნა და გამოქვაბულიდან გამოეიდნენ ძროხები. მათი განთავისუფლებისთანავე ცაზე ***უშასი***, განთიადის ქალღმერთი, გამოჩნდა, მას კი მზე მოჰყვა ცის კაბადონზე. ამის შემდეგ ინდრამ დაარბია და გაფანტა პანიები, ხოლო მათი ნაყაჩაღარი ანგირასებმა წაილეს.



*პანი და აფროდიტე. მარმარილოს ქანდაკება (ძვ.წ. 100 წ.). ათენი. ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*

**პართენონი** – ბერძნ. ***ათენის*** მთავარი ტაძარი, რომელიც აღუმართავს ქალაქის მფარველს, ქალწულ ***ათენას*** („პართენოს" ბერძნულად „ქალწულს" ნიშნავს). ტაძრის მშენებლობა, რომელსაც სახელოვანი ხუროთმოძღვარი ფიდიასი ხელმძღვანელობდა, ძვ. წ. 432 წელს დასრულდა. მან ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენამდე. მიუხედავად ამისა, იგი დღესაც ხიბლავს მნახველს თავისი გრანდიოზულობით, სილამაზითა და პროპორციათა სრულყოფილებით.

**პართენოსი** – ბერძნ. 1. ქალღმერთ ათენას ***ეპიკლეზა***, რომლის მიხედვითაც ***ათენის*** მთავარ ტაძარს უწოდეს „***პართენონი***".

2. ***აპოლონის*** საყვარელი ქალი, სტაფილოსის ასული;

3. ქალღმერთ ***დიკეს*** მეტსახელი (სხვა ვერსიით, ***ასტერეასი***); ასევე ერქვა ***იკარიოსის*** ასულ ერიგონეს, რომელიც ცად აღზევდა და ქალწულის თანავარსკვლავედად გარდაიქმნა.

**პარისი** – ბერძნ. ტროას მეფისწული; ***პრიამოსისა*** და ***ჰეკაბეს*** მეორე შვილი.

ძველად გარდაუვალი ბედისწერის ძალის ჩვენებას მრავალი თქმულება ეძღვნებოდა. ფართოდ იყო გავრცელებული ამბები მშობლების მიერ მიგდებულ ბავშვებზე. მათ შორის აღმატებული პოპულარობით გამოირჩეოდა პარისის მითოსი, რადგანაც მის სახელს დაუკავშირდა ***ტროას ომი***.

პარისის გაჩენამდე რამდენიმე დღით ადრე დედამისმა, ჰეკაბემ, ნახა სიზმარი, თითქოს დაბადა ჩირაღდანი, რომლის ალითაც მთელი ქალაქი დაიფერფლა. მისნებმა იწინასწარმეტყველეს, რომ მის მიერ შობილი ვაჟი დაღუპავდა მთელ სახელმწიფოს. ამის გამო ახალშობილი მისცეს მწყემსებს, რათა ***იდას*** მთის ხეობაში მიეგდოთ. ასეც მოიქცნენ მწყემსები, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ კვებავდა ჩვილს დათვი თავისი რძით. შეწუხდა მწყემსი, ბავშვი სახლში წაიყვანა და გამოზარდა. დიდებული ჭაბუკი დადგა პარისი. მან არაფერი იცოდა თავის მეფურ წარმომავლობაზე. იგი ცხვარს მწყემსავდა და ისეთი გულმოდგინებით იცავდა მას ყაჩაღებისგან, რომ მეტსახელად ალექსანდროსი („კაცთა მომგერიებელი") შეარქვეს.

ერთხელ ძროხებს რომ აძოვებდა იდას მთაზე პარისი, ***ჰერას***, ***ათენას*** და ***აფროდიტეს*** თანხლებით ***ჰერმესი*** გამოეცხადა, ოქროს ვაშლი გადასცა და ***ზევსის*** დანაბარები აუწყა: ეს ოქროს ვაშლი იმ ქალღმერთისათვის მიენიჭებინა, ვისაც უმშვენიერესად ჩათვლიდა (იხ. ***განხეთქილების ვაშლი***). გაოგნდა მეფისწული, მაგრამ მალე მოიკრიბა გონება და თითოეულ ღმერთქალს გულდასმით მოუსმინა. ჰერამ აღუთქვა მთელს აზიაზე ბრძანებლობა, ათენამ – საბრძოლო მადლმოსილება, ხოლო აფროდიტემ – მოკვდავთა შორის ულამაზესი ***ელენეს*** ქმრობა. არც დაფიქრებულა პარისი, ისე უბოძა ოქროს ვაშლი აფროდიტეს. იმ დღიდან სიყვარულის ღვთაება მისი მფარველი შეიქნება, ხოლო ჰერა და ათენა ისე შეიძულებენ, რომ მის სამშობლო ტროას მიწის პირისგან აღგვიან. მაგრამ ეს მოხდება მოგვიანებით. მანამდე კი, ამ ამბებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ტროაში მოეწყო სახალხო ასპარეზობა, რომელშიც პარისმაც მიიღო მონაწილეობა და გამარჯვების გვირგვინიც დაიმსახურა.

განრისხდნენ პრიამოსის ვაჟიშვილები და უცნობი მწყემსის მოკვლა გადაწყვიტეს. მაშინ პარისის მამობილმა გაამჟღავნა საიდუმლო. მეფე პრიამოსმა სიხარულით დაიბრუნა დაკარგული ვაჟი სასახლეში. ეს ამბავი რომ ***აპოლონის*** ქურუმებმა გაიგეს, მკაცრი მისნობა შეახსენეს მეფეს. მან კი საქვეყნოდ განაცხადა: „მირჩევნია ვიხილო ტროას დამხობა, ვიდრე ვნახო დაღუპული ძე საყვარელიო".

გავიდა ხანი და აფროდიტეს შემწეობით პარისმა მოიტაცა სპარტის მეფის, ***მენელაოსის*** თანამეცხედრე ელენე, რასაც მოჰყვა ტროას ომი. ჰომეროსის თანახმად, პარისს დიდად არ გამოუჩენია თავი ბრძოლისას, თუმცა ტროას ომის ბოლოს მან აპოლონის დახმარებით მოკლა ***აქილევსი***. თავად კი დაჭრა ***ფილოქტეტესის*** მომაკვდინებელი ისრით და მალე სიცოცხლესაც გამოესალმა. მისნობა ახდა, ტროა ცეცხლის ალში დაიფერფლა.

ანტიკურ ხელოვნებაში პარისს წარმოსახავდნენ ლამაზ, უწვერო ჭაბუკად. ხშირად

*პარისის სამსჯავრო. პ. რუბენსის ნახატი (1638-1639 წ.წ.). მადრიდი, პრადოს მუზეუმი*





*პარისის სამსჯავრო. მოზაიკა (ახ.წ. II ს.). პარიზი. ლუვრი.*

მას თავზე ფრიგიული ქუდი ეხურა. „პარისის სამსჯავროს" სიუჟეტი მრავალი მხატვრის ტილოზე აისახა (რუბენსი, რენუარი, გოგენი და სხვა).

ქარაგმულად პარისი „მომხიბლავის", „მაცდუნებლის" მნიშვნელობით იხმარება თანამედროვე მეტყველებაში.

**პარკები** – რომ. ***მოირები.***

**პარნასოსი** – ბერძნ. მთის მასივი ფოკისში. მითოსის თანახმად, პარნასოსი ***აპოლონის*** და ***მუზების*** სავანე იყო. მის მისადგომებთან მდებარეობდა ***დელფოს ორაკული*** და აპოლონის ტაძარი. აქვე მოედინებოდა კასტალია – პოეტური შთაგონების წყარო. პარნასოსის მღვიმეებში სახლობდნენ ***ნიმფები***. წარღვნის შემდეგ ***დევკალიონიც*** პარნასოსზე გამოირიყა.

თანამედროვე მეტყველებაში „პარნასოსი" („პარნასი") პოეტთა საკრებულოს აღნიშნავს, „პარნასიული დები" კი – მუზებს.

**პასიფაე** – ბერძნ. „ყოვლად მბრწყინავი". 1. კრეტის მეფის, ***მინოსის*** მეუღლე; ***ჰელიოსის*** ასული; ***კირკეს*** და; ანდროგეოსის, ***მინოტავროსის***, ***ფედრასა*** და ***არიადნეს*** დედა.

2. ლაკონიელი ქალღმერთი – მისანი; ***ატლასის*** ასული (იშვიათად მას ***კასანდრასთან*** აიგივებდნენ). ზოგი მითოგრაფოსი ორივე პასიფაეს ერთ პიროვნებად მიიჩნევს.

**პატალა** – ინდ. მიწისქვეშა ქვეყანა, სადაც დასახლდნენ ნაგიები, უზარმაზარი გველები, კაშიაპასა და კადრუს ნაშიერნი, რომელთაც იქ ოქროსა და თვალმარგალიტის სასახლეები ააგეს. ყველაზე ბრძენი მათ შორის ვასუკი გახდა, მათი მეფე. უთვალავ საგანძურებს, რომლებიც წყალში და მიწაში ინახებოდა, სამთავიანი, შვიდთავიანი და ათთავიანი გველები დარაჯობდნენ, რომელთაც თავზე პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინები ეხურათ. ნაგიების ტომის ბელადები ძლევამოსილები და ბრძენები იყვნენ, ამის გამო ღმერთების სიყვარული და მეგობრობა დაიმსახურეს.

ერთხელ ცოცხალი არსებები იმდენად გამრავლდნენ, რომ მათ სიმძიმეს მიწამ ვერ გაუძლო და პატალას წყლებში ჩაიქცა. მაშინ მიწის გადასარჩენად ***ვიშნუ*** უზარმაზარ, ღრუბლისოდენა ტახად გადაიქცა და პატალასკენ გაეშურა. ეშვზე წამოაგო წყალში ჩაძირული მიწა და მაღლა აღმართა. მიწიდან წყალი ღვარად ჩამოდიოდა და ნაგიების საცხოვრებლებს ტბორავდა. ეს რომ ძლევამოსილმა ***ასურმა*** ხირანიაკშამ დაინახა, თავს დაესხა ტახს მიწის წასართმევად და დასაპატრონებლად. მაგრამ ტახად ქცეულმა ვიშნუმ მოიგერია ასური, გამოიტანა მიწა პატალადან და ისე მყარად ჩარგო ოკეანეში, რომ არასოდეს შერყეულიყო.

**პატროკლოსი** – ბერძნ. ***ტროას ომის*** მონაწილე, ***აქილევსის*** მეგობარი; მენოიტოსის ძე.

ყმაწვილ პატროკლოსს თამაშისას შემოაკვდა მისივე მეგობარი, რის გამოც მამასთან ერთად გადაიხვეწა ფთიაში. აქ გაიცნო მან აქილევსი, დაუმეგობრდა და მისი ერთგული დარჩა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე. პატროკლოსი გაჰყვა აქილევსს ტროას ომში. როდესაც ***აგამემნონთან*** შეხლის შემდეგ აქილევსმა ხელი აიღო ბრძოლაზე, პატროკლოსმაც მიატოვა ბრძოლის ველი. მაგრამ როგორც კი აქაველთა ბანაკს მტერი თავს დაესხა, პატროკლოსმა სთხოვა აქილევსს, ნება დაერთო, ტროელებს შებრძოლებოდა. იგი აქილევსის აღსაჭურველით აღიკაზმა და მტერს ეკვეთა. მედგრად იბრძოდა, უკუაქცია ტროელები და დაედევნა. პატროკლოსი ტროას კედლებთან განგმირა ***ჰექტორმა***, რომელსაც ***აპოლონი*** ეხმარებოდა. ბერძნებმა შეძლეს მისი გვამის გამოტანა ბრძო-

*აქილევსი მსხვერპლად სწირავს ტროელ ტყვეებს პატროკლოსის სამარხთან (ძვ.წ. II-I ს.ს.). ფრანსუას სამარხის ფრესკა. ვულჩი.*





*პარნასი. ა.რ. მენგსის ნახატი (1761 წ.). სანქტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი.*

ლის ველიდან. აქილევსმა ღირსეულად დაკრძალა მეგობარი.

ანტიკური ხანიდან ჩვენამდე შემორჩა პატროკლოსის რამდენიმე გამოსახულება. მათ შორის ყველაზე ცნობილია მარმარილოს ქანდაკება „მენელაოსი პატროკლოსის ცხედრით", რომელიც ფლორენციის მუზეუმის საკუთრებაა.

**პაფოსელი ბავშვები** – ბერძნ. ამურები და ეროსები.

**პაფოსელი ქალღმერთი** – ბერძნ. აფროდიტე.

**პაფოსი** – ბერძნ. ***პიგმალიონისა*** და ***გალატეას*** ასული. მისი სახელი ეწოდა ქალაქს კვიპროსის სამხრეთ სანაპიროზე, რომელიც აფროდიტეს კულტის ცენტრად იქცა.

**პაფოსური რწმენა** – სიყვარული.

**პაქსი** – რომ. „მშვიდობა". ძველბერძნული ეირენეს თანაგვარი, მშვიდობის რომაული განსახიერება. პაქსი რომში განსაკუთრებული თაყვანისცემით სარგებლობდა. ავგუსტუსის მმართველობის ჟამს მის პატივსადებად მარსის ველზე ააგეს მშვიდობის საკურთხეველი, სადაც ყოველწლიურად აღასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას. პაქსს გამოსახავდნენ ახალგაზრდა ქალად, რომელსაც ხელთ ეპყრა სიუხვის რქა, ზეთისხილის რტო, ***კადუკეუსი*** და თავთავი.

**პეანი** – ბერძნ. 1. უბედობათა განმარიდებელი, მკურნალი ღვთაება.

ძველებს სჯეროდათ, რომ ზოგჯერ ღმერთებსაც სჭირდებოდათ მოვლა და აი, ასეთ ღვთაებად მათ პეანი წარმოიდგინეს. მითებში იშვიათად, მაგრამ მაინც ებრძვიან გმირები ღმერთებს: როდესაც ***ჰერაკლე*** მიწისქვეშა სამყაროს ეწვია, დაჭრა მის კარიბჭესთან მდგომი ***ჰადესი***, რომელიც იძულებული გახდა ***ოლიმპოსზე*** აღზევებულიყო იარის მოსაშუშებლად. მას იქ ღვთაებათა მკურნალი პეანი უელიდა. მანვე განუკურნა იარა ***ტროას ომში დიომედესის*** მიერ დაჭრილ არესსაც.

თუ ჰომეროსთან ოლიმპიელ ღმერთთა ექიმი მხოლოდ პეანია, ტრაგიკოსებთან ეს ფუნქცია გაინაწილეს ***აპოლონმა, ასკლეპიოსმა, დიონისემ*** და სხვა ღვთაებებმა და ზეწოდებად დაიმკვიდრეს მისი სახელი.

2. ლოცვა-სიმღერა, რომელიც თავდაპირველად ეძღვნებოდა მხოლოდ პეანს, მოგვიანებით – სხვა ღვთაებებსაც. ძველები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არესისადმი მიმართულ პეანს ბრძოლის დაწყების წინ, აპოლონის სადიდებელს კი – ომის დასრულებისას.

**პეგასოსი** – ბერძნ. ჯადოსნური რაში. უძველესი მითოსი გვამცნობს, რომ ***გორგო მედუზას პოსეიდონმა*** ჩაუსახა რაში, რომელიც ***ოკეანოსის*** წყაროსთვალთან იშვა. იგი ***პერსევსის*** მიერ განგმირული მედუზას თავმოკვეთილი სხეულიდან ამოფრინდა ბუმბერაზ ***ქრისაორთან*** ერთად. წყაროსთვალთან დაბადებულ რაშს სახელიც შესაბამისი შეურჩიეს – პეგასოსი, რადგანაც ბერძნულად „პეგე" წყაროს აღნიშნავს. რაში ***ოლიმპოსზე*** აფრინდა, ***ზევსმა*** იგი ელვის მიმწოდებლად განაწესა.

პეგასოსის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ***ბელეროფონის*** მითს. გმირმა სწორედ ამ ჯადოსნური რაშის შემწეობით დაამარცხა საზარელი ***ქიმერა***, რომელსაც ლომის თავი ება და სამი ხახიდან ერთდროულად ცეცხლს აფრქევდა. ამ მითოსში პეგასოსი უკვე ფრთოსანი ცხენია, მაშინ როდესაც გამომსახველობითი ხელოვნების უძველეს ქმნილებებზე იგი არ არის ფრთაშესხმულად წარმოდგენილი.

ძველები პეგასოსს განთიადის ღვთაება ***ეოსსაც*** უკავშირებდნენ და მიაჩნდათ, რომ ბელეროფონი გარდაცვალების შემდეგ ცად აღაზევეს ღმერთებმა და იმ თანავარსკვლავედად გარდასახეს, რომელსაც დღემდე პეგასოსის თანავარსკვლავედი ჰქვია.

ძვ.წ. III საუკუნეში ალექსანდრიელმა პოეტებმა პეგასოსი პოეტთა რაშად წარმოსახეს, რადგანაც მასზე ასეთი მითოსიც ყოფილა შეთხზული: ოდესღაც, თურმე დიდი



პეგასოსი. ტაძრის ფრონტონი (ძვ.წ. VI ს.), ტარკვინია, ეროვნული მუზეუმი.



*პეითო და აფროდიტე. კედლის მოხატულობა (ახ.წ. 20-30 წ.წ.). ნეაპოლი. ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*

ხნის წინ, როცა ***მუზები ჰელიკონზე*** მოიგალობდნენ, სიხარულით და ბედნიერებით აღსავსე მთამ ამაღლება იწყო და თხემით ცის კაბადონს შეეხო. პოსეიდონმა სცადა, ჰელიკონისათვის თავდაპირველი სახე დაებრუნებინა. მისი ბრძანებით, პეგასოსმა მთის ფერდობს ჩლიქი დაჰკრა და გაპობილი მიწიდან ამოწანწკარდა წყარო, რომელსაც ***ჰიპოკრენე*** უწოდეს. ამ წყაროს თურმე პოეტური შთაგონების საოცარი ძალა გააჩნდა.

გადატანითი მნიშვნელობით გამოთქმა: „მან პეგასოსი დაიმორჩილა" ნიშნავს: „ის პოეტია". ზოგადად კი „პეგასოსი" პოეტური შთაგონების სიმბოლოდ მიიჩნიეს პოეტებმა.

**პეითო** – ბერძ. „დარწმუნება". ქალღმერთი, რომელიც დარწმუნების ხელოვნებას განასახიერებდა. მას ***აფროდიტეს*** და ***ჰერმესის*** თანამგზავრად მიიჩნევდნენ. პეითოს ***ქარიტების*** დასშიც ვხედებით. ზოგჯერ მითოგრაფოსები ამ სახელს აფროდიტეს უწოდებენ.

პეითოს კულტი გავრცელებული იყო ათენსა და სიკიონში. რომში მას სვადელას (სვადა) სახელით მოიხსენიებდნენ.

**პელევსი** – ბერძ. თესალიელი გმირი: ეგინას მეფის, ***ეაკოსის*** და ენდეისის ძე; ***ტელამონისა*** და ***ფოკოსის*** ძმა.

სახელოვან ეაკოსს (რომელიც გარდაცვალების შემდეგ ***ჰადესის*** ერთ-ერთი მსაჯული იყო) ***პელევსი*** და ტელამონი ენდეისისგან ჰყავდა. უმცროსი ვაჟი ფოკოსი კი – ***ნერეიდა*** ფსამატესაგან. მიუხედავად ამისა, ისინი ერთად ცხოვრობდნენ კუნძულ ეგინაზე.

ფოკოსი ათლეტურ ასპარეზობებზე სჯაბნიდა უფროს ძმებს, რითაც მათი რისხვა დაიმსახურა. პელევსსა და ტელამონს ისე შურდათ მისი, რომ მოკლეს კიდეც და როდესაც ეაკოსი ჩაწვდა სიმართლეს, ძმებმა თავს გაქცევით უშველეს.

პელევსი ფთიის მეფე აქტორმა შეიფარა, ცოდვათაგან განწმინდა, თავისი ქალიშვილი, პოლიმელა ცოლად შეირთო და სამეფოს მესამედიც უანდერძა. როდესაც კალიდონში საქვეყნოდ ცნობილი ნადირობა მოეწყო (იხ. ***კალიდონის ნადირობა***), პელევსს შემთხვევით შემოაკვდა თავისი ცოლის ძმა და იძულებული გახდა იოლკოსში გაქცეულიყო, სადაც თავისი მეგობარი, მეფისწული აკასტოსი ეგულებოდა. აქ კვლავ ახალი უბედურება დატრიალდა: აკასტოსის ცოლს შეუყვარდა პელევსი და მისი მოხიბვლა მოიწადინა. ხოლო როდესაც ვერაფერს გახდა, პოლიმელასთან იცრუა: პელევსი გღალატობს და ჩემს ასულს ირთავს ცოლადო. სასოწარკვეთილმა პოლიმელამ თავი ჩამოიხრჩო. ვერაგმა ქალმა ახლა ქმარი დაარწმუნა იმაში, რომ თითქოს პელევსს მისი შეცდენა სურდა. განრისხდა აკასტოსი, მაგრამ თავად ვერ მოკლა სტუმრად მოსული მეგობარი. ველური ***კენტავრებით*** დასახლებული პელიონის მთაზე გაიწვია სანადიროდ, მიძინებულს იარაღი აჰყარა და მიატოვა. კენტავრთა შორის იყო ბრძენი ***ქირონი***, რომლის შემწეობითაც გადარჩა პელიასი. მან დაარბია იოლკოსი, ხოლო აკასტოსი და მისი მეუღლე სიცოცხლეს გამოასალმა. მითოგრაფოსები გვარწმუნებენ, რომ ეს მან ***დიოსკურთა*** და ***იასონის*** თანადგომით ჩაიდინა.

ძველ საბერძნეთში აღმატებულად მოსწონდათ მითი პელევსისა ***თეტისის*** ქორწინებაზე (იხ. თეტისი). ამ მშვენიერ ნერეიდას თემისის რჩევით შერთო ***ზევსმა*** მოკვდავი პელევსი. მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ***აქილევსი*** შეარქვეს და რომელიც ეპიროსის მეფეთა მამამთავარი გახდა. მალე თეტისმა მიატოვა პელევსი (იხ. აქილევსი), რომელმაც თავისი მცირეწლოვანი ძე ბრძენ ქირონს მიაბარა აღსაზრდელად. დიდხანს იცოცხლა პელევსმა. მონაწილეობა მიიღო ***არგონავტების*** ლაშქრობაში. იგი ***ჰერაკლესთან*** ერთად იბრძოდა ტროაში, ***ტროას ომის*** დასრულებასაც მოესწრო და ღრმად მოხუცი გარდაიცვალა კუნძულ კოსზე. ასე ამბობენ, პელევსი ფთიიადან განდევნესო აკასტოსის ჩამომავლებმა.

**პელიასი** – ბერძ. თესალიელი გმირი: ***პოსეიდონისა*** და ეოლიელი მეფის ასულის, ტიროს ვაჟი; ***ნელევსის*** ტყუპისცალი.

პოსეიდონისაგან მუცლადღებულმა ტირომ მალულად შვა ნელევსი და ***პელიასი***. მიაგდო ისინი და ცოლად გაჰყვა თესალიური იოლკოსის მეფე კრეთევსს, რომლისგანაც შეეძინა ***ესონი***, ამითაონი და ***ფერესი***. მიგ-



*პელიასი. კედლის მოხატულობა პომპეიში (ახ.წ. 110 წ.), ნეაპოლი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*

დებული ბავშვები მწყემსებმა იპოვნეს. ერთ– ერთ მათგანს ფაშატმა ჩლიქი გამოსდო. ნაიარევი ჩვილს მუქ ლაქად დაედო და ამის გამო შეარქვეს პელიასი („მუქი“). ტყუპები მწყემსებმა გამოზარდეს, არც პოსეიდონს მიუტოვებია ისინი. მისგან შეიტყვეს, რომ მათ დედას, ტიროს, დედინაცვალი მტრობდა. ვაჟებმა მის დასახმარებლად ისწრაფეს. ავი დედინაცვალი პელიასმა **ჰერას** ტაძარში მოკლა, რითაც ქალღმერთის რისხვა დაიმსახურა. მოგვიანებით ძმათა შორის შუღლმა დაისადგურა. ნელევსი იძულებული გახდა გადახვეწილიყო მესენიაში, სადაც პილოსელ მეფეთა დინასტიას დაუდო დასაბამი. პელიასმა კი იოლკოსის კანონიერი



პელოფსი. ბერძნული ფიალა (ძვ.წ. 440 წ.), [illegible] არქეოლოგიური მუზეუმი

მეფე ***ესონი*** ტახტიდან ჩამოაგდო და თავად გამეფდა.

როდესაც ესონის ვაჟი ***იასონი*** წამოიზარდა, პელიასს ეახლა და სამეფო ძალაუფლების დათმობა მოსთხოვა. მზაკვარი იყო პელიასი და იასონს ერთი პირობით დასთანხმდა: ჭაბუკს ***კოლხეთიდან ოქროს საწმისი*** უნდა ჩამოეტანა. მეფეს ეგონა, რომ იასონი ამ დავალებას ვერ აღასრულებდა, მაგრამ მოტყუედა. იასონმა საბერძნეთის სახელოვან გმირებთან (***არგონავტები*** რომ შეარქვეს) ერთად ხანგრძლივი ლაშქრობის შემდეგ იოლკოსში ჩამოიტანა ოქროს საწმისი. ამასობაში შეუბრალებელ პელიასს ერთიანად ამოეწყვიტა მისი ოჯახი. ხოლო როდესაც იასონმა პირობის აღსრულება მოსთხოვა, პირიც გატეხა. საშინლად იძია მასზე შური ***მედეამ***, იასონის კოლხმა მეუღლემ. მან პელიასის ქალიშვილებს მოაკვლევინა მოხუცი მამა და მდუღარეში ჩააყრევინა ასო-ასო აკუწული მისი სხეული.

საბოლოოდ იოლკოსის ტახტზე ავიდა პელიასის ძე აკასტოსი, რომელმაც მედეა და იასონი ქალაქიდან გააძევა.

**პელიონი** – ბერძნ. თესალიის მთა, რომელიც მრავალ მითოსში გვხვდება: ***არგონავტებმა*** ხომალდი „არგო" ამ მთაზე შეფენილი ტყის ხეებისგან აავეს; აქ სახლობდნენ მშვენიერი ***ნიმფები***; პელიონის თხემთან სულ ახლოს მდებარეობდა დიდებული მღვიმე, სადაც ცხოვრობდა ბრძენი ***ქირონი***, რომელმაც იქ მრავალი სახელოვანი გმირი აღზარდა; პელიონის ერთ-ერთ ფერდობზე ***ზევსის*** საკურთხეველი იყო აღმართული.

**პელოფსი** – ბერძნ. გმირი, პელოპონესოსის სახელმდებელი; ***ტანტალოსის*** ძე.

ღვთაებათა რჩეულმა ტანტალოსმა სიპილოსზე ლხინი გამართა და ***ოლიმპიელი*** ღმერთები მიიწვია სანადიმოდ. მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მის საცავებში სამყოფი საკვები არ იყო და საშინელი რამ ჩაიდინა: თავისი ძე, პელოფსი აკუწა და მისი ხორცი მიართვა სტუმრებს. შეძრწუნდნენ ციისერები და საზარელ კერძს არ გაეკარნენ. მხოლოდ ***დემეტრემ***, თავისი ასულის, ***პერსეფონეს*** გაუჩინარებით დამწუხრებულმა და გონდაბინდულმა, მიირთვა მხარი.

ღმერთებმა პელოფსის აღდგენა სთხოვეს ***ჰერმესს***, რომელმაც უმალ აღასრულა მათი სურვილი. დემეტრეს მიერ მირთმეული ბეჭის ნაცვლად კი სპილოს ძვალი ჩაუდგა ჭაბუკს. მას შემდეგ პელოფსის ყველა ჩამომავალს მხარზე თეთრი ნიშანი ედო.

როდესაც პელოფსის დაქორწინების დრო დადგა, ელისის მეფე ***ოინომაოსი*** სასიძოს ეძებდა. მას ჰყავდა მშვენიერი ქალიშვილი ***ჰიპოდამეა***. ***ორაკულის*** მისნობით ჰიპოდამეას ქორწინებას უნდა ემხსვერპლა ელისის მეფე. ამიტომ ოინომაოსმა ასეთი რამ მოიგონა: სასიძოს იგი ეტლით სრბოლაში უნდა დაემარცხებინა. იცოდა მეფემ, რომ თავის ცხენებს, რომლებიც მას ***არესმა*** უბოძა, სხვა ცხენები ვერ აჯობებდნენ. პელოფსმა მოისყიდა მისი მეეტლე, ჰერმესის ძე ***მირტილოსი***, რომელმაც ეტლის ღერძიდან ჭილიბი ამოაძრო. სრბოლისას ეტლი დაიშალა და ძირს ჩამოვარდნილმა მეფემ სული განუტევა. მირტილოსი პელოფსისგან ნახევარ სამეფოს ელოდა, მაგრამ გმირმა მისი თავიდან მოცილება განიზრახა. მოტყუებით კლდეზე აიყვანა და შუა ზღვაში მოისროლა. სიკვდილის წინ მირტილოსმა დაწყევლა პელოფსი და მთელი მისი მოდგმა. ეს წყევლა და ჰერმესის რისხვა მუდამ თან სდევდა ყველა პელოპიდს (ძმათა შორის სისხლიანი აშლილობანი, მეუღლეთა ღალატი, დედის მკვლელობა ***ორესტესისგან*** და ა.შ.).

ჰიპოდამეასაგან პელოფსს შეეძინა ***ატრევსი, თიესტესი, ალკათოოსი. ნიმფა*** აქსიოქესგან კი – ქრისიპოსი. მათ გარდა მითოსი მის მრავალ სხვა ვაჟსაც ასახელებს. ისინი პელოპონესოსის ქალაქთა ეპონიმებად იქცნენ.

ელისის ქალაქ ოლიმპიაში პელოფსის კულტი არსებობდა. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ იგი, ხანგრძლივი მეფობის შემდეგ დაკრძალეს მდინარე ალფეოსის სანაპიროზე. ასპარეზობები, რომლებიც მისი დაკრძალვის ჟამს მოეწყო, მოგვიანებით აღუდგენია გმირ ***ჰერაკლეს*** და ამ საყოველთაო ზეიმისათვის ***ოლიმპიური*** უწოდებია.

**პენატები** – რომ. უძველესი, შესაძლოა, რომის წინადროინდელი მფარველი ღვთაებები, რომელთა კულტიც წინაპართა გაღმერთების ტრადიციის უკავშირდება. რომაელები თაყვანს სცემდნენ როგორც საზოგადო, ასევე ოჯახის პენატებს. მათ მიაჩნდათ, რომ ოჯახის პენატები იცავდნენ თავად ოჯახის ერთიანობასა და კეთილდღეობას; ამიტომ მათ ყოველ საოჯახო ზეიმზე მსხვერპლს სწირავდნენ. საზოგადოებრივი პენატები რომაული სახელმწიფოს მთლიანობასა და სიკეთეზე ზრუნავდნენ.

პენატთა თაყვანისცემა ხავსებით ერწყმოდა ***ვესტას*** კულტს. საზოგადოებრივ პენატთა უმთავრესი პატივსადები ადგილი ვესტას ტაძრის სიღრმეში იყო მოთავსებული. მას რომაელები „პენუს"-ს უწოდებდნენ. ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს სიტყვა დაედო საფუძვლად „პენატებს", რომლის შინაარსშიც „პენუსის ღმერთები" მოიაზრება.

რომში ზუსტად არ იყო დადგენილი, თუ რომელი ღმერთები იყვნენ პენატები. ყოველ ოჯახს ჰყავდა რამდენიმე მფარველი ღვთაება და მათ მიიჩნევდნენ სახლის პენატებად. ***რომაულ*** ფრესკებზე წარმოდგენილი ეს ღვთაებები მიგვანიშნებენ, რომ ჩვ.წ. I საუკუნეში აღმატებულად პატივდებულ პენატთა შორის იყვნენ: ვესტა, ***იუპიტერი, ვულკანუსი, ვენუსი*** და ***დიოსკურები***. ოჯახის პენატთა გამოსახულებებს, ჩვეულებრივ, კერიის მახლობლად ჰქონდათ ადგილი მიჩენილი.

გადატანითი მნიშვნელობით „პენატები" მშობლიურ სახლს, ოჯახის კერიას აღნიშნავს.

**პენელოპე** – ბერძნ. სპარტელი ***იკარიოსისა*** და ***ნიმფა*** პერიბოიას ასული; ***ოდისევსის*** მეუღლე; ***ტელემაქოსის*** დედა.

ბერძნები ლამობდნენ, მითოსურ პერსო-

ნაყთა სახელებისათვის სათანადო მნიშვნელობა მიენიჭებინათ. პენელოპე „იხვს" ნიშნავს და, ალბათ, ამიტომ შეთხზეს ასეთი ლეგენდა: როდესაც ნიმფა პერიბოიამ ასული შვა, თაედაპირველად არნეა თუ არნაკა შეარქვა. მამის ბრძანებით, იგი ზღვაში გადაუგდიათ, მაგრამ ღმერთებს არ გაუწირავთ ახალშობილი. ვარდისფერზოლებიან იხვებს გადაურჩენიათ ბავშვი და კვლავ ნაპირზე გაუყვანიათ, იქ, სადაც მისი მშობლები ეგულებოდათ. რაღას იზამდნენ იკარიოსი და პერიბოია. შეიბრალეს თავისი პირმშო და იხვების მზრუნველობით განცვიფრებულებმა მას ახალი სახელი. პენელოპე შეარქვეს.



როდესაც იკარიოსის ძმამ, ***ტინდარეოსმა*** თავისი ქალიშვილის, ***ელენეს*** ხელის მსურველები შეკრიბა, ითაკას მეფისწული ოდისევსიც მათ შორის იყო. მოხდა ისე, რომ ტინდარეოსმა ელენეს ქმრად ***მენელაოსი*** შეარჩია. მაგრამ ოდისევსიც ძლიერ მოეწონა და მისგან მიღებული ბრძნული რჩევის (იხ. ოდისევსი) სამადლობელად გმირს მშვენიერი პენელოპე მიათხოვა. დიდებულ წყვილს წლისთავზე ვაჟიც შეეძინა და უსამანო იქნებოდა მათი ბედნიერება, ***ტროას ომი*** რომ არ დაწყებულიყო. არ სურდა ოდისევსს ძვირფასი ოჯახის დატოვება, მაგრამ მოუხდა. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დაუბრუნდა იგი მშობლიურ კერას. ამ ხნის მანძილზე პენელოპემ თავისი კეთილშობილებითა და ოჯახისადმი ერთგულებით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ითაკას სამეფო სასახლეში იკრიბებოდნენ სასიძოები, რომელნიც პენელოპეს ცოლად შერთვას ისწრაფოდნენ, მაგრამ დედოფალს არ სურდა სხვაზე დაქორწინება და ყოველნაირად ლამობდა მათ მოცილებას. თავდაპირველად მოითხოვა დრო ***ლაერტესის*** სუდარის მოსაქსოვად, რათა ბერძენთა წესისამებრ ღირსეულად დაეკრძალა მამამთილი. ლაერტესი ცოცხალი იყო, პენელოპე კი დღისით მოქსოვილს ღამე არღვევდა. ეს შეამჩნია მისმა მოახლემ, სიმართლე გათქვა და სასიძოებმაც აიძულეს დედოფალი დაესრულებინა ქსოვა. მაშინ პენელოპემ ახალი ოინი მოიგონა: გამოაცხადა, რომ მხოლოდ იმ გმირს გაჰყვება ცოლად, ვინც ოდისევსის მშვილდს მოზიდავს და თორმეტ ცულში გაატარებს გასროლილ ისარს. იცოდა პენელოპემ, რომ მშვილდის დაძვრასაც კი ვერ შეძლებდნენ უსაქმური სასიძოები. ასპარეზობისათვის დანიშნულ დღეს შემოაბიჯა ოდისევსმა მშობლიურ ჭერქვეშ და ერთიანად ამოხოცა ყველა მთხოვნელი.

ეს ამბავი მოთხრობილია ჰომეროსის პოემა „ოდისეაში". პენელოპესა და ოდისევსის შეხვედრისა და ამოცნობის სცენა ერთ-ერთი ულამაზესი ეპიზოდია ამ პოეტურ ქმნილებაში.

გვიანი ხანის მითები გვამცნობენ, რომ ოდისევსის გარდაცვალების შემდეგ პენელოპე ცოლად გაჰყვა ***ტელეგონოსს***, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი – იტალოსი. არსებობს სხვა ვერსიაც, თითქოს პენელოპემ, უღალატა რა ოდისევსს, ***ჰერმესისგან*** თუ ***ზევსისგან*** შვა ***პანი*** (ვარიანტი: პანი ყველა სასიძოს ვაჟია). როდესაც ოდისევსი დაბრუნდა, სახლიდან გაისტუმრა მოღალატე პენელოპე, რომელმაც სპარტას შეაფარა თავი. ეს ვერსია იმდენად განსხვავდება ეპიკური ტრადიციისგან, რომ გაჩნდა აზრი ორი პენელოპეს არსებობის თაობაზე. პანის დედა, ადრეული ხანის მითოსში, ლაკონიელი ნიმფა პენელოპე უნდა ყოფილიყო. ჰომეროსის შემდგომდროინდელ ეპოქაში მითოგრაფოსებმა სცადეს ბერძნულ მითთა გაერთიანება. მათ მსგავსი სახელის მქონე ორი მითოსური პერსონაჟი ერთ სახედ წარმოადგინეს და

*პენელოპე. ბერძნული ქანდაკების რომაული ასლი (ძვ.წ. 460 წ.). რომი, ვატიკანის მუზეუმი.*

შეთხზეს პენელოპეს ღალატის ლეგენდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ლეგენდას წარმატება არ მოჰყოლია. პენელოპე ბერძნულ ტრადიციაშიც და მომდევნო ეპოქებშიც ცოლ-ქმრული ერთგულებისა და კდემამოსილების სიმბოლოდ დამკვიდრდა.

**პენთევსი** – ბერძნ. თებეს მეფე, ერთ-ერთი *სპარტოსის*, *ექიონის* და *აგავეს* ძე.

როდესაც ახალი ღვთაება *დიონისე* ეწვია თებეს, პენთევსმა იგი მტრულად მიიღო. მან აუკრძალა თებელ ქალებს მისი თაყვანისცემა. არ აპატია დიონისემ თებეს მეფეს შეურაცხყოფა და სასტიკად დასაჯა: მან თებელ ქალებს გონება დაუბნელა და აიძულა ისინი ბაკქურ თავდავიწყებას მისცემოდნენ კითერონის მთის ფერდობებზე. დაინტერესდა პენთევსი, ქალის სამოსით შეიმოსა და კითერონის მთისკენ ისწრაფა. როგორც კი ველური ექსტაზით შეპყრობილმა ქალებმა მას თვალი მოჰკრეს, მხეცად აღიქვეს და ასოასო აკუწეს. მათ შორის იყვნენ დედა აგავეც და მისი დებიც. ამ თემას ეძღვნება ევრიპიდეს ტრაგედია „ბაკქი ქალები“.

**პენთესილეა** – ბერძნ. ამორძალთა (*ამაზონთა*) დედოფალი, *არესისა* და ოტრერეს ასული.

ოდესღაც პენთესილეას უნებლიედ შემოაკვდა თავისიანი (ზოგი მითოგრაფოსი მიიჩნევს, რომ ეს დედოფალი *ჰიპოლიტე* უნდა ყოფილიყო). დაღვრილი სისხლისგან იგი ტროას მეფემ, *პრიამოსმა* განწმინდა. პენთესილეა დიდად ემადლიერებოდა პრიამოსს და როდესაც მას შეჭირვების ჟამი დაუდგა, უმალ ისწრაფა მის დასახმარებლად. ეს მაშინ მოხდა, როდესაც *ტროას ომი* მძვინვარებდა: *აქილევსმა* ტროელთა გმირი *ჰექტორი* მოკლა. ტროელები დაიბნენ და სასოწარკვეთილნი ქალაქში ჩაიკეტნენ. მათ მხსნელად პენთესილეა მოევლინა თავისი ამორძალებით. დიდებული სანახავი იყო საომრად შემართული დედოფალი. ოქროცურვილი საბრძოლო აღკაზმულობა არესისგან მიეღო საჩუქრად. მზეზე ბზინავდა მისი შუბი და მუზარადი.

პენთესილეამ ცნობილი გმირები გაიწვია ბრძოლის ველზე, ბევრი დახოცა, ხოლო როდესაც თავისი რაზმით ბერძენთა ხომალდებს მიუახლოვდა, მასთან თავად *აქილევსმაც* კი იკადრა შებმა. ასე ამბობენ, არწივისა და მტრედის შეხლას მოჰგავდაო მათი შეხვედრა. მედგრად იბრძოდა პენთესილეა, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა სახელოვანი გმირის მამაკაცურ ძალმოსილებას. ოროლი სტყორცნა აქილევსმა და ერთი დაკვრით განგმირა ამორძალიც და მისი ცხენიც. ტროელებმა ღირსეული პატივი მიაგეს დედოფალ პენთესილეას.

**პენია** – ბერძნ. სიღარიბის განმასახიერებელი ღვთაება. იგი არ გვხვდება ხალხურ მითოლოგიაში. მისი სახე ძვ.წ. V–IV საუკუნეების მწერალთა და ფილოსოფოსთა (არისტოფანესი, პლატონი და სხვები) ფანტაზიის ნაყოფია.

რომში ამ ქალღმერთს *პაუპერტასს* ან ეგესტასს უწოდებდნენ.

**პერგამონი** – ბერძნ. *ანდრომაქესა* და *ჰელენოსის* ძე.

დიდებული მეუღლის, *ჰექტორის*, გარდაცვალების შემდეგ ანდრომაქე თავის ვაჟთან ერთად გადასახლდა მცირე აზიაში, სადაც მოგვიანებით გაშენდა ქალაქი პერგამონი.

პერგამონი ერქვა ტროას ციტადელსაც.

**პერსევსი** – ბერძნ. არგოსულ თქმულებათა გმირი; არგოსის მეფის ასულის, *დანაესა* და *ზევსის* ძე.

არგოსის მეფე აკრისიოსს ჰყავდა მშვენიერი ასული დანაე. მეფე ვერ გრძნობდა თავს ბედნიერად, რადგანაც *ორაკულმა* უმისნა, რომ საკუთარი შვილიშვილი მოუსწრაფებდა სიცოცხლეს. აკრისიოსმა დანაე სპილენძის კოშკში გამოკეტა და ორი უზარმაზარი ნაგაზი მიუჩინა დარაჯად. მაგრამ *ზევსმა* ოქროს წვიმის სახით შეაღწია კოშკში და მალე დანაემ შვა ვაჟი. ასე დაიბადა *პერსევსი*. შეძრწუნებულმა აკრისიოსმა დედა-შვილი ხის სკივრში ჩასვა და ზღვას გაატანა. ტალღამ სკივრი კუნძულ სერიფოსზე გარიყა, სადაც მათ მხსნელად მეთევზე დიქტისი მოუვლინეს ღმერთებმა. მეთევზის ძმას, სერიფოსის მეფე პოლიდექტესს შეუყვარდა დანაე და მისი ცოლად შერთვა განიზრახა. პერსევსი, რომელიც გასაოცარი სისწრაფით გაიზარდა და დიდებული ჭაბუკი დადგა (იგი ხომ ზევსის შვილი იყო), ამ ქორწინებას წინ აღუდგა. შეიძულა იგი მეფემ. რას არ იგონებდა, რომ ჭაბუკი თავიდან მოეცილებინა. თან თვალთმაქცობდა, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს უყვარდა, თავის სასახლეში იწვევდა და მოუთხრობდა გმირთა საოცარ საქმეთა ამბებს. პერსევსს თანდათან ეუფლებოდა დიდებისადმი სწრაფვის სურვილი. ერთხელ პოლიდექტესმა წვეულება გამართა და თავის სტუმრებს, რომელთა შორის იყო პერსევსიც, განუცხადა, რომ მიდიოდა ელისში, რათა იქაური მეფის ასული *ჰიპოდამეა* შეერთო ცოლად. მიწვეულებმა, როგორც ჩვეოდათ, დაასახელეს საბოძვრები, რომლის მიძღვნასაც აპირებდნენ ქორწინების დღეს. მხოლოდ პერსევსი იჯდა ჩუმად, რადგან ისეთი ღარიბი იყო, რომ მეფისათვის საკადრისი ძღვენი შინ არ ეგულებოდა. სიამაყემ სძლია ჭაბუკს და როცა მეფის წინაშე წარსდგა – *გორგო მედუზას* თავს გიძღვნიო – მოულოდნელად აღმოხდა. ამას ელოდა პოლიდექტესიც. მეტისმეტად ხარობდა იგი, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ პერსევსი მედუზას მსხვერპლი შეიქნებოდა.

გზას რომ გაუდგა, სულ არ იცოდა პერსევსმა, სად მოეძებნა ეს მედუზა. *ათენა*, რომელიც გმირთა მფარველი იყო და ვერ იტანდა გორგო მედუზას, გამოეცხადა გზად მიმავალს და ურჩია, თავდაპირველად სწვეოდა გორგოთა დებს, გრძნეულ *გრაიებს*. ისინი დაბადებიდან იყვნენ ბებრები და სამთავეს

*პერსევსი. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 440–435 წ.წ.). აკრავახი.*





*დანაე და პერსევსი. ჰიდრიას ფერწერა (ძ.წ. 490 წ.). ბოსტონი. ხელოვნების მუზეუმი.*

ერთი კბილი და ერთი თვალი ჰქონდათ, რომელსაც რიგრიგობით გადასცემდნენ ხოლმე ერთმანეთს. პერსევსმა მოჰპარა გრაიებს ეს კბილი და თვალი და მხოლოდ მაშინ დაუბრუნა, როდესაც მათ გორგოთა სამყოფელი განაცხადებინა.

ათენას მოსწონდა ეს შეუპოვარი ჭაბუკი და გზად მიმავალი კეთილი სიტყვით დამოძღვრა. გააფრთხილა, რომ სახეში არ შეეხედა მედუზასათვის, თორემ იმწამსვე ქვად იქცეოდა, რადგან ასეთი ძალა ჰქონდა მის მზერას. შემდეგ ქალღმერთმა პერსევსს აჩუქა თავისი მბზინავი ფარი, რომელიც სარკესავით ირეკლავდა ირგვლივ ყველაფერს. ახლა ***ჰერმესმაც*** მოინდომა მისი დასაჩუქრება. თავისი ანდამატის ნამგალი მისცა და ასწავლა, თუ როგორ უნდა მოეკვეთა თავი გორგოსთვის. ***სტიქსის ნიმფებმა*** კი უბოძეს ფრთიანი სანდლები, უჩინმაჩინის ქუდი და ჯადოსნური აბგა, რომელშიც მედუზას მოკვეთილი თავი უნდა ჩაედო.

პერსევსმა გორგოებს ***ჰიპერბორეელთა*** ოკეანის სანაპიროსთან მოჰკრა თვალი. მათ ეძინათ. იცოდა ჭაბუკმა რომ გორგოთა ხილვა შეაძრწუნებდა, მაგრამ მაინც გოგნდა წამით: თავზე თმის ნაცვლად გველები ესხათ, რომლებიც ერთმანეთში გადახლართულიყვნენ, პირიდან კბილები კი არა, უზარმაზარი ეშვები გამოსჩროდათ, სპილენძის ხელები დაკრუნჩხულოდათ, ოქროს ფრთები კი ძირს მიეყარათ. უსაზარლესი მათ შორის იყო მედუზა. მისი მზერა რომ არ მოხვედროდა, პერსევსი ზურგით დადგა და ფარი ისე მოიმარჯვა, რომ ზედ მედუზა არეკლილიყო. შემდეგ ნამგალი მოუქნია, მოჰკვეთა თავი, ჩადო აბგაში და გაფრინდა. გორგოები გამოფხიზლდნენ და დაედევნენ, მაგრამ პერსევსი, რომელსაც უჩინმაჩინის ქუდი ეხურა, სივრცეში წამისუმალ გაუჩინარდა. მრავალ ქვეყანას გადაუფრინა და როდესაც დაღლა შეიგრძნო, ***ატლასის*** საუფლოში დაეშვა, რათა იქ ***ჰესპერიდების*** ბაღში დაესვენა. ბაღში ოქროს ხე იდგა, რომელიც ოქროს ვაშლებს ისხამდა. ატლასი ამ ხეს საგულდაგულოდ უფრთხილდებოდა, რადგან ოდესღაც ქალღმერთმა ***თემისმა*** უწინასწარმეტყველა: შენს ოქროს ვაშლებს ზევსის ერთ-ერთი ვაჟი წაიღებსო. არ ეამა ატლასს პერსევსის სტუმრობა, ხოლო როდესაც გაიგო, რომ ზევსის ძეც იყო, მასპინძლობაზე უარი უთხრა. იწყინა პერსევსმა, აბგიდან მედუზას თავი ამოიღო და სახეში მიაშვირა უკმეხ გოლიათს. გაოცებული უმზერდა იგი, თუ როგორ გარდაისახა ატლასი უზარმაზარ მთად, რომელიც თავისი თხემით ცას მიებჯინა. აი, ასეთია ლეგენდა იმ გოლიათზე, რომელიც დღემდე ვეებერთელა ზეცის კაბადონს შეჰყუდებია (თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც: იხ. ატლასი).

უმალ გაშორდა იქაურობას დანაეს ვაჟი და როდესაც ეთიოპიას გადაუფრინა, სანაპიროზე თვალი მოჰკრა შიშველ ქალიშვილს. იგი კლდეს იყო მიჯაჭვული და საბრალობლად მოთქვამდა. პერსევსი რომ მიუახლოვდა, სირცხვილისაგან ენა წაერთვა, მაგრამ მალე გონება მოიკრიბა და თავისი უბედურება ამცნო: ეს იყო ***ანდრომედე***, ეთიოპიის მეფის ასული. მის დედას, კასიოპეას, დაუქადნია, რომ ***ნერეიდებს*** ვჯობივარო მშვენიერებით. ზღვის ქალღმერთებმა პოსეიდონს სთხოვეს, დაესაჯა კადნიერი დედოფალი. მანაც არ დააყოვნა, ეთიოპია წყლით დატბორა, ზღვის სიღრმიდან კი ამოუშვა შემზარავი ურჩხული, რომელიც უმოწყალოდ აჩანაგებდა მთელ სამეფოს. წუხდა მეფეც და მისი ხალხიც. მიმართეს მისანს, რომელმაც ასეთი რამ განაცხადა: „მაშინ დაცხრება პოსეიდონი, როდესაც ურჩხულს შეეწირება მეფის ასული!" მდაბიო ხალხმა მეფის დაუკითხავად გამოიტაცა სასახლიდან ანდრომედე და კლდეს მიაჯაჭვა. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული მოსტირალ ქალწულს, რომ წამისუმალ ზღვა აბობოქრდა და მის ტალღებში შემზარავი შიშინით ამოსრიალდა დრაკონი. პერსევსი მასთან შესარკინებლად შეემზადა, ამოიცვა ფრთიანი სანდლები, ჰაერში აიჭრა და ზურგში ჩასცა ოროლი. ხოლო როდესაც დრაკონი მისკენ შებრუნდა, დაფჩენილი ხახა მახვილით გაუპო და სული გააფრთხობინა. პერსევსმა გაათავისუფლა ანდრომედე და მეფეს მიჰგვარა სასახლეში, ხოლო ბედნიერმა მამამ მათ დიდებული ქორწილი გადაუხადა.

ეთიოპიაში პერსევსი დიდხანს არ დარჩენილა. ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად იგი კუნძულ სერიფოსზე დაბრუნდა. იქ შეიტყო, რომ პოლიდექტესს მისი წასვლის შემდეგ ჰიპოდამეა არც კი გახსენებია, დანაეს შერთვა უსურვებია, მაგრამ უარი რომ მიუღია, საპყრობილეში ჩაუსვამს უთვისტომოდ დარჩენილი ქალი. რისხვამ შეიპყრო პერსევსი. შურისძიება განიზრახა. იგი სასახლეში შეიჭრა, აბგიდან მედუზას თავი ამოიღო და მისი ხილვით გაოგნებულ მეფეს მიაშვირა. ქვად იქცა მეფეც და მისი ამალაც. ისინი დიდი დარბაზის დამამშვენებელ მარმარილოს ქანდაკებებს დაემსგავსნენ.

არ უყვარდა პერსევსს სერიფოსი. ამიტომ დედასა და საყვარელ მეუღლესთან ერთად არგოსისკენ ისწრაფა. როდესაც მისი ხომალდი მშობლიურ ნაპირს მიუახლოვდა, დაინახა, რომ იქვე ხალხი მოგროვილიყო და თამაშები გაემართა. დანატრებული იყო პერსევსი გმირთა ასპარეზობებს, ამიტომ დაუხანებლივ შეუერთდა მოთამაშეებს. როდესაც იგი მოემზადა ბადროს სატყორცნად, ბადრო ხელიდან დაუსხლტა და მეფე აკრისიოსს მოხვდა. ასე აღსრულდა ძველი მისნობა. აკრისიოსი დიდი პატივით დაკრძალა პერსევსმა, თავად კი არგოსის ტახტზე აღზევდა და ღრმა სიბერემ-

დე იცოცხლა ანდრომედესთან ერთად. ხოლო როდესაც სიკვდილის ხანი დაუდგა, მედუზას თავი უძღვნა ქალღმერთ ათენას, რომელმაც იგი თავის ***ეგისზე*** მიამაგრა.

პერსევსი ბერძენთა საყვარელი გმირი იყო. ამიტომ მას თავიანთი ქალაქის, მიკენის, დამაარსებლადაც მიიჩნევდნენ. ანდრომედესგან პერსევსს ერთი ქალიშვილი, გორგოფონე (სპარტელი ***დიოსკურების*** დიდედა) და ექვსი ვაჟი ჰყავდა. მათ შორის იყო პერსესი (სპარსთა მამამთავარი); ალკეოსი (***ამფიტრიონის*** მამა); ***სთენელოსი*** (***ევრისთევსის*** მამა); ელექტრიონი (***ჰერაკლეს*** პაპა). პერსევსის კულტი არსებობდა სერიფოსსა და ათენში.

პერსევსის მითოსმა მრავალი მხატვარი (ტინტორეტო, ტიციანი, რუბენსი, რემბრანტი, ტიეპოლო) და მოქანდაკე (ჩელინი, კანოვა) მიიზიდა. სოფოკლესა და ევრიპიდეს შეუთხზავთ ტრაგედიები სახელწოდებით „ანდრომედე", რომლებმაც ფრაგმენტულად მოაღწიეს ჩვენამდე. ცნობილია აგრეთვე კალდერონისა და კორნელის დრამები; ლიულისა და ჰაიდნის ოპერები.

**პერსეფონე** – (პერსეფონეა, პერსეფასა, პერსეფატა). ბერძნ. მიწისქვეშა სამყაროს დედოფალი, მიწის ნაყოფიერებისა და მარცვლეულის აღმოცენების ღვთაება. რომაულ მითოლოგიაში იგი ***პროზერპინას*** სახელით არის ცნობილი.

ოლიმპიური რელიგიის მიხედვით, პერსეფონე ***ზევსისა*** და ***დემეტრეს*** ასულია. მის თავგადასავალს ხატოვნად გვამცნობს ჰომეროსის შემდგომდროინდელი ბერძნული მითოსი: თურმე პერსეფონეს ძლიერ ხიბლავდა ყვავილებით მოფენილი მინდვრები. იგი ხშირად სეირნობდა ხოლმე ***ნიმფებთან*** ერთად ნისას ველებზე დედის გარეშე. ერთხელ, როდესაც დემეტრეს ასული ***ოკეანიდებთან*** ერთად ყვავილების კრეფით ირთობდა თავს, მიწამ საკვირველი მცენარე აღმოაცენა: ერთ ღეროს ასი თავი ება, ოქროს ფერებით გაბრწყინებული; თეთრი ფურცლების ბოლოები კი ცეცხლის ალივით ბრიალებდნენ. საოცარი სურნელით აღივსო ზეცა და დედამიწა, ზღვის მლაშე სიღრმე. პერსეფონე მიუახლოვდა თუ არა ყვავილს, მისმა სურნელებამ გააბრუა, თვალებში ბინდი ჩაუყენა, სულში–წუხილი. მოულოდნელად მიწა გაირღვა და შავმა ცხენებმა მისი წიაღიდან ამოაგრიალეს ოქროს ეტლი, რომელსაც მართავდა მიცვალებულთა მბრძანებელი, პირქუში ***ჰადესი***. მან მოიტაცა პერსეფონე. როდესაც ქალწული გონს მოეგო, იწყო ყვირილი, დასახმარებლად მოუხმობდა მამას, ცათა მბრძანებელს. მაგრამ ღმერთებმა ვერ შეისმინეს მისი ძახილი. ვერც წყლის ნიმფებმა შეამჩნიეს მისი გაქრობა. ქარიშხალივით გადაუქროლეს ღრუბლებით შებურულმა შავმა რაშებმა მიწასა და ზღვას. პერსეფონეს თვალთა საწიერიდან გაქრა ნაცნობი ნაპირები, ყვავილები გადმოცვივდა მისი ლერწმის კალათიდან. ბოლოს შეიძრა ცა და მიწა, გაიხსნა ***ტარტაროსის*** მძიმე კარიბჭე და მის წიაღში ჩაიმალა მბრწყინავი ეტლი.

დიდხანს ეძებდა დედა–დემეტრე თავის ქალიშვილს (იხ. დემეტრე). როდესაც მიაგნო და მისი მიწაზე დაბრუნების ნება მიიღო ზევსისგან, პერსეფონეს უკვე გადაყლაპული ჰქონდა ბროწეულის მარცვლები – ქორწინების დაურღვევლობის სიმბოლო. იგი ჰადესის მეუღლე იყო. ასე რომ, პერსეფონეს წლის ნაწილი შეეძლო გაეტარებინა დედასთან, მაგრამ წლის ერთი მესამედი მიწის ქვეშ უნდა ყოფილიყო, თავის მეუღლესთან.

ამ მითოსში აისახა სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული ბრძოლა: წლის იმ დროს, როდესაც დემეტრესთან არის მისი ასული, ბუნება ხარობს, ხოლო როდესაც პერსეფონე ჩადის ჰადესში, ბუნება კვდება და აი, რატომ: მიწის ნაყოფიერება არ მოიაზრება მიწიერი სამყაროს სიკვდილის გარეშე, ბუნების აღორძინება – მისი კვდომის გარეშე. ბროწეული, რომელიც იგემა პერსეფონემ, ნაყოფიერების სიმბოლოცაა, მაგრამ ამ ხილის მფლობელი სიკვდილის ღვთაება ჰადესია. ასე რომ, პერსეფონე ერთდროულად განასახიერებს ბუნების გარდაუვალ კვდომასაც და აღორძინებასაც.

მიწისქვეშა ღვთაების კულტი პილოსში მიკენის ეპოქაშიც არსებობდა. ვარაუდობენ, რომ პერსეფონე უძველესი ღვთაება იყო. მისი კულტი გავრცელებული ყოფილა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უფრო ადრე, ვიდრე იქ ბერძნები დასახლდებოდნენ. პერსეფონეს



*პლუტონი და პერსეფონე. ბარელიეფი (ძვ.წ. 470-460 წ.წ.). კალაბრია, ეროვნული მუზეუმი.*



პერსეფონე. მარმარილო (ძვ.წ. VI ს.). ბერძნული ორიგინალის რომაული ასლი. რომი, ალბანის ვილა.

სახელი დაუკავშირდა ადგილობრივი ღვთაების, კორეს კულტს, რომელიც ითვლებოდა ნაყოფიერების მფარველ ქალღმერთად.

პერსეფონე არა მხოლოდ მიწის ნაყოფთა მეუფეა. იგი მიცვალებულთა სულებსაც განაგებს. მას ემორჩილებიან მიწისქვეშეთის ურჩხულებიც.

საბერძნეთში პერსეფონეს კულტი დიდი პატივით სარგებლობდა. ძველად იქ იმართებოდა საყოველთაო დღესასწაულები – *თესმოფორიები*. ამ უდიდესი ზეიმების დროს დემეტრესა და პერსეფონეს ერთად სცემდნენ თაყვანს, როგორც ნაყოფიერების ძალის მომნიჭებელ ღვთაებებს. მათ „ორ ღმერთქალად" მოიხსენიებდნენ და იფიცებდნენ „ორი ღმერთქალის" სახელით. დამოუკიდებელ მნიშვნელობას პერსეფონე მოგვიანებით შეიძენს – *ორფიკოსთა* მისტიურ მოძღვრებაში. მას ზევსის მეუღლედ და *ძაგრევსის* დედად მოიხსენებენ. მისი ზეწოდებებია: „ქალბატონი", „დიადი ღვთაება". გვიანი ხანის რელიგია მას გააიგივებს სხვა დედა-ღვთაებებთან: *გეასთან, რეასთან, ჰეკატესთან, ისისთან.*

ანტიკური ხანის ხელოვნებაში აირეკლა პერსეფონეს ორგვარი ბუნება. მას, როგორც მიწისქვეშა სამყაროს დედოფალს, გამოსახავდნენ ჰადესის გვერდით, ცალ ხელში ჩირაღდანი რომ ეპყრა, მეორეში კი – ბროწეული. ეს მისი ატრიბუტები იყო. პერსეფონეს წარმოადგენდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ქალწულის სახით, ხელში თავთავით ან ყვავილებით.

**პეფრედო** – ბერძნ. *გრაიათაგან* ერთ-ერთი დის სახელი.

**პიგმალიონი** – ბერძნ. კვიპროსის ლეგენდარული მეფე, რომელსაც ნაკლებად იზიდავდა სახელმწიფო საქმეები და რომელიც მთელ თავის დროს მხატვრობას უძღვნიდა. მან თავისი ცხოვრება ეულად განვლო, რადგან თვლიდა, რომ ქალებს უზნეობა ბუნებით მოსდგამდათ და რომ ისინი მას უბედურებას მოუტანდნენ. ერთხელ პიგმალიონმა სპილოს სპეტაკი ძვლისაგან უბადლო სილამაზის ქალწულის ქანდაკება შექმნა. სულდგმულივით იდგა ეს ქანდაკება მეფის სახელოსნოში. მხილველს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სუნთქვისგან ირხეოდა მისი ლამაზი მკერდი. თითქოს ხმა მოისმოდა მის დიდებულ ბაგეთაგან. საათობით შესცქეროდა მხატვარი თავის ქმნილებას, რომელიც წრფელი გულით შეიყვარა. მისთვის მოჰქონდა უძვირფასესი სამკაულები, ოქსინოები და ძოწეული. მდიდრული სამოსელით მოსავდა ქალწულს, თუმცა შიშველიც მშვენიერი იყო. ხან კი ართობდა თავის ქმნილებას, სთავაზობდა პატარა ჩიტებს, დარახტულ ბურთებს, ხიდან მოწყვეტილ *ჰელიადების* ცრემლებს, ყვავილებს. ხან სარეცელზე მიაწვენდა, თავქვეშ ბალიშებს ამოუდებდა და მიაძინებდა.

იმხანად *აფროდიტეს* დღეებს ზეიმობდა მთელი კვიპროსი. იწირებოდა მსხვერპლი, იკმეოდა საკმეველი. მდიდრული ძღვენი გაიღო პიგმალიონმა, მუხლი მოიდრიკა კიპროსშობილის საკურთხეველთან და აღმოხდა: „თუკი ღმერთები ხართ ყოვლისშემძლე, ისეთი მეუღლე მომივლინეთ, როგორიც ჩემი ქანდაკებაა". მან ვერ გაბედა სიყვარულის დიდი ღვთაებისათვის ქვის გაცოცხლება ეთხოვა. მაგრამ მიუხვდა აფროდიტე და კეთილგანწყობის ნიშნად სამგზის ალაზეა ჰაერში ცეცხლი. სასახლისაკენ ისწრაფა პიგმალიონმა. მიუახლოვდა ქალწულის ქმნილებას, ხელი შეახო და ეამბორა, სითბო შეიგრძნო, კვლავ ეამბორა და თითებით მკერდზე მიუალერსა. იგრძნო, დარბილდა



პიგმალიონი და გალატეა. ე. ფალკონეს ქანდაკება (1763 წ.). პარიზი, ლუვრი.

სპილოს ძვალი, თითებს მინებდა. ხედავს, თვალები აელვარდნენ სიცოცხლის შუქით, გასულიერდა ქანდაკება. პიგმალიონი ხან მადლობის სიტყვებს ჩურჩულებს, ხან ძვირფას ქალწულს ეამბორება. მან გალატეა შეარქვა ღვთაებისაგან სულჩადგმულ ქმნილებას და დიდებული ქორწილი გადაიხადა. ზეიმს ქალღმერთიც ესწრებოდა. წლისთავზე მეფეს მშვენიერმა გალატეამ უბოძა ვაჟი, რომელსაც *პაფოსი* შეარქვეს. მეფისწულმა დააარსა თავისივე სახელით სახელდებული ქალაქი, სადაც კეთილმოწყალე ღვთაებას მდიდრული საკურთხეველი აუგო.

გადატანითი მნიშვნელობით „პიგმალიონს" თავისი ქმნილებით მოხიბლულ ადამიანს უწოდებენ.

პიგმალიონის სახე ხშირად გვხვდება ლიტერატურაში. ფართოდ არის ცნობილი ჯილბერტის „პიგმალიონი და გალატეა"; ბერნარდ შოუს „პიგმალიონი"; ასევე ბარატინსკის ლექსები. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ფალკონეს ქანდაკებამ სახელწოდებით „პიგმალიონი".

2. ტიროსის ლეგენდარული მეფე, *დიდონას* ძმა, რომელმაც მოკლა დიდონას ქმარი, რათა მის სიმდიდრეს დაუფლებოდა.

**პიერიდები** – (პიერიის ქალწულები) ბერძნ. ასე უწოდებდნენ რომაელი პოეტები *მუზებს*. ეს სიტყვა უკავშირდება ძველი მაკედონიის ერთ-ერთ მხარეს, პიერიას, სადაც მუზათა კულტი იყო დამკვიდრებული.

არსებობს ნაკლებად ცნობილი ლეგენდა: პიერუსს, მაკედონური პელლას მეფეს, ცხრა ქალიშვილი ჰყოლია, რომლებიც მუზებს გაეჯიბრებიან სიმღერის ხელოვნებაში. დამარცხებულან ქალწულები და კადნიერებისათვის მუზებს ისინი დაუსჯიათ იმით, რომ კაჭკაჭებად გარდაუსახავთ. პიერუსის ქალიშვილებს პიერიდებად უხმობდნენ ძველად.

**პიეტასი** – (პიეტატა) რომ. ღვთისნიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის რომაული ქალღმერთი. ამ ღვთისნიერებაში უპირველეს ყოვლისა შვილების მიერ მშობლებისადმი მოკრძალება და პატივისცემა იგულისხმებოდა, შემდეგ სამშობლოსი და იმპერატორისა.

პიეტასის სახელობის ტაძარი აღმართული იყო რომის ერთ-ერთ ფორუმზე. რომაელ ავტორთა აზრით, იგი აიგეს იმ გამარჯვების აღსანიშნავად, რომელიც რომაელებმა სირიის მეფის, ანტიოქეს მესამესთან ბრძოლისას მოიპოვეს. ხოლო ამ ომის სიმბოლოდ იქცა ერთი ღვთისნიერი რომაელი ქალი, რომელმაც თავისი რძით გამოკვება შიმშილისაგან სიკვდილის პირამდე მისული დედა (სხვა ვერსიით, საპყრობილეში ჩაგდებული მამა).

ეს ლეგენდა აისახა როგორც რომაულ, ასევე გვიანი ხანის ხელოვნებაშიც (ცნობილია რუბენსის ნახატი „როგორ უყვარდა რომაელ ქალს თავისი მამა"). ანტიკურ მონეტებზე პიეტასი გუნდრუკის მკმეველ მოწიფულ ქალად არის წარმოსახული. მისი ატრიბუტებია ბავშვები და ყარყატი.

აღსანიშნავია, რომ რომში სპეციალური ჯილდოც კი არსებობდა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თავიანთი კეთილშობილებით გამოირჩეოდნენ. ამ ჯილდოს ეწოდებოდა „pius" („ღვთისნიერი").

**პითია** – ბერძნ. *დელფოს სამისნოს ქურუმი* ქალი.

გადატანითი მნიშვნელობით იგი წინასწარმეტყველს აღნიშნავს.

**პითიური ასპარეზობანი** – ბერძნ. იხ. *დელფოს სამისნო*.

**პითონი** – ბერძნ. შემზარავი ურჩხული, *გეას* ნაშობი.

გავრცელებული მითოსის თანახმად, *ზევსს* მოეწონა მშვენიერი *ლეტო* და მასთან სარეცელი გაიზიარა. ეჭვიანმა *ჰერამ* საშინელი გველი, პითონი, მიუჩინა ფეხმძიმე ქალს. შეძრწუნებულმა ლეტომ სცადა გაქცევა, მაგრამ პითონი ყველგან თან სდევდა. როდესაც მან კუნძულ ორტიგიას მიაღწია, დაიბადა *არტემისი*. ისევ გაიქცა, გადალახა ვიწრო სრუტე და კუნძულ დელოსზე შვა *აპოლონი*, რომელმაც სულ მალე მოკლა პითონი. რამდენადაც ეს ურჩხული დედალღვთაების, გეას ძე იყო, ზევსმა აპოლონს ურჩია, განწმენდილიყო დაღვრილი სისხლისგან, ხოლო შემდეგ აეგო ტაძარი და დაეარსებინა პითიური ასპარეზობანი.

აპოლონმა აღასრულა მამის სურვილი. დაფუძნებისთანავე დელფოს სამისნო და ტაძარი საბერძნეთის უმნიშვნელოვანეს საკულტო ადგილად იქცა.

ვარაუდობენ, რომ პითონი მიწის უძველესი ღვთაება იყო, რომლის ადგილიც მხის ღმერთმა, აპოლონმა მოგვიანებით დაიკავა. პითონის თაყვანისცემის კვალი შემორჩა აპოლონის კულტს: დელფოს ტაძარს ზოგჯერ „პითო"-საც უწოდებდნენ, აპოლონის ერთ-ერთი ეპითეტი იყო „პითიოსი"; დელფოს ქურუმ ქალს „პითიას" უხმობდნენ. გვიანი ხანის მითოგრაფოსების თანახმად, პითონი იყო სიბრძნის ღვთაება, რომელიც დაამარცხა სხივოსანმა აპოლონმა. არსებობს ამ მითოსის ეპიკური განმარტებაც, რომელიც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას გულისხმობს.

პითონი, დღემდე დიდი გველის სახელად შემორჩა.

**პიკუსი** – რომ. ტყეთა და ველთა რომაული ღმერთი, რომელიც ადამიანებს მომავალს უწინასწარმეტყველებდა; *სატურნუსის* ძე, *ფავნუსის* მამა, *პომონას* მეუღლე.

პიკუსი ლატიუმის პირველ მეფედ მიაჩნდათ რომაელებს. ლეგენდის თანახმად, გრძნეულ *კირკეს* შეუყვარებია იგი, მაგრამ უარი რომ მიუღია, კოდალად გარდაუსახავს.

თავდაპირველად პიკუსს წარმოსახავდნენ ხის სახით კოდალასთან ერთად, რომელსაც წინასწარმეტყველ ფრთოსნად თვლიდნენ. მოგვიანებით მას ახალგაზრდა ყმაწვილის სახით ეხედავთ ფრესკებზე, რომელსაც ხელში კოდალა უჭირავს. პიკუსის ამბავი და მისი გამოსახულებები მიუთითებენ ამ მითოსის ტოტემურ წარმომავლობაზე.

**პილადესი** – ბერძნ. ფოკისის მეფის წული, *ორესტესის* მეგობარი.

როდესაც *კლიტემნესტრამ* სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მეუღლე *აგამემნონი*, უმამოდ დარჩენილი მცირეწლოვანი ორესტესი, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა (იგი ხომ მიკენის ტახტის მემკვიდრე იყო), ფოკისის მეფეს გაუგზავნეს. იქ ორესტესი მეფისწულ პილადესთან ერთად იზრდებოდა. როდესაც შურისძიების დრო დადგა და ორესტესი მიკენში დაბრუნდა, მას თან ახლდა პილადესი. ორესტესთან ერთად გაემგზავრა



აპოლონი, ორესტესი და პილადესი აპოლონის ტაძარში. სამხრ. იტალიური კრატერი (ძვ.წ. 350-340 წწ.). ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი.

იგი ტავრისშიც, რათა იქიდან *იფიგენია* ჩამოეყვანა.

ბოლოს პილადესმა ორესტესის და, *ელექტრა* შეირთო ცოლად.

პილადესი ერთგული მეგობრის სიმბოლოდ დარჩა ლიტერატურაში.

**პინდოსი** – ბერძნ. მთის ქედი, რომელიც თესალიას ეპიროსისგან გამოჰყოფდა. იგი აპოლონის საუფლოდ ითვლებოდა, ამიტომ გადატანითი მნიშვნელობით პინდოსი პოეზიის საუფლოდ მიიჩნიეს პოეტებმა.

**პირა** – ბერძნ. იხ. *დევკალიონი*.

**პირამუსი** – მდინარის მცირეაზიული ღვთაება.

პირამუსისა და მდინარეული *ნიმფა* თისბეს სიყვარულის ისტორიის უძველესი ვერსია ასეთი იყო: ერთმანეთის ახლოს მდებარე ორ მდინარეს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ისინი მიედინებოდნენ და მათი შერთვა შეუძლო იყო. ეს მითოსი, სხვა პოეტური შინაარსით, წარმოდგენილია ოვიდიუსის „მეტამორფოზებში". პოეტმა რომანტიული ეფექტის გასაძლიერებლად მოქმედება გადაიტანა უძველეს ბაბილონში: აღმოსავლეთის ქალწულთა შორის უმშვენიერეს თისბესა და უწარმტაცეს ჭაბუკ პირამუსს მეზობლად ედგათ სახლები. მეზობლობისას შეამჩნიეს ერთმანეთი და შეიყვარეს. როდესაც ქორწინების სურვილი გამოთქვეს, მამებმა არ ისურვეს მათი შეუღლება. მეზობლებს საერთო კედელი ჰყოფდათ. შეყვარებულებმა აღმოაჩინეს ბზარი, რომელიც აგებისთანავე გაჩენოდა ამ კედელს, მაგრამ წლების მანძილზე არავის შეუმჩნევია. ჰოდა, ამ ბზართან საუბრობდა ქალ-ვაჟი ხშირად. მიმწუხრებისას, როცა ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, კედელს ჰკოცნიდნენ. შინ წასულნი კი მოუთმე-

ნლად ელოდნენ გათენებას, რათა იმ ბზართან კვლავ ესაუბრათ. ერთხელაც ქალაქგარეთ გაპარვა განიზრახეს. ხოლო გზა რომ არ აბნეოდათ ფართო მინდვრებში, ნაცნობ სამაროვანთან, თუთის ხის ჩრდილში დათქვეს შეხვედრა. თეთრად ქათქათებდა თუთა. პირველად თისბე მივიდა დათქმულ ადგილას და პირამუსის მოლოდინში ჩამოჯდა იქვე, ხის ძირას, სადაც ანკარა წყარო მიედინებოდა. მოულოდნელად საიდანღაც გამოჩნდა დაბდღვნილი ძროხის სისხლით პირზე დუჟმორეული ძუ ლომი და წყაროს წყალს დაეწაფა. შეშინდა თისბე და გაიქცა. მანდილი მოსძვრა, იქვე დატოვა და მღვიმეს შეაფარა თავი. როდესაც ლომმა წყურვილი დაიცხრო, უკან გამობრუნდა, შემთხვევით მანდილს წააწყდა და დასისხლიანებული ხახით გაგლიჯა.

მალე პირამუსიც გამოჩნდა. მხეცის ნაკვალევს რომ ჰკიდა თვალი, ფერი ეცვალა; ხოლო როდესაც სისხლში მოთხვრილ მანდილს წააწყდა, იცნო, აიღო და თუთის ხის ძირას ჩამოჯდა გაოგნებული, დაიტირა თისბე და თავისივე მახვილს წამოეგო. იარიდან იფეთქა სისხლმა, თუთა გაშავდა.

შეშინებულმა თისბემ მღვიმე დატოვა და დათქმული ადგილისაკენ ისწრაფა. ეუცნაურა ხე, ნაყოფის ფერმა გააოცა, ხოლო როდესაც თვალი მოჰკრა საყვარელ ჭაბუკს, სისხლში რომ იწვა, ზედ დაეკონა. სიკვდილისაგან დამძიმებული ქუთუთო გახსნა პირამუსმა, მზერა მოავლო მოტირალ ქალწულს და მერე ისევ სამუდამოდ დახუჭა თვალი. თისბემ მანდილი დაინახა, ყველაფერს მიხვდა. არ უფიქრია ბევრი, მახვილს დასწვდა და სატრფოს გვერდით დალია სული. პოეტი ოვიდიუსი ასე ამთავრებს თავის თხრობას:

*„შავად მწიფდება ხის ნაყოფი იმიერიდან*
*და ერთ ურნაში განისვენებს სხეულთა*
*ფერფლი".*

პირამუსისა და თისბეს მითოსის ამ ვერსიამ დიდი დაინტერესება გამოიწვია გვიანი ხანის ლიტერატურულ წრეებშიც. დიდებულად აამეტყველა იგი შექსპირმა ჯერ „ზაფხულის ღამის სიზმარში", ხოლო შემდეგ „რომეო და ჯულიეტაში".

**პირენე** – ბერძნ. ზღვის ღმერთის, *აქელოოსის* ქალიშვილი.

პირენემ მასზე შეყვარებულ *პოსეიდონს* ორი ვაჟი უშვა. მათგან ერთ-ერთი ქალღმერთმა *არტემისმა* უნებლიედ განგმირა ნადირობისას. დადარდიანებულმა პირენემ იმდენი ცრემლი დაღვარა, რომ წყაროდ გარდაისახა. ასე ამბობენ, ამ წყაროსთან დაიურვაო *ბელეროფონმა* ფრთოსანი რაში *პეგასოსი*.

**პირითოოსი** – ბერძნ. ლაპითთა მეფე; *იქსიონისა* (სხვა ვერსიით, *ზევსის*) და დიას ძე.

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ფართოდ იყო ცნობილი პირითოოსისა და *ჰიპოდამეას* ქორწილი (იხ. *ლაპითები*), რომელსაც *კენტავრების* და ლაპითების ბრძოლა მოჰყვა.

პირითოოსი სახელოვან *თესევსთან* ერთად მონაწილეობდა *კალიდონის ნადირობაში*, ამორძალთა წინააღმდეგ ომში, აგრეთვე *ელენეს* მოტაცებაში. ჰიპოდამეას გარდაცვალების შემდეგ კი ისურვა *პერსეფონეს* მოტაცება, მაგრამ ამ სურვილს შეეწირა. იგი სამუდამოდ დარჩა *ჰადესის* კლდეში გამოკვეთილ ტახტზე მიკრული (იხ. *თესევსი*). ასეთად გამოსახავდნენ ამ კადნიერ გმირს ანტიკური ხანის მხატვრები.

**პირიფლეგეტონი** – ბერძნ. მიწისქვეშა სამყაროს ცეცხლოვანი მდინარე. ბერძენთა რწმენით იგი მთელ *ჰადესს* გარს ერტყმოდა.

**პისტორი** – რომ. „ხაბაზი", „მეფუნთუშე". *იუპიტერის ეპიკლეზა*, რომელიც გალებთან ომს უკავშირდება. ლეგენდის თანახმად, გალებმა ალყაში მოიმწყვდიეს რომაელები, რომელთაც პურის მარაგი გამოლეოდათ და შიმშილით სულს ღაფავდნენ. რომაელ მეომრებს სიზმრად იუპიტერი გამოეცხადა და მოუწოდა, რაც კი რამ ჰქონდათ უძვირფასესი, მტრებისთვის მიეყარათ. რომაელებმა იმ ფქვილისგან, რაც შერჩენოდათ, გამოაცხვეს პურები და შეტევაზე გადმოსულ მტერს დაუშინეს. გალებმა იფიქრეს, რომ რომაელებს თავზე საყრელად ჰქონდათ საკვები და ალყა მოხსნეს.

ალბათ ამ ლეგენდით აიხსნება ის, რომ რომში არსებობდა „მეფუნთუშე იუპიტერის" საკურთხეველი.

**პიტთევსი** – ბერძნ. ტროიძენის მეფე; *პელოფსისა* და *ჰიპოდამეას* ძე; *თიესტესისა* და *ატრევსის* ძმა; *თესევსის* პაპა.

**პიტოკამპტესი** – ბერძნ. არამზადა *სინისის* მეტსახელი. იგი მოკლა *თესევსმა*.

**პლეიადები** – ბერძნ. შვიდი და, *ატლასისა* და *პლეიონეს* ასულები: ალკიონე, მეროპე, კელენო, ელექტრა, სტეროპე, ტაიგეტე, მაია. მათგან სამი *ზევსის* სატრფო იყო, ორი *პოსეიდონის*, ერთიც *არესის*. მხოლოდ მეროპე გაჰყვა ცოლად მოკვდავ სისიფოსს. ზევსს ტაიგეტესგან შეეძინა *ლაკედემონი*, მაიასაგან კი *ჰერმესი*. პოსეიდონს კელენომ უშვა ლიკოსი, ალკინოემ კი ირიეოსი და *ჰიპერენორი*.

პლეიადებს ჰყავდათ შვიდი და (მათ *ჰიადებად* უხმობდნენ) და ერთადერთი ძმა – *ჰიასი*. ერთხელ ჰიასი სანადიროდ წავიდა. მას ლომები დაესხნენ თავს და დაფლითეს. მწუხარებისაგან ჰიადები გარდაიცვალნენ. ზევსმა ისინი კუროს თანავარსკვლავედად გარ-



*პლეიადები (ახ.წ. IX ს.). ლეიდენი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.*

დასახა. დარდით შეპყრობილმა პლეიადებმა თავი მოიკლეს და ისინიც თანავარსკვლავედებად გაბრწყინდნენ ცის კაბადონზე.

არსებობს სხვა ვერსიაც: მონადირე *ორიონს* მოეწონა პლეიადები და დაედევნა. ქალიშვილები დაფრთხნენ და ღმერთებს უხმეს საშველად. ცისიერებმა შეისმინეს მათი ვედრება და მტრედებად გარდასახეს; შემდეგ ისინი ზევსმა ცად აღაზევა და თანავარსკვლავედებად აქცია.

მითოგრაფოსთა აზრით, ეს ვერსია ეფუძნება პლეიადების სახელის ეტიმოლოგიას. ვარაუდობენ, რომ იგი ნაწარმოებია სიტყვიდან „პლეიადეს", რაც „ველურ მტრედს" ნიშნავს. საინტერესოა ისიც, რომ ორიონის თანავარსკვლავედი პლეიადების თანავარსკვლავედს თან დაჰყვება.

*დოდონაში*, სადაც მტრედი წმინდა ფრინველად ითვლება, მიაჩნდათ, რომ მტრედებად გარდასახულ პლეიადებს მიჰქონდათ ზევსთან *ამბროსია*. როდესაც ისინი მიფრინავდნენ იმ *პლანქტებს* შორის, ერთმანეთს რომ ეხლებოდნენ, ერთ-ერთი მათგანი კვდებოდა და ზევსი მას ახალ მტრედს ანაცვლებდა.

რომში პლეიადებს ვერგილიებს უწოდებდნენ.

გადატანითი მნიშვნელობით „პლეადას" სახელოვან ადამიანთა დასს უწოდებდნენ. ეს ტერმინი პირველად ალექსანდრიულ ეპოქაში გამოჩნდა ძველი სამყაროს შვიდი გამოჩენილი ტრაგიკოსის აღსანიშნავად.

**პლეიონე** – ბერძნ. *ოკეანიდა*, *ატლასის* მეუღლე, *პლეიადების* და *ჰიადების* დედა.

**პლუტონი** – ბერძნ. *ჰადესის* ერთ-ერთი სახელი.

**პლუტოსი** – ბერძნ. სიმდიდრისა და სიუხვის ღმერთი, მიწის ნაყოფიერების განსახიერება; *დემეტრესა* და *იასიონის* ძე, რომელიც კრეტაზე იშვა.

პლუტოსი ბერძნულ მითოსში უშუალოდ დემეტრესა და პერსეფონეს კულტს უკავშირდება. პლუტოსი მფარველობდა ყველას, ვისაც დემეტრე და პერსეფონე სწყალობდა. ამ ორი ქალღმერთის *ელევსინურ მისტერიაში* გაერთიანებამ შესაძლებელი გახადა პლუტოსისა და *პლუტონის* (*ჰადესის*) თანაგვარობა, რამეთუ ქვესკნელის ღვთაება მიწისქვეშეთის უსაზღვრო სიმდიდრეთა განმგებელიც იყო.

პლუტოსს ეძღვნება არისტოფანეს კომედია ამავე სახელწოდებით, სადაც ღმერთი ბრმა მოხუცია, რომელმაც არ იცის, როგორ გაანაწილოს სიმდიდრე. იგი, *ასკლეპიოსის* ტაძარში განკურნებული, მდიდრებს ართმევს ამ სიმდიდრეს და ღარიბებს ურიგებს. ეს საქციელი წარმოუდგენელ კომიკურ ეფექტს ქმნიდა იმ საზოგადოებაში, სადაც არავის სურდა შრომა და სადაც მათხოვრად ქცეული ღმერთები ემსახურებოდნენ გამდიდრებულ ღარიბებს.

ანტიკურ ხელოვნებაში არსებობს პლუტოსის ორგვარი გამოსახულება: შედარებით გავრცელებულია ჩვილი პლუტოსი *სიუხვის რქით*. ამ სახით იგი ან ღმერთების დასშია, ან *ეირენესა* თუ *ტიქეს* ხელში. ფერწერულ ლარნაკებზე კი იგი მოხუც კაცად გამოიყურება.

**პოდალირიოსი** – ბერძნ. *ასკლეპიოსის* ძე; *მაქაონის* ძმა; აქაველთა ექიმი *ტროას ომის* ჟამს.

**პოდარგე** – ბერძნ. *ჰარპიათაგანი*.

**პოდარკესი** – ბერძნ. *პრიამოსის* ადრეული სახელი.

**პოთოსი** – ბერძნ. სასიყვარულო ლტოლვის განმასახიერებელი ღვთაება, რომელიც თან ახლდა ხოლმე *აფროდიტეს*.

**პოლემოსი** – ბერძნ. ომის განმასახიერებელი ღმერთი; *არესის* თანამგზავრი; *ფორკისის* ძე; ენიოს ძმა.

**პოლიასი** – ბერძნ. *ათენას ეპიკლეზა*.

**პოლიბიოსი** – ბერძნ. 1. კორინთოს მეფე, რომელმაც იშვილა *ოიდიპოსი*. 2. ეგვიპტური თებეს მეფე, ვინც ისტუმრა ტროადან დაბრუნებული *ელენე* და *მენელაოსი*.



*პოლიდევკესი. ბრინჯაოს პატერა (ძვ.წ. 350 წ.). რომი. ვილაჯულიას ვილა*

**პოლიდევკესი** – ბერძნ. *დიოსკურთაგანი*.

**პოლიდექტესი** – ბერძნ. კუნძულ სერიფოსის მეფე, რომელიც *პერსევსმა* გააქვავა.

**პოლიიდოსი** – ბერძნ. *დიონისეს ქურუმი*; მელამპოსის ბადიში; ზოგი მითოსით, მანტოს მამა; მკურნალი და წინასწარმეტყველი კორინთოდან (ან არგოსიდან).

პოლიიდოსმა იპოვნა *მინოსის* დაკარგული ვაჟი, გლავკოსი, რომელიც ბავშვობისას გამოეკიდა რა თაგვს, ჩავარდა თაფლით სავსე ჭურჭელში და ჩაიძირა. პოლიიდოსმა იგი ჯადო – ბალახით გააცოცხლა.

**პოლინიკესი** – ბერძნ. თებეს მეფე *ოიდიპოსისა* და *იოკასტეს* ძე; *ეტეოკლესისა* და *ანტიგონეს* ძმა.

როდესაც ოიდიპოსმა დატოვა თებე, ქალაქში დარჩა მისი ორი ვაჟი-ეტეოკლესი და პოლინიკესი. მათ მოილაპარაკეს, რომ რიგრიგობით ავიდოდნენ ტახტზე თითო წლით. ეტეოკლესმა პირველმა დაიკავა ხელში სამეფო სკიპტრა. წელი რომ გავიდა, აღარ ისურვა მისი დათმობა და საკუთარი ძმა ქალაქიდან გააძევა. პოლინიკესი შეიფარა არგოსის მეფე *ადრასტოსმა* და ქალიშვილიც მიათხოვა. მალე მათ თებეს წინააღმდეგ გალაშქრება განიზრახეს. ადრასტოსმა შეკრიბა ჯარი და თებეს ალყა შემოარტყა. მრავალი გმირი დაეცა ბრძოლის ველზე. პოლინიკესმა, სისხლისღვრა რომ შეწყვიტა, ორთაბრძოლაში გამოიწვია ეტეოკლესი. ძმებმა განგმირეს ერთმანეთი. თებეს ლაშქარს სათავეში ჩაუდგა იოკასტეს ძმა კრეონი და არგოსელები გააძევა ქალაქიდან. შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა და ბრძანა, ეტეოკლესი დაეკრძალათ, ხოლო მოღალატე პოლინიკესი კი ყორნებისათვის მიეგდოთ.სიკვდილი ელოდა მას, ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილებოდა. ყველა შეშინდა. მხოლოდ ანტიგონემ აღიმაღლა ხმა მეფის წინააღმდეგ. მან საკუთარი ხელით ამოთხარა სამარე და ძვირფასი ძმა მიწას მიაბარა. მეფის ბრძანების შეუსრულებლობის გამო ანტიგონე დაისაჯა.

*პოლინიკესი და ერიფილე. პელიკეს ფრაგმენტი (ძვ.წ. 460-450 წ.წ.). ლეჩე. რეგიონალური მუზეუმი.*



**პოლიფემოსი** – ბერძნ. *კიკლოპი*, *პოსეიდონის* ძე.

ტროადან რომ ბრუნდებოდა *ოდისევსი*, თავის თორმეტ თანამგზავრთან ერთად მოხვდა პოლიფემოსის მღვიმეში (იხ. ოდისევსი). გმირი იძულებული გახდა მისთვის ერთადერთი თვალი ამოეთხარა. გამძვინვარებულმა პოლიფემოსმა ღვთაებრივ მამას მიმართა ვედრებით, შური ეძია ოდისევსზე. ამიტომ იყო, რომ პოსეიდონი შინ დაბრუნების ნებას არ რთავდა ითაკას მეფეს.

გვიანი ხანის პოეტებმა შეთხზეს ლეგენდა იმაზე, თუ როგორ უყვარდა პოლიფემოსს მშვენიერი *გალატეა*.

**პოლიქსენე** – ბერძნ. ტროას მეფის ასული; *პრიამოსისა* და *ჰეკაბეს* ქალიშვილი.

ჰომეროსის შემდგომდროინდელი თქმულებები პოლიქსენეს *აქილევსის* დაღუპვაში სდებდნენ ბრალს. მითოსის ერთ-ერთი ვერსია ასეთია: ბერძნები ტროელებს *ჰექტორის* გვამს უბრუნებენ, სამაგიეროდ მეფე პრიამოსისგან მის წონა ოქროს ითხოვენ. ტროას კედლებთან სასწორი დადგეს, მის ერთ პინაზე ჰექტორის სხეული მოათავსეს, მეორეზე ოქროს წონიდნენ. ქალაქის საგანძური დაცარიელდა, მაგრამ ძვირფასეულობა საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ პოლიქსენემ დაუნანებლად გაიმეტა, რაც ებადა. ქალწულის კეთილშობილებით აღფრთოვანებულმა აქილევსმა მისი ცოლად შერთვის სურვილი განუცხადა მეფე პრიამოსს; განძსაც უკანვე სთავაზობდა, ოღონდ სთხოვდა, რომ ელენე დაებრუნებინა *მენელაოსისათვის*. პრიამოსს განძი არად უღირდა, პოლიქსენეს გათხოვებაზეც თანახმა იყო, მხოლოდ ელენეს ვერ იმეტებდა დასაბრუნებლად. უმორჩილესად სთხოვდა აქილევსს, დაერწმუნებინა ბერძნები, ელენეს გარეშე გასცლოდნენ ტროას გალავანს.

ისე მოსწონდა აქილევსს პოლიქსენე, რომ სათათბიროდ ეახლა მეფეს *აპოლონის* ტაძარში. კარგად იცოდა მეფის ასულმა *აქილევსის ქუსლის* ამბავი. მას ვერ ეპატიებინა ბერძენი გმირისათვის თავისი ძმის, ტროილოსის მოკვლა. ამიტომ შურისძიებით შეპყრობილმა აქილევსს ტაძრად საბრძოლო აღკაზმულობის გარეშე მოსვლა მოსთხოვა. თავდაპირველად აპოლონისადმი მსხვერპლის შეწირვის წესისგება უნდა აღსრულებულიყო. ამ დროს, წესისამებრ, ყველა ფეხზე იხდიდა. ასე მოიქცა აქილევსიც. ქანდაკების უკან დამალულმა *პარისმა* კი მას მოწამლული ისარი ქუსლში მოახვედრა, რასაც შეეწირა საბერძნეთის დიადი გმირი.

ტროას დაცემის შემდეგ პოლიქსენე აქაველებმა შეიპყრეს და ჰელესპონტოსში ჩაიყვანეს. აქ გამოცხადდა აქილევსის აჩრდილი და მოითხოვა, რომ პოლიქსენე მისთვის მსხვერპლად შეეწირათ. წესის აგება აქილევსის ძეს, *ნეოპტოლემოსს* დაეკისრა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ მითოსში ტყვეთა მსხვერპლად შეწირვისა და გმირთან ერთად მისი მეუღლისა თუ საყვარელი ქალის დაკრძალვის ადათი აისახა. პოლიქსენეს ამბავს წარმოგვიდგენს კიკლიკური ეპოსიც, ლირიკაცა და ათენური დრამაც. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ევრიპიდეს ტრაგედია სახელწოდებით „ჰეკაბე".



პოლიფემოსი და გალატეა. პომპეის კედლის მოხატულობა (ახ.წ. 75 წ.). პომპეი.

**პოლიჰიმნია** – ბერძნ. „ჰიმნმრავალი". *მუზათაგან* ერთ-ერთი, რომელიც თავდაპირველად ცეკვას მფარველობდა. მოგვიანებით იგი პანტომიმათა ქალღმერთად შერაცხეს. მას წარმოსახავდნენ თაერიდით, ატრიბუტების გარეშე.

**პოლუქსი** – რომ. *დიოსკურთაგანი*. ბერძენი *პოლიდევკესის* რომაული სახელი.

**პომონა** – რომ. ნაყოფთა რომაული ღვთაება, რომელიც ბაღების ღმერთს, ვერტუმნუსს უყვარდა.

მითოსი ვერტუმნუსს გარდასახვის უნარის მქონე ღვთაებად წარმოგვიდგენს. იგი ბერიქალის სახით გამოეცხადა პომონას და

დარწმუნა, რომ ცოლად გაჰყოლოდა ვერტუმნუსს, ანუ მას. სხვა ვერსიით, პომონა ***პიკუსის*** მეუღლეა.

პომონასა და ვერტუმნუსის მითოსი გვხვდება ოვიდიუსის „მეტამორფოზებში". ცნობილია მელცის სურათი „ვერტუმნუსი და პომონა".

**პომპე** – (პომპა) ბერძნ. „საზეიმო სვლა", „პროცესია".

ძველ საბერძნეთში რელიგიურ დღესასწაულთა დროს დიდძალი ხალხი მიემართებოდა ტაძრისკენ, რათა ღვთაებისათვის პატივი მიეგო. ამ საზეიმო სვლას „პომპე" ეწოდებოდა. უაღრესად პოპულარული იყო ***პანათენური*** და ***ელევსინური*** პომპეები.

**პომპეი** – იტალიის დასავლეთით მდებარეობს მხარე, რომელსაც კამპანია ეწოდება. უძველესი დროიდან იქ მოსახლეობდნენ იტალიკური წარმოშობის ტომები, ოსკები, რომელთაც ბერძნული კულტურის გაელენა განუცდიათ. პომპეი სწორედ ამ ტომებით დასახლებული კამპანიის ქალაქი ყოფილა. ძვ.წ. V საუკუნიდან პომპეიში სხვა იტალიკური ტომების, სამნიტების ბატონობა დასტურდება, ხოლო ძვ.წ. 89 წელს იგი რომაელმა დიქტატორმა სულამ დაიმორჩილა და რომის კოლონიად გამოაცხადა. ძვ.წ. 63 წელს პომპეი მიწისძვრამ დაუნგრევია, ხოლო 79 წელს ვეზუვიუსის ვულკანიდან ამოფრქვეულ ლავას ერთიანად დაუფარავს. ქალაქი ისტორიის არენიდან ხანგრძლივი დროით გაქრა. მხოლოდ 1748 წლიდან დაიწყო იქ არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც მრავალი დიდებული ძეგლი გამოავლინა. ჩვენს წიგნში თქვენ მრავლად იხილავთ პომპეის ფრესკებს.

**პონტია** – ბერძნ. „ზღვისა". ***აფროდიტეს, თეტისისა*** და ***ნერეიდების ეპიკლესა.***

**პონტიფექსები** – „pontifex" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ქურუმს". რომში არსებობდა ქურუმთა კოლეგია, რომელიც წარმართავდა მთელი რომაული იმპერიის რელიგიურ ცხოვრებას, მეთვალყურეობდა ყოველნაირ ღვთისმსახურებას და ამოწმებდა ქურუმთა საქმიანობას. ტრადიცია ამ კოლეგიის დაწესებას მიაწერს ნუმა პომპილიუსს. თავდაპირველად კოლეგია ოთხი წევრისაგან შედგებოდა და მის სათავეში იდგა დიადი პონტიფექსი (pontifex maximus). ძვ.წ. 300 წლიდან კოლეგიას კიდევ ოთხი წევრი შეემატა. დიქტატორმა სულამ პონტიფექსთა რაოდენობა თხუთმეტამდე გაზარდა. იმპერიის ეპოქიდან მოყოლებული, იმპერატორი, რომელიც იმავდროულად „დიადი პონტიფექსიც" იყო, თავისი სურვილისამებრ ცვლიდა კოლეგიის წევრთა რაოდენობას. არსებობდნენ რიგითი პონტიფექსებიც, რომლებსაც თანაშემწეთა და გადამწერთა ფუნქციაც ეკისრებოდათ.

პონტიფექსთა საქმიანობას თვალს ადევნებდა სენატი და სახალხო კრება.

**პონტოსი** – ბერძნ. ზღვის განმასახიერებელი ღმერთი, რომელიც შვა ***გეამ.*** იგი უმამოდ დაიბადა.

გეასა და პონტოსის შვილებად ასახელებენ: ***ნერევსს***, თავმასს, ***ფორკისს***, კეტოსა და ევრიბიეს. ოლიმპიურ პანთეონში პონტოსს მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა.

**პორტუნუსი** – რომ. ნავმისადგომთა და ნავსაყუდელთა (პორტების) რომაული ღვთაება. თავისი მნიშვნელობით იგი ბერძენი ***მელიკერტესის*** თანაგვარია.

პორტუნუსს გამოსახავდნენ გასაღებით ხელში. მისი პატივსაცემი ზეიმი („პორტუნალიები") რომში აგვისტოს თვეში აღინიშნებოდა.

**პოსეიდონი** – ბერძნ. ზღვათა ღვთაება; ***კრონოსისა*** და ***რეას*** ძე; ***ზევსის, ჰადესის, ჰერას, დემეტრესა*** და ***ჰესტიას*** ძმა; ***ამფიტრიტეს*** მეუღლე. რომაულ მითოლოგიაში მისი თანაგვარი იყო ***ნეპტუნუსი.***

უძველესი წარმოდგენები პოსეიდონზე დაკავშირებულია ნოტიო მიწის ნაყოფიერებასთან. შესაბამისად, მის სახელს ასე თარგმნიან: „მიწის მეუღლე" ან „მიწის მეუფე".



პოსეიდონი. ბერძნული ორიგინალის რომაული ასლი (ძვ. წ. IV საუკ. II ნახევრის. რომი. ლატერანის მუზეუმი

კრონოსზე გამარჯვების შემდეგ ზევსმა თავის ძმებთან, ჰადესთან და პოსეიდონთან ერთად გაინაწილა სამყაროში მმართველობის უფლება. სამართლიანი რომ ყოფილიყო ეს განაწილება, მათ წილი ყარეს. პოსეიდონს ხვდა ზღვის სამეფო. არ მოეწონა, რადგან



პოსეიდონი. ბრინჯაოს ქანდაკება (ძვ.წ. 460 წ.). ათენი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.



*პოსეიდონი. ამფორას ფერწერა (ძვ.წ. 540–530 წ.წ.). პარიზი, ეროვნული ბიბლიოთეკა.*

თვლიდა, რომ უფროსი იყო და წესით მას უნდა რგებოდა უმაღლესი უფლებები ღმერთების სამყაროში. თავის აღშფოთებას იგი არც მალავდა. ზევსი განრისხდა და ***ოლიმპოსის*** კარიბჭე დახურა მისთვის. ათი წელი არ გამოჩენილა პოსეიდონი ძმის ზეციურ საბრძანებელში. ბოლოს იგი ბედს შეეგუა და შეურიგდა ცათა მბრძანებელს.

ეს პირქუში და ჭირვეული ღვთაება ისევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ზევსი, თუმცა ოდნავ კი ჩამოუვარდებოდა ძალმოსილებით. მან ზღვათა სიღრმეში აიშენა ცისფერი სასახლე, რომელიც ნიჟარებით იყო გადახურული. წყლის მოქცევისას ეს ნიჟარები იხსნებოდნენ და მათ წიაღში დაფარული მარგალიტებით ზღვა ნათდებოდა. ხოლო როდესაც ზვირთები მშვიდად ნებივრობდნენ, სასახლის ქარვის ფანჯრებიდან ძოწისფერი ყვავილივით მოჩანდა მზე. პოსეიდონმა ვეებერთელა თავლებში ოქროსფაფრიანი და სპილენძისჩლიქებიანი მერნების რემა მოათავსა. ოქროს ეტლიც ჰქონდა, რომლის ხმის გაგებისთანავე მშვიდდებოდნენ ქარიშხლები. ახლა ცოლის შერთვაც შეეძლო, მით უმეტეს, რომ მოსწონდა ზღვის ძველი ღმერთის, გრძნეული ნერევსის ასული, მშვენიერი ამფიტრიტე. მაგრამ ქალწული არ თანხმდებოდა, რადგანაც პოსეიდონი, მიუხედავად ღვთაებრივი აღნაგობისა, არც ისე ლამაზი იყო. მას მუქი ფერის კანი ჰქონდა, აბურძგნული თმა და ლამით სავსე, მუდამ, სველი წვერები. შიშის ზარს სცემდნენ სათნო ამფიტრიტეს მისი თვალები, ავის მომასწავებლად რომ ანათებდნენ ხშირი წარბებიდან. და მაინც, ზღვის მეუფემ მისი მოტაცება განიზრახა, ქალწულმა ***ატლასის*** მთებს შეაფარა თავი.

დამწუხრებული დაბრუნდა პოსეიდონი თავის ცარიელ სასახლეში. ამ დროს მასთან მოცურდა დელფინი, ზღვის ბინადართა შორის უბრძნესი ქმნილება და ღმერთს დახმარება აღუთქვა. მეორე დღეს კი ამფიტრიტეს გამოეცხადა და უამბო წყალთა ყოვლისშემძლე ღვთაების უსაზღვრო სიმდიდრეზე, უსამანო სამფლობელოზე, ზღვათა საოცარ ბინადრებზე, რომლებიც მის ფერხთა ქვეშ იცურებდნენ და დიდებულ პატივს მიაგებდნენ მშვენიერ ქალბატონს.

დაფიქრდა ***ნიმფა***. დელფინის ნაამბობმა მოხიბლა, რჩევა იკითხა და რამდენიმე დღის შემდეგ ზურმუხტის ტახტზე დაბრძანდა პოსეიდონის გვერდით, ვითარცა ზღვის დედოფალი.

ზღვის მლაშე წყლებში უცნაური ღვთაებები და საოცარი არსებები ბინადრობდნენ. მათ ბრძნულად განაგებდა პოსეიდონი, რომელმაც იცოდა ყველაფერი, რაც კი წყალში თუ წყლის ზედაპირზე ხდებოდა. როცა უაზროდ მოვარდებოდნენ ქარიშხლები და ზღვას აავრთებდნენ, პოსეიდონის ერთი მზერაც საკმარისი იყო მათ დასამშვიდებლად. თავისი სამკაპით მას შეეძლო სამშვიდობოზე გამოეტანა თავთხელზე დარჩენილი თუ კლდეთა შორის გარჩენილი ხომალდები. ნაზღვაურალ გემებს კი უგზავნიდა სწრაფ დინებებს, რათა ნაპირებზე გაერიყათ. მის განრისხებას ერიდებოდნენ ღმერთებიც და ადამიანებიც. პოსეიდონი განაგებდა კუნძულებსაც, სანაპიროებსაც და ნავსადგომებსაც. თავისი სამკაპით მას შეეძლო მიწის გაპობა, ყურეთა და სრუტეთა შექმნა. მიწისძვრა მისი მრისხანების გამოვლინებად ითვლებოდა.

პოსეიდონის სახელთან მრავალი მითოსია დაკავშირებული: აპოლონთან ერთად მან ააგო ტროას გალავანი, ხოლო როდესაც ძუნწმა მეფე ლაომედონმა განარისხა, მის ქვეყანას მიუვლინა ურჩხული, რომელიც ***ჰერაკლემ*** მოკლა; პოსეიდონმა ათენასთან დავისას დათმო ატიკაზე მეუფების უფლება; იგი

დევნიდა ***ოდისევსს*** და შინ დაბრუნების ნებას არ რთავდა ***პოლიფემოსის*** დაბრმავების გამო. მითები მოგვითხრობენ აგრეთვე პოსეიდონის სატრფიალო თავგადასავლებს დემეტრესთან, ***მედუზასთან*** და ა.შ.

მთელი ბერძნული სამყარო თაყვანს სცემდა ამ ღვთაებას. ზღვისპირა ქალაქებში მას უშენებდნენ მდიდრულ ტაძრებს; კუნძულებსა და კონცხებზე, აგრეთვე სანაპირო მთებზე აღმართული იყო მისი ქანდაკებები და სალოცავები; პოსეიდონს მსხვერპლად სწირავდნენ თეთრ ცხენს ან დელფინს, უძღვნიდნენ სპორტულ ასპარეზობებს, რომელთაგან უდიდესი იყო კორინთოში დაწესებული ***ისთმოსური დღესასწაული***.

ზღვათა მბრძანებელს ხელოვანნი წარმოსახავდნენ ძლიერ, განიერმხრებიან მოხუცად, სახით ზევსის მსგავსს, ოღონდ უფრო მრისხანე მზერით, ხელში სამკაპით.

**პრაჯაპატი** – ინდ. „შემოქმედი მამა". სამყაროს შემქმნელი, რომელიც ოკეანეში მირიადი წლების განმავლობაში მოტივტივე ოქროს კვერცხიდან გამოიჩეკა. როცა მისი მოელინების დრო დადგა, მან შიგნიდან გამოტეხა კვერცხის ნაჭუჭი და გარეთ გამოვიდა, თუმცა გარე სამყარო არც კი არსებობდა, არ იყო არც მიწა, არც ცა და არც ის, რაც მათ შორისაა. ერთი წლის შემდეგ პრაჯაპატიმ ისწავლა ლაპარაკი და პირველი სიტყვა, რაც მან წარმოთქვა იყო ბჰუ, რაც ნიშნავს „მიწას", და გაჩნდა მიწა; მეორედ მისი წარმოთქმული სიტყვა იყო ბჰუვაჰ ანუ „ჰაერი", და გაჩნდა ჰაერი, მესამე წარმოთქმულ სიტყვაზე სვარ – „ცა" გაჩნდა ცა. ასე შექმნა პრაჯაპატიმ სამყაროს სამი სკნელი.

**პრიამოსი** – ბერძნ. ტროას უკანასკნელი მეფე; ***ლაომედონის*** უმცროსი ვაჟი; ***ჰექტორის***, ***პარისის***, დეიფობოსის, ***ტროილოსის***, კრეუსას, ლაოდიკეს, ***პოლიქსენეს***, ***კასანდრას*** და სხვათა მამა.

როდესაც შურისმაძიებელმა ***ჰერაკლემ*** ტროა დაარბია, ***ლაომედონიცა*** და მისი ვაჟებიც ერთიანად ამოხოცა. ცოცხალი დატოვა მხოლოდ დატყვევებული ***პოდარკესი***, რომელიც მამას დადებული პირობის აღსასრულებლად მოუწოდებდა. ჰერაკლემ თავის თანამებრძოლ ***ტელამონს*** უბოძა მეფის ასული ***ჰესიონე***, რომელსაც ნება დართო გამოესყიდა ტყვეთაგან ნებისმიერი. მან თავისი ძმა აირჩია. სწორედ მას შემდეგ შეარქვეს პოდარკესს პრიამოსი, რაც „გამოსყიდულს" ნიშნავს.

პრიამოსს რამდენიმე ცოლი ჰყავდა, რომელთაგან 50 ვაჟსა და კიდევ უფრო მეტ ქალიშვილს ითვლიდა. ისინი, დაქორწინებულნიცა და დაუქორწინებელნიც, ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ სამეფო სასახლეში.

როდესაც ***ტროას ომი*** დაიწყო, პრიამოსი უკვე ხანდაზმული იყო და ბრძოლებს ქალაქის გალავნიდან ადევნებდა თვალს. „ილიადას" ბოლო სიმღერაში აღწერილია მისი შესვლა ბერძენთა ბანაკში ***აქილევსის*** მიერ განგმირული ჰექტორის გამოსასყიდად.აი, როგორი სიტყვით მიმართავს იგი აქილევსს: „ღვთაებათა თანაზიარო, მსურს გაგახსენო მამაშენი, ჩემებრ მხცოვანი... ის შენით ხარობს, რადგან ცოცხალი ეგულები და შენი ხილვის იმედით სუნთქავს. მე კი, უბედურს, ორმოცდაათი ვაჟკაციდან არავინ შემრჩა, ყველა იმსხვერპლა ომმა, ჰექტორიც შენ განგმირე!.. მომირთმევია დიდძალი განძი, გთხოვ, დამიბრუნო მისი ცხედარი, ღირსეულად რომ დავკრძალო. ღმერთებს მიაგე პატივი და მეც შემიბრალე, თან მამაშენიც გაიხსენე. რას მოვესწარი! ხედავ, გიკოცნი ჩემი შვილების მკვლელს საძულველ ხელებს!" მხცოვანი მეფის ღრმა მწუხარებამ შეძრა აქილევსი და რისხვადამცხრალმა აღასრულა მისი წადილი.



*პრიამოსი. სკიფოსის ფერწერა (ძვ წ. 485-480 წ.წ.). ვენა. მხატვრულ-ისტორიული მუზეუმი.*

პრიამოსის გარდაცვალების ამბავს ეხვდებით ევრიპიდეს „ტროელ ქალებსა" და ვერგილიუსის „ენეიდაში": როდესაც ტროა იფერფლებოდა, პრიამოსმა ***ზევსის*** ტაძარს შეაფარა თავი. იქ კი იხილა თუ როგორ მოკლა ***ნეოპტოლემოსმა*** მისი ვაჟი, პოლიტოსი. პრიამოსმა შურისძიება სცადა, მაგრამ ნეოპტოლემოსმა უმოწყალოდ განგმირა მეფეც.

ანტიკურ ხელოვნებაში მოხუცი პრიამოსის მრავალი გამოსახულება არის აღბეჭდილი. ძველ სამყაროში მისი სახელი მრავალჭირნახული კაცის სიმბოლოდ იქცა.

**პრიაპოსი** – ბერძნ. ბაღთა და ველთა ღვთაება, არვეთა შემწე, მევენახეობის, მებაღეობისა და მეთევზეობის მფარველი. ***დიონისესა*** და ***ნიმფა ქიონეს*** ძე.

პრიაპოსი თავდაპირველად მცირეაზიული წარმოშობის ადგილობრივი ღვთაება უნდა ყოფილიყო. ჰომეროსთან და ძველ ავტორებთან იგი არ მოიხსენიება. მისი კულტი მოგვიანებით გავრცელდა მთელ საბერძნეთში; უფრო მეტი პოპულარობით პრიაპოსი რომში სარგებლობდა, სადაც ნაყოფიერების ღვთაებათა წრეში დაიმკვიდრა ადგილი. თანდათანობით იგი იქცა ავხორცულ სიამეთა ღმერთად. მისი სახელი იშვიათად გვხვდება მითებში, ისიც გამასხრებულად: ერთხელ ***კიბელემ***, ღვთაებათა დიადმა დედამ, თავის დღესასწაულზე მიიწვია ღმერთები, ***ნიმფები*** და ***სატირები***. სტუმრები უგონოდ დათვრნენ. ზოგი ***იდას*** მთის ფერდობისაკენ წაბორიალდა, ზოგი მდელოზე ნებივრობდა, ზოგიც ცეკვავდა. იქვე ***ჰესტიამაც*** მიაგნო მყუდრო ადგილს და ძილს მიეცა. ბაღთა მფარველი პრიაპოსი კი ამ დროს ქალღმერთებს და ***ნიმფებს*** დასდევდა. მან თვალი ჰკიდა ხეთა ჩრდილში მიძინებულ მშვენიერ ქალწულს, ვერ იცნო, ნიმფა ეგონა, მიეპარა და ალერსი მოუწადინა. უცბად მოხუცი ***სილენოსის*** მიერ მიტოვებულმა ვირმა ხმამაღლა დაიყროყინა. შეშინებულ ჰესტიას გამოეღვიძა. ნირწამხდარი პრიაპოსი კი სასწრაფოდ გაუჩინარდა.

ამ მითოსს იგავური ხასიათი უნდა ჰქონოდა. ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება მათთვის, ვინც ულირსად მოექცეოდა კერიის მფარველ ღვთაებას, ჰესტიას. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ უმეცრების განმასახიერებელი ცხოველი, ვირი, აშინებს პრიაპოსს.

პრიაპოსს გამოსახავდნენ გრძელი სამოსით ტანშებურულ წვერებიან კაცად, სიუხვის რქითა და მცენარეული ნაყოფებით (ზოგჯერ ორმაგი ფლეიტით, ჩირაღდნითა და ნილბით)აღჭურვილს. ასეთი ხისა და ქვის ქანდაკებები იდგა რომაულ ბაღებსა და ზვრებში.

არსებობს გამოთქმა: „პრიაპოსული ქმნილება", რაც ფრივოლურ, უხამს ნაწარმოებს ნიშნავს.

**პროზერპინა** – რომ. მიწისქვეშა სამყაროს ღვთაება, რომელსაც ლიბერასთან (იხ. ***ლიბერი***) აიგივებდნენ. მოგვიანებით, როდესაც რომში გავრცელდა ***პერსეფონეს*** კულ-

ტი, მას პროზერპინა მიუსადაგეს. რომაელმა მწერლებმა პერსეფონესთან დაკავშირებული ყველა მითოსი უცვლელად გადმოიტანეს, ოღონდ სახელი შეუცვალეს ბერძენ ქალღმერთს და მას პროზერპინა უწოდეს. ევროპულ ხელოვნებასა და მწერლობაშიც უფრო ხშირად ეხვდებით პროზერპინას სახელს (გოეთეს დრამა „პროზერპინა"; შელის პოემა „პროზერპინას სიმღერა"; პუშკინის ლექსი „პროზერპინა" და სხვა).

**პროიტოსი** – ბერძ. ტირინსის მეფე; *აბასის* ძე, *აკრისიოსის* ტყუპისცალი; *პროიტიდების* მამა.

ტირინსი მდებარეობდა არგოლისში, რომლის მეფე აბასსაც ტყუპი ვაჟი – აკრისიოსი და პროიტოსი ჰყავდა (იხ. *დანაე*). როდესაც აბასი გარდაიცვალა, ძმებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაინაწილეს სამეფო. ასე ამბობენ, ამ ომის დროს გამოიგონესო პირველად ფარი. პროიტოსს მიაწერენ აგრეთვე ქალაქის გარშემო ე.წ. „კიკლოპური გალავნის" აგებას. შესაძლოა, აკრისიოსისა და პროიტოსის მითოსმა შემოგვინახა კრეტა-მიკენის ეპოქის მეფეთა ბრძოლის ისტორიული ამბები.

ჰომეროსის პოემებში პროიტოსი *ბელეროფონის* მითოსთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება მის ქალიშვილებს, პროიტიდებს, ისინი *მელამპუსის* ლეგენდის პერსონაჟებად გვევლინებიან.

**პროკნე** – ბერძ. *პანდიონისა* და *ძევქსიპეს* ასული; *ფილომელას* და; თრაკიის მეფის, ტერევსის მეუღლე და იტისის დედა.

ფოკისში პროკნესთან დასახლდა მისი და ფილომელა, რომელიც შეურაცხყო ტერევსმა. თავისი დანაშაული რომ დაემალა, მეფემ ფილომელას ენა ამოგლიჯა. მაგრამ ფილომელამ სამოსზე ამოქარგა ის, რაც შეემთხვა და ასე განაცხადა ტერევსის საშინელი ძალადობის ამბავი.როდესაც ქმრის ბოროტმოქმედებაში დარწმუნდა პროკნე, მოკლა თავისი ძე, იტისი და მისი ხორცი შეაჭამა ტერევსს, სიმართლეც თავად გაუმხილა. გონება წაერთვა მეფეს, დებს დაედევნა, სურდა მოეკლა, მაგრამ ზევსმა ისინი ფრთოსნებად გარდასახა: პროკნე-ბულბულად, ფილომელა-მერცხლად, ტერევსი-ოფოფად.

პროკნეს მითოსი ეტიოლოგიურ (განმარტებითი ხასიათის) თქმულებათა რიცხვს განეკუთვნება. ბულბულის სევდიანი გალობა ხალხურმა ფანტაზიამ იმ დედის მოთქმად წარმოიდგინა, რომელმაც შვილი მოკლა და იტანჯება ჩადენილი საშინელებით. მერცხლის ჭიკჭიკი უენო ქალის გაურკვეველ ბგერებად აღიქვა, ხოლო ოფოფის ქოჩორი თრაკიულ ვარცხნილობას მიამსგავსა. აი, ასეთი ახსნაც დაეძებნება ამ შემზარავ ამბავს. თუმცა, მეცნიერები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ პროკნეს მითოსმა შემოინახა ელემენტები ოდესღაც არსებული კანიბალიზმისა (შდრ. *ტანტალოსის* და *პელოფსის*, *ატრევსისა* და *თიესტესის* ამბები).

პროკნეს მითოსზე შეუქმნია ტრაგედია სოფოკლეს სახელწოდებით „ტერევსის სუფრა", რომელმაც ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია; ოვიდიუსის „მეტამორფოზებში" კი იგი მთელი თავისი საშინელებით არის წარმოდგენილი.

**პროკრუსტეს საწოლი** – ბერძ. ავაზაკ პროკრუსტესს (პროკრუსტეს) ჰქონდა ერთი საწოლი, რომელზეც აწვენდა ხოლმე შეპყრობილ მგზავრებს. თუ ისინი მოკლეები აღმოჩნდებოდნენ, ავაზაკი მათ ჭიმავდა, გრძელებს – ზედმეტ ნაწილს აჭრიდა. მანიით შეპყრობილი ეს ყაჩაღი მოკლა *თესევსმა*.

„პროკრუსტეს საწოლი" ფრთიან გამოთქმად იქცა და იმ ხელოვნურ ჩარჩოს გულისხმობს, რომელშიც მოუთავსებელთა ჩატევა სურთ.

**პროკრუსტესი** – (პროკრუსტე) ბერძ. „გამჭიმავი". ასე შეარქვეს ავაზაკ დამასტესს, რომელიც მგზავრებს ჩაუსაფრდებოდა ხოლმე მეგარადან ათენისაკენ მიმავალ გზაზე. იგი მოკლა *თესევსმა* მდინარე კეფისოსის ნაპირებთან (იხ. *პროკრუსტეს საწოლი*).

**პრომეთე** – (პრომეთევსი). ბერძ. „წინასწარმჭვრეტი".

*იაპეტოსისა* და ასიას (ვერსიები: კლიმენეს, *თემისის*) ვაჟი; *ატლასის*, *ეპიმეთევსისა* და მენოიტოსის ძმა; *დევკალიონის* მამა.

ძველი მითები არაფერს გვამცნობენ პრომეთეს დაბადებასა და სიყმაწვილეზე. მითოსურ სივრცეში იგი მაშინ გამოჩნდება, როდესაც *ზევსი ტიტანებს* შეებრძოლება. მართალია, პრომეთეც ტიტანი იყო, მაგრამ, როგორც ბრძენმა ღვთაებამ, წინასწარ განჭვრიტა, რომ ახალი თაობის ღმერთები გაიმარჯვებდნენ. მან სცადა ტიტანთა გადმობირება, მაგრამ ვერაფერს გახდა და მათგან განრიდებული ზევსის თანამზრახველი გახდა.

როდესაც ზევსი *ოლიმპოსზე* აღზევდა, ადამიანთა შექმნა დაავალა პრომეთეს. ძველი ბერძნული მითების დიდი ნაწილი აღიარებს, რომ ტიტანმა ადამიანები ცრემლს შერეული თიხით გამოძერწა. თავდაპირველად ისინი იყვნენ შიშველნი და სუსტნი. მხოლოდ თავისი გარეგნობით, მათ გარემომცველ ქმნილებებს რომ არ მოჰგავდნენ, ემსგავსებოდნენ ეს ადამიანები ღმერთებს. როგორც მთვლემარე აჩრდილები, ისე დაეხეტებოდნენ ისინი დედამიწაზე. ამის მხილველმა პრომეთემ მოიპარა ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკალი და დედამიწაზე ჩამოიტანა. ადამიანთა საცხოვრებელში კერიის ცეცხლი აენთო. ბრძენმა ტიტანმა თავის ქმნილებებს მრავალი რამ ასწავლა. მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ მისცა ცეცხლი-ყველა სიკეთის საფუძველი და ამით პირველყოფილი მოდგმა განაკაცა.

ეს არ მოეწონა ზევსს და ტიტანის დასჯა განიზრახა. იხმო *ჰეფესტო* და უბრძანა, გასაოცარი მშვენიერებით შემკული ქალი შეექმნა. მისთვის ჩვეული ოსტატობით აღასრულა მჭედელმა ღმერთმა ეს ბრძანება. ქალს *პანდორა* დაარქვეს, მზითვად თიხის ყუთი გაატანეს და დედამიწაზე დასვეს. იგი ეპიმეთევსმა შეირთო ცოლად. მაშინ დაიწყო ადამიანთა უბედურებები, როდესაც ცნობისმოყვარე ქალმა ყუთს სარქველი ახადა, რადგანაც იქიდან ამოფრინდნენ მწუხარებები, საზრუნავები, ავადმყოფობები და სიღარიბე. როდესაც შეშინებულმა პანდორამ ყუთი დახურა, იქ მხოლოდ იმედი ჩარჩა.

შეწუხდა პრომეთე, განიზრახა სამაგიერო მიეზღო ზევსისთვის. ერთხელ, როდესაც ღმერთების პატივსაცემად დიდი ლხინი მზადდებოდა, პრომეთემ დაკლული ხარი აქნა და ორ ნაწილად გაყო: კარგი ნაჭრები ერთად დადო და ზედ კუჭი გადააფარა, ძვლები კი ცალკე გადააწყო და ქონში გაახვია. შემდეგ ზევსს ასეთი სიტყვებით მიმართა: „რასაც აირჩევ, ამიერიდან ის ღმერთებისათვის განკუთვნილი ძღვენი იქნება". ზევსმა ქონიანი ნაწილი ისურვა, რადგან ეგონა, რომ მის ქვეშ ხორცი იმალებოდა. მაგრამ მოტყუედა. ხოლო მას შემდეგ ასე დაწესდა: ადამიანებს ღმერთებისათვის სამსხვერპლოდ უნდა შეეწირათ ცხოველის მხოლოდ საჭმელად უვარგისი ნაწილები.

განრისხდა ზევსი და ამჯერად უსასტიკესად დასაჯა პრომეთე. მისი ბრძანებით ტიტანი კავკასიონის ქედს მიაჯაჭვეს. აქ ყოველ დილით მოფრინავდა მშიერი არწივი, რათა ეკორტნა მისი ღვიძლი, რომელიც ღამით კვლავ მთელდებოდა. მრავალი ათასი წლის შემდეგ პრომეთეს გაათავისუფლებს საბერძნეთის უდიდესი გმირი *ჰერაკლე*.

სიმბოლურად პრომეთეს სასჯელი გულისხმობს იმას, რომ ღმერთი უნდა იყოს მის მიერვე შექმნილ ადამიანთა ბედის თანაზიარი. პრომეთე იძირება სიცოცხლისა და სიკვდილის ორომტრიალში.იგი იტანჯება იმიტომ, რომ შეიყვარა ადამიანები. მან შეასწავლა ამ

უსუსურ არსებებს სახლებისა და ტაძრების აგება, ხელოსნობა თუ ხელოვნება. პრომეთემ აზიარა ისინი მეცნიერებას, ასწავლა წერა, შემოქმედებითი აზროვნება; აღმოაჩენინა ძვირფასი მეტალები; შთაბერა მისნობის ნიჭი. მან გააღვიძა ადამიანებში მედგარი სული და სამყაროში ბატონობის ძალა უბოძა.

პრომეთე ერთ–ერთ უძველეს კულტურულ გმირად ითვლება. იგი ხომ ადამიანთა მოდგმის შემოქმედია. ადამიანის შექმნის მითს მიწისა და წყლისაგან საინტერესო პარალელები დაეძებნება აღმოსავლურ და საერთოდ, მსოფლიო მითოლოგიაში. მითები გმირებზე, რომლებიც ცეცხლს იტაცებენ, ფართოდ არის ცნობილი. ეს გადმოცემები ეფუძნებიან წარმოდგენებს იმის თაობაზე, რომ თავდაპირველად ადამიანები იყენებდნენ მეხისგან გაჩენილ ცეცხლს. შესაბამისად, ისინი ცეცხლს ზეცის კუთვნილებად მიიჩნევდნენ. აქედან გამომდინარე, ეთიკურ დონეზე პრომეთეს დასჯა „ღვთაებრივი სასჯელის“ ნიმუშია: მან ადამიანებს აჩუქა ის, რაც ღმერთების კუთვნილებას წარმოადგენდა.

მითოსი მიჯაჭვულ გმირზე ცნობილია ქართულ გადმოცემებშიც. მას ამირანად მოიხსენიებენ. მეცნიერები ცდილობენ მის დაკავშირებას პრომეთესთან და გამოყოფენ მითთა მსგავსების რამდენიმე ასპექტს (1. ცეცხლის მოტაცება; 2. დაპირისპირება უზენაეს ღვთაებასთან; 3. ურთიერთობა მჭედელთან; 4. კავკასიონის ქედზე მიჯაჭვა).

თქმულების მიხედვით, ამირანი უპირისპირდება იესო ქრისტეს, პრომეთე – ზევსს.როგორც ჩანს, ქრისტეს ჩართვა მითოსში გვიანდელი მოვლენაა. თქმულების თავდაპირველ ბირთვში ამირანი ებრძოდა წარმართული ხანის უზენაეს ღვთაებას, რომლის სახეც თანდათანობით დაიკარგა. იგი მოგვიანებით იესო ქრისტეთი შეიცვალა.

ორივე თქმულებაში გმირებს აჯაჭვავენ კავკასიონის ქედზე. კლდე, პალო, ცხოვრების ხე – ერთი სინონიმური მწკრივის სახეებია და უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდება.

მეცნიერთა მიერ კიდევ რამდენიმე ტიპოლოგიური მსგავსებაა შენიშნული პრომეთე – ამირანის მითში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამირანის მითოსი ასევე დიდ მსგავსებას ავლენს არა მარტო პრომეთესთან, არამედ გილგამეშთანაც. მეცნიერები იკვლევენ იმას, თუ რომელი გმირის სახე–სიმბოლოა უძველესი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლოა, თავს იჩენდეს არა მარტო ტიპოლოგიური მსგავსება, არამედ სესხებაც: მითოსური სახის ერთი გარემოდან მეორეში გადატანა. შედარებით გავრცელებული აზრის თანახმად, პრომეთე და ამირანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი სახეებია. მათი შედარება–დაპირისპირებისას მხოლოდ ტიპოლოგიურ მსგავსებებზე შეიძლება საუბარი.

ბერძნულ მითოლოგიაში პრომეთე შემოქმე-



*პრომეთე. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 550 წ.), რომი, ვატიკანის მუზეუმი.*

*ლეგენდა პრომეთეზე. პ. კოზიმოს ნახატი (დაახ. 1500 წ.), სტრასბურგის მუზეუმი.*



*მიჯაჭვული პრომეთე. ი. იორდანსის ნახატი (1618-1620 წ.წ.), კიოლნი, ვალრაფ–რიხარცის მუზეუმი.*



დებითი ძალისა და პროგრესის სიმბოლოდ იქცა. ამ სახით შემოეიდა იგი თანამედროვე სამყაროშიც. პრომეთეს სახემ მწერალთა, დრამატურგთა, პოეტთა, მხატვართა თუ მოქანდაკეთა ყურადღება მიიპყრო. დიდმა ბერძენმა დრამატურგმა ესქილემ მას რამდენიმე ნაწარმოები უძღვნა. მათგან ჩვენამდე მოაღწია ერთად-ერთმა ტრაგედიამ სახელწოდებით „მიჯაჭვული პრომეთე“. ცნობილია კალდერონის, ვოლტერის, გოეთეს, ჰერდერის, შელის, ბაირონისა და სხვათა პოეტური ქმნილებები; ბეთჰოვენის, სკრიაბინის, ლისტის მუსიკალური ნაწარმოებები. პრომეთეს სახე აღიბეჭდა ბერძნულ ლარნაკებზე, პომპეის ფრესკებზე, ეტრუსკულ სარკეებზე, ტიციანის, რუბენსის, იორდანსისა და სხვათა ტილოებზე.

გამოთქმა „პრომეთეს ცეცხლი“ დიადი იდეალებისაკენ სწრაფვას, სიკეთის ზეიმს გულისხმობს.

**პრომეთიები** – (პრომეთეა) ბერძ. *პრომეთეს* პატივსადები ზეიმი, რომელიც იმართებოდა ათენში და მისი მთავარი მოვლენა იყო ანთებული ჩირაღდნებით სრბოლა.

**პროტევსი** – ბერძ. *პოსეიდონის* დასის ზღვის ღვთაება; მოხუცი, რომელსაც შეეძლო სხვადასხვა სახის მიღება.

პროტევსი განაგებდა ეგვიპტის მახლობლად მდებარე კუნძულ ფაროსს, სადაც პოსეიდონისეულ სელაპებს მწყემსდა. მისი მეუღლე იყო ზღვის ქვიშის ქალღმერთი *ფსამათე*. პროტევსს წყლის სტიქიის სხვა ღვთაებათა მსგავსად წინასწარმეტყველების უნარიც გააჩნდა. „ოდისეაში“ მოთხრობილია *მენელაოსის* შინ დაბრუნების ამბავი. ტროადან მომავალი მიკენის მეფე ეგვიპტეში მოხვდა და ქარების გამო ვერ აგრძელებდა გზას. მას მეფის ასულმა გაუწია დახმარება: ასწავლა, თუ როგორ ემოქმედა პროტევსის წინაშე, რათა მისგან მიეღო რჩევა. მენელაოსმა დაიჭირა მიძინებული პროტევსი და მიუხედავად იმისა, რომ იგი ლომად, დრაკონად, ჯიქად, წყლად და ხედ გარდაისახა, მანამ არ გაუშვა ხელი, ვიდრე საწადელს არ მიაღწია. პროტევსმა მენელაოსს შინ დასაბრუნებელი გზაც მიასწავლა და ტროას ლაშქრობის მონაწილეთა ბედიც ამცნო.

კლასიკურ ეპოქაში ბერძნებს მიაჩნდათ, რომ პროტევსი ძველი ეგვიპტის მეფე იყო.

თანამედროვე მეტყველებაში სიტყვა „პროტევსი“ მრავალსახეობის აღმნიშვნელია.

**პროტესილაოსი** – ბერძ. თესალიური მოდგმის ხალხთა მეფე; *იფიკლესის* ძე, ლაოდამიას მეუღლე.

პროტესილაოსი ბერძნებთან ერთად გაეშურა *ტროას ომში*. იყო წინათქმა: აქაველთაგან ვინც პირველი დაადგამდა ფეხს ტროელთა მიწას, ის მოკვდებოდა. მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, პროტესილაოსი პირველი გადმოხტა ხომალდიდან ზღვის ნაპირზე და წამისუმალ გამოესალმა სიცოცხლეს *ჰექტორის* ისრით.

ლაოდამიამ ღმერთებს სთხოვა, მცირე ხნით დაებრუნებინათ მისი მეუღლე მიწისქვეშა სამყაროდან მზის სინათლეზე. ღმერთებმა შეისმინეს მისი ვედრება. ხოლო როდესაც პროტესილაოსს ამ ქვეყნის დატოვების დრომ მოუწია, მას ქვესკნელში ჩაჰყვა ლაოდამიაც.

პროტესილაოსის მითოსი გამოიყენა ლუკიანოსმა თავის ქმნილებაში, რომელსაც ეწოდება „საუბრები მიწისქვეშეთში“.

**პროფანუსი** – რომ. ის, ვინც არ არის მისტერიას ზიარებული ან ვინც არ მონაწილეობს ღვთისმსახურებაში.

გადატანითი მნიშვნელობით პროფანს უმეცარ ადამიანზე იტყვიან.

**პუდიკიტია** – (პუდიციცია, პუდიციტია) რომ. ქალღმერთი, რომელიც კეთილგონიერებასა და ცოლ-ქმრულ ერთგულებას განასახიერებდა რომაულ მითოლოგიაში. ვარაუდობდნენ, რომ მისი კულტი პატრიარქატის ეპოქაში წარმოიშვა. რომში არსებობდა ამ ღვთაების სახელობის ტაძრები

**პულომა** – ინდ. ბრძენი ბჰრიგუს სათნო მეუღლე. ერთ დროს პულომას მამა შეჰპირდა პულომანს, დემონიურ არსებას, რომ თავის ასულს მიათხოვებდა. მაგრამ ბჰრიგუმ მოიტაცა პულომა მამის სახლიდან, ვიდრე პულომანი მის წასაყვანად მივიდოდა. ცოლ-ქმარი ტყეში განმარტოებით დასახლდა, სადაც ბჰრიგუ ასკეტურ და მჭვრეტელობით ცხოვრებას ეწეოდა. ერთ დილას, როცა ბჰრიგუ მდინარეზე განსაბანად იყო წასული, ხოლო მისი ფეხმძიმე ცოლი ქოხში ელოდებოდა მას, ტყეში მოხეტიალე პულომანი წააწყდა მათ განმარტოებულ ქოხს და შიგ შეეიდა. პულომამ კეთილად მიიღო სტუმარი, ტყის ხილით და კენკრით გაუმასპინძლდა. პულომანს მაშინვე გულში ჩაუვარდა მშვენიერი მასპინძელი. იგი დაეკითხა ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს: „*აგნი*, მითხარი, არ დამიმალო. ეს ქალი ის ქალწული ხომ არ არის, ბჰრიგუმ რომ აღმითქვა. ცოლად მოგათხოვებო? ბჰრიგუმ მუხანათურად წამართვა იგი. მე დავიბრუნებ მას, თუ მეტყვი, რომ ეს ის არის“. აგნიმ მიუგო, ტყუილის თქმისა მეშინია, მაგრამ ბრძენი ბჰრიგუს რისხვასაც ვერიდებიო. ეს რომ მოისმინა, პულომანი მყისვე ტახად გადაიქცა და გაიტაცა პულომა. ქარის უსწრაფესად მიქროდა პულომანი ტყეში თავის მსხვერპლთან ერთად. შეშინებულ პულომას ბავშვი უდროოდ დაებადა. საშოდან გადმოუვარდა და ამიტომაც დაერქვა *ჩავანა* – „გადმოგდებული“. ახალდაბადებული ისეთ ელვარებას აფრქვევდა, რომ დემონმა ვერ გაუძლო და ფერფლად იქცა. ბჰრიგუმ მიაგნო მის კვალს და სახლში წამოიყვანა. ქალის ნაამბობი რომ მოისმინა, თუ როგორ გაუმხილა აგნიმ მომტაცებელს პულომას ვინაობა, განრისხებულმა დაწყევლა ცეცხლი: „დაე, ყოვლის მშთანთქმელი იყავ!“ .

**პურუშა** – ინდ. „ადამიანი“, დასაბამიერი, პირველქმნილი ათასთავა, ათასთვალა, ათასფეხა ადამიანი, რომელიც ღმერთებმა დააბეს როგორც სამსხვერპლო პირუტყვი და მსხვერპლად დაკლეს, რათა მისი ნაწილებისგან სამყარო შეექმნათ. მისი ბაგეებისგან მათ ბრაჰმანები – ქურუმები შექმნეს, რადგან მათთვის, როგორც მგალობელთა და შემლოცველთათვის, მთავარია ბაგეები; ხელებისგან – მეფეები, რადგან ხელი ძალაუფლების ნიშანია, თეძოებისგან – ქშატრიები ანუ მეომრები, ამიტომაც მათ თეძოზე სულ მუდამ იარაღი აქვთ მიბჯენილი, ფეხებისგან – შუდრები ანუ უბრალო ხალხი, ისინი ხომ, როგორც მსახურნი, მუდამ ფეხზე დგანან ან მიმოდიან. პურუშას გონებისგან მთვარე წარმოიშვა, თვალისგან – მზე, პირისგან – *ინდრა* და *აგნი*, სუნთქვისგან – ქარი, თავიდან ცა წარმოიშვა, ჭიპისგან – ჰაერის სივრცე, ყურებისგან ქვეყნის ოთხი კუთხე შეიქმნა, ტერფები კი მიწად გარდაიქმნა.

# რ

**რადამანთისი** – ბერძ. ***ზევსისა*** და ***ევროპეს*** ძე; ***მინოსისა*** და ***სარპედონის*** ძმა.

რადამანთისი დაიბადა კრეტაზე, სადაც გამოცურა ხარად გარდასახულმა ზევსმა, როდესაც ევროპე მოიტაცა. ევროპემ ზევსისგან სამი ვაჟი შვა: მინოსი, რადამანთისი და სარპედონი. კრეტის მეფე ასტერიონმა იქორწინა ევროპეზე და მისი ვაჟები იშვილა. როდესაც რადამანთისი წამოიზარდა, კრეტელებს კანონები დაუწესა. შემდეგ გადასახლდა ბეოტიაში, სადაც ცოლად შეირთო ***ალკმენე***, ***ამფიტრიონის*** ქვრივი. რადამანთისი ადამიანთა შორის რჩეული იყო თავისი სამართლიანობით. ამიტომ გარდაცვალების შემდეგ მიწისქვეშა სამყაროს მსაჯული გახდა მინოსთან და ***ეაკოსთან*** ერთად.



მზე – რაე გადადის დღის ნავიდან ღამის ნავში

**რაე** – ეგვ. მზის ღმერთი, რომელიც სამყაროს შემქმნელად ითვლება: „მან შექმნა ცა და მიწა ადამიანებისთვის. მან მოაშორა წყლებს ნიანგები. მან შექმნა ჰაერი მათი ნესტოებისთვის. ადამიანები მისი ხატები არიან, მისი სხეულიდან გამოსულნი. ის მათი გულისთვის ამოდის ცაზე. მან შექმნა მცენარეულობა და ცხოველები, ფრინველები და თევზები ადამიანთა გამოსაკვებად. მან მოსპო თავისი მტრები და დასაჯა ადამიანები, როცა მათ ჯანყი წაიფიქრეს. მან შექმნა მათთვის ნათელი და ცურავს ცაზე, რათა მათ ხედვა შეძლონ". რაეს მტრები არიან წყვდიადი, წყლის სტიქია, გიგანტური ნიანგი მაგა, რომელიც მან მოკლა ჰელიოპოლისში, გიგანტური გველი ***აპოფი***. რაეს მთავარი თავგადასავალი ქვესკნელში მოგზაურობაა, როდესაც ის სტოვებს ცის კაბადონს. ეს ყოველ საღამოს ხდება: რაე გაივლის დღის სავალს ცაზე თავისი ნავით, მიაღწევს დასავლეთის მთებს აბიდოსთან (ქალაქია ეგვიპტეში), სადაც ეგვიპტელთა წარმოდგენით ქვესკნელში, მკვდართა სამეფოში, იყო შესასვლელი. ამ დროს, როცა მზე ასრულებს თავის ყოველდღიურ მოგზაურობას ცარგვალზე, მას ***ათუმი*** ეწოდება. ათუმის სახელით ის ჩადის ქვედა სამყაროში, რომლის კარიბჭესთან მას ეგებებიან პავიანები, ესალმებიან და სამადლობელ ჰიმნს უმღერიან: „შენ შექმენი პავიანები და ისინი გიგალობენ შენ. ისინი როკავენ შენს წინაშე, ხოტბას შეგასხამენ..." ამის შემდეგ რაე დღის ნავიდან ღამის ნავში გადაინაცვლებს და მიწისქვეშა ***ნილოსის*** დინებას დაუყვება. მას წინ ელის ვიწრო ხეობაში ჩადგმული თორმეტი კარიბჭე. თითოეულ მათგანს თითო ცეცხლისმფრქვეველი გველი იცავს. ქვესკნელის ნილოსზე ცურვისას მკვდრები ამოდიან თავიანთი სამარხებიდან და ესალმებიან რაეს. ქვესკნელის მკვიდრნი, „დასავლელნიც" თაყვანს სცემენ მას, რადგან ნათელი მათთვის – ქვესკნელის დიდი ღმერთებისთვის, ***ოსირისისთვის*** და უბრალო მოკვდავთათვისაც მოაქვს. ისინი ჭვრეტენ მის სახეს და გული სიხარულით ევსებათ. ჩაივლის რაე და კვლავ ბნელი ფარ-



რადამანთისი. კრატერის ფრაგმენტი (ძვ.წ. IV ს. ბოლო წლები). ნეაპოლი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.



რაე შევარდენის გამოსახულებით (დაახ. ძვ.წ. 1100 წ.), ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.



რაე, სტელა (დაახ. ძვ.წ. 1100 წ.), პარიზი, ლუვრი.

ავს მათ და ყველანი თავ-თავიანთ სამარხებს უბრუნდებიან. ეს შუაღამემდე ხდება.

ნაშუაღამევს იწყება ბრძოლა უზარმაზარ გველეშაპთან, **აფოფთან**, რომელიც მდინარის კალაპოტივით არის დაკლაკნილი. რას აკეთებს აფოფი? იგი შთანთქავს ქვემოური ნილოსის წყალს, რათა რაემ ვეღარ შეძლოს ნავით ცურვა, ვერ მიაღწიოს იმ ადგილამდე, საიდანაც მოგზაურობის შემდეგ კვლავ უნდა ამოიჳდეს ცაზე ქვეყნის გასანათებლად. რაე ებრძვის აფოფს და ამ ბრძოლაში მას დამხმარედ სხვა გველი ჰყავს – მეხენი და, მასთან ერთად, ქვესკნელის ღმერთები. ისინი ამარცხებენ წყლის შთანმთქმელ გველეშაპს, მახვილით კვეთენ მის ყოველ კლაკნილს და უკან ამოანთხევინებენ ნილოსის წყალს. აფოფზე გამარჯვების შემდეგ გრძელდება ცურვა, მის ნავს გარს უვლიან მისი თანამდგომი ღმერთები და მისი გამარჯვების სადიდებელ ჰიმნს უმღერიან:

*ძლიერია რაე, უძლურია მტრები!*
*მაღალია რაე, დაბლებია მტრები!*
*ცოცხალია რაე, დახოცილია მტრები!*
*დიდია რაე, პატარებია მტრები!*
*მაძღარია რაე, მშივრებია მტრები!*
*ამაღლდა რაე, დაეცნენ მტრები!*
*კეთილია რაე, ბოროტია მტრები!*
*ძლიერია რაე, უძლურია მტრები!*
*არის რაე, აღარა ხარ, აფოფ!*

ქვესკნელის უკანასკნელ გზაზე რაე გაივლის 1300 წრთის სიგრძის გველეშაპის სხეულში, რომლის ბოლოდან, აღმოსავლეთის მთების გასასვლელით, კვლავ ცაზე უნდა ამოვიდეს. ამ დროს ის გადაჯდება დღის ნავზე და მეწამული სამოსელით იმოსება. ამგვარად შემოსილი იწყებს რაე ნავით მოგზაურობას ცაზე, ციურ ნილოსზე... ის კვლავ გადაცურავს ცის კაბადონს და ასე ყოველ ღამით მეორდება ეს ამბავი.

სხვა მითოსის მიხედვით, ცის ქალღმერთი **ნუთი** ყოველ საღამოს ყლაპავს რაეს და დილით კვლავ შობს; რაე **ნუნისგან** წარმოშობილ ბორცვზე აღმოცენებული ლოტოსის ყვავილიდან მოევლინება ქვეყანას. კიდევ სხვა მითოსით, რაე ოქროს ხბოს სახით იბადება ცა-ფურისგან.

**რავანა** – ინდ. ***რაქშასების***, დემონიურ არსებათა, მბრძანებელი. ადრინდელი




რავანა ასკეტის შესამოსელში სიტას კარის წინ (ახ. წ. V ს.), ინდოეთის არქეოლოგიური სამსახური, ნიუ-დელი.

ძველი საქმეებისთვის *ბრაჰმამ*ას ისეთი ძალა მიანიჭა, რომ ღმერთებსაც კი არ შეეძლოთ მისი ძლევა. მაგრამ ბოლოს გამაყდა და ბოროტად იყენებდა ძალას: უპატიოდ ექცეოდა ღმერთებს, შეურაცხყოფდა განდეგილებს და ღმერთების სათნო ადამიანებს, აშინებდა ყველას. მაშინ ღმერთებმა შესჩივლეს ბრაჰმას, რომ დაეცვა რავანას ძალმომრეობისგან. ბრაჰმამ *ვიშნუს* დაავალა დაბადებულიყო, რადგან მხოლოდ კაცებრივ არსებას შეეძლო რავანას მოკვლა. ასე იმიტომ მოხდა, რომ როცა რავანა ბრაჰმას სთხოვდა უძლეველობას, მის სავარაუდო მეტოქეთა შორის მას ადამიანის ხსენება დაავიწყდა.

**რამა** – ინდ. *ვიშნუს* ერთ-ერთი *ავატარი*, რომელიც დაიბადა აიოდჰიას ქვეყნის მეფის, დაშარადჰას უეროს ძედ, რათა დაემარცხებინა თავგასული *რავანა*, *რაქშასების* ბელადი, რომლის ძლევა მხოლოდ მოკვდავს შეეძლო. მეფე სამეფოდ ამზადებდა რამას, მაგრამ მეორე ცოლმა, ისარგებლა იმით, რომ ერთხელ მეფემ მას ნებისმიერი სურვილის შესრულება აღუთქვა, თავისი ძისთვის, ბჰარატასთვის გამოსთხოვა ტახტი. მაშინ კეთილშობილმა რამამ თავის ცოლთან სიტასთან ერთად დასტოვა სამეფო და ნებაყოფლობით გადასახლდა დანდაკას ტყეში, სადაც თოთხმეტი წელი უნდა გაეტარებინათ. თოთხმეტი წელი არ იყო გასული, რომ გარდაიცვალა მეფე დაშარადჰა და უკანონოდ გამეფებულმა ბჰარატამ გადაწყვიტა მოეძებნა რამა, რომ ტახტი დაეთმო მისთვის. მან იპოვა რამა, მაგრამ რამამ არ ისურვა ვადაზე ადრე დაბრუნება. რა გაეწყობოდა: უმცროსმა ძმამ უხალისოდ განაგრძო მეფობა, თუმცა თავი არ ეღირსებოდა სამეფოდ. სამეფო ტახტთან სულ მუდამ რამას წაღები ეწყო იმის ნიშნად, რომ ტახტი კანონიერ მეფეს ელოდა. ამასობაში რამას უნდა შეესრულებინა თავისი მისია. ეს დღეც დადგა.

დანდაკას ტყეში, მდინარე გოდავარის ნაპირას მან დაამარცხა რაქშასები, რომლებიც ხელს უშლიდნენ განდეგილებს მსხვერპლშეწირვაში. ახლა ჯერი მათ მეფეზე, რავანაზე მიდგა. რავანამ შურისძიების მიზნით რამას ცოლი, სიტა, მოსტაცა. ეს ამბავი რამამ არწივისგან გაიგო, რომელიც შეესწრო ამ შემთხვევას. რამა ძმასთან ერთად, რომელიც მის დევნილებას იზიარებდა, გაემართა სიტას საძებრად და გამოსახსნელად. ლანკას კუნძულისკენ მიმავალთ თავისი სამეფოდან ძმის მიერ განდევნილი მაიმუნების მეფე სუგრივა შეხვდათ. მათ ერთმანეთს დახმარება შესთავაზეს: რამამ სუგრივას ტახტის დაბრუნება აღუთქვა, სუგრივამ კი – სიტას გამოხსნა ტყვეობიდან. სუგრივამ, როცა ბალის გაუსწორდა და ტახტი დაიბრუნა, მაიმუნთა ოთხი რაზმი გაგზავნა ქვეყნის ოთხივე კუთხისკენ რავანას ასავალ-დასავლის მისაგნებად. მეოთხე რაზმმა, რომელსაც ქარის ღმერთის ვაიუს შვილი ხანუმანი სარდლობდა, კუნძულ ლანკაზე აღმოაჩინა სიტას ადგილსამყოფელი. სუგრივას დაძახილზე მყისვე შეიკრიბა მაიმუნთა ლაშქარი; მათ შორის იყო მაიმუნი ნალი, სამყაროს მშენებლის *ვიშვაკარმას* შვილი. მან ელვის სისწრაფით გასდო ხიდი ლანკას კუნძულზე, გადაიყვანეს უშქარი ლაშქარი და მიადგნენ რავანას ქალაქს. რამ-



რამა, ლაქშმანა და სიტა (ახ. წ. VI ს.). დასავატარას ტაძარი.

ას სურდა მშვიდობიანად დაებრუნებინა სიტა და ელჩად მაიმუნი ანგადა მიუგზავნა რავანას, მაგრამ მას რაქშასები დაესხნენ და მანაც გაქცევით უშველა თავს. მაშინ რამამ ბრძანა ბრძოლის დაწყების ნიშანი მიეცათ ლაშქრისათვის. მაიმუნები და დათვები მარჯვე და ბრძოლებში გაწაფული მეომრები აღმოჩნდნენ: შეთანხმებული მოქმედებით შელეწეს ქალაქის გალავანი და დასასვენებლად უკან გაბრუნდნენ. მაშინ რავანამ დასტოვა ქალაქი და ველზე გავიდა საბრძოლველად. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ორივე მხარე მედგრად უტევდა ერთმანეთს, ვერც ერთი ვერ ძლევდა. მაგრამ თანდათან რამას ლაშქარმა დასძალა: რავანას თანდათან აკლდებოდა მეომრები. ბოლოს, ბრძოლის ბედი რამასა და რავანას შერკინებამ გადაწყვიტა: რამამ ორთაბრძოლაში დაამარცხა მეტოქე და მოკლა. როცა გამარჯვებულ რამას სიტა მიჰგვარეს, რამამ არ მიიღო იგი: ეჭვი შეეპარა მის პატიოსნებაში. მაგრამ სიტას პატიოსნება ღმერთებმა და თვით ბრაჰმამ დაადასტურეს და დააჯერეს ეჭვიანი ქმარი მის უმწიკვლოებაში. შერიგებული ცოლ-ქმარი აიოდჰიისკენ გასწევს – ამასობაში რამას დევნილების ვადაც ამოიწურება და ბჰარატაც სიხარულით დაუთმობს ტახტს. და მეფობდა რამა ბედნიერად და უზრუნველად.

**რაქშასები** – ინდ. კაციჭამია დემონური არსებანი, *ასურების*, ღმერთებისა და ადამიანების მტრები; ცალთვალანი, სამთავიანები, რქადასხმულნი ლაშით ედევნებიან ადამიანებს და აშინებენ, დღისით მსხვერპლშეწირვაში უშლიან ხელს; ხანდახან სასტიკ ცხოველებად და ფრთოსნებად ეცხადებიან. *ბრაჰმამ* ისინი პირველქმნილი წყლების მცველებად დააყენა და საცხოვრებლად კუნძული ლანკა მისცა, სადაც მათ ღვთაებრივმა ხუროთმოძღვარმა ვიშვაკარმანმა ოქროსგალავნიანი ქალაქი აუშენა. სწორედ აქედან ესხმოდნენ თავს ისინი ასურებს, ღმერთებს და ადამიანებს, ვიდრე *გარუდაზე* ამხედრებულმა *ვიშნუმ* არ განდევნა ისინი ქალაქიდან და ქვესკნელში არ ჩაყარა.

**რახუ** – ინდ. ურჩხულსახიანი ერთ-ერთი *ასური*. როცა ღმერთებმა *ამრიტა* – უკვდავების სასმელი მოიპოვეს და რიგ-რიგობით სვამდნენ მას, რახუმ ღმერთის სახე მიიღო და შეიპარა მათ შორის და, ის იყო, დაეწაფა ამრიტას, რომ მზემ და მთვარემ გამოიცნეს იგი და ამხილეს, არ დაანებეს ბოლომდე შეესვა თასი. განრისხებულმა ვიშნუმ თავი მოჰკვეთა მას. მაგრამ უკვდავების სასმელმა მოასწრო ყელამდე ჩასვლიყო, ამიტომაც მისი თავი უკვდავი გახდა. თავმა ცას მიაშურა, თვად კი მიწაზე დაეცა და მის დაცემაზე შეიძრა მიწა. მას შემდეგ რახუს უკვდავი თავი ცაზე იმყოფება და სულ მუდამ ცდილობს საძაგიერო გადაუხადოს მზესა და მთვარეს, დევნის მათ შთასანთქმელად და შთანთქავს კიდეც. ამიტომაც ხდება მზისა და მთვარის დაბნელებები. ზოგჯერ რახუ კუდიან ვარსკვლავად გადასერავს ხოლმე ცას.

**რეა** – ბერძნ. დედა-ღვთაება. *ურანოსისა* და *გეას* ასული (ზოგჯერ მას გეასთანაც აიგივებდნენ); *კრონოსის* მეუღლე და მისი ყველა შვილის (*კრონიდების*) დედა.

რეას თაყვანისცემის უძველეს ადგილად ითვლებოდა კუნძული კრეტა, სადაც მან ერთ-ერთ მღვიმეში შვა *ზევსი*, რომელიც თავის *კურეტებს* მისცა აღსაზრდელად. ამ ქურუმებს *კურეტები* უხმობდნენ და ისინი რეასა და იდელი ზევსის დღესასწაულის უცვლელი თანამდევები იყვნენ.

რეას კულტი ადრეულ ხანაშივე შეერთო მცირეაზიული ღვთაების, *კიბელეს* კულტს. რეა-კიბელეს თაყვანისცემას ორგიას-



*რეა ჩვილი ზევსით. ტერაკოტის რელიეფი (ძვ.წ. II ს.). პარიზი. ლუვრი.*

ტული ხასიათი ჰქონდა (იხ. კიბელე).

ძვ. წ. III საუკუნიდან ეს კულტი რომმაც მიიღო. რეა–კიბელეს წმინდა მცენარეებად ითვლებოდა მუხა და ფიჭვი, ცხოველად – ლომი. ჩვეულებრივ, რეა–კიბელეს წარმოსახავდნენ ეტლზე აღზევებულს, რომელსაც ლომები მიაქროლებდნენ; ქალღმერთის თავზე დიადემა ედგა, ხოლო ხელთ ტიმპანონი ეპყრა.

ბერძნულ რელიგიაში პირადად რეას არ უგებდნენ ტაძრებს. მას თაყვანს სცემდნენ კრონოსთან ან ზევსთან ერთად.

ათენში რეასა და მისი მეუღლის პატივსადებად იმართებოდა ზეიმი, რომელსაც კრონიები ეწოდებოდა. რომში რეას კულტი შეერთო ქალღმერთ *ოპსისა* და მისი მეუღლის, *სატურნუსის* კულტს, ხოლო მათ პატივსადებ ზეიმს *სატურნალიებად* უხმობდნენ.

**რეა–კიბელე** – ბერძნ. იხ. რეა.

**რეა–სილვია** – რომ. რომის მითოსური ფუძემდებლების, *რომულუსისა* და *რემუსის* დედა, ზოგჯერ მას ილიადაც მოიხსენიებდნენ.

მითოსის თანახმად, რეა–სილვია ქალაქ ალბა–ლონგას მეფის, *ნუმიტორის* ასული იყო. ნუმიტორს ჰყავდა შურიანი ძმა *ამულიუსი*, რომელმაც ჯარი შეკრიბა და ალბა–ლონგას კანონიერი მეფე ტახტიდან ჩამოაგდო. მას ეშინოდა, რომ ნუმიტორის შეილები შურს იძიებდნენ და ასე რომ არ მომხდარიყო, მისი ვაჟების ამოხოცვის ბრძანება გასცა; რეა–სილვია კი *ვესტას* ტაძარში გამოკეტა *ვესტალიად*. მოულოდნელად რეა–სილვიამ შვა ტყუპი ვაჟი: რომულუსი და რემუსი. ასეთი იყო ღმერთების ნება. ტყუპების მამად აღიარეს *მარსი*. არ დაიჯერა ამულიუსმა ტყუპების ღვთაებრივი წარმომავლობის ამბავი და მათი მდინარე ტიბერისში გადაგდება ბრძანა, რეა–სილვიას კი შიმშილით სიკვდილი მიუსაჯა. დიდმა ღვთაებამ, მარსმა, სამივე იხსნა.

არსებობს ამ მითოსის დასასრულის სხვა ვერსიაც: რეა–სილვიაც ტიბერისში გადააგდეს (ვარიანტი: თავად სცადა თავის დახრჩობა), სადაც იგი გადაარჩინა ამ მდინარის ღმერთმა და ცოლად შეირთო.

**რეგინა** – რომ. „დედოფალი", *იუნოს ეპიკლეზა*.

**რედიკულუსი** – რომ. მტრის უკუმგდები ღვთაება ძველ რომში.

**რენენუთეთი** – ეგვიპტ. მით. ნაყოფიერებისა და უხვი მოსავლის ქალღვთაება, გამოისახებოდა კობრის სახით. მის ძედ ითვლებოდა ნეფრი – მარცვლეულის ღმერთი. რენენუთეთი ფარაონების მკვებავი ქალღმერთი იყო, ძუძუს აწოვებდა მათ.



*რენენუთეთი კვებავს ფარაონს.*

**რესოსი** – თრაკიის მეფე, ტროელთა მოკავშირე.

რესოს ჰყავდა ჯადოსნური, თეთრი ცხენები, რომლებსაც ტროას ბედი უნდა გადაეწყვიტათ და აი, როგორ: იყო წინათქმა, თუ ეს ცხენები აღმოჩნდებოდნენ ტროაში, ქალაქს ბერძნები ვერ აიღებდნენ. რესოსი ტროელთა მეგობარი იყო და ამიტომ თავისი ჯადოსნური ცხენებით ტროასკენ ისწრაფა. ბერძენმა გმირებმა, *დიომედესმა* და *ოდისევსმა*, შეიპყრეს ტროელთა მზვერავი დოლონი, რომელმაც მათ ანახა ადგილი, სადაც რესოსი ღამეს ათევდა. დიომედესმა და ოდისევსმა მოკლეს რესოსი, ამოხოცეს მისი ამალა, ხოლო ცხენები ბერძენთა ბანაკში გაიყოლეს.

ეს ამბავი მოთხრობილია ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ ტრაგედიაში, რომელსაც „რესოსი" ეწოდება და რომლის ავტორადაც ევრიპიდეს მიიჩნევენ.

**რიში** – ინდ. ბრძენი, წინასწარმეტყველი, ღვთაებრივი ადამიანები, რიცხვით შვიდი, რომელთა სახელები სხვაობენ განსხვავებულ ტრადიციებში. ყველაზე სახელგანთქმულნი მათ შორის არიან: ვიასა, გაუტამა, ვალმიკი, *მანუ*, ვიბხანდაკა, კაშიაპა. ზოგიერთი გადმოცემით, შვიდი რიში ოდესღაც დათვები იყვნენ, შემდეგ ცადამაღლდნენ და დიდი დათვის შვიდწევერიანი თანავარსკვლავედი შეადგინეს.

**რობიგუსი** – (რობიგო) რომ. ძველიტალიკური ბოროტი ღვთაება, რომელიც პურეულ მარცვლოვანებს აზიანებდა. რომაელებს იგი მწითურ ძაღლად ან მელად ჰყავდათ წარმოდგენილი. რობიგუსის დღეს რომში აპრილის თვეში აღნიშნავდნენ; მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარს ან მწითურ ძაღლს, რათა პურეულისგან განერიდებინათ მის მიერ მოვლენილი ავადმყოფობანი.

**რომა** – რომ. 1. ქალღმერთი, რომელიც რომის სახელმწიფოს განასახიერებდა. ძვ. წ. II საუკუნიდან მისი კულტი რომაელ მთავარსარდალთა კულტს, იმპერიის ეპოქაში კი გაღმერთებულ იმპერატორთა კულტს შეერთო. რომაელი იმპერატორები თავიანთ მონეტებზე რომას გამოსახავდნენ.

2. *ასკანიუსის* ასული, *ენეასის* შვილიშვილი, რომელმაც აღმართა ფიცთა ერთგულების განმასახიერებელი ღვთაების, *ფიდეას* (*ფიდესის*) ტაძარი პალატიუმის ბორცვზე რომში.

**რომი** – Roma. რომის იმპერიის მთავარი ქალაქი; დღეს – იტალიის დედაქალაქი.

რომის ისტორიის დასაბამი ქალაქ რომის დაარსებას უკავშირდება. მის დამაარსებლად ლეგენდა *რომულუსს* ასახელებს. ისტორიოგრაფოსები თარიღსაც გვამცნობენ: ძვ.წ. 753 წ.

არქეოლოგიური მონაცემებით, უფრო ადრე იქ, სადაც რომულუსმა „მარადიულ ქალაქს" ჩაუყარა საფუძველი, მდინარე ტიბერისის ქვემოწელთან, შესართავიდან დაახლოებით 25 კილომეტრის დაშორებით, ინდოევროპული წარმომავლობის იტალიკები



კოლიზეუმი

სახლობდნენ. თავად ალბალს კი ლაციუმი ეწოდებოდა. დროთა განმავლობაში ქალაქი გაფართოვდა და მან ლაციუმთა და საბინთა სოფლებით მოფენილი შვიდი ბორცვი დაიკავა (ავენტინუსი, პალატიუმი, კაპიტოლიუმი, კვირინალისი, ვიმინალისი, ესკვილიუმი, კელიუსი). ამ ბორცვთა გაერთიანების პროცესი ძვ.წ. VIII საუკუნიდან დასტურდება. ასე დაფუძნდა ქალაქი შვიდ ბორცვზე – septimontium, რომელმაც ნინებულად გაითავისა ბერძენთა და ეტრუსკთა კულტურული მონაპოვარი.

ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებს მეფეთა ხანას უწოდებენ ისტორიოგრაფოსები. ასახელებენ შვიდ მეფეს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს რომის აღორძინებაში. ესენი არიან: რომულუსი, ნუმა პომპილიუსი, ტულუს ჰოსტილიუსი, ანკუს მარკიუსი, ტარკვინიუს პრისკუსი (ძველი), სერვიუს ტულიუსი და ტარკვინიუს სუპერბუსი (ამაყი). მათ მიერ გატარებული რეფორმების შედეგად რომი სახელმწიფოდ იქცა. უკანასკნელი მეფეები ტარკვინიუსთა ეტრუსკული დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ. ძვ.წ. 510 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს ბოლო მეფე და რომაელებმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც მოიპოვეს. რომი არისტოკრატიული რესპუბლიკა გახდა. სახელმწიფოებრივი წყობის ამ ფორმით მან თითქმის ხუთი საუკუნე იარსება (ძვ.წ. 510 – ძვ.წ. 31 წ.წ.) და ამ პერიოდს რომის ისტორიაში რესპუბლიკის ხანა ეწოდა.

რომი ძვ. წ. VI საუკუნისათვის მნიშვნელოვან ქალაქად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ იმყოფებოდა ეტრუსკთა გავლენის ქვეშ. მან თანდათან გაიფართოვა სახელმწიფოებრივი საზღვრები. ძვ. წ. III საუკუნისათვის რომის ძალაუფლება ვრცელდებოდა მთელს იტალიასა და სიცილიაზე, ხოლო კართაგენზე გამარჯვების შემდეგ – დასავლეთ შუაზღვისპირეთშიც. მან შეიერთა შუაზღვისპირეთის ყველა ქვეყანა, ევროპა რეინსა და დუნაიმდე, აგრეთვე ბრიტანეთი, მცირე აზია, სირია და ჩრდილოეთ აფრიკის თითქმის მთელი სანაპირო. მათ რომაელები პროვინციებს უწოდებდნენ.

წარმატებული ბრძოლების გამო რომში თანდათან მრავლდებოდნენ მონები, რომელთაც ფლობდნენ შედარებით მცირერიცხოვანი მდიდრები. ამას მოჰყვა სოციალური უთანასწორობის გამძაფრება. ძვ.წ. I საუკუნეში იფეთქა უზარმაზარმა ამბოხებამ მონათმფლობელთა წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდა სპარტაკი. სამოქალაქო ბრძოლებმა მოიცვეს მთელი სახელმწიფო. ეს არეულობანი დასრულდა ძვ.წ. 30 წელს ერთპიროვნული საიმპერატორო ძალაუფლების დამყარებით. ამ პერიოდს (ძვ. წ. 31 წ. – ახ. წ. 476 წ.) იმპერიის ხანა ეწოდა.

ბრძოლები არ წყდებოდა. რომის უზარმაზარი იმპერია ირყეოდა. ახ. წ. IV საუკუნისათვის იგი ორ – აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაიყო. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ ბიზანტიის სახელწოდებით XV საუკუნემდე იარსება. დასავლეთ იმპერიას მრავალი მტერი გამოუჩნდა. 410 წელს ქალაქი რომი აიღეს ვესტგოთებმა, ხოლო 476 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს უკანასკნელი რომაელი იმპერატორი. ეს თარიღი მიჩნეულია დასავლეთ რომის იმპერიის დასასრულად.

აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ოფიციალურ ენად ითვლებოდა ბერძნული, დასავლეთ რომის იმპერიაში კი – ლათინური, რომელზეც საუბრობდა შუა იტალიაში მდებარე ლაციუმის მოსახლეობა.

ანტიკური ხანის პოეტებმა რომს „მარადიული ქალაქი" უწოდეს და მართლაც, მას არასოდეს დაუკარგავს თავისი სახე და მნიშვნელობა. შუასაუკუნეებში იგი პაპთა რეზიდენციად ითვლებოდა, მოგვიანებით კი – კათოლიკური სამყაროს მთავარ ქალაქად.

რომის ღირსშესანიშნაობანი მრავალგზის დანგრეულა და აღუდგენიათ. მეფეთა ხანიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებია შემორჩენილი. იგივე ითქმის რესპუბლიკის ხანის ნაგებობათა შესახებაც. იმპერატორთა ეპოქიდან მოყოლებული რომში დიდი აღმშენებლობითი პროცესები დაიწყო. შვიდ ბორცვთაგან კაპიტოლიუმს უპირატესი სახელმწიფოებრივი და საკულტო მნიშვნე-



*კოლოსეუმი. გლადიატორთა არენა.*

ლობა მიენიჭა. გადმოცემათა თანახმად, იქ მდგარა რომულუსის სახლი; იქვე ყოფილა აღმართული ***იუპიტერისა*** (Juppiter Optimus Maximus) და იუნოს (Juno Moneta) ტაძრები; ქალაქის კრემლი (arx romana) ტაბულარიუმი (არქივი). ბორცვის აღმოსავლეთ ფერდობზე რომის ფორუმი (Forum Romanum) განლაგდა. ეს იყო ქალაქის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. ფორუმზე აღმართულ ძეგლთაგან ყველაზე ადრეული ე.წ. შავი ლოდია (Lapis niger), რომელიც რომულუსის საფლავის ქვად არის მიჩნეული. მასზე ამოტვიფრულია უძველესი ლათინური წარწერა (დაახლ. ძვ. წ. VI ს-ის დასასრული). აღსანიშნავია აგრეთვე დიდი არხი (Cloaca maxima), რომელიც ტიბერისში ჩასადენი წყლებისთვის იყო განკუთვნილი. ფორუმზე აღმართულ მრავალრიცხოვან ტაძართაგან უმნიშვნელოვანესი იყო ***ვესტას***, ***კასტორისა*** და ***სატურნუსის*** ტაძრები. ბაზილიკათაგან შედარებით დიდია იულიუსის ბაზილიკა, რომლის აგებაც დაიწყო კეისარმა და დაასრულა ავგუსტუსმა. თავისი ბრწყინვალებით გამოირჩევა მაქსენტიუსთა ბაზილიკა, რომლის მშენებლობაც ახ.წ. 307 წელს დაიწყო და რომელმაც დიდი გავლენა იქონია რენესანსის ეპოქის არქიტექტურაზე. რომის ფორუმი დამშვენებული იყო მრავალრიცხოვანი ტრიუმფალური არკებით, ქანდაკებებითა და მემორიალური კოლონებით.

რომის ფორუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით განფენილი იყო იმპერატორთა ფორუმების კომპლექსი: კეისრის ფორუმი ***ვენუსის*** ტაძრით (ძვ. წ. I ს.); ავგუსტუსის ფორუმი მარსის ტაძრით (ახ.წ. I ს.); ვესპასიანუსის ფორუმი (Forum Pacis) მშვიდობის ქალღმერთის (Pax) ტაძრით; ნერვას ფორუმი (Forum Transitorium, ახ. წ. I ს.) და ბოლოს, ტრაიანუსის დიდი ფორუმი დამშვენებული ბაზილიკით, ტაძრითა და კოლონით (ახ.წ. II ს.).

პალატიუმის ბორცვის სამხრეთით აღმართული იყო ბრწყინვალე სასახლეები. ნერონის უზარმაზარი სასახლიდან (Domus aurea) უმნიშვნელო ნანგრევებია შემორჩენილი. შედარებით კარგად მოაღწია ჩვენამდე ფლავიუსთა ამფითეატრმა, რომელიც კოლოსეუმის სახელით არის ცნობილი. ასე ეწოდა ანტიკური სამყაროს ამ უდიდეს ამფითეატრს მის მახლობლად აღმართული ნერონის ოქროს კოლოსის გამო. 48.5 მეტრის სიმაღლის ამფითეატრი გათვლილი იყო 50 ათას მაყურებელზე. იგი ახ. წ. 80 წელს აკურთხა იმპერატორმა ტიტუსმა და ამ დღის აღსანიშნავად გამართა ასდღიანი ასპარეზობები. თანდათანობით ეს ამფითეატრი მხეცთა და გლადიატორთა სისხლიან არენად იქცა. დღეს იგი რომის გარდასული დიდების აღმატებულად შთამბეჭდავი ძეგლია. იქვე, მახლობლად მდებარეობს ჩვენამდე კარგად შემონახული ნაგებობები: კონსტანტინეს არკა (ახ.წ. 315 წ.); კარაკალასა (ახ.წ. 206-217 წ.წ.) და დიოკლეტიანეს (ახ.წ. 298-307 წ.წ.) აბანოები; აგრეთვე პანთეონის დიდებული, გუმბათოვანი შენობა, რომლის აგებაც იმპერატორმა ჰადრიანემ დაასრულა (ახ.წ. II ს.). ძველი რომის მრავალრიცხოვან ღირსშესანიშნაობათაგან აღსანიშნავია აგრეთვე დიდებული კარიბჭეები, ხიდები თუ აკვედუკები (ბელდარები), რომელთა უმრავლესობა დღესაც თავდაპირველი დანიშნულებით გამოიყენება.

რომაელთა კულტურამ თავისი არსებობის თორმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საკმაოდ რთული გზა განვლო. მის ფორმირებაში მრავალი ხალხი მონაწილეობდა. რომის სახელმწიფოს ზრდასთან ერთად მრავალფეროვანი ხდებოდა მისი მოსახლეობაც. მართალია, რომაულ კულტურას საფუძველი ლათინთა ტომებმა დაუდეს, მაგრამ მნიშვნელოვნად გაამდიდრეს იმ დაპყრობილმა ხალხებმა, რომლებიც რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ მოგვიანებით. უპირველეს ყოვლისა ესენი იყვნენ ეტრუსკები, აგრეთვე ელინები ჯერ დიადი საბერძნეთიდან, ხოლო შემდეგ სიცილიიდან. მოყოლებული ძვ.წ. II საუკუნიდან რომაული კულტურის განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდათ უკვე ელინისტურ სახელმწიფოებს, ეგვიპტეს, ხოლო იმპერიის პერიოდიდან აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის პროვინციებს.

მართალია, რომაული კულტურა მდიდრდებოდა სხვა ხალხთა მემკვიდრეობით, მაგრამ მას თავადაც შეჰქონდა წვლილი პროვინციათა ცხოვრებაში, ეს ძირითადად ეხებოდა ქალაქთ-მშენებლობის, გზების გაყვანის, კეთილმოწყობის, ტექნიკისა და იურისპუდენციის სფეროებს.

რომაული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები დაცულია ვატიკანის კონსერვატორთა სასახლეში, კაპიტოლიუმისა და სხვა ცნობილ მუზეუმებში.

**რომულუსი** – რომ. დიადი ქალაქის, ***რომის***, მითოსური დამაარსებელი და პირველი მეფე; ***რეა სილვიასა*** და ***მარსის*** ძე; ***რემუსის*** ტყუპთაგანი.

მას შემდეგ, რაც ***ენეასი*** მითოსური არედან გაქრა, ლატიუმის სამეფო ტახტზე ალზევდა მისი ძე ***ასკანიუსი***, რომელმაც დააარსა ქალაქი სახელწოდებით ალბა-ლონგა. ეს ქალაქი ენეასის ჩამომავალთა სატახტო ქალაქად იქცა. ამ ამბებიდან მრავალი წლის შემდეგ ალბა-ლონგაში გამეფდა ***ნუმიტო-***

***რი***, რომელიც ტახტიდან ჩამოაგდო მისმა უმცროსმა ძმამ ***ამულიუსმა***. იგი ბოროტი კაცი იყო და არ დაინდო თავისი ძმისშვილებიც: ვაჟები მსახურებს ამოახოცვინა, ხოლო ქალიშვილი, რეა–სილვია, ***ვესტას*** ტაძარში წარგზავნა ***ქურუმად***. მაგრამ ღმერთებს არ სურდათ ნუმიტორის ჩამომავალთა გადაშენება და მათი ნებით, რეა სილვიამ ტყუპი ძე შვა. ასე მოევლინა ქვეყანას ორი ძმა – რომულუსი და რემუსი, რომელთა მამად ნაყოფიერებისა და ველური ბუნების მფარველ ღვთაებას, მარსს, ასახელებდნენ.

ამულიუსმა არ ირწმუნა ტყუპების ღვთაებრივი წარმომავლობა და მათი მდინარე ტიბერისში გადაგდება ბრძანა. მსახურებმა ჩვილი ბიჭუნები კალათში ჩასვეს და ადიდებული მდინარის ზვირთებს მიანდეს. ზვირთებმა კი ტყუპები პალატიუმის ბორცვთან გარიყეს იქ, სადაც ლეღვის ხე ხარობდა. კალათი ხის ფესვს გამოედო და ასე დარჩა, რადგან მდინარე დამშვიდდა და ისევ თავის კალაპოტს დაუბრუნდა. ბავშვები მშივრები იყვნენ და ტიროდნენ. იქვე ძუ მგელი ბინადრობდა. ბავშვები რომ დაინახა, შეიცოდა და მათთან ყოველდღე იწყო სიარული, რათა ძუძუ ეწოვებინა. მაგრამ მას თავისი ლეკვებიც ჰყავდა და მოხდა ისე, რომ რძე გამოელია. მაშინ ჩვილებთან მოფრინდა მარსის ფრთოსანი, კოდალა, რომელმაც ხილითა და ტყის კენკრით იწყო მათი გამოკვება.

ერთხელ ეს საოცრება იხილა მეფის მწყემსმა ***ფაუსტულუსმა***. მან ჩვილები თავის ქოხში წაიყვანა. სიხარულით მიიღო ბავშვები მისმა მეუღლემ. კეთილმოწყალე ცოლ- ქმარს თავისი შვილები არ ჰყავდათ და ბიჭუნები განსაკუთრებული სიყვარულით აღზარდეს. მწყემსის ქოხში მეფისწულები მომძლავრდნენ და ღირსეული ჭაბუკები დადგნენ.

ერთხელ ნუმიტორისა და ამულიუსის მწყემსები წაიჩხუბნენ. რომულუსი და რემუსი, რომლებიც მეფის კარზე მსახურობდნენ, ამულიუსის მწყემსებს მიემხრნენ. შეტაკება იმით დასრულდა, რომ მოიტაცეს რემუსი და დაეის გადასაწყვეტად მიჰგვარეს ნუმიტორს. ტახტიდან ჩამოგდებულმა უკვე ხანდაზმულმა მეფემ ჭაბუკს გამოჰკითხა ვინ იყო, მამა ვინ ჰყავდა. მას რემუსმა ფაუსტულუსის მონათხრობი ამცნო: უამბო ლეღვის ხეზე, მგელსა და კოდალაზე. ნუმიტორი მიხვდა, რომ მის წინ მისივე შვილიშვილი იდგა და რომულუსიც იხმო თავის სასახლეში. როდესაც ჭაბუკებმა სიმართლე შეიტყვეს, ამულიუსი ტახტიდან ჩამოაგდეს და სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო სამეფო სკიპტრა ისევ ნუმიტორს დაუბრუნეს. თავად კი ახალი ქალაქის დაარსება ისურვეს. ამისათვის შეარჩიეს ის არაჩვეულებრივი ადგილი, სადაც ლეღვის ხე ხარობდა. როდესაც ქალაქისათვის სახელის შერჩევა დააპირეს, ვერ მორიგდნენ და ღმერთების ნების გასაგებად განიზრახეს ორ ბორცვზე ღამე გაეთიათ: რომულუსმა კაპიტოლიუმის ბორცვი აირჩია, რემუსმა – ავენტინუსის. რემუსმა პირველმა იხილა ექვსი ქორი, მაგრამ ნიშნის მიცემაც ვერ მოასწრო, რომ რომულუსის თავზე თორმეტი ქორი გამოჩნდა. ერთხმად აღიარა ყველამ, რომ ღმერთების რჩეული იყო რომულუსი. მან გუთანს წყვილი ხარი შეაბა და პალატიუმის გარშემო მოხნა ერცელი მინდორი, სადაც რომი უნდა გაშენებულიყო. ამ ხნის განმავლობაში რემუსი ველად მიმოდიოდა და უსტვენდა. შემდეგ მოხნულ მინდორთან შეჩერდა და სიცილი დაიწყო.

„დიდებულ ქალაქს აშენებ!“ – გასძახა ძმას დაცინვით და კვალს გადაახტა. ამ დროს რომულუსი აღარ იყო ის მწყემსი, რომელიც ფაუსტულუსის ქოხში გაიზარდა. იგი რომის მეფე იყო, ყველა მბრძანებლისა და დიქტატორის მამამთავარი. შეურაცხყოფა ვერ აიტანა, ხელი დააველო მახვილს და ძმა განგმირა. ისტორიაში ჩაიწერა მისი ნათქვამიც: „დე, დაიღუპოს ყოველი, ვინც კი გაბედავს ჩემი სამეფოს სამანების ძალით დარღვევას!“

ქალაქი კი გაშენდა, მაგრამ იქ რომულუსისა და მისი ამალის გარდა არავინ ცხოვრობდა. მაშინ ახალგაზრდა მეფემ კაპიტოლიუმის ბორცვზე შემოსაზღვრა ხეივანი, რომელსაც ასილუმი (თავშესაფარი) უწოდა. თან განაცხადა, ვინც იქ იცხოვრებს, უსაშინლესი დანაშაულიც რომ ამძიმებდეს მის სინდისს, ხელშეუხებელი იქნებაო, ვითარცა დიდი ქალაქის ახალმოსახლე. ყოველი მხრიდან ისწრაფოდნენ ასილუმისკენ ყაჩაღები და მძარცველები, არამზადები, თავზეხელაღებული ჭაბუკები, რომელთაც ძალა ერჩოდათ, იყვნენ მამაცნი და შეუპოვარნი. ისინი რომულუსის ერთგული თანამებრძოლები გახდნენ. სწორედ მათი ძალისხმევით გარს შემოევლო რომს გალავანი.

ამ დიდებულ სახელმწიფოში არ იყვნენ ქალები. მათ გარეშე კი ქალაქი ქალაქს არა ჰგავდა, ოჯახი–ოჯახს. და აი, რომულუსმა შეარჩია ახოვანებით გამორჩეული ვაჟკაცები, მდიდრულად შემოსა და მეზობელ ქალაქებში გაგზავნა ქალთა ჩამოსაყვანად. მაგრამ სადაც კი გამოჩნდებოდნენ ეს მშვენიერი ჭაბუკები, კარს უკეტავდნენ და მტრულად განწყობილები ეუბნებოდნენ: „რომი ქურდთა და უპოვართა ქალაქია. თქვენს მეფეს ასე გადაეცით: ქალებისთვისაც მოაწყოს თავშესაფარი. აღმოჩნდებიან ისეთებიც იქ რომ მოგივლენ – ღირსეული ქალები ღირსეული კაცებისათვის!“

რომულუსმა მოთმინებით აიტანა ეს შეურაცხყოფა. თავის გარშემო შემოკრებილი ვაჟკაცები დაამშვიდა და უბრძანა, არ ექურდათ, არ ეჩხუბათ და საერთოდ, ღირსეულად ეცხოვრათ, რათა ირგვლივ მოსახლეთა პატივისცემა დაემსახურებინათ. ასეც მოხდა. მაშინ რომულუსმა დიდი ზეიმის მოწყობა განიზრახა და ამ ზეიმზე მიიწვია ახლომდე-



*კაპიტოლიუმის ძუ მგელი. რომულუსი და რემუსი. ბრინჯაო (ძ.წ. V ს. დასაწყისი). რომი, კაპიტოლიუმის მუზეუმი.*



*გამარჯვებული რომულუსი. ჟ. ენგრის ნახატი (1812 წ.). პარიზი, ლუვრი.*

ბარე ქალაქების ყოველი მკვიდრი. დედები, ცოლები და ქალიშვილები ემუდარებოდნენ თავიანთ ქმრებსა და მამებს. მიელოთ მიწვევა. თავად კაცებს კი სულაც არ სჭირდებოდათ ეს მუდარა. მათ ისედაც სურდათ ენახათ ახალი ქალაქი, რომელზეც საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ. ისინი ქალაქს ეწვივნენ და დაიწყო მხიარული ზეიმი. გაშალეს სუფრები, გამოიტანეს ღვინო, კარგად მოილხინეს და ქალებიც გამოიწვიეს საცეკვაოდ. მოულოდნელად, რომულუსის ნიშანზე, ყოველმა რომაელმა მოიტაცა მის ახლოს მდგომი ქალი. ატყდა ერთი ალიაქოთი, დაიწყო ჩხუბი, მაგრამ ღამემაც მოაწია და თავის სახლებს დაუბრუნდნენ ქმრები უცოლებოდ, მამები – უქალიშვილებოდ.

ირგვლივ მოსახლე განრისხებული მამაკაცები შეიკრიბნენ და რომისაკენ დაიძრნენ. მათ წინამძღვრობდნენ საბინები, რადგანაც ყველაზე მეტად ისინი დაზარალდნენ: საბინი ქალები ულამაზესნი იყვნენ და რომაელებმაც სწორედ ისინი მოიტაცეს უმეტესწილად. თავად რომულუსმაც საბინი *ჰერსილია* შეირთო ცოლად. რომში შემოჭრილ ლაშქარს მთავარსარდლობდა საბინი ტიტუს ტატიუსი, რომელმაც ციხე-სიმაგრე იერიშით აიღო და ახლა ბრძოლა ქალაქის ქუჩებში გამართა. საბინ ქალებს თავიანთი რომაელი მამაკაცები მეტისმეტად შეჰყვარებოდათ და ომი რომ არ გამწვავებულიყო, სახლებიდან გამოცვივდნენ მებრძოლთა დასამშვიდებლად. ქალები ტიროდნენ. მამებს, ძმებსა და ქმრებს ევედრებოდნენ, შეეწყვიტათ ბრძოლა. მეფეებმა ზეაღმართული მახვილები დაუშვეს და სათათბიროდ წარიმართნენ. მოილაპარაკეს და შერიგდნენ. საბინები და რომაელები ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ, ხოლო ამ დიდ ქვეყანას მეგობრულად განაგებდნენ რომულუსი და ტიტუს ტატიუსი.

რომულუსს მრავალი საქმის აღსრულებას მიაწერდნენ რომაელები. მათ შორის: მოქალაქეთა დაყოფას პატრიციებად და პლებსად, სენატის დაწესებასა და სხვას. ოცდათვრამეტი წელი იმეფა მან და ერთხელ, ღრმად მოხუცებული ლაშქარს რომ ათვალიერებდა, ნისლმა დაბურა. როდესაც ნისლი გაიფანტა, სამეფო ტახტზე აღარავინ იჯდა. რომულუსი გაქრა. ყველამ ირწმუნა, რომ იგი ცად აღაზევეს ღმერთებმა. მას შემდეგ რომულუსს თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაებას და კვირინუსად უხმობდნენ.

რომაულ ხელოვნებაში ხშირად წარმოსახავდნენ რომულუსს. აღსანიშნავია: ძუ მგელი, რომელიც ტყუპებს ძუძუთი კვებავს; საბინი ქალების მოტაცება; რომულუსის აპოთეოსი და სხვა.

**რუდრა** – ინდ. პირქუში და სასტიკი ღვთაება, რომელიც *ბრაჰმას* შუბლიდან დაიბადა, განერიდა ყველას და ყველაფერს და უკაცრიელ მთებში გადაიხვეწა, ხიმავატის მთაზე დაიდო ბინა. ტყავებით შემოსილი, წითურსახიანი და შავთმიანი, მშვილდ-ისრით შეიარაღებული რუდრა ტყე-ღრეებში სანადიროდ დაეხეტება. ერთხელ ღმერთებმა ოქროს ხანის დასასრულს, როცა სიკეთემ და მადლმა კლება იწყეს, ცოდვების გამოსასყიდად პირველი მსხვერპლშეწირვა გამართეს სწორედ იმ მთაზე, სადაც რუდრა ცხოვრობდა. ყველა ღმერთი იქ შეიკრიბა, მაგრამ რუდრა არ მოიწვიეს, რადგან ის ყველასგან განმარტოებით ცხოვრობდა და არავინ იცნობდა მას. შეურაცხყოფილმა რუდრამ მიაშურა მსხვერპლშეწირვის ადგილს. გამოჩნდა თუ არა, მიწა შეირყა, ცეცხლი ჩაქრა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ. შეშინებული ღმერთები მიწას განერთხნენ. რუდრამ მსხვერპლს ისარი სტყორცნა და მსხვერპლი იმწამსვე ანტილოპად გადაიქცა და ცაზე ავარდა. დღემდე ჩანს ცაზე ისარგაყრილი ანტილოპა, რომელსაც ველური მონადირე ედევნება.

**რუმინა** – რომ. ძუძუმწოვარ ჩვილთა და დვრილთა ქალღმერთი. ახალშობილთა მფარველი ღვთაება. მისი სახელობის ტაძარი რომში აღმართული იყო იმ ლეღვის ხის ქვეშ, სადაც გადმოცემათა თანახმად, რომულუსი და რემუსი გამოკვება ძუ მგელმა. მოგვიანებით რუმინას *აკა ლარენციასთან* აიგივებდნენ.

# ს

**საბინ ქალთა მოტაცება** – რომ. იხ. ***რომულუსი***.

**საბუსი** – რომ. საბინთა ტომის ეპონიმი, ღვთაება ***სანკუსის*** ძე. მითოსის ზოგი ვერსიით, საბუსი ლაკედემონელი იყო.

**სავიტრი** – ინდ. მეფე აშვაპატის ერთადერთი, ულამაზესი ასული, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც ერთგულმა და თავდადებულმა მეუღლემ. იგი ისეთი მშვენიერი იყო, რომ ვერავინ ბედავდა მისი ხელის თხოვნას. ბოლოს, მამამ ურჩია სავიტრის, თავად აერჩია საქმრო. სავიტრი გავიდა სამოგზაუროდ წმიდა ადგილებში და, აჰა, ერთხელ შეხვდა უფლისწულ სატიავანს, თავისი სამეფოდან განდევნილი ბრმა მეფის ძეს. ლამაზი, თავმდაბალი, მამაცი და სიბრძნით სავსე უფლისწული შეუყვარდა სავიტრის და ქმრად აირჩია იგი. ოღონდ ღმერთების განგებით სატიავანს ერთი სიცოცხლის წელი დარჩენოდა. ეს სამწუხარო ამბავი სავიტრის ღმერთების მაცნემ ნარადამ გაუმხილა. მაგრამ მშვენიერმა ქალწულმა თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა. მამამაც მიიღო მისი არჩევანი. ქორწილის შემდეგ სავიტრიმ ხის ქერქისგან განდეგილის სამოსელი შეიკერა და ქმართან ერთად ტყეში დაიწყო ცხოვრება; იზიარებდა მასთან და მის ოჯახთან ერთად დევნილობის მთელ სიმწარეს. და მაინც ბედნიერი იქნებოდა სავიტრი, რომ დღედაღამ არ ეფიქრა სატიავანის ბედზე. დრო გადიოდა, ახლოვდებოდა მისი აღსასრულის დღე. ეს დღეც დადგა: ტყეში სამუშაოდ გასული სატიავანი მოულოდნელად ცუდად შეიქნა, მიწაზე წამოწვა და თავი სავიტრის კალთაში ჩადო. ამ დროს მათ თავზე დაადგა წითლებით მოსილი წითელთვალებიანი, მზესავით გაბრწყინებული კაცი, რომელსაც ხელში მარყუჟი ეჭირა. ეს იყო სიკვდილის ღმერთი იამა. მან უსიტყვოდ ამოართვა სატიავანს სული – ცეროდენა ადამიანის სახით და სამხრეთისაკენ, მკვდართა სამეფოსკენ, გაემართა. დამწუხრებული სავიტრი გაჰყვა მის კვალს. „დაბრუნდი, სავიტრი, დაბრუნდი და დამარხე შენი ქმარი, აღუსრულე ყოველი წესი, რაც მართებს ცოლს. ეს არის შენი უკანასკნელი ვალი მის წინაშე. შენ უკვე ისე შორს ხარ წამოსული, რომ ველარ დაბრუნდები უკან". მაგრამ სავიტრის გადაწყვეტილი ჰქონდა, ბოლომდე გაჰყოლოდა ქმარს, თუნდაც მისი ბედი გაეზიარებინა. სიკვდილის ღმერთს ისე მოეწონა სავიტრის თავდადება, რომ ჯერ თვალის ჩინი დაუბრუნა მის მამამთილს, მერე დაკარგული სამეფო. მამამისს და მასაც ასი ვაჟი შესძინა. ბოლოს, მის ქმარსაც დაუბრუნა სიცოცხლე. ცხოვრობდნენ ისინი თანხმობასა და სიყვარულში ოთხასი წელი.

**სალაკია** – (სალაცია) რომ. ზღვათა ღვთაება; ***ნეპტუნუსის*** მეუღლე. ***ტრიტონის*** დედა. ზოგჯერ სალაკია ***ვენუსის*** ეპითეტადაც გვხვდება.

**სალიები** – რომ. („მხტომელები" „მოცეკვავეები"). ***მარსის ქურუმთა*** ორი რომაული კოლეგია: პალატიუმისა და კოლინასი, რომელიც ***ნუმა პომპილიუსს*** დაუწესებია. თითოეულ კოლეგიაში პატრიციული წარმომავლობის თორმეტი წევრი იყო გაერთიანებული. მარტის თვის დასაწყისში სალიები აწყობდნენ საზეიმო სვლას, თან ოროლს სცემდნენ ***ანკილეებს***, რომელთაგანაც ერთი, როგორც ამბობენ, ციდან იყო ჩამოვარდნილი. ამ საზეიმო სვლას თან ახლდა ცეკვები და უძველეს ჰიმნთა სიმღერები, რომელთა ტექსტი ისტორიულ ხანაშივე გაუგებარი ყოფილა. ეს კი იმას მოწმობს, რომ სალიების დაწესება უძველეს დროს განეკუთვნება.

**სალუსი** – რომ. ქალღმერთი, რომელიც რომაელი ხალხის სიმრთელესა და კეთილდღეობას განასახიერებდა. მისი ტაძარი აღმართული იყო რომში კვირინალისის ბორცვზე. სალუსს გამოსახავდნენ ***ფორტუნას*** მსგავსად: მას ფერხთით სფერო ედო, ხოლო მარჯვენა ხელში სამსხვერპლო თასი ეკავა.

**სანკუსი** – რომ. ზეცის საბინური ღვთაება. რომში მან მოლაპარაკებათა და მეუღლეობის მფარველის ფუნქცია შეიძინა. მის სახელზე აღმართული იყო საკურთხეველი კვირინალისის ბორცვზე.

**საოშიანტი** – ირან. „მომავალი მხსნელი". მხსნელი, მაცხოვარი, რომელიც მოევლინება კაცობრიობის წუთისოფლის დასასრულს, გასჯის კეთილსა და ბოროტს, ბოროტებს გაატარებს მდუღარე ტყვიის ნაკადში, ხოლო მართალთ აღადგენს სამარადისო სიცოცხლისთვის. სამსხვერპლო ხარის დაკვლით დაასრულებს ისტორიას. ზოროასტრული ტრადიციით, საოშიანტი სამია და სამივე ზარათუსტრას ვაჟები არიან, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადნენ. თითოეული მათგანი ყოველ ათას წელიწადში ერთხელ მოევლინება წუთისოფელს, ხოლო ბოლო საოშიანტი მის დასასრულს მოასწავებს.

**სარანია** – ინდ. ტვაშტარის ამაყი ასული, რომელმაც ვერ აიტანა ქმართან, ვივასვატთან, ცხოვრება მას შემდეგ, რაც მას ტყუპები – იამა და იმი უშვა. სარანიუმ თავისი მსგავსი ქალი შექმნა და თავის ნაცვლად დატოვა ქმრის სახლში, თავად კი, ფაშატად გადაქცეული, გაუჩინარდა. შეცვლილმა ცოლმა მას მანუ უშვა. სწორედ ის მანუ, რომელიც წარღვნას გადაურჩა. როცა ვივასვატმა გაიგო, სარანიუს ამბავი, ულაყად გადაიქცა, გამოეკიდა ფაშატს, დაეწია და შემოირიგა. შერიგებულმა ცოლ-ქმარმა ამჯერად ცხენების სახით შვა ტყუპი ვაჟები – ნასატია და დასრა, რომელთაც აშვინებადაც იხსენიებენ.

**სარასვატი** – ინდ. წყლის ღვთაება, ამავე სახელწოდების წმიდა მდინარის განსახიერება; ასევე ქალღმერთი სიბრძნისა და მჭევრმეტყველებისა. მან თავისი სილამაზით მოხიბლა სომას მცველი განდჰარვები და გამოსტყუა მათ ეს სასმელი. განდჰარვებმა მოინდომეს სომას სანაცვლოდ სარასვატის თავისთან დატოვება, მაგრამ მშვენიერი და ბრძენი ქალღმერთი ხელიდან დაუსხლტა მათ.

**სარგონი** – შუამდ. შარრუ ქენუ „მეფე კანონიერი", ქალაქის აქადის მეფე, აქადური დინასტიის (დაახლ. ძვ.წ. 2340-2159 წ.წ.) დამაარსებელი, რომელმაც პირველმა

სცადა შუამდინარულ ქალაქ-სახელმწიფოთა გაერთიანება ერთ იმპერიად და კიდევაც შეძლო ეს. მისმა მოღვაწეობამ (იგი 50 წლის მანძილზე მართავდა აქადის იმპერიას) დიდი დაღი დააჩნია შუამდინარეთის ისტორიას – ლიტერატურას, ხელოვნებას, პოლიტიკურ აზროვნებას. დიდი ხნის მანძილზე სარგონი ლეგენდარულ, არაისტორიულ პიროვნებად ითვლებოდა, სანამ არ აღმოჩნდა ტექსტები, რომელთაც დაადასტურეს მისი ნამდვილობა.



*სარგონ აქადელი. ბრინჯაოს სკულპტურა (ძვ.წ. 23 ს.), ბაღდადი, ერაყის მუზეუმი.*

სარგონი მონაწილეობს ჩვენამდე შემონახულ ორ თხზულებაში. ერთი ნახევრად ისტორიული ხასიათისაა და ეხება მის ურთიერთობას კაბადოკიასთან, რომლის დასახმარებლად სარგონი ექსპედიციას გზავნის. ტექსტიდან თითქოს ჩანს, რომ იგი თვითონ წასულა მცირე აზიაში, სადაც იგი ხვდება სხვადასხვა უცნაურ ცხოველებს და ფრინველებს... მის ლაშქრობას მფარველობს შამაში (ისევე როგორც გილგამეშის ლაშქრობას ხუმბაბას წინააღმდეგ).

მეორე ტექსტში, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, მოთხრობილია მისი წარმოშობის ამბავი. ლეგენდის მიხედვით მისი დედა ქურუმი ქალი ყოფილა, მამა – უცნობი. ჩვილი ბავშვი გოდორში ჩაუსვამთ, გოდორი შეუფისავთ და მდინარისთვის გაუტანებიათ. გოდორი ვილაც მებაღეს უპოვნია, ბავშვი აღუზრდია. დაჭაბუკებული ნაპოვარა იშთარს შეუყვარებია და მეფედ აღუზევებია. ტექსტში ლაკონურად არის ნახსენები მისი ღვაწლი, რაც ისტორიული წყაროებიდანაც არის ცნობილი („იშთარმა მას მეუფება მისცა ქვემო ზღვიდან ზემო ზღვამდე...“).

მოგვიანო ქრონიკებში იგი ნახევრად მითოსური ასპექტით არის წარმოსახული: „შარუქინი აქადის მეფე, ინანას ხელმწიფების დროს აღზევდა, ტოლი და მეტოქე არ ჰყოლია. მისი ელვარება ქვეყნებს ეფინა. მზის აღმოსავლეთში ზღვა გადალახა, მე-11 თვეს მზის დასავლეთის ქვეყანას მიუწვდინა ხელი. პირი მისი ქვეყნისა ერთი იქნა; თავისი ქანდაკი დასავლეთში დადო“. ხოლო ორაკულში: „ნიშანი შარუქინისა, რომელმაც წყვდიადი გაფანტა, ნათელი იხილა“.

შუამდინარეთში სარგონი ძლევამოსილი მეფის პროტოტიპად იქცა. მის სახელს ატარებდა აშურის მეფე VIII ს-ში ძვ. წ.

**სარპედონი** – ბერძ. 1. ლიკიის მეფე; ***ზევსისა*** და ***ევროპეს*** ძე; ***მინოსისა*** და ***რადამანთისის*** ძმა.

2. ტროელთა ერთ-ერთი უძლიერესი მოკავშირე; ***ზევსისა*** და ლაოდამიას ძე; ***ბელეროფონის*** ბადიში. როდესაც სარპედონმა განიზრახა, მონაწილეობა მიეღო ***ტროას ომში***, ზევსმა მას სისხლიანი წვიმით ანიშნა, ხელი აელო განზრახვაზე. სარპედონმა არად ჩააგდო ეს ნიშანი, შეებრძოლა ***პატროკლოსს*** და მისგან ნატყორცნი ოროლით განგმირული ბრძოლის ველზე დაეცა.

ზოგიერთი მითოგრაფოსი ამ ორ სარპედონს აერთიანებს.

3. ბუმბერაზი, ***პოსეიდონის*** ძე, რომელიც მოკლა ***ჰერაკლემ***.



*სარპედონის სიკვდილი. კრატერის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 510 წ.), ნიუ-იორკი, მეტროპოლიტენის მუზეუმი.*

**სატირები** – ბერძ. ტყის მცირე ღვთაებები; ნაყოფიერების ***დემონები***, რომლებიც თან სდევდნენ დიდ ***დიონისეს***.

ძველ საბერძნეთშივე არავინ იცოდა, საიდან გაჩნდნენ სატირები ან რამდენნი იყვნენ. მათ ყველგან ხვდებოდნენ. სატირებს ჩლიქებით დაბოლოებული ფეხები ჰქონდათ და წელამდე ხშირი ბეწვით იყვნენ დაფარულნი, კუდიც კი ებათ. წელის ზემოთა ნაწილი ადამიანური ჰქონდათ, მაგრამ მსხვილი, წითელი ტუჩებით, თხის წვერითა და წაწვეტებული ყურებით ცხოველებს უფრო ემსგავსებოდნენ. ზოგიერთ სატირს (სატიროსს) პანის მსგავსად თავს რქებიც ება. ეს სატირები ტყეში ***ნიმფებთან*** ერთობოდნენ, მოხეტიალე ყარიბებს სხვადასხვა ოინს უწყობდნენ, მწყემსებს ცხვრებსა და თხებს ჰპარავდნენ, მიწის მუშებს უსაფრთხებოდნენ და აფრთხობდნენ. მათი საყვარელი ღმერთი იყო დიონისე, რომელსაც თურმე ბავშვობისას სალამურზე დაკვრით ართობდნენ. ალბათ ამიტომ დიონისესაც განსაკუთრებით უყვარდა ეს მხიარული არსებები, რომელთაც ღვინოს ასმევდა და გვერდიდან არ იცილებდა.



*დიონისე და სატირები. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 480 წ.), პარიზი, ეროვნული მუზეუმი.*

სატირთა მუდმივი ***ატრიბუტები*** იყო თირსოსები, ფლეიტები, გუდები და ღვინის ჭურჭელი.

რომაელი პოეტები ერთმანეთისგან აღარ განარჩევდნენ ***პანებს***, ***ფავნუსებს***, ***სილენოსებსა*** და სატირებს.

თანამედროვე მეტყველებაში სატირი (სატიროსი) მთვრალი და ავხორცი არსების სინონიმია.

**სატურნალიები** – რომ. ***სატურნუსისა*** და მისი მეუღლის, ***ოპსის***, პატივსადები ზეიმები რომში. სატურნალიებს რომაელები ყოველწლიურად აღნიშნავდნენ დეკემბრის ბოლოს და მთელი კვირა ქალაქში საკარნავალო განწყობილება სუფევდა. იმართებოდა ლხინი, ბატონები თავიანთ მონებს გულუხვად უმასპინძლდებოდნენ და ადამიანთა სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. ამ დროს ყოველი მიწიერი თანაბარი უფლებებით სარგებლობდა, ქრებოდა შუღლი, დროებით ჩერდებოდა სამსჯავროთა საქმიანობა, არ ისჯებოდნენ მსჯავრდებულები, საომარ მიზნებზე ფიქრიც კი იკრძალებოდა.

სატურნალიების დღეებში ნაცნობები

ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიდნენ: უმეტესწილად თაფლის სანთლებს, კოჭებს, თასებს, კანდელებსა და თიხის თოჯინებს. ამას ემატებოდა სახუმარო წერილები და თავშესაქცევი ლექსები. ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა შემთვრალი ბრბო და ხალხს ასეთი შეძახილით იწვევდა გარეთ: „ოი, სატურნალია!“ იმპერატორები საზეიმო თამაშებს აწყობდნენ და შესვენების დროს მათი ბრძანებით დამსწრე საზოგადოებას საჩუქრები ურიგდებოდა.

**სატურნუსი** – რომ. ნათესთა ღმერთი. უძველესი ხანიდანვე სატურნუსის კულტი ***კრონოსის*** კულტს შეერთო და ბერძენი ღვთაების ყოველ მითოსში მისი სახელი გაჩნდა. ბერძენი ***რეას*** თანაგვარი იყო აგრეთვე სატურნუსის მეუღლე, ნათესთა და მოსავალთა ღვთაება ***ოპსი***.

გავრცელებული მითოსის თანახმად, ***ზევსისგან*** დევნილი სატურნუსი დასახლდა ლაციუმში, სადაც ***იანუსმა*** სამეფო სკიპტრა უბოძა. ასე მოევლინა იტალიას, რომელსაც ზოგჯერ „სატურნუსის ქვეყანას“ უწოდებდნენ, პირველი მეფე. სატურნუსმა ასწავლა თავის ხალხს მიწათმოქმედება, მევენახეობა და სხვა სასიცოცხლო საქმეები. მოგვიანებით სატურნუსს დროის ღვთაებადაც მიიჩნევდნენ ისევე, როგორც კრონოსს, მისი მმართველობის პერიოდს კი „ოქროს ხანას“ უწოდებდნენ. კაპიტოლიუმის ბორცვის მისადგომებთან მდებარეობდა სატურნუსის საკურთხეველი, რომელიც თითქოს იანუსს (სხვა ვერსიით, ***ჰერკულესს***) აღემართავს. მოგვიანებით აუგიათ ტაძარიც სატურნუსისა და მისი მეუღლის, ოპსის, სახელზე. სატურნუსის პატივსადებ ზეიმებს რომში ***სატურნალიები*** ეწოდებოდა და მას დეკემბრის მეორე ნახევარში აღნიშნავდნენ. 19 დეკემბერს კი, „ოქროს ხანის“ მოსაგონებლად, მონებს ათავისუფლებდნენ და მათ ბატონები ემსახურებოდნენ.

სატურნუს–კრონოსის სახე, თავის შვილებს რომ შთანთქავს, ხშირად გვხვდება ლიტერატურაში.

**სეთი** – ეგვიპტ. მით. ოსირისის უმცროსი ძმა, რომელიც მტრობს მას, კლავს და ცდილობს მოიხვეჭოს მისი ადგილი, სასიკვდილოდ ემტერება და დასდევს მოსაკლავად ოსირისის პირმშოს და მემკვიდრეს ხორს. საბოლოოდ, ისისის თავგანწირული მეცადინეობით და ღმერთების ჩარევით სეთი მარცხდება და სამართლიანობა აღდგება. ოსირისის მემკვიდრეობას ხორი მიიღებს.

**სეკურიტასი** – რომ. ქალღმერთი, რომელიც სახელმწიფოს და მოქალაქეთა უსაფრთხოებას განასახიერებდა. მას ღირსეულ ქალბატონად წარმოსახავდნენ, ხშირად სვეტთან მდგომს, რომელსაც მარჯვენა ხელი ჰქონდა ზეაპყრობილი. მისი ***ატრიბუტები*** იყო: სკიპტრა, სიუხვის რქა და ზეთისხილის ან დაფნის რტო.

**სელენე** – ბერძ. „სინათლე“, „ბრწყინვალება“; „სხივნათელი“. მთვარის ღვთაება; ზოგჯერ მას „მენ“ – საც უწოდებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ მისი კულტი აღმოსავლეთიდან უნდა შემოსულიყო. სელენეს წარმოშობის მითოსი მზეს უკავშირდება. იგი ***ტიტანების, ჰიპერიონისა*** და ***თეას*** ასულია. არსებობს ისეთი მითოსიც, სადაც სელენეს ***ჰელიოსის*** (მზის) ასულად მოიხსენიებენ. მისი ***ატრიბუტებია*** ფრთები და ოქროს გვირგვინი. ძველების წარმოდგენით, მზის დახდომისას შებინდულ ცაზე მიმქრალი სხივი რომ გამოჩნდებოდა, ეს მთვარის სხივი იყო: დაგრეხილრქიან ხარებს ნელი სვლით მოჰყავდათ ეტლი, რომელზეც იდგა თეთრ სამოსში გამოწყობილი სელენე. იგი მიძინებულ დედამიწას ვერცხლისფრად ანათებდა და ღამისეულ სიმშვიდეს ჰგვრიდა. როდესაც მთვარე თავის სავალ გზას გაივლიდა, ***ოკეანოსში*** ეშვებოდა.

ერთ–ერთი მითოსი გვიამბობს სელენესა და ***ზევსის*** სიყვარულზე, რომლისგანაც იშვა პანდეა. უფრო გავრცელებულია სელენესა და ***ენდიმიონის*** სიყვარულის ამბავი: უზადო მშვენიერებით მბრწყინავ ენდიმიონს მარადიული ძილით ეძინა. როდესაც მას თვალი ჰკიდა სელენემ, მოეწონა და ყოველ საღამოს მის მღვიმეში იწყო დახდომა. ნაღვლიანი მზერით დასცქეროდა ხოლმე იგი მიძინებულ ჭაბუკს. ბერძენთა რწმენით, სწორედ ამ უიმედო სიყვარულის გამოა ესოდენ სევდიანი მთვარე.

ხშირად სელენეს აიგივებდნენ ***არტემისთან, ჰეკატესთან*** ან ***პერსეფონესთან***. გადატანითი მნიშვნელობით, სელენეს მთვარეს უწოდებდნენ. ცნობილმა მწერალმა უელსმა დაწერა რომანი სახელწოდებით: „მთვარის პირველი ადამიანები“ და მთვარის პირველმოსახლეებს სელენიდები უწოდა.

**სემელე** – ბერძ. თებეს მეფის, ***კადმოსისა*** და ***ჰარმონიას*** ასული; ***ინოს*** და, ***ზევსის*** სატრფო და ***დიონისეს*** დედა. ვარაუდობენ, რომ სემელე მიწის უძველესი ფრიგიული ქალღმერთი იყო.

ყველაზე ცნობილი მითოსი სემელეზე დიონისეს დაბადების ამბავს გვამცნობს: ზევსს შეუყვარდა მშვენიერი სემელე და მოკვდავის სახით იწყო მასთან გამოცხადება. მუცლადღებული მეფის ასული ეჭვიანმა ***ჰერამ*** იმსხვერპლა. იგი მეხისტეხაში დაიღუპა (იხ. ***დიონისე***), მაგრამ გადარჩა მისი შვილი, დიონისე და როდესაც წამოიზარდა, მიწისქვეშა სამეფოდან ამოიყვანა ძვირფასი დედა, ***თიონე*** უწოდა და ***ოლიმპოსზე*** დააყენა უკვდავთა შორის.

სემელეს კულტს დიდხანს სცემდნენ თაყვანს თებეში, ხოლო მითოსი სემელეზე და დიონისეს დაბადებაზე მრავალ ქმნილებაში აისახა (ევრიპიდეს „ბაკქი ქალები“; ნონოსის პოემა „დიონისიაკა“ და სხვა).

**სენექტუსი** – რომ. სიბერის ქალღმერთი; ***ნიქსისა*** (ღამის) და ***ერებოსის*** (წყვდიადის) ქალიშვილი.

ზოგიერთი რომაელი მწერლის თანახმად, სენექტუსი ცხოვრობს მიწისქვეშა სამყაროს შესასვლელში, სიკვდილთან დაკავშირებულ სხვა სულებთან ერთად.

**სერაპისი** – (სარაპისი). ელინისტური ეგვიპტის ერთ–ერთი უმთავრესი ღვთაება. მისი კულტი



*სელენე. კილიქის ფერწერა (ძვ.წ. 490 წ.). ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმი.*

ძვ.წ. IV საუკუნეში შეიქმნა ეგვიპტურ და ბერძნულ რელიგიურ წარმოდგენათა შერთვის შედეგად. ეგვიპტის ბერძენი მეფეები, პტოლემაიოსები, ლამობდნენ ბერძნულ და ეგვიპტურ კულტურათა ელემენტების შერწყმას და სერაპისის კულტის დამკვიდრებას. სერაპისის სახეში გაერთიანდა ეგვიპტის მომაკვდავი და აღორძინებადი მცენარეული ღვთაების, *ოსირისისა* და ნაყოფიერებისა და



*სერაპისი. ბაზალტი. ალბანის ვილა.*

მიწისქვეშა სამყაროს ბერძენ ღმერთთა (*ჰადესისა* და სხვათა) თვისებები. ამასთანავე, ვითარცა წყალდიდობების განმგებელი, სერაპისი ემსგავსებოდა *პოსეიდონს*, ხოლო ვითარცა მზის ღვთაება – *აპოლონს*. სერაპისს მიიჩნევდნენ წინასწარმეტყველადაც, უბედობათა განმარიდებლადაც და მკურნალადაც.

სერაპისის კულტი გავრცელდა საბერძნეთშიც, მთელს რომაულ იმპერიაშიც, სადაც ის ოფიციალურად დაამკვიდრა იმპერატორმა კალიგულამ და ბაქტრიაშიც. სერაპისის ტაძრებს სერაპეუმებს უწოდებდნენ. ძვ.წ. III საუკუნეში ტაძარი ამ სახელწოდებით აიგო ალექსანდრიაში. ეს ტაძარი ცნობილი იყო თავისი უზარმაზარი ბიბლიოთეკით, სადაც 40 ათასზე მეტი გრაგნილი ინახებოდა. იგი ჩვ.წ. 391 წელს დაანგრიეს ფანატიკოსმა ქრისტიანებმა.

სერაპისს წარმოსახავდნენ მოწიფულ კაცად, *ზევსის* ან ჰადესის სახით, წვერებით, ბერძნული სამოსითა და თავზე ნაყოფებით სავსე კალათით.

**სეშათი** – ეგვიპტ. „მწერალი“, დამწერლობის და ცოდნის ქალღმერთი, მშენებელთა მფარველი; თოთის ასული (და ან ცოლი); მისი ნიშანი შვიდქიმიანი ვარსკვლავია, რომელიც თავზე ადგას.

**სეხმეთი** – ეგვიპტ. „ძალმოსილი“, მემფისური წარმოშობის და მთელს ეგვიპტეში გავრცელებული ლომსახიანი მძვინვარე



*სეხმეთი. გრანიტი (დაახ. ძვ.წ. 1400 წ.). პარიზი, ლუვრი.*

ქალღმერთი, „რაეს თვალი“, რომელიც რაემ ადამიანთა გასანადგურებლად ჩამოგზავნა. ამ აზრით, იგი მზის გადამბუგველი მცხუნვარების განსახიერებაა. მოგვიანებით იგი ფთახის ცოლი შეიქნა (მათი შვილია ნეფერთუმი), ე.წ. მემფისური ტრიადა. როგორც ომის ღვთაებად, სეხმეთი ფარაონს ახლავს ბრძოლებში, იფარავს მას და ამარცხებინებს მტრებზე.

**სთენო** – ბერძნ. „ძლიერი“. *გორგოთაგანი*.

**სიბითი** – ბაბილონ. „შვიდნი“, „შვიდეული“, დაბალი რანგის ღვთაებანი ანუ დემონები, რომლებიც ერთდროულად არიან ნაშობნი და ერთად მოქმედებენ. გავრცელებული ტრადიციის თანახმად ისინი ცის ღმერთის, ანუსა და მიწის ნაშიერნი არიან (მსგავსად ელინური მითოლოგიის ტიტანებისა და გიგანტებისა, რომლებიც აგრეთვე ცისა – ურანოსის და დედამიწის – გეას შეილები არიან). მათი შობა ამგვარად არის გადმოცემული ტექსტში: „ანუ, ღმერთების მეფე, დედამიწას შეეუღლა; დედამიწამ შვიდი ღმერთი დაუბადა და შვიდეული დაარქვა სახელად“. მიუხედავად იმისა, რომ სიბითი განუცალკევებელი ერთიანობაა, მათმა მშობელმა თითოეულს განსაკუთრებული უნარი და ფუნქცია მიანიჭა. ერთს ცეცხლის ძალა აქვს, მეორე ზარის დამცემია, მესამეს ლომის მძვინვარება აქვს, მეოთხე მთების დამამხობელია, მეხუთე ქარის, მეექვსეს ასპარეზი შეუზღუდავია, მეშვიდე გველეშაპის შხამით არის დატენილი. ანუმ შვიდეული განსაზღვრული მიზნით შექმნა: სიბითი უნდა დაეხმაროს ერას ხალხის განადგურებაში, თუ მათმა ხმაურმა შეაწუხა იგი. სიბითიმ უნდა წააქეზოს ერა და აღძრას იგი სამოქმედოდ, გაუღვიძოს ბრძოლის წყურვილი. ამგვარი სიტყვებით მიმართავენ ისინი ერას, რომელიც „საპყარივით დამჯდარა ქალაქში, ომში წაუსვლელივით დიაცთა საჭმელს ჭამს და ომის უმეცარივით ძრწის და კანკალებს!...“ ამრიგად, ამ შვიდეულში განხორციელებულია ბრძოლის საწყისი (ქიში), რაც უპირისპირდება ქალაქში დავანებულ მშვიდობას.

ბაბ. დემონოლოგიაში ცნობილია სხვა შვიდეული, აგრეთვე სიბითის სახელწოდებით, ავსულნი, რომლებიც ადამიანებზე არიან გაბოროტებულნი (წვიმასავით ღვრიან მათ სისხლს, უგლეჯენ ხორცს და ძარღვებიდან სისხლს უწოვენ).

სიბითი ის დემონებია, რომელთაც შთანთქმული ჰყავთ მთვარე გარკვეული პერიოდის მანძილზე.

**სიბილა** – ბერძნ. წინასწარმეტყველთაგანი. იხ. *სიბილები*.

**სიბილას წიგნები** – საბერძნეთში ძვ. წ. IV საუკუნეში შეაგროვეს ბერძენ *ქურუმთა* მისნობანი. გადმოცემათა თანახმად, კუმელი *სიბილას* ლექსად (ჰეგსამეტრით) გამოთქმული წინასწარმეტყველებანი პალმის ფურცლებზე ცხრა წიგნად ჩაუწერიათ. მისანმა ქალმა ეს წიგნები შესთავაზა რომის მეფეს, ტარკვინიუს პრისკუსს (სხვა ვერსიით, ტარკვინიუს ამაყს). ხოლო როდესაც ტარკვინიუსმა უარი თქვა მათ ყიდვაზე, სამი წიგნი დაწვა. მეორეჯერაც შესთავაზა სიბილამ თავისი წიგნები მეფეს და როდესაც კვლავ არ ისურვა მათი ყიდვა ტარკვინიუსმა, კვლავ სამი წიგნი დაწვა. ბოლოს *ავგურთა* რჩევით, მეფემ სრულ ფასად სამი წიგნი შეიძინა. რომში დაიძებნა აგრეთვე წინასწარმეტყველებათა სხვა კრებულები: ტიბერისის სიბილას, ალბუნეას მისნობანი და „წიგნნი ძმათა მარტიუსთა“. სიბილათა წიგნები ბერძნულ, ხოლო მარტიუსთა–ლათინურ ენაზე

ყოფილა დაწერილი. ამ მისნობათა კრებულებს ერთი სათაურით აერთიანებდნენ და მას ,,სიბილას წიგნებს'' უწოდებდნენ. იგი ინახებოდა კაპიტოლიუმის ***იუპიტერის*** ტაძარში, ქვის ყუთში და ძვ.წ.84 წელს ხანძრის ალში დაიფერფლა. ამის შემდგომ შემორჩენილ მისნობათაგან შეადგინეს ახალი კრებული იმავე სახელწოდებით, რომელიც მოგვიანებით შეავსეს იმპერატორებმა ავგუსტუსმა და ტიბერიუსმა. კრებულის დაცვა და მისი განმარტება სიბილას ქურუმებს ევალათ. მეფეთა ხანაში ამ კოლეგიას ორი ქურუმი წარმოადგენდა, მოგვიანებით უფრო მეტი. ისინი ვალდებულნი იყვნენ სენატის წინაშე სათანადო დროს განემარტათ სიბილას მისნობანი. სიბილას წიგნებს არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგაც. შემორჩა წინასწარმეტყველებათა 12 წიგნი, რომელშიც გასაოცარი ძალისხმევით არის შერწყმული ბერძნულ-რომაული, იუდეური და ქრისტიანული წარმოდგენები.

**სიბილები** – ბერძნ. ლეგენდარული მისანი ქალები, რომლებიც ძირითადად ავბედით მომავალს წინასწარმეტყველებდნენ.

პირველი სიბილა ტროელი ყოფილა, ***დარდანოსისა*** და ნესოს (სხვა ვერსიით, ***ზევსისა*** და ლამიას) ასული. ტრადიციის თანახმად, იგი თურმე თავისი გრძნეულებით გამოირჩეოდა და ამიტომ სხვა გრძნეული ქალებისთვისაც მისი სახელი შეურქმევიათ. ასე იქცა საკუთარი სახელი სიბილა საზოგადო სახელად.

პირველი სიბილათაგანი მოიხსენიება დელფოს ლეგენდაში. მას ჰეროფილე ერქვა და ***ტროას ომის*** წინასწარმეტყველებას მიაწერდნენ. ელინისტურსა და რომაულ ხანებში არსებობდა 2, 4, 10 და 12 სიბილა, რომელთაც მათივე ადგილსამყოფელის მიხედვით მოიხსენიებდნენ. მცირე აზიაში ცნობილია ფრიგიელი, კოლოფონელი და ერითრეელი სიბილები; ბერძენი ავტორები ასახელებენ სამოსელ და დელოსელ სიბილებს; სხვადასხვა ტექსტებში ვხვდებით სპარს, ქალდეველ, ეგვიპტელ თუ პალესტინელ სიბილებსაც. რომში აღმატებულად ცნობილი ყოფილა კუმელი სიბილა. მითოსის თანახმად, იგი ***აპოლონს*** შეჰყვარებია, დიდ ღვთაებას მისთვის მისნობის ნიჭი და ხანგრძლივი სიცოცხლე უბოძებია. კუმელ სიბილას ათასი წელი უცხოვრია ამქვეყნად. იგი ჩვეულებრივი მოკვდავივით მოხუცებულა და ასეთ ბებერს, სახედაღარულს, თმაგათეთრებულს განულევია საოცრად გრძელი სიცოცხლე. თავის მისნობას იგი ლექსებად (ჰეგსამეტრებით) წარმოთქვამდა. ეს მისნობანი პალმის ფურცლებზე ჩაუწერიათ და მისთვის სიბილას წიგნები უწოდებიათ.

**სიდური** – ბაბილონ. ქალღმერთი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გილგამეშის ეპოსში გვხვდება. წარმოშობით ეს სახელი არც შუმერულია და არც აქადური; შესაძლოა ხურიტულ სამყაროს უკავშირდებოდეს (ერთ ბუნდოვან კონტექსტში სიდური თითქოს ,,ქალწულს'' უნდა ნიშნავდეს). იგი სრულიად განმარტოებით ცხოვრობს მზის დასავლეთით, ქვეყნის მიღმა, ზღვის შუაგულში მდებარე კუნძულზე. მისი ეპითეტია ,,მევაქინე'', რაც თითქოს უნდა მიუთითებდეს ამ ქალღმერთის ფუნქციაზე, რომელიც მას ჩვენამდე მოუღწეველ მითოსში უნდა ჰქონოდა (გილგ. ეპოსში გაკვრით არის ნათქვამი, რომ მას ,,ჭურჭელს უმზადებენ'' ღმერთები). თუმცა ეს ეპითეტი სავსებით შეესაბამება მის სულისკვეთებას, როცა მოუწოდებს გილგამეშს უზრუნველი და მხიარული ცხოვრებისაკენ. ამ მხრივ, იგი ენათესავება კირკესა და ნიმფა კალიფსოს; განსაკუთრებით ამ უკანასკნელთან მას აახლოებს მისი დახასიათება: ,,საბურველით იბურება'' (შდრ. ,,ვფარავ''). ჰომეროსის ,,ოდისეას'' მიხედვით კალიფსოც კაცთა საცხოვრისიდან შორს დასავლეთით ბინადრობს კუნძულ ოლიგიაზე. სიდურის მსგავსადვე მისი კუნძულიც ოკეანეს ,,ჭიპთან'' მდებარეობს. ერთ საცნობარო ლურსმულ ტექსტში სიდური გაიგივებულია იშთართან, კერძოდ, ,,სიბრძნის იშთართან'', თუმცა სხვაგან არსად არ არის დადასტურებული მისი ამგვარი ბუნება. გილგამეშის ეპოსში მისი ბაგეებით ღაღადებს ყოვლადღიური, ყოფითი სიბრძნე, – ეს ის სიტყვებია, რითაც მას სურს დააბრკოლოს სიცოცხლის აზრის საძიებლად დაძრული გმირი:

*აწ სავსე გქონდეს სტომაქი, გილგამეშ,*
*დღისით და ღამით განუწყვეტლივ ილხენდე,*
*დღენიადაგ მართავდე ნადიმს,*
*დღისით და ღამით როკავდე, მღეროდე,*
*სპეტაკი სამოსელი გემოსოს,*
*თავს განიბანდე, ტანს განიბანდე,*
*ზრუნავდე ჩვილზე, ხელით რომ გეჭირება,*
*შენს მკერდზე ხარობდეს მეუღლე შენი,*
*რამეთუ ესაა ხვედრი კაცისა.*

*ერითრეელი, დელფოს და ლიბიის სიბილები. მიქელანჯელოს ფრესკები (1508-1512 წ.წ.). რომი, ვატიკანი.*










სილენოსი ჩვილი დიონისეთი. ლისიპოსის ქანდაკების რომაული ასლი (ძვ.წ. IV ს. II ნახევარი). პარიზი, ლუვრი.



სილენოსი პომპეიდან. ბრინჯაო (ძვ.წ. II–I ს.ს.). ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი.

**სილევსი** – ბერძნ. თესალიელი ან ლიდიელი ავაზაკი, რომელიც ***ჰერაკლეს*** მოუკლავს.

მევენახე სილევსი თავს ესხმოდა ამვლელ–ჩამვლელებს და მის ვენახში მუშაობას აიძულებდა, შემდეგ კი კლავდა. როდესაც ჰერაკლე დედოფალ ***ომფალეს*** ემსახურებოდა (იგი იფიტოსის მკვლელობის გამო იხდიდა სასჯელს), ვერ აიტანა სილევსის ავაზაკობა, მოკლა იგი და მისი ვენახი გაანადგურა.

**სილენოსი** – ბერძნ. ***დემონი***; ***ჰერმესისა*** (ან ***პანის***) და ერთ–ერთი ***ნიმფას*** ვაჟი; ***დიონისეს*** აღმზრდელი.

თავდაპირველად მრავალი სილენოსი არსებობდა. მათ მცირე აზიის იონიელები და ფრიგიელები წყაროთა და მდინარეთა უძველეს ღვთაებებად მიიჩნევდნენ და ცხენ–კაცებად წარმოიდგენდნენ. საბერძნეთში ეს სილენოსები (სილენები) დიონისეს ამალას შეუერთდნენ და ადამიანებს დაემსგავსნენ. ზოგჯერ მათ ცხენის კუდებითაც წარმოსახავდნენ; საბოლოოდ ისე მოხდა, რომ სილენებმა დაკარგეს თავდაპირველი სახე და ერთიანად მიემსგავსნენ ***სატირებს***. დარჩა ერთადერთი სილენოსი, რომელსაც დიონისეს აღმზრდელად თვლიდნენ. ეს იყო კეთილი მოხუცი, რომელიც მუდამ მთვრალი დაბარბაცებდა. იცოდნენ სატირებმა, რომ მას ღვინო უყვარდა და არასოდეს აკლებდნენ ამ ღვთაებრივ სასმელს. როდესაც სილენოსს სადმე ხის ძირას ჩაეძინებოდა, რაც ძალიან ხშირად ხდებოდა, მის გარშემო თავს მოიყრიდნენ ხოლმე მშვენიერი ნიმფები და ყვავილების გირლიანდებით ბოჭავდნენ. მოხუცი მათზე არ ბრაზობდა. პირიქით, გამოფხიზლებული უამბობდა საოცარ ამბებს. ხოლო ნიმფები სულგანაბულნი უსმენდნენ მანამ, ვიდრე მიმწუხრი მთის ფერდობებს ეფინებოდა. ბრძენი ღვთაება იყო სილენოსი. მან დიდებულად იცოდა წარსულიცა და აწმყოც. ამასთანავე საოცარი სიმახვილით ჭვრეტდა მომავალს. თავისი მხიარული და გულგახსნილი ბუნების გამო მას ხშირად უხმობდნენ წვეულებებზე და სიყვარულით მასპინძლობდნენ. მართალია, იგი მიამიტად გამოიყურებოდა, მაგრამ მახვილი და ცოცხალი გონება ჰქონდა და ამის გამო ხშირად იწვევდნენ ოლიმპოსზეც, სადაც ღმერთებს თავშესაქცევი ამბებით, ოხუნჯობებითა და თავისი მხიარული ფილოსოფიით ახალისებდა.



სილენოსი და სატირები. პომპეის ფრესკა (ძვ.წ. I ს.).

სილენოსის ***ატრიბუტები*** იყო ღვინის გუდა, თასი, გვირგვინი და ვირი, რომლითაც მოგზაურობდა. ანტიკური ხანიდან ჩვენამდე სილენოსის მრავალი გამოსახულება შემორჩა. ყველაზე ცნობილი მათ შორის არის სკულპტურული ჯგუფი „მთვრალი სილენოსი ჩვილი დიონისეთი", რომელიც ლუვრში ინახება.

**სილვანუსი** – რომ. ტყეთა ძველიტალიკური ღვთაება, რომელსაც ***პანთან*** აიგივებდნენ. იმპერიის ეპოქაში სილვანუსს სახლისა და კარ–მიდამოს მფარველად თვლიდნენ.

სილვანუსის კულტი გავრცელებული იყო ღარიბთა და მონათა შორის. ამიტომ მას წარმოსახავდნენ გლეხკაცის სამოსით, ნამგლითა და მცენარეული ნაყოფებით. მისი მუდმივი თანამგზავრები იყვნენ კარ–მიდამოს მფარველებად შერაცხული თხა, ძაღლი და გველი.

**სილვიუსი** – რომ. „ტყისა". ***ენეასისა*** და ლავინიას ძე. სხვა ვერსიით, მას ***ასკანიუსის*** ვაჟადაც მიიჩნევდნენ.

გავრცელებული მითოსის თანახმად, ენეასის უფროსმა ძემ, ***იულუსმა*** (ასკანიუსმა) დააარსა რა ალბა–ლონგა, ქალაქ ლავინიაში სამეფო ტახტი სილვიუსს დაუთმო. იულუსის გარდაცვალების შემდეგ სილვიუსი ალბა–ლონგაშიც გამეფდა და სილვიუსთა სამეფო მოდგმის მამამთავარი შეიქნა. სწორედ ამ მოდგმის ჩამომავლები იყვნენ რომის ფუძემდებლები, ***რომულუსი*** და ***რემუსი***.

**სიმპლეგადები** – ბერძნ. მითოსური კლდეები, რომლებიც შავი ზღვის შესასვლელში საშინელი ძალით ეხლებოდნენ ერთმანეთს. მათ მოხეტიალე კლდეებსაც უწოდებდნენ პოეტები და ზოგჯერ სხვა მოხეტიალე კლდეებში, ***პლანქტებში***, ურევდნენ. ბერძენმა მწერალმა აპოლონიოს როდოსელმა თავის პოემაში, რომელსაც „არგონავტიკა" უწოდა, სიმპლეგადები აღმოსავლეთში მოათავსა, ხოლო პლანქტები – დასავლეთში, ***სკილასა*** და ***ქარიბდისის*** მახლობლად. მას შემდეგ, რაც კოლხეთისაკენ მიმავალმა ***არგონავტებმა*** მშვიდობით გაცურეს სიმპლეგადებში, მრისხანე კლდეებმა მოძრაობა შეწყვიტეს და მათ შორის უსაფრთხოდ იწყეს ხომალდებმა მოგზაურობა.

**სიმურღი** – ირან. არწივის მსგავსი ბუმბერაზი ფრინველი, რომელიც ითავსებს თავის თავში სი-



*სიმურღი. მინიატურა (1590-1600 წ.წ.). ლონდონი. კერძო კოლექცია.*

კეთისა და ბოროტების საწყისებს. მფარველობს როგორც კეთილ, ისე ბოროტ გმირებს. მან უდაბნოში იპოვა და თავის ბუდეში გამოზარდა განთქმული ირანელი გმირი ზალი. სიმურღი ჩამოგავს შუამდინარული მითოლოგიის ფრთოსანს ანზუდს, ასევე ქართული ხალხური ზღაპრების ფასკუნჯს.

**სინი** – შუმ. და ბაბ. მთვარის ღმერთის გავრცელებული სახელი, სემიტური წარმოშობისა, რომლის კვალი შეიძლება შემორჩენილი იყოს სინაის მთისა და სინის უდაბნოს სახელწოდებებში. მთვარის შუმ. სახელწოდებაა ,,ნანნა‘‘ ან ,,ნანნარ‘‘, რომელიც გააზრებულია აქად. ენობრივ სინამდვილეში ,,ნათლად‘‘, ,,შუქად‘‘. შუამდინარულ მოგვიანო პანთეონში სინი მეორე ტრიადის პირველი წევრია (სინი, შამაში, ადადი); სხვადასხვა ტრადიციით მიჩნეულია ანუს ან ენლილის პირმშოდ (დურანქიში შობილად); თუმცა ზოგიერთ თეოლოგიურ ტექსტში გამოცხადებულია (როგორც ჩანს, მთვარის ფაზების თავისებურების საფუძველზე) ,,ნაყოფად, რომელიც თავისთავად იბადება‘‘. სინი, როდესაც მისი მნათობური გამოხატულება სავსე მთვარეა იწოდება ,,ოცდამეათე დღის ღმერთად‘‘, ,,თვის ბატონად‘‘, ,,შარავანდის ბატონად‘‘ და, ბუნებრივია, რომ ამ დროს მისი საკრალური რიცხვია 30 (ამ ნიშნითვე იწერება ზოგჯერ მისი სახელი). როდესაც სინი ახალი მთვარეა, მისი სიმბოლოებია ნავი, რქადასხმული ხარი და ნამგალი; აქედან მოდის მისი ეპითეტები: ,,ცის დიდი ნავი‘‘, ,,ბრწყინვალე ნამგალი‘‘, ,,დიდი ცის ნამგალი‘‘, ,,რქამაღალი‘‘ და სხვ.

სინი, როგორც ღამის მნათობის სახით გამოვლენილი ღვთაება, მომთაბარე მესაქონლეთა მფარველია, ამიტომაც მისი ეპითეტები, მეტაფორული სახელები და მითოლოგემები შინაურ ცხოველთა სამყაროდან მოდის. იგი წარმოდგენილია ხან ხბოდ (,,მნათობი – ბრწყინვალე ხბო‘‘, ,,ენლილის ჩვილი ხბო‘‘), ხან ხარად, რომელსაც მიწიერ სადგომში ჰყავს ფური (,,ნანარის ფური, თავის ბოსელში რომ ბრწყინავს‘‘). სინის სადგომი ბოსლები მიმოფანტულია მთელს შუმერში (,,რა უამრავი ცხვარია, რა უამრავი ძროხაა! სინის სადგომებში რა უამრავია! შავმატყლიანები ლაჟვარდით ბრწყინავენ, თეთრი ფურები ამომავალ მთვარესავით არიან!‘‘).

სინი თავისი სიტყვით, სხვა არაფერია, თუ არა მისივე ნათელი, მოქმედებს წყლის სტიქიაზე. მისი სიტყვა იწვევს წყლის მიქცევა-მოქცევას: ,,ოდეს შენს სიტყვას ზღვაზე გადააფენ, – ღელავს ზღვა; ოდეს შენს სიტყვას ჭაობზე გადააფენ, – კვნესის ჭაობი; ოდეს ტიგროსს და ევფრატს გადააფენ, – დინება მშვიდდება დღითა და ღამით‘‘. ან: ,,წმინდა ევფრატი წყლით ივსება – ნანარისგან არის! მდინარეები და არხები წყლით ივსება – ნანარისგან არის! დიდი და მცირე ჭაობები წყლით ივსება – ნანარისგან არის!‘‘

სინის ანუსა და ენლილისგან ურის მეფობა აქვს ჩაბარებული. ამიტომაც ური, ,,მისი საყვარელი ქალაქია‘‘, სადაც დავანებულია იგი თავის ღვთაებრივ დედრულ ცალთან, ნინგალთან ერთად; აქ არის მისი მთავარი საკულტო ადგილი (ექიშნუნგალის ტაძარი). სინი არის ,,ურის გვირგვინი‘‘, რომელიც ზემოდან აფრქვევს მასზე სხივებს. სინი როგორც ურის მფარველი ღვთაება, ზრუნავს ქალაქზე: იგი მიემგზავრება ნიფურს, თავის სამშობლო ქალაქში, რომ თავის მშობელს, ენლილს გამოსთხოვოს კურთხევა ურისთვის (,,მომეცი წილი შენი სიუხვიდან ურში წასაღებად‘‘) – როგორც მატერიალური დოვლათის სახით (მდინარეში თევზები, ყანებში ხორბალი, ბაღ-ვენახებში ხეხილი, თაფლი და ღვინო, ტყეში გარეული ცხვრები და თხები), ისე სასიცოცხლო ძალის სახით (,,დღეგრძელობა სასახლეში‘‘).

**სინისი** – ბერძნ. ავაზაკი, რომელსაც ,,პიტიოკამპტესსაც‘‘ უწოდებდნენ, რაც ქართულად ,,ფიჭვის მზნექელს‘‘ ნიშნავს. ამ ბუმბერაზს ასე იმიტომ უწოდეს, რომ ფლობდა გასაოცარ ძალას: შეეძლო ისე მოეზნიქა ფიჭვები, რომ მათი კენწეროები მიწას შეხებოდა. ბოროტი იყო სინისი. როდესაც გზად მიმავალ მგზავრს დაინახავდა, მოხრილი ფიჭვის კენწეროს ხელში დააკავებინებდა, თავად კი მოულოდნელად განზე გადგებოდა. მოზნექილი ხე სწორდებოდა და ისეთი ძალით ასტყორცნიდა ხოლმე მაღლა მგზავრს, რომ საბრალოს ჰაერშივე გული უსკდებოდა. უფრო ხშირად კი სინისი დაიჭერდა გამვლელს, მოხრიდა ფიჭვებს, დატყვევებულის ერთ ხელს ერთი ხის კენწეროზე მიაბამდა, მეორე ხელს–მეორეზე, შემდეგ ხეებს აუშვებდა და კაცი შუაზე იხლიჩებოდა. ეს ავაზაკი მისივე გამოგონილი ხერხით მოკლა ***თესევსმა*** და თავისი გამარჯვების აღსანიშნავად დააწესა ***ისთმოსური თამაშები***.

**სირენები** – ბერძნ. მომღერალი ქალჩიტები; ***აქელოოსისა*** და ***ტერფსიქორეს*** (სხვა ვერსიით, ***ფორკისისა*** და კეტოს ან სტეროპეს) ქალიშვილები.

თავდაპირველად სირენები, გასაოცარი სილამაზის ზღვის ქალწულები, ***დემეტრეს*** ამალის წევრები ყოფილან. ისინი შეესწრნენ ***ჰადესის*** მიერ ***პერსეფონეს*** მოტაცებას და ეს ამბავი დიდ ქალღმერთს არ გაუმხილეს. განრისხდა დემეტრე და სირენები ქალჩიტებად გარდასახა.

სირენები მოსახლეობდნენ შუაგულ ზღვაში, კუნძულ ანთემოესაზე, რომელიც ადამიანის ძვლებითა და გამომშრალი ტყავებით იყო მოფენილი. ისინი, ქალჩიტა ***ჰარპიებისგან*** განსხვავებით, თავს კი არ ესხმოდნენ ადამიანებს, არამედ ჯადოსნური გალობით ხიბლავდნენ და თავისი კუნძულისაკენ იზიდავდნენ. მონუსხული ადამიანები კი თავისით იღუპებოდნენ სწორედ მაშინ, როდესაც სირენებისკენ ისწრაფვოდნენ.

***ოდისევსი*** გრძნეული ***კირკეს*** რჩევით გადაურჩა სირენათა საბედისწერო გალობას. მიუახლოვდა თუ არა მათ კუნძულს, თანამგზავრებს უბრძანა, ყურები ცვილით ამოევსოთ. თავად კი, რადგანაც მეტისმეტად აინტერესებდა ფრთოსანთა საოცარი ხმის გაგება, ანძაზე მიბმულმა გაუძლო საცთურს. ასე რომ, ოდისევსი პირველი იყო, ვინც სირენათა სიმღერა მოისმინა. სასოწარკვეთილი ქალჩიტები კი ამის გამო ზღვაში ჩაცვივდნენ და დაიღუპნენ.

არსებობობს სირენათა დაღუპვის სხვა ვერსიაც: როდესაც ***არგონავტები*** მიუახლოვდნენ ჯადოსნური ფრთოსნების კუნძულს, ***ორფევსმა*** თავისი სიმღერით გადაფარა მათი გალობა. ,,არგომ‘‘ მშვიდობით ჩაუქროლა ანთემოესას, სირენები კი კლდეებად გარდაისახნენ.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, თავიანთი სიმღერით გაამაყებულმა სირენებმა ***მუზები*** გამოიწვიეს შეჯიბრში, მაგრამ დამარცხდნენ. მუზებმა კი, გამარჯვების ნიშნად, მა-



ოდისევსი და სირენები. სტამნოსის ფერწერა (ძვ. წ. 475 წ.). ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.

თი ბუმბულებისგან დაწნული გვირგვინებით შეიმკეს თმები. სირენები ზღვაში გადაეშვნენ და მის სიღრმეში დასამარდნენ. ასეთი იყო მათი ბედისწერა: უნდა ეცოცხლათ მანამ, ვიდრე სიმღერით ჯობნიდნენ ყველას.

ანტიკურ ხელოვნებაში სირენებს წელს ზემოთ ქალად, წელს ქვემოთ კი ჩიტის ფეხებით ან თევზის კუდით წარმოსახავდნენ.

**სირინგსი** – ბერძნ. ***ნაიადა***.

***პანმა***, როდესაც თვალი ჰკიდა მშვენიერ სირინგსს, დაედევნა და მანამ სდია, ვიდრე საბრალო ნაიადა მდინარეში არ გადავარდა. სირინგსი ლერწმად გარდაისახა. როდესაც ქარი უბერავდა, ეს ლერწამი ირხეოდა და სევდიან ხმებს გამოსცემდა. პანმა ამ ხისგან გამოთალა თავისი სტვირი და მას მშვენიერი ნაიადას მოსაგონებლად სირინგსი უწოდა.

**სისიფოსი** – (სიზიფე) ბერძნ. მეფე ***ეოლოსისა*** და ენარეტეს ვაჟი; ***პლეიადა*** მეროპეს მეუღლე; გლავკოსის მამა; ***ბელეროფონის*** პაპა.

სისიფოსს მიიჩნევდნენ კორინთოს აღმშენებლად. მითები მას წარმოგვიდგენდნენ გონიერ, მოხერხებულ და ეშმაკ კაცად, რომელსაც თვად ღმერთების მოტყუებაც კი შეეძლო. მაგრამ ეს ჯერ არ იცოდნენ ცისიერებმა და თავისი გონიერების გამო სისიფოსს დიდ პატივს სცემდნენ. ასე განსაჯეთ, ოლიმპიურ ნადიმებზეც კი იწვევდნენ. მიუხედავად ხანდაზმულობისა, სისიფოსი მხნედ გამოიყურებოდა, რადგანაც ნექტარი და ***ამბროსია*** აჯანსაღებდა მის მიწიერ სხეულს.

ერთი ნაკლი ჰქონდა ამ ჭარმაგ მეფეს – მეჭორე იყო. ***ოლიმპოსიდან*** დაბრუნებულს მუდამ წამოსცდებოდა ხოლმე ღმერთთა შორის ნათქვამი სიტყვა. დიდსულოვანნი იყვნენ ცისიერები და ამიტომაც პატიობდნენ. მაგრამ ერთხელაც სისიფოსმა ისეთი საიდუმლო გაამხილა, რისი გათქმაც არ ეგებოდა: როდესაც ***ზევსმა*** მოიტაცა მდინარეული ღვთაების, ასოპოსის ასული ეგინა, სისიფოსმა მამას მომტაცებელი დაუსახელა. განრისხდა ზევსი და სიკვდილის ღვთაება თანატოსს უბრძანა, ამ ქვეყნიდან მოეცილებინა ეს მეჭორე. მაგრამ ჭკვიანმა სისიფოსმა წინასწარ იცოდა, რაც ელოდა. ის ჩაუსაფრდა ***თანატოსს***, შეიპყრო, ბორკილები დაადო და სარდაფში ჩაკეტა. სიკვდილის ღვთაების გაუჩინარებით სამყაროსეული ჰარმონია დაირღვა: ადამიანები აღარ კვდებოდნენ. ***ჰადესს*** რომ მიცვალებულთა აჩრდილები შემოაკლდა, ზევსს შესჩივლა. მან კი სისიფოსს მიუგზავნა ომის მრისხანე ღვთაება ***არესი***, რომელმაც იოლად გაათავისუფლა დატყვევებული თანატოსი. როგორც კი სიკვდილის ღმერთმა თავისი ძალა დაიბრუნა, წამისუმალ გარდაიცვალა სისიფოსი, რომელმაც სიკვდილის წინ ცოლს უბრძანა, არ დაეკრძალა მისი სხეული. ცოლმა ბრძანება აღასრულა. ბერძენთა რწმენით, დაუსაფლავებელ სულს არ შეეძლო აჩრდილთა სამეფოში შეღწევა. ჰოდა, სისიფოსიც მდინარე ***სტიქსის*** ნაპირებთან დაეხეტებოდა და ხმამაღლა მოთქვამდა. ისეთი გამაბეზრებელი იყო მისი გოდება, რომ ჰადესის მეფეს მიჰგვარეს. ხმამაღალი ტირილით ამცნო მას სისიფოსმა, რომ უღირსმა ცოლმა მისი სხეული დაუკრძალავი დატოვა, რის გამოც მიცვალებულთა სამეფოში შესვლა ეკრძალებოდა. შემდეგ კი სთხოვა, დედამიწაზე დაბრუნების ნება დაერთო, რათა მეუღლე დაესაჯა და ყველაფერი წესისამებრ აღესრულებინა. თანაც აღუთქვა, რომ სამ დღეში უკან დაბრუნდებოდა. ჰადესმა თხოვნა შეუსრულა.

მაგრამ როგორც კი სისიფოსმა მზის ნათელი იხილა, პირობა დაივიწყა, და კიდევ დიდხანს იცოცხლა ქვეყნად. ღმერთებმა კი, მთელი სამყაროს საქმეები რომ აბარიათ, სულ დაივიწყეს იგი. ამის შემდეგ მითოგრაფოსები სისიფოსს მრავალ სიავეს მიაწერდნენ: ერთ-ერთი მითოსი მას (და არა ***ლაერტეს***) ოდისევსის მამად მიიჩნევს და აი, როგორ: სისიფოსს მოსწონებია ანტიკლეა და მისი საქმროს, ლაერტესის სახით გამოცხადებულს უცდუნებია. ამ სატრფიალო ღამის შემდეგ დაბადებულა, თურმე, ბერძენთა უსაყვარლესი გმირი ოდისევსი.

სხვა მითოსი უფრო საშინელ ამბავს გვამცნობს: სისიფოსს განუზრახავს თავისი ძმის, სალმონევსის დაღუპვა. მისთვის ცნობილი გამხდარა ასეთი მისნობა: სალმონევსს მოკლავდნენ მისივე შვილიშვილები. ოღონდ ისინი სისიფოსის შვილები უნდა ყოფილიყვნენ. იფიქრა, იფიქრა სისიფოსმა და სალმონევსის ასული, საკუთარი ძმისშვილი, ტირო შეაცდინა. ტირომ კი მამის გადასარჩენად თავისივე ხელით გამოასალმა სიცოცხლეს ახალშობილი ვაჟები.

სხვა მზაკვრობანიც ჩაუდენია თურმე სისიფოსს: იგი ძარცვავდა და კლავდა მგზავრებს, აჩანაგებდა ატიკას, თავს ესხმოდა მეზობელ ქვეყნებს. ამ ბოროტებათა გამო სი-



სისიფოსი. ამფორის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 420 წ.). მიუნხენი, ანტიკური ხელოვნების მუზეუმი.

სიფოსი უმძიმეს სასჯელს იხდის იმქვეყნად: მაღალსა და ციცაბო მთაზე უზარმაზარ ლოდს ეზიდება. დიდი ჯაფითა და ოფლისღვრით მიაღწევს თუ არა მთის თხემს, ლოდი ხელიდან უვარდება და ძირს ეშვება. სისიფოსიც უკანვე ჩადის, რათა სასჯელი აღასრულოს და ყველაფერს თავიდან იწყებს. ასე გრძელდება დღემდე.

სისიფოსის მითი სხვადასხვა ინტერპრეტაციით ფართოდ აისახა ანტიკურ ლიტერატურაშიც (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, კრიტიასი) და გამომსახველობით ხელოვნებაშიც (სამოსელი ჰერას ტაძრის მეტოპები; ტიციანის და ჯორჯონეს ფერწერული ტილოები). ხოლო გამოთქმები: „სისიფოსის ჯაფა", „სისიფოსის ლოდი" მყარად დამკვიდრდა თანამედროვე მეტყველებაში მძიმე, უაზრო და დაუსრულებელი საქმის გაგებით.

**სიუხვის რქა** – ჯადოსნური რქა, რომელშიც მოთავსებულია ყოველივე ის, რაც მის მფლობელს სურს.

ახალშობილი ***ზევსი*** კუნძულ კრეტაზე იზრდებოდა. იგი კეთილმა თხამ, ***ამალთეამ***, გამოკვება თავისი რძით. ერთხელ ამალთეამ რქა მოიტეხა. ეს რქა ***ნიმფებმა*** იპოვნეს, ხილით ამოავსეს და ზევსს მიართვეს. მეტისმეტად უყვარდა ზევსს ამალთეა. მისი მოტეხილი რქა რომ იხილა, ღვთაებრივი ხელი შეახო და ჯადოსნური ძალა მიანიჭა. შემდეგ იგი თავის აღმზრდელ ნიმფებს უბოძა და განუცხადა, რომ ამალთეას რქაში ისინი აღმოაჩენდნენ ყოველივეს, რასაც კი მოისურვებდნენ. ასე გაჩნდა ქვეყნად „სიუხვის რქა", რომელიც სიმდიდრისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ იქცა.

„სიუხვის რქა" ***გეას***, ***ტიქეს***, ***ფორტუნას***, ***პლუტოსისა*** და სხვა ღმერთების ***ატრიბუტებად*** ითვლება.

**სიფარი** – ბაბილონ. მზის მთავარი საკულტო ქალაქი ჩრდილო შუმერში. შუმ. „მეფეთა სიის" თანახმად, სიფარი არის რიგით მეოთხე ქალაქი, სადაც დამკვიდრდა მეფობა, რომელსაც 28000 წლის მანძილზე ასრულებდა ვინმე ენმედურანა; აქედან მეფობა გადასულა წარღვნამდელი ცივილიზაციის უკანასკნელ ქალაქში, შურუფაქში. სხვა, ალბათ ადგილობრივი, ტრადიციით, სიფარს – „მარადიულ (ან დასაბამიერ) ქალაქს" ენლილის განგებით არ შეხებია წარღვნის გამანადგურებელი ნიაღვარი. სიფარის გამორჩეულობას ადასტურებს წარღვნის ბაბილონური მითოსის ბერძნულ ენაზე შემორჩენილი ვერსია, რომლის მიხედვითაც წარღვნის წინ აქ იქნა ჩამარხული ბაბილონეთის მთელი ისტორიის („უწინარესი, შუა და უკანასკნელი ამბების") შემცველი თიხის ფირფიტები, რათა წარღვნის შემდეგ ამოეთხარათ და მათ საფუძველზე აღედგინათ დაღუპული ცივილიზაცია.

**სიქეოსი** – ფინიკიელი. ***დიდონას*** მეუღლე, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით. მას სხვაგვარად აკერბასსაც უწოდებდნენ. სიქეოსი მოკლა მისივე ძმამ, ***პიგმალიონმა***.

**სკამანდროსი** – ბერძნ. ღმერთი და მდინარე, რომელიც ტროას მახლობლად მიედინებოდა. ***ტევკროსისა*** და კალიროეს მამა.

***ტროას ომის*** დროს ***აქილევსმა*** ტროელთა გვამებით ამოავსო სკამანდროსი. განრისხდა მდინარის ღვთაება, ნაპირებიდან გადმოვიდა და გმირს დაედევნა. ნაპირებიდან გადმოვიდა ... ჩაახრჩობდა კიდეც ალბათ თავის ზვირთებში, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია, რადგანაც აქილევსს ღმერთები მოევლინნენ მხსნელად. მდინარისა და გმირის ორთაბრძოლის ეს სურათი დიდი მხატვრული ოსტატობით არის აღწერილი ჰომეროსის „ილიადაში" (XXI).

**სკვითოსი** – ბერძნ. სკვით მეფეთა მითოსური მამამთავარი. ***ჰერაკლესა*** (სხვა ვერსიით, ***ზევსის***) და ***ექიდნას*** ძე.

ერთხელ ჰერაკლე ადრიატიკის სანაპიროზე ჯოგს მიერეკებოდა. ჰერამ მის ჯოგს მიუჩინა კრაზანა, რომელმაც სკვითიის უდაბნოში გაღენა შეწუხებული ძროხები. ერთ ცივ ღამეს ჯოგის დევნით დაღლილმა ჰერაკლემ ძილს მისცა თავი. გამოღვიძებულმა აღმოაჩინა, რომ გამქრალიყვნენ მისი ცხენები, რომლებიც მას ეტლიდან გამოეხსნა და საბალახოდ მიეშვა. ჰერაკლემ შემოიარა მთელი მიდამო. ბოლოს მიადგა ტყით დაფარულ ადგილს, რომელსაც ჰილეა ეწოდებოდა. აქ იყო მღვიმე, სადაც ბინადრობდა უცნაური არსება: ნახევრად ქალი, ნახევრად გველი, რომელმაც განუცხადა ზევსის ღვთაებრივ ძეს, რომ ცხენები მას ჰყავდა გადამალული და იმ შემთხვევაში დაუბრუნებდა, თუკი მასთან სარეცელს გაიზიარებდა. უხალისოდ დასთანხმდა ჰერაკლე, ხოლო წასვლისას ჩამოიხსნა მშვილდი, სარტყელი, რომელსაც ოქროს თასი ეკიდა და ამ უცნაურ გველ-ქალს, თავის თავს რომ ექიდნას უწოდებდა, დაუბარა: თუ სამი ვაჟი დაიბადება, ვინც ჩემსავით მოზიდავს მშვილდს და შემოიკრავს სარტყელს, ის გაამეფე შენს სამფლობელოში. მალე ექიდნამ სამი ტყუპი შვა. მათგან უმცროსმა სახელად რომ ერქვა სკვითოსი, შეასრულა მამის პირობა და დასაბამი მისცა სკვითების სამეფო მოდგმას.

სკვითთა მეფენი მუდამ ატარებდნენ სარტყელს, რომელზეც ოქროს თასი ეკიდა.

**სკილა** – ბერძნ. 1. ურჩხული: ***ფორკოსისა*** და ***ჰეკატეს*** (ან ***ექიდნას***) ასული.

ძველების წარმოდგენით, სკილას ექვსი თავი ჰქონდა და თითოეულ ხახაში წამახული კბილები სამ მწკრივად ეწყო; სხეულზე კი თორმეტი ფეხი ება. იგი იტალიისა და სიცილიის გამყოფი სრუტის ვიწროებთან მღვიმეში ბინადრობდა. მის მოპირდაპირედ მეორე საზარელი ურჩხული, ***ქარიბდისი*** ბუდობდა. მათ შორის გავლა მეზღვაურთათვის თითქმის შეუძლებელი იყო. დიდი ძალისხმევით გადალახეს ეს სრუტე ***ოდისევსმა*** და ***არგონავტებმა***.

თავდაპირველად სკილა მშვენიერი ***ნიმ-***



*სკილა. ბარელიეფი (ძვ.წ. V ს. II ნახევარი). ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.*

ფა ყოფილა. ეულად ყოფნის მოსურნე ყველა მამაკაცს განირიდებდა. ერთხელ იგი ზღვის ღვთაება გლავკოსმა იხილა, მოეწონა და მასთან მიახლოება მოისურვა. შეშინდა სკილა, გაექცა მდევარს და მიიმალა. დაღონებულმა გლავკოსმა საშველად გრძნეულ *კირკეს* მიმართა. არ ეამა კირკეს გლავკოსის სტუმრობა, რადგანაც თავად შეჰყვარებოდა ზღვის ღვთაება. ჯადო-წამლები მოამზადა და იმ მღვიმესთან მივიდა, სადაც სკილა ისვენებდა ხოლმე. იქვე, მორევში, კირკემ ჯადო-სითხე ჩაასხა, შელოცვები წარმოთქვა და თვალს მიეფარა. მალე სკილაც მოვიდა, მისდა უნებლიედ მორევში აღმოჩნდა და ექვსთავიან ურჩხულად გარდაისახა. მას შემდეგ ბუდობს სკილა ვიწრო სრუტის მახლობლად მდებარე მღვიმეში და დაღუპავს უქადის ყოველ მეზღვაურს, ვინც მის მახლობლად აღმოჩნდება.

2. მეგარას მეფის, *ნისოსის*, ასული, რომელმაც დაღუპა მამა ამოაძრო რა თმის ჯადოსნური ღერი.

**სკირონი** – ბერძნ. ავაზაკი, რომელიც მეგარას შემოგარენში ცხოვრობდა; *პელოფსის* (ან *პოსეიდონის*) ძე.

მეგარას შესასვლელთან ციცაბო კლდეები იყო აღმართული. მათ ძირში ერთმანეთს ეხეთქებოდნენ ზღვის ზვირთები. ერთ-ერთი კლდის თხემზე დაედო ბინა ავაზაკ სკირონს, რომელიც გამვლელებს იჭერდა და აიძულებდა მისთვის ფეხები დაებანათ. როგორც კი მგზავრი დაიხრებოდა, ბოროტი ავაზაკი ფეხს აუქნევდა და თავის მსხვერპლს ზღვის ზვირთებში ისროდა. იქ ჩავარდნილს კი შემზარავი კუ ელოდა, რომელიც უმალ ნთქავდა საბრალოს.

სკირონი მოკლა *თესევსმა* და ამ მოვლენის აღსანიშნავად, ერთ-ერთი მითოსის თანახმად, დააწესა *ისთმოსური ასპარეზობანი*.

**სმირნა** – (მირრა) ბერძნ. *ადონისის* დედა.

**სოლარული კულტი** – ასტრალური კულტის ნაირსახეობა, რომელიც მზის თაყვანისცემას გულისხმობს.

**სოლი** – რომ. „მზე". იხ. *ჰელიოსი*.

**სომა** – ინდ. „ნაწური", ღმერთების სასმელი, რომელიც ციდან ინდრას ფრინველმა არწივმა ჩამოიტანა. თავად ინდრა ბავშვობისას დედის რძის ნაცვლად სომათი იკვებებოდა. სომასთვის თასი ღვთაებრივმა ხელოვანმა თავად ტვაშტარმა გამოჭედა. ერთხანს სომა განდჰარვების ხელში იყო, ისინი დარაჯობდნენ მას, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს. წარმოშობით ინდური სიტყვა სომა იგივეა, რაც ირანული ჰაომა.

**სოსპიტა** – რომ. იხ. *სოტერი*.

**სოტერა** – ბერძნ. იხ. *სოტერი*.

**სოტერი** – ბერძნ. „მხსნელი", „მფარველი" ეპითეტი იმ ღმერთებისა, რომელთაც ადამიანთა თუ სახელმწიფოთა მფარველებად თვლიდნენ. ეს ღმერთები იყვნენ: *ზევსი*, *პოსეიდონი*, *აპოლონი*, *ასკლეპიოსი* და სხვები. ქალღმერთებისათვის არსებობდა ამ ეპითეტის მდედრობითი ფორმა – სოტერა (რომში – სოსპიტა).

ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული, როდესაც სამეფო ხელისუფლებამ ღვთაებრივი სახე მიიღო, „სოტერი" ანტიგონიდების, ლაგიდების, სელევკიდებისა და ზოგიერთ რომაელ მთავარსარდალთა (მაგ. პომპეუსის) ეპითეტადაც იქცა.

ადამიანთა თუ ლაშქართა ხსნის სამადლობელ მსხვერპლს სოტერიებს უწოდებდნენ.

სოტერის სახელი და ფუნქციები ქრისტიანობამაც მიიღო.

**სპარტები** – ბერძნ. ბუმბერაზი მეომრები, რომლებიც მიწიდან აღმოცენდნენ (სპარტოსი ანუ „დანათესარი").

როდესაც კადმოსმა მაღალ ბორცვზე ციხე-სიმაგრე ააგო და კადმეა უწოდა, წესისამებრ, სამსხვერპლოც აღმართა. მსხვერპლშეწირვისათვის აუცილებელი წყლის მოსატანად წყაროზე მსახურები გაგზავნა. რომ არ დაბრუნდნენ, თავად გაემართა წყაროსკენ. იქ კი შემზარავი სანახაობა გადაეშალა თვალწინ: წყაროს თურმე *არესისა* და ტილფოსას ნაშიერი დრაკონი იცავდა. დრაკონს მსახურები შთაენთქა და ახლა კადმოსის წინააღმდეგ საბრძოლველად შემართულიყო. არ შედრკა მეფე და წყაროს მცველი დრაკონი იოლად განგმირა. შემდეგ, *ათენას* რჩევით, დრაკონს კბილები დააძრო და მიწაში ჩაფლა. მიწიდან იარაღასხმული მეომრები ამოცვივდნენ და ერთმანეთს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. ხუთი ბუმბერაზის გარდა ყველა დახოცა. გადარჩენილები კადმოსმა თავის ლაშქარში მიიღო და მათ სპარტები ანუ „დანათესარნი" უწოდა. ესენი იყვნენ: ექიონი (გველისეული), ხთონიოსი (მიწისეული), უდაიოსი (მიწისქვეშეთისეული), პელორი (გოლიათი), და ჰიპერენორი (ძალზე ძლიერი). ამ ხუთმა სპარტოსმა დასაბამი დაუდო თებეს დიდგვაროვანთა მოდგმას. ერთ-ერთ მათგანს კი, ექიონს, თავისი ასული *აგავე* შერთო კადმოსმა.

დრაკონის კბილებიდან აღმოცენდნენ ის მეომრებიც *არგონავტმა იასონმა* რომ ამოხოცა *კოლხიდაში*.

**სრაოშა** – ირან. „გაგონება", „მორჩილება", ღვთისმოსაობის განსახიერება, რომელიც უპირისპირდება ეშმას, მის თვითნებობას. იგი ავესტას მიხედვით, აჰურა-მაზდას მაცნეა. სრაოშა ცოცხლებს ცდუნებებისგან იხსნის და სწორ გზას უკვალავს. ლახტით, ლახვრითა და საბრძოლო ცულით უგერიებს მათ ბოროტ სულებს; ხოლო, როგორც საიქიოს ერთ-ერთი მოსამართლე, მკვდართა სამართალს განსჯის ჩინვატის ხიდზე გადასვლისას. სრაოშამ გამოსცადა ზარათუსტრა რწმენის სიმტკიცეში და დალოცა იგი წინასწარმეტყველად და სარწმუნოების მოძღვრად. სრაოშა განიცხადებს ქვეყნის დასასრულის საიდუმლოს მომავალ სამ საოშიანტს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით მოევლინებიან კაცობრიობას.

**სტეროპე** – ბერძნ. „ელვა" „ნათება".

ამ სახელით რამდენიმე მითოსური გმირია ცნობილი: 1. *პლეიადათაგან* ერთ-ერთი; 2. არკადიის მეფე კეფევსის ასული; 3. *აქელოოსის* მეუღლე, *სირენათა* დედა.

**სტიმულა** – რომ. ქალღმერთი, რომელიც *ბაკქ ქალებს* სიშმაგეს გვრიდა. აქედან მომდინარეობს სიტყვა სტიმულატორი, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა „წამქეზებელი" უნდა ყოფილიყო.

სტიმულას ზოგჯერ *დიონისეს* დედასთან, *სემელესთან*, აიგივებდნენ. ძველ რომში მისი სახელობის ჭალა ტიბერისის ხეობაში მდებარეობდა.

**სტიმფალიური ფრინველები** – ბერძნ. მითოსური კაციჭამია ფრთოსნები, რომლებიც არკადიის ქალაქ სტიმფალოსთან ბინადრობდნენ. მათ ბრინჯაოს ფრთები, ნისკარტები და კლანჭები ჰქონდათ. ისინი თავის ისარივით წამახულ ფრთებს სეტყვასავით უშენდნენ დედამიწას და უმოწყალოდ ანადგურებდნენ მიდამოებს.

ამ ფრთოსანთაგან ზოგი *ჰერაკლემ* ამოხოცა (გმირობა მეხუთე), ზოგიც ევქსინის პონტოსკენ (შავი ზღვისაკენ) გაფრინდა. იქ მათ მოგვიანებით *არგონავტები* აღმოაჩინეს.

**სტიქსი** – ბერძნ. ამავე სახელწოდების მქონე მდინარის ღვთაება; *ოკეანოსისა* და *ტეთისის* (სხვა ვერსიით, *ერებოსისა* და *ნიქსის*) ასული.

სტიქსი, ბერძენთა რწმენით, გარს ევლებოდა მიწისქვეშა სამყაროს. მისი მეუღლე იყო *ტიტანი პალასი*. მიუხედავად ამისა, ტიტანებისა და ახალი თაობის ღმერთების ბრძოლის ჟამს *ზევსს* საიმედოდ ამოუდგნენ მხარში სტიქსი და მისი შვილები: ძლეოსი-სწრაფვა, კრატოსი-ძალა, ბია-ძლიერება და



*ჰერაკლე და სტიმფალიური ფრინველები. ამფორას ფერწერა (ძვ.წ. 530 წ.). ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*

***ნიკე*** გამარჯვება. ამ სიკეთისათვის სტიქსს უდიდესი პატივი ხვდა: ზევსის ბრძანებით, იგი ღმერთთა და ადამიანთა უწმინდესი საფიცარი გახდა. ღმერთი, რომელიც სტიქსის სახელით ცრუ ფიცს დადებდა, სასტიკად ისჯებოდა: იგი ერთი წელი მიცვალებულივით იდო, მომდევნო ცხრა წლით კი ***ოლიმპოსიდან*** უნდა გადასახლებულიყო.

ამ მითოსში აისახა უძველესი წარმოდგენები წყლის მაგიურ ძალაზე.

**სტროფიოსი** – ბერძნ. ფოკისის მეფე, ***აგამემნონის*** დის მეუღლე, ***პილადესის*** მამა, რომელმაც თავის შვილთან ერთად ***ორესტესი*** აღზარდა.

**სუგრივა** – ინდ. მაიმუნების მეფე, რომელსაც ძმამ, ბალიმ, ტახტი წაართვა და სამეფოდან განდევნა. სუგრივამ რამას დახმარებით ორთაბრძოლაში დაამარცხა ბალი და სამეფო დაიბრუნა.

**სუმანუსი** – რომ. ღამისეულ ელვათა რომაული ღვთაება.

ვარაუდობენ, რომ სუმანუსის კულტი იუპიტერის კულტს მაშინ გამოეყო, როდესაც კაპიტოლიუმის ბორცვზე აღმართულ მის ქანდაკებას მეხი დაეცა. ბუნების მრისხანე მოვლენით დაშინებულმა რომაელებმა ღამისეულ მეხისმტეხელს პატივი მიაგეს და ტაძარიც აღუმართეს. მეცნიერთა აზრით, თავად სახელი „სუმანუსი", შესაძლოა, საბინური წარმოშობის იყოს.

**სუმუკანი** – ბაბილონ. ცხოველთა მეუფე ან ნადირთ ბატონი; მწყემსავს და იფარავს გარეულ მხეცებს და თავადაც ცხოველური ნიშნებით არის წარმოდგენილი როგორც მითოსში, ისე სახვით ხელოვნებაში (ფაჩვენიერი პირველკაცი ენქიდუ „ატარებს სუმუკანის სამოსელს"). მასზეა დამოკიდებული ყოველგვარი სახის გარეული პირუტყვის გამრავლება: ჯოგის განაყოფიერება სუმუკანის ძალით ხდება, რაკი იგი ატარებს ყოველი სულდგმულის თესლს: „მოგიყვან ბატკანს, რომელსაც ნერბი ჯერ არ შეხტომია, რომლის საშოში არ შესულა სუმუკანის თესლი"; „...სუმუკანი ამაკებს თავის ჯოგს, როგორც სათესი მანქანა ანაყოფიერებს დედამიწას და დედამიწა იღებს მის თესლს". როგორც ნაყოფიერების ღვთაება, იგი ხთონური ბუნებისაა და მას ეხვდებით ქვესკნელის ბინადართა შორის (იხ. გილგამეშის ეპოსში ენქიდუს სიზმარი, VII დაფა, სვ. IV, 49). ერთ სამედიცინო რიტუალურ ტექსტში ისმის ეხო სუმუკანის, როგორც მოკვდავი და აღმდგარი ღვთაების, მითოსისა, თითქოს იგი იშთარს უნდა ამოეყვანა ქვესკნელიდან. სნეული, რიტუალური აზრით მკვდარი, გაიგივებულია ქვესკნელში მყოფ სუმუკანთან და ამ უკანასკნელის „გაცოცხლება" სნეულის განკურნების საწინდრად არის მიჩნეული. როგორც ქართული მითოლოგიის ოჩოპინტრე, იგიც იწოდება „ნადირთ მწყემსად". ამავე დროს იგი არის „მთიანეთის მეფე" და მთებში მღერის ალალას სიმღერას.

**სურია** – ინდ. „მზე", მზის ღმერთი. სურია არის ღმერთების – მიტრასა და ვარუნას ყოვლისმხედველი თვალი. მას სდევნიდა, მოსვენებას არ აძლევდა ბოროტი რაჰუ. რაკი სურიას არაფერ ესარჩლებოდა, იგი დაემუქრა ღმერთებს, რომ მთელ ქვეყნიერებას გადაბუგავდა თავისი სიმხურვალით. ასეც მოხდებოდა, რომ მისთვის ბრაჰმასგან მიგზავნილ მეეტლეს თავისი სხეულით არ დაეფარა დედამიწა მზის დამღუპველი სხივებისგან.

**სუსანოო** – იაპონ. მით. ღვთაება, რომელიც იძანაკის განმწმენდელი წყლის წვეთისგან წარმოიშვა. სამყაროს განაწილებისას სამ ღმერთს შორის, სუსანოოს იძანაკიმ ოკეანე შეახვედრა, რისთვისაც უკმაყოფილო სუსანოომ იმზომამდე იტირა, რომ წვერები წელამდე ჩამოეზარდა, მისმა მოთქმამ ყველაფერი გაახმო გარშემო: მდინარეები, ზღვები, მდელოები, ტყიანი მთები... ბოლოს, გადაწყვიტა თავისი დედის იძანამის ქვეყანაში, მკვდართა სამეფოში წასულიყო. ამით უკმაყოფილო იძანაკიმ იგი განდევნა ტაკამა-მო ხარადან (ზეციური ვაკეებიდან). ვიდრე გაეცლებოდეს ღმერთების საყოფელს, სუსანოო განზრახ სჩადის სამ „ციურ დანაშაულს" რვათაგან: მოშლის ამატერასუს დამუშავებულ ყანებში მიჯნებსა და არხებს, გაასვინძურებს განავლით ღმერთების სანადიმო დარბაზს, ცოცხალი ცხენისგან გახდილ ტყავს დააგდებს ოთახში, სადაც ამატერასუ ციურ ფეიქრებთან ერთად წმიდა სამოსელს ქსოვს. ამით მან მოიჭრა უკან დაბრუნების გზები. ამიერიდან მიწაზე ჩამოსული სუსანოო ადამიანებზე მზრუნველი ღმერთი ხდება – იხსნის მათ რვათავიანი და რვაკუდიანი გველეშაპისგან, რომელიც ქვეყანას ჩაყლაპვით ემუქრებოდა. სხვა გადმოცემით, ამ დანაშაულებისთვის ციდან განდევნილი სუსანოო ხეტიალობს და სთხოვს ღმერთებს თავშესაფარს, მაგრამ ამაოდ – მას არავინ შეიფარებს და იგი იძულებული ხდება ქვესკნელს მიაშუროს, რისგანაც მას არავინ და არაფერი აკავებს.

**სუძანია** – ინდ. მოხუცი ბრძენის ჩიავანას ერთგული ცოლი. ერთხელ აშვინებმა – ორმა ძმამ, ნასატიამ და დასრამ ტბორიდან ბანაობის შემდეგ ამოსული სუქანია დაინახეს და მოიხიბლნენ მისი სილამაზით. შესთავაზეს ქალს, რომელიმე მათგანი აერჩია და ცოლად წაჰყოლოდა. სუქანიამ მიუგო, რომ მას ქმარი ჰყავდა, სხვას ვერ წაყვებოდა. მაშინ აშვინებმა უთხრეს: „რაში გარგია, მზეთუნახავო, გადაყრუებული მოხუცი. მიატოვე იგი და წამოგვყევი, ჩვენი სილამაზე არასოდეს დაჭკნება. ჩვენ მარადიული ჭაბუკე-

ბი ვართ“. სუქანიამ მიუგო, რომ ვერ უღალატებს ქმარს, მოხუცებული და მახინჯიც რომ იყოს. მაშინ აშვინებმა უთხრეს: „თუ გსურს, ჭაბუკობას დაუბრუნებთ შენს ქმარს და ჩვენ სამს შორის აირჩიე სასურველი“. დაეკითხნენ ჩიავანას და თანახმა გახდა.

მაშინ სუქანიაც დაეთანხმა. აშვინები და ჩიავანა ერთად ჩაეიდნენ ტბორში. სუქანია ნაპირზე უცდიდა მათ. როცა წყლიდან ამოვიდნენ და წარდგნენ ქალის წინაშე, მან ვერ განასხვავა ერთმანეთისგან ეს სამი ულამაზესი ჭაბუკი. სუქანიამ მათ შორის ვერ გამოიცნო თავისი ქმარი. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მაშინ ჩიავანამ ისეთი ნიშანი მისცა თავის ცოლს, რომელიც მხოლოდ მათთვის იყო ცნობილი. და სუქანიამაც ის აირჩია. ასე დაუბრუნდა ჩიავანას თავისი ერთგული ცოლი და ცოლთან ერთად სიჭაბუკეც.

**სფინქსი** – ბერძნ. ფრთოსანი ურჩხული; *ტიფონისა* და *ექიდნას* (სხვა ვერსიით, *ორთროსისა* და *ქიმერას*) ასული.

შემზარავი სანახავი იყო სფინქსი. მას ჰქონდა ქალის თავი და მკერდი, ლომის ტანი და კლანჭები, არწივის (ან ქორის) ფრთები, ხოლო კუდად გველის თავით დაბოლოებული გველი ება. იგი ბერძნული თებეს მახლობელ კლდეზე ბუდობდა. ამბობენ, ეს ურჩხული *ჰერამ* მიუგზავნაო თებეს *ლაიოსის* მიერ ქრისიპოსის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო. სფინქსი ყველა მგზაერს შთანთქავდა, ვინც კი ვერ გამოიცნობდა მის გამოცანას: „ვინ დადის დილით ოთხ ფეხზე, დღისით ორ ფეხზე, საღამოთი კი სამ ფეხზე?“ მას შემდეგ, რაც *ოიდიპოსმა* გამოიცნო ეს გამოცანა, სასოწარკვეთილი სფინქსი კლდეში გადაიჩეხა (სხვა ვერსიით, სფინქსი ოიდიპოსმა მოკლა).

სფინქსის სახე მრავალი ხალხის მითოსში გვხედება. ბერძნული სფინქსის მსგავსი გამოსახულებანი საქართველოშიც აღმოაჩინეს არქეოლოგებმა (ერთი მათგანი ანტიკური ხანით თარიღდება, მეორე–უფრო გვიანით). საბერძნეთში კი სფინქსის მითოპოეტური სახე ეგეიპტიდან უნდა იყოს ნასესხები, თუმცა გარკვეული სხვაობით: ეგვიპტურ სფინქსს ფრთები არა აქვს და არც კუდი უბოლოედება გველის თაეით. არსებობს ეგვიპტური ცხვრისთავიანი სფინქსებიც.

თანამედროვე მეტყველებაში სფინქსს შეუცნობელ ადამიანზე იტყვიან და აი, რატომ: სფინქსის გამოსახულებებს არქაული ღიმილი დასთამაშებთ სახეზე, რაც მათი ხასიათის იდუმალებაზე მიგვანიშნებს.

**სქერია** – ბერძნ. ფეაკთა კუნძული, სადაც მოხვდა *ოდისევსი* (იხ. *ფეაკები*).



*სფინქსი (ძვ.წ. 560 წ.). დელფო. არქეოლოგიური მუზეუმი.*

# ტ

**ტაგესი** – რომ. ეტრუსკული ღვთაება: ***გენიუსის*** ძე, ***იუპიტერის*** ბადიში. იგი გარეგნულად ბიჭუნასავით გამოიმზირებოდა, მაგრამ გასაოცარი სიბრძნითა და გონიერებით იყო ცნობილი. ტაგესი ადამიანებს მოულოდნელად გამოეცხადა: ქალაქ ტარკვინიას შემოგარენში გლეხი მიწას ხნავდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იხილა, თუ როგორ ამოხტა ხნულიდან პატარა ბიჭუნა. მხვნელმა ყვირილი მორთო. მოცვივდნენ ეტრუსკები და ყრიად გაიხარეს ახალი ღვთაების ხილვით.

ტაგესმა ეტრუსკებს ცხოველთა შიგნეულის მიხედვით მკითხაობა ასწავლა და გაქრა. მისი მოძღვრება ეტრუსკთა წინასწარმეტყველურ წიგნებში ჩაიწერა შთამომავლობისათვის გადასაცემად.

**ტავრობოლიები** – ბერძნ. „ტავრო-ბოლიის" ბერძნული სიტყვაა და „ხარის მკვლელს" ნიშნავს. ასე ეწოდებოდა ხართა მსხვერპლად შეწირვის წეს-ჩვეულებებს ძველ საბერძნეთში.

**ტაკამანა-ნო ხარა** – იაპონ. „მაღალი ცის ვაკეები" – ზეციური საუფლო, დიდი ღმერთების სამყოფელი, ***ამატერასუს*** საბრძანებელი, მიწის საპირისპიროდ, სადაც ადამიანები და მიწის სულები ცხოვრობენ.

**ტალარია** – რომ. ფრთიანი სანდალი, ***მერკურიუსის*** (***ჰერმესის***) ერთ-ერთი ***ატრიბუტი***.

**ტალასიო** – რომ. ქორწინების ღვთაება, რომელსაც ბერძნულ ***ჰიმენეოსთან*** აიგივებდნენ. მას მაშინ უხმობდნენ ხოლმე, როდესაც მექორწინეები სასიძოს კარის ზღურბლს მიადგებოდნენ.

„ტალასიო" რიტუალური შეძახილი იყო და მისი წარმომავლობა არ იცოდნენ რომაელებმა. ამიტომ შეთხზეს ლეგენდა, რომელიც ***საბინ ქალთა მოტაცებას*** დაუკავშირეს (იხ. ***რომულუსი***): ტალასიო რომულუსის უახლოესი თანამდგომი იყო, ამიტომაც მას საბინ ქალთაგან ულამაზესი შეურჩიეს. „ტალასიო, ტალასიო!" – ასე ყვიროდნენ რომაელები, როდესაც ქალწული მისი სახლისკენ მიჰყავდათ. ეს კი ნიშნავდა, რომ საბინი ქალწული ტალასიოსთვის იყო განკუთვნილი. მას შემდეგ დამკვიდრებულა ეს სახელი საქორწინო შეძახილად.

**ტალთიბიოსი** – ბერძნ. ***ტროას ომის*** მონაწილე, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლის, ***აგამემნონის*** მაცნე იყო და მის ბრძანებებს ასრულებდა. სპარტელებს მის სახელზე საკურთხევლიც კი აუგიათ და თაყვანს სცემდნენ, ვითარცა მაცნეთა მფარველს, რომელთაც მის ჩამომავლებად აღიარებდნენ და რომლებიც ელჩების მოვალეობას ასრულებდნენ სახელმწიფოში.

**ტალოსი** – ბერძნ. 1. ბრინჯაოს ბუმბერაზი, კრეტულ თქმულებათა გმირი.

ტალოსი ***ზევსმა*** (სხვა ვერსიით, ***ჰეფესტომ***) უბოძა მეფე ***მინოსს*** (ან ***ევროპეს***) კრეტას რომ მეთვალყურე ჰყოლოდა. ეს ბუმბე-

ბუმბერაზი ტალოსი. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. 400-390 წ.წ.). რუვო.



რაზი დღეში სამჯერ შემოიელიდა ხოლმე კუნძულს და თუ მტრულ ხომალდს თვალს მოჰკრავდა, უზარმაზარ ლოდებს სტყორცნიდა. თუ კი ისე მოხდებოდა, რომ უცხოელები უკვე ნაპირზე გადმოსხდებოდნენ, ტალოსი თავის სხეულს ცეცხლის ალზე გაივარვარებდა, ვეებერთელა მკლავებში მოიმწყვდევდა მომხდურებს და ხოცავდა.

ტალოსს თავის თხემიდან ტერფამდე გამავალი ერთადერთი სისხლგამტარი ძარღვი ჰქონდა. ქუსლზე ეს ძარღვი სარჭით იყო მიმაგრებული. ასე რომ, ქუსლი ტალოსის მოწყვლად ადგილად ითვლებოდა. როდესაც *არგონავტები* კრეტას მიადგნენ, გრძნეულმა *მედეამ* ტალოსს სიგიჟე შეჰყარა. გაშმაგებულმა ბუმბერაზმა წვერწამახულ ქვას წამოჰკრა მოწყვლადი ტერფი. ძარღვი გაიხსნა, სისხლმა იფეთქა და ტალოსი გარდაიცვალა.

არსებობს ასეთი ვერსიაც: მედეამ ტალოსი დაიმარტოხელა და უკვდავების პირობა მისცა. ოღონდ ბუმბერაზს ქუსლიდან სარჭე უნდა ამოეძრო. გულუბრყვილო ბუმბერაზმა ირწმუნა მისი. მაგრამ სისხლისგან დაიცალა თუ არა, სულიც განუტევა. სხვა მითოსის თანახმად კი, ტალოსი მოკლა არგონავტმა პეანტოსმა, რომელმაც მას *ჰერაკლეს* მოწამლული ისარი პირდაპირ ქუსლში მოახვედრა.

ვარაუდობენ, რომ ტალოსის მითის შეთხზვა დაკავშირებული იყო კრეტაზე არსებულ იმ ბრინჯაოს ქანდაკებებთან, მოგზაურებს რომ ანცვიფრებდნენ თავიანთი სიდიდით.

ტალოსს წარმოსახავდნენ მონეტებსა და ლარნაკებზე ფრთაშესხმულ ჭაბუკად, რომელიც ლოდებს ისროდა.

2. *დედალოსის* დისწული და მოწაფე, რომელმაც სამეთუნეო წრე და სხვა ხელსაწყოები გამოიგონა. იგი ისე დახელოვნდა, რომ ოსტატობით მოძღვარს აჯობა. შეშურდა დედალოსს და ნიჭიერი მოწაფე კლდიდან გადააგდო.

**ტანტალოსი** – ბერძ. 1. ფრიგიის სიპილოსის (ზოგი ვერსიით,არგოსის ან კორინთოს) მეფე; *ზევსის* (თუ ტმოლოსის) ძე; *პელოპსისა* და *ნიობეს* მამა; *ატრევსისა* და *თიესტესის* პაპა.

ტანტალოსი უდიდესი პატივის ღირსად სცნეს ციციერებმა. მას ხშირად იწვევდნენ *ოლიმპოსზე* სანადიმოდ გაშლილ ღვთაებრივ სუფრასთან. ვერ შეიფერა ეს პატივი მოკვდავმა კაცმა. *ამბროსია* და *ნექტარი* მოიპარა, რათა თავისი მეგობრებისათვის დაემტკიცებინა ღმერთებთან ყოფნის ამბავი. ჯერ კიდევ არ იყო ეს დანაშაული გახმაურებული, რომ ტანტალოსმა მეორეგზისაც შესცოდა: სიპილოსზე (თუ კორინთოში) მოიწვია *ოლიმპიელი* ღმერთები და მოეჩვენა, რომ მის საცავებში არ იყო საკმარისი საკვები. ამას დაერთო ისიც, რომ ტანტალოსმა ღმერთების გამოცდა განიზრახა. სურდა შეეტყო, მართლაც ყველაფერს ხედებოდნენ თუ არა ისინი. საამისოდ თაეისი ძე, პელოფსი აკუწა და სტუმრებს მიართვა. შეძრწუნებულმა ციიერებმა არ დააკარეს პირი საზარელ საკვებს. მხოლოდ *დემეტრემ, პერსეფონეს* დაკარგვით რომ იყო შეძრწუნებული, მიირთვა პელოფსის მხარი. ახლა კი განრისხდნენ ღმერთები და ტანტალოსის დასჯა განიზრახეს. თან ერთი ცოდვაც გაუხსენეს: მაშინ, როდესაც ზევსი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და კუნძულ კრეტაზე იზრდებოდა, ჰეფესტომ ოქროს ძაღლი გამოჭედა და *რეას* უძღვნა, რათა დარაჯად დაეყენებინა ღმერთების მომავალი მეუფისათვის. ეს ოქროს ძაღლი პანდარევსმა მოიპარა და ტანტალოსს მიაბარა გადასამალად. როდესაც მინელდა ამ ქურდობით გამოწვეული ხმაური, პანდარევსმა უკანვე მოითხოვა ძაღლი, მაგრამ ტანტალოსმა ზევსის სახელით დაიფიცა, რომ არა თუ არ უნახავს, არც არაფერი სმენია მასზე. ეს ფიცი ზევსსაც ესმა. იხმო *ჰერმესი* და ამბის გარკვევა დაავალა. მახვილგონიერმა ჰერმესმა ძალით თუ ეშმაკობით აღმოაჩინა ეს ძაღლი და ტანტალოსის მზაკვრობა განაცხადა.

ცრუ ფიცისათვის, ქურდობისათვის, ღმერთების გამოცდისათვის ტანტალოსმა საშინელი სასჯელი დაიმსახურა – მისი სამეფო განადგურდა, ხოლო თავად, *ჰადესის* ბნელ სამეფოში ჩაგდებული ითმენს მუდმივ სატანჯველს: მშიერ–მწყურვალი დღემდე გამჭვირვალე წყალში დგას. ტალღები ყელამდე სწვდებიან, მაგრამ საკმარისია, ოდნავ დაიხაროს წყურვილის მოსაკლავად, რომ წყალი ქრება, მხოლოდ ტალახი რჩება ფერხთა ქვეშ. თუ მოახერხებს და პეშვით აიღებს წყალს, უმალ თითებს შორის გაურბის: სველი ხელით თუ ტუჩს გაისველებს, წყურვილი უფრო უძლიერდება. ტანტალოსისკენ იხრებიან ტკბილი ნაყოფით დახუნძლული ვაშლის, ფინიკის, ზეთისხილის თუ ბროწეულის ხეთა რტოები, მაგრამ როგორც კი ხელს გაიწვდენს მათ მოსაწყვეტად, იმწამს ქარი ამოვარდება და ტოტები მაღლა იწევიან.

ამას ემატება ისიც, რომ მის თავს ზემოთ უზარმაზარი კლდე ირხევა, რომელიც წამდაუწუმ ჩამოვარდნითა და გასრესით ემუქრება ამ შიმშილით და წყურვილით გათანგულ მოკვდავს, რომელიც ოდესღაც ღმერთებთან ერთად შეექცეოდა ნექტარსა და ამბროსიას.

ტანტალოსის მითოსი ოლიმპიამდელი რელიგიის კუთვნილებაა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ იგი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გავრცელდა საბერძნეთში.

ტანტალოსის სახემ მხატვართა და პოეტთა ყურადღება ანტიკურ ეპოქაშივე მიიპყრო. მასზე სოფოკლეს ტრაგედიაც კი შეუქმნია. სამწუხაროდ, ამ ტრაგედიას ჩვენამდე არ მოუღწევია.

გამოთქმა „ტანტალოსის ტანჯვანი" თანამედროვე მეტყველებაში დამკვიდრდა სანუკვარი მიზნის მიღწევის შეუძლებლობის გამოსათქმელად.

2. თიესტესის ვაჟი, რომელიც *აგამემნონმა* მოკლა.

**ტანტალოსის ტანჯვანი** – იხ. ტანტალოსი.

**ტარპეა** – რომ. ასული იმ რომაელი მთავარსარდლისა, რომელსაც საბინებთან ბრძოლის ჟამს კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე ციხე–ბურჯის დაცვა ევალა.

საბინთა მეფემ მოისყიდა ტარპეა. აღუთქვა, რომ მისცემდა ყველაფერს, რაც კი ხელთ ექნებოდათ საბინ მეომრებს. ტარპეა ოქროს სამაჯურებს მოელოდა და ამ იმედით ციხის კარები გახსნა. საბინმა მეომრებმა, ხელთ რომ ჰქონდათ იმ ფარებით ჩაქოლეს მოღალატე რომაელი.

სხვა მითოსი გვამცნობს, რომ ტარპეა *რომულუსის* ბრძანებით გადააგდეს კლდიდან. ამ კლდეს ტარპევსი („ტარპეასეული") ეწოდა და მოგვიანებით იქიდან დამნაშავეების გადაგდებაც იწყეს.

**ტარტაროსი** – ბერძ. პირქუში სივრცე, რომელიც მიწის სიღრმეში მდებარეობდა, *ჰადესის* ქვეშ.

ტარტაროსი იმავე მანძილით არის დაშორებული დედამიწას, რა მანძილითაც თავად დედამიწაა დაშორებული ციდან. იგი წყვდიადის სამმაგი ფენითა და რკინის გალავნით არის გარშემორტყმული. მისი სპილენძის კარიბჭე *პოსეიდონის* ნახელავია. ტარტაროსის გარშემო მუდამ ბობოქრობს ქარიშხალი.

ტარტაროსშია *ნიქსის* (ღამის) სავანე. იქვე არიან დამწყვდეულნი *კრონოსი* და დამარცხებული *ტიტანები*, რომელთაც *ჰეკატონქეიროსები* დარაჯობენ.

ტარტაროსია ის ადგილი, სადაც უსასტიკესად ისჯებიან ცოდვილები. მათ დევნიან *ერინიები*, რომლებიც სინდისის მარადიულ და დამთრგუნველ ქენჯნას განასახიერებენ. შხამიანი გველებითა და ჩირაღდნებით ხელში დაქრიან ისინი მთელს ტარტაროსში და ცოდვილებს უთვალთვალებენ, რათა ბოლომდე დაითმინონ თავისი სასჯელი. ამ საქმეში მათ ეხმარებიან *კერები*, ადამიანთა სისხლს

მოწყურებული ჯოჯოხეთის ნაშიერები.

ჰესიოდესთან ტარტაროსი გაპიროვნებულია და პირველშობილ ღმერთთა შორის მოიხსენიება (იხ. *თეოგონია*). მისგან შვა *გეამ*(დედამიწამ) ურჩხულები – *ტიფონი* და *ექიდნა*.

**ტევკროსი** – ბერძნ. 1. ფრიგიის მდინარეული ღვთაების, *სკამანდროსის* ძე, რომელსაც ტროას პირველ მეფედ მიიჩნევდნენ. მისი სახელის მიხედვით, ზოგჯერ ტროელებს ტევკრებადაც მოიხსენიებდნენ მითოგრაფოსები.

2. *ტელამონისა* და *ჰესიონეს* ძე; *ტროას ომის* მონაწილე, უბადლო მოისარი.

**ტევმესიური მელა** – ბერძნ. მითოსური ურჩხული, რომელიც თებეს შემოგარენს ანადგურებდა. მისი მოკვლა *ამფიტრიონის* საგმირო საქმედ ითვლება.

**ტეთისი** – ბერძნ. *ტიტანიდა*; *ურანოსისა* და *გეას* ასული; *ოკეანოსის* და და მეუღლე; სამი ათასი *ოკეანიდისა* და ყველა მდინარის დედა.

ბერძენთა რწმენით, ტეთისმა მიანიჭა სასიცოცხლო ძალა ყველას და ყველაფერს, რაც არსებობდა. ამიტომ მას „ყოველთა დედად" მიიჩნევდნენ.

ტეთისმა და ოკეანოსმა შეიფარეს *ჰერა*, როდესაც მისი მომავალი მეუღლე, *ზევსი*, ტიტანებს ებრძოდა. *ოლიმპოსზე* დავანების შემდეგაც ღმერთების დიდი ქალბატონი ხშირად მოინახულებდა ხოლმე თავის აღმზრდელებს.

ოკეანოსი და ტეთისი ზღვის სტიქიას განასახიერებდნენ და მათ საერთო საკურთხევლებს უგებდნენ. მოგვიანებით ტეთისს *ისისთან* აიგივებდნენ. ხშირად ტეთისის სახელს მცდარად წარმოთქვამდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თეტისი *აქილევსის* დედას ერქვა.

**ტელამონი** – ბერძნ. 1. სალამისელი გმირი; *ეაკოსის* ძე, *პელევსის* ძმა, დიდი *აიასის* მამა.

როდესაც ტელამონი მამამ ეგინადან გააძევა, იგი კუნძულ სალამისზე დასახლდა და მრავალი საგმირო საქმის მონაწილე გახდა: *არგონავტებთან* ერთად იმოგზაურა *კოლხეთში*, *ინადირა კალიდონში*, თან ახლდა *ჰერაკლეს*, როდესაც გმირი ტროელებსა და ამორძალებს ებრძოდა. ტროას აღების შემდეგ ტელამონს ნადავლად ერგო *ჰესიონე*, რომელიც მოგვიანებით *ტევკროსის* დედა გახდა.

2. მეტსახელი იმ *ატლასისა*, რომელსაც მხრებზე ედგა ცის კაბადონი.

**ტელეგონოსი** – ბერძნ. „მამისგან მოშორებით დაბადებული" – ასე ერქვა *ოდისევსისა* და *კირკეს* ვაჟიშვილს.

ტელეგონოსის მითოსი მოგვიანებით შეუთხზავთ მითოგრაფოსებს. მათი გადმოცემით, ოდისევსმა კირკეს კუნძულზე ერთი წელი დაჰყო. ვაჟი კი მაშინ დაიბადა, როდესაც გმირი ითაკასაკენ გაეშურა. ტელეგონოსი რომ წამოიზარდა, კირკეს რჩევით, მამის საძებრად გაემართა. იგი მაშინ მიადგა კუნძულ ითაკას, როდესაც ოდისევსი იარაღით ხელში მომხდურებს ეომებოდა.

ჭაბუკი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება და შუბის წვერით განგმირა მამა. აღსრულდა *ტირესიასის* მისნობა. მან ხომ ოდესღაც განაცხადა: ზღვაში კი არა, ზღვიდან ისწრაფებსო სიკვდილი ოდისევსისკენ.

როდესაც ტელეგონოსმა გაიგო, რომ მოკლა მამა, მისი ნეშტი თავის ხომალდზე დაასვენა და დედის კუნძულისაკენ გაემგზავრა. თან გაიყოლა *პენელოპე* (რომელიც მოგვიანებით ცოლადაც შეირთო). გრძნეულმა კირკემ გააცოცხლა ოდისევსი. შემდეგ კი მასაც, პენელოპესაც და ტელეგონოსსაც უკვდავება მიანიჭა და სამთავე ერთად „*ნეტართა კუნძულებზე*" დაავანა.

**ტელემაქოსი** – ბერძნ. *ოდისევსისა* და *პენელოპეს* ვაჟიშვილი.

როდესაც ოდისევსი ტროელთა წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა, ტელემაქოსის აღზრდა *მენტორს* მიანდეს. ათი წელი იბრძოდა ოდისევსი, ათი შინ დაბრუნებას მოანდომა. ამასობაში დავაჟკაცდა ტელემაქოსი და *ათენას* რჩევით, მამის საძებრად გაემართა ჯერ *ნესტორთან* პილოსში, ხოლო შემდეგ *მენელაოსთან* სპარტაში. მას თან ახლდა მენტორად გარდასახული ათენა, რომელიც მოძღვრავდა ჭაბუკს და მფარველობდა. როდესაც ტელემაქოსი ითაკაზე დაბრუნდა, მეღორე *ევმეოსის* ქოხში შეხვდა მამა-ოდისევსს და მასთან ერთად იბრძოდა პენელოპეს სასიძოთა წინააღმდეგ.

გვიანი ხანის მითები გვამცნობენ, რომ ტელემაქოსმა, ოდისევსის გარდაცვალების შემდეგ იქორწინა *კირკეზე*, რომლისგანაც შეეძინა ორი ვაჟი: *ლატინუსი* და აგრიუსი. სხვა მითების თანახმად კი, ტელემაქოსმა იქორწინა ალკინოევსის ასულ *ნავსიკააზე* ან ნესტორის ასულ პოლიკასტეზე, ან კირკეს ასულ კასიფონეზე. არსებობს ტელემაქოსის თავგადასავალთა ამსახველი სხვა თქმულებებიც. მისმა სახემ გვიანი ხანის შემოქმედთა ყურადღებაც მიიპყრო. მე-17 საუკუნეში ფრანგ მწერალს, ფენელონს შეუთხზავს რომანი სათაურით „ტელემაქოსის თავგადასავალი", რომელიც შემდეგ კ. ტრედიაკოვსკის ლექსად უთარგმნია რუსულ ენაზე სახელწოდებით „ტელემაქიდა".

**ტელეფოსი** – ბერძნ. *ჰერაკლესა* და არკადიის მეფის ასულის, ავგეს ვაჟი, რომელიც მისიის მეფის კარზე იზრდებოდა.

ტელეფოსის თავგადასავალს მრავალი მითოსი მოგვითხრობს. ყველაზე ცნობილი მათ შორის *ტროას ომს* უკავშირდება: როდესაც აქაველები ტროასკენ მიეშურებოდნენ, გზას ასცდნენ და მისიაში აღმოჩნდნენ. მისიელებმა მტრულად მიიღეს ბერძნები და ბრძოლა გაუმართეს. ტელეფოსი თეძოში დაჭრა *აქილევსმა*. იარა არ შუშდებოდა. *ორაკულმა* განაცხადა, რომ ტელეფოსს განკურნავს მხოლოდ მისი დამჩეულებელი, თანაც იმ იარაღით, რომლითაც დაჭრა. ტელეფოსი *აგამემნონთან* გაემგზავრა მიკენში და *კლიტემნესტრას* რჩევით, მოიტაცა ჩვილი *ორესტესი*. იგი დახმარებას სთხოვდა აგამემნონს, თუ არა და შვილის მოკვლით ემუქრებოდა. აგამემნონმა იხმო აქილევსი, რომელმაც თავისი იარაღით მართლაც მოუშუშა იარა ტელეფოსს. მადლობის ნიშნად ჰერაკლეს ძემ ტროასკენ მიმავალი გზა ასწავლა აქაველებს.



ჰერაკლე, ტელეფოსი და ნიმფა არკადია. ბაზილიკის ფრესკა (ახ.წ. 60-იანი წ.). ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი.

ტელეფოსის მითოსი პოპულარული ყოფილა ძველ სამყაროში. ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს და სხვა ავტორებს მასზე ტრაგედიები შეუთხზავთ; მოქანდაკეები და მხატვრები კი ხშირად წარმოსახავდნენ ჰერაკლეს ჩვილი ტელეფოსით ხელში; ჩვენამდე შემორჩა აგრეთვე პერგამონის ტაძრის ფრიზი, სადაც ტელეფოსია წარმოდგენილი.

**ტელუსი** – რომ. მიწის ძველიტალიკური ღვთაება, მიწისძვრათა ქალღმერთი. რომაელები მას „ტერა მატერ"-საც უწოდებდნენ, რაც ქართულად დედა-მიწას ნიშნავს.

ტელუსს აიგივებდნენ *გეასთან*. მიიჩნევდნენ სიცოცხლისა და სიკვდილის ქალღმერთად (მიწად ჩადიან მიცვალებულნი); ბოლოს მისი კულტი შეერთო *კერესის* კულტს.

**ტელქინები** – ბერძნ. ზღვის *დემონები*, *პონტოსისა* და *გეას* ვაჟები, *პოსეიდონის* თანამავალნი (სხვა ვერსიით, ტელქინებმა აღზარდეს პოსეიდონი, ისევე როგორც *კურეტებმა* – *ზევსი*).

ტელქინები ზღვის წიაღიდან იშვნენ და კუნძულ როდოსზე დასახლდნენ. მათ პირველებმა აღმოაჩინეს რკინისა და სპილენძის დამუშავების წესი და მთელ სამყაროში გაითქვეს სახელი, როგორც მჭედლობის ოსტატებმა. ტელქინებმა გამოუჭედეს *კრონოსს* ნამგალი, პოსეიდონს – სამკაპი; მათვე შექმნეს ღვთაებათა საკვირველი გამოსახულებანი და ოქროს ნატიფი სამკაულები. ისე შეიყვარეს ღმერთებმა ტელქინები, რომ მათ პატივსადებად როდოსს ზოგჯერ ტელქინიასაც კი უწოდებდნენ. ზღვის დემონებმა ამ კუნძულზე სამი ქალაქი დააარსეს: კამეიროსი, იალისოსი და ლინდოსი. გამოიგონეს წისქვილი და მრავალი კეთილი საქმე ასწავლეს მოქალაქეებს.

ჯადოსნურ ძალას ფლობდნენ ტელქინები. გრძნეული შელოცვებით შეეძლოთ გამოეწვიათ წვიმა, თოვლი თუ სეტყვა; შეეყარათ და გადაერეკათ ღრუბლები. მათ სხვადასხვა სახედ გარდაქმნის უნარიც გააჩნდათ. ზოგჯერ ტელქინები ღმერთთა და ადამიანთა საზიანოდაც იღწვოდნენ. ერთხელ მათ როდოსის მინდვრები მდინარე *სტიქსის* წყლით დაუტბორავთ, რის გამოც უნაყოფო გამხდარა ოდესღაც ეს დოვლათიანი მიწა. განრისხებულა *აპოლონი* (თუ ზევსი) და ტელქინები ამოუხოცავს. სხვა ვერსიით, როდოსი წყალში ჩაძირულა და ტელქინები კრეტაზე, კვიპროსზე, ლიკიასა თუ დელფოზე გადასახლებულან, სადაც მათი პატივსადები ზეიმები, „ტელქინიები" იმართებოდა.

ტელქინთა მითოსში მეცნიერებმა ისტორიული სინამდვილეც აღმოაჩინეს. არქეოლოგებმა და გეოლოგებმა დაადგინეს, რომ ძვ. წ. XV საუკუნის შუა წლებში ტელქინების სამოსახლო კუნძული მართლაც დაუტბორავს წყალდიდობას. იქვე, მახლობლად მდებარე თერაზე კი ბუნებრივი კატასტროფა მომხდარა.

**ტერმინალიები** – *ტერმინუსის* პატივსადები ზეიმი, რომელიც რომაული კალენდრის ბოლო დღეს, 28 თებერვალს იმართებოდა.

**ტერმინუსი** – რომ. წმინდა სამანთა და სამიჯნო ნიშანთა, სვეტთა თუ ქვათა რომაული ღვთაება.

გადმოცემათა თანახმად, ტერმინუსის კულტი და მისი პატივსადები ზეიმი სახელწოდებით „ტერმინალიები" ნუმა პომპილიუსს დაუწესებია. *რომში*, კაპიტოლიუმის ბორცვზე აღმართულ *იუპიტერის* ტაძარში ინახებოდა ქვა, რომელიც ტერმინუსს განასახიერებდა. სამიჯნო ნიშნებთან (ოთხწახნაგიანი ქვის პრიზმა, რომელიც ზოგჯერ ადამიანის თავის გამოსახულებით ბოლოვდებოდა) ხშირად იკრიბებოდნენ ახლომდებარე ქალაქთა მკვიდრნი და სამსხვერპლო წესისების აღსრულების შემდეგ ილხენდნენ. სამიჯნო ნიშანთა წაბილწვა უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა.

ამ ღვთაების სახელიდან მომდინარეობს თანამედროვე მეტყველებაში ესოდენ დამკვიდრებული სიტყვა „ტერმინი", რომელიც ზუსტად გამოხატავს მეცნიერების, ტექნიკისა თუ ხელოვნების განსაზღვრულ ცნებას.

**ტერფსიქორე** – ბერძნ. „ცეკვათა მოყვარე". ცეკვის *მუზა*, ზოგჯერ მას ქოროთა მუზადაც მიიჩნევდნენ. ტერფსიქორეს ბერძნები წარმოსახავდნენ ახალგაზრდა ქალიშვილად, რომელსაც ხელთ ეპყრა ლირა.

გადატანითი მნიშვნელობით ბალერინას ტერფსიქორესაც უწოდებენ.

**ტვაშტარი** – ინდ. „მკეთებელი", *დემიურგი*, სამყაროს ნივთთა და არსებათა გამომსახველი, რისთვისაც დაიმსახურა ეპითეტი „ხელსახიერი". მან გამოუჭედა *ინდრას* მისი განუყრელი იარაღი *ვაჯრა*. მისმა ცოლმა, რომელიც ასურთა მოდგმის იყო, მას სამთავიანი ურჩხული *ვიშვარუპა* უშვა. ურჩხული კი იყო, მაგრამ სახელი გაითქვა სიბრძნით და სიქველით. ინდრამ ვერ აიტანა მისი დიდი სახელი და გადაწყვიტა თავიდან ჩამოეშორებინა მეტოქე. ბოლოს, ყველასათვის უცნობი ღმერთის ტრიტას ხელით ბოლო მოუღო კიდეც. განრისხებულმა ტვიშტარმა ინდრას დასასჯელად *სომისა* და ცეცხლისაგან გველეშაპი *ვრიტრა* შექმნა, მაგრამ როგორც ვიცით, ინდრამ დაამარცხა ვრიტრა.

**ტიბერინუსი** – რომ. მდინარე ტიბერისის ღვთაება.

რომაელებს სჯეროდათ, რომ ტიბერინუსი იყო ქალაქ ალბას მეფე, რომელიც მდინარე ალბულაში დაიხრჩო. მას შემდეგ დაურქმევიათ ამ მდინარისათვის ტიბერისი. სხვა მითოსის თანახმად, ტიბერინუსმა მდინარეში ჩავარდნილი *რეა სილვია* გადაარჩინა და ცოლადაც შეირთო. მადლიერმა ხალხმა კი მდინარეს მისი სახელი უწოდა.

ტიბერინუსის სახელზე აღმართული ტაძარი მდებარეობდა მდინარე ტიბერისის ერთ-ერთ კუნძულზე. ამ მდინარეს რომაელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ იგი ხშირად მოიხსენებოდა ქურუმთა ლოცვებში. 7 ივნისს, 27 აგვისტოსა და 8 დეკემბერს ტიბერინუსისადმი მიძღვნილი ზეიმები იმართებოდა რომში. ჩვენამდე შემორჩა ამ ღმერთის ქანდაკება ნიჩბით, სიუხვის რქით, მგლითა და ჩვილი *რომულუსითა* და *რემუსით*.

**ტიდევსი** – ბერძნ. ერთ-ერთი იმ შვიდ მთავარსარდალთაგან, რომლებმაც თებეზე გაილაშქრეს (იხ. *შვიდნი თებეს წინააღმდეგ*); კალიდონის მეფის, *ოინევსის* ძე; *დიომედეს* მამა.

ტიდევსს უმისნეს, რომ მელანიპოსის ხელით გამოესალმებოდა სიცოცხლეს. ასე რომ არ მომხდარიყო, მან თავად მოკლა ძმა, რომელსაც მელანიპოსი ერქვა და ამის გამო იძულებული გახდა, ქალაქიდან გადახვეწილიყო. იგი არგოლისის მეფე ადრასტოსმა შეიფარა და თავის ასულ დეიპილეზე დააქორწინა. არგოსის სამეფო კარს აფარებდა თავს თებედან დევნილი *პოლინიკესიც*, რომელმაც მეფის მეორე ქალიშვილი შეირთო ცოლად. ადრასტოსმა განიზრახა, სიძეთათვის სამეფოები დაებრუნებინა და თავდაპირველად თებეზე გალაშქრება ირჩია, რადგანაც იგი არგოსთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე კალიდონი. შვიდი რაზმი შეკრიბა, შვიდი მთავარსარდალი ჩაუყენა სათავეში (მათ შორის იყო ტიდევსიც) და თებესაკენ დაიძრა. ქალაქის საზღვრებს რომ მიუახლოვდა, ტიდევსი გაგზავნა ელჩად და თებეს მეფეს, *ეტეოკლეს*, ტახტის უბრძოლველად დათმობა შესთავაზა. მეფისგან უარი რომ მიიღო, ტიდევსმა უკვე თებელებს მოუწოდა, შვიდი მეომარი აერჩიათ შვიდ არგოსელ სარდალს რომ შებმოდა, რათა ზედმეტი სისხლისღვრის გარეშე გადაეწყვიტათ ომის ბედი. არც ეს ისურვეს თებელებმა და მომხდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეემზადნენ. როდესაც ომი დაიწყო, ტიდევსი თებელმა მელანიპოსმა სასიკვდილოდ დაჭრა. *ათენა* მფარველობდა ოინევსის ძეს და მის საშველად ისწრაფა. ერთ-ერთ სარდალს, ამფიარაოსს, სძულდა ტიდევსი. მან განიზრახა, ათენას კეთილგანწყობა ტიდევსისადმი სიძულვილით შეეცვალა. მოკლა მელანიპოსი, მოჰკვეთა თავი და მომაკვდავ ტიდევსს მიაწოდა, თანაც დასძინა: „შური იძიე! შენ კი, გააპე ეს თავის ქალა და შენი მტრის ტვინი მიირთვი!" ხვდებოდა ტიდევსი, რომ კვდებოდა. უმალ სიშმაგე დაეუფლა და ამფიარაოსის რჩევას დაჰყვა. ეს რომ ათენამ იხილა, შეძრწუნდა და წამისუმალ გაეცალა იქაურობას. ასე ახდა მისნობა: სწორედ მელანიპოსის ხელით დაიღუპა ტიდევსი.

**ტითონოსი** – ბერძნ. ტროას მეფის,

ლაომედონის ძე; პრიამოსის ძმა; მემნონის მამა; ეოსის სატრფო (იხ. ეოსი).

**ტინდარეოსი** – ბერძნ. სპარტის მეფის, ოიბალოსის ძე, რომელიც ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით მისივე ძმამ გააძევა ქალაქიდან. ტინდარეოსმა თავშესაფარი სთხოვა ეტოლიის მეფეს, ფესტიოსს, რომელსაც მუდამ თან ახლდა ბრძოლათა ჟამს. მეფემ იგი თავის ქალიშვილ *ლედაზე* დააქორწინა. მოგვიანებით ტინდარეოსს სპარტის სამეფო სკიპტრა დაუბრუნა *ჰერაკლემ*.

ტინდარეოსისა და ლედას შვილები იყვნენ: *კლიტემნესტრა, ელენე, კასტორი, პოლიდევკესი* და სხვები. შედარებით გავრცელებული მითოსის თანახმად, ელენე და პოლიდევკესი *ზევსისა* და ლედას შვილებად ითვლებიან. როდესაც ელენეს ქორწინების დრო დადგა, ტინდარეოსმა *ოდისევსის* რჩევით, ელენეს მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს ურთიერთდახმარების ფიცი დაადებინა. სწორედ ამ ფიცის ძალით წარიმართნენ ბერძენი მეფეები ტროაში საბრძოლველად (იხ. *ტროას ომი*). ბრძნული რჩევისათვის ტინდარეოსმა ოდისევსს თავისი ძმის შვილი, მშვენიერი *პენელოპე* შერთო ცოლად.

ერთ-ერთი მითოსის თანახმად, ტინდარეოსმა განარისხა *აფროდიტე* იმით, რომ დაავიწყდა მისთვის მსხვერპლის შეწირვა. ქალღმერთმა დასაჯა მეფე შვილთა უბედურებით: ელენესა და კლიტემნესტრას ქორწინებანი აბედითი გამოდგა; დაიღუპნენ კასტორიცა და პოლიდევკესიც. ამის შემდეგ ტინდარეოსმა თავისი სამეფო სკიპტრა *მენელაოსს* გადაულოცა.

**ტირესიასი** – ბერძნ. სახელოვანი ბრმა მისანი.

ტირესიასის მამა ევერესი ერთ-ერთი სპარტოსის, უდაიოსის, შთამომავალი იყო, დედად კი *ნიმფა ქარიკლოს* ასახელებენ მითები. შვიდი წლის ყოფილა ტირესიასი, როდესაც კილენეს მთის ფერდობებზე თამაშისას ერთმანეთზე გადაჭდობილი გველები უხილავს. ყმაწვილს ხელჯოხით მოუკლავს ერთი მათგანი, რომელიც მდედრი ყოფილა და ტირესიასიც უმალ მდედრად გარდასახულა. შვიდი წლის შემდეგ იმავე ადგილას ტირესიასი ისევ გადაჰყრია გველებს, ისევ მოუკლავს ერთ-ერთი, რომელიც მამრი აღმოჩენილა და ტირესიასს კვლავ მამრის სახე მიუღია. ასე შეუცვნია მას ქალთა და კაცთა ბუნება. ეს კარგად იცოდა *ზევსმა* და ერთხელ, როდესაც *ჰერა* ღალატს საყვედურობდა, თავის გასამართლებლად ტირესიასი იხმო და ჰკითხა: სიყვარული ვის უფრო დიდ სიამეს ჰგვრის, კაცსა თუ ქალსო. ტირესიასმა ასე მიუგო:

„სასიყვარულო სიამეთა ათი წილიდან
ქალს სამგზის სამი, ხოლო კაცს კი ერთი
ერგება“.

გამარჯვებული ღიმილი რომ დალანდა ჰერამ ზევსის სახეზე, ისე განრისხდა, რომ დააბრმავა ტირესიასი. მაგრამ ღმერთთა და კაცთა მეუფემ სამაგიეროდ მას შინაგანი ჭვრეტის ნიჭი უბოძა და სიცოცხლე შვიდი თაობით გაუხანგრძლივა.

სხვა მითოსის თანახმად კი, ტირესიასი



*ოდისევსი ესაუბრება ტირესიასის აჩრდილს. კრატერის ფერწერა (ძვ.წ. IV ს. დასაწყისი). პარიზი, ეროვნული ბიბლიოთეკა.*

დააბრმავა *ათენამ*, რომელსაც შემთხვევით ჰკიდა თვალი შიშველს *ჰიპოკრენეს* ტალღებში რომ ნებივრობდა. დედა ქარიკლომ დიდებულ ქალღმერთს პატიება სთხოვა შვილისათვის. საყვარელი ნიმფა რომ იხილა დამწუხრებული, შეწუხდა ათენა, მაგრამ ტირესიასს თვალის ჩინს ვეღარ დაუბრუნებდა. სამაგიეროდ თავისი *ეგისიდან* ჩამოხსნილ გველს ყმაწვილის ყურები გამოალოკვინა. ამის შემდეგ ტირესიასს ბუნების ენა ესმოდა; მართალია, იგი ბრმა იყო, მაგრამ ნათელმხილველი გახდა. დიდმა ქალღმერთმა გზისმკვლევად მას შინდის კვერთხიც უბოძა.

ბერძნულ სამყაროში ტირესიასის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა თებეს მითოსს. იგი კადმოსის მიერ თებეს დაარსებასაც მოესწრო და მის დანგრევასაც, რადგანაც ამ ქალაქმა მხოლოდ შვიდი თაობა იარსება. თებეს დამხობის შემდეგ ტირესიასი *დელფოს ორაკულისკენ* გაეშურა, მაგრამ ვერ მიაღწია ნათელმხილველი *აპოლონის* ტაძრამდე. გზად მიმავალმა ტილფოსას წმინდა წყაროს წყალი დალია და სული განუტევა.

ტირესიასმა, *პერსეფონეს* წყალობით, გარდაცვალების შემდეგაც შეინარჩუნა ნათელი გონება. სწორედ მან უწინასწარმეტყველა *ჰადესში* ჩასულ *ოდისევსს*, რომ ზღვაში კი არა ზღვიდან ისწრაფებდა სიკვდილი მისკენ (მისნობა აჰდა: იხ. *ტელეგონოსი*).

ტირესიასის სახე ხშირად გვხვდება ბერძნულ ლიტერატურასა (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, „ოიდიპოსი კოლონოსში“, „ანტიგონე“; ევრიპიდეს „ბაკქი ქალები“; კალიმაქოსის ჰიმნები და სხვა) და ხელოვნებაში.

**ტიტანები** – ბერძნ. უფროსი თაობის ღვთაებები; *ურანოსისა* (ზეცის) და *გეას* (დედამიწის) შვილები, რომელთა თავდაპირველი სახელი, მითოგრაფოსთა თქმით, უნდა ყოფილიყო ტიტა. ესენი იყვნენ: *ოკეანოსი*, კოიოსი, კრიოსი, *ჰიპერიონი, იაპეტოსი, კრონოსი*. ტიტანებად იწოდებოდნენ მათი შვილებიც.

ტიტანებმა იქორწინეს თავიანთ დებზე, ტიტანიდებზე: ოკეანოსმა – *თეთისზე* (მათ შთამომავლებს ოკეანიდებად მოიხსენიებენ), კოიოსმა – *ფოიბეზე* (შვილები – *ლეტო* და ასტერია), კრიოსმა – ევრიბიეზე (შთამომავლები – ასტრეოსი, *პალასი, პერსესი*), ჰიპერიონმა – *თეაზე* (შვილები – *ჰელიოსი, სელენე, ეოსი*), იაპეტოსმა – კლიმენეზე (შვილები – *პრომეთე, ეპიმეთევსი, ატლასი*), კრონოსმა – *რეაზე* (შვილები – *ჰერა, ჰესტია, ჰადესი, დემეტრე, პოსეიდონი, ზევსი*).

ტიტანები მხარში ედგნენ კრონოსს, რომელმაც დაამხო ურანოსი, ხოლო თავისი ძმები – *კიკლოპები* და *ჰეკატონქეიროსები* – *ტარტაროსიდან* იხსნა. განიმტკიცა რა თავისი ძალა-უფლება, კრონოსმა კვლავ ტარტაროსში ჩაამწყვდია კიკლოპებიცა და ჰეკატონქეიროსებიც.

როდესაც ახალი თაობის ღმერთებმა ზევსის წინამძღოლობით ტახტიდან ჩამოაგდეს კრონოსი, ტიტანთა ნაწილმა ზევსის წინააღმდეგ გაილაშქრა, ნაწილი – მიემხრო, ნაწილი სულაც არ მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. საომრად შემართული ტიტანები ოთრისის მთაზე დაბანაკდნენ, ხოლო კრონოსისა და რეას შვილები მუდამ ღრუბლებით დაბურულ *ოლიმპოსზე*. გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელსაც *ტიტანომაქია* უწოდეს მითოგრაფოსებმა. კიკლოპებისა და ჰეკატონქეიროსების დახმარებით დაამარცხეს ოლიმპიელებმა ტიტანები და ტარტაროსში ჩაამწყვდიეს. ღმერთების ახალი თაობის გამარჯვებამ დაამკვიდრა ახალი რელიგია (იხ. *ოლიმპიური რელიგია*), რომელმაც შეცვალა პირველყოფილი წარმოდგენები სამყაროზე.

გვიანი ხანის მითებში ოლიმპიელები შეურიგდებიან ტიტანებს და მათ *„ნეტართა კუნძულებზე“* დაავანებენ.

**ტიტანიდები** – ბერძნ. *ტიტანთა* დები; *ურანოსისა* და *გეას* ასულები: *თეა, რეა, თემისი, მნემოსინე, ფოიბე, თეთისი*. არ-

სებობს სხვა ნუსხაც, სადაც მნემოსინესა და თემისის ნაცვლად დასახელებულნი არიან კლიმენე და ევრიბიე. ტიტანიდებად უხმობდნენ აგრეთვე *ურანოსისა* და *გეას* შვილიშვილებს: *ლეტოს*, ასტერიას, *სელენეს*, *ეოსსა* და სხვებს.

**ტიტანომაქია** – ბერძნ. ასე უწოდეს ბერძნებმა ტიტანებისა და ახალი თაობის ღმერთების ბრძოლას.

**ტიტიოსი** – ბერძნ. 1. ბუმბერაზი, *ზევსისა* და ელარეს ძე (ჰომეროსის მიხედვით, *გეას* ვაჟი).

ტიტიოსი დაიბადა მიწისქვეშეთში, იქ სადაც ზევსმა გადამალა ელარე *ჰერას* რომ ზედმეტად არ ეეჭვიანა. დაბადებისთანავე სდევნიდა ჰერა ზევსის უკანონო ვაჟს, რომელსაც მშვენიერი *ლეტოს* სიყვარული შთააგონა. ერთხელ ტიტიოსი *დელფოსკენ* მიმავალ ლეტოს დაედევნა და, ალბათ, შეურაცხყოფდა კიდეც, ზევსს რომ არ დაეშვა. მითოსის სხვა ვერსიით, ტიტიოსი ლეტოს შვილებმა, *აპოლონმა* და *არტემისმა* განგმირეს. „ოდისეა" გვამცნობს, რომ *ჰადესში* მიწად გაშხლართულ ამ ბუმბერაზს ორი ძერა გამუდმებით უკორტნიდა ღვიძლს.

ტიტიოსის კულტი არსებულა კუნძულ



აპოლონი, ტიტიოსი და გეა. კილიქსის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 450 წ.). მიუნჰენი, ანტიკური ხელოვნების მუზეუმი.

ევბეაზე.

2. ერთ-ერთი *გიგანტი*, რომელიც *გიგანტომაქიაში* მონაწილეობდა. პერგამოსის ტაძრის დიდ ფრიზზე ეს გიგანტი გამოსახულია მოკლე ფრთებით, კუდითა და კლანჭებით

**ტიფონი** – ბერძნ. *გეასა* და *ტარტაროსის* უმრწემესი ძე; ურჩხული, რომელსაც დრაკონის ასი ცეცხლისმფრქვეველი თავი ება.

ტიფონი მაშინ დაიბადა, როდესაც *ზევსის* მომხრე ღმერთებმა დაამარცხეს *ტიტანებიცა* და *გიგანტებიც*. ისინი გეას შვილები იყვნენ და მათმა განადგურებამ განარისხა დედალვთაება. მან განიზრახა ზევსის დასჯა. საამისოდ ტარტაროსისგან მცირე აზიის კილიკიაში შვა ურჩხული, რომლის მსგავსი ჯერ სამყაროს არ მოევლინოდა. ეს იყო ტიფონი, რომელსაც უზარმაზარ სხეულზე დრაკონის ასი თავი ება. შემზარავად ბრწყინავდნენ მისი ცეცხლისმფრქვეველი თვალები, ხოლო როდესაც პირს დააღებდა, იქიდანაც ცეცხლის ალი ამოსდიოდა. ტიფონს სხვადასხვა ხმის გამოცემის უნარი შესწევდა. შეეძლო ღმერთებივით ესაუბრა, ძაღლებივით ეყეფა, ლომებივით ეღრიალა, გველებივით ესისინა. იგი საოცარი სისწრაფით მოძრაობდა მიწაზეც და დაფრინავდა ცაში. როდესაც ტიფონმა *ოლიმპიელებს* შეუტია, მთელი სამყარო შეზანზარდა, ტარტაროსიც კი შეძრა ბრძოლის ქარცეცხლმა. მიწა შეირყა, ნაპირს მოასკდნენ აქაფებული ტალღები. ხოლო როდესაც *ოლიმპოსმაც* იწყო ზრიალი, დიდმა ღმერთებმა ეგვიპტეში გაქცევით უშველეს თავს. ტიფონის მზერას რომ დამალვოდნენ, თითოეული მათგანი ცხოველად გარდაისახა: ზევსი – ცხვრად, *დიონისე* – თხად, *ჰერა* – ძროხად, *არტემისი* – კატად, *არესი* – ტახად და ა.შ. მხოლოდ ათენას არ უცვლია სახე. შერცხვა ზევსს, დაიბრუნა თავისი იერი და ტიფონს მეხი სტყორცნა. არ შემდრკალა ურჩხული, შეიპყრო ზევსი და კილიკიის ერთ-ერთ მღვიმეში დაამწყვდია. *ჰერმესმა* და ეგიპანმა დიდი ძალისხმევით გაათავისუფლეს ტყვეობიდან მეუფე-მამა, რომელიც ეტლით აიჭრა ზეცად, ძალა მოიკრიბა და ურჩხულთან გადამწყვეტი შეტევისათვის მოემზადა. მას მხარში ამოუდგნენ *მოირებიც*, რომლებმაც ტიფონს ერთდღიანი ნაყოფი მიართვეს, ვითომც ძალების აღსადგენად. სინამდვილეში ამ ნაყოფმა ურჩხული დაასუსტა და როდესაც იგი ზევსს შეება, ელვის ისრებით დამეხილი მიწად განერთხო. მითოსის თანახმად, ზევსმა იგი ტარტაროსში ჩაამწყვდია.

სხვა ვერსიით, ზევსმა ზღვის სიღრმიდან ამოგლიჯა კუნძული სიცილია, სტყორცნა ტიფონს და საზარელი ურჩხული მის ქვეშ ჩაჭეჭყა. ასე დაასრულა ტიფონმა სიცოცხლე. მაგრამ ზოგჯერ თავს წამოჰყოფს ხოლმე იგი, რათა მიწიდან დაგროვილი ცეცხლი და ლავა ამოაფრქვიოს. ადგილს, სადაც ტიფონი განისვენებს, ეტნად უხმობდნენ.

ტიფონმა შვა დამანგრეველი ძალის გრიგალები, *ლერნეს ჰიდრა*, *ნემეას ლომი*, *სფინქსი*, ქოფაკები – *ორთროსი* და *კერბეროსი*, არწივი, რომელიც *პრომეთეს* ღვიძლს უკორტნიდა და სხვა ურჩხულები. იგი სიმბოლურად, მიწისმიერ ძალთა და ვულკანურ მოვლენათა განსახიერებად მიაჩნდათ ბერძნებს. წარმოსახავდნენ უზარმაზარ ურჩხულად, რომელსაც წვერებიანი კაცის თავი ღრმად ედგა განიერ მხრებში. ზოგჯერ კაცის თავის ნაცვლად მას დრაკონის მრავალი თავი ესხა მოგრძო სხეულზე, რომელიც გველის კუდით უბოლოვდებოდა.

**ტიქე** – ბერძნ. შემთხვევითობისა და ბედის ქალღმერთი; *ოკეანოსისა* და *ტეთისის* ქალიშვილი (სხვა ვერსიით, *ზევსის* ასული). რომაულ მითოსში მისი თანაგვარია *ფორტუნა*.

ტიქე, ბერძენთა რწმენით, სამყაროს ცვალებადობასა და არამდგრადობას განასახიერებდა. მისმა კულტმა ელინისტური ეპოქიდან დაიმკვიდრა თავისი ადგილი *ოლიმპიურ პანთეონში*.

ტიქეს წარმოსახავდნენ ახალგაზრდა ქა-

ტიქე. ანტიოქიის ბრინჯაოს ქანდაკება (ახ.წ. II ს.). პარიზი. ლუვრი.



ლბატონად, სფეროთი ან ბორბლით; ზოგჯერ მას ხელთ ეპყრა ხომალდის საჭე ან სიუხვის რქა.

**ტრიმურტი** – ინდ. „სამსახოვანი", სამი ღვთაების – *ბრაჰმას, ვიშნუსა* და *შივას* ერთიანობა, სხვანაირად, ერთი უსახო ღვთაების სამი სახე, რომელთაგან თითოეული თავის ფუნქციას ასრულებს სამყაროში: ბრაჰმა აშენებს, ვიშნუ იცავს, შივა ანგრევს.

**ტრიპტოლემოსი** – ბერძნ. მიწათმო-



ტრიმურტი (VIII ს.). ელორა. კაილასანათხის ტაძარი.

ქმედების უძველესი ღვთაება, რომელიც სამგზის გადახნულ მინდორს განასახიერებდა; ელევსინის მეფის, კელეოსისა და მეტანირას ძე.

ქალიშვილის დაბრუნებით გახარებული *დემეტრე* რომ ელევსინს ტოვებდა, მეფის ძე, ტრიპტოლემოსი იხმო და პურის თესლი უბოძა, ურჩია, სამგზის გადაეხნა რარიის ველი, ელევსინის მახლობლად რომ მდებარეობდა და შავ მიწაში ჩაეყარა პურის მარცვალი. ტრიპტოლემოსმა აღასრულა ღვთაების ნება. უხვი მოსავალი მოვიდა დემეტრეს მიერ დალოცვილ მიწაზე. შემდეგ ქალღმერთმა ჯადოსნური ეტლიც უძღვნა მეფისწულს და უბრძანა, მთელი ქვეყანა შემოევლო ამ ფრთოსანი ეტლით და ადამიანთათვის მიწის სიყვარული, ყანების მოვლა და პურის მოყვანა ესწავლებინა.

სად არ მიაფრენდა ტრიპტოლემოსს ეს ღვთიური ეტლი, ყველა ქვეყანა მოიარა, ყველგან დამოძღვრა შრომისმოყვარე ადამიანები. შორეულ სკვითიასაც ეწვია ღმერთის რჩეული ჭაბუკი. მაშინ იქ მეფე ლინკოსი მართავდა ქვეყანას. მიწათმოქმედება რომ შეისწავლა ველურმა მეფემ, ტრიპტოლემოსის მოკვლა განიზრახა, რათა დიადი მოძღვრის სახელი მიეთვისებინა. მაგრამ დემეტრემ დაიფარა თავისი რჩეული: როცა ლინკოსი ღამით მალულად შეიპარა იმ ოთახში, სადაც ტრიპტოლემოსს ეძინა, დიდმა ქალღმერთმა სკვითების ღვარძლიანი მეფე ფოცხვერად აქცია სწორედ იმ წამს, მახვილი რომ აღმართა მძინარეს თავზე. ფოცხვერად გარდასახული ლინკოსი უსიერ ტყეში მიიმალა.



ტრიპტოლემოსი. კილიკის ფერწერა (ძვ. წ. IV ს. დასაწყისი). რომი, ვატიკანის მუზეუმი

ტრიპტოლემოსმა კი მიატოვა სკვითების მიწა და სხვა ქვეყნისაკენ გაეშურა. მალე შეიგრძნეს ადამიანებმა დემეტრეს მადლი. მას შემდეგ ყველა ქვეყანაში ხაროდა ჯეჯილი და მწიფდებოდა ყანა.

გარდაცვალების შემდეგ ტრიპტოლემოსი ცად ამაღლდა. დიდი ფილოსოფოსის, პლატონის თანახმად, იგი *ჰადესის* ერთ-ერთი მსაჯულთაგანია. ათენელებს მისთვის ტაძარიც კი აუგიათ აკროპოლისის დასავლეთ ფერდობზე.

ხელოვანნი ტრიპტოლემოსს წარმოსახავდნენ ხან ბიჭუნას, ხან კი წვერებიანი კაცის სახით, რომელსაც ხელში თავთავი და ლენთი საჭე თანი ეჭირა. საყოველთაოდ არის ცნობილი ელევსინური რელიეფი, რომელზეც დემეტრე თავის რჩეულ ტრიპტოლემოსს პურის თავთავს აწვდის.

**ტრიტონი** – ბერძნ. ზღვის უძველესი (წინაბერძნული) *დემონი*. მითებში იგი *პოსეიდონისა* და *ამფიტრიტეს* ვაჟია, რომაულ სამყაროში მას სალაკიუსი ერქვა.

ტრიტონი ზღვის სიღრმეში აღმართულ ოქროს სასახლეში ცხოვრობდა. ასე სჯეროდათ ბერძნებს და მის შესახებ ლეგენდებს თხზავდნენ. არსებობს თქმულება *ჰერაკლესა* და ტრიტონის, *დიონისესა* და ტრიტონის შერკინებაზე. მისი სახელი დაკავშირებულია *არგონავტების* მითთანაც: როდესაც გრიგალმა ხომალდი „არგო" ლიბიაში, ტრიტონისის ტბისკენ გაიტაცა და სახიფათო მეჩეჩებში გზას ვეღარ აგნებდნენ, მხსნელად ამ ტბის ღვთაება, ტრიტონი, მოევლინათ. მან გზა უჩვენა არგონავტებს, დალოცა და ტბის სიღრმეში გაუჩინარდა.

არსებობს თქმულება იმის თაობაზე, თუ როგორ მოაპარა ტრიტონმა ჯოგი ტანაგრელებს, რომლებმაც ამის გამო მას თავი მოჰკვეთეს.

საოცარი სანახავი იყო ეს დემონი. ცნობილი მითოგრაფოსის, პავსანიასის გადმოცემით, მას ჰქონია მამაკაცის ცხვირი, მხედისებრი კბილებით ამოვსებული განიერი პირი, მწვანე თმები, ყურების ახლოს – ლაყუჩები, ქერცლიანი ხელები და ფეხების ნაცვლად – დელფინის კუდი. ტრიტონს დაჰქონდა უზარმაზარი ნიჟარა, რომელსაც, პოსეიდონის



ტრიტონი. ამფორის ფერწერა (ძვ.წ. 500-480 წ.წ.). ჰარვარდის უნივერსიტეტის მუზეუმი.



*ჰერაკლეს ბრძოლა ტრიტონთან, ირგვლივ ნერეიდები. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 550 წ.). ტარკვინიის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.*

ბობოქრებლად თუ დასამშვიდებლად.

ძვ. წ. IV საუკუნისათვის ერთი კი არა, მრავალი ტრიტონი ჩნდება მითოსურ თქმულებებში. ისინი ზღვად სატირებსა და კენტავრებს დაემსგავსნენ, ხმელეთზე კი წყლის მთავარ ღვთაებათა მსახურებად გარდაისახნენ. ანტიკურ ხელოვნებაში ტრიტონსა და ტრიტონებს პოსეიდონსა და ნერეიდებთან ერთად წარმოადგენდნენ. მოგვიანებით ეს გამოსახულება შადრევანთა ოსტატების უსაყვარლეს თემად იქცა.

**ტრიფონიოსი და აგამედესი** – ბერძნ. მითოსური ხუროთმოძღვრები; ორქომენოსის მეფის, ერგინოსის ვაჟები, რომელთაც, ბერძენთა რწმენით, აუგიათ ***აპოლონის*** ტაძარი ***დელფოში***, ***პოსეიდონის*** ტაძარი მანტინეაში, ***ავგიასის*** განძთსაცავი ელისში, გირევსის განძთსაცავი ბეოტიაში.

ლეგენდა გვამცნობს, რომ ბეოტიის განძთსაცავის კედელში ძმებს ერთი ლოდი ისე დაუტოვებიათ, რომ იოლად შეძლებოდათ მისი ამოღება. ისინი ამ ხერელით ღამღამობით განძს იპარავდნენ. როდესაც აგამედესი ხაფანგში გაება, სამხილი რომ არ დაეტოვებინა, ტრიფონიოსმა მას თავი მოჰკვეთა და თან წაიღო. ამ ბოროტმოქმედებისათვის იგი მიწამ შთანთქა.

მითოსის სხვა ვერსიით, როდესაც სახელოვანმა ხუროთმოძღვრებმა დელფოს ტაძარი ააგეს, საზღაური მოსთხოვეს აპოლონს. ღმერთი შეჰპირდა მათ, რომ მეშვიდე დღეს გადაუხდიდა გასამრჯელოს. დათქმული დღის წინა ღამეს კი ძმები ძილში გარდაიცვალნენ.

**ტროა** – (***ილიონი***) ბერძნ. ქალაქი ჰელესპონტოსის მცირეაზიურ სანაპიროზე, მდინარე სკამანდროსის ხეობაში. მის დამაარსებლად ითვლება ***ილოსი***. ბერძნულ ეპოსში ცნობილი ტროა XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოაჩინა ჰ. შლიმანმა.

**ტროას ომი** – საბერძნეთის ისტორიისა და მითოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ბერძენთა ბრძოლა ტროელთა წინააღმდეგ, რომელიც მეცნიერებმა ძვ.წ. XIII საუკუნით დაათარიღეს. პირველი ავტორი, რომელიც ამ ომზე მოგვითხრობს, ჰომეროსია. მისი პოემები, „ილიადა“ და „ოდისეა“, გვაწვდიან მდიდარ ინფორმაციას, როგორც ბრძოლებზე, ასევე მასში მონაწილე გმირებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქმნილებებში ისტორია და პოეტური გამონაგონი ერთმანეთშია ჩახლართული.

მითების თანახმად, ტროას ომი მაშინ დაიწყო, როდესაც ტროას მეფისწულმა, ***პარისმა*** მოიტაცა სპარტელი მეფის, ***მენელაოსის*** მეუღლე, მშვენიერი ***ელენე***. ამ საქმის წამომწყები კი იყო სიყვარულის ქალღმერთი ***აფროდიტე*** (იხ. ***განხეთქილების ვაშლი***).

ელენეს მოტაცების ამბავი მთელ საბერძნეთს მოედო. ყველას სურდა, შური ეძია სტუმართმოყვარეობის წმინდა ადათის შემბღალავ ზღვისიქითელ ბარბაროსზე. მენელაოსმა მთავარსარდლობა სთხოვა თავის ძმას, მიკენის მეფე ***აგამემნონს***. მრავალმა სახელოვანმა გმირმა მოიყარა თავი სალაშქროდ. არ ჩანდა მხოლოდ ***აქილევსი***. წინასწარმეტყველება კი ასეთი იყო: „უაქილევსოდ დიდი ტროა არ დაემხობა“. ბედისწერა აქილევსს უკვდავ დიდებას უმზადებდა, მაგრამ ისიც ცნობილი იყო, რომ დიადი გმირი ამ ომიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა. კარგად იცოდა ეს დედა – ***თეტისმა*** და მთელი ძალით ცდილობდა მისი საბედის შეცვლას (იხ. აქილევსი). მან გადამალა აქილევსი, მაგრამ ამაოდ. აგამემნონმა ცბიერ ***ოდისევსს*** დაავალა მისი მოძებნა. როდესაც ოდისევსმა აღმოაჩინა აქილევსი და დიადი ლაშქრობის ამბავი აუწყა, იგი დაუხანებლად შეუერთდა სახელოვან მებრძოლებს.

უზარმაზარმა სპამ მოიყარა თავი ზღვისპირა ქალაქ ავლისში, მაგრამ მრავალი რამ უშლიდა ხელს ხომალდთა წინსვლას. წყნარმა ამინდმა კარგა ხნით დააყოვნა სალაშქროდ გამზადებულნი. აფრებს ნიავი



*ელენე და პარისი. ჟ. დავიდის ნახატი (1788 წ.). პარიზი. ლუვრი.*

არ არხეედა. მაშინ მისანმა **კალქასმა** განაცხადა, რომ **არტემისი** მსხვერპლად ითხოვდა აგამემნონის ნორჩ ასულს, **იფიგენიას**. თავზარი დაეცა აგამემნონს, მაგრამ ღვთაების სურვილს წინ ვერ აღუდგა. დედასთან, **კლიტემნესტრასთან** ერთად ჩამოიყვანეს ავლისში იფიგენია. მშვიდი და გახარებული იყო იგი, რადგან ეგონა, აქილევსი ირთავდა ცოლად. მას ასე ამცნეს. მაგრამ საქორწინო ჩირაღდნების ნაცვლად მსხვერპლშეწირვის აღსასრულებლად გამზადებული ბომონი დაახვედრეს. თავდაპირველად შეცბა ქალწული, მაგრამ მალე გონს მოეგო და საკუთარი ნებით გაემართა სამსხვერპლოსაკენ. და სწორედ მაშინ, როცა კალაქსმა აღმართა დანა, ხოლო შეძრწუნებულმა აგამემნონმა სახედ ქიტონი აიფარა, მოხდა სასწაული: ქალღმერთმა არტემისმა მოიტაცა იფიგენია, ხოლო იქ, სადაც წესისგებას აღასრულებდნენ, დანით დაჭრილი ირემი სულს ლაფავდა.

მალე ზურგქარმაც დაბერა და მცირე აზიის ნაპირებისკენ დაძრა ბერძენთა ხომალდები. როდესაც ტროას მიაღწიეს, აქაველებმა (ასე უწოდებდნენ ბერძნებს) ოდისევსი და მენელაოსი გაგზავნეს მეფის სასახლეში ელენეს დაბრუნების მოთხოვნით. მაგრამ ტროელებმა არ ისურვეს საქმის მშვიდობით მოგვარება. დაიწყო ხანგრძლივი და სასტიკი ომი. თავად ღმერთებიც კი იბრძოდნენ მოკვდავთა გვერდით.

ბრძოლის მეათე წელი იდგა. ბერძენთა ბანაკში ჭირმა იფეთქა. მრავალი გმირი შეიწირა ამ საზარელმა სენმა და აი, რატომ: **აპოლონის** ქურუმის, ქრისესის ქალიშვილი ქრისეისი აგამემნონს ერგო მხევლად. მოხუცმა მამამ მდიდრული გამოსასყიდის საფასურად მოითხოვა თავისი ასული. აგამემნონმა იგი შეურაცხყო და მუქარით გაისტუმრა. ქურუმის თხოვნით, აპოლონმა ჭირი მოუვლინა აქაველებს. ცხრა დღის განმავლობაში წყება-წყებად ეშვებოდნენ მებრძოლები **ჰადესის** მრუმე სამეფოში. მეათე დღეს კი აქილევსმა სპა შეკრიბა, რათა მისანთაგან შეეტყო სასჯელის მიზეზი. კალქასმა სიმართლე აუწყა შეკრებილთ, რამაც საგონებელში ჩააგდო აგამემნონი. იგი იძულებული გახდა დაებრუნებინა ქრისეისი. მაგრამ სანაცვლოდ აქილევსს წაართვა მხევალი ქალი, ბრისეისი. მძვინვარე სენმა ჩაიარა, მაგრამ ახალი რისხვა დაატყდა თავს ბერძენთა ჯარს: აგამემნონის საქციელმა განარისხა აქილევსი და მან უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. მის გარეშე აქაველები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მრავალი გმირი დაიღუპა, მათ შორის აქილევსის უახლოესი მეგობარი **პატროკლოსი**. ღრმა მწუხარებით შეძრულმა აქილევსმა თავისი რისხვა ახლა ტროელებისკენ მიმართა, მუსრი გაავლო მათ ჯარს და ორთაბრძოლაში დაამარცხა მეფე **პრიამოსის** ძე **ჰექტორი**.

ტროა შეძრა ჰექტორის სიკვდილმა. ყველამ იცოდა, რომ სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარე კიდევ ერთი ვაჟკაცი უმართებულო

*1. მენელაოსის და პარისის ბრძოლა. კილიქსის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 490 წ.). პარიზი, ლუვრი. 2. ჰექტორის და აიასის ბრძოლა. კილიქსის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 490 წ.). პარიზი, ლუვრი. 3-4. ტროას დაცემა. კილიქსის ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 490 წ.). პარიზი, ლუვრი. 5-6. ტროას დაცემა. ჰიდრიას ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 480 წ.). ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი.*



ბრძოლის წილ გამოესალმა სიცოცხლეს. თავად ჰექტორიც გრძნობდა, რომ ამაო იყო მისი თავგანწირვა, მაგრამ ბოლომდე განაგრძობდა ბრძოლას პასუხისმგებლობისა და საკუთარი ღირსების შეგრძნებით. კოცონი, რომელშიც მისი გვამი დაიფერფლა, ტროას დაღუპვასაც მოასწავებდა.

ჰექტორის გარდაცვალების შემდეგ აქილევსს დიდხანს არ უცოცხლია. იგი პარისმა განგმირა ისრით. მალე პარისიც დაიღუპა. ხოლო ელენეს აღარ სურდა ტროაში დარჩენა. იგი მალულად ეხმარებოდა კიდეც თავისიანებს. ერთხელ მან თვალი მოჰკრა გადაცმულ ბერძენ გმირებს, ***დიომედესს*** და ***ოდისევსს***. ისინი ***ათენას*** ტაძრისკენ მიიპარებოდნენ, რათა ამ ღვთაების საკვირველი ქანდაკება, ***პალადიონი***, ხელთ ჩაეგდოთ. ნათქვამი იყო, ვიდრე ეს პალადიონი ტროაში იქნებოდა, ქალაქი არ დაემხობოდა. ელენემ გმირებს საიდუმლო გზები ასწავლა. მეორე დღეს, როდესაც ტროელებმა შეიტყვეს ძვირფასი სიწმინდის დაკარგვის ამბავი, არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ ქალაქის აღსასრული ახლოვდებოდა. მოულოდნელად მაცნემ ამბავი მოიტანა, რომ ბერძნები ტოვებდნენ ტროას. ყველა ქალაქის გალავანს მიაწყდა. სიხარულით უმზერდნენ ილიონელები (ეს ტროელთა მეორე სახელი იყო) ბერძნების დაცარიელებულ ბანაკებსა და ზღვაში ღრმად შეცურებულ ხომალდებს.

და კვლავ ახალი სასწაული: გალავნის მიღმა იდგა უზარმაზარი ხის ცხენი. ზოგს მისი ქალაქში შეგორება სურდა, ზოგს კი – ზღვაში გადაგდება. დაიწყო დავა. მაშინ გამოჩნდა აპოლონის ქურუმი. ***ლაოკოონი*** ორი ვაჟიშვილის თანხლებით და თავშეყრილ ბრბოს ცხენის დაწვა ურჩია. ამ დროს ათენა პალასმა ზღვიდან ორი უზარმაზარი გველი ამოასრიალა. მათ ხალხის თვალწინ გაგუდეს და შთანთქეს ლაოკოონი შვილებთან ერთად. ღმერთის უწყება იქნებაო! – გაიფიქრა ბრბომ და ხის ცხენის შეგორება იწყო ქალაქში. ახლა ნათელმხილველმა ***კასანდრამ*** იწყო მოთქმა და ვედრება, დაღუპავსო ცხენი ილიონს, მაგრამ მასაც არ მოუსმინეს, რადგან არავის სჯეროდა მისი მისნობის.

მაგრამ მართალი იყო კასანდრა. მართალი იყო ლაოკოონიც. ხის ცხენის შიგნით თორმეტი რჩეული გმირი იჯდა ოდისევსის მეთაურობით. მან მოიგონა ეს მზაკვრობაც. როცა დაღამდა და მხიარული ნადიმით მოქანცულმა ტროელებმა დაიძინეს, აქაველებმა ხის ცხენიდან გამოაღწიეს და ქალაქის კარიბჭე გახსნეს. ამასობაში ხომალდებიც უკან მობრუნდნენ. ბერძნები ყიჟინით შეცვივდნენ ტროაში და უმოწყალოდ აწიოკეს. გეგონებოდათ, ყველა ღმერთმა მიატოვაო ეს ქალაქი.

მენელაოსი შეიჭრა იმ სახლში, სადაც მეუღლე ეგულებოდა. გაიღო კარი და ფერმიხდილი ელენეც გამოჩნდა. ამ საკვირველი სილამაზის, ესოდენ ძვირფასი და ახლობელი ქალის დანახვაზე შურისძიების სურვილმა მიატოვა მენელაოსი. ცოლი და ქმარი კვლავ აფროდიტემ შეაერთა ნეტარი გრძნობით.

ტროა დაემხო, გმირები დაიღუპნენ, დამონებული ქალები საბერძნეთის გზას გაუყენეს. ჰექტორის მეუღლე ***ანდრომაქე*** ნადავლად ერგო ***ნეოპტოლემოსს***; მეფის ასული კასანდრა – აგამემნონს; პოლიქსენე მსხვერპლად შესწირეს აქილევსს. ღმერთებმა მხოლოდ ენეასი გადაარჩინეს, რომელიც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მიაღწევს ლაციუმს (იხ. ***ენეასი***). ***პატარა აიასი*** ათენას საკურთხეველს წაბილწავს. ამის გამო ქალღმერთი შინ მიმავალ ბერძენთა ხომალდებს ზღვაში ჩაძირავს; ***დიდი აიასი*** თავს მოიკლავს; აგამემნონს მშობლიურ ჭერქვეშ ვერაგულად გამოასალმებენ სიცოცხლეს; მენელაოსსა და ოდისევსს მრავალი განსაცდელის გადალახვა მოუწევთ, ვიდრე სამშობლოს მიაღწევენ. შინ მშვიდობით დაბრუნდებიან ბერძენთა ბელადები: დიომედესი, ნეოპტოლემოსი, ***ფილოქტეტესი***, იდომენევსი და სხვები.

ტროას ომი მრავალ ლეგენდაში აისახა, მის გმირებზე დიდებული ნაწარმოებები შეიქმნა. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ძველი ბერძნული ლიტერატურის უპირველესი პოეტის, ჰომეროსის ქმნილებები „***ილიადა***" და „***ოდისეა***", რომაული პოეზიის შედევრი, ვერგილიუსის „***ენეიდა***" და სხვა მრავალი. ანტიკური წყაროები ტროას ომის აუცილებლობას ხსნიან ზევსის ნებით, რომელსაც თურმე ამ სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლით სურდა ან „დედამიწის ტვირთის შემსუბუქება"; ან ღვთაებრივ გმირთა განდიდება; ან თავისი ასულის, ელენეს, მშვენიერების სამარადისო აღბეჭდვა თაობათა მეხსიერებაში.

დღეს აღარავის მიაჩნია საეჭვოდ, რომ ბერძნული თქმულება ტროას ომზე და, შესაბამისად, ჰომეროსის ეპოსიც, ისტორიულ ამბებზეა დაფუძნებული. ამ მოსაზრებას ამყარებს არქეოლოგიური გათხრები მცირე აზიაში, თანამედროვე ჰისარლიყის მაღლობზე, სადაც ბრინჯაოს ხანის დასახლების სხვადასხვა ფენებია აღმოჩენილი. ეს გათხრები დაიწყო მე-19 საუკუნეში გერმანელმა მეცნიერმა ჰ. შლიმანმა და დღემდე გრძელდება.

**ტროას ცხენი** – უზარმაზარი ხის ცხენი, რომელიც ბერძნებმა ტროას ომის მეათე წელს გამოთალეს ***ოდისევსის*** რჩევით (იხ. ***ტროას ომი***). ტროას ცხენის ლეგენდას პირველად ჰომეროსი მოიხსენიებს, უფრო ვრცლად კი – ვერგილიუსი თავის პოემაში, რომლის სახელწოდებაცაა „***ენეიდა***".

გადატანითი მნიშვნელობით „ტროას ცხენს" ისეთ საჩუქარზე იტყვიან, რომელსაც მტერს მიუძღვნიან მისი დაღუპვის მიზნით.

**ტროსი** – ბერძნ. ტროას ეპონიმი („ეპონიმოსი" ანუ „სახელმდებელი"); ტროას მეფე; ***დარდანოსის*** ძის, ***ერიხთონიოსის*** ვაჟი; ***ილოსისა*** და ***განიმედესის*** მამა. მითოსის სხვა ვერსიით, ტროას დამაარსებლად ითვლება ***ილოსი***. მისი სახელის მიხედვით უწოდეს ტროას სხვაგვარად ***ილიონი***.

**ტურნუსი** – რომ. რუტულთა მეფე, რომელიც მოკლა ***ენეასმა***.



*ტროას ცხენი. დ. ტიეპოლოს ნახატი (1757-1762 წ.წ.). ლონდონი, ეროვნული გალერეა.*

# უ

**უთანაფიშთი** – ბაბილონ. „სიცოცხლის მპოვნელი", წარღვნის გმირი, უბარა-თუთუს ძე. გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი, რომლის თავგადასავალი მოთხრობილია ეპოსის XI დაფაში. უთანაფიშთი თავად მოუთხრობს გილგამეშს წარღვნის ამბავს. როცა ღმერთებმა ქვეყნიერების წარღვნით წარხოცა განიზრახეს, მათ შორის ერთმა, კაცთა მოდგმისადმი კეთილად განწყობილმა ეამ, ევფრატის ნაპირას გაშენებულ ძველ ქალაქ შურუფაქში მცხოვრებს, თავის რჩეულს, უთანაფიშთის ღმერთების ეს საიდუმლო გაუმხილა. გამოეცხადა სიზმარში და მოუწოდა: „ჰოი, კაცო, შურუფაქელო, უბარათუთუს ნაშიერო! სახლი დაანგრიე, ხომალდი ააგე! განაგდე დოვლათი, სიცოცხლე იხსენი! ყოველი სულდგმული, რაც არის, ხომალდზე აიყვანე". ღმერთმა ისიც გამოუცხადა მას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ხომალდი. საგონებელში ჩავარდნილმა უთანაფიშთიმ ჰკითხა თავის კეთილისმყოფელს, რა უნდა ეთქვა ქალაქისთვის – უხუცესებისთვის და მის მკვიდრთათვის, როცა ხომალდის შენებას შეუდგებოდა. რისთვის აშენებდა ამ უზარმაზარ ხომალდს? ეამ მიუგო: ასე უთხარი, ენლილმა მომიძულა, ველარ დავდგები ამ ქალაქში. წავალ, გავცურავ, ჩემს ბატონს ვეწვევი და მასთან დავიწყებ ცხოვრებას. ასეც მოიქცა უთანაფიშთი. დაიწყო ხომალდის შენება. მთელი ქალაქი ეხმარებოდა მშენებლობაში. იგი ყოველდღე უკლავდა მშენებლებს ხარებს და ლუდით და ღვინით უმასპინძლდებოდა. ბოლოს ააგეს ხომალდი. შიგნიდან და გარედან ფისით შეფისეს და ორ მესამედზე შეაცურეს ზღვაში. მაშინ უთანაფიშთიმ აზიდა ხომალდზე ყველაფერი, რაც ებადა, ოქრო-ვერცხლი იყო, თუ სხვა რამ საქონელი და, რაც მთავარია, წყვილ-წყვილად ყველა პირუტყვი და ფრინველი, შინაური და გარეული. აიყვანა ხომალდზე თავისი სახლეული, ვინც კი მის სახლში იყო დაბადებული. იტვირთა ხომალდმა ყველაფერი, რაც კი საჭირო იქნებოდა კაცობრიული ცხოვრების აღსადგენად წარღვნის დასრულების შემდეგ. მზის ღმერთმა შამაშმა დათქვა დრო, როცა თავსხმა წამოვიდოდა ციდან – უთანაფიშთი უნდა ასულიყო ხომალდზე და მჭიდროდ დაეგმანა კარი. დადგა დათქმული ჟამი და ცა შემზარავად მოიღრუბლა, სიბნელე ჩამოწვა მიწაზე. ახედა ცას უთანაფიშთიმ, შევიდა ხომალდში და დაგმანა კარი. მეორე დღეს დაიწყო წარღვნა. ჯერ ადადი, ჭექა-ქუხილის ღმერთი, აგრგვინდა ცაზე. და ქარიშხლის მაცნეები მოედვნენ ცის კიდურს და მთა-ბარს. ნიაღვრებმა ამოხეთქეს მიწიდან და შეუერთდნენ ციდან წამოსულ ღვარს. ატყდა სამხრეთის ქარი, ყველაზე მძვინვარე ოთხი კიდის ქარს შორის, და მისი მობერვისაგან მიწა თიხის ქოთანივით შეტორტმანდა და გაიბზარა. ჩამოწვა უკუნი წყვდიადი, ცისქვეშეთში არაფერი ჩანდა. აღარც ხალხი. აღარც ქალაქები, აღარც ველ-მინდვრები. აღარც სულდგმული – მხოლოდ ერთმანეთში აღრეული წყლები, როგორც ქვეყნის გაჩენამდე იყო. ეს ქაოსის მობრუნებას ჰგავდა. ღმერთებიც კი შეშინდნენ და უკიდურეს ცას შეაფარეს თავი. ქალღმერთი იშთარი მშობიარე ქალივით აკივლდა., სინანულით მოთქვამდა: „წყეულიმც იყოს ის დღე, მიწად გადიქცეს, როცა ღმერთების კრებულში ბოროტი ვიზრახე!... განა ეს ხალხი მე არ გავაჩინე, ახლა თევზებივით ზღვას რომ ავსებენ?" შვიდ დღეს და შვიდ ღამეს ქროდა ქარიშხალი და დააქროლებდა უთანაფიშთის ხომალდს. მეშვიდე დღეს ზღვა დამყუდროვდა და წყალმა დაიხია ხმელეთიდან. ხომალდი შედგა. მიხვდა უთანაფიშთი, რომ შეწყდა წარღვნა, და გახსნა სარკმელი. გაიხედა და, რას ხედავს: ხმელეთზე ყველაფერი წარხოცილი და გაცამტვერებულია, კაცთა მოდგმა და ყოველი სულდგმული განადგურებულია. ამის შემხედვარე უთანაფიშთი, ერთადერთი გადარჩენილი კაცი, ჩაიკეცა და ცხარედ ატირდა, ცრემლები ღვარად სდიოდა ლაწვებზე. ტირილით გული რომ იჯერა, წამოდგა და დაელოდა, როდის გაჩერდებოდა საბოლოოდ ხომალდი, რადგან ჯერ კიდევ ტივტივებდა იგი. ჯერ არ მიმდგარიყო ხმელეთს – მის წინ უზარმაზარი მთა ნიცირი აღმართულიყო. ამოსვა უთანაფიშთიმ მტრედი და გაუშვა. მტრედმა ვერ ნახა მშრალი ადგილი დასაჯდომად და უკანვე მობრუნდა. ახლა მერცხალი ამოსვა და გაუშვა, მერცხალიც მოფრინდა უკან. ბოლოს, ყორანი გაუშვა. ყორანმა იპოვა ხმელეთი, დაჯდა და ყრანტალებდა, უკან აღარ მობრუნებულა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ წარღვნის წყლებს საბოლოოდ მიეტოვებინა ხმელეთი. მაშინ გადმოვიდა ხომალდიდან უთანაფიშთი და გადმოსხა ყველა პირუტყვი და ფრინველი. ააგო სამსხვერპლო და ოთხივე კუთხისკენ შესწირა ღმერთებს მსხვერპლი. გორაკის წვერზე საკმეველი აკმია, მისმა სურნელებამ აავსო მთელი არემარე და ცასაც მისწვდა. საკმევლის სუნი იყნოსეს ღმერთებმა და შემოეხვივნენ მსხვერპლის შემწირველს. მოვიდა იშთარი, აღმართა თავისი ყელსაბამი და წარმოთქვა ყველა ღმერთის გასაგონად: „აჰა, ღმერთებო, ჩემი ყელსაბამი: ვით არ დავივიწყებ საფირონის თვლებს, ისე ეს დღეები მემახსოვრება – უკუნისამდე არ დავივიწყებ..." მოვიდა ენლილიც, წარღვნის მთავარი განმზრახველი. დაინახა ხომალდი და განრისხდა. წყრომით აღივსო ღმერთების მიმართ: როგორ გადარჩა სულიერი, როგორ გადაურჩა მოკვდავი წარღვნას? ვინ ამცნო ადამიანს საიდუმლო, ვინ ასწავლა ადამიანს ხომალდის აშენება, რომ თავი დაეღწია წარღვნისათვის? მაშინ ნინურთამ გასცა ეა, ვინ იქნებოდა, თუ არა იგი. რომელიც სულ მუდამ სწყალობს კაცთა მოდგმას. ის გაუმხელდა ადამიანს ღმერთების საიდუმლო განაჩენს. წარდგა ეა და თავი გაიმართლა: მე არ გამიმხელია ღმერთების განგებულება. მხოლოდ სიზმარი ვახილვინე უთანაფიშთის და თავად ამოიცნო საიდუმლო. მან ბრალი დასდო ენლილს, რომ გონივრულად არ განსაჯა და ცოდვილისა და უცოდველის ერთიანად დაღუპვა განიზრახა. „ცოდვილს თავის ცოდვას მიუთვლიდი, ბრალეულს თავის ბრალს მიუთვლიდი. კაცი უცოდველი არ დაღუპულიყო, კაცი უბრალო არ დასჯილიყო!.." და ასე უთხრა ბოლოს: აჰა, განადგურებულია კაცთა მოდგმა. ერთადერთი კაცია გადარჩენილი შენს სასჯელს. აჰა, დგას იგი შენს წინაშე. ახლა შენ განსაჯე მი-

სი სამართალი". ახლა კი მოტყდა ენლილი, დაუცხრა რისხვა და სისასტიკე. მოჰკიდა ხელი უთანაფიშთის და მის მეუღლეს, მუხლი მოაყრევინა თავის წინაშე, შეეხო მათ შუბლებს და ასე აკურთხა ისინი: „აქამდე მოკვდავი იყო უთანაფიშთი. ამიერიდან უთანაფიშთი და მისი ცოლი, დაე, მსგავსნი გახდნენ ჩვენი, ღმერთებისა! დამკვიდრდეს შორეთში უთანაფიშთი, მდინარეთა დასაბამთან". და, მართლაც, ენლილმა და სხვა ღმერთებმა გააუკვდავეს ისინი ქვეყნიერების გარეთ, შორეთში და ამის გამო ეწოდება მას „შორეული უთანაფიშთი".

საყოველთაო დიდი წარღვნის შესახებ იხ. ათრახასისი, დევკალიონი, ზიუსუდრა, მანუ.

**უთუ** – შუმ. მზის ღმერთი; მისი არქაული იდეოგრამა გამოხატავს ამომავალ მნათობს. უთუ ითვლება სინის ძედ, და ამრიგად, დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს კულტში.. იგი იმავე რანგის ღვთაებაა, როგორისაც ინანა, მისი და; უთუ ზრუნავს თავის ქალწულ დაზე, მონაწილეობას იღებს მისი ბედის გადაწყვეტაში – ურჩევს საქმაროდ მწყემსს დუმუზის, რომელიც შუმ. ტექსტებში თავის თავს უთუს სიძედ იხსენიებს. უთუც მფარველობას და შემწეობას უწევს თავის სიძეს – ყურადღებს მის მუდარას გასაჭირში, როცა ქვესკნელის მავნენი ედევნებიან დუმუზის.

ღამეს უთუ თავისი დედის სახლში ათევს, საიდანაც კვლავ ამოდის დილით. ამიტომაც „მზის ჩასვლას" შუმერულ ენაზე გამოხატავდნენ ფიგურალურად: „უთუ დედის სახლისაკენ დაბრუნებული"; უთუ ამ დროს ისვენებს, იგი გათავისუფლებულია დღიური ტვირთისაგან (აღსანიშნავია, რომ „დედასთან დაბრუნება" – ამა-არ-გი – შუმერულად „გათავისუფლებას" ნიშნავს).

უთუ ითვლება ურუქის ლეგენდარული მეფეების, მესქიაგაშერის და მისი ძის ენმერქარის მამად: შუმერის მეფეთა სიაში ისინი იწოდებიან „უთუს ძედ" ისევე, როგორც მითოლოგიურ თქმულებებში („ენმერქარი, ძე უთუსი"). გილგამეშის შუმერულ სიმღერაში უთუს შთაგონებით ილაშქრებს ურუქელი გმირი ხუმბაბასკენ, რათა დაამყაროს იქ უთუს სახელი.

**ულიძესი** – (ულისე). *ოდისევსის* სახელის ლათინური შესატყვისი.

**ულიქუმი** – ხეთ. ქვის ბრმა და ყრუ ურჩხული, ქუმარბის ნაშიერი, რომელიც მან ტაროსის ღმერთის თეშუბის საპირისპიროდ შექმნა. ულიქუმი ასე წარმოიშვა: ქუმარბიმ სიბრძნე ჩაიგროვა თავის გულში, სწრაფად წამოიმართა თავისი ტახტიდან, ხელთ კვერთხი იპყრა, ფეხზე ხამლების ნაცვლად სწრაფი ქარები ჩაიცვა. და გაემართა თავის ქალაქ ურქიშიდან. ცივს ტბას რომ მიადგა, იქ ერთი დიდი კლდე მოძებნა და შეეუღლა მას. ხუთგზის და ათგზის შეუღლების შემდეგ ჩაისახა ბავშვი. ბედისწერის ქალღმერთებმა და ბებია-ქალღმერთებმა ამოიყვანეს კლდიდან ჩვილი და ქუმარბიმ მას მისი ამოცანის შესაფერი სახელი დაარქვა – ულიქუმი „ქუმიის შემმუსვრელი": „ულიქუმი ერქვას მას! ავიდეს ცაში და დაამხოს ქუმია, სახელოვანი ქალაქი! დაამხოს თეშუბი, გააცამტვეროს! ფეხით გასრისოს, როგორც ჭიანჭველა!... ციდან გადმორეკოს ღმერთები ფრინველებივით! დალეწოს ისინი ცარიელი თეფშებივით!...". ახლა ქუმარბი იმაზე ფიქრობს, თუ სად და როგორ გაზარდოს ულიქუმი, რომ ვერავინ ჰკრას თვალი: „ვის მივაბარო ჩემი შვილი? ვინ მიიღებს მას და ვინ წაიყვანს ბნელ მიწაზე? რომ მზის ღმერთმა და მთვარის ღმერთმა ვერ იხილონ იგი! თეშუბმა, ქუმიის ძლევამოსილმა მეფემ, ვერ იხილოს იგი და ვერ მოკლას! იშთარმა, ნინევიის დედოფალმა, ვერ იხილოს იგი, ვერ გადაამტვერიოს ხმელი ლერწამივით!..." შემდეგ ქუმარბიმ შეჰყარა ირშირები (მცირე ღმერთები) და დაავალა მათ ქუმარბის წაყვანა ბნელ მიწაზე. იგი შესვეს უფელურის მხრებზე და ასე იზრდებოდა ქვის ბავშვი. წელამდე მას ზღვა სწვდება, თავით კი ცას ებჯინება. პირველმა, ღმერთებს შორის, ქვის ბავშვი, ულიქუმი, მზის ღმერთმა დაინახა და მიხვდა, რას უმზადებდა იგი თეშუბს და ესტუმრა მას გასაფრთხილებლად. მზის ღმერთს ტაბლას გაუწყობენ, მაგრამ ის პირს არაფერს აკარებს, სანამ ტაროსის ღმერთს ულიქუმის ამბავს არ შეატყობინებს. ახლაღა შეექცევა სასმელ-საჭმელს მზის ღმერთი და გასწევს თავისი ადგილისკენ. თეშუბი თავის ძმასთან თაშმიშუსთან ერთად გაემართება, რათა თავისი თვალით ნახოს ქვის ურჩხული – თავისი მეტოქე. მათთან ერთად გაემართა იშთარიც, მათი და. „ხელ ხელს ჩაკიდეს და მთისკენ გაემართნენ. როცა თვალი ჰკიდა შემზარავ ლოდს, მეფე თეშუბს ბრაზი მოერია, დაჯდა მიწაზე და ცრემლად იღვრება. „ვინ აიტანს მის რისხვას? ვინ შეებრძოლება მას? ვინ გაუძლებს შიშს მის წინაშე?" იშთარი ამხნევებს თეშუბს და გადაწყვეტს თავისი მომხიბლავი სიმღერით გული მოულბოს ქვის არსებას. იგი მღერის ზღვის პირას თავის ტკბილ სიმღერებს, მაგრამ ამაოდ! ულიქუმი ხომ ყრუა, არაფერი ესმის თავის გარშემო, ის ხომ ბრმაა, ვერაფერს ხედავს ირგვლივ! ულიქუმი იშთარის წინ იზრდება და მან უნდა გაასწროს, ვიდრე ქვის ურჩხულის თავის ქალა უზარმაზარი გახდებოდეს. იშთარმა შემოიძარცვა სამკაულები და მუსიკალურ საკრავებთან ერთად გადაყარა და, ამჯერად, ტირილით დაბრუნდა თეშუბთან. ახლა თეშუბი ძმას თამშიშს აგზავნის ულიქუმისთან საბრძოლველად. ჭექა-ქუხილის ღმერთი სასახლიდან გამოატანინებს ელვას, შეაკაზმინებს ეტლებს, ცაზე რომ გრუხუნით მიმოდიან, გამოიხმობს ქარიშხლის ღრუბლებს... ბრძოლაში სამოცდაათი ღმერთი ჩავა. მაგრამ ამასობაში ულიქუმი იმ ზომამდე გაიზარდა, რომ მისმა ჩრდილმა დაფარა თეშუბის სატახტო ქალაქი ქუმია, სადაც მისი ცოლი ხებათი, ავი წინათგრძნობით სავსე, ელის ბრძოლის ამბავს. ბოლოს, ის გამოდის სასახლის ბანზე და წინასწარმეტყველებს, რომ მის ქმარს მოუწოდეს ხელისუფლების დათმობა ცაზე, ვიდრე „განწესებული წლები არ ამოიწურება". თაშმიშუ ურჩევს თავის ძმას შემწეობა სთხოვოს ეას. ეა ჯერ ენლილთან მიეა და, ბოლოს, უფელურისთან და ასე მიმართავს მას: „არაფერი შეგიტყვია, უფელური? ამბავი არავის მოუტანია? არ გაგიგია, როგორ იზრდება ქვის არსება, ქუმარბიმ რომ შექმნა? ქუმარბის თეშუბის სიკვდილი განუზრახავს, ულიქუმი მის მეტოქედ შეუქმნია.



*უთუ – მზის ღმერთი ამოდის ორ მთას შორის.*



*ხეთური ტაროხის ღმერთი (დაახ. ძვ.წ. 850 წ.). ბერლინის წინააზიური მუზეუმი.*

უფელუმიმ ასე მიუგო: „როცა ცა და მიწა ჩემზე დააშენეს, მაშინ არაფერი ვიცოდი. როცა ცა და მიწა საჭრეთელით განაშორეს ერთმანეთს, არც მაშინ არაფერი ვიცოდი. ახლა ვილაც მაწვება მარჯვენა ბეჭზე, მაგრამ არ ვიცი, ვინ არის ეს ღმერთი". როცა ეს მოისმინა ეამ, უფელური მარჯვენა მხარით შემოატრიალა და, რას ხედავს, მარჯვენა ბეჭზე უზარმაზარი ლოდი, მახვილიეით ალმართულიყო. მაშინ ეამ უბრძანა ძველ ღმერთებს, დაემზადებინათ ის იარაღი, რომლითაც ოდესლაც ცა და მიწა განაშორეს ერთმანეთს, რათა ასევე განეცალკევებინათ ქვა-ულიქუმი უფელურისგან, რომელზეც ის დასვეს და სადაც გაიზარდა.ასეც გააკეთეს ღმერთებმა: ულიქუმი მოაშორეს თავის საყრდენს, საიდანაც ის ძალას იკრეფდა, და ახლა თეშუბს შეეძლო ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო მასთან. საბოლოო ბრძოლის აღწერილობა შემონახული არ არის ხეთურ ტექსტებში, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ გამარჯვება თეშუბს, ჭექა-ქუხილის ძლევამოსილ ღმერთს დარჩებოდა, რათა კელავინდებურად ექუხა ცაზე და წვიმით მოერწყო მიწა.

**ურანია** – ბერძნ. 1. ზეციური, ამაღლებული სიყვარულის განმასახიერებელი აფროდიტეს ეპითეტი (აფროდიტე ურანია). ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ეპითეტის გასამარტებლად შეითხზა მითოსი *ურანოსის* ზღვაში გადასროლილი ფალოსის გარშემო აქაფებული ზვირთებიდან აფროდიტეს დაბადების თაობაზე.

2. ასტრონომიის *მუზა*; მას წარმოსახავდნენ ყმაწვილ ქალად, რომელსაც ხელში ეკავა ცის სფერო.

**ურანიდები** – ბერძნ. ასე ეწოდებოდათ *ურანოსის* შთამომავლებს, *ტიტანებს*. ყველაზე ცნობილი ურანიდი იყო *კრონოსი*, რომელიც თავის მეუღლე *რეასთან* ერთად მართავდა სამყაროს მას შემდეგ, რაც ურანოსის მეუფება წარსულს ჩაბარდა.

**ურანოსი** – ბერძნ. უძველესი და უზენაესი ღვთაება, რომელიც ზეცას განასახიერებდა.

*გეამ*, დედამიწამ, შვა თავისივე სიდიდის ზეცა, ურანოსი, რომელიც ზედ გადაიფარა. მათგან კი გაჩნდნენ *ტიტანები*, *კიკლოპები* და *ჰეკატონქეიროსები*. მითებში ურანოსის შვილთა რიცხვი თორმეტიდან ორმოცდახუთამდე აღწევს.

ურანოსს თავისი ნაშიერები არ მოსწონდა და ამიტომ დაბადებისთანავე *ტარტაროსში* აგდებდა. შეწუხდა გეა, რადგანაც მისი წიაღი აივსო მისგანვე შობილი ბუმბერაზებით. მან თავისი უმრწემესი ძე, *კრონოსი*, მამის წინააღმდეგ წააქეზა, ადამანტისგან ვეებერთელა ნამგალი გაუკეთა და სათანადოდაც დაარიგა.

მიმწუხრისას, როდესაც ურანოსი ყოველი მხრიდან შემოეფინა გეას, ჩასაფრებულმა კრონოსმა მამას ნამგლით ნაყოფიერების ასო მოჰკვეთა და ზურგს უკან მოისროლა.

ურანოსის ფალოსიდან ჩამონადენმა სისხლის წვეთებმა უკანასკნელად გაანაყოფიერეს გეა, რომელმაც წლის დასალიერს შვა *ერინიები*, *გიგანტები* და მელიებად წოდებული *ნიმფები*. ხოლო თავად ფალოსი ჩავარდა ზღვაში, რომლის აქაფებული ზვირთებიდანაც დაიბადა მშვენიერი *აფროდიტე*.

ურანოსის შემდეგ უზენაესი ღვთაების სახელი დაიმკვიდრა კრონოსმა.

**ური** – შუმერის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე; შუმერის სახელგანთქმული დინასტიის (ე.წ. III დინასტიის – დაახლ. 2112-2004 ძვ.წ.) სატახტო ქალაქი, მთვარის ღმერთის, სინის მთავარი საკულტო ცენტრი, რომლის დაარსება კოსმოგონიურ ხანაშია წარმოდგენილი: „ქალაქი, რომელიც ზღვასავით თავისთავად დაფუძნდა". ური და მისი ტაძარი (ექიშნუნგალი) მითოსურად გაიგივებულია ბოსელ-ფარეხთან და იწოდება „ფურმრავალ, ფართო ბოსლად", რომლის მწყემსია თავად მთვარის ღმერთი. ერთი შუმერული ჰიმნი ამგვარად აქებს ურს: „საუკეთესო ხვედრის ქალაქი, მეუფების დიდი საყდარი; ტაძარი-ური, შუმერის სამეთაუროდ აგებული. ქალაქი დიდკედლებიანი, აბზუდან ამოზრდილი; ქალაქი ცასავით გამშვენებული, სიუხვით დატვირთული და ფერად-ფერადად შემკობილი..."

ური „ქალდეველთა ურის" სახელწოდებით ებრაელი ხალხის მამამთავრის აბრაამის სამშობლოა, საიდანაც მისი საგვარეულო ღვთის განგებით ქანაანში გადასახლდა (დაბ. 11:31). ცნობილია ურის დიდი ზიკურათი, საფეხუროვანი კოშკი, რომელიც ათასი წლის მანძილზე შენდებოდა და, მაინც ვერ დასრულდა. იგი ბიბლიური ბაბილონის გოდოლის პროტოტიპია.

**ურუქი** – უნუგ. „სადგომი", „ბინა", უძველესი შუმ. ქალაქი, ასპარეზი ეპიური და მითოლოგიური თქმულებებისა. ურუქის მკვიდრნი იყვნენ მითოლოგიურ-ეპიური ენმერქარი, ლუგალბანდა და გილგამეში; იქვე ჩაისახა ლეგენდები მათ შესახებ. შუმ. ეპო-



*ურის ზიკურათი.*

სის თანახმად ურუქის მეფემ ემნერქარმა გამოიგონა ლურსმული დამწერლობა. ურუქი იყო ინანას საკულტო ქალაქი, სადაც იდგა მისი მთავარი ტაძარი ეანა. აქ დაკანონებული იყო საღვთო (საწესო) ქორწინების ჩვეულება (ჰიეროგამია), რომლის კვალი ჩანს გილგამეშის ეპოსში. ურუქი ცივილიზებული, მაღალი კულტურის, გაფუფუნებული ქალაქია, რომელიც უპირისპირდება მისი გალავნის გარეთ მოქცეულ უდაბნოს, როგორც დასახლებული მხარე – უკაცრიელს. კულტურის მატარებელი ურუქი ცდილობს გააერცელოს თავისი გაელენა გალავანს გარეთ, მოიზიდოს ველური ენქიდუ და მასთან ერთად „ველიც". ურუქი უპირისპირდება აგრეთვე ხუმბაბას სამყოფელს, რომელსაც შამაშის სახელით იპყრობს იგი. ურუქის განუშორებელი ეპითეტებია „გალავნიანი", „მოედნიანი" ან „ურუქ-ფარეხი". იგი გააზრებულია ფარეხად, სადაც ინანას წმინდა ფარა იკრიბება. ტრადიციით, ურუქის გალავანს ისტორიამდელმა შვიდმა ბრძენკაცმა ჩაუყარა საფუძველი. მისი ქება-დიდებით იწყება გილგამეშის ეპოსი.

**ურ-შანაბი** – „ორი მესამედის მოყმე", გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი, წარღვნის გმირის, უთანაფიშთის მენავე, რომელმაც იგი ნეტართა მხარეში გადაიყვანა. მასვე მიჰყავს თავისი ხომალდით გილგამეში წარღვნის გმირის სამყოფელში, „მდინარეთა დასაბამთან" და აბრუნებს უკანვე ურუქისაკენ. თუმცა ეპოსში ნათქვამია, რომ შამაშის მეტს არავის ძალუძს „სიკვდილის წყლების" გადალახვა, ურშანაბისაც შესწევს ამის უნარი.

მისი სახელი ნიშნავს: „მოყმე შანაბისა" (შანაბი – ორი მესამედი, იგულისხმება სრული რიცხვის, სამოცის ორი მესამედი, ენქის საკრალური რიცხვი).

**უფელური** – ხეთ. გოლიათური არსება, რომელიც ცასა და მიწას შორის არის აღმართული და ბეჭებით ცა უჭირავს, როგორც ელინური მითოლოგიის ატლასს.

**უშასი** – ინდ. განთიადის ქალღმერთი, ცის ასული. იგი თვალისმომჭრელი, წითელ ცხენებში შებმული ეტლით გამოჩნდება ცის კაბადონზე და მზეს უღებს ცის კარიბჭეს და გზას უმზადებს მას, აღვიძებს ყველა ქმნილებას სიცოცხლისთვის, ამავე დროს, დღეებს უზომავს მოკვდავ არსებებს. ერთხელ სომით დამთვრალმა ინდრამ თავისი ვაჯრით ეტლი დაულეწა უშასს. შეშინებულმა უშასმა მიატოვა დალეწილი ეტლი და გაერიდა გამძვინვარებულ ღმერთს. ასე ხდება მზის ამოსვლისას: ცისკრის ვარსკვლავი უჩინარდება ცის კაბადონიდან.

# ფ

**ფაეთონი** – ბერძნ. „მოგიზგიზე".

1. *ჰელიოსის* ეპითეტი.

2. გვიანი ხანის მითოგრაფოსები გადმოგვცემენ, რომ ფაეთონი *ჰელიოსისა* და *ოკეანიდა* კლიმენეს (ან მეროპეს) ვაჟი იყო. იგი დედასთან იზრდებოდა. ერთხელ *ზევსისა* და *იოს* ვაჟმა, ეპაფოსი რომ ერქვა სახელად, მას დაცინვით უთხრა: „არ მჯერა, რომ ჰელიოსის შვილი ხარ. ტყუის დედაშენი, მან მზის ღმერთისგან კი არა, ვილაც მოკვდავი კაცისგან გშვა!" შეურაცხყოფილი ფაეთონი ჰელიოსს ეწვია სასახლეში და ეპაფოსის ნათქვამი ამცნო. მიეალერსა შვილს ჰელიოსი და დააწყნარა: „რა თქმა უნდა, ჩემი შვილი ხარ. მთხოვე, რაც გინდა, *სტიქსის* წყალს ვფიცავ, შეგისრულებ, რასაც ისურვებ!" დიდი ხანია, მოსწონდა მზის ოქროს ეტლი ფაეთონს და სწორედ მისი მართვის უფლება სთხოვა მამას. შეძრწუნდა ჰელიოსი. იცოდა, საბედისწეროდ მოექცეოდა ამ სურვილის აღსრულება უგუნურ ჭაბუკს. თავად ზევსიც კი ვერ შეძლებდა იმ ეტლის მართვას, რომლითაც ჰელიოსი მთელს სამყაროს გარს უვლიდა. დადებული ფიცის გატეხვა არ იქნებოდა და მზის ღვთაებამ თავისი ხელით აღაზევა ეტლზე ჭაბუკი. თან სათანადოდ დაარიგა, სთხოვა, რომ ნებას არ მიეშვა სადავეები. არც ძლიერ მაღლა ასულიყო, არც ძალზე დაბლა, თორემ ცეცხლი მთელს დედამიწას გადაბუგავდა. ბოლოს სურვილის დათმობაც სთხოვა, მაგრამ ფაეთონს არ ესმოდა მამის ნათქვამი, მან წამისუმალ მოზიდა სადავეები და ჰაერში აიჭრა. ემსუბუქათ რაშებს ეტლი და თავის ნებაზე გააქროლეს. ვერ შეძლო სადავეების მართვა ფაეთონმა და როდესაც მზის ეტლი დედამიწას მიუახლოვდა, ალი მოედო მთელს ქვეყანას, ადუღდნენ მდინარეები, *ჰადესსაც* მისწვდა სიმხურვალე. შეწუხდა *გეა*. შეველა სთხოვა ზევსს, რომელმაც შეისმინა ქალღმერთის ვედრება და თავისი მეხით დაამსხვრია ჰელიოსის ეტლი. რაშები სხვადასხვა მხარეს გაფრინდნენ. ფაეთონი კი, რომელიც უკვე გიზგიზებდა, ვარსკვლავივით ჩავარდა მდინარე ერიდანის ზვირთებში. იქვე დაიტირეს იგი მისივე დებმა, *ჰელიადებმა* და მწუხარენი გარდაისახნენ ალვის ხეებად, რომლებზეც ქარვებივით დაეკიდა მათი ცრემლები.

ფაეთონის პოეტურმა მითოსმა მწერალთა და ხელოვანთა ყურადღება მიიპყრო. ევრიპიდეს დაუწერია ტრაგედია „ფაეთონი",



*ფაეთონი. მარმარილოს სარკოფაგის რელიეფური ფრაგმენტი (190–220 წ.წ.). პარიზი, ლუვრი.*

რომელმაც ჩვენამდე ნაწილობრივ მოაღწია (დიდმა გერმანელმა მწერალმა, გოეთემ, ამ ტრაგედიის აღდგენა სცადა). ცნობილია ფაეთონის მითოსის ოვიდიუსისეული და კალდერონისეული ვერსიები. ანტიკურ ხელოვნებაში ხშირად წარმოსახავდნენ ფაეთონის ვარდნის სცენებს. ფაეთონს ხატავდნენ ისეთი ცნობილი მხატვრები, როგორებიც იყვნენ ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ტიეპოლო, ტინტორეტო, პუსენი, რუბენსი, პიკასო და სხვები.

**ფავნუსი** – რომ. ტყეთა და ველთა რომაული ღმერთი; მწყემსთა და არვეთა მფარველი; ***პიკუსისა*** და ***პომონას*** ძე; ***ლატინუსის*** მამა; მას ***პანთან*** და ***სილვანუსთან*** აიგივებდნენ.

რომაელებს სჯეროდათ, რომ ფავნუსი ოინებს უწყობდა და აშინებდა ტყეებში მიმავალ მგზავრებს; ზოგჯერ სახლებშიც შეიპარებოდა ხოლმე და ძილს უფრთხობდა ადამიანებს. მიუხედავად ამ მზაკვრული ხასიათისა, ფავნუსი მინდორთა და ველთა ნაყოფიერებაზე ზრუნავდა. მას მისნობის უნარიც ჰქონდა. მისი ***ორაკულები*** ტყის სიღრმეში მდებარეობდნენ. მომავლის შეტყობის მსურველები ფავნუსის საკურთხეველთან, მსხვერპლად შეწირულ ცხვრის ტყავზე მიიძინებდნენ, რათა ეხილათ გრძნეული სიზმარი. ამ პროცესს ***ინკუბაცია*** ეწოდებოდა. შესაძლოა, ამიტომაც შეარქვეს ფავნუსს მეტსახელად ინკუბუსი.

ფავნუსის პატივსადებად დეკემბერში ეწყობოდა ზეიმი, რომელსაც ფავნალიები ეწოდებოდა. ამ ღეთაებას მსხვერპლად სწირავდნენ თხებს, ხოლო ზედაშედ უძღვნიდნენ რძესა და ღვინოს.

ანტიკურ ხელოვნებაში ფავნუსს გამოსახავდნენ კაცად, რომელსაც ჰქონდა თხის ჩლიქები, წაწვეტებული ყურები, ზოგჯერ–რქებიც. მოგვიანებით მას მოცეკვავე ლამაზ ჭაბუკადაც წარმოადგენდნენ, რომელსაც ხელში ღვინით სავსე ფიალა ეჭირა. ფავნუსის სახემ მრავალი მხატვრისა თუ მოქანდაკის (რუბენსი, ბოკლინი, როდენი, პიკასო), კომპოზიტორისა (დებიუსი) თუ პოეტის ყურადღება მიიპყრო. გასაოცარი სიზუსტით აღწერს მას დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი: „Вдруг фавна зрит она. /Философ козлоногий/ Под липою лежал/ И пенистый фиал./Венком украсив роги,/ Лениво осушал". (Фавн и пастушка.).

**ფამა** – რომ. „ხმა". რომაულ პოეზიაში ფამა „ხმის დარხევის" განსახიერებაა.

**ფანტასოსი** – (ფანტაზიები) ბერძ. და რომ. ძილის ღვთაების, ***ჰიპნოსის*** ძე; ***მორფევსის*** ძმა.

ფანტასოსი ადამიანებს ძილში ეცხადებოდა მიწის, წყლის, ხეებისა თუ ქვების სახით. ფანტასოსი პოეტური სახეა და არა მითოსური.

**ფაონი** – ბერძ. კუნძულ ლესბოსის მეკიდრი.

ერთხელ ***აფროდიტემ*** განიზრახა, გამოეცადა ფაონი და მას, ბერიქალად გარდასახული, მდინარის პირას გამოეცხადა, თან მეორე ნაპირზე გადაყვანა სთხოვა. არ დაიზარა ფაონმა და მოხუც ქალს თხოვნა აუსრულა, არც საზღაური გამოართვა. მაშინ აფროდიტემ კვლავ თავისი სახე დაიბრუნა და ფაონს ისეთი სალბუნი მისცა, რომლის ძალითაც იგი უფრო ახალგაზრდა და მშვენიერი გახდა. ყველა ქალი ეტრფოდა ფაონს. მათ შორის იყო დიდებული პოეტესა საპფოც. ასე ამბობენ, ლევკადის კლდიდან გადაეშვა მღელვარე ზღვაში ფაონზე უიმედოდ შეყვარებული პოეტი ქალი.

**ფარადეზა** – ირან. „შემოღობილი (წალკოტი)". სამოთხე, რომელიც წარმოა-



*ფაონი. პიდრიას ფერწერა (ძვ.წ. 410 წ.). ფლორენცია, არქეოლოგიური მუზეუმი.*

დგენს კვადრატულად შემოღობილ ბაღს, სადაც მართალთა ნეტარი სულები განისვენებენ. აქედან (ბერძნული გზით) მოდის ევროპულ ენებში სამოთხის სახელწოდება (მაგ., ინგლისური paradise).

**ფარნა** – იხ. ხვარნა.

**ფატუმი** – რომ. ბედის განსახიერება. რომაელები ფატუმებს ბერძნულ *მოირათა* მსგავს ღვთაებებს უწოდებდნენ. მათი წარმოდგენით, ისინი დაბადებისთანავე განსაზღვრავდნენ ადამიანის ბედს.

**ფაუნა** – (ფავნა) რომ. ტყეთა და ველთა რომაული ქალღმერთი; ფავნუსის ქალური სახეცვლილება (ჰიპოსტასი); ითვლებოდა ფავნუსის დად ან მეუღლედ.

ფაუნას კულტი ხშირად *ბონა დეას* კულტს შეერთვოდა. მისი სახელის მიხედვით ეწოდა ცხოველთა სამყაროს ფაუნა.

**ფაუსტულუსი** – რომ. მწყემსი; *აკა ლარენციას* მეუღლე, რომელმაც იპოვნა და გამოზარდა *რომულუსი* და *რემუსი*.

**ფეაკები** – ბერძ. მითოსური ხალხი; მათ შესახებ მოგვითხრობს ჰომეროსი თავის „*ოდისეაში*".

ოდესღაც ფეაკები მითოსური ჰიპერეადან კუნძულ სქერიაზე გადასახლებულან, რათა განრიდებოდნენ მეზობელ *კიკლოპებს*, რომლებიც მათ გამუდმებით თავს ესხმოდნენ. *გიგანტთა* და კიკლოპთა მსგავსად, ფეაკებსაც დიდი ახლობლობა ჰქონდათ ღმერთებთან, რომლებიც მთელი თავიანთი დიდებულებით გამოეცხადებოდნენ ხოლმე მათ ნადიმებსა და დღესასწაულებზე. „ოდისეას" მიხედვით, ფეაკთა ქვეყანაში ჯერ კიდევ მატრიარქატის ხანა იდგა. ხალხი თაყვანს სცემდა მეფე ალკინოოსის მეუღლეს, დედოფალ *არეტეს*. სწორედ მას სთხოვა *ოდისევსმა* თავშესაფარი, მას ეკუთვნოდა უკანასკნელი სიტყვა, როცა დაობდნენ მამაკაცები. ფეაკთა მეფის უფლებებს განსაზღვრავდა უხუცესთა საბჭო. ისინი ბელადებად ან სკიპტრისმპყრობელ მეფეებად მოიხსენიებოდნენ.

ალკინოოსი ზღვათა მეუფე *პოსეიდონის* ბადიში იყო და, ალბათ, ამან განსაზღვრა ფეაკთა ცხოვრების წესიც: ისინი დახელოვნებული მეზღვაურები იყვნენ. მათი ხომალდები ბობოქარ ზღვაშიც ქარზე უსწრაფეს მიაპობდნენ მთად ამდგარ ზვირთებს. ამ ხომალდებს არ სჭირდებოდათ მესაჭე, რადგან ისინი, გასაოცარი გრძნეულებით, თავად ხედებოდნენ მეხომალდეთა ფიქრსა და ზრახვებს.

განმარტოებით ცხოვრობდნენ ფეაკები მშვიდად და კანონმორჩილად. ისინი არ ვაჭრობდნენ, როგორც სხვა ხალხები, არ იბრძოდნენ. მათი ცხოვრების ყოველი დღე ზეიმი იყო. ფეაკებს უყვარდათ ლხინი, გართობა, მუსიკა თუ სპორტული თამაშობანი. ზღვაში ხეტიალით გაწამებულ ოდისევსს სქერია საოცნებო და ზღაპრულ ქვეყნად ეჩვენებოდა. ფეაკებმა იგი გულთბილად მიიღეს და თავიანთი გრძნეული ხომალდით სამშობლოში დააბრუნეს.

**ფებრისი** – რომ. „ციებ-ცხელება".

რომში თითქმის ყოველ მოვლენას თავისი ღვთაება ჰყავდა. მათ შორის იყო ციებ-ცხელების ღმერთი ფებრისი, რომელსაც შეწუხებული ჰყოლია ლატიუმის მოსახლეობა. რომში მას სამი საკურთხეველი აუგეს.

**ფედრა** – ბერძ. *მინოსისა* და *პასიფაეს* ასული, *არიადნეს* და; *თესევსის* მეორე ცოლი; დემოფონისა და აკამასის დედა, რომელსაც შეუყვარდა თავისი გერი, *ჰიპოლიტოსი*.

თესევსს ამორძალ ანტიოპესგან ჰყავდა ვაჟიშვილი ჰიპოლიტოსი. ანტიოპეს გარდაცვალების შემდეგ მან იქორწინა *მინოსის* ასულ ფედრაზე, ხოლო ჰიპოლიტოსი აღსაზრდელად მიაბარა *პიტთევსს*, არგოლისის ბრძენ გამგებელს, რომელმაც იშვილა იგი და ტროიძენის სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარა.

ჰიპოლიტოსი, ისევე როგორც მისი ამორძალი დედა, განსაკუთრებულ თაყვანს სცემდა ნადირობის მფარველ *არტემისს*. მან ტროიძენში დიდებული ტაძარი აუგო რჩეულ ქალღმერთს, რითაც განარისხა *აფროდიტე*. სიყვარულის ღვთაებამ ჭაბუკის დასჯა განიზრახა და *ელევსინის მისტერიებზე* მისულ ფედრას თავდავიწყებით შეაყვარა ჰიპოლიტოსი.

იმხანად თესევსი ათენში იმყოფებოდა. ამიტომ ფედრა ჩაეიდა ტროიძენში, სადაც ააგო „მოთვალთვალე აფროდიტეს" ტაძარი, რომელიც გიმნასიონს გადაჰყურებდა. სწორედ აქედან უთვალთვალებდა იგი ჰიპოლიტოსს, რომელიც ვარჯიშობდა სრბოლაში, ხტომასა და ჭიდილში. ტაძრის ეზოში იდგა მირტის ხე, რომლის ფოთლებსაც ჩხვლეტდა ფედრა ქვებით მოოჭვილი თმის სამაგრით გაუზიარებელი ვნებების გამო. მალე ჰიპოლიტოსი ათენს გაემგზავრა, რათა საყოველთაო ასპარეზობებში მიეღო მონაწილეობა. მის კვალს დაადგა ფედრაც, რომელიც ცდილობდა დაეფარა თავისი ვნება. იგი თითქმის არ ჭამდა, არ ეძინა და ისე დასუსტდა, რომ შეაშფოთა თავისი მხევლები. განსაკუთრებით წუხდა ძიძა, რომელიც მიხვდა, რაც ხდებოდა. მან აიძულა ფედრა, წერილი მიეწერა ჰიპოლიტოსისათვის, გაემხილა თავისი გულისთქმა.

მიიღო თუ არა ბარათი მეფისწულმა, ისე აღშფოთდა, რომ სასწრაფოდ გააქრო. შემდეგ შეიჭრა ფედრას თალამოსში და ხმამაღლა დაუწყო ლანძღვა. ხოლო ფედრამ ფართოდ გააღო ყველა კარი, შემოიხია სამოსელი და მოჰყვა ძახილს: „მიშველეთ, პატივს



*ფედრა. ჟ. ლაგრენეს ნახატი (1795 წ.). სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.*

მხდიანო!“ შემდეგ დაწერა ბარათი, სადაც ბრალს სდებდა ჰიპოლიტოსს საშინელ დანაშაულში და თავი ჩამოიხრჩო.

როდესაც თესევსმა ბარათი წაიკითხა, დაწყევლა ჰიპოლიტოსი და უბრძანა სასწრაფოდ დაეტოვებინა ათენი. მრისხანების ჟამს გაახსენდა, რომ ოდესღაც მისმა მამამ, ***პოსეიდონმა***, სამი სურვილის აღსრულება აღუთქვა. „დიადო მამავ! – შეევედრა იგი ღვთაებას, – ტროიძენისკენ მიმავალ ჰიპოლიტოსს მოუვლინე შემზარავი მხეცი, რათა შებინდებამდე ამოხდეს სული!“

ჰიპოლიტოსი მთელი სისწრაფით მიექანებოდა თავისი ქალაქისაკენ. ისთმოსის სანაპიროზე წამოიმართა უზარმაზარი ტალღა, საიდანაც გამოვარდა თეთრი ხარი. მისმა ბღავილმა და ნესტოთაგან ამოხეთქილმა წყლის ნაკადმა დააფრთხო ჰიპოლიტოსის ეტლში შებმული ცხენები. შეძრწუნებულებმა გეზი იცვალეს და უფსკრულისაკენ გაქანდნენ, მაგრამ ჰიპოლიტოსი გამოცდილი მეეტლე იყო და მსწრაფლ შეაკავა ისინი. მხეცი უკან დაედევნა ეტლს. ბოლოს და ბოლოს ჰიპოლიტოსმა ვეღარ შეძლო ცხენების მოთოკვა. იქვე არტემისის საკურთხეველი იყო აღმართული. მის მახლობლად კი ძველი ზეთისხილის ხე იზრდებოდა. მის დაგრეხილ რტოებში გაეხლართა ჰიპოლიტოსს სადავეები, ხოლო ეტლი კი კლდეს მიენარცხა და დაიმსხვრა. ჰიპოლიტოსს მაშინ აღმოხდა სული, როდესაც ცხენები მიწად მიათრევდნენ. მხეციც მყის გაქრა.

ამასობაში არტემისმა მოასწრო, სიმართლე განეცხადებინა თესევსისათვის და წამისუმალ გადაეყვანა იმ ადგილას, სადაც ცხენები მიათრევდნენ მის ძეს. მართალია, თესევსმა მიუსწრო სულთმობრძავ ჰიპოლიტოსს და შეურიგდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. სასოწარკვეთილ მამას ისღა დარჩენოდა, რომ მწარედ ეგლოვა უდანაშაულოდ დაღუპული შვილი.

**ფელიკიტასი** – რომ. „ბედნიერება, წარმატება“. რომაული ღვთაება, რომელიც ბედნიერებასა და წარმატებას განასახიერებდა; იგი ***ფორტუნას*** თანაგვარი იყო.

**ფენიქსი** – (ფოინიქსი) ბერძნ. 1. ფინიკიელთა ***ეპონიმოსი*** (ეპონიმი); ***ევროპეს*** ძმა (ან მამა).

თავის ძმებთან ერთად ფოინიქსი ***ზევსის*** მიერ მოტაცებული ევროპეს მოსაძებნად გაგზავნეს. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ იგი დასახლდა მიწად, რომელსაც ფინიკია უწოდა.

2. ბეოტიის მეფის, ამინტორის ძე. ***აქილევსის*** აღმზრდელი. ფოინიქსი აქილევსთან ერთად მონაწილეობდა ***ტროას ომში***. როდესაც აქილევსი ***აგამემნონს*** განურისხდა, ფოინიქსი იმ წარგზავნილთა შორის იყო, რომლის ბრძნულ რჩევასაც გმირი ბრძოლის ველზე უნდა დაებრუნებინა.



ფოინიქსი. კილიქსის ფერწერა (დაახ. ძვ. წ. 490 წ.). პარიზი, ლუვრი.

3. ზღაპრული ფრინველი. ძველების რწმენით, იგი 500 წელიწადში ერთხელ მოფრინდებოდა ხოლმე არაბეთიდან ეგვიპტეში. იქ, ჰელიოპოლისში, ფენიქსი თავის მამას ასაფლავებდა. სხვა მითოსის თანახმად, ფენიქსი იცოცხლებდა რა 500 (სხვა ვერსიით, 1461 ან 7006) წელს, თავს იწვავდა და შემდეგ ფერფლიდან გაახალგაზრდავებული კვლავ აღსდგებოდა.

ანტიკურ ხელოვნებაში ფენიქსს არწივისებურ ფრთოსნად წარმოადგენდნენ, რომელსაც ცეცხლოვანი ან ოქროსფერი ფრთები ჰქონდა.

**ფერესი** – ბერძნ. 1. თესალიური ფერეს დამაარსებელი და მეფე; ადმეტოსის მამა. ევრიპიდემ თავის ტრაგედიაში, რომელსაც „ალკესტისი“ უწოდა, ფერესი წარმოადგინა ეგოისტ მამად, რომელმაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, არ ისურვა შვილის ნაცვლად ***ჰადესში*** ჩასვლა.

2. ***იასონისა*** და ***მედეას*** ძე. იგი ***მერმეროსთან*** ერთად მოკლა მედეამ.

**ფთახი** – ეგვიპტ. სამყაროს შემოქმედი დიდი ღმერთი, რომელსაც მემფისში მიაგებდნენ განსაკუთრებულ პატივს. პირველი წევრი ტრიადისა – ფთახი-სეხმეთი-ნეფერთემი. მისი შექმნილია ღმერთების რვეული, რომელიც მასთან ერთად ცხრეულს (ენეადას) ქმნის, რომელიც მისი ბაგე-კბილებია, ხოლო თავად ცხრეულის ენა და გულია, რომელშიც ყველა ღმერთია მოქცეული. ფთახმა ამგვარად შექმნა ღმერთები და მერე მთელი სამყარო: ფთახის გულში გაჩნდა ჯერ აზრი, მერე აზრი გაცხადდა ენით ხმამაღლა ნათქვამ სიტყვაში, ბოლოს სიტყვა გაცხადდა საქმეში ანუ რეალობაში შეისხა ხორცი. ამრიგად, ყველაფერი არსებული, ყოველი ნივთი და საგანი ფთახის ნათქვამი სიტყვაა. ყველა ღმერთი მისი ძალისა და სხვადასხვა ფუნქციის გამოვლინებაა. მან შექმნა ქალაქები, მან დააარსა ქვეყანა და მისი ოლქები, ტაძრები და სათითაოდ შეიყვანა მათში ღმერთები, დააწესა ღვთისმსახურება და მსხვერპლშეწირვანი. მისი ნებით განსხეულდნენ ღმერთები ხეში თუ ქვაში, თიხაში თუ სხვა ნივთიერებაში... მისი ნებით მიეცა სიცოცხლე მართალს და მშვიდობისმოყვარეს, და მიეცა სიკვდილი ბოროტისმოქმედს. მისი ნებით შეიქმნა ყოველი საშრომელი და ყოველი ხელოვნება, ყოველი ხელთქმნილი, ყოველი მოძრაობა ხელთა და ფეხთა, ყოველი ასო-სი... ყველაფერი ეს მის გულში ჩაისახა როგორც ფიქრი და დაიბადა, როგორც სიტყვა და საქმე.

ფთახი (ძვ.წ. VII ს.). სანკტ-პეტერბურგი, სახელმწიფო ერმიტაჟი.



**ფიდესი** – რომ. „ერთგულება". ქალღმერთი, რომელიც ფიცის ერთგულებას განასახიერებდა. ფიდესის უძველესი ტაძარი იდგა რომში. ლეგენდის თანახმად, იგი *ენეასის* შვილიშვილმა, *რომამ* ააგო (სხვა ვერსიით, *ნუმა პომპილიუსმა*). კაპიტოლიუმის ბორცვზე აღმართული იყო ფიდესის კიდევ ერთი ტაძარი, სადაც ინახებოდა რომაელთა მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები.

რომაულ მონეტებზე ფიდესს წარმოსახავდნენ დიდებულ ქალბატონად თავთავითა და ნაყოფით ხელში. მისი *ატრიბუტი* იყო აგრეთვე გვრიტი.

**ფილემონი და ბავკისი** – ბერძნ. ფრიგიის მიწად მოსახლე ხანდაზმული და მოსიყვარულე ცოლ-ქმარი.

*ზევსი* უზენაესი ღმერთი იყო და კანონებსაც განაგებდა. იგი მუდამ ადევნებდა თვალყურს იმას, რომ არ შეებღალათ მისი სახელით წარმოთქმული ფიცი. ერთხელაც მან გადაწყვიტა ენახა, თუ როგორ იცავდნენ ადამიანები მის წმინდა კანონებს. მიიღო ადამიანის სახე და თავის მაცნე *ჰერმესთან* ერთად დაეშვა დედამიწაზე. ბინდდებოდა, როდესაც ისინი რომელიღაც ქალაქს ეწვიენენ. დაიწყეს თავშესაფრის ძებნა, მაგრამ ყოველი სახლის კარი დახშული დახვდათ. ქალაქის შემოგარენში ერთი პატარა ქოხი იდგა, სადაც ხანდაზმული ცოლ-ქმარი , ფილემონი და ბავკისი ცხოვრობდნენ. კეთილმა მოხუცებმა სტუმრები შინ მიიპატიჟეს და ღარიბული, მაგრამ მხიარული სუფრა გაუწყვეს. მალე მასპინძლებმა შენიშნეს, რომ სასმელ-საჭმელი კი არ ილეოდა, პირიქით, უფრო მრავლდებოდა, ხოლო ჭურჭელი ოქროთი იფერებოდა. მიხვდნენ ისინი, რომ მათ ქოხში ღმერთები მოსულიყვნენ და მათ წინაშე მოწიწებით მოიყარეს მუხლი. ზევსმა წამოაყვანა მოხუცები და ბორცვისაკენ გაუძღვა. იქ, განთიადის ნათელ სხივებში ფილემონმა და ბავკისმა თავისი ქოხის ნაცვლად დიდებული ტაძარი იხილეს. ღმერთებმა წყალში ჩაძირეს სტუმართმოყვრობის წმინდა წესის შემბღალავი ქალაქი, ხოლო მისი მკვიდრები ბაყაყებად აქციეს. კეთილი მოხუცები კიდევ დიდხანს მსახურობდნენ *ქურუმებად* ახალ ტაძარში . როდესაც მათი გარდაცვალების დრო დადგა, ტანებით შეზრდილ ორ ხედ გარდაისახნენ. ასე აღსრულდა მათი სურვილი: გარდაცვლილიყვნენ ერთად, რათა ერთმანეთის სიკვდილს არ შესწრებოდნენ. ამ ხეთა რტოებში ჩიტები ბუდეებს იკეთებდნენ; ამ ხეთა ჩრდილში მგზავრები ისვენებდნენ და ერთმანეთს მოუთხრობდნენ ქალაქის უღირს ბინადართა და ღვთისმოსავ მოხუცთა ამბავს.

ასე პოეტურად არის წარმოდგენილი კეთილ მოხუცთა მითოსი დიდი რომაელი პოეტის, ოვიდიუსის „*მეტამორფოზებში*". იგი შემდგომი ხანების ხელოვანთა ტილოებზეც გვხვდება. ცნობილია გუნოს ოპერაც სახელწოდებით: „ფილემონი და ბავკისი".

**ფილოქტეტესი** – ბერძნ. თესალიური მელიბოიას მკვიდრი; *ჰერაკლეს* თანამებრძოლი.

მომაკვდავმა ჰერაკლემ ფილოქტეტესს თავისი მშვილდი და ისრები უანდერძა. თავად კი შეშის უზარმაზარ ზვინზე დასვენებული მეგობრებს ევედრებოდა, ცეცხლი დაენთოთ. ფილოქტეტესმა ჰერაკლეს ტანჯვას ვეღარ გაუძლო და კოცონი ააგიზგიზა (იხ. *ჰერაკლე*, ჰერაკლეს აპოთეოსი).



*ფილოქტეტესი. სილეკითოსის ფერწერა (ძვ. წ. 430-420 წ.წ.). ნიუ-იორკი. მეტროპოლიტენის ინსტიტუტი.*

ფილოქტეტესი, როგორც *ელენეს* საქმროთაგანი, იძულებული იყო *ტროას ომში* წასულიყო. გზად, კუნძულ ლემნოსთან, იგი გველმა დაგესლა. იარა არ შუშდებოდა და საშინლად ყარდა. ამიტომ ბერძნებმა იგი კუნძულ ლემნოსზე დატოვეს. ტროას ომის მეათე წელს ბერძნებს უთხრეს, რომ ჰერაკლეს მშვილდის გარეშე ტროას ვერ აიღებდნენ. მაშინ ლემნოსისაკენ გაემგზავრნენ *ოდისევსი* და *დიომედესი* (სხვა ვერსიით, ოდისევსი და *ნეოპტოლემოსი*), რომლებმაც ფილოქტეტესი ჩაიყვანეს ტროაში. აქ იგი მაქაონმა (ან *პოდალირიოსმა*) განკურნა. ფილოქტეტესმა თავისი აუცდენელი ისრით *პარისი* განგმირა, რაც ტროას ომის დასრულებას მოასწავებდა.

ტროას დამხობისთანავე ფილოქტეტესი დაბრუნდა სამშობლოში, შემდეგ კი გადასახლდა იტალიაში. ეს ამბავი აღუწერიათ ესქილესაც, სოფოკლესაც, ევრიპიდესაც. მათგან მხოლოდ სოფოკლეს ტრაგედია შემორჩა.

**ფინევსი** – ბერძნ. თრაკიის მეფე; აგენორის (ან *ფინიქსის*) ძე.

ფინევსი *აპოლონის* რჩეული იყო. დიდმა ღვთაებამ მას ნათელხილვის უნარი უბოძა. როდესაც მან *დარდანოსის* ასულ იდეაზე იქორწინა, პირველი ცოლისგან ორი შვილი ჰყავდა. იდეას ჩაგონებით ფინევსმა ისინი დააბრმავა. განრისხდა *ზევსი* და არჩევანის წინაშე დააყენა უგუნური მეფე: იგი ან უნდა მომკვდარიყო, ან თვალთა ჩინი დაეკარგა. სიკვდილს სიბრმავე არჩია ფინევსმა. არ მოეწონა *ჰელიოსს*, რომ ვიღაც მოკვდავი თანახმა იყო, არ ეხილა მზე და ბრმა ფინევსს მიუგზავნა *ჰარპიები*, რომლებიც მის საკვებს შთანთქავდნენ.

სხვა ვერსიით, ფინევსი დააბრმავეს მისი პირველი მეუღლის ძმებმა, *ბორეადებმა*. არსებობს ისეთი მითოსიც, რომლის თანახმადაც, ბორეადებმა ფინევსი შიმშილისაგან იხსნეს. მადლიერმა მეფემ სამაგიეროდ მათ *სიმპლეგადებში* გაცურვის წესი ასწავლა.

**ფიშაიშა** – ხეთ. მთის ღმერთი, რომელმაც ერთხელ შიშველი იშთარი დაინახა და, სანამ ეძინა გვერდით მიუწვა. გაღვიძებულმა იშთარმა ისღა მოახერხა, რომ შიშველი სხეული დაიფარა, მაგრამ გვიან იყო. რისხვა თუ ჩამოწმენდდა სირცხვილს. შეშინებული ფიშაიშა ფეხებში ჩაუვარდა განრისხებულ ქალღმერთს და პატიება სთხოვა, შეევედრა სიცოცხლე შეენარჩუნებინა მისთვის.

**ფლამენები** – რომ. კოლეგიაში გაერთიანებული *ქურუმები*. ეს კოლეგია, რომაელთა რწმენით, *ნუმა პომპილიუსს* დაუწესებია. ისტორიულ ხანაში ფლამენებს უზენაესი *პონტიფექსი* ნიშნავდა. კოლეგია შედგებოდა *იუპიტერის*, *მარსისა* და *კვირინუსის* კულტებთან დაკავშირებული სამი უფროსი და თორმეტი პლებსისმიერი ფლამენისაგან. მათი უმთავრესი მოვალეობა ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვა იყო. ფლამენები არ ეკარებოდნენ იარაღს, ცხენს, ძაღლს, ცხვარს, უმ ხორცს, პარკოსნებსა და ცომს. მათ არ შეეძლოთ ფიცის დადება, ბეჭდის ტარება, სამგლოვიარო პროცესიებზე დასწრება, იმ სახლში ყოფნა, სადაც მიცვალებული განისვენებდა. ფლამენებს სასჯელმისჯილთა შეფარების უფლება ჰქონდათ.

**ფლეგეტონი** – ბერძნ. მიწისქვეშეთის მდინარე, იგივე *პირიფლეგეტონი*.

**ფლეგიასი** – ბერძნ. ბეოტიის მეფე; *არესის* ძე; *იქსიონისა* და *კორონისის* მამა.

კორონისმა *აპოლონისგან* შვა *ასკლეპიოსი*, ხოლო შემდეგ იქორწინა მოკვდავ ის-

ქისზე. ეს ღალატი არ აპატია აპოლონმა მას და თავისი ისრით განგმირა. განრისხდა ფლეგიასი და ***დელფოში*** აპოლონის ტაძარი დაწვა. ამ მკრეხელობისათვის ღმერთებმა მოკლეს ფლეგიასი და სამარადჟამო ტანჯვით დასაჯეს: იგი ***ჰადესში*** ხის იმ მოქანავე კლდის ქვეშ, რომელიც ყოველწამს ჩამოვარდნით ემუქრება.

**ფლორა** – რომ. ყვავილების, ახალგაზრდობისა და ახალგაზრდულ სიამეთა იტალიკური ქალღმერთი. რომაელები ფლორას ბერძნულ ***ქლორისთან*** აიგივებდნენ. მის პატივსადებად 28 აპრილიდან 3 მაისამდე ეწყობოდა ბრწყინვალე დღესასწაული, რომელსაც ***ფლორალიები*** ეწოდებოდა. ამ დროს ეწყობოდა მხიარული შეჯიბრები, თამაშები. ადამიანები თავს იმშვენებდნენ ყვავილებით (უპირველესად ვარდებით), რთავდნენ ცხოველებს, ქალები ჭრელ-ჭრელი სამოსით იმოსებოდნენ და ა.შ.

ანტიკურ ხელოვნებაში ფლორას წარმოსახავდნენ ახალგაზრდა ქალად, რომელსაც ამშვენებდა ყვავილების გვირგვინი ან რომელიც კალათიდან აბნევდა ვარდებს. ასევე ხატავდნენ მას ტიციანი, პუსენი, რემბრანტი, ბოკლინი და სხვა დიდი მხატვრები.

თანამედროვე მეტყველებაში „ფლორა" მცენარეულ სამყაროს ნიშნავს.

**ფლორალიები** – ქალღმერთ ***ფლორას*** დღესასწაული.

**ფობეტორი** – ბერძნ. „საფრთხობელა". დიდი პოეტის, ოვიდიუსის თანახმად, ფობეტორი ***ჰიპნოსის*** ძეა, ***ფანტასოსის*** და ***მორფევსის*** ძმა.

ფანტასოსი მოკვდავებს ძილში უსულო საგნების სახით ეცხადება, მორფევსი – ადამიანის სახით, ფობეტორი კი – ფრინველთა, ცხოველთა და გველის სახეს იღებს. სწორედ ამიტომ უწოდეს მას „საფრთხობელა".



ფლორა. რემბრანტი (1634 წ.). სანქტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.

**ფობოსი** – ბერძნ. „შიში". ***არესისა*** და ***აფროდიტეს*** ძე; ომის ღვთაების მუდმივი თანამგზავრი; რომში მას პავორი უწოდეს.

**ფოიბე** – ბერძნ. 1. ***ტიტანიდა***; კოიოსის მეუღლე; ***ლეტოს*** დედა; ***აპოლონისა*** და ***არტემისის*** დიდი ბებია.

ფოიბემ დააარსა აპოლონის ტაძარი ***დელფოში***. ეს სალოცავი მან შვილიშვილს უძღვნა.

2. ლევკიპოსის ასული, იდასის საცოლე, რომელიც ***დიოსკურებმა*** მოიტაცეს.

3. ***ტინდარეოსისა*** და ***ლედას*** ასული, ***კლიტემნესტრასა*** და ***ელენეს*** და.

4. ***დიანას*** მეტსახელი რომაულ მითოლოგიაში.

**ფოიბოსი** – ბერძნ. ***აპოლონის*** მეტსახელი.

**ფოლოსი** – ბერძნ. ***კენტავროსი*** (კენტავრი); ***სილენოსისა*** და მელიათაგან ერთ-ერთი ***ნიმფას*** ვაჟი (მელიები იყვნენ ის ნიმფები, რომლებიც ***ურანოსის*** სისხლის წვეთებისგან იშვნენ).

კეთილი კენტავროსი იყო ფოლოსი, რომელსაც ***ჰერაკლე ერიმანთოსის ტახზე*** ნადირობდა, ფოლოსმა გულითბილად მიიპატიჟა იგი თავის მღვიმეში და ღვინითაც გაუმასპინძლდა. ღვინის სურნელმა მიიზიდა სხვა კენტავრებიც, რომლებიც თავს დაესხნენ სტუმარს. ჰერაკლემ ყველა ამოხოცა. ფოლოსმა შემთხვევით მოიხვედრა ჰერაკლეს მოწამლული ისარი ფეხზე. იარა საბედისწერო იყო და გმირმაც დიდი პატივით მიაბარა კეთილი მასპინძელი მიწას.

გარდაცვალების შემდეგ ფოლოსი ცად აღაზევეს ღმერთებმა და მშვილდოსნის თანავარსკვლავედად გარდასახეს.

**ფონსი** – რომ. წყაროთა და შადრევანთა რომაული ღვთაება; ***იანუსისა*** და წყაროთა ***ნიმფა იუტურნას*** ძე. რომში არსებობდა ფონსის ტაძარი და სამსხვერპლო იანიკულუმის ბორცვის ძირას. ამ ღვთაების პატივსადებ ზეიმს ფონტინალიები (ფონტანალიები) ეწოდებოდა და მას 13 ოქტომბერს აღნიშნავდნენ. ამ დროს ჭებსა და წყაროებს რთავდნენ ყვავილწნულებით.

**ფორკისი** – ბერძნ. ზღვის ღვთაება; ***პონტოსისა*** და ***გეას*** ძე; მისი მეუღლე იყო კეტო. ***გორგოების***, ***გრაიების***, ***ლადონის***, ენიოს, ***პოლემოსისა*** და ***ჰესპერიდების*** მამა. ფორკისისა და ***ჰეკატეს*** ძეა ***სკილა***.

**ფორტუნა** – რომ. ბედნიერების, მოულოდნელი სიხარულის და წარმატების რო-



ფორტუნა. მარმარილო (II ს.). რომი. ვატიკანის მუზეუმი.

მაული ქალღმერთი. რომელსაც ბერძნულ *ტიქესთან* აიგივებდნენ.

თავდაპირველად ფორტუნა მოსავლისა და სიუხვის ღვთაება იყო. იგი. ვითარცა ნაყოფიერების ქალღმერთი, დაბადებათა მფარველადაც მიაჩნდათ და ამ ფუნქციით *ვენუსსა* და *მატუტას* ამსგავსებდნენ.

ფორტუნას კულტის დაწესებას რომის მეექვსე მეფეს, სერვიუს ტულიუსს მიაწერდნენ. მასვე აუგია რომში ამ ქალღმერთის სახელობის ტაძარი.

ფორტუნას კულტი გამუდმებით იძენდა ახალ ფუნქციებს. მისი საკულტო სახელები, არსებითად, ცალკეულ ქალღმერთთა ზეწოდებებს წარმოადგენდა: ფორტუნა პრიმიგენია (პირველშობილი) – ახალშობილთა მფარეელი იყო, ფორტუნა პრივატა – პირად საქმეთა და ოჯახის, ხოლო ფორტუნა პუბლიკა – საზოგადო საქმეებისა; იმპერიის ხანაში თაყვანს სცემდნენ ფორტუნა კესარეასა და ფორტუნა ავგუსტას. არსებობდნენ წოდებათა მფარველი ფორტუნებიც: ფორტუნა პატრიცია, ფორტუნა პლებეია, ფორტუნა ეკვესტრის (მხედართა), ფორტუნა ვირგინალის (ქალწულთა), ფორტუნა მულიებრის (ქალთა), ფორტუნა ვირილის (კაცთა), ფორტუნა ვიქტრისი (გამარჯვებისა – მისი კულტი *ვიქტორიას* კულტს ემსგავსებოდა), ფორტუნა დუქსი (წამყვანი, ანუ მთავარსარდალთა მფარეელი). კულტის ასეთმა დანაწილებამ გამოიწვია ის, რომ წარმოიშვა ფორტუნა მანენსი (მუდმივობის), ფორტუნა ყოველდღიური და ფორტუნა ცალკეული ადამიანის. გვიანი ხანის იმპერიაში ფორტუნას ხშირად *ისისთანაც* აიგივებდნენ. ბოლოს გამოჩნდა ფორტუნა პანთეას (ყველა ღმერთის) კულტიც.

ფორტუნას წარმოსახავდნენ დიდებულ ქალბატონად, ხელში სიუხვის რქით, საიდანაც მონეტებს ფანტავდა. ზოგჯერ სფეროთი. ან ბორბლით (ბედის ცვალებადობის სიმბოლო). ასეთი ფორტუნა წარმოდგენილი იყო მონეტებზეც. ბეჭდებზეც. თილისმებზეც. ხელოვნების ნიმუშებზეც. თანამედროვე მეტყველებაში „ფორტუნა" ბედნიერებას აღნიშნავს.

**ფოსფოროსი** – (ეოსფოროსი) ბერძნ. „მანათობელი", „ბრწყინვალე", „სხივთამფენი". ასე უწოდებდნენ ბერძნები ცისკრის ვარსკვლავს. პლანეტა *ვენუსს*. იხ. *ლუციფერი*. *ჰესპეროსი*.

**ფრაშო-ქერეთი** – ირან. (ფრაშქართ). „განახლება". „საკვირველქმედება". ქვეყნიერების საბოლოო ჟამი, რომელიც დადგება უკანასკნელი საოშიანტის მოსვლის შემდეგ. აჰურამაზდა საბოლოოდ ძლევს ანგჰრო-მაინიუს, მოხდება მკვდრეთით აღდგომა – გარდაცვლილთა სულები მოძებნიან თავიანთ სხეულებს იმავე ადგილას, სადაც დაიხოცნენ, და შეერთდებიან; აღმდგარნი გამოიცნობენ ერთმანეთს: „აი. მამაჩემი", „აი, დედაჩემი", „აი, ჩემი დები და ძმები, ჩემი ნათესავები"... გაიმართება დიდი განკითხვა უცოდველთა (კეთილთა) და ცოდვილთა (ბოროტთა); თითოეული დაინახავს თავ-თავის კეთილ და ბოროტ ფიქრებს, სიტყვებს და საქმეებს... სამი დღის განმავლობაში ყველანი გამოიცდებიან გამდნარი ტყვიის ღვარით, რომელიც ბოროტებს გააცამტვერებს, უცოდველთ კი აუღუღარ რძესავით შეერგებათ. გამართლებულებს საოშიანტი უკვდავების სასმელს ჰაომას შეასმევს და სამარადისო სიცოცხლეს აზიარებს, ხოლო მთელი ნიეთიერი სამყარო, რომელიც ანგჰრო-მაინიუს ბოროტქმედებებით იყო შებღალულ-წარყვნილი, განახლდება და უკვდავქმნილი პირველქმნილ სიწმიდეს დაუბრუნდება. მიწა აყვავებულ უკიდეგანო წალკოტად გარდაიქმნება, აღარ იქნება ოღრო-ჩოღროები, ხრამები და კლდეები, ცეცხლს აღარ ექნება კვამლი და ეარდს – ეკალი.

**ფრიქსოსი** – ბერძნ. *ათამასისა* და *ნეფელეს* ვაჟი; *ჰელეს* ძმა, რომელმაც *ოქროს საწმისი* ჩაიტანა *კოლხეთში*.

ძველად, ბეოტიის ქალაქ ორქომენოსის მეფე ათამასს, ღრუბელთა ღვთაება ნეფელესაგან შეეძინა ვაჟი ფრიქსოსი და ასული ჰელე. მოგვიანებით ათამასმა იქორწინა თებელი *კადმოსისა* და *ჰარმონიას* ასულ *ინოზე*, რომლისგანაც ეყოლა ლეარქოსი და *მელიკერტესი*. დედინაცვალმა შეიძულა ნეფელეს შვილები და მათი დაღუპვა განიზრახა. შთააგონა ორქომენოსელ ქალებს, ქმრებისგან მალულად მოეხალათ დასათესი პურის მარცვალი. ამან მოუსავლიანობა გამოიწვია. მეფე ათამასმა ამბის გასარკვევად *დელფოს სამისნოში* გაგზავნა ელჩები, რომლებიც ინომ მოისყიდა და ათქმევინა, ღმერთები ფრიქსოსსა და ჰელეს ითხოვენ მსხვერპლადო. მაგრამ ნეფელე ფხიზლად იყო. მისი თხოვნით. *ჰერმესმა* და-ძმას ოქროს ვერძი უბოძა. ღმერთთა ამ საოცარ ქმნილებას საუბარიც შეეძლო და ფრენაც. მან ბავშვები ზურგზე შეისვა და კოლხეთისაკენ გაფრინდა. როდესაც ვერძი ევროპისა და აზიის გასაყარს მიუახლოვდა, ჰელემ ვერ შეიმაგრა თავი, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. მას შემდეგ ამ ადგილს ჰელესპონტოსი, ანუ ჰელეს ზღვა ეწოდება. ფრიქსოსმა კი მიაღწია კოლხთა ქვეყანას, რომელსაც მზე-*ჰელიოსის* ძე *აიეტი* განაგებდა და იქ დასახლდა. მეფემ მას თავისი ქალიშვილი *ქალკიოპე* შერთო ცოლად, რომლისგანაც შეეძინა ვაჟიშვილები: არგოსი, მელასი, ფრონტისი და კიტისოროსი. ფრიქსოსმა შეასრულა ვერძის სურვილი: იგი მსხვერპლად შესწირა *ზევსს*. თავად კი კოლხიდაში დასახლდა და ღრმა სიბერემდე იცოცხლა.

**ფსიქე** – ბერძნ. ადამიანური სულის განსახიერება; მას წარმოსახავდნენ პეპლის. ან პეპლის ფრთებიანი გოგონას სახით. სულის ეს გამოსახულება ძვ. წ. V–IV საუკუნეებიდან ჩნდება ბერძნულ ხელოვნებაში. უფრო ადრე კი სული. რომელიც ადამიანს ტოვებდა, ჩიტად ან ბოლად წარმოედგინათ ბერძნებს. მწერალმა აპულეუსმა (ახ.წ. 124 წ.) თავის „მეტამორფოზებში" გააერთიანა სხვადასხვა ხალხში არსებული თქმულებები ფსიქეზე და მშვენიერი საბედოს პოეტური სახე შექმნა: ოდესღაც ერთ სამეფოში ცხოვრობდა მეფის ასული ფსიქე. იგი ისეთი ლამაზი იყო, რომ მის მხილველებს *აფროდიტე* ავიწყდებოდათ. განრისხებულმა ქალღმერთმა თავისი შვილი *ეროსი* იხმო და უბრძანა, ფსიქე ქვეყნად არსებული უსაზარლესი ურჩხულისადმი საბედისწერო სიყვარულის გრძნობით აღენთო. სიხარულით მიიღო ოინთა მოყვარე პატარა ღვთაებამ ეს დავალება, მაგრამ იხილა თუ არა ქალწული, მისი მშვენებით მოხიბლულმა საკუთარი თავი შეაყ-

ვარა. ეროსმა ფსიქეს დიდებული სასახლე უძღვნა. მიმწუხრებისას იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს შეყვარებულები. არასოდეს უნახავს მეფის ასულს თავისი მეტრფე, რადგან ეროსმა გააფრთხილა, რომ მისი ხილვა უბედურებას მოუტანდა. ფსიქემ ეს ამბავი დებს გაუმხილა. ისინი კი, შურით აღძრულნი დასცინოდნენ, შენი სატრფო, ალბათ, შემზარავი ურჩხულიაო. ფსიქე დაეჭვდა და ერთხელ, ღამით, ცნობისწადილით აღელვებულმა აანთო ბაზმა. ეროსის ღვთაებრივი სილამაზით გაოგნებულს ხელი აუკანკალდა და მძინარე ღმერთს დააწვეთა ცხელი ზეთი. ეროსი გამოფხიზლდა და წამისუმალ გაქრა. გაქრა დიდებული სასახლეც და მეფის ასული უდაბურ კლდეზე აღმოჩნდა. მას მრავალი მწუხარებითა და სალმობით სჯიდა აფროდიტე. მაგრამ ეროსი, რომელსაც ისევ უყვარდა იგი, ამშვიდებდა და იფარავდა. შეეცოდა მეხთამტყორცნელ *ზევსს* შეყვარებულები და ფსიქე აღაზევა *ოლიმპოს*ზე, სადაც იგი ეროსს შეეუღლა.

ფსიქეს ეს პოეტური მითოსი აისახა მოქანდაკეთა (კანოვა, ტორვალდსენი), მხატვართა (რაფაელი, ჯულიო რომანო), დრამატურგთა (მოლიერი), პოეტთა (ლაფონტენი, ბოგდანოვიჩი) თუ კომპოზიტორთა (ლიული, ფრანკი) შემოქმედებაში.

**ფსიქოპომპოსი** – ბერძ. „სულთა გამცილებელი". *ჰერმესის* ერთ-ერთი საკულტო სახელი. ასე უწოდეს მას, რადგანაც მიცვალებულთა სულებს მიაცილებდა *ჰადესში*.

**ფურიები** – რომ. მიწისქვეშა სამყაროს *დემონები*, შურისგების და სინდისის ქენჯნის ღვთაებები. ისინი ბერძენ *ერინიათა* თანაგვარნი იყვნენ.

გადატანითი მნიშვნელობით „ფურიას" – ავ დედაკაცზე იტყვიან.

# ქ

**ქავე** – ირან. ლეგენდარული მჭედელი, რომელმაც მოაწყო აჯანყება აჟი-დაჰაკას წინააღმდეგ; მჭედლის ფეშტამალი დროშადააფრიალა, დარაზმა ხალხი და ბოლო მოუღო უზურპატორ გველეშაპის ბატონობას. ძველი ირანის მეფეებსა და დიდებულებს მისგან გამოჰყავდათ თავიანთი გვარ-ტომი.

**ქაიქაუსი** – ირან. მეორე მეფე, რომელიც არწივზე ამხედრებული შეეცადა ცას მისწვდომოდა და უზენაეს ღმერთს გათანაბრებოდა, თავისი ძალაუფლება ცაზეც გაევრცელებინა; მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია: ძირს იქნა ჩამოგდებული. ქაიქაუსის აშენებულ სასახლეში შესული მოხუცს კვლავ ახალგაზრდობა უბრუნდებოდა.

**ქალკიოპე** – ბერძ. *აიეტის* ქალიშვილი; *მედეას* და; *ფრიქსოსის* მეუღლე; არგოსის, კიტისორეს, მელასისა და ფრონტისის დედა.

როდესაც ოქროს ვერძმა ფრიქსოსი კოლხეთში ჩაიყვანა, აიეტმა მას თავისი ასული, ქალკიოპე შერთო ცოლად. ზოგი ავტორის ცნობით, ფრიქსოსმა, მადლიერების ნიშნად, აიეტს კოსის მიერ შექმნილი ოქროს ქანდაკება უბოძა (მოგვიანებით რომ *ოქროს საწმისი* უწოდეს).

**ქამრუსეფა** – ხეთ. ქალღმერთი, ოჯახში სიმშვიდისა და სიკეთის მომტანი, ოჯახური სიმყუდროვისა და კეთილდღეობის განსახიერება.; მონაწილეობას იღებს ბავშვის „ნათლობაში". იგი, თუმცა უშედეგოდ, ცდილობს განრისხებული თელეფინუს დამშვიდებას, მის გულის მოგებას; ესარჩლება ჭექა-ქუხილის ღმერთთან ციდან ჩამოვარდნილ მთვარეს. ქამრუსეფას საოჯახო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმულსაც ვხედავთ: მზის ღმერთთან ერთად საჩეჩელს უზის და ცხვრის მატყლს ჩეჩავს, მერე წყალში რეცხავს... გაპარსულ ცხვარს ბეწვს უვარცხნის – სავარცხელი მისი ატრიბუტია.

**ქაოსი** – ბერძ. უკიდეგანო და ბნელი სივრცე, რომელიც სამყაროს შექმნამდე არსებობდა. ზოგი მითოგრაფოსის აზრით, ქაოსი იყო შეუცნობელი ფორმის ღვთაებრივი არსება. უმრავლესობის რწმენით კი, ქაოსი წარმოადგენდა შემოქმედებითი ძალებით ავსებულ მოუწესრიგებელ მასას – მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლის ნაერთს. მომავალი სამყაროს ყველა ჩანასახით ავსებული ამ სივრციდან თავდაპირველად იშვა *გეა*-ფართომკერდიანი დედამიწა; *ტარტაროსი* – მიწისქვეშეთი; *ეროსი* – სიყვარული; *ერებოსი* – წყვდიადი და *ნიქსი* – ღამე.

ერებოსი და ნიქსი სიყვარულით შეერთდნენ და გააჩინეს *ეთერი* – მიწისზედა ჰაერის ნათელი სივრცე და *ჰემერა* – დღე.

შემდეგ გეამ შვა *ურანოსი* – ზეცა, რომელმაც ყოველი მხრიდან დაფარა იგი. მაღალი მთები და *პონტოსი* – ზღვა.

*ორფიკოსთა* მოძღვრების თანახმად, ქაოსი მარადიული დროის, *ქრონოსის* ნაშიერია. ეს იყო ბნელი ნისლი, რომელმაც დროთა განმავლობაში კვერცხის ფორმა მიიღო. შემდეგ იგი ორად გაიყო. ერთი ნაწილი ცად გარდაისახა, მეორე კი დედამიწად.

თანამედროვე გაგებით ქაოსი უწესრიგობას, არეულობას ნიშნავს.

**ქარიბდისი** – ბერძ. მითოსური ურჩხული; *პოსეიდონისა* და *გეას* ასული.

თავდაპირველად ქარიბდისი მშვენიერი ქალწული ყოფილა, ოღონდ ბევრს ჭამდა და ამის გამო ყველა გაურბოდა. ერთხელ *ზევსმა* თვალი შეასწრო, თუ როგორ მოიპარა მან *ჰერაკლეს* ხარი და წამისუმალ შესანსლა. საზარელი სანახავი იყო ამ დროს ქარიბდისი. არ მოეწონა იგი ზევსს, მეხი სტყორცნა, ზღვა-

ში მოისროლა და ურჩხულად გარდასახა. მას შემდეგ დიდხანს ბუდობდა ქარიბდისი მესინიის ვიწრო სრუტესთან, რომლის მოპირდაპირე მხარეს მასავით შემზარავი *სკილა* ბობოქრობდა. ქარიბდისი დღეში სამჯერ შთანთქავდა ზღვის ზეირთებს და შემდეგ, საშინელი ძალით, უკანვე ანთხევდა მდუღარე წყალს. ყველა ხომალდი იღუპებოდა ამ სრუტეში. მისი გადალახვა მხოლოდ *ოდისევსმა* და *არგონავტებმა* შეძლეს.

**ქარიკლო** – ბერძნ. 1. *აპოლონის* (სხვა ვერსიით, *ოკეანოსის*) ქალიშვილი, *კენტავრ ქირონის* მეუღლე.

2. *ნიმფა*, მისან *ტირესიასის* დედა.

**ქარიტები** – ბერძნ. მშვენიერების, სიხარულის, ქალური მომხიბლაობის ქალღმერთები: *ზევსისა* და *ევრინომეს* (სხვა ვერსიით, *ჰელიოსისა* და ეგლეს) ქალიშვილები.

სამყაროსეულ ყველა სიკეთეს და სილამაზეს ქარიტების დამსახურებად მიიჩნევდნენ ძველი ბერძნები. ახალგაზრდული მშვენიერება – მათი მადლია. წყაროები რომ კამკამებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ქარიტებმა განიბანეს მათში ოდესღაც. ისინი აწყობენ მხიარულ წვეულებებს *ოლიმპოს ზეც* და ადამიანთა სამყოფელშიც. სადაც კი არ უნდა იკრიბებოდეს ხალხი გასართობად, უხილავი ქარიტებიც იქვე არიან და თავიანთი სიხარულის მადლით ავსებენ ირგვლივ მიდამოს. მათ უყვართ ღვინის ღვთაება *დიონისე*, უყვართ *მუზები*, რომლებიც წამისუმალ გარს ერტყმიან ხოლმე *აპოლონს*, როგორც კი იგი თავის ღვთაებრივ ხელს ჩამოჰკრავს კითარის სიმებს. ისინი ემსახურებიან *აფროდიტეს* ყოველ ცისმარე განბანილ ქალღმერთს სხეულს უზელენ ნელსაცხებლებით, უმზადებენ სურნელოვან სამოსსა და ყვავილწნულებით ამკობენ.

ქარიტების უძველესი კულტი არსებობდა ორქომენოსში. მრავალი საუკუნის განმავლობაში ზუსტად არავინ იცოდა, როგორ გამოიმზირებოდნენ ისინი და ამიტომ მათ სახელზე თაყვანს სცემდნენ ქვებს, რომლებიც, ბერძენთა რწმენით, ოდესღაც ციდან ჩამოვარდნენ. ამ კეთილ ღვთაებათა პატივსადებ ზეიმებს ქარიტესიები ეწოდებოდა. ყველაზე ხშირად სამ ქარისს (ქარიტას) ახსენებენ: *ევფროსინეს*, *თალიასა* და *აგლაიას*. უძველეს ხანად მათ ლამაზი სამოსით წარმოსახავდნენ, მოგვიანებით – შიშვლად. ათენში, აკროპოლისის შესასვლელში იდგა ქარიტთა დასის ქანდაკება, რომელიც სახელოვან ფილოსოფოსს, სოკრატეს შეუქმნია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მამის სახელოსნოში მოღვაწეობდა.



ქარიტები (ძვ.წ. III ს.). კირენეს მუზეუმი.

ქარიტების *ატრიბუტები* იყო ვარდები, მირტები, მუსიკალური საკრავები, ვაშლი ანდა სურნელოვანი ზეთის ფლაკონი. ზოგჯერ თავთავი და ყაყაჩოც.

გადატანითი მნიშვნელობით ქარიტებს უმშვენიერეს ქალწულებზე იტყვიან.

**ქარონი** – ბერძნ. მითოსური მენავე, რომელსაც თავისი ნავით გადაჰყავს მიცვალებულები *ჰადესის* სამეფოში: *ერებოსისა* და *ნიქსის* (ან *სტიქსის*) ვაჟი.

ძველი ბერძნების რწმენით, ჰადესში რამდენიმე მდინარე მიედინება: *აქერონი*, *სტიქსი*, *ლეთე* და სხვა. სწორედ ეს მდინარეები უნდა გადალახოს მიცვალებულის სულმა, აჩრდილთა სამეფოს რომ მიაღწიოს. მაგრამ მირიადი წელიც რომ იცუროს, მარტო ამის გაკეთებას მაინც ვერ შეძლებს. ამიტომ უნდა მიმართოს ქარონს. უშნო, უგვანი ბერიკაცი, ბუზღუნა, ჯმუხი, ღამის ნაშობი, დგას შავ ნავში და გრძელი ძელით იგერიებს გარსშემოხვეულ სულებს. ნავზე ამოსვლის უფლებას აძლევს მხოლოდ მათ, ვინც გადაიხდის ერთ ობოლოსს. ეს არის სულ პატარა სპილენძის ფული, მაგრამ უმისოდ არ შეიძლება, რადგანაც უმოწყალოა მექრთამე ქარონი. იგი სტიქსის ნაპირთან ტოვებს უობოლოსო სულს, რომელიც იქ უაზროდ იხეტიალებს სამარადჟამოდ. ამიტომ ძველად ბერძნები მიცვალებულს დაკრძალვის წინ პირში უდებდნენ ერთ ობოლოსს. ამ ფულს სხვაგვარად ნავლონსაც უწოდებდნენ.

ქარონის მითოსი ეტრუსკებშიც ყოფილა გავრცელებული. იგი მიიღეს რომაელებმაც. ვერგილიუსი მას ბინძურ და თმათეთრ ბერიკაცად წარმოგვიდგენს, ანთებული თვალებით, რომელსაც ხელში ჭოკი უჭირავს. დანტე მას ჭინკას ამსგავსებდა.

**ქერეთი** – (ან ქარათუ) უგარიტ. მითოლოგიური ეპოსის მთავარი გმირი. ქერეთს, დათანის მეფეს, დიდი უბედურება დაატყდა თავს: გაუწყდა მთელი სანათესაო, ზოგი შავმა ჭირმა იმსხვერპლა, ზოგიც – ზღვამ. ბედმა ესეც არ აკმარა: რვა შვილი ერთბაშად დაეხოცა. დარჩა სრულიად მარტო ქერეთი, უზენაესი ღმერთის, ელის ერთგული მსახური. ცრემლად იღვრება, მისი ცრემლები მიწაზე ვერცხლის შეკელებივით ცვივა, მისი მოთქმა-გოდება ცას სწვდება. მაგრამ არავინ არის მისი თანამგრძნობელი და განმკითხველი. ამ ტირილსა და მოთქმაში დაღლილ-დაქანცულს ჩაეძინა ქერეთს და სიზმრად თავად უზენაესი ელი გამოეცხადა. რას მოთქვამს ქერეთი? იქნებ ქერეთს ხალხზე ხელმწიფება სურს, როგორსაც მხოლოდ მე ვფლობ? იქნებ ქერეთს სიმდიდრე უნდა ან



ქარონი. ი. პატინირას ნახატი (1521 წ.). მადრიდი, პრადო.

სხვა რაიმე სანუკვარი? აჰა. ქერეთ. ოქრო-ვერცხლით სავსე ტაგრუცი და, მასთან ერთად, მონები მათ შთამომავლებიანა. მაგრამ ქერეთს არ სურს სიმდიდრე. რად უნდა ამქვეყნიური დოვლათი, როცა შეილები აღარა ჰყავს, არც ნათესავები, რომ ვინმეს უანდერძოს. და კვლავ ეუბნება ელი: ცრემლი არ გიშველის, ქერეთ. ადექი და გაემართე უდუმს, ვინძლო იქიდან წამოიყვანო საცოლე. წადი, დაემუქრე იმ ქვეყანას, რომ მუსრს გაავლებ, თუ არ მოგცემენ ხურიტელ ქალწულს ცოლად. ანათის მშვენებით არის სავსე, აშერუს სილამაზით ჰყავის. წამოიყვანე იგი, მხოლოდ მასთან ერთად დაბრუნდი უკან. მხოლოდ ეს ქალწული აღგიდგენს მოდგმას. გაიღვიძა ქერეთმა, გახალისებულმა: ხელები დაიბანა და ღმერთებს შესწირა მსხვერპლი – ბატკანი და ციკანი, და ფრინველებიც; და ღვინოც ასხურა სამსხვერპლო ცეცხლად ვერცხლის თასებიდან. მერე აეიდა გალავანზე და ღმერთებს შეწევნა გამოსთხოვა. მერე ძირს ჩამოვიდა, რათა შეეყარა ლაშქარი უდუმისკენ გასალაშქრებლად. ურმები პურით აავსო სალაშქროდ; სამასი ათასი შუბოსანი შეკრიბა. მათ გარდა, მონებს და მიწათმოქმედთ თვლა არ ჰქონდა. ვის არ გაუწია გულმა სალაშქროდ? მარტოხელამ სახლის კარი გამოკეტა, სნეული საკაცით მოჰყაედათ, კოჭლი მოკელანობდა. მოქირავნეს მისდევდა, ახალდაქორწინებულმა ქალწული ცოლი სახლში დატოვა, მათ გაეკიდა, თან მიტოვებული სარეცლის გამო ოხრავდა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ქალღმერთ აშერათის ტაძარს მიადგნენ. ქერეთი ქალღმერთს ხურიტელი ქალწულის ორი მესამედი წონის ვერცხლს შეპირდა, ერთი მესამედი წონის ოქროს შეპირდა, თუ ცოლთან ერთად დააბრუნებდა უკან. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ უდუმის სანახებს; გაანადგურეს დაბასოფლები, არ დაინდეს არც ყანაში მომუშავენი და არც ტყიდან შეშის მტვირთველნი, არც დედაკაცები, წყალს რომ ზიდავენ. დალაშქრეს სამეფო ქალაქიც. უდუმის მეფეს ფაბელის ძილი გაუფრთხა, მოსვენება დაეკარგა, დილით მოციქულებს უგზავნის ქერეთს ძვირფასი ძღვენითურთ, ოქრო-ვერცხლს და მონებს. თავი მოიდრიკეს და მოახსენეს: მეფე პაბელისგან მოგიტანეთ სიტყვა, ბატონო. დაეხსენ ჩემს ქვეყანას, დასტოვე უდუმის ქალაქი. აჰა, მიიღე გამოსასყიდი: ოქრო-ვერცხლი და ეტლები, მონა-მხევლები და სხვა დოვლათი. ქერეთი ასე მიუგებს მოციქულებს: რას მარგებს თქვენი გამოსასყიდი. მე ხურიტელი ქალწული მსურს, მეტი არაფერი. მისი სილამაზე თავად ელისგან არის ნაქები. ელმა მომცა მე იგი. გაბრუნდნენ ელჩები და მოახსენეს ქერეთის სიტყვა. დაამწუხრა ფაბელი, უდუმის მეფე, ქერეთის პასუხმა. კვლავ აგზავნის მოციქულებს, ამ სიტყვას აბარებს: როგორ გაგატანო ჩემი ასული? არ იცი, მშიერის დამპურებელია? მწყურვალისთვის თასით წყაროდან წყალი მოაქვს? თუ წაიყვან, ყველანი უკან გამოეკიდებიან. ატირდება დაობლებული სამეფო, როგორც ხბოწაგერილი ძროხა ბოსელში ბღავის ხოლმე. გული გაიქვავა ქერეთმა – ისევ და ისევ ითხოვს ხურიტელ ქალწულს. და მეფე ფაბელიმაც მისცა ქალწული და მართლაც დაობლდა ქვეყანა – აბღავლდა როგორც ხბოწაგერილი ძროხა.

ქერეთი კი თავის დაცარიელებულ სასახლეში ქორწილს იხდის და ღმერთებს იწვევს. ჩამოვიდა უზენაესი ელი, მძლეთამძლე ბაალი და იარიხი, მთვარის ღმერთი. წამოდგა ბაალი და სთხოვს ელს, აკურთხოს ქერეთი. წამოდგა ელი, მაღლა აღმართა ღვინით სავსე თასი და წარმოთქვა: შვიდ ვაჟს გიშობს, ქერეთ, ხურიტელი ქალწული, მათ შემდეგ მერვესაც დაგიბადებს – იაციბ-ყმაწვილს. ანათი აწოვებს მათ ძუძუს, აშერათის რძით გამოიკვებებიან. მერე ილიხაუს დაგიბადებს. მასაც ქალღმერთი აწოვებს ძუძუს. უმცროსს პირმშოდ გავხდი. შვიდ ასულს დაგიბადებს და მერე მერვესაც, უმრწემესს პირმშოდ გავხდი. ეს აღუთქვა ელმა და დასცალა თასი. მერე აიშალნენ ღმერთები, ცას მიაშურეს. დარჩა, განმარტოედა ქერეთი თავის ცოლთან.

ებადებიან ქერეთს ვაჟები. მუცლად იღებს ხურიტელი და შობს, და კვლავ მუცლად იღებს და შობს. დაიბადნენ ვაჟები შვიდნი და მერვეც. გაიხსენა აშერათმა ქერეთის აღთქმა და აღივსო რისხვით: სიტყვა გატეხა ქერეთმა, დაარღვია აღთქმა. სად არის ხურიტელი ქალწულის ერთი მესამედი წონის ოქრო? სად არის ვერცხლი? უკურნებელი სენი მოუვლინა აშერათმა ქერეთს; ერთ თვეს ავადობს ქერეთი, ორ თვეს ავადობს, სამ თვეს ავადობს, ოთხ თვესაც ავადობს. წევს სარეცელზე საშინელი მოთის მოლოდინში. უძახის ხურიტელ ქალწულს: დაკალი ნასუქალი ძროხები, ღვინის ქვევრებს ახადე. მოიწვიე ჩემი მოყმეები, შუბოსანნი. გაუმართა ნადიმი ხურიტელმა ქალწულმა ქერეთის მოყმეებს. სვამდნენ ტკბილ ღვინოს, ღმერთებს ულვრიდნენ. მსხვერპლს სწირავდნენ და სთხოვდნენ ქერეთის სიცოცხლეს. მაგრამ სასტიკნი იყვნენ ღმერთები, არ უსმინეს მათ ვედრებას. კვლავ მოიწვია ხურიტელმა ქალწულმა მოყმენი, კვლავ ასვა და აჭამა, ღმერთებსაც შესწირეს მსხვერპლი. და მოთქვამდნენ: რა გვეშველება უქერეთოდ! წავა მზის დასავლეთში და დაგვტოვებს მის ლაშქარს. ჭაბუკ იაციბის ამარა დაგვტოვებს. არც ამჯერად ისმინეს ღმერთებმა. კვლავ სნეული წევს ქერეთი სარეცელზე. მაშინ ხურიტელმა ქალწულმა გრძნეულ-მისნებს მოუხმო, ლხინი გაუმართა: ჭამეთ და სვით, გრძნეულებო, ვინძლო მოერიოთ სნეულებას, მეფეს რომ ჭირს. სვეს და ჭამეს გრძნეულებმა, ისრები ასტყორცნეს ჰაერში, ხარებივით აბღავლდნენ, მაგრამ ამაოდ: კვლავ სნეული იწვა ქერეთი სარეცელზე.

მაშინ ქერეთის ძეს ილიხაუს ესიზმრა ასეთი სიზმარი: წადი, ეახლე ელს, შესწირე მსხვერპლი, შეევედრე, ვინძლო შეისმინოს შენი ვედრება – განკურნოს ქერეთი. ილიხაუს, ნაბოლარა, და მერვე ასული დასტირიან ქერეთს, ელს ევედრებიან მის გადარჩენას, მსხვერპლს სწირავენ, ზეთსა და ღვინოს ულვრიან. გაიგონა ელმა ქერეთის ქალ-ვაჟის ვედრება, მოუხმო ღმერთებს, თავის შვილებს, და უთხრა: ქალღმერთებო და ღმერთებო, მითხარით, ვინ განკურნავს ქერეთს? შვიდგზის ასმინა ეს სიტყვები, მაგრამ ღმერთები დუმდნენ. მაშინ ელმა გადაწყვიტა, თავად განეკურნა ქერეთი. აილო თიხა და გამოძერწა ადამიანის მსგავსი სახე, დაარქვა შათიქათუ და უთხრა: წადი, შათიქათუ, გაფრინდი, ქერეთის სასახლისკენ! ქალაქებს გვერდი აუარე, დაბასოფლები ფარულად გაიარე. შედი ქერეთის სასახლეში და სნება გამოდევნე მისი სხეულიდან. თავზე ბალახი დაადე, კისერზე ოფლი მოსწმინდე. მერე პური და ხარის ხორცი აჭამე – და დასტოვებს მას მისი მტერი მოთი. ასეც მოიქცა შათიქათუ. სძლია მოთს და იხსნა სიკვდილისგან ქერეთი. კვლავ აეიდა ტახტზე განკურნებული ქერეთი. მთელი ქვეყანა ხარობს მისი ხილვით, მაგრამ ერთადერთი იაციბი, მისი პირმშო, არ ხარობს, ჯანყისთვის ემზადება: შეთქმულნი აქეზებენ: წადი, უთხარი მამაშენს, რომ მოძალადეა, არ განიკითხავს ღარიბ-ღატაკს, ქვრივ-ობლებზე არ ზრუნავს. უთხარი, ჩამოვიდეს ტახტიდან, რადგან სნეულია და არ ძალუძს მეფობა...

ამ სიტყვებისთვის ქერეთი წყევლის თავის პირმშოს, ღმერთების ხელით სიკვდილს უწინასწარმეტყველებს.

ბოლოს ქერეთი მაინც იღუპება. პირმშოება და მეფობა გადადის უმრწემესზე – ოლიხაუზე, როგორც ელმა დალოცა და უწინასწარმეტყველა ქორწილის დღეს.

**ქესი** – ხეთ. ოდესღაც ვრცელი მითოლოგიური ეპოსის პერსონაჟი. მონადირე ქესიმ ცოლად ლამაზი ქალი, სახელად სანთალიმენი, მოიყვანა. მისმა სილამაზემ და სიყვარულმა ისე დაატყვევა ქესი, რომ მან სრუ-



*ნადირობის სცენა. რელიეფი ალაჰა ჰუიუკიდან (ხეთა).*

ლიად დაივიწყა ღმერთები, აღარ სწირავდა მათ პურსა და რიტუალურ სასმელებს და, რაც მთავარია, სანადიროდ სიარულიც შეწყვიტა. შვილის ცხოვრების წესის შეცვლით შეწუხებული დედა საყვედურობდა შვილს, აღარც ღმერთები გახსოვს, აღარც ნადირობა და აღარც მეო. ბოლოს, ქესი გონს მოეგო, დაუძახა თავის ძაღლს და ნათარას მთებში სანადიროდ გასწია. მაგრამ მისგან მოძულებულმა და განრისხებულმა ღმერთებმა სანადიროში ყველა გარეული ცხოველი გააუჩინარეს, საფარველი დაადეს მათ.

**ქიმერა** – ბერძნ. ქალი – ურჩხული; ***ტიფონისა*** და ***ექიდნას*** ნაშიერი.

ბერძენთა რწმენით, ქიმერა თხისტანიანი და დრაკონის კუდიანი ცეცხლისმფრქვეველი ***დემონია***. მას სამი თავი აქვს: ლომის, თხისა და დრაკონის. მითოსის თანახმად, იგი ხან ლიკიის ბინადარია, ხან ფრიგიისა, ხანაც ეგვიპტის თუ ინდოეთის. მისი მოკელა ერთადერთმა გმირმა, ***ბელეროფონმა*** შეძლო, ისიც მფრინავი რაშის, ***პეგასოსის*** მეშვეობით. აი, როგორ მოხდა ეს: როდესაც ბელეროფონმა პეგასოსი დაიმორჩილა და ***ათენას*** ნაჩუქარი ლაგამი ამოსდო, ლიკიის მთებისკენ ისწრაფა. სწორედ იქ ეგულებოდა მას საზარელი ქიმერა, რომლის მოკვლაც მას მეფე იობატოსმა დაავალა. მალე მან თვალი



*ქიმერა. ბრინჯაო (დაახ. ძვ.წ. 480 წ.). ფლორენცია, არქეოლოგიური მუზეუმი.*

ჰკიდა ცეცხლის ალს. მიხვდა გმირი, რომ ეს ქიმერას ხახათაგან ამოფრქვეული ცეცხლი იყო და ჰაერიდანვე დაუშინა ისრები ურჩხულს. გაშმაგდა ქიმერა და უფრო ძლიერად იწყო ცეცხლის ამოფრქვევა. შავმა კვამლმა დაფარა არემარე, მაგრამ ბელეროფონი არ შემდრკალა, არ შეუწყვეტია ბრძოლა მანამ, სანამ შიგ გულში არ მოახვედრა ისარი ურჩხულს. ერთი საზარელად ამოიღრიალა ქიმერამ და მიწად განერთხა. მისი ხახებიდან კი დიდხანს, დიდხანს ხრჩოლავდა კვამლი.

ვერგილიუსის მიხედვით, ქიმერა ***ჰადესის*** შესასვლელთან ბუდობს.

თანამედროვე მეტყველებაში ქიმერა უაზრო გამონაგონი, აღუსრულებელი ოცნებაა. ქიმერები უწოდეს გოთურ ტაძრებზე გამოსახულ ფანტასტიკურ ურჩხულებსაც.

**ქინგუ** – ბაბილონ. კოსმოგონიური ეპოსის პერსონაჟი, ღვთაებრივი არსება, ქაოსის ძალების წინამძღოლი, რომელსაც უნდა შეეცვალა დათრგუნული და დატყვევებული აბზუ. თიამათმა ქინგუ აბზუს ნაცვლად თავის მეუღლედ აირჩია და თავის ლაშქრის წინამძღოლად დანიშნა. მარდუქი ამარცხებს ქინგუს, მას კლავენ და მისი სისხლისაგან ადამიანს შექმნიან: „შებორკეს ქინგუ, ეას მიუყვანეს, დამნაშავედ გამოაცხადეს, სისხლი ამოართვეს, მისი სისხლისაგან კაცთა მოდგმა შექმნეს“.

**ქირონი** – ბერძნ. ***კენტავროსი*** (კენტავრი); ***კრონოსისა*** და ***ფილირას*** ძე; ძველი თესალიური ღვთაება (***დემონი***); მის მეუღლეს ერქვა ***ქარიკლო***.

მძვინვარე, შფოთიანი და ადამიანებისადმი მტრულად განწყობილნი იყვნენ ***იქსიონის*** ჩამომავალი კენტავრები. მაგრამ მათგან განსხვავებით ქირონი, ისევე როგორც ***ფოლოსი***, სამართლიანი და კეთილი დემონი იყო. მას მიაბარეს სხვადასხვა დროს აღსაზრდელად ***ჰერაკლე, ასკლეპიოსი, აქილევსი, იასონი***, ამფიარაოსი და ***დიოსკურები***, რომლებიც შემდეგ სახელოვანი გმირები დადგნენ.

ქირონი ცხოვრობდა პელიონის მთაზე. კენტავრთა და ლაპითთა ცნობილი ბრძოლის შემდეგ იგი ლაკონიაში გადაიხვეწა.

***აპოლონმა*** და ***არტემისმა*** აზიარეს ქირონი მუსიკის, ვარჯიშის, ნადირობისა თუ მისნობის ხელოვნებას. მას „ბრძენ-კენტავროსს“ უწოდებდნენ, რადგანაც მუდამ ლამობდა სიკეთისაკენ წარემართა თვისტომთა ველური ზნე და ბუნება.

კეთილშობილებით გამორჩეულმა ქირონმა წამებით დაასრულა თავისი ღვთაებრივი ცხოვრება. მაგრამ ეს შემთხვევით მოხდა: როდესაც ***ჰერაკლე*** მესამე გმირობის (***ერიმანთოსის*** ტახი) აღსასრულებლად მიდიოდა, გზად შეიარა თავისი მოძღვარის, ბრძენი ქირონის უსაყვარლეს მეგობართან, კენტავროს ფოლოსთან, რომელმაც დიდი პატივით მიიღო ***ზევსის*** ძე. ფოლოსის მამა იყო მეღვინეობის მფარველი ღმერთის, ***დიონისეს*** რჩეული ***სილენოსი***. მან კენტავრებს აჩუქა დიონისეს ვაზის პირველი მტევნით მოწეული ნექტარი, რომლის სურნელება ათრობდა მაღალ მწვერვალებსაც კი. ფოლოსმა სუფრა გაშალა და თავი ახადა ღვინით სავსე ჩაფს. უმალ მოეფინა ღვინის სუნი მთებსა და ველებს. კენტავრებმაც შეიგრძნეს იგი და განრისხდნენ ფოლოსზე, რომელმაც მათ გარეშე ჩამოასხა ღვთაებრივი სასმელი. ლოდებით, კომბლებითა და ნაჯახებით შეიარაღებულმა კენტავრებმა ფოლოსის მღვიმისკენ ისწრაფეს. მათ წინ უშიშრად აღიმართა ჰერაკლე და ნაწილი იქვე ამოხოცა. გადარჩენილებმა ბრძენი ქირონის მღვიმეს შეაფარეს თავი. მათ კვალდაკვალ მიჰყვა ჰერაკლეც. მოზიდა მშვილდი და მისი ***ლერნეს*** შხამში ამოვლებული ისარი შემთხვევით ჩაესო მუხლში ქირონს. დაღონდა გმირი, როდესაც გონს მოეგო და გაიაზრა, რომ მისივე მეგობარი, ბრძენი მოძღვარი დაჭრა. უმალ იარა მოუბანა, მაგრამ ამაოდ. ნაიარევი განუკურნელი იყო. იცოდა ქირონმა, რომ არ მოკვდებოდა, რადგან უკვდავი იყო, მაგრამ სასტიკად გაწამდებოდა.

სიკვდილს ნატრობდა კეთილი კენტავროსი. მოგვიანებით მხსნელად ისევ ჰერაკლე მოევლინა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც გმირმა ოქროს ვაშლები წამოიღო ***ჰესპერიდების*** ბაღიდან და საბერძნეთისაკენ მიმავალი მიადგა კავკასიონის მაღალ მწვერვალებს, სადაც ერთ-ერთ კლდეს მიჯაჭვული იყო ***პრომეთე***. იმდენი ხანი იყო იგი ამ დღეში, რომ ზევსს მისი გათავისუფლება სურდა კიდეც. მაგრამ ასე იყო ნათქვამი: გმირის ტანჯვა უნდა გაგრძელებულიყო მანამ, ვიდრე ვინმე უკ-



*ქირონი. ამფორის ფერწერა (ძვ.წ. 520-510 წ.წ.). პარიზი. ლუვრი.*

ვდაეთაგან საკუთარი ნებით მის მაგივრად არ ჩავიდოდა ***ჰადესის*** პირქუშ სამეფოში. ჰერაკლემ გაახსენა ზევსს, რომ ქირონი, რომელსაც უზომოდ აწუხებდა განუკურნებელი იარა, დიდი ხანია ნატრობდა სიკვდილს. აღარაფერი ედგა წინ პრომეთეს ხსნას. ასე დასრულდა ორი ღვთაების წამების ამბავი: პრომეთე გათავისუფლდა, ქირონი კი მის მაგივრად გარდაიცვალა. ღმერთებმა იგი მშვილდოსნის თანავარსკვლავედად აღაზევეს ცის კაბადონზე (სხვა ვერსიით, ამ თანავარსკვლავედად ფოლოსი გარდაისახა).

**ᲥᲚᲝᲠᲘᲡᲘ** – ბერძნ. ყვავილთა ქალღმერთი. რომში მას ***ფლორას*** უწოდებდნენ.

**ᲥᲠᲘᲡᲐᲝᲠᲘ** – ბერძნ. 1. ***პოსეიდონისა*** და ***მედუზას*** ვაჟი.

როდესაც ***პერსევსმა*** მედუზას თავი მოჰკვეთა, თავწაჭრილი სხეულიდან წამისუმალ ამოცვივდნენ ფრთიანი ცხენი ***პეგასი*** და ოქროსმახვილიანი ბუმბერაზი ქრისაორი, რომელსაც ***ოკეანიდა*** კალიროესგან შეეძინა გერიონი და ***ექიდნა***.

2. ***აპოლონის, არტემისის, დემეტრესა*** და კარიელი ***ზევსის*** ეპითეტი, რომელიც „ოქროსმახვილიანს" ნიშნავს.

**ᲥᲠᲘᲡᲔᲡᲘ** – ბერძნ. 1. ***აპოლონის ქურუმი.*** შედარებით ვრცლად მასზე მოგვითხრობს ჰომეროსი „ილიადაში". ქრისესის ქალიშვილი, ქრისეისი, ***ტროას ომის*** დროს ნადავლად ერგო მიკენის მეფე ***აგამემნონს***. ქრისესი მდიდრული ძღვენით ეახლა მეფეს ქალიშვილის გამოსასყიდად, არ მიიღო მისი ძღვენი აგამემნონმა. მაშინ შეურაცხყოფილმა ქურუმმა აპოლონს სთხოვა, დაესაჯა ბერძნები. შეისმინა დიდმა ღვთაებამ თავისი მსახურის ვედრება და აქაველები შავი ჭირით დაასნეულა. მხოლოდ მაშინ შეწყვიტა აპოლონმა ბერძენთა მუსრვა, როდესაც ქრისეისი დაუბრუნეს მამას.

ისტორიულ დროს ფრიგიის ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებაც ყოფილა ქრისესი. იქ მდებარეობდა აპოლონის ტაძარი სკოპასის მიერ შესრულებული ღვთაების ქანდაკებით.

2. ***აგამემნონისა*** და ქრისეისის ვაჟი.

როდესაც ***ტროას ომი*** დასრულდა, აგამემნონისაგან შეეძინა ვაჟი ქრისეისს, რომელიც თავის ნაშიერს აპოლონის ძედ აცნობდა ყველას. აგამემნონის შვილები ***კლიტემნესტრასგან*** – ***ორესტესი*** და ***იფიგენია*** – თავს აფარებდნენ უფროს ქრისესს, რომელსაც სურდა მათი გაცემა. მაშინ კი გაამხილა ქრისეისმა, რომ მისი ვაჟი ორესტესისა და იფიგენიას ნახევარძმა იყო. კეთილად განეწყო მოთდამი ქრისესი და შეიფარა ლტოლვილები.

ამ თემაზე სოფოკლეს დაუწერია ტრაგედია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

**ᲥᲠᲝᲜᲝᲡᲘ** – ბერძნ. დროის განსახიერება.

ქრონოსის თაობაზე შედარებით ხრელ ინფორმაციას ვპოულობთ ***ორფიკოსთა*** მოძღვრებაში. მათი აზრით, ქრონოსისაგან იშვნენ ცეცხლი, ჰაერი და წყალი. ამ სტიქიათაგან კი გაჩნდნენ ღვთაებათა მთელი თაობები. ასე რომ, ქრონოსი, შესაძლებელია მივიჩნიოთ სამყაროს დასაბამად.

ძველ საბერძნეთში ზოგჯერ ქრონოსს ***კრონოსთანაც*** აიგივებდნენ. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სახელების მსგავსი ჟღერადობა გააჩნდათ.

რომაელებმა კრონოსს უწოდეს ***სატურნუსი*** და დროის განმასახიერებელი ფუნქცია მიანიჭეს.

თანამედროვე ხელოვნებაში ქრონოსს ხანდაზმულ კაცად წარმოადგენენ და მას ხელში უჭირავს ცული. ყოვლისმრის მოცველის, ყველაფრის წარმავალობის სიმბოლო.

**ᲥᲣᲗᲐᲠ-ᲕᲐ-ᲮᲐᲡᲘᲡᲘ** – უგარიტ. მით. ღვთაებრივი მშენებელი, რომელმაც ბაალს ახალი ყაიდის ფანჯრებიანი სახლი აუშენა. ბაალი უარზე იყო, რადგაც ხიფათს მოელოდა ამ სიახლისგან. მაგრამ ღმერთების დაჟინებული რჩევით დაბინავდა მასში. მისი წინათგრძნობა გამართლდა: სიკვდილის ღმერთი მოთი ფანჯრიდან შეიპარა და მოკლა ბაალი.

**ᲥᲣᲗᲣ, ᲥᲣᲗᲐ** – ქალაქი ბაბილონში. ქვესკნელისა და მკვდართა სამეფოს ღმერთის, ნერგალის მთავარი საკულტო ცენტრი. ამიტომაც ქვესკნელს ეწოდება აგრეთვე „ქუთუ". ბაბ. წარმოდგენით ამ ქალაქთან იყო უახლოესი ჩასასვლელი მკვდართა სამეფოში ისევე, როგორც ეგვიპტის ქალაქ აბიდოსში (იხ. ოსირისი).

**ᲥᲣᲛᲐᲠᲑᲘ** – ხეთ.-ხურ. დიდი ღმერთი, რომელიც ეტოქება ჭექა-ქუხილის ღმერთს თეშუბს, ვის დასამარცხებლადაც შექმნა ქვის ურჩხული ულიქუმი. მისი მუდმივი ეპითეტია „ღმერთების მამა". ქუმარბის წარმოშობა ასეთია (როგორ გახდა იგი მთავარი ღმერთი): „უწინ, წინანდელ წლებში ალალუ მეფობდა ცაზე. იჯდა ტახტზე და ანუ, ღმერთთა შორის უპირველესი, ემსახურებოდა მას

– ქედმოხრილი სასმელით სავსე თასს აწვდიდა ხელში. ცხრა წელიწადს მეფობდა ალალუ ცაზე და მეცხრე წელს ანუ შეებრძოლა მას და დაამარცხა; ალალუ გაექცა მას და ქვემოთკენ, ბნელ მიწას მიაშურა, ტახტზე კი ანუ ავიდა და გახდა იგი ცის მეფე. ახლა ანუ ზის ტახტზე და მისი ნაშიერი ქუმარბი ემსახურება მას: ქედმოხრილი სასმელით სავსე თასს აწვდის ხელში. ცხრა წლის შემდეგ ქუმარბი აუჯანყდა თავის მეფეს და შეებრძოლა, და ძლია მას. ანუ გაექცა მას და ცაზე ავიდა (ანუ აქადურად ცას ნიშნავს). გაეკიდა ანუს ქუმარბი, მოეჭიდა ფეხზე და ციდან ჩამოათრია. ანუმ წელზე უკბინა და მის წიაღში თავისი მამრული ძალა ჩაუღვარა. ანუ მიუბრუნდა და უთხრა: შენ ჩაყლაპე ჩემი მამრული ძალა. შენ შობ ჭექა-ქუხილის ღმერთს, შენ შობ მდინარე არანცახს, დაუძლეველს, შენ შობ ღმერთს თაშმიშუს... ეს თქვა ანუმ და ცაზე აეიდა. ამრიგად, ქუმარბი თავად შობს თავის მეტოქეს: თეშუბი, რომელიც მისი წიაღიდან გამოვა, ისევე წაართმევს მას ტახტს, როგორც ალალუსა და ანუს წაართვეს მისმა ნაშიერებმა. ქუმარბი ქმნის ულიქუმის, ქვის ურჩხულს, რომელმაც უნდა მოკლას თეშუბი და, ამრიგად, მოაშოროს მას მეტოქე.

**ქურუმები** – უძველეს ხანად, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ღმერთების, გმირებისა თუ ე.წ. წმინდა ადგილების თაყვანისცემა, რომლებსაც მოგვიანებით კულტები უწოდეს, შემოიღეს ამ თაყვანისცემის წესებიც. ანტიკურ სამყაროში, ისევე როგორც მრავალ სხვა საზოგადოებაში, ოჯახის მამა (pater familias) ღვთისმსახურის მოვალეობასაც ასრულებდა. დროთა განმავლობაში, როდესაც კულტების თაყვანისცემამ ღრმად გაიდგა ფესვი, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ღვთისმსახურების აღსრულება ევალებოდათ. ამ წარმართულ კულტთა მსახურებს ქურუმები ერქვათ.

# შ

**შაი** – ეგვიპტ. ბედის ღმერთი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრების ვადებს, ხანგრძლივობას. მაგრამ შაი დამოუკიდებელი ღმერთი არ არის: ის იარაღია დიდი ღმერთების, განსაკუთრებით, თოთის ხელში. წარმოშობით იგი ვაზის ღვთაება იყო, რომელიც, სხვა ღმერთებთან ერთად, ზრუნავდა უხვ მოსავალზე, ქვეყნის ნაყოფიერებასა და კეთილდღეობაზე.

**შამაში** – ბაბილონ. „მზე“, მზის ღმერთი. მისი იდეოგრამა გამოხატავს ამომავალ მზეს, რასაც ცხადად გვიჩვენებს მისი არქაული გამოსახულება. იგივე ნიშანი აღნიშნავს „დღეს“, „დღის ნათელს“.

შამაშს მეორე ადგილი უჭირავს შუამდ. პანთეონის მეორე ტრიადაში: სინი-შამაშიადადი. იგი ითვლება სინის ძედ და იშთარის დად. მისი ღვთაებრივი ცალია აია, რომელიც მუდამ იხსენიება მის სძლად.

როგორც შამაშისადმი მიძღვნილი ჰიმნებიდან და მითოლოგიური პასაჟებიდან ჩანს, იგი წარმოდგენილი ჰყავდათ ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილ ღვთაებად, რომელშიც ისინი ხედავენ სამართლიანობისა და სიკეთის განსახიერებას. გილგამეშის ეპოსში იგი არის მთავარი გმირის მფარველი, მისი გამჩენიც კი (როგორც გილგამეშის დედა ნინსუნა ეუბნება მას: „შვილად მომეცი გილგამეში...“), რომელიც მოუწოდებს მას ზნეობრივი აქტისაკენ: მისი შთაგონებით გაემგზავრება გილგამეში კედარის ტყეში, სადაც ჯერ კიდევ არ დამყარებულა შამაშის კულტი (ფიზიკური აზრით: კედარის უღრანში არ შეღწეულა მზის სხივი). ამრიგად, მზის სხივი, შამაშის სხივი, რისგანაც მოქსოვილია ბადე – შამაშის ერთ-ერთი ატრიბუტი – ფიზიკური თვისებების გარდა შეიცავს ზნეობრივ თვისებებსაც; მას მიაქვს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ გონებრივი სინათლე და სამართლიანობა.

შამაშის ყოველდღიური ამოსვლა ცარგვალზე სიმბოლურად წარმოსახავს ქაოსის ძალების განადგურებას. წყვდიადის დასამარცხებლად მას იარაღად აქვს დაკბილული სატევარი, ხერხისმაგვარი ხმალი, რომელიც უპყრია ხელში ქვეყნად ამოსვლისას.

ცარგვალზე თავისი ხილული მოძრაობის დასრულების შემდეგ, შამაში ჩადის ქვესკნელში და იქ ანათებს. ქვესკნელში იგი ზის გარკვეულ ჟამს ანუნაქებთან ერთად და გაიკითხავს მზეგადასულთა სამართალს. მაშინ მისი მეორე სახელი, ვითარცა მკვდართა ღმერთისა და მსაჯულისა, არის ნერგალი, რომელიც მისი ღამეული ორეულია. მაგრამ იგი სჯის არა მხოლოდ ქვესკნელში, არამედ სამზეოშიც. აქად. პანთეონში მას მიეკუთვნება უპირატესად სამართლიანობის ღმერთის სახელი.

ხამურაბის კანონთა პროლოგში შამაშია ის ღმერთი, ვისგანაც იღებს მეფე კანონებს და ვისი სახელითაც უნდა შესრულდეს კანონი. ისევე, როგორც შამაში ფანტავს ფიზიკურ წყვდიადს და ამკვიდრებს ფიზიკურ ნათელს, ასევე იგი აუქმებს უკანონობას, უსამართლობას და ამკვიდრებს კანონიერებას, სამართალს. შამაში არის აგრეთვე ფიცის ბატონი, რომლის სახელით იდება ორ ადამიანს თუ არსებას შორის, ფიცის გატეხისთვის მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი (იხ. ეტანას მითოსი). ფიცის გამტეხთათვის და მოღალატეთათვის შამაშს აქვს ბადე, უზარმაზარი

სათხეველი, რომელსაც ვერავინ დააღწევს თავს.

შამაშის კულტის მთავარი ქალაქები იყო ლარსა და სიფარი; მისი ემბლემა: მირგვალაში ჩახატული მზის სხივები და წყლის ჭაელები ერთმანეთის მონაცვლეობით.

საკრალური რიცხვი – 20 (60-ის ანუ სრული რიცხვის ერთი მესამედი).

გამოსახულება: მთებს შორის ამომავალი, რქიანი ტიარით თავზე; მხრებიდან ამოსული სხივებით; ხელში დაკბილული, მორკალული მახვილით.

**ᲨᲐᲛᲮᲐᲗᲘ** – „სიხარული". გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი ურუქელი ქალი, იშთარის ტაძრის მსახური, საკულტო როსკიპობის აღმსრულებელი. შამხათს ევალება მოათვინიეროს, ადამიანად აქციოს ველური ენქიდუ და მოიყვანოს იგი ურუქში. ამ მისიას შამხათი ასრულებს „დიაცური ხელოვნების" საშუალებით. იგი ველზე, უდაბნოშივე, მიიზიდავს ენქიდუს და აზიარებს სქესის საიდუმლოებას და მერე თანდათან მოჰყავს ურუქისკენ; რამდენიმე ხანს მწყემსებთან ცხოვრობენ, ბოლოს კი შემოიყვანს ურუქში და შეახვედრებს გილგამეშს. ამის შემდეგ შამხათი ჩანს ეპოსის ტექსტში. ოღონდ იგი ნახსენებია სნეული ენქიდუს წყევლაში (იგი წყევლის შამხათს, რომელმაც მშობლიური ველებიდან შემოიტყუა ურუქში და უკურნებელი სენი შეჰყარა).

**ᲨᲐᲥᲐᲜᲘ** – შუმ. ნადირთ პატრონის, სუმუკანის სხვა სახელი.

**ᲨᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲠᲘ** – ხეთ. ღვთაებრივი ხარები, ჭექა-ქუხილისა და ტაროსის ღმერთის თეშუბის მცველები, რომლებიც მის ეტლში არიან შებმულნი. მათი საძოვრები დანგრეული ქალაქების უკაცრიელი ადგილებია. ღმერთის რისხვის შიშით ვერავინ ბედავს ამ გაპარტახებული ადგილების კვლავ დასახლებას და ქალაქად ქცევას. ტაროსის ღმერთის რისხვა კი, გასაგებია, რას გამოიწვევს. ყველა გაურბის ხარების წყენინებასაც – მათთვის საძოვრების წართმევას, ისინი ხომ მლოცველებს ტაროსის ღმერთთან შუამდგომლობენ. ამაზეა დამოკიდებული უხვი მოსავალი.

**ᲨᲕᲘᲓᲜᲘ ᲗᲔᲑᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ** – ბერძნ. ასეთი გამოთქმა დამკვიდრდა ბერძნულ მითოლოგიაში იმ ლაშქრობის აღსანიშნავად შვიდმა არგოსელმა სარდალმა რომ მოაწყო თებეს წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა *ოიდიპოსის* მითოსს უკავშირდება:

როდესაც ოიდიპოსმა თვალები დაითხარა და თებედან გადაიხვეწა, მისმა ვაჟებმა, *ეტეოკლესმა* და *პოლინიკესმა*, თავდაპირველად გადაწყვიტეს, სამეფო ტახტი კრეონისათვის დაეთმოთ, რადგან თავიანთ გვარს დაწყევლილად მიიჩნევდნენ. შემდეგ სიხარბემ სძლიათ და თავად ისურვეს გამეფება. პოლინიკესი უფროსი იყო და ადათის წესით, მას ეკუთვნოდა სამეფო სკიპტრა. მაგრამ ძმებმა მოილაპარაკეს, მორიგეობით ასულიყვნენ ტახტზე თითო წლით. წილი ყარეს და ეტეოკლესს გაუმართლა: პირველად მისი მეფობის ხანა დადგა. აღარ ისურვა ძალაუფლების დათმობა, ძმა შეთქმულებაში დაადანაშაულა და ქალაქიდან გააძევა.



ბრძოლა თებესთვის. ეტრუსკული ურნა (ძვ წ. II ს. II ნახევარი). ვოლტერის მუზეუმი.

პოლინიკესმა არგოსის მეფე ადრასტოსს სთხოვა მფარველობა. მეფემ სიხარულით მიიღო ოიდიპოსის ძე და თავისი ასული ეგეა შერთო ცოლად. არგოსის სამეფო კარს აფარებდა თავს კალიდონის მეფისწული *ტიდევსიც*, რომელმაც ადრასტოსის მეორე ქალიშვილზე იქორწინა. ადრასტოსმა განიზრახა, სამეფო ძალაუფლება დაებრუნებინა სიძეთათვის და საომრად იწყო მზადება. პირველად თებეზე უნდა გაელაშქრათ, რადგან ეს ქალაქი უფრო ახლოს იყო არგოსთან. მან იხმო სახელოვანი მეომრები: კაპანევსი, ჰიპომედონი, ამფიარაოსი, პართენოპეოსი, პოლინიკესი, ტიდევსი და თებეს წინააღმდეგ გალაშქრება შესთავაზა. ამ მთავარსარდალთაგან მხოლოდ ამფიარაოსი არ ჩქარობდა, რამეთუ წინასწარ ჭვრეტდა, რომ ომში ადრასტოსის გარდა ყველა დაიღუპებოდა. საომრად შემართულმა მებრძოლებმა გაიხსენეს ადრასტოსის და ერიფილე, რომელიც ამფიარაოსის მეუღლე იყო: ოდესღაც ადრასტოსი და ამფიარაოსი სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდებიან ერთმანეთს. მაშინ ერიფილე ჩამდგარა მათ შორის, გაუშველებია ისინი და პირობაც ჩამოურთმევია, რომ მომავალში მისი თანხმობის გარეშე არ ემოქმედათ. ტიდევსმა იცოდა ეს ამბავი, იხმო პოლინიკესი და ასე დაარიგა: „ერიფილე შიშობს, რომ მომხიბლაობას კარგავს. ამიტომ შესთავაზე ის ჯადოსნური ყელსაბამი, *აფროდიტემ* რომ აჩუქა შენს დიდ ბებიას, *ჰარმონიას*. ამით მოიმადლიერებ ერიფილეს, ხოლო იგი დაარწმუნებს თავის მეუღლეს, შემოგვიერთდეს". და ისე მოხდა, როგორც ითქვა: ერიფილემ სიხარულით მიიღო ძვირფასი ძღვენი, ჰარმონიას ყელსაბამი, სანაცვლოდ კი დაითანხმა მეუღლე, გაელაშქრა თებეს წინააღმდეგ. მეომრებს სათავეში ჩაუდგა ადრასტოსი. ასე დაიძრა თებესაკენ შვიდი სარდალი. როდესაც ქალაქის კედლებს მიადგნენ, ადრასტოსმა მეფე ეტეოკლესს ელჩად ტიდევსი მიუგზავნა და სამეფო ძალაუფლების უბრძოლველად დათმობა შესთავაზა. როდესაც მეფისგან უარი მიიღო, თებელებს მოუწოდა, აერჩიათ შვიდი მეომარი, ისინი შვიდ არგოსელ სარდალს შეებმებოდნენ და ომის ბედიც ზედმეტი სისხლისღვრის გარეშე გადაწყდებოდა. მაგრამ არც ეს ისურვეს თებელებმა. ხვდებოდა ადრასტოსი, რომ უბრძოლველად ქალაქს ვერ აიღებდა და საომარი მზადყოფნა გამოაცხადა.

ეტეოკლესმა თებეს ბრმა მისანი, *ტირესიასი* იხმო და რჩევა ჰკითხა. ტირესიასმა მას ღმერთების ნება განუცხადა: თებე გაიმარჯვებდა, ოღონდ, რომელიმე უფლისწულს ნებაყოფლობით უნდა შეეწირა თავი ომის ღვთაება *არესისათვის*. ეს უფლისწული კრეონის ძე მენეკევსი აღმოჩნდა. მან თებეს კედლებთან მოიკლა თავი და როდესაც



ბრძოლა თებეს კედლებთან. ეტრუსკული ურნა (ძვ.წ. II ს. II ნახევარი). ფლორენციის მუზეუმი

ომი განაღდა ოთხი არგოსელი სარდალი ბრძოლის ველზე დაეცა. გადარჩენილი ამფიარაოსი თავისი ეტლით უკან იხევდა. მას კვალდაკვალ მისდევდნენ თებელები და სადაც იყო შეიპყრობდნენ კიდეც. მაგრამ საოცარი რამ მოხდა: **ზევსმა** მეხით გააპო მიწა და ეტლზე ამხედრებული ამფიარაოსი შიგ ჩაიტანა.

პოლინიკესმა ძმა ორთაბრძოლაში გამოიწვია. სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებულებმა უმოწყალოდ ამოხოცეს ერთმანეთი.

ადრასტოსმა თავისი ფრთიანი რაშით უშველა თავს. ათი წლის შემდეგ იგი კვლავ წამოიწყებს ბრძოლას თებეს წინააღმდეგ და გაიმარჯვებს (იხ. ***ეპიგონები***).

ვარაუდობენ, რომ „შვიდთა ლაშქრობაში" არგოსისა და თებეს ბრძოლათა ისტორიული სინამდვილე აისახა. ომის ამბები აღწერილი ყოფილა პოემებში „თებაიდა" და „ეპიგონები" რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ამ მითოსზეა შექმნილი ევრიპიდეს ტრაგედიები: „ფინიკიელი ქალები" და „მავედრებელი ქალები"; ესქილეს „შვიდნი თებეს წინააღმდეგ" და სოფოკლეს „ოიდიპოსი კოლონოსში".

**შივა** – ინდ. დიდი ღმერთი, უსახო და უსახელო ღვთაების ერთ-ერთი სახე. ბრაჰმასთან და ვიშნუსთან ერთად შეადგენს სამებას – ტრიმურტის. თუმცა იგი ამ სამებაში დამანგრეველ საწყისს გამოხატავს (ბრაჰმა აშენებს, ვიშნუ ინახავს, შივა ანგრევს), მაგრამ ზოგიერთ თქმულებაში იგი სამყაროს მთლიანობის დამცველია. მან თავად ჩაყლაპა ოკეანეში წარმოშობილი შხამი და იხსნა ქვეყნიერება დაღუპვისგან. როცა ქვეყანაზე სიკვდილი არ იყო, ადამიანები და ცოცხალი არსებები მრავლდებოდნენ და მიწას ისე ამძიმებდნენ, რომ მას მეტის ატანა აღარ შეეძლო და ბრაჰმამ მათი მთლიანად მოსპობა გადაწყვიტა. ერთადერთი ღმერთებს შორის შივა გამოესარჩლა ქმნილებებს: „ნუ განურისხდები შენი ხელით შექმნილ არსებებს! ნუ მოხდება ისე, რომ მთელი სამყარო დაცარიელდეს. თუ განადგურდებიან, ვეღარც აღდგებიან. დაე, იცხოვრონ და მერე დაიხოცონ, ოღონდ ნუ შეწყდება მათი მოდგმა". ამ სიტყვების გაგონებაზე ბრაჰმამ დაიოკა რისხვა, ცეცხლად რომ ედებოდა სამყაროს. სანაცვლოდ სიკვდილმა დაისადგურა ქვეყანაზე. შივას ცოლად ჰყავდა მთების მშვენიერი ასული უმა, რომელსაც ერთხელ კუბერამ მარცხენა თვალი თავხედურად დაადგა. კუბერა მწარედ დაისაჯა ამ საქციელისთვის: შეურაცხყოფილმა უმამ ამოუწვა მას მარცხენა თვალი თავისი ცეცხლოვანი რისხვით. ამის შემდეგ კუბერა რვაასი წელი ცალთვალა იყო და მხურვალედ ინანიებდა თავის საქციელს. ბოლოს, შივამ აპატია მას და მეგობრობაც შესთავაზა. შივას მესამე თვალი აქვს. ეს თვალი მაშინ გაუჩნდა, როცა ცოლი (არა უმა, არამედ პარვატი) მიეპარა უკანიდან და ხელებით თვალები დაუფარა. სასტიკია მისი მესამე თვალი: მან ფერფლად აქცია სიყვარულის ღმერთი კამა, რომელიც სიყვარულის ისარს უმიზნებდა მას, რათა მჭვრეტელურ ცხოვრებას მოეწყვიტა იგი. შივას ოთხი პირისახე და ოთხი ხელი აქვს, ერთში სამკაპი უპყრია. შივა განთქმულია, როგორც მოცეკვავე. ნატარაჯა – „როკვის მეფე", და ასეც გამოსახავენ მას. შივას როკვა კოსმიური ენერგიისა და სამყაროს დინამიური წესრიგის განსახიერებაა. შივა თავის ერთ-ერთ ცოლთან ერთად მისგან მოკლული ასურის – აპასმარას გვამზე ცეკვავს. თავისი ცეკვით მან ათი ათასი ასკეტი განდევნილი დაიმორჩილა. ჯერ ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ მას, გააჩინეს სასტიკი ვეფხვი და მიუსიეს მას, მაგრამ შივამ ვეფხვს ტყავი გახადა და მისგან მოსასხამი გაიკეთა. (ამრიგად, შივა ვეფხისტყაოსანიც არის). ბოლოს, ასკეტებმა და ღმერთებმაც მათ კვალზე აღიარეს მისი ძალა და ავტორიტეტი.



მოცეკვავე შივა (ახ.წ. XII ს.). ნიუ დელის ნაციონალური მუზეუმი.

**შუ და თეფნუთი** – ეგვიპტ. ღვთაებრივი წყვილი (და-ძმა – ცოლ-ქმარი), ნაშიერი მზის ღმერთის, ათუმისა, რომელიც ამბობს: „მე ამოვაფურთხე (იშეში) შუ, მე ამოვანთხიე (თეფნი) თეფნუთი''. ეს წყვილი, თავის მხრივ, ბადებს გებს (მიწას) და ნუთს (ცას). შუ ცისა და მიწის მშობელიც არის და, ამავე დროს, მათი განმაცალკევებელიც. მას უჭირავს ცა და მიწა, ავსებს სივრცეს ცასა და მიწას შორის, თავად „ცარიელი'', „თავისუფალი'' სივრცის, ჰაერის, ატმოსფეროს განსახიერება. შუ შუ-ონურისის სახელით, როგორც რაეს პირმშო, ყველგან თანახლავს თავის მამას მის ცურვაში ზეციურ ნილოსზე. იგი შუბმომარჯვებული დგას ხომალდის კიჩოზე და უზარმაზარი ნიანგის თავდასხმისგან იცავს რაეს. ჰიმნში ასეა იგი შექებული: „დიდება შენ, შუ, რაეს მემკვიდრევ, პირმშოვ, მისი სხეულიდან გამოსულო! ყოველდღიურად ამარცხებ მტრებს... ხარობს დიდის ნავი, როცა ისინი (რაეს მხლებელნი) ხედავენ შუს, რაეს ძეს, გამარჯვებულს, რომელმაც შუბით განგმირა ბოროტი''.

**შუმერი** – შუმერულ ენაზე ამ ქვეყნის სახელწოდებაა ქი-ენ-გი-რა „ლერწმის ბატონის მიწა''. ლერწმის ბატონში ოკეანის სიღრმეთა ღმერთი ეა იგულისხმება. სხვანაირად მას ეწოდება ქალამ ანუ ქვეყანა.

შუმერი წარმოდგენილია სამყაროს შუაგულად, სადაც წყდება მთელი ქვეყნიერების ბედი, ქვეყნად, რომელსაც განაგებს მისი მეფე, „დიდი მთა'' ენლილი, ქვეყანა, სადაც მეფობა ციდან ჩამოვიდა და ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა. შუმერი არის იმ კონცენტრულ წრეთა დასაბამი, რომელთაგან თითოეული შუაგულია: სამყაროს ცენტრში – შუმერი, შუმერის ცენტრში – ნიფური, ნიფურში – ტაძარი ექური, ექურში – დურანქი, ტაძრის შუაგული, სადაც გადის მსოფლიო დიდი ღერძი (დიმ-გალ). ერთ ჰიმნში ამგვარად არის შექებული შუმერის ქვეყანა: „ო, შუმერო, დიდო მთავ, ცისა და მიწის (ე. ი. კოსმიურო) ქვეყანავ! მადლიანი შუქით შემოსი-

შუ განამორებს ერთმანეთისგან ნუთს და გებს.



შუსა და თეფნუთის ქორწილი.





ურუქელის ქანდაკება (ძვ. წ. III ათასწლეული). ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.

ლო! მზის ამოსავლეთიდან მზის დასავლამდე რჯულს აძლევ ხალხებს. შენი რჯული უზენაესი რჯულია, შენი წიაღი (გული) ღრმა და მიუწვდომელია..."

**შურუპაკი** – შუმ. და ბაბილონ. წარღვნამდელი უკანასკნელი ქალაქი, სადაც მორიგეობის წესით (ოთხი სხვა ქალაქის – ერიდუს, ბადთიბირას, ლარაქის, სიფარის გავლით) დამკვიდრდა შუმერის მეფობა, ე. ი. იგი გახდა შუმ. ცივილიზაციის ცენტრი. წარღვნის მითოსის თანახმად, იგი მდებარეობდა ევფრატის ნაპირას; მის ახლოს იყვნენ დასადგურებული ღმერთები და აქაური იყო წარღვნას გადარჩენილი ერთადერთი კაცი უთანაფიშთი.

**შუკალეთუდა** – შუმ. მებაღე, რომელმაც ერთი შუმერული ტექსტის მიხედვით შეისწავლა ციური ნიშნები, შეიცნო ღვთაებრივი სიბრძნე და გააშენა ბაღი, რომელსაც უდაბნოს ქარებისა და მწველი მზისაგან იცავდა მის შუაგულში დარგული ხე – ცარბათუ, ბაღს უხვი და მრავალნაირი მოსავალი მოჰქონდა. ერთხელ, ამ ქვეყნად ხეტიალისგან დაღლილ-დაქანცულ ინანას ჩაეძინა ამ ბაღის მახლობლად. შუქალეთუდამ შეამჩნია იგი, მიეპარა მძინარეს და სიქალწულე წაართვა. გამოღვიძებული ქალღმერთი ხედება თავის სირცხვილს და დაუწყებს ძებნას შურის საძიებლად შუქალეთუდას. მაგრამ მოძალადე მოკვდავი მუდამ უსხლტება ხელიდან. ჩვენთვის უცნობია, რითი მთავრდება ამბავი, რადგან ტექსტის ბოლო ნაწილი შენახული არ არის.

# ჩ

**ჩიავანა** – ინდ. მით. ბრძენთაბრძენი და დიდი სიქველის მოქმედი. მისმა დედამ პულომამ მაშინ შვა ჩიავანა, როცა მის მომტაცებელ ავსულ პულომანს ტყეში მიჰყავდა იგი. იგი უდროოდ გადმოვარდა დედის საშოდან და ამიტომაც დაერქვა სახელად ჩიავანა – „გადმოვარდნილი". მან, მოხუცებულმა, აშვინებისა და თავისი ერთგული ცოლის სუქანიას წყალობით სიჭაბუკე დაიბრუნა.

ერთხელ, როცა მეფე შარიატიმ ჩიავანა თავის უზენაეს ქურუმად აირჩია და მსხვერპლის შეწირვა დაავალა, მან პირველ რიგში სომა სწორედ თავის მეგობარ აშვინებს მიართვა. აშვინების მოძულე ინდრამ, რომელსაც არ მოსწონდა მათი სიახლოვე ადამიანებთან, მსხვერპლის შემწირველზე თავისი ძლევამოსილი იარაღი ვაჯრა აღმართა. მაგრამ ბრძენთაბრძენმა ჩიავანამ თავისი სულიერი ძალისხმევით ღმერთების მეფეს აღმართული ხელი ჰაერში გაუქვავა და უძლურად დააშვებინა ძირს.. უფრო მეტიც: ინდრას დასასჯელად თავისი გრძნეულებით უზარმაზარი და საზარელი ურჩხული შექმნა. მისი ქვედა ყბა პირის დაფჩენისას მიწას სწვდებოდა, ზედა ყბა – ზეცას აღწევდა. შიშის ზარი დაეცა ინდრას და სხვა ღმერთებს. მაშინ ჩიავანამ დაინდო ღმერთები, რომლებიც მბრძანებლის გარეშე რჩებოდნენ, და ურჩხული არარაობად აქცია.

**ჩინვატის ხიდი** – ირან. უფსკრულზე გადებული ბეწვის ხიდი, რომელზეც გარდაცვლილთა სულებმა უნდა გაიარონ. აი, როგორ წარმოიშვა ეს ხიდი, რომელიც სწრაფ და ბობოქარ მდინარეზეა გადებული. ერთხელ ზარათუშთრამ დაინახა, რომ შვიდი მოხუცი იდგა მდინარის პირას და ვერ ბედავდა გაღმა გადასვლას. ზარათუშთრას რჩევით მათ ერთმანეთს ჩაკიდეს ხელები და შექმნეს რაღაც ხიდის მაგვარი. იგი ჩაუდგა მათ სათავეში და უვნებლად გადაიყვანა ისინი მეორე ნაპირზე. ამ ცოცხალი ხიდის ყაიდაზე იქნა აგებული ჩინვატის ხიდი. გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს სულები მიადგებიან ამ ხიდს; ცოდვებით დამძიმებულნი უფსკრულში ჩაცვივდებიან, ხოლო უცოდველნი მსუბუქად გაივლიან მასზე, რათა აჰურა-მაზდას ნათელ სამეფოში შევიდნენ. ზოგიერთი გადმოცემის თანახმად, ხიდს ავი ქოფაკები დარაჯობენ. ცოდვილი სულის მიახლოებისას ხიდი სამართებლის პირივით ვიწროვდება, უცოდველის მიახლოებისას კი „ცხრა შუბისა თუ ოცდაშვიდი ისრის" ზომაზე ფართოვდება, რათა სული თამამად გავიდეს გაღმა მხარეს. მეორე ნაპირზე კეთილს და უცოდველს თავისი საქმეები თხუთმეტი წლის ულამაზესი ქალწულის სახით ეგებება. აქედან პირველ ნაბიჯზე სული შედის კეთილ ზრახვათა სამეფოში, მეორე ნაბიჯზე – კეთილ სიტყვათა სამეფოში, მესამე ნაბიჯზე – კეთილ საქმეთა სამეფოში, მეოთხე ნაბიჯზე კი აჰურა-მაზდას მარადიულ ნათელს ეზიარება. ცოდვილი და დაწყევლილი სული თავის საქმეებს საზარელი დედაბერის სახით იხილავს და ბოროტ ზრახვათა, ბოროტ სიტყვათა და ბოროტ საქმეთა საუფლოს გავლის შემდეგ ანგრო-მაინიუსა და ავსულთა ტყვეობაში მოხვდება.

# ც

**ცარბათუ** – ბაბილონ. „ტირიფი“ ან „ალვისხე“, ამ სახელწოდების ხე მონაწილეობს მითოსურ კონტექსტში, როგორც კოსმიური ხე, დურანქის ერთ-ერთი კერძო გამოვლენა. ეტანას თქმულებაში ჩართული უძველესი არაკის მიხედვით, ცარბათუს შეკედლებია დამმობილებული გველი და არწივი – ორი სხვადასხვა, ერთმანეთს დაპირისპირებული სკნელის არსება – და თავიანთი ბუნების შესატყვისად აქვთ ამორჩეული ადგილსამყოფელი ხის ვერტიკალზე: გველი, როგორც ხთონური არსება, იკალათებს ცარბათუს ფესვებში, ხოლო არწივი, ცის ბინადარი, – მის კენწეროზე იკეთებს ბუდეს. ცარბათუ მსჭვალავს სამყაროს სკნელებს და უნდა ვიფიქროთ, რომ დგას მის შუაგულში, განასახიერებს რა სამყაროს მოდელს. მისი შუმერული შესატყვისია ხალუბი (იხ. აგრეთვე მესი).

**ცარფანითუ** – ბაბილონ. „ვერცხლისფერი“, „ვერცხლოვანი“, მარდუქის მეუღლე.

**ცაფანუ** – უგარიტ. მაღალი მთა, რომელზეც ტახტი უდგას ქვეყნიერების პატრონს და ბატონს – ბაალს.

# ხ

**ხათორ-თეფნუთი** – ეგვ. რაეს ასული, რომელიც „რაეს თვალად“ იწოდება. იგი მთავარი პერსონაჟია მითოსისა „ხათორ-თეფნუთის დაბრუნება ნუბიიდან“. მითოსი მოგვითხრობს: ერთხელ, უხსოვარ დროს, როცა რაე ეგვიპტეში მეფობდა, ხათორ-თეფნუთი, მისი საყვარელი ასული და თვალისჩინი გაუნაწყენდა და ეგვიპტიდან ნუბიაში გადაიხვეწა. იგი გამძვინვარებული ძუ ლომის სახით დაეხეტებოდა უდაბნოში და თავისი ცხელი სუნთქვით ბუგავდა იქაურობას. რაეს მოენატრა თავისი ასული, თან ძლიერი მტრების წინააღმდეგ მის შემწეობას საჭიროებდა. თან ქვეყანაში ნაყოფიერება შეწყდა, დაიკლო ნილოსის წყალმაც. ხათორი უნდა დაბრუნდეს! მის დასაბრუნებლად რაე აგზავნის თავის ძეს შუს და სიბრძნის ღმერთს თოთს. ორივენი, უფრთხიან ნამდვილი სახით გაცეცხლებული ქალღმერთის წინაშე წარდგომას, პავიანებად გადაიქცევიან და გასწევენ. თოთი თავისი ბრძნული სიტყვებით და გრძნეული შელოცვებით დააწყნარებს გამძვინვარებულ ძუ ლომს და დაითანხმებს დაბრუნებაზე. იწყება საზეიმო სვლა ეგვიპტისკენ: ყველგან სიხარულით, ცეკვა-თამაშით, სიმღერებით ხვდებიან მას, გზადაგზა ღვინოსა და ლუდს მიართმევენ. ეგვიპტეში დაბრუნებული ხათორი დაქორწინდება თავის ძმაზე, შუზე, რაც ბუნების ნაყოფიერების საწინდარი ხდება. ეგვიპტურ კალენდარში ხათო-

თოთი და თეფნუთი



რის დაბრუნება იწოდებოდა „დღედ ვაზისა და ნილოსის სისავსისა''. იმართებოდა ყოველწლიური ზეიმი ამ დღის აღსანიშნავად. ასე მღეროდნენ მოდღესასწაულე ეგვიპტელები: „დენდერაში ღვარად იღვრება ტკბილი ლუდი და მათრობელი ღვინო... თებე სავსეა სიხარულით და ხარობს მთელი ეგვიპტე... თავის სახლში ბრუნდება ხათორი... რა საამურია, როცა ბრუნდება იგი...''

**ხალუბი** – შუმ. „ტირიფი'', მითოსური ხე, რომელიც ინანამ გადარგო ურუქში, თავის წმინდა ბაღში, რათა შემდეგ მისგან ტახტი და საწოლი გაეკეთებინა. ხალუბს სამი სკნელის არსებანი დაეუფლნენ, რის შედეგადაც იგი სამყაროს მოდელის განსახიერებად შეიქნა; მის ფესვებში გველმა დაიბუდა, ზროში ადამიანურმა არსებამ დაიდო ბინა, კენწეროში ანზუდმა გაიკეთა ბუდე (იხ. ცარბათუ).

**ხანახანა** – ხეთ. მშობიარობის ხელშემწყობი ქალღვთაება. როცა თელეფინუს გაუჩინარებით შობადობამ იკლო, უნაყოფობით შეწუხებულმა ხანახანამ ფუტკარი გაგზავნა მის საპოვნელად.

**ხაფი** – ეგვიპტ. ნილოსის სახელწოდება ეგვიპტურად და მისი ღვთაების სახელი. ნილოსი, ეგვიპტელთა წარმოდგენით, სამია: ერთი – მიწიზსედა მდინარე, რომლის ჩამოტანილია ეგვიპტის მიწა, როგორც მისი ძღვენი; მეორე – ციური მდინარე, რომელზედაც მისცურავს რაე-მზე თავისი ნავით დღის გამნავლობაში; მესამე – მიწისქვეშა მდინარე, რომელზეც მისცურავს ნავით ქვესკნელში ჩასული მზე, რათა მკვდრებსაც გაუნათოს (იხ. რაე).

**ხაფი** – იგივე აპისი, ეგვიპტ. მემფისის ერთ-ერთი ღვთაება შავი ხარის სახით, რომელსაც შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა, ითვლებოდა, რომ იგი იყო ფთახის სული; ჰელიოპოლისში მას მნევისის სახელით მიაგებდნენ პატივს. ამგვარი ნიშნით გამორჩეული ხარს მზრუნველობის გარემოცვაში ზრდიდნენ, მემფისში ფთახის ტაძრის მახლობლად მისთვის საგანგებო სამყოფში, სადაც იგი დიდ პატივში ჰყავდათ, სიკვდილის შემდეგ კი მის მუმიას აკეთებდნენ და სარკოფაგში ასვენებდნენ საგანგებო შენობაში ე.წ. სერაფეუმში. გაზაფხულზე, სამიწათმოქმედო სეზონის დაწყების წინ ხაფის გაარბენინებდნენ ყანებზე მათი განაყოფიერების მიზნით: ეგვიპტელთა რწმენით მასზე იყო დამოკიდებული ყანების სიუხვე, ქვეყნის ნაყოფიერება და კეთილდღეობა. სასტიკად იკრძალებოდა და ისჯებოდა კიდეც ნახირში ამ ნიშნებით გამორჩეული ხარის დაკვლა ან, თუნდაც, მსხვერპლად შეწირვა.

**ხებათი** – ხეთ.-ხურ. ცის დედოფალი, ტაროსის ღმერთის, თეშუის მეუღლე. ხურიტული წარმოშობის პანთეონის მთავარი ქალღმერთი. ხეთებში იგი მზის ქალღმერთ არინნასთან არის გაიგივებული. ხებათის სახე გაორებულია: ის ხან გრძელ კაბაში გამოწყობილი, თავსაბურველიანი ქალღმერთია, რომელიც ლომზე ან ავაზაზე დგას; ხან ტახტზეა დაბრძანებული და ხელში სარკე უჭირავს, ალბათ ქვეყნიერების ამბების გასაგებად. თუმცა ბრძოლის ველზე, სადაც მისი ქმარი თეშუბი გამუდმებით იბრძვის, ქალღმერთი თავის მსახურს აგზავნის ბრძოლის ამბების ჩამოსატანად.

**ხედამუ** – ხეთ.-ხურ. გაუმაძღარი წყალხმელეთა არსება, რომელიც თავის ირგვლივ ყველაფერს ანადგურებს. სადილად ორი ათას ხარს, უთვალავ ბატკანსა და ციკანს სანსლავს. როცა ქვეყნად პირუტყვი აღარ დარჩა და შიმშილმა დაისადგურა, შეშფოთდნენ ღმერთები და თათბირის შემდეგ იშთარს სთხოვეს, რომ დალაპარაკებოდა ხედამუს და მოეგო მისი გული. იშთარი ლამაზად მოიკაზმა და მხევალ-მსახურებთან ერთად, მუსიკის თანხლებით, ზღვის ნაპირას მივიდა. ქალღმერთი გაშიშვლდა ხედამუს წინაშე და მისი სილამაზით დაბრმავებული ურჩხული მისმა სიტყვებმაც მოხიბლა. ამ საუბრის შედეგი ის იყო, რომ წინათ გაუმაძღარ ხედამუს ჭამისა და სმის ხალისი დაეკარგა. ასე გადაარჩინა იშთარმა ქვეყნის ხალხი შიმშილით გადაშენებას.

**ხეფრა** – ეგვ. 1. ხეფერ „არსებობა'', „მე იგი ვარ, ვინც დაარსდა როგორც ხეფ-



*ხეფრა. ნახატი (დაახ. ძვ.წ. 1100 წ.). ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.*

რი''. მე დავარსდი და დაარსდა ყოველი არსებული. დაარსდა ყოველი არსებული მას შემდეგ, რაც მე დავარსდი და ბევრი არსება გამოვიდა ჩემი პირიდან. არ არსებობდა ჯერ კიდევ ცა და არ არსებობდა მიწა...''

**ხვარნა** – ირან. (იგივე ფარნა), „სიკეთე'', „დოვლათი'', დოვლათის, სიმდიდრის და კეთილდღეობის განსახიერება, განყენებული ღვთაებრივი მადლი, ბედნიერება. დაკავშირებული ცეცხლთან, რომელიც ირანული რელიგიის, ცეცხლთაყვანისმცემლობის თანახმად, უპირველესი სტიქიაა. ღმერთებისთვის ხვარნა ძალმოსილების, ხოლო მეფეებისთვის ღვთივრჩეულობის, სამეფო ხელისუფლებისა და მეფური დიდების, ხოლო უბრალო ადამიანებისთვის წარმატებისა და სიმდიდრის საწინდარია. ზოგიერთ ადამიანს ცუდი ხვარნა აქვს, რაც მის ყოფა-ცხოვრებაში და ბედში იჩენს თავს. თავისი საკუთარი პირადი ხვარნა აქვს ყოველ მეფეს, რომელსაც იგი გამეფებისთანავე დაჰყვება; ასევე თავისი ხვარნა აქვს ყოველ დინასტიას, ყოველ ოჯახს, საგვარეულოს, ტომს, ხალხს (არსებობს ძველირანელთა, არიელთა ხვარნა). ხვარნას გარეგანი სახეა ნიმბი თავის გარშემო (ისევე, როგორც ქრისტიან წმიდანთა სახე). ხვარნა გარეული ცხვრის ან შევარდნის სახითაც არის წარმოდგენილი.

ხვარნას ძალით არის, რომ მეფე იმარჯვებს მტრებზე, უბრალო მოკვდავი კი წარმატებას აღწევს თავის საქმიანობაში. როცა მეფე განუდგება სიკეთესა და სიმართლეს და სიცრუის გზაზე დგება, ხვარნა სტოვებს მას. ასე დაემართა პირველ მეფეს იიმას, რომლისგანაც ხვარნა შევარდენის სახით აფრინდა. სასანიანთა (ერთ-ერთი ირანული დინასტიის) მეფის, არდაშირის გამეფება ამგვარად არის მოთხრობილი მის ისტორიაში: ჭაბუკმა არდაშირმა, რომელიც სამეფო წარმოშობის იყო, მაგრამ სამეფო კარზე ერთ-ერთ მოყმედ იზრდებოდა, მეფეს მოსტაცა მოახლე, ოქროს თასი, საუკეთესო ცხენი და ღამით გაიპარა სასახლიდან. როცა მეფე არდავანმა არდაშირი მოიკითხა და დანაკლისი აღმოაჩინა, ეარსკლავთმრიცხველნი და მოგვები შეყარა, რათა გაერკვიათ მისი ადგილსამყოფელი. მათ ასე მოახსენეს მეფეს: არდაშირი სამეფო ცხენით მიჰქრის, მას უკან გარეული ცხვარი მისდევს; თუ ცხვარი დაეწია მას და მის უკან უნაგირს მოახტა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ხვარნამ ცხვარის სახით მიატოვა არდავანი და ახლა სამეფო ხელისუფლება და დიდება არდაშირზე გადავა. მართლაც ასე მოხდა: არდაშირი გამეფდა, რომელმაც ახალი დინასტია დააარსა, თან ახალი ხვარნა დაჰყვა.

**ხთონიოსი** – ბერძნ. „მიწისეული" 1. მიწისქვეშა სამყაროს ღმერთების (*ჰადესის, დიონისეს, ჰერმესისა* და სხვათა) ეპითეტი. ქალღმერთების ეპითეტი იყო ხთონია.
2. გადარჩენილი *სპარტთაგანი.*

**ხნუმი** – ეგვ. ზოგადად, ნაყოფიერების ღმერთი, კერძოდ, ადამიანის შემქმნელი. ხნუმი, როგორც მეთუნე თიხის ქოთანს, ისე ძერწავს ადამიანს თიხისგან და ჩარხზე ხვეწავს მის ფორმებს. ამიტომაც ის განაგებს ადამიანის ბედს. ამგვარადვე ქმნის იგი ყოველ



*ხნუმი ძერწავს ადამიანს.*

ახალდაბადებულ ფარაონს. როგორც ქვეყნის ბედზე პასუხისმგებელი, ერთი ტექსტის (ე.წ. „შიმშილის სტელა") მიხედვით, ხნუმი სიზმარში ეცხადება ფარაონ ჯოსერს და აღუთქვამს ქვეყანაზე ჩამოვარდნილი შიმშილის შეწყვეტას. მოგვიანებით იგი არა მხოლოდ ადამიანის, არამედ მთელი სამყაროს გამომჩარხველიც არის. მისი მეუღლეა ნებეთუი – მიწის ნაყოფიერების ქალღმერთი. ხნუმი ქანდაკებებში გამოსახულია როგორც ადამიანი, რომელსაც ვერძის თავი და განზე გაწედილი რქები აქვს.

**ხონსუ** – ეგვიპტ. მთვარის ღმერთი თებეში (თოთის ნაირსახეობა), ძე ამონისა და ქალღმერთ მუთისა, რომლებთანაც ერთად შეადგენს თებეს პანთეონის ტრიადას. მის მოვალეობაში შედიოდა დრო-ჟამისათვის ყურისგდება და მისი სათვალავი. ხონსუს თავზე მთვარის დისკო ადგას, როგორც მისი ღვთაებრიობის ნიშანი.

**ხორი** – ეგვიპტ. ოსირისის ძე, მისი შურისმგებელი. ისისს ხორი სასწაულებრივ ჩაესახა მკვდარი მამისგან, დაიბადა ნილოსის ჭაობებში და ყველასაგან ფარულად იზრდებოდა. როცა სრულწლოვანი გახდა, მან მამ-



*ხონსუ (ძვ წ. VIII ს.). სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.*

ის შური იძია სეთისაგან, ოსირისის მკვლელისაგან, მოკლა იგი და ეგვიპტის მეფობა, რომელიც სეთს ოსირისისგან ჰქონდა მიტაცებული, დაიბრუნა. ხორი თავის თავს „შევარდენს" უწოდებს: „მე – ხორი შევარდენი ვარ საიდუმლო სახელი სახლის კედლებზე! მე გაფრენილი ჰორიზონტამდე!... შორს არის ჩემი ადგილი სეთისაგან, ჩემი მამის ოსირისის მტრისაგან... მე ცამდე ვიწევ ჩემი ფრენისას! არ არის ღმერთი მქმნელი იმისა, რასაც მე ვქმნი! მე მოვიგერიებ ჩემი მამის ოსირისის მტერს და ჩემს ფეხთა ქვეშ მოვაქცევ! მე ვარ ხორი, ისისის ნაშობი!... მე ხორი ვარ, შორსა ვარ ადამიანთაგან და ღმერთთაგან! მე ხორი ვარ, ძე ისისისა!"



*ხორი კლავს სეთს.*

სხვა გადმოცემით, სეთმა და ხორმა დავის გადასაწყვეტად ღმერთების საკრებულის მიმართეს. კითხვა ასე დაისვა: ვის ეკუთვნის ოსირისის ადგილი და ღირსება? ჯერ სეთი ალაპარაკეს, სეთმა თქვა: როცა არის უფროსი ძმა, უმცროსს რატომ უნდა ეკუთვნოდეს მეფობა? უფროსში თავის თავს გულისხმობდა, უმცროსში – ხორს. ახლა ხორს მისცეს სიტყვა და მოახსენა ხორმა: ნუთუ მეფობა ძმას უნდა მიეცეს დედის მხრიდან, როცა ღვიძლი შვილი ცოცხალია? ნუთუ ოსირისის ღირსება სეთს მიეცემა, როცა მისი ძე ხორი ცოცხალია? ღმერთებმა ვერ გადაწყვიტეს დავა, ვერ გააჩინეს სამართალი. ერთნი სეთს ემხრობოდნენ, მეორენი – ხორს. მაშინ ისისი მშვენიერი ქალწულის სახით გამოეცხადა სეთს. სეთმა ვინაობა ჰკითხა. ისისმა ეს უამბო: „მე მწყემსის ქვრივი ვარ. ჩემმა შვილმა ჩაიბარა მამის ნახირი და ისიც მწყემსი გახდა. ამ დროს მოვიდა უცხოელი და ჩემს შვილს დაემუქრა, რომ ნახირს წაართმევს და გააგდებს აქედან. დაიცავი ჩემი შვილი უცხოელისგან". სეთი განრისხდა და უთხრა: „ნუთუ ნახირი უცხოელს მიეცემა, როცა პატრონის ვაჟი ცოცხალია?" ეს რომ ათქმევინა სეთს, ისისი ძერად გადაიქცა, ხის წვერზე მოექცა და იქიდან ჩამოსძახა: „ახლა იხტუნე, შენმავე ბაგემ გამოგიტანა განაჩენი". ღმერთებს მოეწონათ ისისის ოინი და ოსირისის ღირსება ხორს გადაულოცეს.

**ხუბური** – შუმ.-ბაბ. ქვესკნელის მდინარე, რომელიც უნდა გადალახოს გარდაცვლილის სულმა მკვდართა სამეფოში შესასვლელად. ერთ ბაბილონურ ტექსტში ნათქვამია: „ჩვენი მამები წავიდნენ სიკვდილის გზით, ხუბურის მდინარე გადალახეს, როგორც ამბობენ". ხუბურს გაღმა სულები გადაჰყავს ანზუდის სახის, ოთხფეხა და ოთხხელა არსებას, რომლის სახელია ხუმუტბალ („სწრაფად გაიარე!"). ბაბ. კოსმოგონიურ ეპოსში ხუბური თიამათის ეპითეტია („დედახუბური"), ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ხუბური ხშირად ქვესკნელის სინონიმად გვხვდება.

**ხუთი საუკუნე** – ბერძნ. მითოგრაფოსთა უმეტესობა აღიარებდა, რომ ადამიანები შექმნა *პრომეთემ*. თუმცა არსებობს ისეთი მითოსიც, რომელიც გვამცნობს, რომ ისინი დედამიწამ აღმოაცენა, ვითარცა თავის ნაყოფთაგან საუკეთესონი და რომ პირველ მოკვდავს ერქვა ალაკომენევსი. ის ყვავილივით ამოზრდილა ბეოტიაში მდებარე კოპასის ტბასთან უადრეს, ვიდრე მზე ან მთვარე გამოჩნდებოდა ცის კაბადონზე. ალაკომენევსი იმდენად გონიერი ყოფილა, რომ *ზევსსაც*



*გილგამეში და ენქიდუ კლავენ ხუმბაბას (დაახ. ძვ.წ. XVIII ს.). ბერლინი. წინააზიური მუზეუმი.*

მოძღერავდა, როცა იგი **ჰერას** ედავებოდა. მასვე აღუზრდია **ათენა**, რომელმაც შემდეგ ბრძენი ქალღმერთის სახელი დაიმკვიდრა.

იმ დროს, როდესაც ეს პირველი ადამიანები გაჩნდნენ, ოქროს საუკუნეს უწოდებენ. ისინი **კრონოსს** ეთაყვანებოდნენ და უდარდელად ცხოვრობდნენ. მათ გარშემო მდინარეები რძეებად მიედინებოდნენ, ხეთა რტოებიდან ტკბილი თაფლი მოიღვრებოდა, დედამიწა კი იმდენ ნაყოფს იძლეოდა, რომ სულაც არ იყო საჭირო შრომა საკვების მოსაპოვებლად. ადამიანთა ცხოვრება ღმერთების ცხოვრებას ჰგავდა; არ აწუხებდა მათ სალმობა, არც სიბერე ან სიკვდილი. როგორც სიზმარში, ისე ქრებოდნენ და კეთილ **დემონებად** გარდაისახებოდნენ.

შემდეგი საუკუნე ვერცხლისა იყო და რა თქმა უნდა, უარესი. ადამიანები უკვე პურით იკვებებოდნენ და დედათა მორჩილნი იყვნენ. ვითარდებოდნენ ძალიან ნელა. მათი ბავშვობა იყო ხანგრძლივი, მოწიფულობა ხანმოკლე და შფოთიანი. ჯერ არ ომობდნენ, მაგრამ ღმერთებს მსხვერპლს არ სწირავდნენ. ისინი **ზევსმა** გაანადგურა.

დადგა სპილენძის საუკუნე, უფრო სასტიკი და ულმობელი. ადამიანები პურს და ხორცს ჭამდნენ; მათ სპილენძის იარაღის დამზადება ისწავლეს და ერთმანეთთან ომი გააჩაღეს. უმოწყალონი იყვნენ ისინი და ყველა ერთად შავმა სიკვდილმა იმსხვერპლა.

ახალ, მეოთხე საუკუნეში ზევსმა უფრო სამართლიანი ადამიანებით დაასახლა დედამიწა. ისინი უფრო კეთილშობილნი იყვნენ, რადგანაც მოკვდავმა ქალებმა ღმერთებისაგან გააჩინეს. მათ გმირთა მოდგმას უწოდებდნენ. ამ დროს ცხოვრობდნენ ძლევამოსილი **ჰერაკლე**, შეუპოვარი **თესევსი**, თებესა და **ტროას ომის** სახელოვანი გმირები და **არგონავტები**.

ბოლო, რკინის საუკუნე, რომლის დროსაც მეოთხე თაობის ულირსი შვილები ცხოვრობდნენ, შემზარავი იყო. ადამიანები გაბოროტდნენ. უსამართლობამ, სიცრუემ, სიავემ, სიბილწემ, შურმა და ყველა ცუდმა ზნემ დაისადგურა მათ სულში. ისინი ღმერთებს დაუპირისპირდნენ, რის გამოც გარდაუვალი იყო დაღუპვა. თუმცა ხსნის იმედიც არსებობდა: ადამიანი თუ გახდებოდა სამართლიანი, კანონმორჩილი, თუ ექნებოდა ღვთაებრივი სასჯელის შიში, მას და მის მოდგმას გადაშენება არ ეწერა.

**ხუმბაბა** – ბაბ. ურჩხული, რომელიც კედარის ტყის ყარაულად დააყენა ენლილმა და თავზარდამცემი მელამით შემოსა. ხუმბაბა ატარებს შეიდ პერანგს, „ხმა მისი – წარღვნა, პირი მისი – ცეცხლი, სუნთქვა მისი – სიკვდილი". ხუმბაბა ამავე დროს განასახიერებს კედარის ხის, ან, საერთოდ, მთელი ტევრის სულს, რომლის განადგურების შემდეგ შესაძლებელი ხდება ტყის დაპატრონება. გილგამეშმა და ენქიდუმ სძლიეს ხუმბაბას, თავი მოჭრეს მას, რის შემდეგ მისი შვიდი მელამი სხვადასხვა არსებებს და ბუნების მოვლენებს დაუნაწილა ენლილმა.

ხუმბაბას სამფლობელოს – ველურ და აუთვისებელ ბუნებას ურუქის სახით უპირისპირდება ადამიანის მიერ შექმნილი კულტურა, ეპოსის მიზანია დაიპყროს და აითვისოს კაცობრიობისადმი მტრული ტევრი და იქ შამაშის სხივი შეიტანოს, „მოსპოს ბოროტება, რაიც სძულს შამაშს".

ხუმბაბას სამყოფელი ეპოსის აქადური ვერსიის თანახმად იგულვება ლიბანის მთებში, რომლებიც უძველეს ხანაში კედარის ტყით იყო მთლიანად დაფარული.



*ხუმბაბას თავი (ძვ.წ. 700-500 წ.წ.). ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*

# ჰ

**ჰადესი** – ბერძნ. „უხილავი“, „შემზარავი“. 1. მიწისქვეშა სამყაროს ღმერთი, მიცვალებულთა სულების მბრძანებელი; ***კრონოსისა*** და ***რეას*** ძე; ***ზევსისა*** და ***პოსეიდონის*** ძმა. 2. მიწისქვეშა სამეფო.

რომში ჰადესი გააიგივეს სიკვდილისა და ქვესკნელის ძველ იტალიკურ ღვთაებებთან – ორკუსთან და დიტუსთან.

1. როდესაც ზევსმა ***კრონოსზე*** გამარჯვების შემდეგ თავის ძმებთან ერთად დაინაწილა სამყარო, ჰადესს მიწისქვეშეთი ერგო. მისი სასახლე უდაბურ და მიუვალ ადგილას, მრუმე კლდეთა შორის იყო აღმართული. მას გარს ერტყა სამმაგი გალავანი, რომლის ქვეშაც მიედინებოდა ცეცხლოვანი მდინარე ***პირიფლეგეტონი***. გალავნის კარიბჭე ისე მყარად ემიჯნებოდა ალმასის სვეტებს, რომ მისი გახსნა თავად ღმერთებსაც არ შეეძლოთ. რკინის კოშკის უზარმაზარ, შავ დარბაზში იდგა ოქროს ტახტი, რომელზეც იჯდა მეფე ჰადესი. მას გვერდს უმშვენებდა ***პერსეფონე*** – მისი მეუღლე.

ჰადესის სახელთან დაკავშირებული ყველაზე ცნობილი მითოსი პერსეფონეს მოტაცების ამბავს გვაუწყებს. ეს მშვენიერი ქალიშვილი დიდი ქალღმერთის, ***დემეტრეს*** ასული იყო. მის მამად კი თავად ***ზევსს*** ასახელებენ მითოგრაფოსები. ერთხელ, როდესაც პერსეფონე მინდვრად სეირნობდა, მიწამ აღმოაცენა გასაოცარი სილამაზის ყვავილი. როდესაც მისმა სურნელებამ გააბრუა ქალწული, მიწა გაიხსნა და შავმა ცხენებმა მისი წიაღიდან ამოაქროლეს ოქროს ეტლი, რომელზეც ამხედრებული იყო ჰადესი. მან მოიტაცა პერსეფონე. ღრუბლებით შებურულმა შავმა რაშებმა კვლავ მიწის წიაღისკენ გააქანეს დიდი ღვთაების მბრწყინავი ეტლი.

ქალიშვილის გაუჩინარებით დამწუხრებული დემეტრე აღარ ზრუნავდა მოსავალზე. გაუდაბურდა დედამიწა, აღარც ბალახი იზრდებოდა, აღარც ყვავილი; ფოთლები დაჭკნა, ტყე გაშიშვლდა, ვენახი გახმა, დაცარიელდა ყანები, ჩაკვდა სიცოცხლე. იღუპებოდა სამყარო. შეშფოთდა ზევსი და ჰადესს სთხოვა, დაეთმო პერსეფონე. მიწისქვეშეთის მბრძანებელმა კი აღასრულა ზევსის სურვილი, მაგრამ მოასწრო და პერსეფონეს ბროწეულის მარცვლები (მარადიული ქორწინების სიმბოლო) გადააყლაპა. იმიერიდან დემეტრეს ასულს აღარ შეეძლო ჰადესის მიტოვება სამუდამოდ. ღმერთებმა ასე დაადგინეს: პერსეფონეს წლის ერთი მესამედი თავის მეუღლესთან უნდა გაეტარებინა მიწისქვეშეთში.

დედამიწაზე დაბრუნებული პერსეფონეს მითოსი წლის დროთა ცვლას განასახიერებს: როდესაც პერსეფონე დემეტრესთან იმყოფება მინდვრად ბალახი ბიბინებს და მწიფდება თავთავი, იფურჩქნებიან ყვავილები... ბუნება ხარობს. როდესაც პერსეფონე ჰადესს უბრუნდება, მოწყენილია სამყარო და მას მოლოდინში ძინავს, კვდება, რათა ახალი ძალით კვლავ აღორძინდეს. ერთი მითოსი სადაც ამბავს გვამცნობს: ეს პირქუში და მრისხანე ღმერთი თურმე გმირმა ***ჰერაკლემ*** დაჭრა, როდესაც ქვესკნელს ეწვია. იარამ ისე შეაწუხა ჰადესი, რომ მან მიატოვა თავისი სამეფო და ***ოლიმპოსზე*** აღზევდა, სადაც იგი ღვთაებათა მკურნალმა, ***პეონმა*** განკურნა.

ძველი საბერძნეთის ერთ-ერთმა გმირმა ***სისიფოსმა*** კი ჰადესის მოტყუებაც კი მოახერხა (იხ. სისიფოსი).

იდუმალებით მოცული ღმერთი ჰადესი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა დედამიწაზე. მას უჩინმაჩინის მუზარადიც ჰქონდა, რომელიც ***კიკლოპებმა*** გამოუჭედეს. იგი არასოდეს იცილებდა თავიდან ამ მუზარადს, რადგან იცოდა, რომ მისი ხილვა შიშის ზარს გვრიდა ღმერთებსაც და ადამიანებსაც. სწორედ ამიტომ არ ესწრებოდა ოლიმპიურ წვეულებებსაც.

ჰადესს ყოველი ბერძენი ეთაყვანებოდა, თუმცა შიშითა და დუმილით. მის სახელს არც კი ახსენებდნენ. პატივს მღვიმეში მიაგებდნენ, იქ, სადაც გოგირდის სუნი იდგა. მსხვერპლად სწირავდნენ შავბეწვიან ცხვარს, რომლის სისხლს მიწის ნაპრალში ღვრიდნენ. თავად ცხვარს კი ერთიანად წვავდნენ, ვინმეს რომ მისი ხორცი არ ეგემა და უნებლიედ მიცვალებულთა სამეფოში არ აღმოჩენილიყო.

ჰადესის ტაძარი ელისში იყო აღმართული. მას წელიწადში ერთხელ აღებდნენ და შიგ შესვლის უფლებით მხოლოდ ჰადესის ქურუმები სარგებლობდნენ. ადამიანები ამ ღვთაებისათვის არ აგებდნენ სამსხვერპლოებსა თუ სალოცავებს. საკუთარი თავი რომ არ შეეხსენებინათ. მხოლოდ ძვ.წ. V საუკუნიდან, ***ელევსინური მისტერიების*** გაელენით, ჰადესის მრისხანე სახემ კეთილი იერი შეიძინა. მას ახალი სახელიც შეარქვეს, ***პლუტონი***, ანუ სიმდიდრის გამნაწილებელი. მალე ჰადესს მოსავლის ღვთაების ფუნქციაც დაეკისრა. ბერძენთა რწმენით, მიწაში ჩავარდნილი თესლი სწორედ ჰადესის წყალობით განაგრძობს სიცოცხლეს, ძალას იკრებს და აღმოცენდე-



ჰადესი და პერსეფონე. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 440 წ.). ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.

ბა. ასე იქცა ჰადესი დროთა განმაელობაში სიკვდილისა და აღორძინების განმასახიერებელ ღმერთად.

ძველ საბერძნეთში ჰადესს წარმოსახავდნენ ძლიერ და ახოვან მამაკაცად, რომელიც სამეფო ტახტზე იჯდა კვერთხით ხელში. ხშირად მას თავს ერქვა გვირგვინი და მხარს უმშვენებდა მშვენიერი პერსეფონე. ზოგჯერ ჰადესის ფერხთით იჯდა *კერბეროსი*, მიწისქვეშეთის მარად ფხიზელი დარაჯი.

2. ჰადესის სამეფო, რომელსაც ასევე ერქვა – ჰადესი, საკმაოდ შთამბეჭდავად აისახა ანტიკურ ლიტერატურაში. ბერძენთა წარმოდგენით, მრავალი ზღვის და მთის გადაღმა, დასავლეთის სამანთა მიღმა, იქ, სადაც დედამიწა მთავრდება, სადაც ვერ აღწევს მზის მკრთალი სხივიც, მდებარეობს ჰადესის მიწისქვეშა სამეფოში შესასვლელი კარიბჭე. იქ შეიძლება მოხვდე მიწის იმ ორმოებიდან თუ ნაპრალებიდან, საიდანაც გოგირდის სუნი ამოდის. უხსოვარი დროიდან მიემართებიან სულები ქვესკნელში ამ უკიდურეს დასავლეთით არსებული კარიბჭის გავლით. გზად იხილავენ კიმერიელთა ქალაქს, სადაც მცხოვრებნი ბნელი ღრუბლებითა და ნისლით დაბურულ ქუჩებში დაეხეტებიან. მზე არ უხილავთ მათ, მხოლოდ ყურმოკვრით გაუგიათ, რომ არსებობს მისი ნათელი. ჰადესის შესასვლელთან გადაშლილია სევდიანი ველი, სადაც იშვიათად ამოცენდებიან ხოლმე შავმერქნიანი ტირიფები და ალვის ხეები. კარიბჭესთან კი ირევიან უცნაური და საშინელი ქმნილებები: აქ არის სევდა თავისი დების, საზრუნავების თანხლებით; ფერმკრთალი სალმობა და დაძაბუნებული სიბერე; მუდამ მთრთოლვარე შიში და დაძონძილი უპოვრობა. შრომა საუბრობს სიკვდილთან. ომი შუღლს ეძებს. ოდნავ მოშორებით, მოშიშვლებულ ადგილზე იზრდება უზარმაზარი თელა, რომლის რტოებზეც სხედან სიზმრები და იმედები. ხის ქვეშ ზის თავისი უსახურობით შემზარავი ბუმბერაზი, ასხელა *ბრიარეოსი*.

აქ მიედინება მწუხარების მდინარე *აქერონი*, რომელიც უერთდება ჰადესის მდინარეთა შორის უდიდესს – *სტიქსს*. იგი ცხრა სარტყლად ეკერის გარს მიწისქვეშა სამყაროს. მის მრუმე და უმოძრაო წყალს იფიცებენ დიდი ღმერთები. ერთი ნაკადით სტიქსი უერთდება გოდების მდინარეს, საიდანაც დასაბამს იღებს დაეიწყების მდინარე *ლეთე*. ვინც მის წყალს შესვამს, უმალ ივიწყებს, რაც უხილავს და განუცდია დედამიწაზე. აი, ეს მდინარეები უნდა გადალახოს სულმა, მიცვალებულთა სამეფომდე რომ მიაღწიოს. მაგრამ მირიადი წელიც რომ იცუროს , მარტო ამის კეთებას მაინც ვერ შეძლებს. ამიტომ უნდა მიმართოს ქარონს, ქვესკნელის მენავეს, რომელსაც ერთი ობოლოსის ფასად გადაჰყავს მიცვალებულთა სულები ჰადესის სამფლობელოში. იქ მოხვედრილებს კი შემზარაეი სანახაობა ელით: მათ შესახვედრად მიისწრაფის *კერბეროსი*, სამთავიანი მძვინვარე ქოფაკი. ჯერ კიდევ შორიდან ისმის მისი საშინელი ყეფა. მაგრამ არც ისე საშიშია ეს ცხოველი. თავაზიანადაც კი ექცევა შემინებულ სულებს, მაგრამ თუ ვინმე დედამიწაზე დაბრუნებას განიზრახავს, მაშინ იგი შემზარავია. ელვის სისწრაფით ესხმის თავს მსხვერპლს, თათებით თელავს და ჰადესის ჯურღმულებისკენ მიათრევს.

სულთა სამეფო ერთი თვალუწვდენელი, დამზრალი და მკვდარი ველია, სადაც უსხეულო სულებს აქეთ–იქით დააქროლებენმოგუგუნე ქარები. თუმცა ყოველ მიცვალებულს აქვს განკუთვნილი ადგილი: ცალკე ტირიან ჩვილთა სულები, ცალკე დაეხეტებიან უმართებულოდ დასჯილები; განაპირა და უღაბური ადგილები თვითმკვლელებისთვის მიუჩენიათ; მივიწყებული ბილიკებით კი ისინი მიმოდიან, რომლებიც უპასუხო სიყვარულით გარდაიცვალნენ. იქ, სადაც იარაღის ჟღარუნი ისმის, ბრძოლის ველზე დაღუპულები ვარჯიშობენ. მიწისმუშათა აჩრდილები კი შოლტების აჩრდილებით დასდევენ ხარების აჩრდილებს. ყველა სამსჯავროს ელოდება.

სულთა სამეფოს ჰყავს სამი მსაჯული: *მინოსი, ეაკოსი* და მწითური *რადამანთისი*. ოდესღაც ისინი მართლგანგებით მეუფებდნენ დედამიწაზე. სწორედ ამიტომ, ზევსის ნებით, მიწისქვეშეთში მათ უდიდესი პატივი ერგოთ: მათ წინაშე წარსდგებიან სულები, რათა განისაჯონ სიცოცხლეში აღსრულებული საქმეებისათვის. განაჩენის გამოტანის შემდეგ კი იქეთ მიემართებიან, სადაც განაწესებენ.

მეფე ჰადესის სასახლის ქვეშ მდებარეობს უსაშინლესი *ტარტაროსი*. ეს არის ადგილი, სადაც უსასტიკესად ისჯებიან დამნაშავენი. ჰადესის ცნობილ ცოდვილთა შორის ასახელებენ *ტანტალოსს, სისიფოსს, იქსიონს, დანაიდებსა* და სხვებს. ტარტაროსში ბინადრობენ *ჰეკატე, ერინიები, გორგონები, ჰარპიები, ქიმერა, ექიდნა* და ჯოჯოხეთის სხვა ურჩხულები. საზარელია ტარტაროსში მოხვედრილთა ხვედრი. მაგრამ ქვესკნელში სხვა ქვეყანაც მდებარეობს. მას ,,ნეტართა კუნძულს'' უწოდებენ. იქ მიემართებიან მიცვალებულთა ის სულები, რომლებსაც მსაჯულები ,,წმინდა სულებად'' აღიარებენ (იხ. *ელისიონი*).

ჰადესში ჩასვლისა და იქიდან ცოცხლად ამოსვლის უფლება მხოლოდ რამდენიმე მოკვდავს მიანიჭეს ღმერთებმა: *ორფევსს ზევსმა* დართო ნება, ამოეყვანა იქიდან ძვირფასი მეუღლე – *ევრიდიკე*; *ჰერაკლემ* კერბეროსის ამოყვანა შეძლო; *ოდისევსი* და *ენეასი* კი ახლობელთა სულების სახილველად ჩაეშვნენ ჰადესში.

მოკვდავთა მიწისქვეშეთში ჩასვლის ამბები ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნეებშიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დანტეს ,,ღვთაებრივი კომედია''. ძველი სამყაროს წარმოდგენები მიწისქვეშეთზე ნაწილობრივ ქრისტიანობამაც მიიღო.

**ჰაომა** – ირან. ,,ნაწური'', და რელიგიაში გამაბრუებელი რიტუალური სასმელი, რომელიც მზადდება ამავე სახელწოდების მცენარისგან; მისი გემოსხილვა ინახავს ჯანმრთელობას, ახანგრძლივებს სიცოცხლეს და უკვდავებასაც კი ანიჭებს მორწმუნეს. ჰაომა ზოგიერთი გადმოცემით, წარმოდგენილია ღვთაებად, რომელიც ღმერთებმა დაგლიჯეს, რათა მისი სხეულისგან *აჰურა-მაზდასთვის* შესაწირავი ღვთიური წვენი დაწურულიყო. ჰაომას რძეში შერევა სიმბოლურად *ზარათუშტრას* გამოჩენას გამოხატავს. მისი საშუალებით იგი ამარცხებს დევებს და ავსულებს, ძლევს სიცრუესა და მტრობას. ინდურ მითოლოგიაში მას სომა შეესატყვისება.

**ჰამადრიადები** – ბერძნ. ,,ხისმიერები''. ხის *ნიმფები*, რომლებიც იბადებოდნენ და კვდებოდნენ ხეებთან ერთად. არსებობდნენ ნიმფები, რომლებიც ხეთა მფარველებად ითვლებოდნენ. მათ *დრიადებს* უწოდებდნენ ბერძნები. ზოგჯერ დრიადებს ჰამადრიადებსაც უხმობდნენ.

**ჰარმონია** – ბერძნ. *აფროდიტესა* და *არესის* ასული; *კადმოსის* მეუღლე.

როდესაც *ათენამ* კადმოსი თებეს მეფედ აკურთხა, ცოლად ღმერთების ქალიშვილი, მშვენიერი ჰარმონია შერთო და დიდებული ქორწილი გადაუხადა. კადმოსის სასახლის ნათელ დარბაზში თორმეტი ოქროს სავარძელი დაიდგა. ეს იყო მოკვდავის პირველი ქორწილი, რომელსაც დაესწრო ყველა *ოლიმპიელი* ღმერთი. ჰარმონიას ათენამ უძღვნა ოქროცურვილი მოსასხამი, რომელიც ღვთაებრივ იერს ანიჭებდა მის მფლობელს; *ჰერმესმა* ლირა უსახსოვრა; *დემეტრემ* უხვი მოსავალი განუწესა მის სამეფოს იმით, რომ იასიონს თანაეყო თებეს სამგზის გადახნულ მინდორზე; თავად კადმოსმა ოქროს პეპლოსი მიართვა ძვირფას მეუღლეს; აფროდიტემ კი თავის ასულს უანდერძა გამაოგნებელი

მშვენიერების მიმნიჭებელი ოქროს ყელსაბამი, რომელიც *ჰეფესტოს* უზადო ხელოვნებით იყო ნაკეთები. სწორედ ეს ყელსაბამი ითამაშებს საბედისწერო როლს მოგვიანებით თებესა და მთელი მისი მოდგმის გადაშენებაში (იხ. *შვიდნი თებეს წინააღმდეგ*).

კადმოსსა და ჰარმონიას ოთხი ასული და ერთი ვაჟი ჰყავდათ: ავტონოე, *ინო, სემელე, აგავე* და პოლიდოროსი. ამ დიდებულმა წყვილმა ღრმა სიბერემდე იცოცხლა. როდესაც მათი გარდაცვალების ჟამი დადგა, ბედის განგებით ისინი ლურჯ ხალებიან შავ გველებად გარდაისახნენ და ზევსის ნებით დაივანეს *ნეტართა კუნძულებზე*.

**ჰარპიები** – ბერძნ. ზღვის ღმერთის, თავმასისა და *ოკეანოსის* ასულის, ელექტრას ქალიშვილები; შემზარავი ქალნიტები.

ძველი ავტორები ხუთ ჰარპიას გვისახელებენ: აელას („გრიგალისებრს"), აელოპეს („ქარიშხლისებრს"), პოდარგეს („ფეხმარდს"), ოკიპეტეს („სწრაფმავალს") და კელენოს („პირქუშს"). ჰარპიებს წარმოსახავდნენ ფრთოსან ურჩხულებად, რომელთაც ქალის თავები ება. ისინი ბავშვებსა და ადამიანთა სულებს იტაცებდნენ. *არგონავტების* მითოსი მოგვითხრობს ამბავს იმის თაობაზე, თუ როგორ გაათავისუფლეს *ბორეადებმა* ჰარპიათაგან მეფე *ფინევსი*.



ჰარპიები. ლარნაკის ფერწერის ფრაგმენტი (ძვ. წ. VII ს.). ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმი.

თავდაპირველად ჰარპიები ეგეოსის ზღვაში, სტროფადის კუნძულებზე სახლობდნენ. შემდეგ კი, სხვა ურჩხულთა მსგავსად, ბერძენთა ფანტაზიამ ისინი *ჰადესში* მოათავსა.

გადატანითი მნიშვნელობით ჰარპიას გაავებულ ქალს უწოდებენ.

**ჰებე** – ბერძნ. ახალგაზრდობის ქალღმერთი; *ზევსისა* და *ჰერას* ასული.

ჰებე *ოლიმპოსზე* დავანებული და ღმერთებს *ნექტარსა* და *ამბროსიას* სთავაზობს. იგი *ჰერაკლეს* ზეციურ მეუღლედ ითვლება.

ჰებეს კულტი პელოპონესოსში იყო გავრცელებული. მის წმინდა მცენარედ ითვლებოდა კიპარისი.

ჰებეს ტაძარში შესულ მონას თავისუფლებას ანიჭებდნენ. რომში ჰებეს *იუვენტასთან* აიგივებდნენ. მას წარმოსახავდნენ ახალგაზრდა ქალად ყვავილების გვირგვინითა და ოქროს თასით ხელში.

**ჰეკაბე** – ბერძნ. ფრიგიის მეფე დიმასის ასული; მეფე *პრიამოსის* მეუღლე; მრავალი შვილის დედა, რომელთაგან შედარებით ცნობილია *ჰექტორი, პარისი, ჰელენოსი, პოლიქსენე, კასანდრა, ტროილოსი* და სხვა. რომაულ სამყაროში ჰეკაბეს უწოდეს *ჰეკუბე*.

როდესაც ტროა დაეცა, ნადავლის გაყოფის დროს ჰეკაბე წილად ხვდა *ოდისევსს*, რომელმაც იგი თრაკიის ხერსონესში წაიყვანა. მითის ერთი ვერსიის მიხედვით, იქ ჰეკაბე ბერძენთა შესახებ საშინელ ამბებს ყვებოდა, მათ ბარბაროსობასა და მკრეხელობაში ადანაშაულებდა. ამის გამო ხალხმა შეიძულა იგი და სიცოცხლეს გამოასალმა. მისი აჩრდილი კი შავ ძუკნად გარდაისახა და ქალღმერთ *ჰეკატეს* დასს შეერია.

მითის სხვა ვერსიის თანახმად, საბერძნეთისაკენ მიმავალ გზაზე, თრაკიის სანაპიროსთან ჰეკაბე წააწყდა თავისი შვილის, პოლიდოროსის გვამს. მას სიძეს, თრაკიის მეფე პოლიმესტორს მოეკლა იგი, რათა იმ ოქროს დაპატრონებოდა პრიამოსს რომ გამოეგზავნა თავისი ვაჟის აღზრდა-განათლების საზღაურად. ეს რომ ჰეკაბემ გაიგო, მოკლა მეფისწულები, ხოლო პოლიმესტორს თვალები დასთხარა. თრაკიელებმა დააპირეს ტროას დედოფლის ქვებით ჩაქოლვა, მაგრამ ღმერთებმა გონებადაბინდული ქალი ძუკნა ძაღლად გარდასახეს.

საბედისწერო ომმა შვილისა და მეუღლის დამკარგავი ჰეკაბეს სახე მრავალ ქმნილებაში აისახა. მათ შორის: ევრიპიდეს „ტროელ ქალებში", შექსპირის „ჰამლეტში" მოხეტიალე მსახიობები ქითხულობენ ლექსებს უბედურ ჰეკაბეზე.



ჰებე. ა. კანოვას სკულპტურა (1801 წ.). სანქტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი.

**ჰეკატე** – ბერძნ. წყვდიადის, ღამეულ მოჩვენებათა და ჯადოქრობათა ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; *ტიტანების*, პერსესისა და ასტერიას ასული (ზოგიერთი მითოსი მას *ზევსისა და ჰერას*, ზევსისა და *დემეტრეს* ან *ჰადესის* ასულად წარმოადგენს).

ჰეკატე ძველაღმოსავლური ღვთაებაა, რომლის კულტიც მოგვიანებით შემოვიდა საბერძნეთში. ჰომეროსი მას არ მოიხსენიებს. ჰესიოდესთან კი იგი მიწის, ზღვისა და ზეცის ძლევამოსილი ქალღმერთია, რომელიც ადამიანურ საქმეებს განაგებს. იგი მფარველობს მშობიარეებსა და ბავშვებს; ქმნის და ამრავლებს დოვლათს, სიმდიდრეს; განაგებს ნადირობის და მეთევზეობის საქმეებს; მეზღვაურებს უგზავნის ზურგქარს; ადამიანებს გამარჯვების ძალას ანიჭებს.

ღმერთები ჰეკატეს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ტიტანებზე გამარჯვების შემდეგ ზევსმა მას შეუნარჩუნა ძველი, ხთონური ღვთაებისათვის დამახასიათებელი უფლებები, რომლითაც ჰეკატე ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროებს ერთმანეთს უკავშირებდა. იგი ერთდროულად განასახიერებდა წყვდიადსაც და მთვარის ნათელსაც და ამ თვისებით უახლოვდებოდა *სელენესა* და *არტემისს*. ჰეკატეს არტემისის ღამეულ სახეობად მიიჩნევდნ-



ჰეკატე. მარმარილო (ახ. წ. I–II ს.ს.). რომი, კაპიტოლიუმის მუზეუმი

ენ. იგიც მონადირე ქალღმერთად ითელებოდა, თუმცა მისი ნადირობა ეს იყო პირქუში, იდუმალი სელა საფლავებსა და მიწისქვეშეთის აჩრდილთა შორის ღამისეულ სიბნელეში. იმავდროულად ჰეკატე მიწის მაცოცხლებელ ძალასაც ფლობდა. ამ თვისებით კი დემეტრეს თანაგვარი ხდებოდა. ძვ.წ. V საუკუნიდან ჰეკატე იმკვიდრებს აჩრდილთა წყვდიადისეულ მოჩვენებათა, ჯადოქრობათა, შელოცვათა გრძნეული ქალღმერთის სახელს. იგი მიწისქვეშა სამყაროს ბინადართა მბრძანებელი ხდება და ამ ფუნქციით *პერსეფონესაც* უახლოვდება. ჰეკატეს კულტი გავრცელებული იყო ეგინაზე, არგოსსა და ელევსინში, აგრეთვე კუნძულ სიცილიაზე. ეგინაზე იმართებოდა ამ ღვთაების პატივსადები *მისტერიები*.

ჰეკატეს სახეს ხშირად მიმართავდნენ გვიანი ხანის პოეტები და მას აჩრდილთა, ბოროტი და მავნე სულების მბრძანებლად წარმოადგენდნენ. მათი გადმოცემით ჰეკატე დაქროდა გზაჯვარედინებსა და საფლავებს შორის ჯოჯოხეთის ქოფაკთა და ჯადოქართა თანხლებით. პერგამონის საკურთხევლის ფრიზზე, სადაც *გიგანტომაქიის* ფრაგმენტებია წარმოდგენილი, ვხვდებით ჰეკატეს გამოსახულებას: მას სამი თავი და ექვსი ხელი აქვს. იგი შეიარაღებულია შუბითა და მახვილით, ამასთანავე ხელთ უპყრია ჩირაღდანიც. ძველ საბერძნეთში გზაჯვარედინებზე დგამდნენ სამთავიანი ჰეკატეს ქანდაკებებს. ათენის თითქმის ყოველ სახლში ინახებოდა მისი გამოსახულება.

ჰეკატეს წმინდა ცხოველად ითელებოდა ძაღლი. ხოლო მსხვერპლად ამ ღვთაებას სწირავდნენ ლეკვებს.

რომაელებმა ჰეკატე ტრივიასთან, სამი გზის განმსახიერებელ ღვთაებასთან, გააიგივეს.

შუასაუკუნეებში ჰეკატეს უწმინდურ ძალთა მფარველად მიიჩნევდნენ (შდრ. შექსპირის „მაკბეტი").

**ჰეკატომბე** – ბერძნ. ასი ხარის (ან სხვა პირუტყვის) მსხვერპლშეწირვა.

გადატანითი მნიშვნელობით „ჰეკატომბე" დიდ მსხვერპლს (ომი, ტერორი, ეპიდემია) გულისხმობს.

**ჰეკატომბეონი** – ბერძნ. ატიკური კალენდრის პირველი თვე, რომელიც ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოს პირველ ნახევარს ემთხვევა.

**ჰეკატონქეიროსი** – ბერძნ. „ასხელა". ჰეკატონქეიროსებს უწოდებდნენ იმ ბუმბერაზებს, რომელთაც ასი ხელი და ორმოცდაათი თავი ჰქონდათ. ისინი მიწისქვეშა ძალებს განასახიერებდნენ და ითელებოდნენ *ურანოსისა* და *გეას* ნაშიერებად. ჰესიოდე სამ ჰეკატონქეიროსს ასახელებს: ბრიარეოსს, კოტოსსა და გიგესს. ისინი ურანოსმა თავის სხვა შემზარავ შვილებთან ერთად მიწის წიაღში ჩამალა.

*ტიტანომაქიის* დროს *ოლიმპიელმა* ღმერთებმა ჰეკატონქეიროსები *ტარტაროსიდან* იხმეს და დახმარება სთხოვეს. სწორედ მათი შემწეობით გაიმარჯვეს ახალმა ღმერთებმა. როდესაც *ზევსმა* უზენაესი ღვთაების უფლებები დაიმკვიდრა, ჰეკატონქეიროსები ტარტაროსში ჩამწყვდეულ ტიტანთა დარაჯებად განაწესა.

**ჰელე** – ბერძნ. *ათამასისა* და *ნეფელეს* ასული; *ფრიქსოსის* და.

ჰელესა და ფრიქსოსის დედა, მართალია, ღრუბელთა ქალღმერთი ნეფელე იყო, მაგრამ ბავშვები იზრდებოდნენ მამასთან, ორქომენოსის სამეფო კარზე (იხ. *ათამასი*). როდესაც ათამასმა ცოლად მოიყვანა *კადმოსის* ასული *ინო*, დედინაცვალმა შეიძულა გერები და მათი თავიდან მოცილება განიზრახა. ნეფელეს არ გამოეპარეია ეს და *ჰერმესს* მიმართა დასახმარებლად. ჰერმესმა კი და-ძმას მფრინავი *ოქროს ვერძი* მოუვლინა, რომელმაც ღრუბლებში გახვეული ბავშვები *კოლხეთისაკენ* გააქროლა. აზიისა და ევროპის გასაყართან ჰელემ თავი ვერ შეიკავა და წყალში ჩავარდა. მას შემდეგ იმ ადგილს, სადაც ჰელე დაიხრჩო, „ჰელესპონტოსი" (ჰელესპონტი) ანუ „ჰელეს ზღვა" ეწოდება.

**ჰელენოსი** – ბერძნ. თესალიის მეფე; *პრომეთეს* ბადიში; *დევკალიონისა* და *პირას* ძე (ვერსია: *ზევსის* ძე და დევკალიონის ძმა).

წარღვნის შემდეგ დევკალიონსა და პირას შეეძინათ შვილები და გამრავლდა ქვეყნად ადამიანთა მოდგმა. ჰელენოსი მათი უმცროსი ვაჟი იყო. მას *ნიმფა* ორსეისმა სამი ძე უშვა: *ეოლოსი*, დოროსი და ქსუთოსი.

ჰელენოსი ითელება ბერძენთა მითოსურ წინაპრად, ელადის ეპონიმად (ბერძნები თავიანთ თავს ელინებს უწოდებდნენ). მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა საცხოვრებელი მიწები დაინაწილეს და სხვადასხვა ბერძნულ ტომებს დაუდეს დასაბამი: ქსუთოსს ერგო პელოპონესოსი. მას ერთი ასული, ერეხთეა და ორი ვაჟი – აქეოსი და იონოსი – შეეძინა. მათი სახელების მიხედვით დაერქვათ ბერძენთა ტომებს აქაველები და იონიელები. დოროსი პელოპონესოსის მოპირდაპირე მხარეს დასახლდა და იქ მცხოვრებ ხალხს დორიელები უწოდა. ეოლოსი თესალიაში გამეფდა და ეოლიელთა მოდგმის მამამთავარი გახდა.

**ჰელიადები** – ბერძნ. *ჰელიოსისა* და *ოკეანიდა* კლიმენეს ქალიშვილები, *ფაეთონის* დები.

საოცრად უყვარდათ ჰელიადებს ძმა-ფაეთონი. მათ ისე განიცადეს მისი დაღუპვა, ისეთი სიმწრით დაიტირეს, რომ ღმერთებმა ისინი გარდასახეს ვერხვის ხეებად, რომელთა ფოთლებიც მუდამ სევდიანად შრიალებდნენ. ჰელიადების ცრემლები მარგალიტებად გაიფანტნენ ხეთა რტოებში.

**ჰელიკონი** – ბერძნ. მთა შუა საბერძნეთში. გადმოცემათა თანახმად, ჰელიკონის მთაზე დავანებულნი იყვნენ *მუზები*, რომელთაც ზოგჯერ ჰელიკონიდებსაც უწოდებდნენ. ბერძენთა მითოლოგიის სისტემატიზატორი ჰესიოდე თავის პოემა „*თეოგონიას*" ასე იწყებს: „წმინდა ჰელიკონის დიდებულ მწვერვალზე არის სამუდამო სავანე მუზების". ჰელიკონზე მდებარეობდა პოეტური შთაგონების წყარო *ჰიპოკრენე*.

**ჰელიკონიოსი** – ბერძნ. *პოსეიდონის* ერთ-ერთი მეტსახელი.

აქაველთა ქალაქ ჰელიკეში მდებარეობდა პოსეიდონის სახელობის ცნობილი ტაძარი და ქანდაკება. სწორედ ამიტომ ეწოდა ამ ღვთაებას ჰელიკონიოსი.

**ჰელიოსი** – ბერძნ. მზის ღმერთი; *ტიტანების*, *ჰიპერიონისა* და *თეას* ვაჟი; *სელენესა* და *ეოსის* ძმა; რომაულ მითოლოგიაში მისი თანაგვარია *სოლი*, რომელსაც ხშირად *აპოლონთან* აიგივებდნენ.

ჰელიოსი უძველესი ღვთაებაა. მისი კულტი *ოლიმპიური პანთეონის* ჩამოყალიბებამდე არსებობდა. ბერძენთა რწმენით, იგი სამყაროს მაცოცხლებელ ძალას ფლობდა და თვალთა ნათელს ართმევდა ბოროტმოქმედებს. იმყოფებოდა რა ზეცის თაღზე, ჰელიოსი თვალ-ყურს ადევნებდა ღმერთებისა და ადამიანების საქმეებს. სწორედ ამიტომ შეარქვეს მას „ყოვლისმხილველი".

ჰელიოსი ცხოვრობდა დიდებულ სასახლეში, წლის დროთა ქალღმერთებით გარემოცული. მითოსურ კუნძულზე, რომელსაც თრინაკია ეწოდებოდა, ბალახობდნენ მისი თეთრად მანათობელი ხარები (*ოდისევსის* თანამგზავრებმა რომ დაკლეს).

დღისით ცეცხლოვან ეტლზე ამხედრებული ჰელიოსი თავს ევლებოდა დედამიწას, მიმწუხრისას კი *ოკეანოსის* წმინდა წყლებში ჩაეშვებოდა და ოქროს ნავით მიცურავდა თავისი ამოხდომის ადგილამდე.

მზე-ღმერთს მრავალი შვილი ჰყავდა. ოკეანოსის ასულმა პერსეისმა მას უშვა აიეტი-კოლხთა სამეფო სკიპტრის მპყრობე-



*ჰელიოსი. კარატერის ფერწერა (ძვ.წ. V ს. შუა წლები), დეტროიტი, ხელოვნების მუზეუმი.*

ლი, ჯადოქარი ***კირკე*** და ***პასიფაე***, კრეტის ლეგენდარული მეფის, ***მინოსის*** მეუღლე; ***ნიმფა*** კლიმენესგან ჰელიოსს ჰყავდა ვაჟი–***ფაეთონი*** და ოთხი ასული; ნიმფა როდამ კი მას შვიდი ძე გაუჩინა.

ჰელიოსს ხშირად აიგივებდნენ მამამისთან, ჰიპერიონთან და ამის გამო მის ვაჟიშვილებს ჰიპერიონიდებსაც უწოდებდნენ. ძვ.წ. V საუკუნიდან კი ჰელიოსისა და აპოლონის კულტების თანაგვარობაც შეინიშნება.

შემოქმედნი ჰელიოსს მზით გაბრწყინებულ ეტლზე აღზევებულს წარმოსახავდნენ.

**ჰერა** – ბერძნ. ღმერთების დედოფალი; უზენაესი ღვთაების, ***ზევსის*** მეუღლე; ***კრონოსისა*** და ***რეას*** ასული; ქორწინებათა მფარველი ქალღმერთი.

რომაულ მითოლოგიაში მისი თანაგვარია ***იუნო***.

ჰერა წინაბერძნული ღვთაებაა. მის სახელს ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქაში მოიხსენიებდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბერძნულ პანთეონში იგი საკმაოდ ადრე დამკვიდრდა.

ოლიმპიური მითოსის თანახმად, ჰერა კრონოსისა და რეას უფროსი ქალიშვილია. იგი სხვა შვილებთან ერთად გადაყლაპა მამამ, რომელსაც უწინასწარმეტყველეს, რომ საკუთარი ნაშიერი წაართმევდა სამეფო სკიპტრას. როდესაც ფარულად აღზრდილმა ზევსმა დაამხო კრონოსი, კვლავ მზის ნათელს დაუბუნა თავის და–ძმანი, მათ შორის ჰერაც, რომელიც რეამ ***ტიტანთა*** ბრძოლის დაწყებამდე გადამალა თავის მშობლებთან. ქვეყნიერების დასალიერში, ჭაღარა ***ოკეანოსთან*** და ტეთისთან იზრდებოდა ჰერა სიწყნარესა და სიმშვიდეში.

ერთხელ ზევსი ოკეანოსის სამფლობელოში სეირნობდა. მან თვალი მოჰკრა თუ არა მშვენიერ ჰერას, მოეწონა და ალერსი მოუწადინა. ჰერა გაექცა. მაშინ ზევსმა ხერხს მიმართა: ჭრელ გუგულად გარდაისახა და ხის ჩრდილში დასასვენებლად ჩამომჯდარ ქალწულს მიუახლოვდა. ჰერას ფრინველი მოეწონა, ხელში აიყვანა და ნაზად მიიკრა მკერდზე. არ დააყოვნა ზევსმა, უმალ მიიღო თავისი ჭეშმარიტი სახე და ქალწული დაიმორჩილა. ასე გახდა ჰერა მისი მეუღლე.

ღმერთებმა ღირსეულად იზეიმეს მათი ქორწილი. ***ირისმა*** და ***ქარიტებმა*** ცისარტყელას ფერებით გასხივოსნებული მდიდრული სამოსით დაამშვენეს დედოფალი. ჰერას ზეციური გვირგვინიდან საკვირველი კულულები ეშვებოდა, მშვიდი სიდიადის სხივს აფრქვევდნენ მისი თვალები და როდესაც იგი უკვდავთა და მოკვდავთა დიდი მეუფის გვერდით დაბრძანდა ოქროს ტახტზე, ოლიმპოსის ღმერთების დასში თვალს იტაცებდა არნახული მშვენიერებით. ყოველმა ღმერთმა დიდებული საჩუქარი უბოძა ახალ მბრძანებელს. დედამიწის ქალღმერთმა ***გეამ*** ჰერას უძღვნა თავისი წიაღიდან აღმოცენებული მარადიული სიჭაბუკის მიმნიჭებელი ოქროს ვაშლებით დახუნძლული საკვირველი ხე, რომელიც ქვეყნიერების დასავლეთ სამანთან, ***ჰესპერიდების*** ბაღში ხარობდა. დიდმა ***ათენამ*** ჰერას უბოძა საკუთარი ხელით ნაქსოვი დიდებული ბიალონი, რომელსაც ჰერა მაშინ მოისხამს, როდესაც ზევსის ცდუნებას დააპირებს. მაგრამ ეს მოხდება მოგვიანებით. ახლა კი ზეიმობდნენ ღმერთები. მთელი სამყარო ადიდებდა მეუფე ზევსს და მის უმშვენიერეს მეუღლეს.

მას შემდეგ მეფობს მაღალ ოლიმპოსზე დიადი ჰერა. მისი ბრძანებით ფარავენ ცას მრუმე ღრუბლები, მისი ბრძანებით მრისხანებენ და მშვიდდებიან ქარტეხილები.

ჰერა ისეთივე უფლებამოსილი იყო ოლიმპოსზე, როგორც ზევსი. იგიც ზევსივით განაგებდა ქარიშხლებსა და ადამიანებს უგზავნიდა წვიმას, მათთვის მოჰყავდა მოსავალი. ჰერა ქალთა მოწყალე და შემწყნარებელი ღვთაებაც იყო. ქორწინების დღეს ქალწულები მას მიმართავდნენ ლოცვითა და ვედრებით. იგი ზრუნავდა დედებზე და იფარავდა ქვრივებს. ჰერას მთავარი ფუნქცია ქორწინებათა მფარველობა იყო. ამიტომ იგი ცნობილი იყო ეპითეტით „ჰერა გამელია“. „გამელიონი“ იყო ქორწინების თვე (ანტიკური კალენდრის მეშვიდე თვე – იანვრის მეორე და თებერვლის პირველი ნახევარი). ამ დროს იმართებოდა დიდი დღესასწაული მსხვერპლთა შეწირვით.

ზევსსა და ჰერას გაუჩნდათ შვილები – ***არესი***, ***ჰეფესტო*** და ***ჰებე***. ზოგიერთი გადმოცემით, მათი ასული იყო ***ილითიიაც***.

ჰერა მკაცრი და ეჭვიანი ქალღმერთიც იყო. იგი გამუდმებით სდევნიდა ზევსის საყ-



*ჰერა. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 470-460 წ.წ.), მიუნჰენი, ანტიკური კოლექციის მუზეუმი.*

ვარელ ქალებს (იხ. *იო, სემელე, კალისტო, ლეტო*), სძულდა *ჰერაკლე* და ზევსის ყველა უკანონო შვილი. *ტროას ომის* დროს ჰერა მუდამ აქაველთა მოწყალე იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ტროელმა *პარისმა* ოქროს ვაშლი მას არ არგუნა.

და მაინც, ჰერა ბერძენთა უსაყვარლესი ქალღმერთი იყო. არგოსში, ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა მისი პატივსადები უდიდესი ზეიმი, რომელსაც ჰერაიები ეწოდებოდა. ჰერას თითქმის ყოველ ქალაქში ჰქონდა ტაძარი ან საკურთხეველი. მას წარმოსახავდნენ მაღალ და ამაყ, დიდებული სილამაზის ქალბატონად. ასე გამოაქანდაკა იგი სახელოვანმა პოლიკლეტესმა. მისი ოქროსა და სპილოს ძვლისგან ნაკეთი გამოსახულება იდგა არგოსის ტაძარში: ქალღმერთი იჯდა ოქროს ტახტზე. ცალ ხელში ეკავა ბროწეული, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, ხოლო მეორეში - კვერთხი, რომელზეც იჯდა მისი ფრთოსანი გუგული. ჰერას ფრინველად ითვლებოდა ფარშევანგიც.

ჰერას ტაძრებს ჰერაიონებს უწოდებდნენ. შედარებით ცნობილი ჰერაიონები აღმოჩენილა ოლიმპიასა და კუნძულ სამოსზე.



ჩვილი ჰერაკლე. პომპეის ფრესკა (ახ.წ. 50-79 წ.წ.). ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმი.

**ჰერაკლე** – ბერძნ. ძველი საბერძნეთის უდიდესი გმირი; *ზევსისა* და *ალკმენეს* ძე; რომაელებმა მას *ჰერკულესი* უწოდეს.

*გმირები* ღმერთთა და მოკვდავ ქალთა შვილები არიან, ადამიანებზე უფრო ახოვანნი და ძალმოსილნი. ისინი გამუდმებით ეძიებენ თავგადასავლებსა და საგმირო საქმეებს აღასრულებენ. ბერძნულმა მითოლოგიამ მრავალი გმირის სახელი შემოგვინახა, მაგრამ მათ შორის აღმატებულად პოპულარული იყო ჰერაკლე.

ალკმენე, რომელსაც ჰერაკლეს დედად ასახელებენ, იყო მიკენის უზენაესი მეფის, *პერსევსის* შვილიშვილი. ერთხელ, როდესაც მისი მეუღლე, *ამფიტრიონი*, საბრძოლველად იყო წასული, ზევსი ეწვია თებეს. მოიხიბლა ალკმენეს მშვენებით და მასთან სარეცელის გაზიარება მოისურვა. მიიღო ამფიტრიონის სახე და ალკმენეს თალამოსში გაატარა მთელი ღამე, რომელიც ხანგრძლივობით სამი ღამისოდენა იყო. იცოდა ზევსმა, რომ ისეთი დიდი გმირის ჩასახვა, როგორიც ჰერაკლე იყო, განსაკუთრებული ძალისხმევით უნდა მომხდარიყო. ალკმენეს მშობიარობის დროს კი ღმერთების საკრებულოში განაცხადა, რომ სულ მალე დაიბადებოდა მისი ძე, რომელიც შეიქნებოდა პერსევსის სახელოვანი კარის მეუფე. მოჰკრა თუ არა ამ სიტყვებს ყური ეჭვიანმა *ჰერამ*, შეიპირა ზევსი, რომ მას, ვინც შებინდებამდე დაიბადებოდა პერსევსის სასახლეში, უზენაეს მმართველად სცნობდნენ. როგორც კი მიიღო ზევსისგან ურღვევი ფიცი, ჰერამ ისწრაფა მიკენისაკენ და დააჩქარა მეფე სთენელოსის მეუღლის, ნიკიპეს მშობიარობა. შემდეგ თებესკენ გაემართა, ალკმენეს სახლის კარიბჭესთან ჩამოჯდა და მანამ არ ამშობიარა, ვიდრე არ იშვა სთენელოსის შვიდთვიანი ძე *ევრისთევსი*. ერთი საათის შემდეგ დაიბადა ჰერაკლე. აღმოჩნდა, რომ მას ტყუპისცალიც ჰყოლია, რომელიც ამფიტრიონისაგან ჩასახულა. მას *იფიკლესი* შეარქვეს.

ზევსს არ შეეძლო დაერღვია თავისი ფიცი. ვეღარ იქნებოდა ჰერაკლე პერსევსის სახელოვანი კარის მეუფე. სამაგიეროდ, მეხთამტყორცნელმა დაითანხმა ჰერა იმაზე, რომ ჰერაკლე ღმერთთა შორის დაიდებდა ბინას, თუ ევრისთევსის დავალებით თორმეტ საგმირო საქმეს აღასრულებდა.

ამბობენ, თავდაპირველად, ჰერაკლესათვის ალკეოსი შეურქმევიათ. ხოლო ჰერაკლე მისთვის დელფოს ორაკულს უწოდებია „ჰერას მიერ დევნილის" თუ „ჰერას მიერ განდიდებულის" მნიშვნელობით. ასე იყო თუ ისე, ჰერა სხვადასხვა ოინს იგონებდა ზევსის უსაყვარლესი ძის დასაღუპად, ხოლო ჰერაკლე ღირსეულად აღწევდა თავს ყველა განსაცდელს.

წლისაც არ იქნებოდა ჰერაკლე, ჰერამ რომ მისი დაღუპვა განიზრახა. როდესაც ყველას ეძინა, მან ბავშვების საძინებელ ოთახში ორი უზარმაზარი გველი შეგზავნა. მათი თვალებიდან ცეცხლი იფრქვეოდა, დაღებული ხახიდან კი შხამი გადმოსდიოდათ. ზევსმა სასწაულებრივად გაანათა ოთახი. ტყუპებმა თვალები გაახილეს. შეძრწუნებული იფიკლესი საწოლიდან ჩამოგორდა, ხოლო ჰერაკლემ თავის თოთო ხელებში მოიმწყვდია ეს გველები და არნახული ძალით მოგუდა.

ზევსმა თავის დიად ასულს, **ათენას** მოუწოდა, ყოფილიყო ჰერაკლეს მფარველი, რაც ხალისით ითავა კიდეც ქალღმერთმა. ერთხელ მან ჰერას დაანახა თებეს კედლებთან ნაძინებული პატარა ჰერაკლე და სთხოვა, გამოეკვება ეს მშვენიერი ბავშვი. ჰერამ, რომელიც ვერ მიუხვდა ათენას ოინს, ჩვილი აიყვანა და მკერდი გაიშიშვლა. ჰერაკლემ კი ისეთი ძალით დაუწყო წოვა, რომ ღვთაებამ ტკივილს ვერ გაუძლო და ბავშვი ჰაერში მოისროლა. რძის ნაკადი ზეცის თაღზე დაიღვარა და მრავალ ვარსკვლავად გაბრწყინდა. მას რძის იკანკლედი ეწოდა. თებელები იმ ადგილს, სადაც ეს მოხდა, „ჰერაკლეს ველს" უწოდებენ. ათენამ კი, მიაღწია რა თავის სა-

წადელს. ბავშვი ალკმენეს დაუბრუნა და უბრძანა, კარგად აღეზარდა.

ამფიტრიონს თავის შვილზე ნაკლებად როდი უყვარდა ზევსის ძე. მან მოიწვია ცნობილი მოძღვრები, მუსიკოსები და მწვრთნელები და ბავშვების აღზრდა ითავა. თავად ეტლის მართვასა და მოსახვევთა იოლად გავლას ასწავლიდა; ***კასტორი*** – საბრძოლო ხელოვნებას; ***ჰერმესის*** ერთ-ერთი ძე, ***ავტოლიკოსი*** – მუშტიკრივს, ევრიტოსი – მშვილდოსნობას, ევმოლპოსი – სიმღერასა და კითარაზე დაკვრას, ხოლო ***ლინოსი***–ლიტერატურას.

ერთხელ ჰერაკლე კითარაზე უკრავდა. ევმოლპოსი იმხანად იქ არ იყო. სამაგიეროდ, იქვე იდგა ლინოსი, რომელმაც რაღაც შეუსწორა. არ შეისმინა მოწაფემ, განაწყენებულმა ლინოსმა გაარტყა. ჰერაკლემ თავი ვერ შეიკავა და კითარა მოუღერა მოძღვარს. ვერ მოზომა და ისეთი ძალით დაჰკრა, რომ საბრალოს სული გააფრთხობინა. ამ უმსგავსო საქციელისათვის იგი სამსჯავროს წინაშე წარდგა, მაგრამ თავი იმართლა სახელოვანი მსაჯულის, ***რადამანთისის*** სიტყვებით: „ვინაც დაარტყამს, უფლება აქვს დარტყმით უპასუხოს." მოსამართლეებმა ზევსის ძე გაამართლეს ათენა პალასის შემწეობით. შეწუხებულმა ამფიტრიონმა კი იმის შიშით, რომ მსგავსი რამ კვლავ არ ჩაედინა მის აღსაზრდელს, კითერონის ტყით შემოსილ მთებში გაგზავნა ჯოგების მოსამწყემსად. ამ ულამაზესი ბუნების წიაღში გაიზარდა ჰერაკლე და დიდებულ ჭაბუკად იქცა. იგი ხომ ღმერთის შვილი იყო. სწორედ ამიტომ გამოირჩეოდა ადამიანთაგან თავისი ახოვანებით, უმშვენიერესი გარეგნობითა და ძალმოსილებით. მისი თვალებიდან უჩვეულო ღვთაებრივი ნათელი გამოკრთოდა. მის მიერ ნასროლი შუბი თუ ისარი არასოდეს აცდენია მიზანს. ჰერაკლე თავად არ ისწრაფოდა ბრძოლისაკენ, თუმცა თავდამსხმელს მუდამ საკადრის პასუხს მიაგებდა ხოლმე. შეეძლო სხვისი მწუხარების გაზიარებაც. მან პირველმა მოკვდავთა შორის ნება დართო მტერს, დაეკრძალა მიცვალებული.


ჰერაკლე. ლეკითოსის ფერწერა (ძვ.წ. 475-450 წ.წ.). ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმი.

თვრამეტი წლის იყო ჰერაკლე, როდესაც გაიგო, რომ ***კითერონის ლომი*** მოსვენებას არ აძლევდა ამფიტრიონს და მის მეზობელ მეფე თესპიოსს, ერუხთეიონის ჩამომავალს. ამ ლომს ბუნაგი ჰქონდა ***ჰელიკონის*** მთაზე, რომლის ძირშიც მდებარეობდა ქალაქი თესპია.

მეფე თესპიოსს ორმოცდაათი მშვენიერი და მხიარული ქალწული ჰყავდა. იმის შიშით, რომ მათ უმსგავსო საქმროები არ შეერჩიათ, მამამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ყოველ მათგანს შვილი უნდა გაეჩინა ჰერაკლესაგან, რომელიც იმხანად ლომზე ნადირობდა. „შენ შეგიძლია სარეცელი გაიზიარო ჩემს უფროს ქალიშვილთან", – თავაზიანად შესთავაზა გმირს თესპიოსმა და ყოველღამე ჰერაკლესთან მოდიოდა სხვადასხვა ქალწული. მხოლოდ ერთმა მათგანმა უარყო მისი ალერსი. შეინარჩუნა ქალწულობა აღსასრულამდე და ***ქურუმად*** მსახურობდა თესპიის სალოცავში. თესპიოსის ქალიშვილებმა ორმოცდაათორმეტი ძე უშვეს დიდ გმირს (ორმა ტყუპ-ტყუპი გააჩინა). ჰელიკონის ჭალაში ჰერაკლემ ძირფესვიანად ამოგლიჯა დიდი იფნის ხე, რომლისგანაც უზარმაზარი კომბალი გამოთალა. სწორედ ამ კომბლით გააფრთხობინა სული კითერონის ლომს და მისი ტყავით შეიმოსა, ხოლო თავი კი მუზარადად გამოიყენა.

ჯერ კიდევ კითერონის მთებში შეიტყო ჰერაკლემ, რომ თებეს მეფე ***კრეონი***, რომელსაც შეფარებული ჰყავდა მისი მშობლები, მძიმე გასაჭირში იყო ჩავარდნილი. იგი ორქომენოსის მეფე ერგინოსს ყოველწლიურად დიდ ხარკს უხდიდა. ჰერაკლემ განიზრახა, გაეთავისუფლებინა თებელები ამ მძიმე გადასახადისაგან. როდესაც იგი ჰელიკონიდან ბრუნდებოდა, გზად შემოეყარნენ ერგინოსის მაცნეები, რომლებიც ხარკის ასაკრეფად მიდიოდნენ. ჰერაკლემ ჰკითხა მათ, თუ საით ეშურებოდნენ. მაცნეებმა სიამაყით განუცხადეს: „თებესკენ გვიჭირავს გეზი. ქალაქის მკვიდრთ კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ ის, თუ რაოდენი კეთილშობილება გამოიჩინა მეფე ერგინოსმა, რომ არ მოჰკვეთა მათ ცხვირები, ყურები და ხელები ხარკის გადაუხდელობის გამო". „ნუთუ ერგინოსს მართლაც უნდა ასეთი ხარკი?" – მრისხანებით იკითხა ჰერაკლემ. მან დაიჭირა მაცნეები,


ჰერაკლე. ბრინჯაო (ძვ.წ. 330-320 წ.წ.). პარიზი, ლუვრი.


ჰერაკლე. ბერძნული ორიგინალის რომაული ასლი (ძვ.წ. IV ს.). მარმარილო. სანქტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი.

ჩამოათალა ცხვირები, ყურები და ხელები, კისერზე ჩამოჰკიდა და გაუყენა ორქომენოსის გზას.

მეფე ერგინოსი თავს დაესხა თებეს, განაიარაღა ლაშქარი და მოითხოვა, გაეცათ ის კაცი, ვინც ასეთი ბოროტება ჩაიდინა. მეფე კრეონმა იმის შიშით, რომ ერგინოსს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, უფრო კეთილგონიერულ ნაბიჯად მიიჩნია დამორჩილება, მაგრამ ჰერაკლე წინ აღუდგა და მოქალაქეებს თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოუწოდა. მან მოიარა ქალაქის ყველა ტაძარი, საიდანაც გამოიტანა გადანახული საბრძოლო ნადავლი, მეომართა აღსაკაზმავი. ჰერაკლეს ქცევით მოხიბლულმა ღმერთქალმა ათენამ თავად აღკაზმა მებრძოლები. დიდი სიმამაცე და გონიერება გამოიჩინა ჰერაკლემ ამ ბრძოლაში. მისი ძალიხსმევით ომი მოიგეს თებელებმა. მეფე კრეონმა სახელოვან გმირს თავისი ასული ***მეგარა (მეგერა)*** შერთო ცოლად და ქალაქის მცველად დანიშნა. მეგარამ ჰერაკლეს ორი ძე უშვა.

ქალღმერთმა ჰერამ საზარელი სენი შეჰყარა ზევსის რჩეულ ძეს: გონება წარსტაცა და სიგიჟე მოუვლინა. თავდაპირველად ჰერაკლე მოსაკლავად დაედევნა თავის ძმისშვილ ***იოლაოსს***, რომელიც რაღაც სასწაულით გადარჩა. შემდეგ თავისი ექვსი შვილი მტრად ჩათვალა და ამოხოცა, ხოლო გვამები საითთაოდ კოცონზე დაწვა. მათ იფიკლესის ორი ძეც მიაყოლა. როდესაც გმირი გონს მოეგო, რამდენიმე დღით ჩაიკეტა ბნელ ოთახში, ხოლო განწმენდის რიტუალის აღსრულების შემდეგ ***დელფოს სამისნოსკენ*** გაეშურა, რათა შეეტყო, თუ როგორ მოენანიებინა უნებურად ჩადენილი ცოდვა. ***პითიამ*** მოუწოდა, მისი მშობლების სამკვიდრებელ ტირინსში წასულიყო და მეფე ევრისთევსის კარზე თორმეტი წელი ემსახურა. ქურუმმა ჰერაკლეს უკვდავება უწინასწარმეტყველა, ოღონდ გმირს ევრისთევსის ბრძანებით თორმეტი საქმე უნდა აღესრულებინა.

დამწუხრდა ჰერაკლე. მას არ სურდა ემსახურა ულირსი მეფის კარზე. ამასთანავე მამა-ზევსის განრისხებასაც ერიდებოდა. გმირს ამშვიდებდნენ მეგობრები და ურჩევდნენ აღესრულებინა ღმერთის ნება. თანდათან დაცხრა ჰერაკლე და ბედს დამორჩილდა. ასე დასახლდა იგი მშობლიურ ქალაქ ტირინსში, რათა ცოდვების გამოსასყიდად მიკენის მეფის სურვილები ესრულებინა. თავად ევრისთევსს კი ისე ეშინოდა ძლევამოსილი გმირისა, რომ ახლოს არ იკარებდა, ყველა ბრძანებას თავისი შიკრიკის, კოპრევსის, პირით ატყობინებდა.

საგმირო საქმეთა აღსასრულებლად ჰერაკლეს ***ოლიმპოსის*** დიდმა ღმერთებმა უბოძეს აღსაჭურველი: ***ჰერმესმა*** უძღვნა შუბი, ***აპოლონმა*** – მშვილდი და არწივის ფრთით დამშვენებული ისრები, ***ჰეფესტომ*** ოქროს ჯავშანი, ხოლო ათენამ თავად მოუქსოვა სამოსი. ***პოსეიდონმა*** გმირი დაასაჩუქრა ტაიჭებით, მამა ზევსმა კი ფარით, რომელზეც მრავალი დიდებული საქმე იყო აღბეჭდილი. ასე ამბობენ, როცა ჰერაკლე საბრძოლველად შეიმართებოდა ხოლმე, შუა ბალთის გარშემო არშიად შემოვლებული თორმეტი გველის თავი გრგვინავდა და შიშის ზარს სცემდა მის პირისპირ მდგომთ.

### ***პირველი გმირობა: ნემეას ლომი***

თებეს სამხრეთით, არგოლისის ქალაქ ნემეას მახლობლად ბინადრობდა მძვინვარე ლომი. იგი ქოფაკ ***ორთროსისა*** და ***ექიდნას*** ნაშობი იყო. ლომი უმოწყალოდ ანადგურებდა ახლომდებარე მიდამოებს. მას შიშით ვერავინ ეკარებოდა. ადამიანურ ძალას არ შეეძლო მისი განგმირვა. ცბიერმა ევრისთევსმა ჰერაკლეს ამ ლომის მოკვლა უბრძანა. წარბი არ შეუხრია გმირს, ისე წავიდა ამ უაღრესად სახიფათო ბრძანების აღსასრულებლად. მან ზურგზე კაპარჭი მოიგდო, ერთ ხელში მშვილდი დაიკავა, ხოლო მეორეში – ჰელიკონის ჭალაში გამოთლილი კომბალი.

ჰერაკლემ ნემეას შუადღისას მიაღწია. უკაცრიელი იყო მთელი მიდამო. საზარელი ლომის შიშით ძეხორციელი არ ჩანდა ირგვლივ. დიდხანს ეძებდა დაბურულსა და პირქუშ ხეობებში ზევსის ძე ნადირს. შებინდებისას გმირი ლომის ბუნაგს მიადგა. ეს იყო ვეებერთელა მღვიმე, რომელსაც ორი გამოსასვლელი ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი ჰერაკლემ ლოდებით ამოავსო. მეორე გამოსასვლელთან თავად ჩასაფრდა. როცა დაბნელდა, გამოჩნდა უზარმაზარი ნადირი, რომელსაც თავი გრძელი ფაფარით ჰქონდა დაფარული. ღამის სიბნელეს მის თვალთაგან გადმოფრქვეული ცეცხლი ანათებდა. ჰერაკლემ მშვილდი მოზიდა და ისარი მძლავრად სტყორცნა მისკენ მიმავალ ლომს, მაგრამ მისმა რვალივით ტანმა ისარი აისხლიტა. ლომი შედ-



*ნემეას ლომი. ამფორას ფერწერა (ძვ.წ. 510 წ.), ბრეშა, ქალაქის მუზეუმი.*

გა. თავი მაღლა ასწია და გაირინდა. ჰერაკლემ კიდევ ორჯერ მოზიდა მშვილდი, მაგრამ ლომის უწყვლად ტყავს ასხლეტილი ისრები სხვადასხვა მიმართულებით გაფრინდნენ. ლომი მძვინვარე თვალებს აბრიალებდა და ისრის მტყორცნელს ეძებდა. და ჰა, დაინახა კიდეც. მეხის ქუხილივით გაისმა მთებში მისი ღრიალი. იგი ნახტომისათვის მოემზადა და ელვის სისწრაფით დაეძგერა ჩასაფრებულ გმირს. მაგრამ დაასწრო ჰერაკლემ, ისეთი ძალით დაენარცხა მისი კომბალი ფაფარაყრილ ნადირს თავზე, რომ ნამსხვრევებად იქცა.მიწად განერთხა არაადამიანური დარტყმით გაბრუებული ლომი, რომელსაც ანაზდად მივარდა ჰერაკლე, მოხვია მძლავრი მკლავები და მოახრჩო. შემდეგ გმირმა ლომი ბეჭებზე მოიგდო და მიკენისკენ გასწია.

უსულო ნადირის დანახვაზე ისე დაფრთხა ევრისთევსი, რომ თავზარდაცემულმა ჰერაკლეს ქალაქში გამოჩენა აუკრძალა. ამიერიდან გამარჯვების წილ მოპოვებული ნადავლი გმირს გალავნის მიღმა უნდა დაეტოვებინა.

ხოლო ჰერაკლე ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად ატარებდა მუზარადად ლომის თავსა და მოსასხამად მისივე ტყავს. ლომის თათები მკერდზე საბელებად ჰქონდა შეკრული რაინდს.

### *მეორე გმირობა: ლერნეს ჰიდრა*

მეფე ევრისთევსმა ჰერაკლე ახლა უფრო მძიმე დავალების აღსასრულებლად გაგზავნა: არგოსიდან მოშორებით ზღვის ნაპირზე მდებარეობდა ქალაქი ლერნე. მის ჩრდილოეთით, ჭადრის ხის ძირას, იქ სადაც წყარო ამიმონე იღებდა სათავეს, ბუნაგი დაედო საზარელ ურჩხულს, ჰიდრას, რომელსაც გველის უზარმაზარ ტანზე ცხრა თავიება. ამ თავთაგან ერთი უკვდავი იყო. ამიტომ შეუძლებლად მიაჩნდათ ჰიდრას დამარცხება. იგი ლერნეს ჭაობებში დათარეშობდა და აწიოკებდა ირგვლივ მიდამოს.

ამჯერად ევრისთევსმა ჰერაკლეს ამ ურჩხულის მოკვლა უბრძანა. შეუდრეკელი გმირი ლერნესკენ თავისი საყვარელი ძმისშვილის, იოლაოსის თანხლებით გაეშურა.

ქალღმერთმა ათენამ თავად მოიფიქრა ის, თუ რა უნდა ეღონა ჰერაკლეს. მისი რჩევით მიაღწია გმირმა ჰიდრას ბუნაგს და ალმოდებული ისრები დაუშინა. ურჩხული ბუნაგიდან გამოძვრა, სხეულის გრეხვით კუდზე წამოიმართა და ის იყო გმირს უნდა სცემოდა, რომ არაადამიანური ძალით მოქნეული კომბალი მოხვდა და იგი კვლავ მიწად განერთხა. ჰერაკლე შესაპყრობად მივარდა ჰიდრას, მაგრამ ურჩხული ახლა ფეხზე შემოეგრაგნა. ამაოდ აცლიდა ჰერაკლე ჰიდრას თავებს. ურჩხული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რადგანაც ყოველი მოგლეჯილი თავის ადგილას ორი ან სამი ახალი ამოსდიოდა.

ჰიდრას დასახმარებლად ჭაობიდან უზარმაზარი კიბორჩხალა ამოძვრა და ჰერაკლეს ტერფში ჩაეჭიდა. გმირმა შეუბრალებლად გასრისა იგი და დასახმარებლად უხმო იოლაოსს, რომელმაც ჭალას ცეცხლი წაუკიდა და აგიზგიზებული მუგუზლებით დაუწყო მოწვა ჰიდრას კისრებს, ჰერაკლე რომ თავებს აცლიდა. ახლა უკვე ურჩხულს ახალი თავები აღარ ეზრდებოდა. იგი თანდათან კარგავდა ძალას. ბოლოს ჰერაკლემ ურჩხულს მახვილით წააცალა უკვდავი თავიც, რომელიც ნაწილობრივ ოქროსი იყო და ღრმად ჩაფლა მიწაში. ზედ ვეებერთელა კლდე დაადგა, რათა ვერასოდეს ეხილა მზის ნათელი. შემდეგ მან ჰიდრას სხეული ასო-ასო აკუწა და მის ნაღველში ამოავლო თავისი ისრები. სწორედ ამიტომ ჰერაკლეს აუცდენელი ისრის ნაიარევი განუკურნელიც იყო.გამარჯვებული გმირი თავის ძმისწულთან ერთად ზეიმით დაბრუნდა მშობლიურ ტირინსში.

### *მესამე გმირობა: ერიმანთოსის ტახი*

მესამე გმირობის აღსასრულებლად ევრისთევსმა ჰერაკლე არკადიაში გაგზავნა. მას ცოცხლად უნდა შეეპყრო ტახი. ეს იყო უზარმაზარი, მძვინვარე მხეცი, რომელიც ერიმანთოსის მთის კიპარისებით დაფარულ ფერდობებზე ბინადრობდა. იგი წამახული ეშვებით ფატრავდა კაცსა თუ ცხოველს. გაუკაცრიელდა მთის ირგვლივ მდებარე ქალაქები, აღარავის სურდა არკადიაში ცხოვრება. და აი, ჰერაკლე ამჯერად ამ ტახთან შესარკინებლად გაეშურა. გზად შეიარა თავისი მოძღვრის, ბრძენი ***ქირონის*** უსაყვარლეს მეგობართან, კენტავრ ***ფოლოსთან***, რომელმაც დიდი პატივით მიიღო ზევსის ძე.

ფოლოსმა სუფრა გაშალა და თავი ახადა ღვინით სავსე ჩაფს. უმალ მოეფინა ღვინის სუნი მთებსა და ველებს. კენტავრებმაც შეიგრძნეს იგი და გარისხდნენ ფოლოსზე, რომელმაც მათ გარეშე ჩამოასხა ღვთაებრივი სასმელი. ლოდებით, კომბლებითა და ნაჯახებით შეიარაღებულმა კენტავრებმა ფოლოსის მღვიმისკენ ისწრაფეს. მათ წინ უშიშრად აღიმართა ჰერაკლე და ჩაწილი იქვე ამოხოცა. გადარჩენილებმა ბრძენი ქირონის მღვიმეს შეაფარეს თავი მალეაზე. მათ კვალდაკვალ მიჰყვა ჰერაკლე. მოზიდა მშვილდი და მისი მომაკვდინებელი ისარი შემთხვევით ქირონს მუხლში ჩაერჭო. ღრმა მწუხარებამ მოიცვა გმირი, როს გონს მოეგო და გააზრა, რომ დაჭრა მისვე მეგობარი, ბრძენი მოძღვარი, უმალ იარა მოუბანა, მაგრამ ამაოდ. ნაიარევი განუკურნელი იყო. იცოდა ქირონმა, რომ არ მოკვდებოდა, რადგან უკვდავი იყო, მაგრამ საშინლად გაწამდებოდა.

დარდით აღსავსე გაემართა ჰერაკლე ერიმანთოსის მთისკენ. დაბურულ ტყეში წააწყდა იგი მძვინვარე ტახს და მანამდე სდია, ვიდრე ღრმა თოვლში არ მოიმწყვდია. ჰერა-



*ერიმანთოსის ტახი. ოინოქოეს ფერწერა (ძვ.წ. 510 წ.). ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.*

კლემ იგი ცოცხლად შებოჭა, პირდაპირ მიკენში ჩაიყვანა და ევრისთევსს მიართვა. მხდალი მეფე უზარმაზარი ტახის დანახვაზე შიშით ბრინჯაოს დიდ პითოსში ჩაიმალა.

ასე აღასრულა ჰერაკლემ თავისი მესამე გმირობა. იგი დიდხანს წუხდა იმის გამო, რომ უნებურად ამოწყვიტა ***ტიტანთა*** მოდგმა. ორად-ორი კენტავრი დარჩა ცოცხალი: ***ნეფელეს*** ვაჟი ***ნესოსი***, რომელსაც ევენოსის მდინარეზე გადაჰყავდა ხალხი და ***კრონოსის*** ძე, ბრძენი ქირონი, რომელიც მოგვიანებით ***პრომეთეს*** გაუცვლის უკვდავებას სიკვდილში ზევსის თანხმობით.

### მეოთხე გმირობა: კერინეას ირემი

ნადირობის ღვთაება ***არტემისი*** გაუნაწყენდა არკადიელებს და დასასჯელად მშვენიერი ირემი მიუგზავნა. მას ოქროს რქები და სპილენძის ჩლიქები ჰქონდა. იგი ქარივით დაქროდა ველ-მინდვრებში და მთელ მოსავალს აოხრებდა. იცოდა ევრისთევსმა, რომ ამ ირემს ვერავინ ეწეოდა, ამიტომაც დაავალა ჰერაკლეს მისი ცოცხლად შეპყრობა და მიკენში ჩამოყვანა. დაუფიქრებლად გაეშურა ჰერაკლე არკადიისკენ. მის მაღალ მთებში წააწყდა იგი მშვენიერ ირემს, რომელიც ისარივით მიფრინავდა გაშლილ ველებზე, თავს ევლებოდა უფსკრულებს და მდინარეებს მიაპობდა მალი ცურვით. კვალდაკვალ სდევდა გმირი ნადირს, რათა თვალთაგან არ დაეკარგა. ასეთი სრბოლით მიაღწიეს მათ ქვეყნიერების ჩრდილოეთ საზღვარს. ***ჰიპერბორეასა*** და მდინარე ისტროსის წყაროსთვალს. წამით შეყოვნდა აქ არტემისის მშვენიერი ნადირი, ჰერაკლემ ხელი წაატანა, მაგრამ გაუსხლტა და კვლავ სამხრეთით იბრუნა პირი. ქარის სისწრაფით მფრინავ ირემს ჰერაკლე მხოლოდ არკადიაში დაეწია. მისი შეპყრობის იმედი რომ დაკარგა, აუცდენელი ისარი სტყორცნა და ფეხში დაჭრა. ამჯერად ისარი შხამიანი არ იყო, მაგრამ მაინც უჭირდა მშვენიერ ირემს სწრაფი სრბოლა. მაშინ კი იოლად შეიპყრო იგი ჰერაკლემ, მხრებზე მოიგდო და მიკენისაკენ გაემართა.

### მეხუთე გმირობა: სტიმფალიური ფრინველები

ჰერაკლეს ახალ დავალებას უმზადებდა ევრისთევსი. მას უნდა გაენადგურებინა არესის წმინდა ფრთოსნებად მიჩნეული საზარელი ფრინველები, რომელთაც ბრინჯაოს ფრთები, ნისკარტები და კლანჭები ჰქონდათ. ისინი ადამიანებს ჭამდნენ და ულმობლად ანადგურებდნენ არკადიის ქალაქ სტიმფალოსის ირგვლივ მდებარე მიდამოებს.

ამ დავალების აღსრულების ჟამს ჰერაკლეს ათენა პალასი მოევლინა მფარველად. მებრძოლმა ქალღმერთმა გმირს ჰეფესტოს გამოჭედილი ორი სპილენძის დაფი მისცა. ურჩია, მაღალ მთაზე შემდგარიყო იმ ტყის მახლობლად, სადაც სტიმფალიური ფრინველები ბუდობდნენ. ძლიერად დაეკრა დაფი და მის ხმაზე აშლილი ფრთოსნები დაუხანებლად დაეხოცა. ჰერაკლე ისე მოიქცა, როგორც დიდმა ქალღმერთმა ურჩია. აეიდა მთაზე, დაჰკრა დაფსა და ისეთი გრიალი ატეხა, რომ თავზარდაცემული ფრინველები ანაზდად წამოიშალნენ. შიშისგან შეძრულნი ტყეს დასტრიალებდნენ და ისარივით წამახულ ფრთებს სეტყვასავით უშენდნენ დედამიწას. მაგრამ ზევსის ძეს ერთიც არ მოხვედრია. მან მშვილდი მოზიდა და დამფრთხალ ფრინველებს მომაკვდინებელი ისრები სტყორცნა. ბევრი დაიხოცა, ბევრიც მაღლა ღრუბლებში აფრინდა და თვალს მიეფარა. კაციჭამია ფრთოსნებმა ევქსინის პონტოსკენ აიღეს გეზი. იქ მათ მერე ***არგონავტები*** აღმოაჩინეს.

ჰერაკლე კი ბრძენი ათენას შემწეობით კვლავ გამარჯვებული დაბრუნდა ტირინსში.

### მეექვსე გმირობა: ავგიასის თავლები

სამშობლოში დაბრუნებულ ჰერაკლეს დასვენება არ აცალა მეფე ევრისთევსმა. მან ახალი ბრძანება გასცა: ჰერაკლეს ნაკელისაგან უნდა განეწმინდა ელიდის მეფის, ***ავგიასის*** თავლები. ეს მეფე მზის ღმერთის, სხივნათელი ***ჰელიოსის*** ძე იყო. ღმერთმა თავის შვილს აუარებელი სიმდიდრე უბოძა. საქვეყნოდ იყო ცნობილი ავგიასის მრავალრიცხოვანი რემები და ჯოგები: მეფეს ჰყავდა სამასი შავი, მაგრამ თეთრფეხა, ორასი წითელი ჯიშის, თორმეტი მშვენიერი მოვერცხლისფრო თეთრი და ერთიც უჩვეულო სილამაზით გამორჩეული, ვარსკვლავივით მანათობელი ხარი.

მრავალი წლის განმავლობაში არ გაწმენდილა ავგიასის თავლები და ბოსლები. მთელს პელოპონესოსში იდგა სუნი ნაკელისა, რომელიც თვიდან თვემდე მატულობდა და ისეთ სქელ ფენად გადაიქცა, რომ იქ გავლაც კი არვის ძალუძდა.

ჰერაკლე მეფეს დაჰპირდა, რომ ერთ დღეში გამოასუფთავებდა ყველა თავლას, თუ გასამრჯელოდ ჯოგების მეათედს მიიღებდა. ავგიასი დასთანხმდა, რადგან ერთ დღეში ასეთი საქმის შესრულება შეუძლებლად მიიჩნია. მან უხმო თავის უფროს ძეს, ფილევსს, რათა მოწმე ყოფილიყო ამ შეთანხმებისა. „დაიფიცე, რომ დაბნელებამდე დაასრულებ მთელ სამუშაოს", – მოითხოვა ფილევსმა. მამის სახელით დაიფიცა ჰერაკლემ და ეს იყო მისგან დადებული პირველი და უკანასკნელი ფიცი. ავგიასმაც დაიფიცა, რომ პირობას აღასრულებდა. ამ დროს თეთრი ჯოგის წინამძღოლი ხარი ეძგერა ჰერაკლეს, რომელიც ლომად მოეჩვენა. გმირმა მარცხენა რქაში წაავლო მას ხელი და უმალ მიწაზე დაანარცხა. შემდეგ შეუდგა თავის საქმეს: იოლაოსის დახმარებით მოანგრია ორი კედელი, რომლებიც თავლას გარშემო ერტყა და წლობით გაუსუფთავებელ ბაკებში ორი მდინარე – ალფეოსი და პენეოსი მიუშვა. წყალმა უმალ წაიღო დაგროვილი ნაკელი. როდესაც თავლები გაიწმინდა, ჰერაკლემ მდინარეები თავის კალაპოტს დაუბრუნა, მონგრეული კედლები ამოაშენა და მეფე ავგიასს ეახლა, რათა დაპირებული გასამრჯელო მიეღო. ცბიერმა მეფემ სიტყვა გატეხა, რის გამოც



*კერინეას ირემი. კილიქსის ფერწერა (ძვ.წ. 480 წ.), პარიზი, ლუვრი.*



*ავგიასის თავლები. ჰერაკლე და მისი მფარველი ათენა. ზევსის ტაძრის მეტოპი ოლიმპიადან (ძვ.წ. 457 წ.). ოლიმპია, არქეოლოგიური მუზეუმი*

ჰერაკლეს ტირინსში უნადავლოდ მოუხდა დაბრუნება.

როდი აპატია მეფეს ცბიერება ამაყმა გმირმა. ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ევრისთევსის სამსახურისგან გათავისუფლებული ჰერაკლე დიდძალი ჯარით ავგიასის სამფლობელოში შეიჭრება, სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაამარცხებს მეფეს და მომაკვდინებელი ისრით სიცოცხლეს გამოასალმებს.

***მეშვიდე გმირობა: კრეტის ხარი***

იმხანად კუნძულ კრეტას განაგებდა მეფე ***მინოსი***. მან ზღვათა ღვთაება ***პოსეიდონს*** აღუთქვა, რომ ხარს შესწირავდა, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ თავის ჯოგში ამ უაღრესად საპატიო წესისგებისათვის მსხვერპლი არ ეგულებოდა. მიწისმრყეველმა პოსეიდონმა უჩვეულოდ ლამაზი ხარი ამოუშვა ზღვათა სიღრმიდან და სამეფო ჯოგს შეურია. მინოსმა რომ ხარი იხილა, მოეწონა და დაენანა მისი მსხვერპლად შეწირვა. მის ნაცვლად მაღალ ღვთაებას სხვა ხარი მიუძღვნა. პოსეიდონი განრისხდა და მშვენიერი ხარი გააცოფა. გამძვინვარებული ცხოველი საოცარი სისწრაფით დაქროდა მთელ კუნძულზე და ყველაფერს ანადგურებდა. მისი დაოკება შეუძლებელი იყო.

ევრისთევსმა ჰერაკლეს სწორედ ამ ხარის შეპყრობა და მიკენში ჩამოყვანა უბრძანა. როდესაც ჰერაკლე კრეტაზე გამოჩნდა, მეფე მინოსმა დიდად გაიხარა, დახმარება აღუთქვა, მაგრამ გმირმა არჩია, თავად აღესრულებინა დავალება. მან იოლად შეიპყრო მძვინვარე და ცეცხლისმფრქვეველი ხარი და მიკენში გაგზავნა. ევრისთევსს შეეშინდა ამ ხარის ჯოგში დატოვება, ჰერას მიუძღვნა და ველზე გაუშვა. ჰერამ არ მიიღო საჩუქარი და მძვინვარე ცხოველი ჯერ სპარტასკენ წარმართა, შემდეგ ისევ არკადიისკენ და ისთმოსის გავლით ატიკაში, მარათონის ველზე დაავანა. აქ კი იგი მოგვიანებით საბერძნეთის კიდევ ერთმა დიდმა გმირმა, ***თესევსმა*** შეიპყრო და ქალღმერთ ათენას შესწირა მსხვერპლად.

***მერვე გმირობა: დიომედესის ცხენები***

ბისტონთა მეფე დიომედესს ჰყავდა საკვირველი ძალისა და სილამაზის ოთხი გაუხედნავი ფაშატი. ისინი მეფეს რკინის ჯაჭვებით ჰყავდა მიბმული ბაგასთან. ამ ფაშატებს ადამიანთა ხორცით კვებავდნენ. შეუბრალებელი მეფე დიომედესი მათ საჩნოდ ხდიდა ყველა უცხოელს, ვისაც კი ქარიშხალი მისი სამეფოს საზღვრებთან გადმოისროლა. და აი, სწორედ ეს ცხენები უნდა ჩამოეყვანა ამჯერად ჰერაკლეს ევრისთევსისათვის. ჰერაკლემ თანამგზავრები შეკრიბა და ხომალდით გაემართა თრაკიის ნაპირებისაკენ. უმალ მიაგნო რკინის ჯაჭვებით დაბმულ უჩვეულო სილამაზის ფაშატებს, აუშვა, დაიმორჩილა და თავისი ხომალდისაკენ გასწია. მას სანაპიროსთან დაეწია მეფე დიომედესი ბისტონთა ამალის თანხლებით. ჰერაკლემ ცხენების დაცვა ღმერთების შიკრიკს, ჰერმესის ძეს, ***აბდეროსს*** დაავალა, თავად კი დაიწყო მზადება მდევრებთან შესაბმელად. ხერხი იხმარა: გაჭრა არხი, რომლითაც ზღვა ბარში დაეშვა. როდესაც ბისტონები უკუიქცნენ, ჰერაკლე მათ თავს დაესხა, კომბლის დაკვრით განგმირა დიომედესი, რომლის გვამიც მიუგდო მისივე ფაშატებს, თავად კი გამარჯვებულმა შეაბიჯა ხომალდზე. მაგრამ



*კრეტის ხარი. ამფორის ფერწერა (ძვ.წ. 510-500 წ.წ.). პარიზი, ლუვრი.*



*დიომედესის ცხენები. კილიკის ფერწერა (ძვ.წ. 510-500 წ.წ.). სანქტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი.*

აქ მას დიდი საწუხარი ელოდა: მისი საყვარელი მეგობარი აბდეროსი ცხენებს დაეგლიჯათ. ჰერაკლემ მას მეფური გასვენება მოუწყო. მისი საფლავის მახლობლად კი დაარსა ქალაქი და განსვენებულის პატივსაცემად აბდერა უწოდა. როდესაც ეს საქმე აღასრულა, ჰერაკლემ გაუხედნავი ფაშატები დაიმორჩილა და მთათა გადაელით გაემართა მიკენისაკენ. მხდალმა ევრისთევსმა ცხენები ჰერას მიუძღვნა და ოლიმპოსის მაღალ მწვერვალზე ბრძანა მათი გაშვება. ბოლოს ისინი ლიკაონის უსიერ ტყეებში გარეულმა მხეცებმა დაგლიჯეს.

***მეცხრე გმირობა: ჰიპოლიტეს სარტყელი***

ომის ღვთაება ***არესმა*** ამორძალთა უმშვენიერეს დედოფალ ***ჰიპოლიტეს*** ოქროს უჩვეულო სარტყელი უბოძა. ეს ღვთაებრივი ძღვენი ძალასა და დიდებას ჰმატებდა მებრძოლ ქალთა წინამძღოლს. ევრისთევსის ასულის, ადმეტეს ყურამდეც მიეღწია ამ დიდებული საბრძვრის ამბავს. ქალწულის თხოვნით, მეფე ევრისთევსმა ჰერაკლეს სწორედ ამ ქამრის მოპოვება დაავალა. იცოდა ზევსის ღვთაებრივმა ძემ, რომ წინ დიდი და სახიფათო გზა ელოდა. ამიტომ შეკრიბა საბერძნეთის სახელოვანი გმირები და მტკიცე კიჩოიანი ხომალდით გაემგზავრა შორეული ნაპირებისაკენ. ამ მოგზაურობის ჟამს ჰერაკლეს მხარს უმშვენებდნენ ატიკის უდიდესი გმირები: თესევსი, იოლაოსი, ***ტელამონი***, ***პელევსი*** და სხვები.

ხანგრძლივი ცურვის შემდეგ მიაღწიეს საბერძნეთის დიდმა გმირებმა ამორძალების სატახტო ქალაქ თემისკირას, სადაც უკვე ემზადებოდნენ მათ დასახვედრად. ამორძალების დედოფალს, ჰიპოლიტეს ხომ დიდი ხანია შეეტყო ზევსის ძის გმირობათა ამბავი. იგი თავისი ამალის თანხლებით გამოეგება სახელოვან სტუმრებს. მონუსხულებივით შესცქეროდნენ ამორძალები ჰერაკლეს, რომელიც ისე გამოირჩეოდა თანამგზავრთაგან, როგორც ღმერთი მოკვდავთაგან. ჰიპოლიტე მოხიბლა ჰერაკლეს მამაკაცურმა გარეგნობამ და საუბარმა. იგი მზად იყო ნებით მიეცა მისთვის სარტყელი, ხელიც შეავლო მას მოსახსნელად, მაგრამ ჰერამ ისევ განიზრახა ჰერაკლეს დაღუპვა: ამორძალის სახე მიიღო, მეომარ ქალებს შეერია და წაქეზება დაუწყო, თავს დაესხით ჰერაკლეს ამალას, რადგან მათ ჰიპოლიტეს მოტაცება განუზრახავთო.

ამორძალებმა ირწმუნეს ქალღმერთის ნათქვამი, იარაღი აისხეს და ბერძენ გმირებს შეუტიეს. ბრძოლის ყიჟინი ცას სწვდებოდა. მზეს აბნელებდა ისართა და ოროლთა წვიმა. დიდმა ჰერაკლემ ტყვედ ჩაიგდო ამორძალთა წინამძღოლები, შეუდრეკელი მელანიპე და მშვენიერი ანტიოპე. მეომარი ქალები დამარცხდნენ. დედოფალმა ჰიპოლიტემ თავისი რჩეული მელანიპე ტყვეობიდან არესის ქამრის ფასად გამოისყიდა. ანტიოპე კი ჰერაკლემ თან წაიყვანა და არნახული გმირობისათვის თესევსს უბოძა.

ბერძენმა გმირებმა დატოვეს ამორძალების სამფლობელო და მიკენისკენ აიღეს გეზი. როდესაც მცირე აზიის სანაპიროსთან მდებარე ტროას მიუახლოვდნენ იხილეს კლდეს მიჯაჭვული ქალიშვილი, რომელიც საბრალობლად ტიროდა. მეხომალდეებმა ღუზა ჩაუშვეს და ნაპირზე გადავიდნენ ამბის გასაგებად. ეს იყო ტროას მეფის, ***ლაომედონის*** ასული ჰესიონე, რომელიც ზღვის ურჩხულს უნდა შთაენთქა. ჰერაკლემ ქალიშვილის გათავისუფლება განიზრახა, სანაცვლოდ კი მეფე ლაომედონს ზევსის მიერ ნაჩუქარი მერნები სთხოვა. მეფე დათანხმდა. ჰერაკლემ ურჩხული მოკლა, ხოლო როდესაც გასამრჯელო მოითხოვა, პირი გატეხა ლაომედონმა და დიადი გმირი მუქარით გაისტუმრა ტროადან. ზევსის ძემ შურისძიება მომავლისთვის გადასდო და მიკენისკენ გაემართა რისხვადამცხრალი.

ჰერაკლემ ოქროს სარტყელი ევრისთევსს გადასცა. დანარჩენი ნადავლი ასე გაანაწილა: მდიდრული მოსასხამები უძღვნა აპოლონის ტაძარს დელფოში. ჰიპოლიტეს ორპირი ცული კი – ლიდიის დედოფალ ომფალეს. შემდეგ ეს ცული ლიდიის მეფეთა წმინდა რეგალიად იქცა.



*ჰიპოლიტეს სარტყელი. ტაძრის მეტოპა (ძვ.წ. 470-460 წ.წ.), პალერმო, ნაციონალური მუზეუმი.*

***მეათე გმირობა: გერიონის ძროხები***

მიკენში ჰერაკლეს ახალი დავალება ელოდა. ევრისთევსმა მას გერიონის ძროხების მორეკვა უბრძანა, თანაც გმირს ეკრძალებოდა მათი მოთხოვნა ან მათთვის საფასურის გადახდა. გერიონი იყო ოკეანიდა კალიროესა და ***ქრისაორის*** ვაჟი, იბერიის ტარტესას მეფე. იგი იმხანად მცხოვრებ ადამიანთა შორ-



*ჰერაკლე და აქელოოსი. სტამნოსის ფერწერა (ძვ.წ. 520-510 წ.წ.). ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი*

ის უძლიერეს კაცად ითვლებოდა, რამეთუ დაიბადა სამი თავით, ექვსი ხელითა და წელთან შეზრდილი სამი ტანით. მის ზანტსა და მეწამულ ძროხებს, უცნაური ალნაგობით გამორჩეულთ, ოკეანის დასავლეთ სამანთან მდებარე კუნძულ ერითიაზე მწყემსავდა ევრიტიონი, არესის ძე, ხოლო დარაჯად ედგა **ტიფონისა** და ექიდნას ნაშობი ქოფაკი **ორთროსი**, რომელიც ადრე თურმე გოლიათ **ატლასის** საკუთრებად ითვლებოდა. ამ შორეულ გზას ჰერაკლე მარტო დაადგა. გადაიარა მთელი ევროპა, აფრიკა, გადალახა ლიბიის უნაყოფო უდაბნოები და ბარბაროსთა ველური სამფლობელობები. ევროპისა და აფრიკის გასაყართან მდებარე სრუტის ორთავე მხარეს თავისი გმირობის უკვდავსაყოფად ორი უზარმაზარი ქვის სვეტი აღმართა, რომელთაც დღემდე ,,ჰერაკლეს სვეტებს“ უწოდებენ. ამის შემდეგ კიდევ დიდი გზა განვლო გმირმა, ვიდრე მარადმღელვარე **ოკეანოსის** ნაპირებს მიაღწევდა. აქ კი ჩაფიქრდა. ალარ იცოდა, საით უნდა წასულიყო, როგორ მიეღწია ერითიის იმ კუნძულამდე, სადაც გერიონი თავის ძროხებს აბალახებდა. სალამოს მწუხრი მიდამოებს ეფინებოდა, როცა გამოჩნდა ჰელიოსის ცეცხლოვანი ეტლი და ტალღებისაკენ დაეშვა. მზის ღმერთის კაშკაშა სხივებმა ჰერაკლე შეაწუხეს. იგი ფეხზე წამოიჭრა და მშვილდი მოზიდა. ,,ეს კი მეტისმეტია“! – წამოიძახა ჰელიოსმა. მიხვდა ჰერაკლე, ვინც იდგა მის წინ და ბოდიში მოიხადა. მზის ღვთაებამ ოქროს ნავი შესთავაზა გმირს კუნძულზე გადასასვლელად. ამ ნავით იგი ოკეანოსის დასავლეთი ნაპირებიდან აღმოსავლეთით მდებარე ოქროცურვილი სასახლისაკენ ყოველ ღამე მიცურავდა ხოლმე. ჰერაკლემ მადლობა გადაუხადა ღმერთს და გაეშურა ერითიისკენ. გზად ტიტანმა ოკეანოსმა მას გამოცდა მოუწყო და ზღვა აალელვა. მაგრამ მოზიდა თუ არა ჰერაკლემ მშვილდი, ზღვა უმალ დაწყნარდა.

ერითიაზე გმირს ახალი ხიფათი ელოდა. მან ძლივს მოასწრო კუნძულზე ფეხის შედგმა, რომ მრისხანე ორთავიანმა ქოფაკმა ორთროსმა სუნი აიღო და ყეფით გამოვარდა. ჰერაკლემ მას თავისი მძიმე კომბლის ერთი დარტყმით სული გააფრთხობინა. ამ ხმაურზე გამოფხიზლდა გერიონის ჯოგების მწყემსი ბუმბერაზი ევრიტიონი. მასაც ქოფაკის ბედი ეწია. ამის შემდეგ ჰერაკლემ უპატრონოდ დარჩენილი ძროხები მირეკა ზღვისპირთან. მენეტოსმა, **ჰადესის** ძროხებს რომ მწყემსდა იქვე, ყველაფერი უამბო გერიონს, რომელიც დაუყონებლივ დაედევნა ჯოგის გამტაცებელს. ზღაპრული ძალის ბუმბერაზთან შესარკინებლად მოემზადა ჰერაკლე. საოცარი რამ იყო ეს გერიონი. იგი ერთდროულად სამ ფარს იფარებდა და სამ უზარმაზარ შუბს სტყორცნიდა ხოლმე თავის მოწინააღმდეგეს. გაუჭირდებოდა გმირ ჰერაკლეს მისი დამარცხება, შემწედ ათენა პალასი რომ არ მოვლენოდა. დაინახა თუ არა ზევსის ძემ სამთავიანი ბუმბერაზი, მოზიდა მშვილდი და მომაკვდინებელი ისარი თვალში მოახვედრა. შემდეგ ისრები სეტყვასავით მიაყარა დარეტდასხმულ ბუმბერაზს მრისხანებით მოქნეული კომბალი მეხივით დაატეხა თავს. მიწას განერთხა გერიონის სამივე ტანი. ასე დაამარცხა იგი ჰერაკლემ და მისი ჯოგი ჰელიოსის ოქროს ნავით კუნძულიდან ხმელეთზე გადაიყვანა, ჩამავალ ღმერთს მადლობა უთხრა, ნახირი წინ გაირეკა და მიკენისაკენ მიმავალ შორეულ გზას დაადგა. მან ნახირი ევრისთევსს მიჰგვარა, რომელმაც დაუხანებლად შესწირა იგი მიხვედრილად ქალღმერთ ჰერას.

### *მეთერთმეტე გმირობა: ჰესპერიდების ვაშლები*

ოდესღაც, ქორწინების ჟამს, ჰერამ დედამიწის ღვთაება გეასგან დიდებული ძღვენი მიიღო: ოქროს ვაშლის ხე, რომელიც თავის ჯადოსნურ ბაღში დარგო. ეს ბაღი ატლასის მთის ფერდობებზე იყო შეფენილი, იქ, სადაც თავის გზას ასრულებდნენ მზის ოქროცურვილ ეტლში შებმული დაღლილი რაშები. ერთხელ ჰერამ აღმოაჩინა, რომ ჰესპერიდებად წოდებული ატლასის ქალიშვილები, რომელთაც ბაღის მოვლა ევალებოდათ, იპარავდნენ ამ ოქროს ვაშლებს. მაშინ დარაჯად დააყენა ტიფონისა და ექიდნას მარადფხიზელი ვაჟი, დრაკონი **ლადონი**. ამ საოცრებას ასი თავი და ასვე ასი მოლაპარაკე ენა ჰქონდა. ატლასი, როგორც ჭეშმარიტი მებაღე, ამაყობდა თავისი ბაღით. ერთხელ **თემისმა** გააფრთხილა: ,,იცოდე, ტიტანო, ზევსის ძეთაგან ერთ-ერთი წაიღებს შენს ოქროს ვაშლებს“! იმხანად ატლასს სასჯელის ნიშნად ჯერ კიდევ არ ედგა მხრებზე ცის თაღი, მან ბაღის ირგვლივ სქელი კედელი აღმართა და თავისი მიწიდან გააძევა უცხოელები.

იცოდა ევრისთევსმა, რომ შეუძლებელი იყო ატლასის ბაღში შეღწევა. სწორედ ამიტომ უბრძანა ჰერაკლეს: ,,მსურს, მომიტანო ჰესპერიდების ოქროს ვაშლები“. არ შეპასუხებია მეფეს ზევსის ძე, მან არ იცოდა, საით უნდა აელო გეზი. გადაიარა ილირია და გაემართა მდინარე პოსკენ, სადაც ცხოვრობდა ზღვის გრძნეული ღმერთი **ნერევსი**. გზად არესის ძე კიკნოსი შემოეყარა, რომელმაც იგი ორთაბრძოლაში გამოიწვია. შეებნენ კიდეც გმირები ერთმანეთს, მაგრამ ზევსმა მათ შორის კვერთხი დაჰკრა და ბრძოლა შეწყვიტა. ჰერაკლემ თავისი გზა განაგრძო. მდინარე პოს სანაპიროზე **ნიმფებმა** მას მძინვარე ნერევსი დაანახვეს. ჰერაკლემ იგი შეიპყრო და აიძულა ეთქვა, თუ როგორ მოეპოვებინა ოქროს ვაშლები. ნერევსმა ურჩია, თავად კი არ მოეპარა ეს ხილი, არამედ ამის გაკეთება ატლასისათვის ეთხოვა მძიმე ტვი-



*ჰერაკლე და დეიანირა. პელიკეს ფერწერა (დაახ. ძვ.წ. 475 წ.). პარიზი. ლუვრი.*

რთისგან – ცის თაღიდან – მცირე ხნით განთავისუფლების სანაცვლოდ. როგორც კი მიაღწია ჰერაკლემ ჰესპერიდების ბაღს, დაინახა ბუმბერაზი ატლასი, რომელსაც მხრით ცის კაბადონი ეკავა. გმირი მიუახლოვდა მას და სთხოვა, მოეტანა ჰესპერიდების ბაღიდან სამი ოქროს ვაშლი. რას არ გააკეთებდა ატლასი, ოღონდ მცირე ხნით მაინც მოეპოვებინა თავისუფლება. ოდეს გაიგო, რომ ჰერაკლე თანახმა იყო დაეჭირა უმძიმესი ზეცა ღმერთებით, უმალ დასთანხმდა, ოღონდ ლადონის ეშინოდა. მაშინ ჰერაკლემ თავისი ისრით განგმირა ბაღის მარადფხიზელი დარაჯი და განიერ მხრებზე შეიდგა ზეცა. გახარებული გაემართა ატლასი ბაღისკენ და სამი ვაშლით, რომელიც მისმა ქალიშვილებმა მოუწყვიტეს, დაბრუნდა უკან. თავისუფლება მას ისე სურდა, რომ ჰერაკლეს ასეთი რამ შესთავაზა: ,,თუ რამდენიმე თვეს ჩემს მაგივრად დაიჭერ ზეცას, თავად წავუღებ ვაშლებს ევრისთევსს“. ნერევსის რჩევა გაიხსენა გმირმა ჰერაკლემ, ყურად არ ეღო ატლასის თხოვნა. მან თავი ისე მოაჩვენა გოლიათს, თითქოს თანახმა იყო: ,,კარგი, წაიღე – ასე მიუგო, – ოღონდ ჯერ დამეხმარე, ბალიშები დავიდო მხრებზე, რომ ზეცის თაღის დაჭერა შევძლო ხანგრძლივი დროით“. მოტყუვდა გულუბრყვილო გოლიათი. ვაშლები მიწაზე დადო და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა – ცის სიმძიმეს შეეყუდა. ხოლო ჰერაკლემ ხელი დაავლო თავის მშვილდს, კაპარჭს, კომბალს, ოქროს ვაშლებს და ატლასს ამ სიტყვებით გამოემშვიდობა: ,,მე მეკავა ეს ზეცის თაღი, ვიდრე შენ ვაშლებს მოიტანდი. მისი სიმძიმის მარად ზიდვას კი არ ვაპირებ“. ეს თქვა თუ არა, გზას გაუდგა, მაგრამ მოკლე გზით არ წასულა. თავდაპირველად გაემართა ლიბიისაკენ, სადაც მეფობდა ანტეოსი, პოსეიდონისა და გეას ძე. მას ჩვევად ჰქონდა შებრძოლება უცხოელებთან, ხოლო შემდეგ კი მათი მოკვლა. ანტეოსს ძალას ანიჭებდა დედამიწასთან შეხება. მის მსხვერპლთა თავის ქალებით იყო მოფენილი პოსეიდონის ტაძარი. ეს ბუმბერაზი ცხოვრობდა მაღალი კლდის გამოქვაბულში, იკვებებოდა ლომის ხორცით და ეძინა შიშველ მიწაზე, რათა არა მხოლოდ შეენახა, არამედ უფრო გაეზარდა თავისი ისედაც დაუოკებელი ძალა. გეას თავის შვილებში გამორჩეულად უყვარდა იგი. გაუჭირდებოდათ გამარჯვება ოლიმპოსის მაღალ ბინადართ, ანტეოსს რომ ებრძოლა მათ წინააღმდეგ ფლეგრეს ველებზე.

ორთაბრძოლის წინ მეტოქეებმა ტანთ გაიძარცვეს. ჰერაკლემ სხეული, ოლიმპიური წესის თანახმად, ზეთით დაიზილა, ანტეოსმა კი ცხელი ქვიშა მიიყარა ფეხებზე, მიწა რომ უფრო კარგად შეეგრძნო. ჰერაკლეს სურდა, თავისი ძალები დაეზოგა, ანტეოსი კი – მოექანცა. გაოცდა გმირი, ოდეს იხილა მიწაზე დაგდებული, ქანცგაწყვეტილი ანტეოსი როგორ იკრებდა ძალას. ეს, რა თქმა უნდა, მისი დედის დამსახურება იყო. წამოიმართა ანტეოსი, მაგრამ მალე უკვე თავისით დავარდა მიწაზე. მიხვდა ჰერაკლე, რომ ბუმბერაზი მიწიდან უნდა მოეწყვიტა. ასეც მოიქცა, ზეაღმართა, ნეკნები დაუმტვრია და ასე ეჭირა მანამ, ვიდრე სული არ ამოჰხადა. ბევრი ეცადა გეა, მაგრამ ვერაფერი იღონა ჰერაკლეს წინააღმდეგ.

ზევსის ღვთაებრივმა ძემ გზა განაგრძო სამხრეთისაკენ და ეგვიპტეში დააარსა ქალაქი თებე. თუმცა იმასაც გადმოგვცემენ, ამ ქალაქს ***ოსირისმა*** ჩაუყარაო საფუძველი. მაშინ ეგვიპტის მეფე იყო ოსირისის ძმა ბუსირისი. იმხანად მის სამეფოში მძვინვარებდა გვალვა, შიმშილი. კვიპროსიდან მოსულმა მისანმა, თრასიასმა, უწინასწარმეტყველა მეფეს, რომ შეწყდებოდა ეს უბედობა, თუკი ყოველწლიურად ზევსს შესწირავდნენ თითო უცხოელს. ბუსირისმა ეს მსხვერპლშეწირვა თრასიასით დაიწყო და გააგრძელა მანამ, ვიდრე ჰერაკლე არ გამოეცხადა. მას, ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილს, ნილოსის ხეებით დაჩრდილულ ნაპირებთან ჩასძინებოდა. ბუსირისმა შეიპყრო იგი და მიიყვანა ზევსის საკურთხეველთან, რათა მსხვერპლად შეეწირა. ჰერაკლემ თავი გაითავისუფლა, იქვე განგმირა ბუსირისი, მისი ძე ამფიდამასი და ყველა ქურუმი, ვინც მსხვერპლშეწირვას ესწრებოდა. ასე დაისაჯა ეგვიპტის ულმობელი მეფე.

ბევრი იარა ჰერაკლემ ვიდრე მიაღწევდა კავკასიონის მაღალ მწვერვალებს. აქ ერთ-ერთ კლდეზე მრავალი წლის განმავლობაში მიჯაჭვული იყო პრომეთე, რომელსაც ყოველდღე ღვიძლს უძიძგნიდა არწივი, ღამღამობით კი მტანჯველი წყლული უშუშდებოდა. ზევსს უკვე დიდი ხანია სურდა მისი გათავისუფლება. მაგრამ ასე იყო ნა-

თქვამი: პრომეთეს ტანჯვა უნდა გაგრძელებულიყო მანამ, ვიდრე უკვდავთაგან ვინმე საკუთარი ნებით მის მაგივრად არ ჩავიდოდა ჰადესის პირქუშ სამეფოში. ჰერაკლემ გაახსენა ზევსს, რომ კენტავრი ქირონი, რომელსაც უზომოდ აწუხებდა განუკურნებელი იარა, დიდი ხანია ნატრობდა სიკვდილს. აღარაფერი ედგა წინ პრომეთეს ხსნას. ჰერაკლემ თავისი ისრით მოკლა არწივი და ასე გაათავისუფლა ტიტანი.

შემდეგ ზევსის ძემ მიკენისაკენ აიღო გეზი. ოქროს ვაშლები მიუტანა მეფე ევრისთევსს, რომელმაც ვერ გაბედა მათი აღება. ჰერაკლემ ხილი ათენას უძღვნა, მან კი ისინი კვლავ ჰესპერიდებს დაუბრუნა.

### *მეთორმეტე გმირობა: კერბეროსი*

ჰერაკლეს მიერ აღსრულებულ გმირობათაგან მეთორმეტე, კერბეროსის დატყვევება, ურთულესი იყო. იმხანად მიწისქვეშა სამყაროს, ჰადესის კარიბჭეს დარაჯობდა ტიფონისა და ექიდნას ვაჟი, საზარელი ურჩხული კერბეროსი. ეს იყო უზარმაზარი ძაღლი, რომელსაც სამი თავი ჰქონდა. მის კისერზე გველები იკლაკნებოდნენ, ხოლო კუდი ხახადაღრენილი გველეშაპის თავით უმთავრდებოდა. კერბეროსი ჰადესში ყველას უშვებდა, იქიდან კი – არავის. სწორედ ამ ძაღლის მოყვანა უბრძანა მეფემ ჰერაკლეს.

ჰადესში ჩაშვების წინ გმირი უნდა განწმენდილიყო. ამიტომ ჰერაკლე თავდაპირველად გაემართა ელევსინისკენ, რათა მისტერიას ზიარებოდა.

განწმენდილი ჰერაკლე გაემართა ჰადესისაკენ. იგი ჩავიდა ლაკონიაში და ტენარონის კონცხის მრუმე ნაპრალიდან დაეშვა მიწისქვეშეთში. მას წინ მიუძღოდნენ და მძიმე გზას უიოლებდნენ ათენა და ***ჰერმესი***. ჰერაკლეს მრისხანე მზერით დაშინებულმა ***ქარონმა*** ისე გადაიყვანა გმირი მდინარე ***სტიქსის*** მეორე ნაპირზე, რომ საზღაურიც არ უთხოვია. როდესაც ჰერაკლემ შეაბიჯა ჰადესის სამფლობელოში, მიცვალებულთა შეშინებული სულები, ***მელეაგროსისა*** და ***გორგო მედუზას*** გარდა, აქეთ-იქით გაიფანტნენ. მედუზას დანახვისთანავე იშიშვლა ხმალი ჰერაკლემ, მაგრამ ჰერმესმა დაარწმუნა იგი, რომ მის წინაშე მხოლოდ უსხეულო აჩრდილი იდგა. ახლა მელეაგროსს დაუმიზნა ისარი გმირმა, მაგრამ აჩრდილმა გაუღიმა და ასე მიმართა: „როდი არიან საშიშნი მიცვალებულნი...“, შემდეგ მათ მეგობრული ბაასი იწყეს. ბოლოს მელეაგროსმა სთხოვა ჰერაკლეს მისი დაობლებული და, ***დეიანირა***, შეერთო ცოლად და მფარველობა გაეწია. ჰერაკლემ მეგობარს აღუთქვა, რომ სათხოვარს აღასრულებდა და დაედევნა წინ მიმავალ ჰერმესს.

ჰადესის სამეფოს კარიბჭესთან ზევსის ძემ თვალი მოჰკრა მივიწყების ტახტზე მიკრულ გმირებს – თესევსსა და ***პირითოოსს***. ისინი თან ახლდნენ მას ამორძალების სამეფოში ლაშქრობისას. გაოცდა ჰერაკლე. „რა ჩაიდინეთ, ღმერთებმა რომ ასე დაგსაჯეს?“ – იკითხა მან და ეს შეიტყო: პირითოოსს თესევსის დახმარებით ჰადესის მეუღლის, ***პერსეფონეს*** მოტაცება განუზრახავს. ეს ამბავი რომ გაიგო ღმერთმა ჰადესმა, ორივე გმირი მივიწყების ტახტს მიაჯაჭვა თავისი სამფლობელოს შესასვლელთან. ჰერაკლემ ძლივს ააგლიჯა ტახტს თესევსი, ხოლო როდესაც პირითოოსის წამოყენება სცადა, მიწა შეირყა. მიხვდა ზევსის ძე, რომ თავად ღმერთებს არ ეწადათ მეფის გათავისუფლება და მიატოვა მიჯაჭვული ჰადესის კართან. შემდეგ გადააგორა ლოდი და ორმოდან ამოიყვანა დემეტრეს მიერ დასჯილი ასკალაფოსი. მწყემსმა მენეტოსმა კი ორთაბრძოლაში გამოიწვია გმირი, რომლის მკლავებში მომწყვდეულს კინაღამ ყველა ნეკნი დაემსხვრა. ამ დროს სასახლიდან გამოვიდა პერსეფონე და სიყვარულით მიესალმა მეხთამტყორცნელი ზევსის დიად ძეს. ბნელით მოცულ სამფლობელოში ასე უშიშრად დაშვებულს. მან სთხოვა ჰერაკლეს მოწყალება გამოეჩინა მენეტოსისადმი. გამოჩნდა სულთა სამეფოს მბრძანებელიც. მან დამზრალი მზერა მიაპყრო თავის სტუმარს, სალამი უძღვნა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. „ნუ განმირისხდები კადნიერი თხოვნისთვის – მიმართა მას ჰერაკლემ – მოგეხსენება, ოლიმპოსის ღმერთების ნებით ევრისთევსს რომ ვემსახურები. ნაბრძანები მაქვს ჰადესის მცველი კერბეროსი მიკენში ჩავიყვანო“. დიდმა ჰადესმა გმირს მიუგო: „თუკი კერბეროსს უიარაღოდ დაიმორჩილებ, თუ მოერევი, ნებას გრთავ, რომ მიჰგვარო იგი ევრისთევსს“.

ჰერაკლე ძაღლის საძებნელად გაემართა. დიდხანს იარა, ბოლოს მიაგნო ***აქერონის*** სანაპიროსთან. მიეპარა და მძლავრი მკლავები შემოაჭდო კისერზე, რომელზეც სამი თავიება. საოცარი ხმით დაიღრინა ჰადესის ძაღლმა. მიწისქვეშეთი შეზანზარდა. ბეწვის მაგივრად მას სხეულზე გველები წამოეშალნენ. კუდით ფეხებზე შემოეჭდო და გველეშაპის ყბებით სხეულში ჩააფრინდა ძაღლი ჰერაკლეს. მაგრამ ამაოდ. ისეთი ძალით მოუჭირა გმირმა მკლავები, რომ კინაღამ გაგუდა. კერბეროსს ძალა დაეკარგა და ძირს დავარდა. ჰერაკლემ იგი მოასულიერა, კისერზე მძიმე ჯაჭვი შეაბა და ჰადესის სამფლობელოდან ამოიყვანა. ძაღლი უძალიანდებოდა, თვალს არიდებდა დღის სინათლეს, სამმაგი ყეფით აყრუებდა ირგვლივ მიდამოს, დაღრენილი ლაშებიდან დუჟი გადმოსდიოდა. დედამიწაზე, სადაც მისი დუჟი იღვრებოდა, შხამიანი ბალახები ამოდიოდა.

როცა ჰერაკლემ კერბეროსი მიკენში ჩაიყვანა, ევრისთევსი მსხვერპლშეწირვის რიტუალს აღასრულებდა. საშინელი ძაღლის დანახვაზე იგი შეძრწუნდა და სთხოვა დიდ გმირს, დაებრუნებინა ეს ურჩხული თავის სამკვიდრებელში. ჰერაკლემ ეს ბოლო სურვილიც აღუსრულა მეფეს და თავის მშობლიურ თებეს ეწვია.

### *ჰერაკლეს თავგადასავალი საგმირო საქმეთა აღსრულების შემდეგ*

ერთხანს მშვიდად ცხოვრობდა ჰერაკლე, მაგრამ მისი სული ვერ ისვენებდა, კვლავაც დიადი საქმეებისკენ ისწრაფოდა. იმხანად მე-



*სამფეხის გატაცება: აპოლონი მისდევს ჰერაკლეს (ძვ.წ. 520 წ.). ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმი.*

გარას ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა. ჰერაკლე თვლიდა, რომ მათი ქორწინება არ იყო ბედნიერი, ამიტომ იხმო თავისი ნათესავი და ერთგული თანამებრძოლი, მეეტლე *იოლაოსი*, თექვსმეტი წლის მშვენიერი ჭაბუკი, და მეგარა მიათხოვა. თავად კი სხვა ცოლის ძიებას შეუდგა.

კუნძულ ევბეაზე, ქალაქ ექალიაში მეფობდა მთელს საბერძნეთში სახელგანთქმული მოისარი ევრიტოსი. თვით ისართმტყორცნელი ღმერთი აპოლონი იყო მისი მოძღვარი, მშვილდი და ისრებიც მან უბოძა. სიყმაწვილეში ჰერაკლესაც ევრიტოსი ასწავლიდა მშვილდოსნობას. ამ მეფეს ჰყავდა ულამაზესი ქალიშვილი იოლე, რომელიც უბრალო მოკვდავისათვის არ ემეტებოდა. ევრიტოსმა მთელს სამეფოში გამოაცხადა, რომ მშვენიერი იოლეს ქმრობის ღირსი მხოლოდ ის იქნებოდა, ვინც მას, მეფეს, მშვილდოსნობაში დაამარცხებდა. ეს რომ ჰერაკლემ გაიგო, ექალიისკენ ისწრაფა. მან დაამარცხა ევრიტოსი, მაგრამ მეფემ პირობა არ შეასრულა, ვინაიდან გაგონილი ჰქონდა, თუ როგორ ამოხოცა ჰერაკლემ შვილები. ევრიტოსმა ეს საბაბად გამოიყენა და, დაივიწყა რა სტუმართმოყვარეობის წმინდა წესი, გმირს ასეთი სიტყვებით მიმართა: „შენ ვერასოდეს დამამარცხებდი მშვილდოსნობაში, რომ არ გქონოდა ჯადოსნური ისრები, რომლებიც თავად მიემართებიან მიზნისაკენ. ეს შერკინება უსამართლოა. მე ვერ ვანდობ ჩემს უსაყვარლეს ასულს შენნაირ ბოროტმოქმედს. გარდა ამისა, შენ მონა ხარ მხდალი ევრისთევსისა და თავისუფალი ადამიანისაგან მხოლოდ სიძულვილს იმსახურებ!" მეფემ სანადიმო სუფრასთან მჯდომ ჰერაკლეს ნადიმი შეაწყვეტინა და სასახლიდან გააგდო. სულის სიღრმემდე შეძრა გმირი მეფის სიტყვებმა. ხმა არ ამოუღია, ისე დატოვა ექალია, თუმც დაიფიცა, რომ ოდესმე შურს იძიებდა.

გავიდა ხანი. მეფე ევრიტოსს დაეკარგა ჯოგი, რომლის ქურდობაც ჰერაკლეს დააბრალა. მისმა უფროსმა ძემ, იფიტოსმა, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა ეს ამბავი. მან ამ ჯოგის პოვნაც კი იდვა თავს, რათა მეგობარი გაემართლებინა. სინამდვილეში აი, რა მოხდა: ეს ჯოგი ჰერმესის ძემ, ბერძენთა შორის უცბიერესმა *ავტოლიკოსმა* მოიპარა. მას მამისგან ჰქონდა ნასწავლი გაიძვერობა და ამის გამო დახელოვნებულ ქურდად ითვლებოდა. შეეძლო სასურველი სახის მიღება, საგნების გაუჩინარება ან გარდასახვა. ეს ის ავტოლიკოსია, ჰერაკლეს რომ ბრძოლის ხელოვნებას ასწავლიდა ყმაწვილობის ჟამს. მან სახე შეუცვალა ევრიტოსის ჯოგს და მიჰყიდა ჰერაკლეს, რომელმაც არა უწყოდა რა ამ საქმისა. იფიტოსი გაჰყვა ჯოგის კვალს, რომელმაც იგი მიიყვანა ქალაქ ტირინსში. მაინც დაეჭვდა ევრიტოსის ძე. იგი პირისპირ შეეყარა ჰერაკლეს, რომელმაც ის–ის იყო იხსნა *ალკესტისი* და დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში. იფიტოსმა განიზრახა გამოეკითხა თავისი მეგობრისათვის ჯოგის ამბავი. ჰერაკლემ მას დახმარება აღუთქვა და შინ მიიწვია სტუმრად. ბოლოს მიხვდა, რომ იფიტოსსაც შეჰპარეოდა ეჭვი მის გულწრფელობაში და საშინლად განრისხდა. ნადიმის შემდეგ ჰერაკლემ სტუმარი ტირინსის ყველაზე მაღალ კლდეზე აიყვანა და ჰკითხა: „მიმოიხედე, შენი ჯოგის მსგავსს ხედავ რამეს?" „ვერა, ვერ ვხედავ", – მიუგო მას იფიტოსმა. „ჰოდა, შენს გულში ამაოდ მდებდი ბრალს ქურდობაში!" – წამოიყვირა მძვინვარებისგან გონგადასულმა ჰერაკლემ და იფიტოსი კლდიდან გადაჩეხა. როდესაც გმირი გონს მოეგო, თავზარდაცემული დაეშვა ხევში მეგობრის გადასარჩენად, იპოვა კიდეც, მაგრამ საბრალო ჭაბუკი უსულოდ ეგდო მიწაზე. ამ უნებლიედ ჩადენილი მკვლელობით ჰერაკლემ განარისხა კანონიერების დამცველი ზევსი, რადგანაც დაარღვია სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობის წმინდა წესები. სასჯელის ნიშნად ღმერთთა მეუფემ მას მძიმე სენი შეჰყარა.

ჰერაკლე პილოსის მეფე ნელევსისაკენ გაეშურა და სთხოვა ცოდვათაგან განწმენდის წესისგების აღსრულება. ნელევსმა იგი უარით გაისტუმრა იმ მიზეზით, რომ ევრიტოსი მისი მოკავშირე იყო. მხოლოდ ნესტორმა, ნელევსის უმცროსმა ვაჟმა, მიიღო იგი. მან დაიყოლია დეიფობოსი, მონაწილეობა მიეღო ჰერაკლეს განწმენდაში. ქალაქ ამიკლეში აღასრულეს ეს წესისგება. მაგრამ ზევსის ძეს კვლავ აწამებდნენ ღამეული მოჩვენებანი.

სნეულებით გაწამებულმა ჰერაკლემ გადაწყვიტა *დელფოში* წასულიყო, რათა *ორაკულისათვის* ეკითხა, როგორ ეხსნა თავი ზევსის სასჯელისაგან. მაგრამ პითიამ ტაძრიდან გააგდო მეგობრის სისხლით წაბილწული ჰერაკლე. შეურაცხყოფილმა გმირმა ტაძრიდან გაიტაცა მაგიური სამფეხი, რომელზედაც იჯდა ხოლმე პითია წინასწარმეტყველებისას. განრისხდა აპოლონი, მსგავსი რამ ღმერთსაც არ უკადრებია მისთვის. მძვინვარე სახით გამოეცხადა ჰერაკლეს და სამფეხის დაბრუნება უბრძანა. ასე მიუგო მას გმირმა: „მე ჩემი ნებით როდი ვცოდავ, მაღალი ძალა მაიძულებს, ჩავიდინო დანაშაული. მე ხომ თავადაც ვიტანჯები. განა გონება დაბინდული არ მქონდა მაშინ, როცა დავხოცე ჩემი და ჩემი ძმის შვილები. მერე ევრისთევსს ვემსახურე მრავალი წელი ღმერთების ნებით, და ყველა ცოდვა გამოვისყიდე. ახლა ჩემს ერთგულ მეგობარს, იფიტოსს, განა სასიკვდილოდ გავწირავდი, ღვთაებრივ ძალას გონება რომ არ დაებნელებინა. მამაჩემმა, ღმერთთა მეუფემ, დამსაჯა და ღირსიც ვიყავი. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. მსურდა ცოდვა კვლავ გამომესყიდა. შენთან მოვედი, რათა ხსნის გზა გესწავლებინა, შენც გამწირე, შეურაცხმყავი და ახლა კი მასხარად მიგდებ, რისხვით მიბრძანებ, დაგიბრუნო ოქროს სამფეხი. დიადო ღმერთო, ბრძოლაში გიწვევ!"

არ მოელოდა ისართმტყორცნელი დიდი ღმერთი ამ გამოწვევას. მხრებზე ლამაზად შეფენილი ოქროს კულულები შეარხია და მძლეთამძლე გმირთან შესაბმელად მოემზადა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ქარიშხალთა შეხლას მოჰგავდა მათი ჭიდილი. ამ საოცრების მხილველმა მზე-ჰელიოსმაც შეაყენა თავისი რაშები, მიწა გმინავდა მათ ფერხთა ქვეშ, დუღდა ჰაერი. ზევსი საწვიმრად გამზადებული ღრუბლებიდან უმზერდა ამ ორთაბრძოლას. შერკინებულებს ოლიმპოსიდან მოციმციმე ელვა სტყორცნა და გააშველა. ძმები შერიგდნენ. თავისი ხელით მიიტანა ჰერაკლემ ოქროს სამფეხი აპოლონის მაღალ ტაძარში და პითიასგან მოისმინა ასეთი წინათქმა: „განიკურნები, მხოლოდ მას შემდეგ, თუ მთელი წელი დაუდგები მეფეს მოჯამაგირედ, ხოლო აღებულ თანხას მისცემ იფიტოსის შვილებს". შექანდა ჰერაკლე, თითქოს ფერხთა ქვეშ მიწა გამოეცალაო, მაგრამ იკითხა: „ვის უნდა ვემსახურო?" „ლიდიის დედოფალი *ომფალე* გიყიდის შენ!" – ასეთი იყო მისნის პასუხი. „თანახმა ვარ, – აღმოხდა დიდ გმირს, – მაგრამ დადგება დრო და იმ ადამიანს, ვისთვისაც ასე ვიტანჯები, მონად გავყიდი, და უფრო მეტიც, ამ ხვედრს მთელი მისი ოჯახი გაიზიარებს!"

შერისხული გმირი ჰერმესმა წაიყვანა აზიაში და გაყიდა ვითარცა უსახელო მონა. მანვე გადასცა ვერცხლის სამი ტალანტი იფიტოსის ობლებს. მაგრამ ევრიტოსმა არ მიიღო ეს თანხა და თავის შვილიშვილებს მოუწოდა, შური ეძიათ მამის მკვლელობისათვის. რა ბედი ეწიათ ვერცხლის ტალანტებს, ჰერმესის გარდა არავინ იცის.

ჰერაკლე იყიდა ლიდიის დედოფალმა ომფალემ, ტმოლოსის ქვრივმა. მას მოეწონა უბრწყინვალესი აღნაგობის ეს მამაკაცი და მისი სახით შეიძინა მონა კი არა, საყვარელი. ომფალემ ჰერაკლესაგან შვა სამი ძე: ლამოსი, აგელაოსი და ლაომედონი. ამპარტავანი იყო ლიდიის დედოფალი. მას სიამოვნებას ჰგვრიდა მძლეთამძლე გმირზე მბრძანებ-

ლობა. იგი ზევსის ძეს ქალის სამოსელს აცმევდა და აიძულებდა ჯარატართან დგომას, რთვასა და ქსოვას. გმირი, რომელმაც მძიმე კომბლით ლერნეს ჰიდრას თავი გაუპო, პადესიდან ამოიყვანა შემზარავი ქოფაკი, ხელით მოგუდა ნემეას ლომი და თავისი მხრებით დაიკავა ცის მძიმე თაღი, გმირი რომელიც თავად ღმერთებს შებრძოლებია, რომლის სახელის ხსენებაზეც ძრწოდნენ თავად ბუმბერაზები, ახლა წელში მოხრილი იჯდა ჯარატართან და ძაფს რთავდა იმ ხელით, რომლითაც ნაჩვევი იყო მშვილდის მოზიდვას, ხმლის ქნევასა და კომბლის ბზრიალს. ომფალე კი ოქროს აბჯარზე შემოისხამდა ხოლმე გმირის ლომის ტყავს, რომელიც სანახევროდ მიწაზე დასთრევდა, შემოირტყამდა მის ხმალს, ძლივსძლივობით აიკიდებდა მხარზე მძიმე კომბალს და ასე გამოწყობილი ტმოლოსის ვენახში მიაბიჯებდა.

ეს ამბები ბერძნებს უამბო პანმა, რომელსაც ასეთი რამ შეემთხვა: ერთხელ ომფალე მონა–ჰერაკლეს თანხლებით ტმოლოსის ხეივანში სეირნობდა. პანმა თვალი ჰკიდა თუ არა დედოფალს, მყის შეუყვარდა. დაემშვიდობა მთის ნიმფებს და სათაყვანებელ არსებას გამოეკიდა ამ სიტყვებით: „ახლა მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი გული!“ ამასობაში ჰერაკლე და მისი მბრძანებელი ერთ მღვიმეს მიადგნენ. იქ მათ აზრად მოუვიდათ სამოსის გამოცვლა. ვახშმის შემდეგ ორივენი ძილს მიეცნენ. შუაღამისას მღვიმეში შეიპარა პანი. მან, თავისი აზრით, ომფალეს სარეცელს მიაგნო, აცახცახებული ხელით გადასაფარებელი ასწია და შიგ მოკალათდა. სინამდვილეში იქ იწვა დედოფლის სამოსში გამოწყობილი ჰერაკლე. მან გაიზმორა და ისე გაჰკრა ფეხი პანს, რომ მღვიმის მეორე ბოლოში მოისროლა. ხმაურზე ომფალესაც გამოეღვიძა. როდესაც ჩირაღდნები აანთეს და ყველაფერი გაცხადდა, ბევრი იცინეს მღვიმის სტუმრებმა. იმ დღიდან ვერ იტანდა პანი ტანსაცმელს, ვედარც ჰერაკლეს, რომელსაც გაუვრცელა ხმა, რომ თითქოს გმირს სიამოვნებას ჰგვრიდა ქალის სამოსით სიარული.

იმ საქმეთა შორის, რომელიც ჰერაკლემ ომფალეს კარზე ყოფნისას აღასრულა, იყო კეკროპთა დატყვევებაც. მაინც ვინ იყვნენ კეკროპები? ოკეანოსის და *თეას* ტყუპი ვაჟები, საქვეყნოდ ცნობილი მატყუარები და ოინბაზები. ისინი დაეხეტებოდნენ დედამიწის ზურგზე და ახალ–ახალ ოინებს იგონებდნენ. თეა ურჩევდა მათ, შორს დაეჭირათ თავი ჰერაკლესაგან. ანდაზად იქცა მისი გამოთქმა: „ჩემო პატარა თეთრგავიანებო, მოგიწევთ თქვენ დიდ შავ გავასთან შეხვედრა!“ ყურად არ იღეს კეკროპებმა დედის სიტყვები. ისინი ბუზებს ემსგავსებოდნენ და ბზუილით ძილს უფრთხობდნენ ბუმბერაზს. ერთხელ ისე მოხდა, რომ გმირს ეფესოსის ჭალის ჩრდილში მშვიდად მიეძინა. მძინარეს ჯუჯა კეკროპები მიეპარნენ და იარაღის მოპარვა მოუნდომეს. ჰერაკლეს სწორედ იმ დროს გამოეღვიძა, როდესაც კეკროპებმა მისი მშვილდი და ისრები დაიტაცეს. ამის მხილველი ზევსის ძე როდი განრისხდა, იოლად შეიპყრო ჯუჯები, ფეხები შეუკრა, მერე გრძელ ჯოხზე თავდაყირა დაჰკიდა და ქალაქისკენ გაემართა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჰერაკლეს დუნდულები, რომელთაც ლომის ტყავი ვერ ფარავდა, მზით ისე გარუჯულიყო, რომ ძველი ტყავის ფარებს მოჰგავდა. მათ ფერს კაკოსისა და კრეტის ხარის ცეცხლოვანი სუნთქვაც დასტყობოდა. ამიტომ ამ სანახაობის მხილველი კეკროპები, რომლებიც თავდაყირა ეკიდნენ, თავშეუკავებლად ხითხითებდნენ. თავდაპირველად მათმა საქციელმა გააოცა ჰერაკლე, ხოლო როდესაც მიუხვდა მიზეზს, კლდეზე ჩამოჯდა და თავადაც კარგად იხალისა. ასე გაითავისუფლეს თავი ონავარმა ძმებმა.

კიდევ მრავალი რამ შეემთხვა ჰერაკლეს ომფალეს კარზე მსახურების ჟამს: ლიდიაში ცხოვრობდა ვინმე სილევსი, რომელიც ყოველ უცხოელს აიძულებდა ემუშავა მის ვენახებში. ჰერაკლემ მას ძირფესვიანად ამოუთხარა ყოველი ვაზი; როდესაც იტონოსის მკვიდრი ლიდიელები თავს დაესხნენ ომფალეს სამეფოს, ჰერაკლემ შემოსეულებს მთელი ნაძარცვი წაართვა, ხოლო მათი ქალაქი აღგავა მიწის პირისაგან; კელენეში ცხოვრობდა მიწათმოქმედი ლიტიერსესი, მეფე მინოსის უკანონო ძე. იგი მგზავრებს შინ იწვევდა და აიძულებდა, შეჯიბრებოდნენ მას მოსავლის აღებაში. თუკი ჩამორჩებოდნენ, როზგებით სცემდა, ხოლო საღამოს წაგებულებს თავებს სჭრიდა და თან სევდიანად მღეროდა. ჰერაკლე ჩავიდა კელენეში. რათა ეხსნა მწყემსი დაფნისი. ჰერმესის ძე, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიარა მისი საყვარელი პიმპლეას ძებნაში და როგორც იყო მიაგნო მას ლიტიერსესის მონათა შორის. როდესაც ამ უკანასკნელმა მოსავლის ასაღებად წაიყვანა დაფნისი, იგი ჰერაკლემ შეცვალა. შეჯიბრი მოიგო, ბოროტმოქმედს თავი მოჰკვეთა, ხოლო სხეული მდინარე მეანდროსში მოისროლა. დაფნისმა კი მიიღო არა მხოლოდ პიმპლეა, არამედ ლიტიერსესის სასახლეც; ბოლოს ლიდიის მდინარე სანგარიოსის სანაპიროზე ჰერაკლემ ისრით განგმირა უზარმაზარი გველი. რომელიც ანადგურებდა მოსავალს და ადამიანებს. მადლიერმა ომფალემ როგორც იქნა, გაიგო, ვინ ჰყავდა მონად. გაათავისუფლა იგი და დიდძალი ძღვენით გაისტუმრა ქალაქ ტირინისში. ზევსმა კი ამ მოვლენის აღსანიშნავად შექმნა თანავარსკვლავედი. რომელსაც „გველთამჭერი“ უწოდა.

მონობისაგან გათავისუფლებული ჰერაკლე მძიმე სენისგანაც განიკურნა. ახლა უკვე მას მოსვენებას არ აძლევდა ტროას მეფე ლაომედონზე შურისძიების სურვილი. მან ხომ თავის ქალიშვილის. ჰესიონეს გადარჩენისთვის შეპირებული მერნები არ მისცა გმირს. უფრო მეტიც. მასხრად აიგდო და ტროადან ისე გაისტუმრა. ჰერაკლეს წყენა გულში ჰქონდა ჩამარხული და სათანადო ჟამს ელოდა შურისგებისთვის. ეს ჟამიც დადგა. ზევსის ძემ დიდძალი ჯარი შეკრიბა და რჩეულ გმირთა თანხლებით ტროასკენ დაიძრა თვრამეტი ხომალდი. ჰერაკლემ იოლად აიღო ტროა. ისრებით განგმირა ლაომედონი და მისი ვაჟიშვილები. შეიწყალა მხოლოდ *პოდარკესი*, რომელიც მამას პირობის აღსასრულებლად მოუწოდებდა. ტროა დაეცა. როდესაც შურისძიების სურვილი დაიცხრო, ჰერაკლემ ტელამონს უბოძა მშვენიერი ჰესიონე, რომელსაც ნება დართო, გამოესყიდა ტყვეთაგან ნებისმიერი. მან პოდარკესი აირჩია. „კარგი! – დასთანხმდა ჰერაკლე, – მაგრამ თავდაპირველად ის უნდა გაიყიდოს, ვით მონა“. ჰესიონემ თავიდან დედოფლის მანდილი მოიხსნა და ჰერაკლეს გაუწოდა, ვით საზღაური ძვირფასი ძმისთვის. სწორედ მას შემდეგ უწოდეს პოდარკეს *პრიამოსი*, ანუ „გამოსყიდული“.

ჰერაკლემ გაუკაცრიელებული ტროა პრიამოსს ჩააბარა, თავად კი სხვა საგმირო საქმეთა აღსასრულებლად გაეშურა თეთრი ხომალდით.

ვიდრე ზევსს ზმანებათა ღვთაების ნებით ეძინა, ჰერამ ბორეასს მოუწოდა. ქარიშხალი გარდმოევლინა, რათა ჰერაკლე დაეღუპა ბობოქარ ზღვაში.

მედგრად ებრძოდა ზევსის ძე მძვინვარე დელგმას.ძლივს მიაღწია კუნძულ კოსის ნაპირებამდე. მაგრამ აქ ახალი საფრთხე ელოდა. კუნძულის მკვიდრებმა იფიქრეს, მეკობრეები დაგვესხნენ თავსო და ქვები დაუშინეს ზვირთებში თეთრად მოქანავე ხომალდს. ჰერაკლემ მაინც შეძლო ნაპირზე გადასვლა, მედგარი ბრძოლა გაუმართა კოსელებს, განგმირა მათი მეფე, პოსეიდონის ძე ევრიპილოსი და მთელი კუნძული დაარბია.

როდესაც ზევსმა გამოიღვიძა და გაიგო, თუ რა საფრთხეში ჩააგდო ჰერამ მისი ძე, განრისხდა. მეუღლე ჯაჭვებით შებოჭა და ცასა და მიწას შორის დაკიდა, ფეხებზე კი ორი მძიმე გრდემლი მიაბა. ყოველ ღმერთს, რომელიც კი გაბედავდა ჰერას გამოქომაგებას,

განრისხებული ზევსი შეუბრალებლად ისროდა ოლიმპოსიდან. იგი დიდხანს ეძებდა ძილის ღვთაება *ჰიპნოსსაც*, რომელსაც *ერებოსის* მარადიულ წყვდიადში გადაგდებით ემუქრებოდა. აღასრულებდა კიდეც მუქარას, მისთვის ღამის ქალღმერთს, *ნიქსს* რომ არ მიეცა თავშესაფარი. ძლევამოსილი ნიქსისა კი ზევსსაც ერიდებოდა. ასეთი მრისხანებით იხსნა ღმერთთა მეუფემ თავისი ძე კუნძულ კოსზე და არგოსისაკენ მიმავალი გზა გაუხსნა.

ათენას რჩევით, ქალკისისაკენ გაეშურა ჰერაკლე. იქ, ფლეგრეს ველზე, ერთმანეთს ებრძოდნენ ღმერთები და *გიგანტები*. ჰერაკლეს დახმარებით ღმერთებმა დაამარცხეს გიგანტები, რითაც წესრიგი დაამყარეს მთელ სამყაროში და განამტკიცეს ზევსის ძალაუფლება.

კიდევ ერთ მეფეზე შურისძიების სურვილით იყო შეპყრობილი ჰერაკლე. ეს ელისის მეფე ავგიასი. მან ხომ თავისი თაელების გაწმენდისათვის შეპირებული გასამრჯელო არ მისცა გმირს. და აი, იმ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ შეკრიბა ტირინსელთა და არკადიელთა ლაშქარი – საუკეთესო ბერძენი გმირები – და გაემართა ელისისაკენ. ავგიასი მზად იყო საბრძოლველად. მან მხედართმთავრებად დანიშნა თავისი ძმის, აკტორისა და მოლიონეს შვილები – ევრიტოსი და კტეატოსი, რომელთაც აკტორიონებს ან მოლიონებს უწოდებდნენ.

ჰერაკლეს ვერ მოუტანა დიდება ელისის ბრძოლამ. იგი ავად გახდა. ამით ისარგებლეს მოლიონებმა და გაანადგურეს მისი ლაშქარი. ამასობაში კორინთოელებმა დრო იხელთეს და დაამყარეს ე.წ. ისთმოსის ზავი. ამ ბრძოლაში დაიჭრა ჰერაკლეს ძმა იფიკლესი. იგი არკადიაში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც გმირად აღიარებული. სამას სამოცი მებრძოლი დაკარგა ჰერაკლემ ელისის მინდვრებზე. ყოველ მათგანს დიდმა გმირმა სათანადო პატივი მიაგო. შემდეგ გაემართა ოლენოსისკენ, სადაც ეწვია თავის მეგობარ დექსამენოსს. იქ მის უმცროს ქალიშვილ *დეიანირასთან* სარეცელი გაიზიარა და ცოლად მოყვანის პირობა მისცა. როცა ჰერაკლე წავიდა, დაიანირას ხელი ითხოვა კენტავრმა ევრიტიონმა, რომელსაც უარი ვერ შეჰკადრა დექსამენოსმა. ქორწინების დღეს მოულოდნელად გამოცხადდა ჰერაკლე, მოკლა ევრიტიონი და მისი ძმები, ხოლო დეიანირა თან წაიყვანა.

როდესაც ჰერაკლე დაბრუნდა ტირინსში, ევრისთევსმა ბრალად დასდო, თითქოს მას სურდა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება და გააძევა არგოლისიდან. ჰერაკლე თავისი ოჯახით გადასახლდა არკადიის თენეოსში, რომლის ველებზეც მრავალი არხი გათხარა. ამ არხებმა ნაყოფიერი გახადეს არკადიის უკაცრიელი მიწები.

ერთხელ ჰერაკლემ შეიტყო, რომ ელისელები მიემართებოდნენ მესამე ისთმოსურ ზეიმზე და რომ მათ შორის იქნებოდნენ მოლიონებიც. იგი ჩაუსაფრდა პროცესიის მონაწილეებს და ამოხოცა ავგიასის მხედართმთავრები. შემდეგ ონკოსს სთხოვა შავფაფრიანი ცხენი არიონი, რომელიც მოათვინიერა, შეაგროვა ახალი ჯარი არგოსში, თებესა და არკადიაში და ქალაქი ელისი დაიპყრო; მოკლა ავგიასი შვილებთან ერთად, ხოლო ტახტი კანონიერ მფლობელს – მეფე ფილევსს დაუბრუნა.

ელისიდან ჰერაკლემ დიდძალი ნადავლი წამოიღო. მან თავი მოუყარა ლაშქარს პისასთან და მამა–ზევსის პატივესაცემად შემდეგ უკვე საყოველთაოდ აღიარებული *ოლიმპიური ასპარეზობანი* დააწესა. დიადმა გმირმა თავად მონახა ზევსის ტაძრისთვის შესაფერისი ადგილი, შემოსაზღვრა წმინდა ჭალა, საკუთარი ნაბიჯებით მოზომა სტადიონი, იქვე მდებარე ბორცვს უწოდა „კრონოსის ბორცვი" და ოლიმპოსის ღმერთებს აუგო საკურთხევლები. არ დაივიწყა თავისი დიდი წინაპარი *პელოფსიც*. მის სახელზე აღმართა სამსხვერპლოცა და საკურთხეველიც.

ზაფხულის ბუნიაობის შემდეგ, მთვარის პირველივე მოვანების ჟამს, დღესასწაულისათვის ყველაფერი უკვე მზად იყო. ოღონდაც ველზე ცოტა იყო ხეცა და ჩრდილიც. მაშინ ჰერაკლემ ისწრაფა *ჰიპერბორეელთა* ქვეყნისკენ, სადაც ოდესღაც ნეტარებდა ზეთისხილის ხეების ჩრდილში. მან აპოლონის ქურუმები დაიყოლია, მიეცათ თუნდაც ერთი ზეთისხილის ხე. შემდეგ დაბრუნდა ოლიმპიაში და ეტოლიელ მსაჯულს უბრძანა, ოლიმპიელი გამარჯვებულისათვის მიენიჭებინა ზეთისხილის რტო. ეს უნდა ყოფილიყო ერთადერთი ჯილდო, რამეთუ თავად ჰერაკლემ ისე აღასრულა თავისი თორმეტი საქმე, რომ გასამრჯელო არ მიუღია ევრისთევსისგან. ამ ხეს, რომელიც ხარობდა ზევსის ტაძრის წმინდა ჭალაში „სამართლიანი დაგვირგვინების ზეთისხილს" უწოდებდნენ. ხოლო გვირგვინებისთვის მას რტოებს ჰკვეცდა წარჩინებული ოჯახის შვილი, რომელსაც მშობლები ცოცხალი ჰყავდა.

როდესაც დაიწყო ასპარეზობა, არავის სურდა ჰერაკლესთან შერკინება. მაშინ თვით ზევსმა სახე იცვალა და ვით მოკვდავი, აღიმართა გმირის წინაშე. საოცარი სანახაობის მომსწრე შეიქნენ მხილველები. ეს დაძაბული შერკინება დიდხანს გაგრძელდა. მამამ და შვილმა გამარჯვება გაინაწილეს. როდესაც ზევსმა თავისი სახე წარმოაჩინა, აღფრთოვანებულ შემძახილებს ბოლო არ ჰქონდა. ეს მოხდა მთვარის მოვანების ჟამს და მთელ სტადიონს სავსე მთვარის ბრწყინვალების ნათელი ადგა.

ოლიმპიური დღესასწაულები იმართებოდა ყოველ ორმოცდაცხრა ან ორმოცდაათ თვეში ერთხელ, გრძელდებოდა ხუთი დღე: თერთმეტიდან თხუთმეტ რიცხვამდე. ამ დროს, მთელი თვის განმავლობაში, მშვიდობა სუფევდა საბერძნეთში. ასპარეზობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა ის ათლეტი, ვისაც რაიმე ცოდვა მიუძღოდა ღმერთის წინაშე. თავდაპირველად დღესასწაულს მართავდნენ პილოსელები. შემდეგ, როდესაც საბოლოოდ დაბრუნდნენ ჰერაკლიდები, მათი ეტოლიელი მოკავშირეები დასახლდნენ ელისში და ამ მოვალეობის აღსრულება მათვე განაგრძეს.

ელისელებს ბრძოლაში ეხმარებოდა პილოსელთა ჯარი. ამიტომ გმირმა მათ წინააღმდეგ გალაშქრებაც გადაწყვიტა. სამართლიანობის მომხრე ათენა მას მფარველობდა, ხოლო ქალაქ პილოსს – ჰერა, პოსეიდონი, ჰადესი და არესი. თავდაპირველად ჰერაკლე პოსეიდონს შეება. მისი კომბალი მოხვდა ღმერთის სამკაპს. განრისხდა პოსეიდონი და თავი დამარცხებულად სცნო. შემდეგ ჰერაკლემ შუბით ისწრაფა ათენას დასახმარებლად და მესამე დაკვრით გააპო არესის ფარი, თავად ღმერთი კი მიწაზე დასცა. იგივე შუბი ჩაარჭო გვერდში და ტკივილისაგან გაწამებული ღვთაება ოლიმპოსისკენ განდევნა. იქ მას აპოლონმა მოუშუშა იარა ერთ საათში. არესი ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნდა და მანამ იბრძოდა, ვიდრე ჰერაკლეს ისარმა მხარი არ გაუხვრიტა. გმირმა ჰერაც დაჭრა მარჯვენა მკერდში „სამწვერა" ისრით.

პილოსელთა მხარეს იბრძოდა ნელევსის ძე, არგონავტი პერიკლიმენოსი. მას პოსეიდონმა უბოძა ძალა და მრავალ სახედ გარდაქმნის უნარი. ამჯერად იგი ჯერ ლომად გარდაისახა, შემდეგ გველად, ბოლოს კი ბუზად თუ ჭიანჭველად. ჰერაკლემ ათენას შემწეობით იცნო პერიკლიმენოსი და კომბალს დასწვდა. მაშინ პერიკლიმენოსი არწივად გარდაისახა და ჰერაკლეს კინაღამ თვალი გამოსთხარა, მაგრამ გმირის მიერ ნასროლი ისარი მოხვდა და განგმირული მიწაზე დაეცა.

ბოლოს და ბოლოს ზევსის ძემ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში.

ჰერაკლემ განიზრახა გაელაშქრა სპარტის წინააღმდეგ და დაესაჯა ჰიპოკოონის ვაჟიშვილები, რომლებმაც არ მიიღეს იგი იფიტოსის გარდაცვალების შემდეგ, უარი თქ-

ეეს მისი განწმენდის რიტუალის აღსრულებაზე და პილოსის ომში ნელევსის მხარეს იბრძოდნენ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემოაკვდათ მისი მეგობარი ოიონოსი. აი, როგორ მოხდა ეს: ლიკიმნიოსის ძე ოიონოსი თან ახლდა რა ჰერაკლეს სპარტაში, ჰიპოკოონის სასახლის წინ სეირნობდა. მას თავს დაესხა უზარმაზარი ძაღლი. თავს რომ იცავდა, ოიონოსმა ქვა მოახვედრა ამ ძაღლს პირდაპირ დინგში. ამ დროს გამოვარდნენ გარეთ ჰიპოკოონის ვაჟები და ჯოხებით დაუწყეს მას ცემა. მაშინ ჰერაკლე ქუჩის მეორე ბოლოს იყო, ისწრაფა ოიონოსის დასახმარებლად, მაგრამ ცოცხალს ველარ მიუსწრო. თავადაც დაჭრეს ხელსა და თეძოში. გმირმა თავი შეაფარა ტეგეას მთასთან აღმართულ ელევსინელი დემეტრეს ტაძარს, სადაც იგი განკურნა ცნობილმა ექიმმა *ასკლეპიოსმა*.

ასე რომ, შეკრიბა რა მცირერიცხოვანი ლაშქარი, ჰერაკლემ გეზი აიღო არკადიის ტეგეასაკენ. იქ კეფევსს სთხოვა, თავის ოც ვაჟთან ერთად შეერთებოდა მის ამალას. თავდაპირველად კეფევსი არ თანხმდებოდა, ეშინოდა რომ მისი ქალაქიც არ ჩაეთრიათ ამ ბრძოლაში. მაშინ ჰერაკლემ ათენას მიერ ნაჩუქარი გორგო მედუზას თმის კულული მისცა კეფევსის ასულ აეროპეს და უთხრა: „თუ მტერი ქალაქს მოუახლოვდება, საკმარისია ქალაქის კედლიდან სამგზის დაანახო მას ეს ხვეული ზურგ შებრუნებით და იგი უმალ უკუუიქცევა". მაგრამ აეროპეს არ დასჭირვებია ეს მაგიური ნივთი.

სამწუხაროდ, კეფევსი და მისი ოცი ძე დაიღუპა ამ ბრძოლაში. ჰერაკლემ კიდევ რამდენიმე მებრძოლი დაკარგა, სპარტელებმა კი – უამრავი, მათ შორის ჰიპოკოონიც თავისი თორმეტი ვაჟით. ქალაქი იერიშით აიღეს. ჰერაკლემ მეფედ დასვა ტინდარეოსი მანამ, ვიდრე მისი შთამომავალი არ მოითხოვდა უფლებას ტახტზე.

ამ ლაშქრობის ჟამს ჰერა არც კი გამოჩენილა. მადლიერების ნიშნად ჰერაკლემ მას სპარტაში აღუმართა საკურთხეველი და თხა შესწირა მსხვერპლად. მანვე აუგო ტაძარი ათენას, ხოლო გზად თერაპნესკენ ასკლეპიოსს უძღვნა სამსხვერპლო.

ჰერაკლემ თენეოსში ოთხი წელი გაატარა. ბოლოს განიზრახა პელოპონესოსის მიტოვებაც. არკადიის მძლავრ ლაშქარს ჩაუდგა სათავეში, ზღვა გადალახა და ეტოლიის კალიდონს მიადგა. ამ დროისთვის მას კანონიერი არც მეუღლე ჰყავდა, არც მემკვიდრეები. ჰერაკლეს მუდამ ახსოვდა ჰადესის სამეფოში დადებული პირობა, ცოლად შეერთო დეიანირა, ოინევსის სავარაუდო ასული. მან ეს მელეაგროსის სულს აღუთქვა. და აი, დადგა ამ პირობის აღსრულების დროც. მრავალი გმირი ითხოვდა ეტოლიის მეფის, ოინევსის ასულის, დეიანირას ხელს. მათ შორის იყო მდინარის ღმერთი *აქელოოსიც*, რომელსაც გარდასახვის უნარი შესწევდა. მეფე ოინევსმა გადაწყვიტა დეიანირა ცოლად იმისთვის მიეცა, ვინც ორთაბრძოლაში გაიმარჯვებდა. სასიძოებმა უარი თქვეს აქელოოსთან შერკინებაზე. მხოლოდ ჰერაკლე შეემზადა მდინარის ძლევამოსილ ღმერთთან საბრძოლველად. როდესაც ისინი პირისპირ დადგნენ, ასე მიმართა ღმერთმა მასთან მებრძოლ გმირს: „ნუთუ გგონია, რომ ზევსისა და ალკმენეს ძე ხარ? მაღალი ზევსი შენი მამა როგორ იქნება?!" – და აქელოოსი მოჰყვა ალკმენეს შეურაცხყოფას.

ჰერაკლემ რისხვის ცეცხლით ანთებული თვალები ღმერთს მიაპყრო და ასე უთხრა: „აქელოოს, შენ ენა გერჩის, მე კი ხელები! ენით გამარჯვება შენი იყოს, მე ამ ხელებით გაეიმარჯვებ!"

დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა იგი მდინარის ღვთაებას და მძლავრი ხელები შემოაჭდო. არ განძრეულა უზარმაზარი აქელოოსი, ისე იდგა, ვით ურყევი კლდე, ზღვის მძვინვარე ზვირთები რომ ეხეთქებიან. სამგზის დაესხა თავს ჰერაკლე ძლევამოსილ ღმერთს. მეოთხედ, ხელიდან რომ დაუსხლტა, ზურგში ჩააფრინდა და მთასავით დადო მიწაზე. დაიძაბა აქელოოსი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იბრძოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო მძლავრად აკრავდა მიწას ზევსის ძე. ამოიგმინა მდინარის ღმერთმა, მუხლები მოხარა და ქედი მოიდრიკა. ბოლოს ხერხს მიმართა: გველად იქცა და გმირს ელვის სისწრაფით დაუსხლტა ხელიდან. ჰერაკლემ გადაიხარხარა და შესძახა: „გველებთან ბრძოლას აკვნიდანვე ვარ ჩვეული! მართალია, შენ სხვა გველებზე დიდი ხარ, აქელოოს, მაგრამ ლერნეს ჰიდრას ხომ ვერ შეედრები. თავს რომ მოვკვეთდი, მის ადგილას ორი თავი ამოსდიოდა, ერთი უკვდავი თავიც ჰქონდა, და მაინც ვძლიე!"

ჰერაკლემ კისერში ჩაავლო ხელი ქვეწარმავალს და ისეთი ძალით მოუჭირა, კინაღამ სული ამოხადა. იგრიხებოდა აქელოოსი, ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ ამაოდ. კიდევ ერთხელ მიმართა ხერხს: ხარად იქცა და კვლავ დაესხა თავს ჰერაკლეს. გმირმა რქებით დაითრია ხარი და მიწაზე დაანარცხა ისეთი ძალით, რომ რქა მოსტეხა. ასე დამარცხდა აქელოოსი და მდინარეში მიიმალა.

მეფე ოინევსმა კი ჰერაკლესა და დეიანირას დიდებული ქორწილი გადაუხადა.

დიდხანს არ დარჩენილა ჰერაკლე მეფის კარზე. მალე თავის მეუღლესთან ერთად მშობლიური ტირინსისაკენ გაეშურა. გზად მდინარე ევენოსს მიადგა. აქ იგი შეხვდა კენტაერ *ნესოსს*, რომელსაც მგზავრები ზურგით გადაჰყავდა. მან ჰერაკლესაც შესთავაზა თავისი სამსახური, სულ მცირე საზღაურის ფასად დეიანირას გადაყვანა ითავა. ჰერაკლემ გადაუხადა, რაც ითხოვა. კომბალი და მშვილდი მეორე ნაპირზე გადაისროლა და აღელვებულ მდინარეში გადაეშვა. ხოლო ნესოსმა სიტყვა გატეხა და საწინააღმდეგო მხარეს გაცურა. როდესაც ნაპირს მიაღწია, დეიანირას მიუალერსა. ქალმა შეჰკივლა. მეორე ნაპირზე გასულ ჰერაკლეს ესმა მისი ხმა და მრისხანებით ზე-წამოიჭრა. მშვილდი მოზიდა და დაჭიმული ლარიდან მომაკვდინებელი ისარი სტყორცნა კენტაერს. ჩაიმუხლა სასიკვდილოდ დაჭრილმა ცხენ-კაცმა. ნაკადულივით მოჩქეფდა მისი იარიდან ჰიდრას შხამნარევი სისხლი. ნესოსმა სიკვდილის წინ შურისძიება განიზრახა და საბედისწერო სიტყვებით მიმართა დეიანირას: „შენ ხარ ჩემი უკანასკნელი მგზავრი ევენოსის მღვრიე ტალღებში! შენმა მშვენებამ მომხიბლა აღსასრულის წინ. ჩემს სისხლს ხომ ხედავ, წყაროსავით რომ მოჩქეფს. თუ ამ სისხლს შეურევ თესლს, რომელიც მიწაზე დაეღვარე, დაუმატებ ზეითუნის ზეთს და მიღებულ ნარევს მალულად წაუსვამ ჰერაკლეს სამოსს, არასოდეს გადაგიყვარებს იგი".

ნესოსი მოკვდა. დეიანირამ მისი სისხლის წვეთები და მიწად დაღვრილი თესლი ერთმანეთს შეურია, დამალა ყუთში და ჰერაკლესთან ერთად გაუყვა გზას ტირინსისაკენ. მან ჰერაკლეს უშვა ოთხი ძე და ერთადერთი ქალიშვილი *მაკარია*.

ერთხელ ჰერაკლე ეწვია ქალაქ იტონოსს, სადაც იდგა ათენას უძველესი ტაძარი. იქ ცხოვრობდა კიკნოსი, არესის ძე. იგი სტუმრებს სთავაზობდა შეჯიბრს ეტლით სრბოლაში. გამარჯვებულს ძვირფასი ჯილდო უნდა მიეღო. მაგრამ ყოველთვის იმარჯვებდა თავად კიკნოსი, დამარცხებულებს კი კვეთდა თავებს, რომლებითაც მამამისის ტაძარს ამკობდა.

აპოლონს არ უყვარდა კიკნოსი იმის გამო, რომ იგი მის სამსხვერპლო ხარებს არ უშვებდა დელფოში. მან დაიყოლია ჰერაკლე, მიეღო კიკნოსის გამოწვევა. ასე მოილაპარაკეს, ჰერაკლეს დაეხმარებოდა იოლაოსი, ხოლო მის მოპაექრეს – არესი.

უჩვეულო იყო ჰერაკლესათვის ეს ორთაბრძოლა. ამიტომ იგი საგანგებოდ გამოეწყო: გაიკეთა ბრინჯაოს მბრწყინავი სამუხლეები, რომლებიც მისთვის გამოჭედა ჰეფესტოს, დიდი ოსტატობით ნაკეთები ოქროცურ-

ვილი სამკერდე, რომელიც მას უძღვნა ათენამ და რკინის სამხრეები; აღიჭურვა მშვილდით, შუბით, მუზარადითა და იმ ფარით, რომელიც ზევსმა დაამზადებინა ჰეფესტოს. ასე შემკული იგი მსუბუქად აღიმართა საბრძოლო ეტლზე.

ღმერთქალი ათენა საგანგებოდ დაეშვა ოლიმპოსიდან და ჰერაკლე გააფრთხილა: ,,ზევსი, მართალია, ნებას გრთავს მოკლა კიკნოსი და მიითვისო მისი ქონება. მაგრამ როდესაც არესს შეებრძოლები და დაამარცხებ, ხელი არ ახლო მის ტაიჭებს და დიდებულ აღსაჭურველს!'' შემდეგ იგი თავისი რჩეულის უკან დაბრძანდა. *ეგისი* შეარხია და როდესაც გაქანდა ეტლი, ამოიგმინა დედამიწამ. მსგავსი სისწრაფით მოქროდა კიკნოსი მათ შესახვედრად. შუბები რომ ახმაურდნენ, ორივე მებრძოლი მიწაზე აღმოჩნდა. უმალ ზე–წამოიჭრნენ, ერთურთს შეებნენ და ისე მოხდა, რომ ჰერაკლემ კისერი მოუგრიხა კიკნოსს. ზევსის ძემ ახლა არესისაკენ ისწრაფა. მან შუბი სტყორცნა მისკენ მომავალს. ამ დროს ათენამ წარბი შეიკრა და შუბი მიზანს ააცილა. არესი ახლა მახვილით დაიძრა ჰერაკლესაკენ, მაგრამ ყველა ცდის მიუხედავად, თავად დაიჭრა თეძოში. მიწაზე დავარდა და როდესაც გმირმა ხელი აღმართა მისთვის მეორე იარის მისაყენებლად, ზევსმა მათ შორის დაკლაკნა ელვა და პაექრობა განასრულა. ათენამ დასუსტებული არესი ოლიმპოსზე აღაზევა, ხოლო ჰერაკლემ მდიდრული ნადავლით განაგრძო გზა.

ქალაქ ტრაქისში ჰერაკლეს დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი. გმირმა გაილაშქრა ექალიის წინააღმდეგ, რათა შური ეძია მეფე ევრიტოსზე. მან რომ მშვილდოსანთა პაექრობაში გამარჯვებისათვის აღთქმული ჯილდო არ მისცა ჰერაკლეს, არ მიათხოვა თავისი ასული იოლე. ზევსის ძემ აიღო ქალაქი, ისრით განგმირა ევრიტოსი, ხოლო იოლე ტყვედ აიყვანა. არ ნებდებოდა მეფის ასული. ჰერაკლემ მის თვალწინ ამოხოცა მთელი სამეფო მოდგმა. მაშინ იოლე ქალაქის კედლიდან გადაეშვა უფსკრულში, მაგრამ არ მოკვდა, კაბის კალთებმა შეამსუბუქეს მისი დაცემა. ჰერაკლემ იოლე სხვა ტყვეებთან ერთად გაგზავნა ტრაქისში, სადაც დატოვა დეიანირა.

დიდი ზეიმით ემზადებოდა ჰერაკლე მსხვერპლშეწირვის აღსასრულებლად. სურდა თაყვანი ეცა მამა–ზევსისთვის, ექალიის აღებისას რომ შემწეობა გადმოუელინა. თავის დესპანი *ლიქასი* გაგზავნა დეიანირასთან, რათა მისი სადღესასწაულო ქიტონი, წესისგების აღსრულების ჟამს ტანთ რომ ისხამდა, წამოეღო.

მშვიდად ცხოვრობდა დეიანირა ტრაქისში. დიდი ხანია შეგუებოდა იმ აზრს, რომ ჰერაკლეს დროდადრო ახალი საყვარელი ქალი მოჰყავდა. როცა იოლე დაინახა, არც კი სწყენია, სიბრალულის გრძნობით აღივსო, რადგან მის გამო განადგურდა ექალია. მაგრამ აუტანელი იყო ის განცდა, რომ მათ ერთ ჭერქვეშ უნდა ეცხოვრათ. დეიანირას თვალწინ დაუდგა ჰერაკლეს ისრით განგმირული კენტავრი ნესოსი, რომელმაც სიკვდილის წინ თავისი ლერნეს შხამით მოწამლული სისხლი და თესლი შეანახვინა. დეიანირას თითქოს კენტავრის ხმაც შემოესმა: ,,თუ ჯადოწამალს მალულად წაუსვამ ჰერაკლეს სამოსს, არასოდეს გადაგიყვარებს იგი''. ფრთხილად აიღო დეიანირამ ნესოსის ,,ძღვენი'', ამდენ ხანს რომ საგულდაგულოდ ინახავდა სიბნელეში, რათა მზის სხივი არ მოხვედროდა, რათა სინათლეს არ წაეხდინა. ჯადო–წამალი წაუსვა ჰერაკლეს დიდებულ მოსასხამს, რომელიც თავად მოუქსოვა და დახურულ ყუთში საიმედოდ ჩადო. შემდეგ მოიხმო ლიქასი და ასე უბრძანა: ,,ეს ქიტონი მიართვი ჰერაკლეს. როდესაც ზევსის ბომონთან მივა, მაშინ მოისხას. არავინ შეეხოს ამ სამოსს, თვად ნათელი ჰელიოსის სხივიც არ მოხვდეს!'' ცხენებს შესძახა ლიქასმა და თვალს მიეფარა. დეიანირას კი შემზარავი სანახაობა გადაეშალა თვალწინ: ქსოვილი, რითაც ჰერაკლეს მოსასხამს ჯადოს უსვამდა, მზის სხივებზე იფერფლებოდა, იქვე მოჩანდა შხამიანი ქაფიც. ელდა ეცა დეიანირას, მიხვდა, ჰერაკლე სასიკვდილოდ რომ გაწირა: სასწაულმოქმედი იყო ლერნეს შხამში არეული კენტავრის სისხლი და თესლი. დეიანირამ ლიქასს მდევარი დაადევნა, თავად კი ფიცი აღაელინა, რომ უფრო ადრე მოკვდებოდა, ვიდრე ჰერაკლე.

მდევარმა გვიან მიაღწია კენევსის მთას. ჰერაკლეს უკვე მოესხა საზეიმო ქიტონი და რჩეული ხარებიც შეეწირა მსხვერპლად ზევსისთვის. ზეცას აღწევდა ცეცხლის ალი. საკურთხეველთან იდგა ჰერაკლე, მოწიწებით აღემართა ხელები მაღლა და დიად ღმერთებს მოუხმობდა. სამსხვერპლო ცეცხლის სიმხურვალისაგან ოფლმა დაასხა. სითბომ ჰიდრას შხამი და ნესოსის სისხლი გაალღო და ერთმანეთში აურია. ქიტონი ტანზე მიეკრო დიდ გმირს და საშინელი ტკივილისგან დაკრუნჩხა. გონგარდასულმა ჰერაკლემ საკურთხევლებიააყირავა, შემოიგლიჯა სამოსელი და მასთან ერთად ზედ მიკრული ხორციც. ძვლები უჩანდა, სისხლი უდუღდა აქაფებული. იქვე, მახლობლად იყო მდინარე. იქ გადაეშვა, მაგრამ შხამი უფრო მძლავრად მოედო. ახლა მთებისკენ გაექანა გაწამებული. გზად ფესვიანად გლეჯდა ხეებს. იქვე მიმალულ ლიქასს გადაეყარა, ხელი დასტაცა, თავს ზემოთ სამჯერ დააბზრიალა და შურდულივით მოისროლა ევბეას ზღვაში. გახევებული უყურებდა ყველა მის ტანჯვას. ვერავინ ბედავდა მიახლოვებას. ჰერაკლემ თავად იხმო თავისი ძე ჰილოსი და შევედრა: ,,ნუ მიმატოვებ ამ მძიმე დღეში, თუნდ სიკვდილი მემუქრებოდეს. მოკვდავთა მზერას განმარიდე, იქ წამიყვანე სადაც ვერავინ ვერ მიხილავს. თუკი გიყვარვარ, თუკი გაქვს ჩემი ოდნავი სიბრალული და თანაგრძნობა, აქ ნუ მომკლავ!''

ძლივს დააწვინეს საკაცეზე დიადი გმირი, თეთრ ხომალდზე აიყვანეს და ტრაქისისკენ აიღეს გეზი. დელფოს მისანმა დიდი ხნის წინ უმისნა ლიკიმნიოსს და იოლაოსს, თუ სად აღესრულებოდა მათი მეგობარი. ეს რომ გაიგო დეიანირამ, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, უხმოდ შევიდა თალამოსში, სწედა ორპირ მახვილს და ზედ წამოეგო. ამასობაში ჰერაკლეც შემოიყვანეს სასახლეში. ტკივილებისგან დაქანცული ასე ბღაოდა: ,,დიადო ზევსო, საბერძნეთის დიდო გმირებო, სად ხართ? თქვენთვის გავწმინდე მიწა და ზღვები ურჩხულებისგან, რათა ქვეყანა ბოროტებას არ დაეთრგუნა, ნუთუ არ გსურთ, რომ საზარელი წამებისგან მიხსნათ! ო, ზევსის ძმაო, დიდო ჰადესო! დამაძინე სიკვდილის ძილით!'' დეიანირაც გაიხსენა, სურდა შური ეძია მასზე, მაგრამ ჰილოსმა შეაჩერა, ცრემლების ფრქვევით მოახსენა მთელი სიმართლე. მიხვდა ჰერაკლე, რომ სრულდებოდა ღმერთების ნება. მას დიდი ხნის წინ უმისნა ზევსმა: ,,სულდგმულს არ ძალუძს შენი მოკვლა. მხოლოდ უსულო მტერი შეიქნება შენი დაღუპვის მიზეზიო''. ტკივილებისგან გაწამებულმა ჰერაკლემ ნაღვლიანი მზერა მიაპყრო ჰილოსს და შევედრა, ეტას მაღალ მწვერვალზე დაენთო დიდი კოცონი და ცეცხლზე დაწვით ბოლო მოეღო მისი ტანჯვისთვის. თან დააფიცა, ცოლად შეერთო იოლე. არ მოეწონა ჰილოსს ნათქვამი, მაგრამ სურვილის აღსრულების პირობა მისცა მომაკვდავ მამას.

მეგობრებმა, საბერძნეთის დიდმა გმირებმა, აიყვანეს მძლეთამძლე ჰერაკლე ეტას მთის თხემზე. იქ შეშის უზარმაზარი ზვინი აღმართეს და ზედ დაასვენეს ღმერთის შვილი. სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ჰერაკლეს სხეულში ჰიდრას შხამი. აუტანელი ხდებოდა ლმობა. ერთადერთი იყო ხსნის გზა – სიკვდილი. ყველა გრძნობდა ამას, მაგრამ ვერავინ ბედავდა ცეცხლის დანთებას. მძიმე ნაბიჯით ავიდა მთაზე ფილოქტეტესი. ევედრებოდა მას ჰერაკლე, ცეცხლი დაენთო, აჩ-



*ჰერაკლე. ვერცხლის ფინჯანი (ახ წ. I ს.). ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმი.*

უქა მშვილდიც და ისრებიც. თავად კი ზენინის თავზე გაიშალა ლომის ტყავი, ზედ წამოწვა და თავქვეშ კომბალი ამოიდო. რა უნდა ექნა ფილოქტეტესს, მეგობრის ტანჯვას ვერ გაუძლო და კოცონი ააგიზგიზა. ცისფრად აენთო ცეცხლის ალი, მაგრამ ამ დროს განათდა ზეცა და მასზე ელვა გაიკლაკნა მეხისტეხაში. კოცონს ოქროს ეტლით გადაუქროლეს ათენა პალასმა და ჰერმესმა. მათთან ერთად იყო გამარჯვების ქალღმერთი ნიკე. ცისიერებმა ცისფრად მობრიალე კოცონიდან ამოიტაცეს ჰერაკლე და ოლიმპოსზე აიყვანეს. იქ ფეხზე ამდგარი შეეგება ოქროს სკიპტრის მპყრობელი თავის დიად შვილს. ირგვლივ ღმერთები ზეიმობდნენ. ასე მიმართა მათ ზევსმა: „ზენარნო, მიხარია, რომ მადლიერ ხალხს განვაგებ, რომ ჩემს ნაშიერს არ აკლდა თქვენი წყალობა, თუმც ეს პატივი მან დიადი საქმეებით დაიმსახურა. ყოველიერთა მძლე ძლევს ცეცხლსაც, მის ცხოველ ძალას მხოლოდ დედისეული ნაწილით იგრძნობს. რაც ჩემგან დაჰყვა, ის ექნება მარადიული, სიკვდილისა და ცეცხლის ძალით დაუძლეველი! თუ მისი გაღმერთება ვინმეს შეაშფოთებს, აღსრულებულ საქმეთა გამო მაინც ღირსადყოფს და უნებურად აღიარებს უკვდავეთა შორის!“ თავის ქნევით დაადასტურეს ცისიერებმა მისი ნათქვამი. მხოლოდ ჰერა გაანაწყენეს ბოლო სიტყვებმა. თუმცა იგიც ბედს შეეგუა, გულიდან ამოიღო ჰერაკლესადმი სიძულვილი და ცოლად შერთო თავისი უსაყვარლესი ასული, მარად ნორჩი ჰებე, სიყმაწვილის ქალღმერთი. და ცხოვრობს მშვიდად დიდი ჰერაკლე ოლიმპოსის ღრუბლებით დაბურულ მწვერვალზე ახლაც. დიდმა განგებამ მას უკვდავება მიანიჭა იმ საგმირო საქმეებისთვის, რაც მან მიწაზე აღასრულა, იმ ტანჯვისათვის, რაც მან მიწაზე დაითმინა. მოკვდავი ჰერაკლე ადამიანებს მხსნელად მოევლინა. მან დაამარცხა ურჩხულები და ამით შეამცირა ბოროტება დედამიწაზე. ის გამარჯვების გზით მიემართებოდა ოლიმპოსისკენ. ამით იყო მისი მიწიერი ცხოვრება უაღრესად მნიშვნელოვანი, ხოლო ზეციურ სამყოფელში, სადაც სუფევს წესრიგი და კეთილგანგება, ჰერაკლე ჩვეულებრივი უკვდავია. მას აღარ სჭირდება ბრძოლა გამარჯვებისათვის და ამიტომაც სდუმან მითები მის მარადიულ ცხოვრებაზე.

ბერძნებს მუდამ ახსოვდათ, რომ ჰერაკლე გაღმერთებამდე ადამიანი იყო. მის შესახებ სხვადასხვა ამბებს თხზავდნენ. ხანდახან მას კეთილ, ღორმუცელა ბუმბერაზადაც წარმოადგენდნენ ბაზარში რომ ჩხუბობდა ბრბოსთან გამასხრებული. მაგრამ იგი ღმერთებზე მეტად უყვარდათ. ჰერაკლეს მთელ საბერძნეთში უგებდნენ ტაძრებს, საკურთხევლებს, სწირავდნენ მსხვერპლს და უმართავდნენ დიდებულ დღესასწაულებს, რომლებსაც ჰერაკლეები ეწოდებოდა. მას წარმოსახავდნენ ძლევამოსილ, ახოვან კაცად, ხშირად ტანშიშველს, ხან აღჭურვილს აღსაკაზმავით, ან ლომის ტყავით დამშვენებულს. იოლი იყო მისი ცნობა, რადგან ხელთ მუდამ ეპყრა თავისი როკებიანი კომბალი.

**ჰერაკლეს სვეტები** – ბერძნ. მითოგრაფოსთა და ისტორიოგრაფოსთა თანახმად, ***ჰერაკლეს*** თავგადასავალი მრავალ ისტორიულ მოვლენასთან არის დაკავშირებული ისევე, როგორც ***ტროას ომი*** ან ***არგონავტების*** ლაშქრობა. მითოსი მოგვითხრობს, რომ ჰერაკლემ გადაიარა მთელი ევროპა, ლიბია (აფრიკა) და ამ ლაშქრობის აღსანიშნავად აღმართა სვეტები. ძველების წარმოდგენით, ეს სვეტები ქვეყნიერების უკიდურეს სამანთან მდებარეობდნენ. თანამედროვე გაგებით, ჰერაკლეს სვეტებად, რომელთა მახლობელ მიდამოებშიც ბერძენთა კოლონიები დაახლოებით ძვ. წ. XI საუკუნეში აღმოცენდა, იწოდებიან სეუტა და ჰიბრალტარი.

გადატანითი მნიშვნელობით „ჰერაკლეს სვეტებამდე მისვლა“ ნიშნავს „უკიდურესობამდე მისვლას“.

**ჰერაკლიდები** – ბერძნ. ***ჰერაკლესა*** და ***დეიანირას*** ჩამომავლები. მათ შორის შედარებით ცნობილნი იყვნენ ჰერაკლეს ძის, ***ჰილოსის*** შვილები, რომლებიც შეიჭრნენ პელოპონესოსში ***ტროას ომის*** დაწყებისა და დასრულების შემდეგ, რათა დაებრუნებინათ მამის სამფლობელოები. პირველი ომი მათ წამოიწყეს ჰერაკლეს გარდაცვალებისთანავე. ჰილოსმა და მისმა შვილებმა იერიშით აიღეს ყველა ქალაქი. როცა მომდევნო წელს შავი ჭირი მოედო იმ მიდამოებს და ***ორაკულმა*** განაცხადა: „ჰერაკლიდები მოვიდნენ არა სათანადო ჟამს“, ჰილოსი უკან დაბრუნდა, მარათონში. მან ***დელფოს სამისნოს*** მიაკითხა, რათა გაეგო, პელოპონესოსში გალაშქრების დრო როდის დაუდგებოდა. „მესამე ნაყოფის შემდეგ“ – ასეთი იყო ***პითიას*** პასუხი. ჰილოსმა იფიქრა, რომ „ნაყოფი“ მოსავალს ნიშნავდა და სამი წლის შემდეგ ისევ გაემართა სალაშქროდ. ისთმოსზე შეხვდა ***ატრევსს***, რომელსაც მემკვიდრეობით მიეღო მიკენის სამეფო ტახტი და ახლა უკვე ლაშქრის სათავეში იდგა. ზედმეტი სისხლისღვრისათვის თავი რომ აერიდებინა, ჰილოსმა ორთაბრძოლაში გამოიწვია ნებისმიერი, ვინც კი მას წარმომავლობით ეკადრებოდა. „თუ გავიმარჯვებ, სკიპტრა და სამეფო ტახტი ჩემი იქნება, თუკი დავმარცხდი ორმოცდაათი წელი გავა ჰერაკლიდების შემოსევამდე“, – ასე თქვა მან და ტეგეას მეფე ექემოსმა მიიღო მისი გამოწვევა. კორინთოს და მეგარას საზღვარზე შედგა მათი ორთაბრძოლა. ჰილოსი დამარცხდა და იგი მეგარაში დაკრძალეს. ჰერაკლიდები დაბრუნდნენ ტრიკორინთოსში, ხოლო იქიდან დორისისკენ აიღეს გეზი. იქ მეფე ეგიმიოსს მოსთხოვეს სამეფოს ის ნაწილი, რომელიც მას ჰერაკლემ დაუტოვა. პელოპონესოსზე დარჩა მხოლოდ ლიკიმნიოსი შვილებით და ჰერაკლეს ძე ტლეპოლემოსი, რომელიც არგოსში დასახლდა. დელფოს წინასწარმეტყველმა კი, ვისმა რჩევამაც ესოდენი გაუგებრობა გამოიწვია, განაცხადა, რომ მან „მესამე ნაყოფში“ მესამე თაობა იგულისხმა.

რამდენადაც ნათელი გახდა, რომ ჰერაკლიდების მესამე თაობა უნდა შეჭრილიყო პელოპონესოსში, ეს საქმე ითავა ჰილოსის შვილიშვილმა არისტომაქოსმა. ჰერაკლიდებმა კვლავ განიცადეს დამარცხება. არისტომაქოსი მიკენის მეფე ტისამენოსმა განგმირა. მაშინ მისმა ვაჟიშვილებმა – ტემენოსმა, არისტოდემოსმა და კრესფონტესმა – პელოპონესოსში ზღვით შეჭრა სცადეს, მაგრამ ელვამ განგმირა არისტოდემოსი, რომელსაც დარჩა ორი ტყუპი ძე – ევრისთენესი და პროკლესი. ჰერაკლიდების ბანაკში მოულოდნელად გამოცხადდა წინასწარმჭვრეტელი კარნოსი, რომელიც პელოპონესოსელთა მიერ მოგზავნილ ჯადოქრად მიიღეს და მოკლეს. მაშინ ხომალდებმა იწყეს ჩაძირვა, მოლაშქრეებს კი შიმშილი კლავდა. აღარ შეიძლებოდა გზის გაგრძელება. დელფოს ორაკულმა ამჯერად ასე იმისნა: „მკვლელი ათი წლით განდევნეთ, ხოლო მის ნაცვლად წინამძღოლად ტრიოფსი აირჩიეთ“. როდოსის მეფე ფორბასს ჰყავდა ძე, სახელად ტრიოფსი. მის ჩამოყვანას აპირებდნენ ჰერაკლიდები, მაგრამ უეცრად ტემენოსმა თვალი ჰკიდა ეტოლიელთა ბელადს, ოქსილოსს, ელისიდან რომ



*ჰერმაფროდიტოსი. ბარელიეფი (ახ.წ. 120–130 წ.წ.), რომი.*

ბრუნდებოდა ცალთვალა ცხენზე ამხედრებული. მას გაახსენდა, რომ „ტრიოფსი“ ნიშნავს „სამთვალას“, სწორედ ამიტომ მოიწვია ეტოლიელთა ბელადი ჯარის მხედართმთავრად. ჰერაკლიდებმა მისი წინამძღოლობით მალე დაიპყრეს მთელი პელოპონესოსი და კენჭისყრით გაინაწილეს: არგოსი ერგო ტემენოსს, სპარტა – ევრისთენესს და პროკლესს, ხოლო მესენე – კრესფონტესს.

ჰერაკლიდების მითოსში აისახა რეალური ისტორიული მოვლენები. კერძოდ, დორიელების მიერ პელოპონესოსის დაპყრობა. თავდასხმები, რომელთაც შედეგად მოჰყვა არგოლისიდან მცირე აზიაში და თებედან სარდინიაზე გადასახლებანი, ძველი საბერძნეთისთვის „ბნელი წლების“ დაწყებას მოასწავებდა.

ჰერაკლეს ჩამომავლებზე ჩვენამდე მოაღწია ევრიპიდეს ტრაგედიამ სახელწოდებით „ჰერაკლიდები“.

**ჰერკულესი** – რომ. ასე უწოდეს რომაელებმა *ჰერაკლეს*.

**ჰერმა** – ბერძ. უძველეს ხანებში გავრცელებული იყო მნიშვნელოვან ადგილთა შემოსაზღვრის ტრადიცია: ადამიანი გარკვეული ფუნქციის მქონე ადგილის მონახულების შემდეგ ტოვებდა ქვას თავის იქ ყოფნის აღსანიშნავად. ზოგჯერ ამ ქვას ფალოსის ფორმა ჰქონდა და იგი აღმართულ სვეტს ემსგავსებოდა. სვეტმა თანდათან შეიძინა ოთხკუთხედის ფორმა, რომელიც ფალოსით ბოლოვდებოდა, ხოლო მის წვერზე გამოჩნდა წვერებიანი ღვთაების გამოსახულება. ეს იყო გზათა და მოგზაურთა მფარველი ღმერთი *ჰერმესი*. შესაბამისად, ასეთ ქანდაკებებს ჰერმესები ეწოდებოდათ. მოგვიანებით, წვერებიანი ჰერმესი უწვერულმა ჰერმესმა შეცვალა.

ატიკაში გზებზე ყოველი ათასი წყვილი ნაბიჯის შემდეგ დგამდნენ ჰერმებს, რომლებზეც ხშირად წარწერებსაც აკეთებდნენ.

**ჰერმაფროდიტოსი** – ბერძ. *ჰერმესისა* და *აფროდიტეს* ძე.

ჰერმაფროდიტოსი, გასაოცარი სილამაზით გამორჩეული ჭაბუკი, *ნაიადებთან* იზრდებოდა. ფერია სალმაკისს თავდავიწყებით შეუყვარდა იგი. ისეთი ძლიერი იყო მისი სიყვარული, რომ ღმერთებს სთხოვა, არასოდეს განეშორებინათ ყმაწვილისაგან. ღმერთებმა შეისმინეს მისი ვედრება. ასე შეიქმნა ორსქესიანი არსება ჰერმაფროდიტოსი.

**ჰერმესი** – ბერძ. ღმერთების მაცნე; *ზევსისა* და *მაიას* ძე; ვაჭრობისა და მოგების, მოგზაურთა და ოინბაზთა მფარველი ღმერთი; მიცვალებულთა სულების გამცილებელი; რომაულ მითოლოგიაში მისი თანაგვარია *მერკურიუსი*.

ზევსმა არკადიაში, კილენეს მთაზე იხილა *ატლასის* ასული მაია და შეიყვარა. სწორედ ამ კილენეს მთის ტყით დაჩრდილულ მღვიმეში იშვა მათი ძე, რომელსაც ჰერმესი შეარქვეს. მარტო დარჩა თუ არა ჩვილი ჰერმესი, აკვნიდან გადმოვიდა და თავგადასავალთა საძიებლად გაემართა. გამოქვაბულთან ვეება კუ დაინახა, დაიჭირა და რკინის საჭრეთლით გაჭრა. ბაკნისგან ქნარი დაამზადა, სიმებს ჩამოჰკრა და თავის მშობლებს აღუვლინა ქება. შემდეგ პიერიის დაბურული მთებისაკენ ისწრაფა. იქ ბალახობდა *აპოლონის* საღმრთო ნახირი. ჰერმესმა თხუთმეტი ძროხა მოჰ-პარა თავის ნახევარძმას, წინ გაირეკა და კვალი ოსტატურად დაფარა. თავის მღვიმეს გამთენიისას მიადგა. შიგ უხმაუროდ შეიპარა, აკვანში ჩაწვა და თავი მოიმძი-



ჰერმესი და ხაჯორონი. ამფორის ფრაგმენტი (ძვ.წ. 500–490 წ.წ.). ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმი.

ნარა. დედა-მაიამ დატუქსა თავისი პირმშო, თან გააფრთხილა, რომ აპოლონისგან იგი მკაცრად დაისჯებოდა. მართლაც, აპოლონმა შეიტყო თუ არა ჯოგის გაუჩინარების ამბავი, მალე მიაგნო ქურდის სამყოფელს და მოულოდნელად ძმას თავს წაადგა. ჰერმესმა იცნო აპოლონი, პატარა თითი პირში ჩაიდო და გაირინდა. „ჩემი ნახირი დამიბრუნე, თორემ ბნელ **ტარტაროსში** გადაგტყორცნი!" – დაემუქრა ძმას აპოლონი. ჰერმესმა კი ასე მიუგო: „სად უნდა მენახა შენი ძროხები, ან როგორ უნდა მომეპარა, გუშინ არ გავჩნდი? ფეხიც არ შემიხია მიწისთვის. თუ გსურს, მამასაც დავიფიცებ!" არ დაიჯერა აპოლონმა. ჩვილი აკვნიდან ამოიყვანა და ხელში აიტაცა. ახალი ოინი მოისაზრა ჰერმესმა. მუცლიდან გამოუშვა მაენე ქარები, თან მიყოლებით რამდენჯერმე დააცემინა. შეცბა აპოლონი და ხელიდან გაუვარდა პატარა ღმერთი. შემდეგ ურჩია, წინ ეული და ქვიშიან გზას გაჰყოლოდა ოლიმპოსის მწვერვალისაკენ. მალე მიადგნენ ღმერთთა სავანეს. მათ მოსასმენად შეიკრიბნენ უკვდავები. ისევ იცრუა ჰერმესმა, ირწმუნებოდა, ნახირი არ მომიპარავსო. ბოლოს მამა-ზევსს ჩაუკრა თვალი და უჩურჩულა, შემეწიეო. ხარხარებდა შვილის მზაკვრობით მოხიბლული ზევსი. უკვირდა, ასე ოსტატურად რომ ტყუოდა პატარა ბავშვი. ბოლოს შეიკრა წარბი და ბრძანა, ძმებს ერთად ეძებნათ საღმრთო ნახირი.

აპოლონი და ჰერმესი გზას დაადგნენ. ჰერმესმა თავისი ქნარი ააჟღერა. მისმა ხმამ მოხიბლა აპოლონი. ეს შეამჩნია ჰერმესმა და სახელოვან ძმას უბოძა ქნარი. სამაგიეროდ აპოლონმა მას თავისი საზრე აჩუქა, ნახირის მოვლა მიანდო და აურაცხელი საქონელი ჩაბარა. ვიდრე ხარები ბალახს ძოვდნენ, ჰერმესმა მოჭრა ლერწამი, მისგან გამოთალა სტვირი, რომელიც მწყემსთა უსაყვარლესი საკრავი გახდა.

ჰერმესი თავისი მხიარული ხასიათის გამო მალე შეიყვარეს ღმერთებმა და მრავალი საქმე მიანდეს. ის ითვლებოდა ღმერთების მაცნედ; ვაჭართა, მოგზაურთა და გზათა მფარველად. ზევსმა მას უბოძა კვერთხი – **კერიკეონი**, აგრეთვე ფართოფარფლებიანი ქუდი წვიმებისაგან თავდასაცავად და ფრთებიანი ოქროს სანდლები, რომლებიც მას ქარის სისწრაფით დააქროლებდნენ.

ღმერთებს ჰერმესმა ჯოხის ხეზე ხახუნით ცეცხლის დანთება ასწავლა; მანვე გამოიგონა კოჭის თამაში და მათზე დაკვირვებით მკითხაობა; ჰერმესის შემწეობით შეადგინეს ბედისწერის ღვთაებებმა (**მოირებმა**) ანბანი; ჰერმესსავე მიეწერება ასტრონომიის, მუსიკის, კრივის და ტანვარჯიშის, წონის საზომთა გამოგონება. მან ასწავლა ადამიანებს ზეთისხილის ხის მოვლაც.

ჰერმესს მრავალი და ერთმანეთისაგან განსხვავებული შვილი ჰყავდა. მათ შორის **არგონავტთა** მაცნე ექიონი, ყაჩაღი **ავტოლიკოსი** (**ოდისევსის** პაპა), ორსქესა **ჰერმაფროდიტოსი**, ბუკოლიკური (მწყემსური) პოეზიის შემოქმედი **დაფნისი**.

ჰერმესი ბედნიერების მომტან ღვთაებად მიაჩნდათ ბერძნებს. ამიტომ შეარქვეს მოულოდნელ ძღვენს ან ნაპოვნ ნივთს ჰერმაიონი ანუ ჰერმესის საჩუქარი.

ღვთაებას მუდამ თან დაჰქონდა ოქროს კვერთხი – კერიკეონი. ამის გამო უწოდეს მას ქრისორაპისი – ოქროს კვერთხოსანი. ამ კვერთხით ხელში აღასრულებდა იგი თავის უწმინდეს მოვალეობას: მიცვალებულთა სულებს მიაცილებდა ჰადესში. სახელიც შესაბამისი შეარქვეს – ფსიქოპომპოსი, ანუ სულთა გამცილებელი.



ჰერმესის წმინდა ფრინველი იყო წერო. ოქროსკვერთხოსანს მსხვერპლად სწირავდნენ ღორს, თიკანს, თხასა და ცხვარს. მასვე სწირავდნენ ყოველგვარი საშსხვერპლო ცხოველის ენას, რადგანაც მჭევრმეტყველთა და მჭევრმეტყველების მფარველ ღვთაებადაც მიაჩნდათ იგი. ჰერმესი ბერძნული სამყაროს უსაყვარლესი ღმერთი იყო. იგი არა მხოლოდ კეთილ საქმეებს მფარველობდა, არამედ ისეთ საქმეებსაც, რომლებიც ღმერ-

*ჰერმესი ჩვილ დიონისეთი. მარმარილოს ქანდაკება (ძვ.წ. 330 წ.). ოლიმპია. არქეოლოგიური მუზეუმი.*



ჰერმესი. ამფორის ფრაგმენტი ძვ. წ. V ს. I. რომი. ვატიკანის მუზეუმი

თითოვის შეუფერებელი ჩანდა. ჰერმესი ხომ ქურდებისა და ოინბაზების შემწეც იყო და ამ თვისებით გამოირჩეოდა ბერძნულ პანთეონში.

ჰერმესს დიდ პატივს მიაგებდნენ ***ანთესტერიებზე***. ეს დღესასწაული სამ დღეს გრძელდებოდა. ზეიმის ბოლო დღეს „ქოთნები" ეწოდებოდა და იგი ჰერმეს ფსიქოპომპოსს ეძღვნებოდა.

სახვით ხელოვნებაში ჰერმესი თავდაპირველად წვეროსან, ჭარმაგ მამაკაცად იყო წარმოდგენილი. მოგვიანებით მან ყმაწვილის იერი მიიღო. მისი ატრიბუტია: სამგზავრო ქუდი (პეტატოსი), ფრთიანი სანდლები (პედილა) და გველებშემოგრაგნილი ან ბაფთებით შემკული კვერთხი (კერიკეონი). ჰერმესს, როგორც მწყემსთა და პირუტყვთა მფარველს, ზოგჯერ კრავი ჰყავს მხრებზე შემოსმული; ზოგჯერ კი ქისა უკავია ხელში და ამ შემთხვევაში ვაჭართა და ვაჭრობის მფარველ ღვთაებას განასახიერებს; მას, ვითარცა გზათა და მოგზაურთა მფარველ ღვთაებას, ხშირად უდგამდნენ ჰერმებს.

ჰერმესს მრავალმა სახელოვანმა მოქანდაკემ მიუძღვნა თავისი ქმნილება. მათ შორის დღესაც საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებს პრაქსიტელესის „ჰერმესი ჩვილი დიონისეთი". ჰერმესის გამოსახულებანი გვხვდება ბანკების, სავაჭრო ფირმათა თუ ნავსადგურთა ემბლემებზეც.

**ჰერმიონე** – ბერძნ. სპარტის მეფე ***მენელაოსისა*** და ***ელენეს*** ასული.

ჰომეროსის თანახმად, ***ტროას ომის*** დროს ***ორაკულმა*** იმისნა, რომ ***ნეოპტოლემოსის*** გარეშე ომი არ დასრულდებოდა. ამიტომ მენელაოსმა თავისი ასული ჰერმიონე ცოლად აღუთქვა ნეოპტოლემოსს. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითები გვიამბობენ ჰერმიონესა და ***ორესტესის*** ქორწინებაზე. მათ შეეძინათ ვაჟი, ტისამენოსი, რომლის მეფობის დროსაც ჰერაკლიდები შეიჭრნენ პელოპონესოსში.

**ჰეროსი** - ბერძნ. იხ. ***გმირი***.

**ჰერსილია** – რომ. ***რომულუსის*** მეუღლე.

როდესაც რომაელებმა მოიტაცეს ***საბინი ქალები***, ჰერსილია, მათი დედოფალი, რომულუსმა მოიყვანა ცოლად. მათ შეეძინათ ქალიშვილი პრიმა და ვაჟი აეილიუსი. რომულუსის ცად აღზევების შემდეგ ჰერსილიაც ცად აღზევდა. რომაელები მას თაყვანს სცემდნენ Hora Quirini – ის სახელით. კვირინუსი ***მარსის*** საბინური ეპითეტი იყო და ნიშნავდა „შუბოსანს". ეს ეპითეტი ეწოდა რომულუსსაც გაღმერთების შემდეგ.

მითოსის სხვა ვერსიის თანახმად, ჰერსილია იყო რომაელი ჰოსტილიუსის მეუღლე და რომის მესამე მეფის, ტულუს ჰოსტილიუსის დიდი ბებია.

**ჰესიონე** - ბერძნ. ტროას მეფის, ***ლაომედონის*** ასული.

როდესაც ლაომედონი ტროას გალავანს აშენებდა, მას გაუმართლა: იმ ხანად ***ზევსს*** ღმერთები აუმბოხდნენ. განრისხებულმა ზევსმა ***აპოლონი*** და ***პოსეიდონი*** აიძულა დღიურ მუშებად ემსახურათ ლაომედონთან. მეფემ პირი გატეხა და სამუშაოს დასრულების შემდეგ საზღაური არ გადაუხადა ღმერთებს. მაშინ პოსეიდონმა მას მიუგზავნა ზღვის ურჩხული, რომელიც ტროას აჩანაგებდა. ***ორაკულის*** რჩევით, ამ უბედურებისაგან თავდასაღწევად საჭირო იყო მეფის ასულის მსხვერპლად შეწირვა. მეფემაც, ხალხმაც გაიმეტეს ჰესიონე და კლდეს მიაჯაჭვეს. იგი გადაარჩინა გმირმა ***ჰერაკლემ***, რომელმაც მოკლა ურჩხული. სანაცვლოდ ლაომედონს მისთვის ზევსის მიერ ნაბოძები მერნები უნდა მიეცა. არც ეს პირობა შეასრულა ლაომედონმა. ამ ამბებიდან მცირე ხნის შემდეგ ჰერაკლე დიდძალი ლაშქრით შეიჭრა ტროაში, დაამხო ქალაქი, ლაომედონი სიცოცხლეს გამოასალმა, მისი ქალიშვილი კი ***ტელამონზე*** დააქორწინა.

**ჰესპერიდები** – ბერძნ. ***ჰესპეროსისა*** და ***ნიქსის*** (სხვა ვერსიით, ***ატლასისა*** და ***ნიმფა ჰესპერიდეს***) ქალიშვილები. ისინი სამნი არიან: ეგლე („ბრწყინვალება"), ერითია („წითელი") და ჰესპერა („საღამოსეული").

ჰესპერიდები დარაჯობდნენ იმ გასაოცარ, ოქროს ვაშლებით დახუნძლულ ხეს, საქორწინო საჩუქრად რომ მიიღო ***ჰერამ*** დედამიწის ქალღმერთ ***გეასაგან***. ეს ხე სამყაროს დასალიერში, უკიდურეს დასავლეთში, ღამის სამანთან, ***ოკეანოსის*** სანაპიროზე გაშენებულ ბაღში ხარობდა. ბაღს კი დრაკონი ***ლადონი*** იცავდა.

ორგზის დაატყვევეს გმირებმა ჰესპერიდები. თავდაპირველად ***ჰერაკლე*** ეწვია ამ ბაღს ევრისთევსის დავალების აღსასრულებლად (იხ. ***გმირობა მეთერთმეტე***). როდესაც მან ლერნეს შხამში ამოვლებული ისრით განგმირა ლადონი, ისე შეშინდნენ ჰესპერიდები, რომ წამისუმალ მიიმალნენ თავის წალკოტში. შემდეგ ამ ბაღს ***არგონავტები*** მიადგნენ. მათი ხილვისას მტვრად გარდაისახნენ დამფრთხალი ქალწულები. დიდხანს ევედრებოდნენ არგონავტები ჰესპერიდებს, მიეღოთ პირვანდელი სახე. მრავალგზისი მსხვერპლშეწირვის შემდეგ ქალიშვილებმა დაიბრუნეს ჩვეული სახება და სათანადო დახმარებაც გაუწიეს ზღვით მოსულ სტუმრებს.

ერთ-ერთი მითოსის თანახმად, ეგვიპტის მეფე ბუსირისმა განიზრახა მშვენიერი ჰესპერიდების მოტაცება. მან ამ საქმის განხორციელება მიანდო ყაჩაღებს. ისინი თავს დაესხნენ ქალიშვილებს, მაგრამ იქვე აღმოჩნდა ჰერაკლე, რომელმაც ჩვეული გულმო-



ჰესპერიდები. [illegible] ძვ. წ. 410 წ. [illegible]

ღვინებით ამოხოცა ეს ყაჩაღები. მადლიერე-ბის ნიშნად ჰესპერიდებმა მას უბოძეს ოქრო-ის ვაშლები.

**ჰესპეროსი** – ბერძნ. მწუხრის ვარსკ-ვლავის განმასახიერებელი ღმერთი, კეფ-ლოსისა და ***ჰესპერიდების მამა; ატლასის*** ვა-ჟი (ან ძმა).

ერთ-ერთი მითის თანახმად, იყო ზღა-პრული ქვეყანა ჰესპერიტისი, რომელსაც მართავდნენ ძმები–ჰესპეროსი და ატლასი. ატლასმა ცოლად მოიყვანა თავისი ძმის შვი-ლი, რომელიც შემდეგ ჰესპერიდების დედა გახდა.

მითის სხვა ვერსიით, ჰესპეროსი (ატ-ლასის ძმა ან შვილი) მთის მწვერვალიდან ვარსკვლავებს აკვირდებოდა. იგი მოულო-დნელად გაქრა და ბრწყინვალე მნათობად გა-რდაისახა.

რომაულ მითოლოგიაში ჰესპეროსს ვეს-პერს უწოდებდნენ.

ჰესპეროსი, პლანეტა ***ვენუსის*** (ვენერას), ვითარცა მწუხრის ვარსკვლავის, ერთ-ერ-თი სახელიცაა. ამავე პლანეტას, როგორც ცისკრის ვარსკვლავს, ბერძნები ***ეოსფორ-ოსს, ფოსფოროსს***, რომაელები კი – ***ლუ-ციფერს*** უწოდებდნენ.

**ჰესტია** – ბერძნ. ოჯახის კერის ქალ-ღმერთი; ***კრონოსისა*** და ***რეას*** ასული; ***ზევ-სის, პოსეიდონის, ჰადესის, ჰერასა*** და ***დე-მეტრეს*** და. ჰესტიას კულტი ფართოდ გავ-რცელდა რომში, სადაც მას ***ვესტა*** უწოდეს.

კრონოსისა და რეას შვილებიდანაც იშვა ჰესტია. კრონოსს ეშინოდა, რომ შვი-ლთაგან რომელიმეს არ ჩამოეგდო ტახტი-დან და ამიტომ მათი ჩაყლაპვა იწყო. ჰესტია იყო პირველი, რომელიც მამამ შთანთქა. როდესაც კრონოსის მეუფების ხანა დასრუ-ლდა და ზევსმა იგი იძულებული გახადა უკ-ანვე ამოენთხია თავისი შვილები, ჰესტია იყო ბოლო. ამას უკავშირდება გამოთქმები: „ვი-წყებთ ჰესტიათი" ან „ჩემი საქმის ჰესტია" (ანუ „თავი და ბოლო").

ყოველ ბერძნულ სახლში ყველაზე წმი-ნდა ადგილი იყო კერია. უძველეს ხანაში იგი მთავარ ოთახს, მეგარონს ამშვენებდა. კერია მოთავსებული იყო ოთხ სვეტს შორის. ყო-ველი სტუმარი, თუნდაც არასასურველი, ხელს შეახებდა თუ არა კერიას, იმ წამიდან ღმერთების მფარველობას გრძნობდა. არ შე-იძლებოდა სტუმრის მოკვლა, ან შეურაცხ-ყოფა. იგი ამ სახლში ისევე ხელშეუხებე-ლი იყო, როგორც ტაძარში. ოჯახური სიწ-მინდის მფარველი კი იყო ჰესტია. მას ერთა-დერთის მაღალ ***ოლიმპიელთა*** შორის, არასო-დეს უთმია. იგი არავის შეუღლებია. ***არტემი-სის*** და ***ათენას*** მსგავსად საუკუნოდ ქალწულობ-ას არასოდეს დათმობდა. ამბობენ, თითქოს კრონოსის დამხობის შემდეგ პოსეიდონი და ***აპოლონი*** ლამობდნენ მასზე დაქორწინე-ბას, მაგრამ ჰესტიამ დიადი ფიცით დაიფიცა, რომ მარად ქალწული დარჩებოდა.

ჰესტიას არასოდეს ჰქონია საკუთარი ოჯ-ახი, სამაგიეროდ ის იყო ყველა ოჯახის მფა-რველი ღვთაება. ჰესტია დიასახლისს განა-სახიერებდა: იგი ხვდებოდა პატარძალს და ახალ სახლში შემოჰყავდა. პატარძალს კი წინ მიუძღოდა მისი დედა. საკუთარი კერია-დან რომ მოჰქონდა ანთებული ჩირაღდანი, რომლითაც ანთებდა ცეცხლს ქალიშვილ-ის ახალ სამოსახლოში.

განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს თა-ვის მფარველს ოჯახის დიასახლისები. მთე-ლი ცხოვრების მანძილზე ელოდნენ ისინი მისგან მოწყალებას, ხოლო სიკვდილის წინ თავის ობლებს აკედრებდნენ. თუ ვინმე სახ-ლიდან მიდიოდა, ჰესტიას ევედრებოდა, ეზ-რუნა მის შინ მშვიდობით დაბრუნებაზე, ხო-ლო დაბრუნებული, კვლავ მისადმი აღავლე-ნდა მადლობის ლოცვას. იმდენად დიდი და საყოველთაო იყო ამ კეთილი ღვთაებისადმი



ჰესტია. ლარნაკის ფერწერა (ძვ.წ. 515-510 წ.წ.). ტარკვინია. ეროვნული მუზეუმი.

პატივისცემა, რომ ლოცვებში მის სახელს მუდამ პირველად იხსენიებდნენ. ძველებს მიაჩნდათ, რომ თემი, ქალაქი ან სახელმწიფო იგივე იყო, რაც დიდი ოჯახი. ამიტომ ყოველ პოლისს ანუ ქალაქ-სახელმწიფოს ჰქონდა თავისი წმინდა კერია. იქ ენთო „მარადიული ცეცხლი" რომელიც არ უნდა ჩამქრალიყო. ცეცხლი, ჩვეულებრივ, ბულევტერიონში ანუ უხუცესთა საბჭოსათვის განკუთვნილ ადგილას გიზგიზებდა. როდესაც ბერძნები ახალშენთა დასაარსებლად მიემართებოდნენ შორეული ნაპირებისაკენ, თან მშობლიური ქალაქის კერიიდან ამოღებული მუგუზალი მიჰქონდათ, რათა ახალ სამოსახლოშიც, უცხო მიწაზე, ოდინდელი ცეცხლი გაეჩაღებინათ.

სხვა ღმერთებისაგან განსხვავებით, ჰესტიას ტაძრებს და საკურთხეველებს არ უშენებდნენ. ყოველი სახლი მისი ტაძარი იყო, ყოველი კერია – მისი საკურთხეველი. როდესაც მოულოდნელი ქარისაგან კერიაში ცეცხლი ერთბაშად აალდებოდა, ასე ეგონათ, თავად ქალღმერთი წამოდგაო მთელი თავისი დიდებულებით.

ბერძენთა რწმენით, ჰესტია თავად იყო ცეცხლი, შეურყვნელი და წაუბილწავი. ამიტომ ვერ ჩართეს იგი მითოსურ სიუჟეტებში. მას იშვიათად მოიხსენიებდნენ ბერძენი ავტორები, იშვიათად გვხვდება მისი ქანდაკებები თუ ფერწერული გამოსახულებები, სადაც ღვთაება წარმოდგენილია მატრონას სამოსით, მშვიდი და ალერსიანი გამომეტყველებით.

**ჰეფესტოსი** – (ჰეფესტო). ბერძნ. ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი; ***ზევსისა*** და ***ჰერას*** ძე; ***აფროდიტეს*** მეუღლე. რომში ჰეფესტოს თანაგვარი იყო ***ვულკანუსი***.

ჰერა გაუნაწყენდა ზევსს იმის გამო, რომ უზენაესმა ღვთაებამ თავისით შვა ***ათენა***. სამაგიეროს გადახდა ისურვა ღმერთების დედოფალმა და მეუღლის გარეშე გააჩინა შვილი, რომელსაც ჰეფესტო შეარქვა. ბავშვი ისეთი უსუსური და ხეიბარი ჩანდა, რომ ჰერამ დაბადებისთანავე მოისროლა ***ოლიმპოსიდან***. დიდხანს მიფრინავდა ჰაერში ახალშობილი ჰეფესტო. ბოლოს ზღვის ზურმუხტისფერ ზვირთებში ჩაეარდა. აქ ის აღზარდეს ***ოკეანოსის*** ქალიშვილმა ევრინომემ და ზღვის მოხუცი მისნის, ***ნერევსის*** ასულმა ***თეტისმა***. ჰეფესტო არ იყო ღმერთებივით მშვენიერი, კიდეც კოჭლობდა, მაგრამ ჰქონდა განიერი მკერდი, მძლავრი მკლავები და კისერი. ზღვათა სიღრმეში დაეუფლა იგი მჭედლობის ხელოვნებას, აქ ააშენა მან თავისი პირველი სამჭედლო და მადლიერების ნიშნად აღმზრდელებს გამოუჭედა უძვირფასესი სამკაულები.

ჰეფესტო დიდხანს ინახავდა გულში რისხვას ჰერაზე. ბოლოს გადაწყვიტა შური ეძია დედაზე იმის გამო, რომ ასე უმოწყალოდ გადმოტყორცნა ოლიმპოსიდან. მან გამოჭედა არნახული სილამაზის ოქროს სავარძელი და გაუგზავნა ჰერას საჩუქრად. მშვენიერი საბოძვრით აღფრთოვანებული ჰერა ჩაჯდა თუ არა სავარძელში, მყის მიეჯაჭვა ისე ძლიერად, რომ წამოდგომა ვეღარ შეძლო. დასახმარებლად ისწრაფეს ღმერთებმა, მაგრამ ამაოდ. ყველა ხვდებოდა, რომ მხოლოდ ჰეფესტოს შეეძლო უხილავი ჯაჭვების ახსნა. არც დააყოვნეს. ***ჰერმესი*** აფრინეს მჭედელ ღმერთთან, მაგრამ კოჭლი შვილის გულისწყრომა დედისადმი უზომო იყო. მაშინ ჰერმესს მშველელად ღვინის ღმერთი ***დიონისე*** მოეშველინა. მან დაათრო ჰეფესტო, ვირზე შესვა და ოლიმპოსის გზას გაუყენა. შეზარხოშებული სატირებისა და მენადების თანხლებით მათ მხიარულად შეაბიჯეს ჰერას დარბაზებში. ჰეფესტომ იოლად გაათავისუფლა ცათა დედოფალი. იგი უკვე აღარ ბრაზობდა და აღარც ჰერა მრისხანებდა. მან დატოვა თავისი შვილი ოლიმპოსის ღმერთების დასში. იქაც აიშენა ხელოვანმა ღვთაებამ დიდებული სამჭედლო, სადაც ატარებდა კიდეც თავისი დროის უდიდეს ნაწილს. გასაოცარი ოსტატობით ჭედდა იგი საკვირველ ქმნილებებს. ხოლო როცა სამუშაოს გაასრულებდა, ფეხკელოვნებით ისწრაფოდა ზევსის სასახლისაკენ, სადაც ღმერთები ნადიმობდნენ. იქ მისი ხილვა ყველას უხაროდა. სიცილით უმზერდნენ ცისიერები, როგორ ასხამდა თასებში კოჭლი ჰეფესტო კეთილსურნელოვან ნექტარს. ისე დაუახლოვდა იგი მაღალ ღმერთებს, რომ ერთხელ ზევსთან შეპასუხებაც კი გაბედა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მეხთამტყორცნელმა ჰერა ცასა და მიწას შუა დაჰკიდა იმის გამო, რომ ცისიერები აამხედრა მის წინააღმდეგ. ჰეფესტო დედას გამოექომაგა. განრისხდა ზევსი და კადნიერებისათვის იგი მკაცრად დასაჯა – მეორედ გადმოტყორცნა ოლიმპოსიდან. მთელი დღე ვარდებოდა ჰეფესტო. ბოლოს იგი კუნძულ ლემნოსზე დაენარცხა და ორივე ფეხი მოიტეხა. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი იყო, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა, ლემნოსელებმა რომ იპოვნეს. ზევსის რისხვა დაცხრა თუ არა, კვლავ აღზევდა ჰეფესტო ოლიმპოსზე, მაგრამ მას უკვე ოქროს ყავარჯნე-

ბის გარეშე აღარ შეეძლო სიარული.

ზევსმა ულამაზესი აფროდიტე მიათხოვა ჰეფესტოს ცოლად.

გამორჩეულად უყვარდათ ღმერთებსა და ადამიანებს დიდი ხელოვანი, რომელიც თავისი საქმის ერთგული იყო. იგი ხომ მთელ დღეებს სამჭედლოში ატარებდა და თავისი შრომისმოყვარეობით უდიდეს სიხარულს ანიჭებდა სხვებს. ჰეფესტომ ააგო მრავალი დიდებული სასახლე, გამოჭედა ზევსის კვერთხი და ***ეგისი***, დიონისეს თირსისი, ***აქილევსის*** ფარი და აბჯარი. მან ააშენა ჰერას ბრწყინვალე სანთიობო, ხოლო ***პანდორას*** დაუმზადა არაჩვეულებრივი სილამაზის დიადემა. განსაკუთრებით სცემდა პატივს ცეცხლის ღვთაებას მზე-***ჰელიოსი***, რომლის საყოველთაოდ ცნობილი ეტლი მისი მაღალი ოსტატობის დიდებული ნიმუში იყო.

ჰეფესტოს, ათენასა და ***პრომეთესთან*** ერთად, ხელოსანთა მფარველ ღვთაებადაც მიიჩნევდნენ. უძველეს ხანებში იგი ითვლებოდა ცეცხლის მბრძანებლად, ოჯახური კერისა და მთელი ქალაქის შემწე ღვთაებად. განსაკუთრებულ პატივს ჰეფესტოს ათენში მიაგებდნენ. კუნძულ ლემნოსზე კი არსებობდა ქალაქი, რომელსაც ჰეფესტია ეწოდებოდა.

ხელოვნებაში ჰეფესტოს წარმოსახავდნენ ძლიერ, კუნთმაგარ მჭედლად, რომელსაც ურო ეჭირა ხელში. ზოგჯერ მას თავზე კონუსისებრი ქუდი ეხურა და ხელოსნის ქიტონი ჰქონდა მოსხმული.



ჰეფესტო და სატიროსი. პელიკეს ფერწერა (ძვ.წ. 435-430 წ.წ.). მიუნხენი. ანტიკური კოლექციის სახელმწიფო მუზეუმი.

**ჰექტორი** – ბერძნ. ტროელთა მთავარი გმირი; ***პრიამოსისა*** და ***ჰეკაბეს*** უფროსი ვაჟი; ***ანდრომაქეს*** მეუღლე; ასტიანაქსის მამა.

***ტროას ომის*** დროს მეფე პრიამოსი უკვე ხანდაზმული იყო და ამიტომ მთავარსარდლობა მის უფროს ვაჟს, ჰექტორს ხვდა წილად. სწორედ მან განგმირა ბერძენი ***პროტესილაოსი***, რომელმაც პირველმა დაადგა მტრული ფეხი ტროელთა მიწას. იგი ორგზის შეებრძოლა ბერძენთა ძლევამოსილ გმირს, ***აიას*** ტელამონის ძეს. მისი წინამძღოლობით შეიჭრნენ ტროელები ბერძენთა ბანაკში და ცეცხლის ალს მისცეს ერთი ხომალდი. ჰექტორმა მოკლა ***აქილევსის*** მეგობარი ***პატროკლოსი***, რითაც განარისხა ბერძენთა ღიადი გმირი. მშობლებისა და საყვარელი მეუღლის სურვილის წინააღმდეგ ჩაება იგი დასამარცხებლად განწირულ ბრძოლაში. ეს ტროას ომის მეათე წელს მოხდა. იცოდა ჰექტორმა, რომ ტროა დაემხობოდა. აი, როგორ გამოეთხოვა იგი საყვარელ მეუღლეს, ანდრომაქეს, რომელსაც პატარა ასტიანაქსი, მათი შვილი, მკერდზე მიეკრა: „მე არ შემფერის, რომ ლაჩრულად გავექცე ბრძოლას. შენც კარგად იცი, მუდამ წინ მივუძღოდი ტროელთა ლაშქარს. დიდება მსურდა ჩემთვისაც და ჩემი ხალხისთვისაც. ვიცი, სულ მალე დაინგრევა ტროა, გადაშენდება პრიამოსის მოდგმაც. სწორედ ამიტომ მათი ბედი კი არ მაღელვებს, მე შენზე ვდარდობ! ტყვედ ჩაგიგდებენ ბერძნები და დაგიმონებენ. გაიძულებენ ქსოვო, ანდა წყალი ზიდო წყაროებიდან. ცრემლებმორეულს დაგინახავს ნაცნობი ვინმე და ასე იტყვის: ეს ხომ ჰექტორის ცოლიაო! იმ ჰექტორისა, რომელიც თავისი ღირსებითა და სიქველით გამოირჩეოდა ტროელთა შორის. შენ ძველი სევდა მოგერევა, გაიხსენებ ქმარს, მონობას უღელს რომ აგხსნიდა. და კიდევ კარგი, რომ იმ დროს უკვე ცოცხალთა შორის აღარ ვიქნები, რომ ვერ გავიგებ შენს სევდიან მოთქმას და ტირილს!" ჰექტორისა და ანდრომაქეს გამოთხოვების ეპიზოდი ჰომეროსის პოეტურ ქმნილებათა შედევრად ითვლება.

ჰექტორი აქილევსთან ორთაბრძოლისას დაიღუპა. ბერძენმა გმირმა სასტიკად იძია შური პატროკლოსის სიკვდილისათვის: მან ჰექტორის გვამი თავის ეტლს მიაბა, ტროას

გარშემო ათრია და გარდაცვლილი პატროკლოსის ფეხებთან მიაგდო. მისი მრისხანება მხოლოდ მაშინ დაცხრა, როდესაც მოხუცი პრიამოსი იხილა: ოდესღაც ძლევამოსილმა მეფემ ხელები დაუკოცნა თავისი შვილების მკვლელ აქილევსს და დიდძალი ძღვენით გამოისყიდა ჯერ კიდევ წაუბილწავი ჰექტორის გვამი, რადგანაც მას *აპოლონი* მფარველობდა.

ტროელებმა დიდი პატივით მიაბარეს ჰექტორი მიწას. გამოუთქმელი მწუხარებით დაიტირა იგი ანდრომაქემ, რომელსაც სულ მალე საშინელი უბედურება დაატყდა თავს. *ოდისევსის* წინამძღოლობით ტროაში შეჭრილმა ბერძნებმა კლდიდან გადააგდეს ჰექტორისა და ანდრომაქეს მცირეწლოვანი ვაჟი ასტიანაქსი იმის შიშით, რომ ცოცხლად დარჩენილს არ ეძია შური უმოწყალოდ განადგურებული სამეფო ოჯახის გამო.

მშობლებისა და მეუღლის მოყვარული, სამშობლოს დამცველი ღირსეული გმირი ჰექტორი კეთილშობილებისა და თავისი საქმის ერთგულების სიმბოლოდ იქცა ძველი საბერძნეთისა თუ გვიანი ხანის ხელოვნებაში (აღსანიშნავია შილერის „ჰექტორის გამომშვიდობება"; ჟიროდუს „ტროას ომი აღარ იქნება!"; რუბენსის, ტიეპოლოსა და სხვათა ქმნილებები).

**ჰიადები** – ბერძნ. „წვიმიანნი". *ნიმფები, ატლასისა* (ვერსიები: ერეხთევსის, *კადმოსის* ან *ოკეანოსის*) და *ოკეანიდა პლეიონეს* ასულები; ძველ ავტორებთან ჰიადების რიცხვი სამიდან შვიდამდე მერყეობს.

მითოსის თანახმად, ჰიადებს ჰყავდათ ძმა, სახელად *ჰიასი*, რომელიც ნადირობისას ლომმა დაგლიჯა (სხვა ვერსიით, გველმა დაგესლა). დიდხანს იგლოვდნენ დამწუხრებული ჰიადები საყვარელ ძმას. *ზევსმა* ისინი შეიბრალა, ცად აღაზევა და ვარსკვლავებად გარდასახა. ბერძენთა რწმენით, ეს იყო ხბოს თანავარსკვლავედის შვიდი მნათობი, რომელთა გამოჩენა წვიმიანობის დაწყებას მოასწავებდა.

**ჰიაკინთოსი** – (ჰიაცინტი). ბერძნ. მსხმოიარე სამყაროს წინაბერძნული ღვთაება, რომლის კულტიც მოგვიანებით შეერთა *აპოლონის* კულტმა.

ოლიმპიურ მითოლოგიაში ჰიაკინთოსი აპოლონის საყვარელი მშვენიერი ყმაწვილია. იგი ქართა მეუფე *ზეფიროსმაც* შეიყვარა. ეჭვიანობდა ზეფიროსი, როდესაც ყმაწვილს აპოლონთან ერთად ხედავდა. ერთხელ, როდესაც აპოლონი ჰიაკინთოსს ბადროს ტყორცნაში ავარჯიშებდა, ზეფიროსმა ისე დაჰბერა, რომ ბადრო ყმაწვილს თავში მოხვდა. ჰიაკინთოსი გარდაიცვალა. მისი სისხლის წვეთებიდან კი ამოიზარდა ყვავილი, რომელსაც ჰიაკინთოსი ეწოდა.

ეს თქმულება მომაკვდავი და კვლავ აღორძინებადი ღვთაების ერთ-ერთი ვერსიათაგანია, რომელიც ზამთრის ძილის შემდეგ გამოფხიზლებული ბუნების სიმბოლოდ იქცა.

*ჰიაკინთოსის კულტის ცენტრი იყო ამიკლე, სადაც ყოველწლიურად იმართებოდა აპოლონისა და ჰიაკინთოსისადმი მიძღვნილი დღესასწაულები სახელწოდებით – ჰიაკინთები.*

**ჰიასი** – ბერძნ. 1. *ჰიადების* ძმა, რომელიც ნადირობისას დაიღუპა. ზოგი ვერსიით, იგი ლომმა დაგლიჯა; სხვა ვერსიით კი, დაიგესლა გველის ნაკბენით.

2. *ენეასის* თანამგზავრი, რომელიც არნახული ძალით გამოირჩეოდა.

**ჰიგიეა** – ბერძნ. ჯანმრთელობის ქალღმერთი; *ასკლეპიოსის* ასული.

ჰიგიეას კულტი გვიან მიიღეს ბერძნებმა, ამიტომ მასზე ნაკლებად თხზავდნენ მითებს. ჰიგიეას წარმოსახავდნენ ახალგაზრდა ქალად, რომელსაც თავს დიადემა ერქვა, ხელში კი თასი ეჭირა, რომლითაც გველს სასმელს აწოდებდა.

თანამედროვე სამყაროში გველშემოგრაგნილი თასი მედიცინის ემბლემაა, ხოლო ჰიგიეას სახელიდან მომდინარეობს ტერმინი „ჰიგიენა".

**ჰიდრა** – ბერძნ. წყლის მრავალთავიანი ურჩხული, რომელიც *ექიდნამ* შვა.

მითები ჰიდრას ბუნაგად უძირო ლერნეს ტბას ასახელებენ. ამიტომ ეს ურჩხული ლერნეს ჰიდრად არის ცნობილი. მას ქოფაკის ვეებერთელა სხეულზე გველის ცხრა თავი ება. მათგან ერთ-ერთი უკვდავი იყო. ამ ურჩხულთან შებრძოლება მხოლოდ გმირმა *ჰერაკლემ* გაბედა. შეებრძოლა და სულიც გააფრთხობინა (იხ. ჰერაკლე, მეორე გმირობა).

**ჰიეროგამია** – ბერძნ. „წმიდა ქორწინება", ძველ რელიგიებსა და მითოლოგიაში ღვთაებრივი წყვილის, ღმერთისა და ქალღმერთის შეუღლება, რომელიც წარმოადგენდა მიწიერი წყვილის შეუღლების წინასახეს, არქეტიპს. ასეთი წყვილი შუამდინარეთში იყვნენ *დუმუზი* და *ინანა*. ურუქში, რომლის მფარველი ღვთაება ქალღმერთი იყო, სახელდობრ, ინანა, ურუქის მეფე მის მიწიერ მეუღლედ ითვლებოდა, ოღონდ რეალური კავშირი ქალღმერთის ტაძრის მხევალთან, ე.წ. სადვთო როსკიპთან მყარდებოდა. ამ საქორწინო შეუღლებაში ისინი დუმუზი-ინანას განასახიერებდნენ, რაც ყოველგვარი ნაყოფიერებისა და ქალაქის კეთილდღეობის გარანტია იყო. გილგამეშის ეპოსში იშთარის ტაძრის ერთ-ერთი სადვთო როსკიპი, სახელად, შამხათი („მხიარული") *ენქიდუს* განკაცების ინიციატორია, მასთან შეუღლების შემდეგ ნახევრად ველური (*ლულუ*) სრულყოფილ ადამიანად გარდაიქმნება.

**ჰილასი** – ბერძნ. *ჰერაკლეს* საჭურველთმტვირთველი; დრიოპთა მეფისწული.

როდესაც ჰერაკლემ დრიოპები დაამარცხა, მშვენიერი მეფისწული შეიწყალა და თან გაიყოლა, შემდეგ თავისი აღსაჭურველიც ჩააბარა. ჰილასი თან ახლდა ჰერაკლეს *არგონავტების* ლაშქრობაში. როდესაც ხომალდმა *„არგომ"* მისიის სანაპიროსთან ჩაუშვა ღუზა, ყმაწვილი წყლის მოსატანად წავიდა. წყაროს *ნიმფებმა* მოჰკრეს თუ არა მას თვალი, ისე მოეწონათ, რომ მოიტაცეს (სხვა ვერსიით, ჰილასი წყაროში ჩავარდა და დაიხრჩო). დიდხანს ელოდა ჰერაკლე საყვარელ ყმაწვილს. ბოლოს დატოვა ხომალდი და მის საძებნელად გაემართა. არგონავტებმა ჰერაკლეს გარეშე განაგრძეს გზა.

ჰილასის სახეს ვხვდებით ვერგილიუსის, ოვიდიუსისა და გოეთეს ქმნილებებში.

**ჰიმენეოსი** – ბერძნ. ქორწინების ღმერთი საბერძნეთსა და რომში; *აპოლონისა* და ერთ-ერთი *მუზის* (*კალიოპეს, ურანიას* ან *ტერფსიქორეს*) ძე. სხვა ვერსიით, ჰიმენეოსი *დიონისესა* და *აფროდიტეს* ვაჟიშვილია.

ჰიმენეოსს მუდამ უხმობდნენ საქორწინო ჰიმნებში, რომლებსაც ამ ღვთაების სახელის მიხედვით ჰიმენეები ეწოდებოდათ. მითოსი, რომელიც მოგვითხრობს ჰიმენეოსის შესახებ, ჩანს, საქორწინო ჰიმნის სიუჟეტი იყო: ზღვის ყაჩაღებმა მოიტაცეს ქალწულები, რომლებიც გაათავისუფლა ჰიმენეოსმა, ერთ-ერთ მათგანზე კი იქორწინა კიდეც. სხვა მითოსის თანახმად, ჰიმენეოსი დიდებული მომღერალი და მუსიკოსი ყოფილა. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა თავისი მამის, დიონისეს ქორწილზე. მკურნალ ღვთაებას, *ასკლეპიოსს* იგი მკვდრეთით აღუდგენია.

ჰიმენეოსს წარმოსახავდნენ ყმაწვილ კაცად ყვავილწნულებითა და ჩირაღდნებით ხელში. მისი სახელი ხშირად გვხვდება ძველბერძნულ ლირიკულ პოეზიაში.

**ჰიმერა** – ბერძნ. „დღე". ქალღმერთი, რომელიც განასახიერებდა დღეს. ღამისა (*ნიქსის*) და წყვდიადის (*ერებოსის*) ასული; *ეთერის* და.

ჰიმერა *ჰელიოსის* თანამავალი იყო. რომაელები მას დიესს უწოდებდნენ.

**ჰიპერბორეელები** – „ბორეასის მიღმა მცხოვრებნი". ბერძნ. მითოსური ხალ-

ხი. ბერძენთა რწმენით, ისინი უკიდურეს ჩრდილოეთში მოსახლეობდნენ. ეთიოპელებისა და *ფეაკთა* მსგავსად ჰიპერბორეელებიც ღმერთების რჩეულნი იყვნენ.

მითოსის თანახმად, *აპოლონისა* და *არტემისის* დედა, *ლეტო*, ჰიპერბორეელთა ქვეყანაში დაიბადა და იქ ცხოვრობდა, ვიდრე კუნძულ დელოსზე არ გადასახლდა. აპოლონმაც თავისი ბავშვობა ამ მითოსურ მიწაზე გაატარა, რომელსაც ხშირად ეწვეოდა ხოლმე *დელფოში* დამკვიდრების შემდეგაც. იქ ინახავდა იგი თავის მომაკვდინებელ ისრებს, რომლებითაც ამოხოცა *კიკლოპები*. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ აპოლონის კულტთან დაკავშირებული მრავალი ნივთი ჰიპერბორეელთა ქვეყნიდან იყო ჩამოტანილი კუნძულ დელოსზე. უფრო მეტიც, დელფოს *ორაკულის* დაარსებასაც ჰიპერბორეელთა დამსახურებად მიიჩნევდნენ ძველ სამყაროში.

ჰიპერბორეეთს „ნეტართა ქვეყანას" უწოდებდნენ პოეტები. მათი აზრით, იქ საოცარი ბუნება იყო. მზე წელიწადში მხოლოდ ერთხელ ეფარებოდა თვალს, ხოლო მიწა ორგზის უძღვნიდა თავის მოსავალს ადამიანებს, რომლებიც დიდხანს, ძლიერ დიდხანს ცოცხლობდნენ მარადიულ სიმშვიდეში. როდესაც ჰიპერბორეელი მოხუცები ცხოვრებისაგან მოიღლებოდნენ, თავს იმკობდნენ ყვავილწნულებით და ზღვის სიღრმეში უჩინარდებოდნენ. ძველებს მიაჩნდათ, რომ ჰიპერბორეელებს მაგიური ძალაც გააჩნდათ, რომ ისინი გრძნეულები იყვნენ, შეეძლოთ ფრენაც, წყლის ზედაპირზე სიარულიც, ცეცხლში გავლაც, სულების გამოხმობაც და მიწისქვეშა საგანძურთა იოლად პოვნაც. მათ თავიანთი ენა ჰქონდათ, სამეფო ტახტს კი *ბორეადები, ბორეასის* ვაჟიშვილები განაგებდნენ.

ჰიპერბორეელთა ქვეყნისაკენ გზის გაგნება შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანას მაინც ეწვია გმირი *პერსევსი*, რომელსაც გზა *ათენამ* ასწავლა.

ჰიპერბორეეთს *ჰერაკლეც* სწვევია მაშინ, როდესაც *კერინიის ირემს* დასდევდა (იხ. *ჰერაკლე. მეოთხე გმირობა*). იქაური სანახაობის ხილვით გაოგნებულმა ზეთისხილის ხეს ტოტი მოატეხა და თან წაიღო ოლიმპიაში დასარგავად.

*არგონავტების* ლაშქრობაში ორი ჰიპერბორეელი მონაწილეობდა – *ძეტესი* და *კალაისი*. სხვა ჰიპერბორეელთა სახელებიც შემოგვეინახეს ძველმა მითებმა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო არისტეასი, რომელსაც ბევრი უმოგზაურია და თავისი შთაბეჭდილებები აუკინძავს წიგნად, რომლისთვისაც „არიმასპეა" უწოდებია.

ბერძნებს ბევრი რამ უსწავლიათ ჰიპერბორეელთაგან: მუსიკისა და პოეტური ქმნილებების თხზვის ხელოვნება, ხუროთმოძღვრება და ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობაც კი.

**ჰიპერბორეოსი** – ბერძ. *ჰიპერბორეელთა ეპონიმოსი* ანუ სახელმდებელი, რომელიც *ლეტოს* გაუჩენია მიწაში.

**ჰიპერიონი** – ბერძ. 1. *ტიტანთაგანი; ურანოსისა* და *გეას* ვაჟი; თეას მეუღლე; *ჰელიოსის, სელენესა* და *ეოსის* მამა.

2. ერთ-ერთი გადარჩენილ *სპარტოსთაგან*.

**ჰიპერმნესტრა** – ბერძ. ერთ-ერთი *დანაიდა*, რომელმაც მამის სურვილის წინააღმდეგ სიცოცხლე შეუნარჩუნა თავის საყვარელ მეუღლეს, ლინკევსს.

**ჰიპნოსი** – „ძილი".ბერძ. ღვთაება, რომელიც ძილს განასახიერებდა. *ნიქსის* (ღამის) ვაჟი; *თანატოსის* (სიკვდილის) ძმა.

ჰიპნოსი კეთილგანწყობილი ღვთაება იყო, მშვიდ დასვენებას ჰგვრიდა მოკვდავებსაც და უკვდავებსაც. იგი, ბერძენთა წარმოდგენით, კიმერიელთა ქვეყნად იყო დავანებული. მის სამფლობელოში ვერ აღწევდა მზის მკრთალი სხივიც. იქვე მიედინებოდა მდინარე *ლეთე*, მეხსიერებას რომ აკარგვინებდა ადამიანებს და რაც მთავარია, იქ იზრდებოდა მინდვრის ბალახი, რომლისგანაც ქალღმერთი ნიქსი იმ მიძინების წვენს გამოსწურავდა ხოლმე, რომელსაც ქვეყნიერებას აპკურებდა. თავად ჰიპნოსი იდუმალებით მოცულ მღვიმეში შავ სარეცელზე ისვენებდა ზმანებათა გარემოცვაში.

დაუძლეველი ღმერთი იყო ძილის ღვთაება. თავად ზევსიც კი მორჩილებდა მის ნება-სურვილს. თანატოსისგან განსხვავებით, იგი ძლიერ უყვარდა ყველას – ცისიერსაც და მიწიერსაც.

ჰიპნოსს ხელოვანნი წარმოსახავდნენ ფრთაშესხმულ ჭაბუკად, ზოგჯერ კი მიძინებულ ყმაწვილად, რომელიც გადაღლილ ფრთებს ასვენებდა. ჰიპნოსის ატრიბუტები იყო ყაყაჩოს ყვავილი და პატარა რქა. მისი სახელისაგან მომდინარეობს სიტყვა „ჰიპნოსი".

**ჰიპოდამეია** – ბერძ. 1. *პლეიადა სტეროპესა* და ელისის მეფე *ოინომაოსის* ასული; პელოფსის მეუღლე (იხ. *პელოფსი*).

2. *აქილევსის* ტყვექალი, რომელიც *აგამემნონმა* წაართვა;

3. პირითოოსის მეუღლე (იხ. პირითოოსი).

**ჰიპოკრენე** – ბერძ. წყარო, რომელიც მიედინებოდა მუზათა მთად წოდებულ *ჰელიკონზე*. გადმოცემათა თანახმად, ამ წყარომ მაშინ ამოხეთქა, როდესაც იქ მოხვედრილმა ფრთოსანმა რაშმა *პეგასოსმა* მიწას ჩლიქი სცა. ჰიპოკრენემ პოეტთა შთაგონების წყაროს სახელი დაიმკვიდრა სამარადჟამოდ.

**ჰიპოლიტე** – ბერძ. ამორძალთა (*ამაძონთა*) დედოფალი; *არესისა* და *ნიმფა ჰარმონიას* ასული; მის შესახებ *ჰერაკლესა* და *თესევსის* მითები მოგვითხრობენ.

დედოფალი ჰიპოლიტე თავისი მშვენიერებითა და სულის სიმედგრით გამოირჩეოდა თემისკირელ ამორძალთა შორის. მას არესმა ღვთაებრივი სარტყელი აჩუქა, რომელიც სამეფო ძალაუფლების სიმბოლოც იყო. სწორედ ეს სარტყელი უნდა მოეპოვებინა ჰერაკლეს, როდესაც იგი ამორძალთა ქვეყნისაკენ გაეშურა (იხ. *ჰერაკლე. გმირობა მეცხრე*). მითოსის ერთი ვერსიით, ჰერაკლემ მოკლა ჰიპოლიტე და მის სარტყელს დაეპატრონა. სხვა ვერსიით კი, ამორძალებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ბერძენ გმირს. ჰერაკლემ ტყვედ ჩაიგდო ჰიპოლიტე და თესევსს უძღვნა. მისი სარტყელი კი *ევრისთევსს* ჩაუტანა.

არსებობს ისეთი მითოსიც, რომლის თანახმადაც თესევსი თავად გაეშურა ამორძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად, დაამარცხა ისინი, დედოფალი ჰიპოლიტე კი ტყვედ წაიყვანა ათენში. ამორძალებმა განიზრახეს, ენახათ თავიანთი დედოფალი. ისინი შეიჭრნენ ატიკაში, ათენსაც მიაღწიეს, მაგრამ არესის ბორცვთან ბრძოლისას დამარცხდნენ. ასე დარჩა ათენში ჰიპოლიტე, რომელსაც თესევსისაგან შეეძინა შვილი, *ჰიპოლიტოსი*. თესევსისა და *ფედრას* ქორწილზე მონადიმეებს შეიარაღებული გამოეცხადა ამორძალთა ამაყი დედოფალი, რომელიც იქვე მოკლეს მცველებმა.

**ჰიპოლიტოსი** – ბერძ. სახელოვანი გმირის, ათენის მეფის *თესევსისა* და ამორძალთა დედოფალ ანტიოპეს (სხვა ვერსიით, *ჰიპოლიტეს*) ვაჟი.

მითოსის გავრცელებული ვერსიის თანახმად, ათენის მეფე თესევსს ძლიერ უყვარდა ამორძალი ანტიოპე, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა. დიდხანს იგლოვა იგი თესევსმა, ბოლოს იქორწინა *მინოსის* ასულ *ფედრაზე*. ანტიოპესგან თესევსს დარჩა უკანონო ვაჟი, სახელად ჰიპოლიტოსი, რომელიც აღსაზრდელად მიაბარა არგოლისის ბრძენ განმგებელს, პიტთევსს. მეფემ იშვილა იგი და ტროიძენის სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარა.

ჰიპოლიტოსი, ისევე, როგორც მისი ამორძალი დედა ანტიოპე, განსაკუთრებულ თაყვანს სცემდა ნადირობის ქალღმერთ *არტემისს*,

რომელსაც ტროიძენში დიდებული ტაძარი აუგო. განაწყენდა სიყვარულის ღვთაება *აფროდიტე* და ჭაბუკის დასჯა განიზრახა: მისდამი მძაფრი ვნებით აღაგზნო ფედრა. არ უყვარდა დედინაცვალი ჰიპოლიტოსს და ყოველნაირად ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. შეურაცხყოფილმა ფედრამ თავი ჩამოიხრჩო. სიკვდილის წინ კი წერილი გაუგზავნა თესევსს, სადაც ბრალს სდებდა ჰიპოლიტოსს, თითქოსდა იგი მის შეცდენას ლამობდა. განრისხდა მეფე, შვილი დაწყევლა და მამა-მეუფე *პოსეიდონს* სთხოვა მისი დასჯა. პოსეიდონმა შეისმინა მისი ვედრება: როდესაც თავის ეტლზე აღზევებული ჰიპოლიტოსი ათენიდან საოცარი სისწრაფით მიქროდა, ისთმოსის ვიწრო სრუტესთან უზარმაზარმა ზვირთმა ზათქით, გრიალით ამოაგდო ირემი თუ თეთრი ხარი, რომელიც ეტლს დაედევნა. ცხენები დაფრთხნენ. მართალია, თესევსის ძე გამოცდილი მეეტლე იყო, მაგრამ თავი ვერ შეიკავა, ხელი გაუშვა სადავეებს, რომლებიც ზეთისხილის რტოებში გაიხლართნენ. ეტლი დაიმსხვრა. ჰიპოლიტოსი კი თავისივე ცხენებმა გადათელეს.

ამ ამბით შეძრულმა არტემისმა სიმართლე ამცნო თესევსს, რომელმაც არ დააყოვნა და საყვარელ შვილს დაედევნა, მაგრამ დააგვიანა. თუმცა მომაკვდავს მიუსწრო და შეცდომა მოინანია.

მითოსის ერთი ვერსიით, ჰიპოლიტოსი მკვდრეთით აღადგინა *ასკლეპიოსმა*. სხვა ვერსიით, იგი მეეტლის თანავარსკვლავედად გარდასახეს ღმერთებმა.

ათენში ჰიპოლიტოსს ღვთაებრივ პატივს მიაგებდნენ. მისი თავგადასავალი აისახა სოფოკლეს, ევრიპიდეს, სენეკას, რასინისა და დ.ანუნციოს ტრაგედიებში; ამ თემაზე წერდნენ ლექსებს პოეტები: მ. ცვეტაევა, ო. მანდელშტამი და სხვები; ცნობილია რამოსა და გლუკის ოპერები; კოკტოს ბალეტი და მასნეს სიმფონიური პოემა.

**ჰიფსიპილე** – ბერძნ. კუნძულ ლემნოსის მბრძანებელი; თოასის ასული.

თოასის მეფობის ჟამს ლემნოსელი ქალები სათანადო პატივს არ მიაგებდნენ *აფროდიტეს*. სიყვარულის ქალღმერთმა ისინი მკაცრად დასაჯა, ისეთი სიმყრალე შეჰყარა, რომ ქმრებმა შეიძულეს თავიანთი ცოლები და მათი შეცვლა თრაკიელი ქალებით განიზრახეს. შეურაცხყოფილმა ლემნოსელმა ქალებმა მოილაპარაკეს და ერთ ღამეში ამოხოცეს მამაკაცები. ამ შემზარავ ჟლეტას გადაურჩა მხოლოდ მეფე თოასი, რომელიც ჰიფსიპილემ გააპარა კუნძულიდან.

მალე ქალებმა თავიანთ მბრძანებლად აირჩიეს მეფის ასული. როდესაც ლემნოსს *არგონავტები* ეწვივნენ, ქალები თავდაპირველად საბრძოლველად გაემზადნენ. ჰიფსიპილეს მოხუცმა ძიძამ, პოლიქსომ კი მათ ასეთი სიტყვით მიმართა: „აბა, დაფიქრდით, შევძლებთ თუ არა კაცების გარეშე არსებობას, ან თავის დაცვას მომხდურთაგან. ჰოდა, დავრთოთ ბერძენ ვაჟკაცებს ჩვენს ქალაქში შემოსვლის ნება!“ ლემნოსელ ქალებს მოეწონათ ეს აზრი. მათ ზიზღის აღმძვრელი სუნი უკვე გაქრობოდათ და შეეძლოთ, თავდავიწყებით მისცემოდნენ სასიყვარულო განცხრომას. არგონავტებსაც მოეწონათ მამაკაცურ ალერსს მოკლებულ ქალებთან ყოფნა და კარგა ხანი დაჰყვეს ამ კუნძულზე. *იასონს* შეუყვარდა კიდეც ჰიფსიპილე, რომელმაც მას ორი ძე, ევნეოსი და თოასი, უშვა.

არგონავტების წასვლის შემდეგ ლემნოსელმა ქალებმა შეიტყვეს, რომ ჰიფსიპილემ მამა დაინდო და ამის გამო მისი დასჯა განიზრახეს. დედოფალი კუნძულიდან გაიქცა. გზად მიმავალი ყაჩაღებმა შეიპყრეს და ნემეას მეფე ლიკურგოსს (სხვა ვერსიით, თებეს მეფე ლიკოსს) მიჰყიდეს. ლიკურგოსმა მას თავისი ძის აღზრდა დაავალა. ერთ დღეს, როცა ყმაწვილი ჰიფსიპილესთან სეირნობდა, გველმა დაგესლა. გარისხდა მეფე ლიკურგოსი და ჰიფსიპილეს მოკვლა განიზრახა. მაგრამ სასჯელის აღსრულების დღეს ნემეაში ჩავიდნენ ჰიფსიპილეს ვაჟიშვილები და დედა სიკვდილს გადაარჩინეს (სხვა ვერსიით, იგი ამფიარაოსმა და ადრასტოსმა იხსნეს).

ჰიფსიპილე თავის შვილებთან ერთად დაბრუნდა ლემნოსზე და სიბერემდე იცოცხლა.

**ჰომეროსული ხარხარი** – ეს გამოთქმა უკავშირდება ძველი სამყაროს უდიდეს პოეტს, ჰომეროსს, რომელმაც თავის პოემებში („*ილიადა*“ I, 599; „*ოდისეა*“ VIII, 326) აღწერა ღმერთების ხარხარი.

გადატანითი მნიშვნელობით „ჰომეროსული ხარხარი“ გარდამეტებულ, გულიან სიცილს გულისხმობს.

**ჰომონოია** – ბერძნ. თანხმობისა და ერთსულოვნების განმასახიერებელი ქალღმერთი ძველ სამყაროში.

**ჰონორი** – რომ. „დიდება“. ღირსებისა და პატივის განმასახიერებელი ღმერთი, რომელსაც *ვირტუსთან* ერთად სცემდნენ თაყვანს რომაელები.

ჰონორი, ვირტუსი, *ბელონა* და *დისკორდია* *მარსის* თანამავლებად ითვლებოდნენ.

ჰონორს წარმოსახავდნენ ახალგაზრდა კაცად, რომელსაც ხელში სიუხვის რქა და შუბი ეკავა.

**ჰორები** – ბერძნ. ქალღმერთები, რომლებიც წარმართავდნენ წლის დროთა ცვლას, იცავდნენ წესრიგს სამყაროში; მითოსის გავრცელებული ვერსიის თანახმად, ისინი *ზევსისა* და *თემისის* ასულები იყვნენ, ხოლო მათ დებად ასახელებდნენ *მოირებსა* და *ქარიტებს*.

ჰომეროსი, რომელიც არ გვამცნობს ჰორათა სახელებს, აღნიშნავდა, რომ ისინი *ოლიმპოსის* ღრუბლებით დაბურულ კარიბჭეს დარაჯობდნენ, უვლიდნენ *ჰერას* ეტლსა და მის ცხენებს.

საბერძნეთში თავდაპირველად წელიწადის ორ, შემდეგ სამსა და სულ ბოლოს, ოთხ დროს ითვლიდნენ. შესაბამისად იზრდებოდა ჰორათა რაოდენობაც. ასე მაგალითად, არქაულ ათენში უძველესი ხანებიდან მოყოლებული ორ ჰორას მიაგებდნენ პატივს. ესენი იყვნენ: გაზაფხულის ჰორა თალო (აყვავებული) და ზაფხულის ჰორა კარპო (მრავალნაყოფიანი). ისინი *აფროდიტეს* თანამავლებად ითვლებოდნენ, ვითარცა ნაყოფიერების ქალღმერთები. ჰესიოდე სამ ჰორას მოიხსენიებს: *ევნომიას* (კეთილკანონიერებას), *დიკეს* (სამართლიანობას) და *ეირენეს* (მშვიდობას). გვიანი ხანის მითოგრაფოსები კი უკვე ოთხ ჰორას ასახელებენ. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად წარმოადგენს ამ ოთხეულს. გავრცელებული ვერსიით, ჰორათა ამ სახელებს კიდევ ერთი ემატება – აუქსო (ზრდა).

რომში განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს ერთ ჰორას – ეირენეს, რომელსაც *პაქსთან* აიგივებდნენ.

ჰორებს უხვი ნაყოფით ან ყვავილებით დამშვენებულ ქალწულებად წარმოსახავდნენ.

## შემოკლებათა განმარტება

ახ. წ. – ახალი წელთაღრიცხვით
ბაბილონ. – ბაბილონური
ბერძნ. – ბერძნული
დაახ. – დაახლოებით
ეგვ. – ეგვიპტური
ე. წ. – ეგრეთ წოდებული
იაპონ. – იაპონური
ინდ. – ინდური
იხ. – იხილე
რომ. – რომაული
უგარ. – უგარიტული
შუამდ. – შუამდინარული
შუამდ. – შუმერ. – შუამდინარულ-შუმერული
ჩინ. – ჩინური
ძვ. ირან. – ძველი ირანული
ძვ. წ. – ძველი წელთაღრიცხვით

## სახელთა საძიებელი

### ა


აბასი – 5, 59 (I), 80 (II)
აბდეროსი – 5 (I), 147 (II)
აბზუ – 5, 43, 57, 86, 109 (I), 5, 13, (II)
აბუბუ – 5 (I)
აგავე – 5 (I), 69, 100, 139 (II)
აგამედესი – 110 (II)
აგამემნონი – 5, 40, 44, 58, 82, 105, 109, 121, 125, 126, 132 (I), 15, 43, 52, 62, 73, 101, 103, 104, 105, 110, 112, 127, 165 (II)
აგლაია – 124 (II)
აგნი – 6 (I), 82 (II)
ადადი – 7, 85 (I), 6, (II)
ადაპა – 36 (II)
ადაპა – 7, 16 (I)
ადიტი – 8, 116 (I)
ადონისი – 8, 42, 131 (I), 100 (II)
ადრასტოსი – 75 (II)
აედი – 10 (I)
აეშმა – 54, 92 (I)
ავათარა – 10, 95, 132, 135 (I), 85 (II)
აეათარები – 39, 95 (I)
ავგიასი – 10 (I), 110, 146 (II)
ავგიასის თავლები – 122 (I), 146 (II)
ავგურები – 10 (I), 5, 24 (II)
აერორა – 10, 87 (I)
ავტოლიკოსი – 10 (I), 42, 143, 152, 159 (II)
აზაგი – 10 (I)
ათამასი – 10 (I), 33, 122, 140 (II)
ათარი – 11, 47 (I)
ათენა – 11, 12, 17, 24, 31, 34, 36, 41, 54, 60, 61, 71, 78, 81, 89, 99, 105, 110, 123, 126, 127, 134 (I), 5, 7, 16, 18, 24, 27, 34, 43, 46, 53, 57, 58, 59, 61, 69, 75, 100, 105, 106, 107, 112, 126, 136, 138, 161, 162, 165(II)
ათენი – 13, 80, 118, 127, 132, 133 (I)
ათენის აკროპოლისი – 126 (I)
ათონი – 16 (I)
ათრახასისი – 16 (I)
ათუმი – 16 (I), 41, 83 (II)
ათუნა – 12 (II)
აია – 16, 17, 132 (I), 163 (II)
აიაია – 17, 131, 132 (I), 11, 45 (II)
აიასი – 17, 44 (I), 105 (II)
აიასმა – 126 (I)
აიეტი – 17, 32, 43, 112, 113 (I), 10, 45, 56, 122, 123 (II)
აისი – 32 (I), 46 (II)
აკა ლარენცია – 18 (I), 90, 118 (II)
აკადემისი – 18 (I)
აკადემოსი – 15 (I)
აკეილონი – 18 (I)
აკისი – 32 (II)
აკკო – 18 (I)
აკრისიოსი – 80 (II)
აკროპოლისი – 13, 18, 90, 103, 127 (I)
აკპითუ – 18, 61 (I)
ალალი – 18 (I)
ალაპა – 101 (I)
ალკათოოსი – 67 (II)
ალკესტისი – 101 (I), 152 (II)
ალკიონე – 127 (I)
ალკმენე – 18, 21, 79, 99, 122 (I), 83, 142 (II)
ალფიტო – 18 (I)
ამალთეა – 18, 78, 98, 104 (I), 99 (II)
ამარაეანტი – 19 (I)
ამატერასუ – 19, 20, 123 (I), 103 (II)
ამაცუმარა – 19 (I)
ამაძონები – 20 (I), 69, 165 (II)
ამბროსია – 20, 44, 68, 98, 104 (I), 51, 74, 98, 104, 139 (II)
ამენ–ოკაგუიამა – 20 (I)
ამეშა–სპენტები – 20, 35, 47, 59 (I), 3 (II)
ამეშასპენტა – 97 (I)
ამეშასპენტები – 95 (I)
ამონთან – 41 (II)
ამონი – 20 (I)
ამორძალები – 105 (I)
ამრიტა – 21, 54 (I), 85 (II)
ამრიტა – 39, 95 (I), 9 (II)
ამულიუსი – 21 (I), 41, 86, 89 (II)
ამური – 21, 90 (I)
ამფიონი – 38 (II)
ამფიტრიონი – 18, 21, 122 (I), 71, 83, 105, 142 (II)
ამფიტრიტე – 21 (I), 32, 77, 109 (II)
ანათი – 21, 48 (I), 68 (II)
ანანკე – 21 (I), 23 (II)
ანგი – 21, 71, 124 (I)
ანგირასები – 21, 93 (I), 8 (II)
ანგირასი – 21, 26, 52, 117 (I), 4 (II)
ანგრი მაინიუ – 47 (I)
ანდრომაქე – 31, 69, 163 (II)
ანდრომაქეა – 22 (I), 112 (II)
ანდრომედე – 22, 100, 127 (I), 70 (II)
ანზუდი – 22, 30, 57, 115, 139 (I), 36 (II)
ანთესტერიები – 22, 74 (I), 159 (II)
ანთროპომორფული – 69 (I)
ანთროპომოფიზმი – 24 (I)
ანისა – 50 (I)
ანკილე – 24 (I), 7, 91 (II)
ანტეოსი – 54 (I)
ანტიგონე – 24, 119, 132 (I), 48, 75 (II)
ანტიკურობა – 25 (I)
ანტიოპე – 20, 107 (I)
ანუ – 7, 23, 26, 37, 57, 92 (I), 36 (II)
ანუბისი – 26 (I)
ანუნაქები – 26, 47, 113 (I), 4 (II)
ანუნაქი – 89 (I)
ანქიზესი – 42 (I)
ანქისესი – 27, 61 (I)
ანშარი – 27 (I)
ანპრო მაინიუ – 27, 53, 59, 76, 99, 102, 119 (I), 6 (II)
აპოთეოსი – 27 (I)
აპოლო – 110 (I)
აპოლონი – 6, 27, 32, 36, 38, 45, 61, 65, 70, 73, 77, 82, 83, 88, 99, 104, 106, 110, 118, 125, 127, 130, 131, 135, 136, 137, 139 (I), 4, 7, 8, 15, 17, 24, 26, 39, 51, 52, 53, 54, 57, 60, 61, 62, 63, 73, 76, 94, 95, 100, 106, 107, 108, 110, 111, 120, 121, 124, 126, 127, 140, 144, 158, 160, 161, 164, 165 (II)
აპოლონის ატრიბუტი – 78 (I)
აპოლონის ქურუმი – 127 (II)
აპოქსიომენოსი – 30 (I)
აჟი დაპაკა – 67, 114 (I)
აჟიდაპაკა – 30, 110 (I)
არათა – 30, 114, 139 (I)
არათთა – 85 (I)
არალი – 30 (I)
არალუ – 29 (I)
არაქნე – 31 (I)
არგო – 17, 31, 100, 112, 131 (I), 67, 164 (II)
არგონავტები – 17, 31, 39, 43, 51, 75, 100, 112, 131, 139 (I), 10, 13, 18, 24, 37, 56, 65, 67, 96, 97, 99, 100, 104, 105, 109, 124, 136, 139, 157, 159, 160, 164, 165, 166 (II)
არგოსი – 112 (I)
არდვისურა ანაპიტა – 33 (I)
არეოპაგოსი – 12, 15, 33 (I)
არესი – 9, 17, 20, 32, 33, 71, 89, 90, 99, 110, 123, 128 (I), 7, 10, 41, 53, 56, 67, 69, 74, 75, 98, 100, 120, 121, 129, 138, 141, 165 (II)
არეტე – 47 (II)
არეალელი ძმები – 18 (I)
ართა – 35, 76 (I)
არიადნე – 35, 62, 73, 107, 138 (I), 18, 19, 23, 62, 118 (II)
არიადნეს გორგალი – 35 (I)
არიანა ვეჯა – 35 (I)
არიმანი – 100 (I)
არიონი – 100 (I)

არმა – 35 (I)
არტე – 35 (I)
არტემის ეფესელის ტაძარი – 36 (I)
არტემისი – 6, 27, 36, 39, 46, 52, 70, 88, 99, 100, 110, 114, 121, 124, 125, 129, 130, 132, 138 (I), 11, 13, 14, 39, 43, 49, 53, 73, 74, 93, 108, 111, 118, 121, 126, 127, 139, 146, 161, 165 (II)
არუნა – 37 (I)
არურუ – 37, 87 (I)
ასიპარა-ნო ნაკაცუკუნი – 37 (I)
ასკანიუსი – 21, 37, 83 (I), 86, 88, 96 (II)
ასკლეპიოსი – 14, 29, 38, 90 (I), 53, 58, 63, 75, 100, 120, 126, 155, 164, 166 (II)
ასტერეასი – 61 (II)
ასტერიონი – 18 (I)
ასტრეოსი – 100 (I)
ასურები – 21, 38, 71, 95, 116, 124, 135 (I), 8, 60, 62, 85 (II)
ატალანტე – 39, 124 (I), 13 (II)
ატე – 39 (I)
ატლანტისი – 39 (I)
ატლასი – 40, 98, 111, 125 (I), 3, 62, 70, 74, 75, 78, 80, 105, 107 (II)
ატრევსი – 40, 109 (I), 15, 67, 74, 80, 104, 149,157, 158, 160, 161, 164 (II)
ატრიბუტი – 41, 74, 99, 111, 132, 121, 125 (I), 92, 93, 96, 99, 103, 120, 124 (II)
ატროპოსი – 13, 23 (II)
აფოფი – 41 (I), 83, 84 (II)
აფროდიტე – 27, 31, 33, 41, 54, 60, 71, 81, 83, 90, 92, 93, 99, 110, 113, 123, 130, 131 (I), 7, 10, 15, 18, 24, 52, 57, 59, 61, 65, 72, 75, 77, 107, 110, 115, 117, 118, 121, 122, 124, 129, 138, 158, 164, 166 (II)
აფსირტოსი – 17, 33, 43, 113, 131 (I), 10 (II)
აფუ – 43 (I)
აფქალი – 8, 43, 86 (I)
აქაველები – 43 (I)
აქელოოსი – 43, 64 (I), 74, 97, 100, 155 (II)
აქერონი – 43 (I), 124, 138, 151 (II)
აქითუ – 43 (I)
აქილევსი – 6, 17, 44, 46, 71, 82, 83, 105, 108, 121 (I), 12, 14, 23, 31, 32, 43, 61, 62, 65, 69, 76, 79, 99, 105, 110, 119, 126, 165 (II)
აქილევსის ფარი – 46 (I)
აქილევსის ქუსლი – 46 (I), 76 (II)
აქტეონი – 36, 46, 123 (I)
აშერათუ – 21, 47, 48, 114 (I)
აშერთუ – 47 (I)
აშეათპა – 47 (I)
აშვამედპა – 47 (I)
აშეინები – 47, 71, 95 (I)
აშნანი – 47 (I)
აშური – 47 (I)
აჰრიმანი – 20 (I)
აჰურა – 47, 59 (I), 3 (II)
აჰურა მაზდა – 11, 20, 27, 47, 53, 55, 93, 95, 97, 99, 102, 114 (I)
აჰურები – 47 (I)

## ბ

ბაალი – 18, 21, 48, 111, 114 (I)
ბაბა – 50 (I)
ბაბილონი – 7, 43, 48, 87 (I), 5 (II)
ბად-თიბირა – 48 (I)
ბაეკისი – 48 (I), 120 (II)
ბათა – 48 (I)
ბაქქანალია – 49 (I), 23 (II)
ბაკქი ქალები – 49 (I), 54, 100 (II)
ბაკქოსი – 49, 71 (I)
ბალა – 49 (I)
ბარბაროსები – 49, 82 (I)
ბასილეა – 50 (I)
ბასსარა – 50 (I)
ბასსარეოსი – 50 (I)
ბატრაქომიომაქია – 50 (I)
ბაუ – 50 (I)
ბახუსი – 49, 50, 71 (I)
ბეიშე – 50 (I)
ბელეროფონი – 50, 100 (I), 63, 74, 80, 92, 99, 126 (II)
ბელონა – 50, 95 (I), 166 (II)
ბიბლიოთეკა – 50 (I)
ბონა დეა – 51, 94 (I), 3, 118 (II)
ბონუს ევენტუსი – 51 (I)
ბორეადები – 51 (I), 120, 139, 165 (I)
ბორეასი – 18, 32, 51, 100 (I), 40, 44, 165 (II)
ბრაჰმა – 38, 51, 95, 96, 117, 133 (I), 5, 9, 11, 85, 90, 109 (II)
ბრიარეოსი – 108 (I), 138 (II)
ბრიჰასპატი – 6, 52, 71 (I)
ბრიტომარტისი – 52 (I)
ბრომიოსი – 52 (I)
ბუნდახიშნი – 52, 53 (I)
ბუსირისი – 52 (I)

## გ

გათუმდუგი – 50, 52 (I)
გაიომართი – 27, 53, 102 (I), 6 (II)
გალატეა – 53 (I), 32, 63, 76 (II)
განიმედესი – 53, 100, 136 (I), 112 (II)
განხეთქილების ვაშლი – 54, 89, 108 (I), 61, 110 (II)
გარუდა – 21, 37, 54, 95 (I), 85 (II)
გეა – 27, 54, 55, 89, 90, 92, 98, 102, 104, 111, 127, 130, 133, 134, 138 (I), 23, 24, 32, 34, 49, 53, 72, 73, 77, 85, 99, 105, 106. 107, 108, 115, 116, 121, 123, 140, 160, 165 (II)
გები – 54 (I), 33, 40 (II)
გეეუშ ურვან – 55 (I)
გენიუსი – 55, 70 (I), 103 (II)
გერიონის ძროხები – 55 (I), 148 (II)
გიგანტები – 29, 31, 34, 54, 55, 89, 98, 105, 136 (I), 58, 108, 115, 118, 154 (II)
გიგანტომაქია – 55, 88, 98, 105 (I), 58, 108, 140 (II)
გილგამეში – 56, 86, 101, 115, 139 (I), 9, 36 (II)
გიპარი – 57 (I)
გირრუ – 7, 57 (I), 41 (II)
გმირი – 58 (I), 160 (II)
გორგო – 59 (I), 12, 94, 121, 138 (II)
გორგო მედუზა – 40, 58, 78 (I), 63, 69, 151 (II)
გორდეასის კვანძის გახსნა – 59 (I)
გორდიასი – 58 (I), 17 (II)
გრაიები – 58, 59 (I), 69, 72, 121 (II)
გრაციები – 59 (I)
გუთიუმი – 55, 59 (I)
გუიმუ – 59 (I)
გულა – 59 (I)
გუნი – 59 (I)

## დ

დაევა – 59, 71, 102 (I)
დამოკლესი – 59 (I)
დანაე – 5, 59, 99 (I), 56, 69, 80 (II)
დანაელთა ძლეენი – 60 (I)
დანაიდები – 60, 61 (I), 138 (II)
დანაიდების კასრი – 78 (I)
დანაოსი – 60, 61, 78 (I)
დანიილუ – 61 (I)
დარდანოსი – 27, 61, 89, 111, 114 (I), 57, 95, 112, 120 (II)
დაფნე – 29, 61, 134 (I)
დაფნისი – 62 (I), 159 (II)
დაქტილოსი – 62, 114 (I)
დეა დიასი – 18 (I)
დეა რომა – 64 (I)
დედალოსი – 35, 62, 114, 134 (I), 18, 19, 22, 104 (II)
დეეა – 59 (I)
დეეები – 47 (I)
დევკალიონი – 64, 87, 88, 100 (I), 62, 73, 80, 140 (II)
დეიანირა – 43, 64, 118, 139 (I), 3, 32, 49, 151, 154, 157 (II)
დელფო – 28, 54, 61, 73, 76, 79, 105, 112, 118 (I), 31, 48, 52, 108, 110, 121, 152, 165 (II)
დელფოს ორაკული – 79, 104, 105, 127, 132 (I), 52, 62, 107 (II)
დელფოს სამისნო – 65, 123 (I), 73, 122, 144, 157 (II)
დემავენდი – 67, 110 (I)
დემეტრე – 54, 67, 80, 89, 99, 105, 108, 110, 111, 133 (I), 14, 23, 67, 71, 75, 77, 97, 104, 107, 109, 127, 137, 138, 139, 161 (II)
დემიურგი – 47, 69, 85, 86 (I), 5, 106 (II)
დემოდოკოსი – 42 (I), 47 (II)
დემონები – 41, 69, 92, 129 (I), 4, 51, 92, 96, 106, 109, 123, 126, 136 (II)
დვაპრა იუგა – 70 (I)
დიადი დედა – 70 (I)
დიანა – 36, 70, 78, 110, 125, 130, 139, 140 (I), 121 (II)
დიდი აიასი – 112 (II)
დიდონა – 70 (I), 72, 99 (II)
დივა – 71 (I)
დითირამბები – 73 (I)
დითირამბოსი – 71 (I)
დიკე – 71, 80, 87, 121 (I), 61, 166 (II)
დილმუნი – 71, 86, 100 (I), 37 (II)
დიომედე – 5 (I)
დიომედესი – 12, 34, 71, 124 (I), 57, 63, 106, 112, 120 (II)
დიომედესის ცხენი – 147 (II)
დიონე – 99 (I)
დიონისე – 5, 10, 24, 35, 49, 50, 52, 55, 71, 74, 81, 99, 100, 102, 107, 108, 110, 114, 117, 123, 127, 134, 138 (I), 7, 9, 14, 17, 18, 23, 24, 53, 57, 60, 63, 69, 79, 92, 93, 96, 108, 109, 124, 126, 135, 162, 164 (II)
დიონისეს ქურუმი – 75 (II)
დიონისიები – 74, 102 (I)
დიოსკურები – 18, 74, 81, 100, 107, 112, 127, 139 (I), 15, 65, 67, 71, 75, 76, 121, 126 (II)
დისკორდია – 89 (I), 166 (II)
დიძან-ეან – 76 (I)
დოდონე – 76, 84, 111 (I), 34, 52, 74 (II)
დრიადები – 138 (II)

დრუგა - 35, 55, 59, 76, 102, 114 (I)
დრუჯა - 76 (I)
დუ-კანი - 76 (I)
დუმუზი - 76, 83, 86, 87, 97, 101, 115, 116, 139 (I), 36, 164 (II)
დურანქი - 24, 77, 85 (I), 6, 17, 40 (II)

## Ე

ეა - 77 (I), 5, 27 (II)
ეაკოსი - 77, 82, 136 (I), 65, 83, 105, 138 (II)
ეანა - 76, 77, 116 (I)
ეგევსი - 77, 89, 105 (I), 12, 19, 22, 49, 58 (II)
ეგერია - 24, 78 (I), 41 (II)
ეგესთოსი - 6, 109, 126 (I)
ეგვიპტოსი - 5, 60, 61, 78, 139 (I)
ეგიოქოსი - 78 (I)
ეგისთოსი - 40 (I)
ეგისი - 19, 51, 75, 78, 90, 98 (I), 12, 71, 107, 156, 163 (II)
ევმენიდები - 78, 89 (I), 53 (II)
ევმეოსი - 78 (I), 47, 105 (II)
ევნომია - 79, 80, 104 (I), 6, 166 (II)
ევრიალე - 12 (II)
ევრიდიკე - 79 (I), 32, 54, 138 (II)
ევრინომე - 99 (I), 124 (II)
ევრისეთვსი - 79, 109 (I), 3, 5, 165 (II)
ევრისთევსი - 10, 18, 40, 129, 132 (I), 71, 142 (II)
ევრიტიონი - 128 (I)
ევროპე - 79, 99, 100, 123 (I), 18, 92, 103, 119 (II)
ევროსი - 40 (II)
ევტერპე - 79 (I), 25 (II)
ევფროსინე - 124 (II)
ევპემერიზი - 80 (I)
ეთერი - 80, 104 (I), 40, 123, 164 (II)
ეთიოპები - 80 (I)
ეირენე - 80, 104 (I), 75, 166 (II)
ელადა - 80 (I)
ელევსინები - 69, 80 (I), 23, 75, 77, 118, 137 (II)
ელენე - 5, 45, 54, 58, 75, 81, 99, 107, 121, 126, 137 (I), 15, 30, 42, 61, 74, 75, 107, 110, 120, 121, 160 (II)
ელექტრა - 5, 82, 132 (I), 52, 73 (II)
ელინები - 82 (I)
ელინოსი - 89 (I)
ელისიონი - 82, 124 (I), 16, 138 (II)
ენდიმონი - 93 (II)
ენეასი - 21, 27, 37, 42, 61, 70, 83, 85, 93, 111, 120, 129, 134, 137 (I), 41, 57, 58, 86, 88, 96, 112, 120, 138, 164 (II)
ენეიდა - 71, 84, 85 (I), 112 (II)
ენთენი - 83 (I)
ენლილი - 5, 26, 77, 85, 116 (I), 5, 28, 32, 36, 37, 40, 41 (II)
ენლილი ენქი - 85, 86 (I)
ენმერქარი - 30, 85, 139 (I)
ენტორია - 85 (I)
ენუმა ელიშ - 43, 86 (I)
ენქი - 5, 7, 24, 26, 77, 86, 89, 114, 139 (I), 9, 13, 36, 37 (II)
ენქიდუ - 30, 37, 83, 86, 115, 139 (I), 7, 164 (II)
ენქიმდუ - 87, 115 (I)
ეოლოსი - 87, 112, (I), 44, 98, 140 (II)
ეონი - 87 (I)
ეოსი - 10, 51, 87, 100, 102, 131, 140 (I), 51, 63, 107, 108, 140, 165 (II)
ეოსფოროსი - 161 (II)
ეპიგონები - 88 (I), 130 (II)
ეპიკლესა - 88 (I), 26, 61, 74, 75, 77, 86 (II)
ეპიმეთევსი - 40, 64, 88, 111 (I), 59, 80, 107 (II)
ეპონიმები - 58, 88 (I)
ეპონიმოსი - 137 (I), 119 (II)
ერა - 87, 123 (I)
ერატო - 89 (I), 26 (II)
ერებოსი - 80, 89 (I), 40, 93, 100, 123, 124, 154, 164 (II)
ერეშქიგალი - 5, 26, 30, 89, 116 (I), 28, 29, 32 (II)
ერეხთევსი - 51, 62, 77, 127 (I)
ერიდუ - 5, 7, 48, 86, 89, 116 (I), 9 (II)
ერიმანთოსის ტახი - 121, 126 (II)
ერინიები - 54, 78, 82, 89, 107, 116, 130 (I), 10, 53, 54, 104, 115, 123, 138 (II)
ერისი - 33, 54, 89 (I), 24 (II)
ერისიხთონი - 89 (I)
ერიხთონიოსი - 61, 89 (I), 58, 112 (II)
ეროსი - 21, 41, 42, 54, 61, 90, 104, 132, 134 (I), 10, 122, 123 (II)
ესკულაპიუსი - 38, 90 (I)
ესონი - 65, 67 (II)
ეტეოკლოსი - 24, 90 (I), 48, 75, 106, 129 (II)
ეტნა - 92 98 (I)
ექიდნა - 92, 138 (I), 29, 53, 99, 102, 105, 138, 144, 164 (II)
ექიდნე - 54, 128, 133 (I), 99, 126, 127 (II)
ექიონი - 69 (II)
ექო - 92, 110 (I), 29, 54, 60 (II)
ეშემი - 83 (I)
ეშმა - 92 (I)

## Ვ

ვაიუ - 71, 93 (I)
ვალა - 93, 117 (I)
ვარუნა - 8, 71, 93, 95, 124 (I)
ვატიკანი - 93, 99 (I)
ვაშითა - 93 (I)
ვაჩი - 93 (I)
ვაჯრა - 93, 96, 117, 124 (I), 106 (II)
ვეი-გუ - 93 (I)
ვენუსი - 41, 93, 110, 134, 138, 140 (I), 67, 91, 121, 161 (II)
ვერეთრაგნა - 94 (I)
ვესტა - 21, 94, 110 (I), 26, 41, 67, 86, 88, 89, 161 (II)
ვესტალები - 51, 78, 94 (I), 41 (II)
ვესტალისი - 86 (II)
ვივასვანტა - 47 (I)
ვივაპვანტი - 95 (I)
ვირაფა - 95 (I)
ვირტუსი - 95 (I), 166 (II)
ვიქტორია - 62, 95 (I), 34, 122 (II)
ვიშეარუპა - 95 (I), 106 (II)
ვიშნუ - 8, 10, 21, 51, 71, 95, 96, 117, 124, 132, 135 (I), 8, 62, 85, 109 (II)
ვრიტრა - 96, 117 (I), 17, 106 (II)
ვულკანუსი - 92, 96, 110 (I), 3, 67, 162 (II)

## Ზ

ზაკიკუ - 97 (I)
ზარათუშთრა - 47, 95, 97 (I), 138 (II)
ზაურვა - 97 (I)
ზევსი - 5, 8, 10, 11, 17, 18, 21, 27, 31, 33, 34, 36, 38, 39, 40, 41, 44, 50, 52, 53, 54, 55, 60, 61, 64, 67, 71, 72, 76, 77, 78, 79, 80, 81, 87, 88, 89, 90, 92, 97, 104, 107, 109, 110, 111, 114, 118, 120, 122, 123, 125, 127, 130, 132, 133, 134, 136, 137 (I), 3, 4, 7, 10, 14, 17, 18, 20, 23, 24, 25, 30, 34, 44, 49, 50, 52, 53, 55, 56, 57, 59, 61, 63, 65, 67, 68, 69, 71, 73, 74, 77, 79, 80, 83, 85, 92, 93, 95, 98, 99, 100, 103, 104, 105, 106, 107, 108, 116, 119, 120, 122, 123, 124, 126, 127, 130, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 158, 160, 161, 162, 164, 166 (II)
ზერვანი - 27, 99 (I)
ზეფიროსი - 51, 99 (I), 40, 45, 164 (II)
ზიუსუდრა - 16, 85, 86, 100 (I)
ზოდიაქო - 100 (I)

## Თ

თალია - 29, 101 (I), 26, 124 (II)
თამირისი - 101 (I), 26 (II)
თამუზი - 7, 26, 101 (I), 36 (II)
თანატოსი - 101 (I), 24, 40, 98, 165 (II)
თარუ - 101, 103 (I)
თაჰმა-ურუფი - 102 (I)
თეა - 54, 87, 102 (I), 93, 107, 140, 153 (II)
თეატრი - 102 (I)
თელეფინუ - 37, 102, 103 (I)
თემისი - 40, 54, 64, 71, 80, 99, 104, 105, 121 (I), 23, 70, 107, 149, 166 (II)
თეოგონია - 104 (I), 4, 105, 140 (II)
თერსიტესი - 105 (I)
თესევსი - 13, 18, 20, 31, 35, 58, 62, 73, 75, 77, 81, 105, 119, 121, 128, 129, 132, 133 (I), 5, 12, 19, 23, 49, 57, 58, 74, 80, 97, 100, 118, 136, 165 (II)
თესმოფორიები - 69, 108 (I), 72 (II)
თეტისი - 17, 44, 46, 54, 108 (I), 27, 31, 32, 34, 49, 65, 77, 110, 162 (II)
თეფნუთი - 54 (I), 131 (II)
თიამათი - 5, 43, 47, 109 (I), 4 (II)
თიესტესი - 5, 109 (I), 15, 67, 74, 104 (II)
თიონე - 93 (II)
თოთი - 109 (I), 27, 41 (II)
თორმეტი ოლიმპიელი - 127 (I)
თორმეტი ღმერთი - 109 (I), 52 (II)
თრაეტონა - 30, 67, 110 (I)

## Ი

იაკქოსი - 67, 81, 110 (I)
იამა - 110, 124 (I)
იამბე - 68, 110 (I)
იამი - 95, 110 (I)
იამოსი - 110 (I)
იამუ - 48, 95, 111 (I)
იანი - 117 (I)
იანუსი - 85, 94, 111, 121, 126 (I), 93, 121 (II)
იაპეტოსი - 40, 54, 88, 111 (I), 80, 107 (II)
იარბა - 70, 111 (I)
იარუ - 111 (I)
იასიონი - 67, 111 (I)
იასონი - 17, 31, 112, 131 (I), 10, 65, 67, 75, 100, 119, 126, 166 (II)
იგიგები - 26, 113 (I)

იდა - 27, 61, 62, 97, 114 (I), 61, 79 (II)
იდები - 114 (I)
იიმა - 27, 102, 110 (I)
იიმა გზაეთა - 114 (I)
იინგა - 60 (II)
იკარიოსი - 74 (I), 61, 67 (II)
იკაროსი - 62, 114 (I)
ილიადა - 44, 46, 85, 105 (I), 112, 166 (II)
ილითიია - 114 (I), 141 (II)
ილიონი - 114 (I), 110, 112 (II)
ილოსი - 27, 61, 114, 136 (I), 57, 110, 112 (II)
ილუ - 18, 21, 48, 114 (I)
ილუიანქა - 115, 116 (I)
ინანა - 30, 57, 76, 85, 86, 87, 89, 115, 116, 139 (I), 9, 29, 36, 164 (II)
ინანა იშთარი - 77 (I)
ინარა - 102, 116 (I)
ინაქოსი - 116 (I)
ინდრა - 7, 8, 19, 21, 26, 47, 71, 93, 95, 96, 116, 124 (I), 8, 60, 82, 106 (II)
ინი - 117 (I)
ინკუბაცია - 117 (I), 117 (II)
ინო - 10, 72, 117, 118, 123 (I), 9, 14, 93, 122, 139 (II)
იო - 60, 116, 118, 120 (I), 115, 142 (II)
იოკასტე - 24, 118, 119, 132, 135 (I), 75 (II)
იოლაოსი - 118 (I), 144, 152 (II)
იოლე - 118 (I)
იონი - 118 (I)
იონომაოსი - 165 (II)
ირისი - 108, 118, 128, 129 (I), 15, 141 (II)
ისთმიები - 118 (I)
ისთომსური ასპარეზობანი - 100 (II)
ისთმოსური დღესასწაულები - 79 (II)
ისთმოსური თამაშები - 118 (I), 97 (II)
ისისი - 21, 26, 87, 118, 119 (I), 23, 33, 72, 105, 122(II)
ისმენე - 24, 119 (I), 48 (II)
ისქანდერი - 119 (I)
იუგა - 70, 120, 132 (I), 9 (II)
იუვენტასი - 120 (I), 139 (II)
იულუსი - 21, 37, 83 (I)
იულუსი - 94 (I), 96 (II)
იუნო - 55, 110, 120 (I), 9, 26, 86, 141 (II)
იუპიტერი - 19, 97, 110, 111, 120, 121, 129 (I), 26, 52, 67, 74, 88, 95, 103, 106, 120 (II)
იუსტიცია - 121 (I)
იუტურნა - 121 (I), 26, 121 (II)
იფიგენია - 5, 37, 45, 82, 121, 125, 132 (I), 53, 73, 111, 127 (II)
იფიკლესი - 18, 21, 122 (I), 82, 142 (II)
იქსიონი - 122, 127 (I), 33, 74, 120, 138 (II)
იშთარი - 17, 22, 26, 57, 122, 123 (I)
იშულანუ - 123 (I)
იშუმი - 123 (I)
იშხარა - 123 (I)
იძანაგი - 19, 123 (I)
იძანამი - 123 (I)


### კ


კადმოსი - 5, 10, 67, 79, 111, 117, 123, 135 (I), 58, 93, 122, 140, 164 (II)
კადუკეუსი - 63 (II)
კავკასია - 124 (I)
კათარსისი - 124 (I)
კალაისი - 165 (II)
კალარატრი - 124 (I),
კალი - 7, 124 (I)
კალიდონის ნადირობა - 39, 75, 124, 139 (I), 13, 24, 32, 49, 65, 74, 105 (II)
კალიოპე - 8, 53, 125 (I), 25, 54, 164 (II)
კალისტო - 100, 125 (I), 59, 142 (II)
კალიფსო - 125 (I), 27, 34,მ 42, 46 (II)
კალკინი - 95, 125 (I)
კალპა - 125 (I)
კალქასი - 125 (I), 24, 43, 111 (II)
კარიატიდები - 126 (I)
კარნა - 126 (I)
კასანდრა - 6, 29, 17, 126, 132 (I), 62, 79, 112, 139 (II)
კასიოპე - 22 (I)
კასიოპეა - 127 (I)
კასტალია - 65, 127 (I), 24 (II)
კასტორი - 100, 124, 127, 137 (I), 88, 107, 143 (II)
კეიქსი - 127 (I)
კეკროპსი - 12, 13, 77, 90, 127 (I), 59 (II)
კენლუნი - 134 (I)
კენტავრები - 107, 122, 127, 128, 136 (I), 24, 32, 65, 74, 121, 124, 126 (II)
კენტავრი ნესოსი - 64 (I), 32 (II)
კენტავრი ფოლოსი - 100 (I)
კენტავრომაქია - 128 (I)
კერბეროსი - 64, 92, 107, 128, 138 (I), 53, 54, 108, 138, 151 (II)
კერები - 89, 129 (I), 104 (II)
კერესი - 67, 110, 138 (I), 106 (II)
კერიკეონი - 41, 129 (I), 16, 159 (II)
კერინეას ირემი - 129 (I), 146, 165 (II)
კერკიონე - 129 (I)
კეფევსი - 22 (I)
კვადრიგა - 90, 129 (I)
კვირინუსი - 129 (I), 120 (II)
კვირიტი - 129 (I)
კიბელე - 54, 62, 70, 102, 129, 132 (I), 3, 23, 28, 79, 85 (II)
კითერეა - 130 (I)
კითერონი - 130 (I)
კითერონის ლომი - 130 (I), 143 (II)
კიკლოპები - 29, 38, 54, 55, 104, 130 (I), 44, 76, 107, 115, 118, 137, 165 (II)
კიკნოსი - 100 (I)
კინთია - 130 (I)
კინირასი - 130 (I)
კიპარისი - 131 (I)
კიპრისი - 131 (I)
კირკე - 17, 131, 137 (I), 11, 34, 45, 62, 73, 97, 100, 105, 141 (II)
კლიო - 132 (I), 25 (II)
კლიტემნესტრა - 5, 75, 81, 82, 109, 121, 126, 132, 137 (I), 52, 73, 105, 107, 1)11, 121, 127 (II)
კლოთო - 132 (I), 13, 23 (II)
კოდროსი - 132 (I)
კოიოსი - 138 (I)
კოლხეთი - 10, 17, 31, 33, 43 (I), 676 105, 122, 140 (II)
კოლხიდა - 124, 132 (I), 10, 100 (II)
კომოსი - 132 (I)
კონკორდია - 132 (I)
კორა - 132 (I)
კორე - 67 (I)
კორე-პერსეფონე - 108 (I)
კორიბასები - 62, 132, 134 (I)
კორონისი - 120 (II)
კრეონი - 24, 113, 132 (I), 143 (II)
კრეტის ხარი - 132 (I), 19, 22, 147 (II)
კრიტა- იუგა - 132 (I)
კრიშნა - 95, 132 (I)
კრომიონის ტახი - 133 (I)
კრონიდები - 85 (II)
კრონიდი - 133 (I)
კრონოსი - 41, 54, 55, 67, 89, 97, 104, 133, 134 (I), 49, 51, 52, 77, 85, 93, 104, 106, 107, 115, 126, 127, 136, 137, 141, 146, 161 (II)
კუბერა - 124, 133, 135 (I)
კულტი - 133 (I)
კუპიდონი - 90, 134 (I)
კურეტები - 62, 124, 134 (I), 85, 106 (II)


### ლ


ლაბირინთი - 35, 62, 106, 134 (I), 22 (II)
ლაბუ - 134 (I)
ლაგალბანდა - 22, 30, 139 (I), 39 (II)
ლადონი - 40, 100, 134 (I), 121, 149, 160 (II)
ლაერტესი - 78, 134 (I), 42, 68, 98 (II)
ლაეერნა - 134 (I)
ლაეინია - 84, 111, 134, 137 (I)
ლაიოსი - 135 (I), 48, 102 (II)
ლაკედემონი - 135 (I), 74 (II)
ლაკონიზმი - 135 (I)
ლაკშმი - 135 (I)
ლამარი - 135 (I)
ლამაშთუ - 135 (I)
ლამია - 135 (I)
ლანკკა - 133, 135 (II)
ლაოკოონი - 135 (I), 112 (II)
ლაომედონი - 114, 122 (I), 79, 148, 160 (II)
ლაპითები - 122, 136 (I), 24, 74 (II)
ლარები - 137 (I)
ლატინუსი - 84, 131, 134, 137 (I), 7, 105, 117 (II)
ლატონა - 137, 138 (II)
ლაქესისი - 13, 23 (II)
ლახაგე - 27, 137 (I)
ლახმუ - 27, 137 (I)
ლედა - 74, 81, 99, 132, 137 (I), 30, 107, 121 (II)
ლეთე - 138 (I), 124, 138, 165 (II)
ლელვანი - 138 (I)
ლენეები - 102 (I)
ლერნეს ჰიდრა - 92, 100, 118, 138 (I), 53, 108, 126, 145 (II)
ლესტრიგონები - 138 (I), 45 (II)
ლეტო - 27, 36, 99, 105, 130, 138 (I), 38, 73, 107, 121, 142, 165 (II)
ლიბერი - 138 (I), 79 (II)
ლიბიტინა - 138 (I)
ლინკევსი - 5, 60, 61, 124, 139 (I)
ლიტოსი - 139 (I), 143 (II)
ლიქასი - 139 (I), 156 (II)
ლოტოსი - 139 (I)
ლოტოფაგები - 139 (I), 44(II)
ლულუ - 164 (II)
ლუნა - 139 (I)
ლუციფერი - 140 (I), 122, 161 (II)


### მ


მა - 3 (II)
მადონა - 3 (II)

მავსოლეუმი – 3 (II)
მაზდა – 3 (II)
მათპურა – 132 (I)
მაია – 51, 99, 105 (I), 3, 16, 158 (II)
მაინიუ – 93 (I)
მაკარეა – 3, 155 (II)
მამეთუ – 4 (II)
მანები – 4 (II)
მანია – 4 (II)
მანო-პაეასაპარნა – 4 (II)
მანტიკა – 4 (II)
მანტო – 50 (II)
მანუ – 5, 9, 86 (II)
მარათონი – 106 (I)
მარათონის ხარი – 5 (II)
მარდუქი – 5, 26, 37, 43, 47, 48, 86, 109, 139 (I), 5, 17, 27 (II)
მართია – 6 (II)
მართიანაგი – 6 (II)
მართუ – 7 (II)
მარიკა – 10 (II)
მარპესა – 7 (II)
მარსი – 21, 24, 33, 50, 110, 129 (I), 7, 88, 91, 120, 166 (II)
მარსიასი – 29 (I), 7 (II)
მარუთები – 8 (II)
მარუტები – 71, 117 (I)
მარქანდეია – 22 (I), 8 (II)
მატრონალიები – 9 (II)
მატუტა – 117 (I), 9, 122 (II)
მაქაონი – 58 (II)
მაშუ – 9 (II)
მახა იუგა – 9 (II)
მე – 86 (I), 9, 10 (II)
მეგარა – 10, 144 (II)
მეგერა – 10, 144 (II)
მედეა – 17, 32, 43, 45, 105, 113, 131, 132 (I), 10, 67, 104, 119, 123 (II)
მედონი – 18 (I)
მედუზა – 88, 127 (I), 12, 79, 127 (II)
მელამი – 5, 13 (II)
მელამპუსი – 13, 80 (II)
მელეაგროსი – 37, 39, 64, 89, 112 (I), 7, 15, 49, 151 (II)
მელიკერტესი – 123 (I), 14, 58, 77, 122 (II)
მელისა – 14 (II)
მელპომენე – 14, 24, 26 (II)
მემნონი – 45 (I), 14 (II)
მენადე – 5, 49, 72 (I), 14, 55, 60 (II)
მენელაოსი – 40, 54, 81 (I), 15, 16, 43, 53, 61, 68, 75, 76, 82, 105, 110, 160 (II)
მენსი – 16 (II)
მენტორი – 16, 105 (II)
მერიონი – 16 (II)
მერკურიუსი – 110 (I), 16, 26, 103, 158 (II)
მერმეროსი – 113 (I), 119 (II)
მერუ – 19, 133, 135 (I), 16 (II)
მესი – 17 (II)
მესქიაგაშერი – 17 (II)
მეტამორფოზები – 17, 120 (II)
მეტისი – 11, 99, 104 (I), 17, 49 (II)
მეშქიაგაშერი – 85 (I), 17 (II)
მეხენი – 41 (I)
მიდასი – 8, 17 (II)
მითოლოგემა – 77 (I), 17 (II)
მითრა – 71, 95 (I), 18 (II)
მიკენა – 18 (I)
მიკენის მეფე – 21, 40 (I)
მიკენური ეპოქა – 130 (I)
მიმოსი – 103 (I)
მინერვა – 11, 110 (I), 18 (II)
მინიასი – 18 (II)
მინოსი – 35, 52, 73, 77, 79, 82, 99, 106, 132 (I), 18, 19, 22, 32, 46, 53, 62, 75, 92, 103, 118, 138, 141, 165 (II)
მინოსური კულტურა – 102 (I), 19 (II)
მინოტავროსი – 35, 62, 77, 106, 134 (I), 18, 22, 62 (II)
მირმიდონები – 77 (I), 23 (II)
მირტილოსი – 100, 109 (I), 23, 49, 67 (II)
მისტერია – 80 (I), 23, 140 (II)
მიტრა – 8, 93, 110 (I), 23 (II)
მნემოსინე – 28, 54, 105 (I), 23, 24, 108 (II)
მოიარები – 118 (II)
მოირები – 21, 99, 104, 105, 132 (I), 15, 23, 24, 40, 51, 61, 108, 159, 166 (II)
მომოსი – 24 (II)
მორმო – 18, (I), 24 (II)
მორფევსი – 24, 117, 121 (II)
მოფსოსი – 125 (I), 10, 24 (II)
მუზები – 29, 36, 101, 125 (I), 23, 24, 26, 48, 51, 55, 61, 72, 76, 97, 106, 115, 124, 140, 164 (II)
მუთუ – 48 (I), 46 (II)
მუთუზუ – 21 (I)
მუსაგეტესი – 26 (II)
მუსეიონი – 26 (II)
მუსეოსი – 26 (II)
მუტა – 26 (II)

## ნ

ნაბუ – 6, 27 (II)
ნაელონი – 27, 42 (II)
ნავსიკაა – 27, 46, 105 (II)
ნაიადები – 43 (I), 27, 29, 34, 98, 158 (II)
ნამთარი – 89 (I), 28 (II)
ნამუ – 28 (II)
ნანა – 28 (II)
ნანარი – 7 (I), 28, 40 (II)
ნანშე – (II)
ნარამსინი – 28 (II)
ნარკისოსი – 42, 92 (I), 29 (II)
ნარცისი – 92 (I)
ნედუ – 29 (II)
ნეკესიტასი – 21 (I)
ნელევსი – 29, 32, 65 (II)
ნემეას ლომი – 17, 92, 100 (I), 29, 108, 144 (II)
ნემესისი – 81, 138 (I), 24, 29, 40 (II)
ნემეური ასპარეზობანი – 29 (II)
ნემეური თამაშები – 30 (II)
ნენია – 31 (II)
ნეოპტოლემოსი – 22 (I), 31, 76, 79, 112, 120, 160 (II)
ნეპტუნუსი – 110 (I), 31, 77, 91 (II)
ნერგალი – 30, 85, 89 (I), 3, 6, 32 (II)
ნერევსი – 21, 31, 40, 53, 54, 108 (I), 32, 77, 162 (II)
ნერეიდა – 108 (I)
ნერეიდები – 10, 21, 22, 53, 101, 127 (I), 14, 32, 34, 65, 70, 77 (II)
ნესოსი – 64, 139 (I), 32, 146, 155 (II)
ნესტორი – 44, 124 (I), 14, 32, 43, 105 (II)
ნეტართა კუნძული – 18, 40, 133 (I), 33, 105, 107, 139 (II)
ნეფელე – 10, 117, 122, 127 (I), 33, 122, 140, 146 (II)
ნეფერთემი – 33 (II)
ნეფთისი – 26 (I), 33 (II)
ნექტარი – 98, 104 (I), 33, 51, 104, 139 (II)
ნიდაბა – 33 (II)
ნიკე – 41, 95, 99 (I), 33, 58, 101 (II)
ნიმფა – 61, 62, 79, 92, 114, 125, 126, 127, 130, 131 (I), 7, 10, 14, 26, 46, 54, 59, 67, 73, 77, 79, 96, 99, 107, 121, 124, 140, 141, 160, 164, 165 (II)
ნიმფები – 36, 46, 52, 54, 83, 89, 97 (I), 8, 26, 27, 32, 34, 49, 51, 62, 67, 70, 71, 79, 92, 99, 115, 138, 149, 164 (II)
ნინაზუ – 36 (II)
ნინგალი – 26, 115 (I), 36 (II)
ნინგირსუ – 18, 50, 85 (I), 36, 37 (II)
ნინგიშზიდა – 36 (II)
ნინთური – 36 (II)
ნინლილი – 36 (II)
ნინსუნა – 17, 139 (I), 36 (II)
ნინურთა – 23, 59 (I), 36, 37 (II)
ნინქასი – 36 (II)
ნინშუბური – 116 (I), 10, 37 (II)
ნინხურსაგა – 86 (I), 37 (II)
ნიობე – 29, 37 (I), 38, 39 (II)
ნიობიდები – 39 (II)
ნისოსი – 19, 39, 58, 100 (II)
ნიფური 40 (II)
ნიქსი – 80, 87, 89, 101, 129 (I), 4, 23, 29, 90, 93, 100, 104, 123, 124, 154, 160, 164, 165 (II)
ნიცირი – 40 (II)
ნოიბე – 138 (I), 104 (II)
ნოტოსი – 51 (I), 40 (II)
ნუდიმმუდი – 5 (I), 40 (II)
ნუთთა – 54 (I)
ნუთი – 40, 84 (II)
ნუმა პომპილიუსი – 78 (I), 41, 91, 120 (II)
ნუმიტორი – 21 (I), 41, 86, 88 (II)
ნუნი – 41, 84 (II)
ნუსქუ – 85 (I), 41 (II)

## ო

ობოლოსი – 42 (II)
ოგიგია – 125 (I), 42, 46 (II)
ოდეონი – 14 (I)
ოდისეა – 42, 85, 130, 139 (I), 27, 42, 112, 118, 166 (II)
ოდისევსი – 10, 12, 17, 44, 71, 78, 81, 87, 105, 109, 114, 125, 130, 131, 134, 135, 137 (I), 16, 27, 31, 32, 42, 57, 58, 67, 76, 79, 97, 99, 102, 105, 107, 110, 112, 114, 118, 120, 124, 139, 140, 159, 164 (II)
ოიდიპოსი – 24, 90, 118, 119, 135 (I), 48, 75, 102, 129 (II)
ოინევსი – 39, 71 (I), 13, 49, 106 (II)
ოინომაოსი – 23, 49, 67 (II)
ოკეანიდა – 32, 34, 49, 71, 75, 105, 115, 127, 164 (II)
ოკეანოსი – 5, 17, 21, 43, 54, 80, 87, 98, 104, 116 134 (I), 17, 27, 34, 49, 93, 100, 105, 108, 124, 140, 141, 149, 160, 162, 164 (II)
ოკნუსი – 50 (II)
ოლიმპია – 99, 133 (I)
ოლიმპიელი – 50, 108 (II)
ოლიმპიელი ღმერთები – 98, 110 (I), 35, 49, 50, 67, 104, 140 (II)
ოლიმპიური დღესასწაულები – 99 (I), 67 (II)
ოლიმპიური თამაშები – 62 (I), 50, 154 (II)

ოლიმპიური პანთეონი - 90 (I), 51, 108, 140 (II)
ოლიმპიური რელიგია - 27, 70, 118 (I), 23, 55, 107 (II)
ოლიმპოსი - 18, 21, 27, 28, 41, 55, 77, 75, 98, 104, 110, 136 (I), 7, 16, 24, 46, 50, 51, 55, 63, 78, 80, 93, 98, 101, 104, 105, 107, 108, 123, 124, 137, 138, 139, 144, 162, 166 (II)
ომფალე - 52, 96 (II)
ომფალოსი - 66 (I), 52 (II)
ოპსი - 130 (I), 52, 86, 92, 93 (II)
ორაკული - 10, 22, 58, 60, 61, 65, 76, 86, 109, 121, 123, 125, 132 (I), 3, 4, 24, 43, 48, 49, 52, 59, 67, 69, 105, 117, 152, 157, 160, 165 (II)
ორგიები - 52 (II)
ორეადები - 34 (II)
ორესტესი - 5, 82, 89, 121, 132 (I), 52, 67, 73, 101, 105, 127 (II)
ორთოსი - 92, 138 (I)
ორთროსი - 29, 53, 102, 108, 144, 149 (II)
ორიონი - 100 (I), 46, 53, 74 (II)
ორკუსი - 54 (II)
ორტიგია - 54 (II)
ორფევსი - 29, 32, 79, 101, 112, 129 (I), 26, 54, 55, 97, 138 (II)
ორფიკოსები - 87, 90 (I), 40, 55, 60, 72, 123, 127 (II)
ოსირისი - 26, 111 (I), 33, 55, 83, 94, 150 (II)
ოქროს ვერძი - 10 (I), 140 (II)
ოქროს საწმისი - 17, 31, 112 (I), 10, 56, 67, 122, 123 (II)
ოქროს წვიმა - 56 (II)

## პ

პაირიკა - 57 (II)
პალადიონი - 71, 114 (I), 57 (II)
პალამედესი - 43, 57 (II)
პალასი - 88 (I), 33, 57, 58, 100, 107 (II)
პალემონი - 58 (II)
პალესი - 58 (II)
პანათენეები - 74 (I), 58, 77 (II)
პანაცეა - 58 (II)
პანგუ - 58 (II)
პანდაროსი - 15 (II)
პანდიონი - 77 (I), 39, 58, 80 (II)
პანდორა - 88 (I), 59, 80, 163 (II)
პანეგირიკი - 59 (II)
პანთეონი - 59 (II)
პანი - 41, 62, 72, 92, 110, 125 (I), 17, 59, 68, 92, 96, 98, 117 (II)
პანიები - 26, 116 (I), 60 (II)
პართენონი - 127, 128 (I), 61 (II)
პართენოსი - 61 (II)
პარისი - 5, 54, 81, 114, 120, 126 (I), 15, 43, 61, 76, 79, 110, 120, 139, 142 (II)
პარკები - 23, 62 (II)
პარნასოსი - 28, 36, 61, 64, 65, 127 (I), 24, 61 (II)
პასიფაე - 17, 35, 131 (I), 18, 62, 118, 141 (II)
პატალა - 62 (II)
პატარა აიასი - 112 (II)
პატროკლოსი - 17, 44 (I), 15, 16, 62, 92, 111, 163 (II)
პაუპერტასი - 69 (II)
პაფოსელი ბავშვები - 63 (II)
პაფოსელი ქალღმერთი - 63 (II)
პაფოსი - 63, 72 (II)
პაფოსური რწმენა - 63 (II)
პაქსი - 63, 166 (II)
პეანი - 63 (II)
პეგასოსი - 50, 100 (I), 12, 63, 74, 126, 127, 165 (II)
პეითო - 41 (I)
პელევსი - 44, 54, 77, 108, 124 (I), 23, 65, 105, 148 (II)
პელიასი - 11, 65 (II)
პელოფსი - 5, 2340, 109, 135 (I), 23, 38, 49, 50, 67, 74, 80, 100, 104, 154, 165 (II)
პენატები - 67 (II)
პენელოპე - 114 (I), 16, 43, 59, 67, 105, 107 (II)
პენთევსი - 5 (I), 13, 69 (II)
პენთესილეია - 45, 105 (I), 69 (II)
პენია - 69 (II)
პეონი - 137 (II)
პერგამონი - 22 (I), 69 (II)
პერიფეტესი - 105 (I)
პერსე - 131 (I)
პერსევსი - 21, 22, 40, 58, 59, 79, 99, 100, 127, 139 (I), 12, 63, 69, 75, 127, 142, 165 (II)
პერსეისი - 17 (I)
პერსესი - 17 (I), 107 (II)
პერსეფონე - 8, 67, 72, 80, 82, 99, 107, 110, 112, 132 (I), 23, 45, 55, 67, 71, 74, 79, 93, 97, 104, 107, 137, 140, 151 (II)
პეფრედო - 72 (II)
პიგმალიონი - 42 (I), 63, 72, 99 (II)
პიერიდები - 26, 72 (II)
პიეტასი - 73 (II)
პითია - 28, 66, 79, 107 (I), 48, 52, 73, 144, 157 (II)
პითიური ასპარეზობანი - 28, 67 (I), 73 (II)
პითოკამპთესი - 74 (II)
პითონი - 27, 65, 138 (I), 52, 73 (II)
პიკუსი - 73, 77, 117 (II)
პილადე - 52, 101 (II)
პილადესი - 73 (II)
პინდოსი - 73 (II)
პირა - 64, 88 (I), 73, 140 (II)
პირამუსი - 73 (II)
პირენე - 74 (II)
პირითოოსი - 81, 107, 124, 127, 128, 136 (I), 74, 151 (II)
პირიფლეგეტონი - 74, 120, 137 (II)
პისტორი - 74 (II)
პიტთევსი - 105 (I), 74, 118 (II)
პლანქტები - 74, 96 (II)
პლეადები - 40 (I)
პლეიადები - 3, 53, 74, 75, 98, 100 (II)
პლეიონე - 3, 74, 75, 164 (II)
პლუტონი - 75, 137 (II)
პლუტოსი - 67, 80, 112 (I)
პოდალირიოსი - 58, 75, 120 (II)
პოდარგე - 75 (II)
პოთოსი - 75 (II)
პოლემოსი - 75, 121 (II)
პოლიასი - 75 (II)
პოლიბოსი - 75 (II)
პოლიდევკესი - 32, 99, 100, 124, 137, 139 (I), 75, 76, 107 (II)
პოლიდექტესი - 75 (II)
პოლიიდოსი - 75 (II)
პოლინიკესი - 24, 88, 119 (I), 48, 75, 106, 129 (II)
პოლიფემოსი - 53, 130 (I), 44, 76, 79 (II)
პოლიქსენე - 31, 76, 79, 139 (II)
პოლიჰიმნია - 26, 54, 76 (II)
პოლუქსი - 76 (II)
პომონა - 73, 76, 117 (II)
პომპე - 77 (II)
პომპეი - 67, 77 (II)
პონტია - 77 (II)
პონტიფექსები - 77, 120 (II)
პონტოსი - 54 (I), 32, 77, 106, 121, 123 (II)
პორტუნუსი - 14, 77 (II)
პოსეიდონი - 10, 12, 21, 22, 31, 33, 41, 50, 52, 54, 67, 77, 83, 89, 99, 104, 105, 108, 110, 112, 116, 118, 127, 129, 130, 132, 133, 136 (I), 5, 14, 18, 24, 29, 31, 32, 44, 49, 53, 63, 65, 74, 76, 77, 82, 92, 94, 100, 104, 106, 107, 109, 110, 118, 119, 123, 127, 137, 144, 147, 160, 161, 166 (II)
პრაჯაპატი - 26, 139 (I), 79 (II)
პრიამოსი - 45, 54, 126, 136 (I), 15, 31, 61, 69, 75, 76, 79, 111, 139, 153, 163 (II)
პრიაპოსი - 79 (II)
პროზერპინა - 138 (I), 71, 79 (II)
პროიტიდები - 80 (II)
პროიტოსი - 13, 79 (II)
პროკნე - 58, 80 (II)
პროკრუსტე - 105 (I)
პროკრუსტესი - 80 (II)
პრომეთე - 40, 44, 64, 88, 104, 111, 124 (I), 10, 57, 80, 107, 108, 126, 135, 140, 146, 163 (II)
პრომეთეები - 82 (II)
პროტევსი - 32, 82 (II)
პროტესილაოსი - 43, 82, 163 (II)
პროფანუსი - 82 (II)
პუდიციტია - 82 (II)
პულიონი - 67 (II)
პულომა - 82 (II)
პურუშა - 47 (I), 9, 58, 82 (II)

## რ

რადამანთისი - 18, 77, 79, 82, 99 (I), 18, 83, 92, 138, 143 (II)
რაე - 16, 41, 111, 119 (I), 18, 33, 40, 83 (II)
რაე - ჰორი - 48 (I)
რაეანა - 84, 85 (II)
რამა - 95 (I), 85 (II)
რაქშასები - 95 (I), 84, 85 (II)
რახუ - 39 (I), 85 (II)
რეა - 18, 32, 54, 62, 67, 72, 97, 104, 130, 132, 133 (I), 17, 49, 72, 77, 85, 86, 93, 104, 107, 115, 137, 141, 161 (II)
რეა - კიბელე - 134 (I), 52, 86 (II)
რეა სილვია - 21 (I), 7, 41, 85, 86, 88, 106 (II)
რეას ქურუმები - 98 (I)
რეგინა - 86 (II)
რედიკულუსი - 86 (II)
რემუსი - 18, 21 (I), 7, 41, 86, 88, 96, 106, 118 (II)
რენენუთეთი - 86 (II)
რესოსი - 86 (II)
რიში - 22, 93 (I), 8, 86 (II)
რობიგუსი - 86 (II)
როდარკესი - 75, 79, 153 (II)
რომა - 86, 120 (II)
რომი - 21, 62, 70, 83, 103, 130, 132 (I), 41, 86, 106 (II)

რომულუსი – 18, 21, 129 (I). 7, 41, 86, 88, 91, 96, 103, 104. 106, 118 160 (II)
რუდრა – 8, 90 (II)
რუმინა – 90 (II)

## ს

საბინ ქალთა მოტაცება -91,103(II)
საბინები–129(I)
საბინი ქალები–160(II)
საბუსი -91(II)
სავიტრი -91(II)
სალაკია -91(II)
სალიები – 24 (I), 91 (II)
სალუსი -91(II)
სანკუსი -91(II)
საოშიანტი -91(II)
სარანია – 47 (I), 91 (II)
სარასვატი– 93(I) 91(II)
სარგონი – 55, 59 (I), 28, 91 (I)
სარპედონი – 79 (I), 18, 92 (II)
სატირები – 41, 56, 72 (I), 8, 14, 79, 92, 96 (II)
სატურნალიები -86,92,93(II)
სატურნიუსი – 85 (I)
სატურნუსი – 133(I) 52, 73, 86, 88, 92, 93, 127 (II)
სეთი – 119(I) 33,93(II)
სეკურიტასი -93(II)
სელენე – 83, 87, 88, 102, 139 (I), 58, 59, 93, 107, 108, 139, 140, 165 (II)
სემელე – 10, 71, 99, 117, 123 (I), 9, 14, 55, 93, 100, 139, 142 (II)
სენებტუსი -93(II)
სერაპისი 93(II)
სეშათი -94(II)
სეხმეთი -94(II)
სთენელოსი–71(II)
სთენო -12, 94 (II)
სიბითი -94(II)
სიბილა -129(I)4,94(II)
სიბილას წიგნები -94(II)
სიბილები -95(II)
სიდური–95(II)
სილევსი -96(II)
სილენოსი – 72, 132 (I), 7, 14, 17, 79, 92, 121, 126 (II)
სილვანუსი -60,96,117(II)
სილეიუსი -96(II)
სიმპლეგადები – 32 (I), 96, 120 (II)
სიმურლი – 54 (I), 96 (II)
სინი – 26, 85, 115, 139 (I), 6, 36, 97 (II)
სინისი – 105,(I) 97(II)
სირენები – 97, 100, 46 (II)
სირინგსი–-59,98(II)
სირინოზები – 43 (I)
სისიფოსი – 50, 101 (I). 42, 98, 137, 138 (II)
სიუხვის რქა – 19 (I), 75, 99 (II)
სიფარი -99(II)
სიქეოსი–99(II)
სკამანდროსი -99,105(II)
სკეითოსი – 92 (I), 99 (II)
სკილა -39,46,96,??6121,124(II)
სკირონი–100(II)
სმირნა -100(II)
სოლარული კულტი -100(II)
სოლი -100, 140 (II)
სომა – 71 (I), 100, 106 (II)
სოსპიტა–100(II)
სოტერა -100(II)
სოტერი -100(II)
სპარტა - 67 (I), 135 (II)
სპარტები - 5(I), 100(II)
სპარტოსი -69.165(II)
სრაოშმა - 92 (I). 100 (II)
სტეროპე–100.165(II)
სტიმულა -100(II)
სტიმფალიური ფრინველები -100,146(II)
სტიქსი – 44, 46, 72, 92, 108 (I), 27, 33, 42, 54, 70, 98, 100, 106, 116, 124, 138, 151 (II)
სტოა - 14(I)
სტროფიოსი -101(II)
სუგრივა -101(II)
სუმანუსი -101(II)
სუმუკანი - 18 (I), 101(II)
სურია – 37, 47, 71 (I), 101 (II)
სუსანოო – 19, 123 (I), 101 (II)
სუქანია -101(II)
სფინქსი – 92 (I). 48, 53, 102, 108 (II)
სქერია -102(II)

## ტ

ტაგესი - 103 (II)
ტავრობოლიები – 103 (II)
ტაკამონპარა – 37 (I), 103 (II)
ტალარია – 103 (II)
ტალასიო – 103 (II)
ტალთიბიოსი – 103 (II)
ტალსი – 103 (II)
ტანტალოსი - 40 (I), 38, 67, 80, 104, 138 (II)
ტანტალოსის ტანჯვანი – 104 (II)
ტარპეა - 104 (II)
ტარტაროსი – 8, 29, 40, 54, 55, 89, 92, 98, 104, 111, 133 (I), 71, 104, 107, 108, 115, 123, 138, 140, 159 (II)
ტევკროსი – 99, 105 (II)
ტევმესიური მელა – 21 (I), 105 (II)
ტეთისი – 43, 116, 134 (I), 100, 105, 107, 108 (II)
ტელამონი – 17, 77, 124 (I), 65, 79, 105, 148, 160 (II)
ტელეგონოსი – 131 (I), 48, 68, 105, 107 (II)
ტელემაქოსი – 16, 27, 43, 67, 105 (II)
ტელეფოსი – 105 (II)
ტელუსი – 105 (II)
ტელქინები – 62, 134 (I), 106 I(I)
ტერმინალიები – 106 (II)
ტერმინუსი – 106 (II)
ტერფსიქორე – 26, 97, 106, 164 (II)
ტეაშტარი – 95, 96, 117 (I), 85, 106 (II)
ტვაშტირი – 8, 93 (I)
ტიბერინუსი – 106 (II)
ტიდეუსი – 106, 129 (II)
ტითონოსი – 136 (I), 107 (II)
ტინდარეოსი – 5, 74, 109, 114, 137 (I). 15, 42, 68, 107, 121 (II)
ტირესიასი – 24, 38, 45, 48, 50, 105, 107, 124, 129 (II)
ტირსენიელი მეკობრეები – 100 (I)
ტიტანები – 54, 72, 78, 87, 98, 110, 133 (I), 55, 80, 93, 104, 107, 108, 115, 139, 140, 146 (II)
ტიტანი – 27, 40, 104, 111 (I), 33, 49, 58, 100, 141, 165 (II)
ტიტანიდა - 102, 104, 138 (I), 105 (II)
ტიტანიდი - 27 (I). 23, 107, 121 (II)
ტიტანომაქია - 98, 104, 108, 133 (I). 107, 108, 140 (II)
ტიტანოსი - 49 (II)
ტიტიოსი - 138 (I), 46, 108 (II)
ტიფონი - 54, 92, 98, 128, 133, 138 (I), 53, 102, 105, 108, 126, 149 (II)
ტიქე - 24, 75, 99, 108, 122 (II)
ტრიმურტი - 95 (I), 109 (II)
ტრიპტოლემოსი - 51, 108 (I), 109 (II)
ტრიტონები - 21 (I), 32, 91, 109 (II)
ტრიფონიოსი - 110 (II)
ტროა - 136 (I), 110 (II)
ტროას ომი - 5, 6, 17, 29, 31, 34, 44, 54, 60, 71, 81, 83, 89, 105, 107, 108, 114, 125, 132, 135, 136, 182 (I), 14, 16, 24, 31, 32, 42, 53, 57, 58, 61, 62, 63, 65, 68, 69, 75, 79, 82, 92, 99, 105, 107, 110, 119, 120, 127, 136, 142, 157, 160. 163 (II)
ტროას ცხენი - 125 (I), 43, 112 (II)
ტროილოსი - 79, 139 (II)
ტროსი - 53, 61, 114 (I), 112 (II)
ტურნუსი - 58, 112 (II)

## უ

უთანაფიშთი - 16. 57, 86, 100, (I) 113 (II)
უთუ - 37, 56. 76, 97. 115, (I) 17, 18, 114 (II)
ულიქსესი - 42, 114 (II)
ულიქუმი - 114 (II)
ურ-სანგი - 36(II)
ურ-შანაბი -116 (II)
ურანია - 29. (I), 26, 115. 164 (II)
ურანიდები -115 (II)
ურანოსი – 41, 50, 54, 55, 89. 102, 104. 111, 130, 133, (I) 23, 24, 49, 85, 105, 107, 108, 115, 121,123. 140, 165, (II)
ური - 28. 115(II)
ურუქი - 85, 86, 87, 89. 116 (I) 9, 36, 115 (II)
უფელური -116(II)
უშასი - 93, 117, (I) 60, 116 (II)

## ფ

ფაეთონი – 100 (I). 116, 140, 141 (II)
ფავნუსი – 137 (I). 60. 73, 92, 117 (II)
ფამა – 111 (I). 117(II)
ფანტასოსი – 117, 121 (II)
ფაონი – 117 (II)
ფარადეზა – 117 (II)
ფარნა – 118 (II)
ფატუმი – 118 (II)
ფაუნა – 51 (I), 3, 118 (II)
ფაუსტულუსი – 18 (I) 89, 118 (II)
ფაუსტუსი – 85 (I)
ფეაკები 46, 102, 118, 165 (II)
ფებრისი – 118 (II)
ფედრა – 35, 107 (I) 18, 57, 62, 118, 165 (II)
ფელიკიტასი – 119 (II)
ფელიქსი – 85 (I)
ფენიქსი – 44, 79 (I) 43, 119, 120 (II)
ფერესი – 113 (I), 65, 119 (II)
ფთასი – 33, 41, 119 (II)
ფიდეასი – 86 (II)
ფიდესი – 86, 120 (II)
ფილემონი – 48 (I). 120 (II)

ფილირა – 57, 126 (II)
ფილომელა – 80(II)
ფილოსი – 128 (I)
ფილოქტესესი – 125 (I), 61, 112, 120 (II)
ფინევსი – 32, 51 (I) 139,120 (II)
ფიშაიშა – 120 (II)
ფლამენები – 120 (II)
ფლეგეასი – 120 (II)
ფლეგეტონი – 120 (II)
ფლორა – 121, 127 (II)
ფლორალიები – 121 (II)
ფობეტორი – 121 (II)
ფობოსი – 33, 42 (I) 121 (II)
ფოიბე – 54, 138 (I), 107, 108, 121 (II)
ფოიბოსი – 121 (II)
ფოინიქსი – 123 (I), 31 (II)
ფოკისი – 65 (II)
ფოლოსი – 121, 126, 145 (II)
ფონსი – 121(I), 121(II)
ფორკისი – 54, 58, 59 (I), 75, 77, 97, 99, 121 (II)
ფორტუნა – 62 (I), 16, 91, 99, 108, 119, 121 (II)
ფოსფოროსი – 122, 161 (II(
ფრაშო – ქერეთი – 122 (II)
ფრიქსოსი – 10, 17, 31, 117 (I) 33, 56, 122, 123, 140 (II)
ფსამათე – 82 (II)
ფსიქე – 122 (II)
ფსიქეა – 90 (I)
ფსიქოპომპოსი – 123 (II)
ფურიები – 89 (I), 123 (II)
ფურული – 102, 138 (I)

## ქ

ქაეი –123(II)
ქაიქაუსი –123(II)
ქალკიოპე – 17,(I) 10,11,122,123(II)
ქამრუსეფა –35,37,103,(I)123(II)
ქაოსი –54,80,89,90,104,(I) 40,123,(II)
ქარიბდისი –46,96,99,123(II)
ქარიკილო – 126 (II)
ქარიკლო –107,124(II)
ქარიტები –27, 41, 59, 99, 101 (I) 51,65, 124,141,166(II)
ქარონი – 43,(I) 27,42,54,124,151 (II)
ქერეთი – 124 (II)
ქერსასფი –30(I)
ქესი – 125 (II)
ქიმერა –50,92,(I)63,102,126,138(II)
ქინგუ – 43,44 (I) 126(II)
ქიონე –79(II)
ქირონი–31,38,44,54,108,112,127,128,(I) 65,67,124,126,145 (II)
ქიშარი – 27(I)
ქლორისი–24,32,121,127(II)
ქრისაორი –12,63,127,148(II)
ქრისესი – 127 (II)
ქრონოსი–87,(I)123,127(II)
ქუთა – 30(I)127 (II)
ქუთარვახასისი – 18,(I) 127(II)
ქუთარიხასის –48(I)
ქუმარბი –37,93,(I)127,(II)
ქურუმი–41,52,53,73,85,89,91,94,120,128,143(II)

## შ

შაი –128(II)
შამაში – 7,16,30,85,91,(I) 6,17,36,128(II)
შამხათი – 87,(I) 129(II)
შაქანი – 129(II)
შერი – 129(II)
შეფსეთი – 48(I)
შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ – 24,88,90(I) 106,129,139(II)
შივა – 51,95,117,(I) 9,109,130(II)
შუ – 54(I),131 (II)
შულგი – 87(I)
შუმერი – 28, 131(II)
შურუფაქი – 100,(I) 132(II)
შუქალეთუდა115,(I) 132(II)

## ჩ

ჩიავანა –82,132(II)
ჩინვატი – 95(I)
ჩინვატის ხიდი – 132(II)
ჩიტრაგუპტა –110(I)

## ც

ცათონი – 21,48(I)
ცარბათუ –133(II)
ცარფანითუ – 44,(I)133 (II)
ცაფანუ –133(II)
ცერერა –110(I)

## ძ

ძაგრევსი – 55, 72 (II)
ძეტესი – 165 (II)

## ხ

ხათორ–თეფნუთი – 133(II)
ხალუბი – 115,(I) 134(II)
ხანახანა – 134(II)
ხაფი – 134(II)
ხებათი – 134 (II)
ხედამუ – 134(II)
ხეფრა – 134 (II)
ხვარნა– 18, 118, 134 (II)
ხთონიოსი 135(II)
ხთონური – 30 (I)
ხის ცხენი – 126(I)
ხნუმი – 48,(I) 135(II)
ხონსე – 20,(I) 135 (II)
ხორი – 135(II)
ხუბური – 30, (II) 135(II)
ხუთი საუკუნე – 135(II)
ხუმბაბა – 57, 87, (I) 13, 136, (II)
ხური – 129(II)
ხუფასია – 115, 116 (I)

## ჰ

ჰადესი – 17, 33, 43, 45, 60, 64, 67, 75, 77, 82, 92, 99, 101, 104, 107, 108, 112, 117, 122, 122, 128, 133 (I), 19, 40, 45, 50, 54, 55, 63, 65, 71, 74, 75, 77, 94, 97, 98, 104, 107, 108, 109, 111, 116, 119, 127, 123, 124, 126, 127, 135, 137, 139, 149, 161 (II)
ჰაიდები – 40 (I)
ჰამადრიადები – 34, 138 (II)
ჰაომა – 97 (I), 138 (II)
ჰარმონია – 5, 11, 67, 117, 123 (I), 93, 122, 129, 138, 165 (II)
ჰარპიები – 32, 51, 100, 108 (I), 75, 97, 120, 138, 139 (II)
ჰებე – 99, 120 (I), 139, 141 (II)
ჰეკაბე – 126 (I), 61, 76, 139, 163 (II)
ჰეკატე – 70, 121, 139 (I), 10, 72, 93, 99, 121, 138, 139 (II)
ჰეკატომბე – 140 (II)
ჰეკატომბეონი – 140 (II)
ჰეკატონქეიროსები – 55, 104 (I), 104, 107, 115, 140 (II)
ჰეკუბე – 93, 142, 158 (II)
ჰელე – 56, 122, 140 (II)
ჰელენიოსი – 99 (I)
ჰელენოსი – 22, 87 (I), 69, 139, 140 (II)
ჰელესპონტოსი – 114 (I)
ჰელიადები – 72, 116, 140 (II)
ჰელიკონიოსი – 140 (II)
ჰელიკონის მთა – 28, 139 (I), 24, 140, 143, 165 (II)
ჰელიკონის ნიმფები – 72 (I)
ჰელიოსი – 10, 17, 29, 67, 80, 87, 88, 102, 129, 131, 134 (I), 10, 46, 53, 62, 93, 100, 107, 116, 120, 122, 124, 140, 146, 163, 164, 165 (II)
ჰემერა – 40, 123 (II)
ჰეფესტოსი – 32, 45, 89 (I), 162 (II)
ჰერა – 10, 27, 33, 54, 69, 72, 79, 81, 82, 84, 99, 100, 104, 110, 112, 114, 116, 118, 120, 122, 125, 127, 130, 133, 138 (I), 5, 7, 10, 14, 15, 61, 66, 73, 77, 93, 102, 105, 107, 108, 136, 139, 141, 142, 160, 162, 166 (II)
ჰერაკლე – 5, 10, 12, 17, 18, 20, 21, 27, 31, 39, 40, 41, 43, 51, 55, 58, 64, 72, 79, 92, 99, 100, 101, 105, 112, 118, 120, 121, 125, 128, 129, 130, 132, 136, 139 (I), 3, 5, 10, 11, 14, 29, 30, 32, 50, 52, 63, 65, 67, 71, 77, 79, 80, 92, 96, 99, 100, 104, 105, 107, 109, 120, 121, 123, 126, 136, 137, 138, 139, 142, 157, 158, 160, 164, 165 (II)
ჰერაკლეს მეათე გმირობა – 148 (II)
ჰერაკლეს მეექვსე გმირობა – 146 (II)
ჰერაკლეს მეთერთმეტე გმირობა – 149, 160 (II)
ჰერაკლეს მეთორმეტე გმირობა – 151 (II)
ჰერაკლეს მეოთხე გმირობა – 129 (I), 146, 165 (II)
ჰერაკლეს მეორე გმირობა – 138 (I), 145
ჰერაკლეს მერვე გმირობა – 147 (II)
ჰერაკლეს მესამე გმირობა – 145 (II)
ჰერაკლეს მეშვიდე გმირობა – 132 (I), 147 (II)
ჰერაკლეს მეცხრე გმირობა – 148, 165 (II)
ჰერაკლეს მეხუთე გმირობა – 146 (II)
ჰერაკლეს პირველი გმირობა – 144 (II)
ჰერაკლეს სვეტები – 157 (II)
ჰერაკლიდები – 3, 175 (II)
ჰერკულესი – 93, 142, 158 (II)
ჰერმა – 158 (II)
ჰერმაფროდიტოსი – 42 (I), 158, 159 (II)
ჰერმე – 24 (I)
ჰერმესი – 5, 10, 11, 29, 34, 41, 54, 60, 62, 68, 79, 82, 99, 110, 118, 129, 131, 138 (I), 3, 16, 13, 27, 42, 45, 51, 54, 57, 59, 61, 65, 67, 68, 70, 74, 96, 103, 108, 120, 122, 123, 135, 138, 140, 143, 151, 158, 162 (II)
ჰერმიონე – 81 (I), 53 (II)
ჰეროსი – 160 (II)

ჰერსილია – 90, 160 (II)
ჰესიონე – 136 (I), 57, 79, 105, 160 (II)
ჰესპერიდები – 40, 100, 134 (I), 14, 17, 24, 32, 76, 121, 126, 141, 160, 161 (II)
ჰესპერიდების ვაშლები – 149 (II)
ჰესპეროსი – 127 (I), 122, 160, 161 (II)
ჰესტია – 73, 94, 110, 133 (I), 77, 79, 107, 161 (II)
ჰეფესტო – 11, 33, 41, 46, 73, 78, 92, 99, 108, 109, 110, 130 (I), 24, 51, 59, 80, 103, 139, 141, 144 (II)
ჰექტორი – 17, 22, 45, 71 (I), 14, 31, 43, 62, 69, 76, 79, 88, 111, 139, 163 (II)
ჰვარნა – 102 (I)
ჰიადები – 74, 75, 164 (II)
ჰიაკინთოსი – 58, 100 (I), 164 (II)
ჰიასი – 74, 164 (II)
ჰიგიეა – 58, 164 (II)
ჰიდრა – 164 (II)
ჰიეროგამია – 76 (I), 9, 164 (II)
ჰილასი – 164 (II)
ჰილოსი – 79 (I), 157 (II)
ჰიმენეოსი – 41 (I), 103, 164 (II)
ჰიმერა – 164 (II)
ჰიპერბორეოსი – 165 (II)
ჰიპერბორია – 146 (II)
ჰიპერბორიელები – 70, 154, 164 (II)
ჰიპერენორი – 74 (II)
ჰიპერიონი – 54, 87, 102 (I), 49, 93, 107, 140, 165 (II)
ჰიპერმნესტრა – 5, 60, 139 (I), 165 (II)
ჰიპნოსი – 101 (I), 6, 24, 40, 117, 121, 154, 165 (II)
ჰიპოდამეა – 40, 1076 109, 128, 136 (I), 49, 67, 69, 74, 165 (II)
ჰიპოკრენე – 24, 107, 165 (II)
ჰიპოლიტე – 69, 140, 165 (II)
ჰიპოლიტოსი – 42, 100, 108 (I), 118, 165 (II)
ჰიფსიპილე – 166 (II)
ჰომეროსული ხარხარი – 166 (II)
ჰომონია – 166 (II)
ჰონორი – 166 (II)
ჰორა – 79, 80, 105 (I), 51 (II)
ჰორები – 41, 71, 99, 104 (I), 166 (II)
ჰორი – 119 (I)

# მითოლოგიური ენციკლოპედია
# ყმაწვილთათვის

(ტომი მეორე)

გამომცემლობა-ბაკმი
საქართველო, თბილისი 2006 წ.
E-mail bakmipublishing@posta.ge

*წინა ყდაზე: ტუტანხამონის ოქროს ტახტის ფრაგმენტი (ძვ. წ. 1358-1350 წ.წ.), კაირო, ეგვიპტის მუზეუმი.*

*უკანა ყდაზე: ჰორა. ფრესკა სტაბიადან (ახ. წ. I ს.), ნეაპოლის მუზეუმი.*